


ალექსანდრე კალანდაძე

სიტყვის ლაბირინთი

ჩარჩვანდელი



„ნაკადული“
თბილისი
1985

84 Гр 7
ქ 183

ეს არის რომანი სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებისა — წიგნი დიდ მოაზროვნესა და მამულიშვილზე. რომელიც ოცდაშვიდი წლისა მოსწყვიტეს ასპარეზს, მაგრამ მადლიერმა ერმა უკვდავთა შორის შერაცხა.

გარდამავალი ეპოქის რთული მოვლენების ფონზე, განსხვავებული ხასიათის ადამიანთა ურთიერთობებში თავისებურად მჟღავნდება პიროვნებისა და ისტორიული ვითარების პირისპირ დგომა, პატრიოტული მსხვერპლის შარავანდედი, გამორჩეულობის ტრაგიზმი, უდროობისა და მედროვეობის სოციალური შინაარსი ღა ფსიქოლოგია.

ნაწარმოები გვიზიარებს განმათავისუფლებელი ბრძოლის რომანტიკას, ხალხთა ძმობის ტრადიციებს, რომელთაც დღევანდელობამდე მოვყავართ.

მეორე გამოცემა

© „ნაკადული“, 1985

70803—82
Д————————134—85
М—603(08)—85

ნაწილი პირველი

1

იქნებოდა დილის ცხრა საათი, 1826 წლის ცამეტი ივლისისა. წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს საკრებულო ტაძრის უბანში, კამენნო-ოსტროვის ხიდთან, სადაც, ნიკოლის სანაპიროს ზემოთ, პეტერბურგის პირველი შენობა — კრამიტით დახურული ხის პატარა სახლი დგას, რომელშიც 1703 წელს თვით პეტრე დიდს უცხოვრია, ციხესიმაგრის საპყრობილის მხრიდან თავზარდაცემული ხალხი მოდიოდა.

გაქვავებულნი ორი კილომეტრი ასე მდუმარედ მოაბიჯებდნენ, ამ ადგილას კი ან ხიდზე გადადიოდნენ ან დიდი ნიკოლის სანაპიროზე უხვევდნენ, მხოლოდ თითო-ოროლა შეუმჩნევლად შედიოდა დიდი გრებეცკის მიყრუებულ ჩიხში და გამწარებულ ადამიანებთან შეხვედრისას, ერთბაშად ჰკარგავდნენ მოთმინებას.

— დავიხოცოთ, ძმებო!

— ღმერთო, რატომ ხდება ასე!

— ხუთივე?

— ხუთივე!

— რილეევიც?

— პესტელიც?

— ბესტუჟევიც?

— კახოვსკიც?

— მურავიოვ-აპოსტოლიც?

— ჰო!

— ჰო!

— ისიც,
— ისიც.
— ისიც!
— უბედურო რუსეთო!

ერთმანეთში ირეოდა დაძაბული, დაბნეული ნერვული ხმები.

ქუჩისპირა ხევნარიდან, ჩიხში, პატარა ფორანი შემოხრიგინდა. როცა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც კავალერგარდის მუნდირზე თეთრი კაფტანი წამოესხა, ცხენი შეაჩერა, გარს შემოეხვივნენ...

კამენნო-ოსტროვის ხიდზე მძიმე ზარბაზნებს მიაგორებდნენ. დიდი პუშკარსკის პროსპექტიდან სამხედრო მარშის ხმა ისმოდა. სანაპიროს ჭარი ფორანში შებმულ ცხენს ფაფარს უფრიალებდა. მოელარდისფრო-ნაცრისფერ შენობებს მაღლა, სივრცეში, საკრებულო ტაძრის ოქროსფერი სამრეკლო ლაპლაპებდა.

ხალხი შეუმჩნეველად იცვლიდა ადგილს და ცდილობდნენ არ მოსწყვეტოდნენ შუაგულს, სადაც კავალერგარდი ჩადგა. მის გვერდით ორ ახალგაზრდას ერთმანეთისათვის ხელი ჩაეჭიდა და შუაში ქალიშვილი ჩაეყენებინათ.

მაღალ-მაღალ იაკობ კრუპსკის საკინძე შეგლეჯოდა, ჰალსტუხი უკან მოქცეოდა. ჯმუხ, ბრინჯაოსფერ სოლომონ დოდაშვილს ფეხები ჩუსის ბოძებივით განზე გაებჯინა, რომ ქალიშვილს შედარებით ხალვათად ეგრძნო თავი.

ჭაბუკები, პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის მესამეკურსელები, და პოლონელი ქალიშვილი იანინა ბელსკა, რომელიც საბებიო სასწავლებელში სწავლობდა, ხარბად ნთქავდნენ თითოეულ სიტყვას.

კავალერგარდი გაშმაგებული გაჰყურებდა ხიდს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჰყვებოდა.

ორი კვირის წინ „წითელი კაფტანები“ ციხეში მობრძანდნენ, სასჯელი დაუსწრებლად გამოუტანეს: ხუთს აჩეხვა, ოცდათერთმეტს — თავის მოკვეთა, ცხრამეტს — კატორღა, დანარჩენებს—სხვადასხვა. გუშინ ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ „აჩეხვა“ ჩამოხრჩობით შეუცვალათ...

წუხელ, მთელი ღამე, რილეევი მეუღლეს წერილს სწერდა. ხელმწიფემ ნება დართო, სიკვდილის წინ შეხვედროდა მას, მაგრამ რილეევმა უარი თქვა, სამაგიეროდ, აი, ეს წერილი მისწერა.

„გათენებისას ჩემთან შემოვა მღვდელი... ნასტიას (ეს მისი რვა წლის ქალიშვილია!) ლოცვა-კურთხევას ვუთვლი... მოვითხოვ, რომ ის შენთან აღიზარდოს!.. ბედნიერი იქნება, მიუხედავად ცხოვრების ყოველგვარი სიმუხთლისა... და, როცა გათხოვდება, გააბედნიერებს ქმარს, როგორც შენ, ჩემო საუნჯევ, ჩემო კეთილო მეგობარო, რვა წლის განმავლობაში გამაბედნიერე მე. განა, ძვირფასო, შემწევს ძალა, სიტყვით გამოვხატო ჩემი მადლობა!.. სიტყვას სად შეუძლია ჩემი გრძნობების გადმოცემა!“

წერილი ჯერ არ დაესრულებინა, რომ ურდულმა გაიჩხაკუნა და საკანს პლაცმაიორი პოდეშკინი და ფოიერვერკერი სოკოლოვი მოადგნენ.

— ნახევარი საათის სიცოცხლეა დაგრჩენიათ, მოემზადეთ სასჯელისათვის!

რილეევმა წერილის დამთავრების ნება ითხოვა და განაგრძო: „ეშვიდობით, ძვირფასო! ტანთსაცვლას ბიბრძანებენ... ბარად შენი მეგობარი კონდრატე რილეევი“.

გადაწერეთ და გადაეცით სხვებს!—ერთბაშად მიაჩეჩეს ხელში იანინას, კრუპსკისა და დოდაშვილს რილეევის წერილის ასლები.

— წერა რომ მოათავა, რილეევმა ბულკს მოატეხა და მშვიდად შეჭამა, წყალი მოსვა, პლაცმაიორს წყნარად უთხრა: მე მზად ვარ!

კარი რომ გაიღო, ბესტუჟევმა რვა თვის პატიმრობის შემდეგ. პირველად დაინახა რილეევი. ჰკრა ხელი ეფრეიტორს და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

სანამ გაიყვანდნენ, ხელ-ფეხი თასმით შეუკრეს, ისე რომ, სისხლი გასდიოდათ და ნაბიჯს ვერ დგამდნენ.

— გაფითრებული და შეშფოთებული იყვნენ?

— სრულიადაც არა, ძმობილო! იმდენადაც არა, როგორც მე და თქვენ ვართ ახლა. დაფიქრებულნი ჩანდნენ, მაგრამ ისე მშვიდად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს, პაპიროსის გასაბოლებლად უნდა გასულიყვნენ მეორე ოთახში.

განაჩენი რომ გამოუცხადეს, პესტელმა დამცინავად იკითხა:

— გაგვასამართლეს კიდეც?

— გაგვამართლეს! — მიუგო რილეევმა.

როცა ჭაბუკმა უნებლიეთ შეჰკივლა, კახოვსკიმ ერთბაშად გამოაფხიზლა:

— ვინ ხარ შენ! მერე რა, თუ სიკვდილი მოგისაჯეს?!

— რას ერჩით, ბესტუჟევ-რიუმინი ხომ ჯერ თვრამეტი წლისაც არაა! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— რილეევი თავაზიანად დაემშვიდობა ციხის თანამშრომლებს.— ამ სიტყვებზე კავალერგარდს ხმა აუთრთოლდა. — ჩვენ წინ მივდიოდით, უკან სიკვდილმისჯილნი, მათ უკან თორმეტი სალდათი და ორიც ჯალათი.

სიკვდილმისჯილნი მიწაყრილზე აიყვანეს. იქ, როგორც ხელმწიფის საკუთარი ხელით დაწერილი ინსტრუქცია მოითხოვდა, პროფოსით მუნდირები, ჯვრები ჩამოაგლიჯეს, დაშნები გადაუმტვრიეს, ნამსხვრევები კოცონში ჩაყარეს. ხუთივეს ზოლიანი ხალათები გადააცვეს, კისერზე ასპიდის დაფები დაჰკიდეს — სახელ-გვარისა და დანაშაულის აღნიშვნით.

კრონვერკზე პავლეს ლეგიონის სასულე ორკესტრი უკრავდა. მღვდელიც იდგა და სწორედ მაშინ გამოირკვა, რომ გენერალ-ადიუტანტ სუკინს სახრჩობელები დავიწყებოდა. თოკების მოტანასა და ეშაფოტზე დამაგრებას ორი საათი მოუნდა.

იანინა, კრუპსკი და დოდაშვილი ცდილობდნენ, რილეევის წერილიც სწრაფად გადაეწერათ, რათა სხვებისთვის გადაცემა არ დაგვიანებოდათ, და, თან, კავალერგარდის ნაამბობიდან ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდათ.

სოლომონმა წერილიდან თავი ასწია, მხარზე მსუბუქად მიყრდნობილ ქალიშვილს დააცქერდა და შეამჩნია, რომ ქალი მთელი ტანით კანკალებდა.

ფანქარი ხელში გაეყინა. გარინდებისგან თავი ვერ დაეღწია.

ეს უცხო ქვეყნის ასული რაღაც გამოუთქმელ სურვილებს უღვიძებდა. ვერ გამოერკვია, რა იყო იმ გულისძგერის მიზეზი, რომლითაც მას უსმენდა და ელაპარაკებოდა.

ქალმა თავი აიღო, სახეზე შეკრთომა გამოეხატა. ჰაბუკმა ახლა იგრძნო, როგორ უხდებოდა სარტყელშემოჭერილი მწვანე კომლოტის სამოსელზე მიბნეული ბალახის ღეროები, ოქრომკედით ნაპირებშემოქარგული წმ. ეკატერინეს ბაფთით წაკრული ოქროსფერი თმა. სახის მკრთალი ფერები.

წამით, ვაჟის მწვანე, დიდრონი თვალები და იანინას მოწმენდი-

ლი ზღვისფერი თვალები ერთმანეთს შეხედნენ. მერმე, ერთდროულად დახარეს თავი და გააფთრებით განაგრძეს გადაწერა.

— ის ორი საათი, — განაგრძობდა კავალერგარდი, რომელსაც მკვდრისფერი დასდებოდა, — სიკვდილმისჯილნი მოლზე ისხდნენ და წყნარად საუბრობდნენ. რილეევი და მურავიოვ-აპოსტოლი ფრანგულად ლაპარაკობდნენ.

ჯალათი რომ მიუახლოვდა, რილეევმა უკანასკნელად შეხედა ცას და თქვა: „ღამე მშვიდობისა, ვარსკვლავებო, მთვარევ, მშვენიერო ბუნებავ!“

— საქანელა! — სიცილით დაანახა კახოვსკიმ სახრჩობელები.

ჯალათებმა ტომრები თავს ჩამოაცვეს.

— ღმერთო ჩემო, ეს რაღა საჭიროა?! — ჩაილაპარაკა რილეევმა

თხრილს გაღმა ძალიან ცოტა ხალხს მოეყარა თავი, საჯარო დასჯა არ გამოუცხადებიათ და ჯერ მხოლოდ დილის ხუთი საათი იყო. ვისაც შემთხვევით გაეგო, მხოლოდ ისინი მოსულიყვნენ.

კრონვერკზე პავლეს ლეგიონის ორკესტრი განუწყვეტლივ უკრავდა.

იანინა წერილის მესამე გვერდს იწერდა: „მე აქ 530 მანეთი მრჩება. ვინძლო, დაგიბრუნონ...“

იანინას ტირილი წასკდა.

— ლაქა არ დაგავიწყდეთ! — წასჩურჩულა სოლომონმა. —ლაქა ფანქრით შემოხაზეთ! აქ, ამ სიტყვებზე, რილეევი შემკრთალა, მელნის წვეთი ქაღალდს დასცემია და დაგორებულა. გადაწერისას, ამ ადგილს, თქვენც მელანს დააწვეთებთ.

— სანტა მარია! — შეჰკივლა თვალცრემლიანმა იანინამ. — მან მხოლოდ ოცდაცხრა ზაფხული იცოცხლა!

— დაუჩქარეთ, ესეც გადასაწერია — წუხელ, ნეკერჩხლის ფოთლებზე, რილეევის ხელით ამოჩხვლეტილი სტრიქონებია: „სიმართლის გულისათვის ციხე არ მეზარება. ჩემთვის საამაყოა ბორკილების ტარება!“

ეს ლექსი ქვაბის ძირზე ამოუკაწრავს ლურსმნით!

იანინას, სიჩქარით, ქაღალდი ხელიდან უვარდებოდა. ვაჟმა წმინდის გულით თავისი ფართო ზურგი მიუშვირა ქაღალდის გასაშლელად.

იდგა უდრტვინველად, ცოტა უხერხულად, ნეკერჩხლის ფოთოლ-

ზე ამოჩხვლეტილ სტრიქონებს ჩურჩულებდა და აგონდებოდა სენატის მოედანი, სადაც ექვსიოდე თვის წინ, სრულიად მოულოდნელად, ამ ლექსის ავტორის გვერდით აღმოჩნდა...

პირქუში დღე იყო. ისაკის საკრებულო ტაძარსა და „ბრინჯაოს მხედართან“ სამხედროებს დუნდგო ჰარბობდა. გაჰყვიროდნენ: რაკი გვარდიამ კონსტანტინეს შეჰფიცა, ნიკოლოზს აღარ უნდა შეჰფიცოსო. კრუპსკისა და დოდაშვილს ეს მითქმა-მოთქმა არ აინტერესებდათ. იმ წრეში, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ, დანამდვილებით იცოდნენ, რომ ზოგიერთი მეთაური ბატონყმობის მოსპობას, კონსტიტუციასა და რესპუბლიკას ითხოვდა. იქვე გაიგონა, რომ, როცა რილეევისთვის აჯანყების დაწყება შეუტყობინებიათ, ცოლი და პატარა ნასტია ფეხებში ჩავარდნიან, ნუ მიგვატოვებო. რილეევს ხელისკვრით მოუშორებია ცოლ-შვილი და სენატის მოედანზე გამოვარდნილა.

— მშვიდობით, ძმებო! — უკანასკნელად შესძახა რილეევმა მეგობრებს. — კვლავ ჩაესმა კავალერგარდის ხმა სოლომონს. — ჯალათებმა უმალ ყულფები მოარგეს ხუთივეს, ფეხთით სკამები გამოაცალეს. თოკის აჩიმვიდან წუთსაც არ გაუვლია, რომ სამი ყულფი ერთბაშად გაწყდა და რილეევი, მურავიოვ-აპოსტოლი და ბესტუჟევ-რიუმინი სიმაღლიდან თხრილში ჩაენარცხნენ.

— სანტა მარია! — სახეზე ხელები აიფარა იანინამ.

რილეევს ტომარა ჩამოსძვრა, გასისხლიანებული წარბები გამოუჩნდა.

— ეს რა უბედურებაა! — დაიყვირა ორმოში ტკივილებისაგან მოკრუნჩხულმა.

— ჩამოხრჩობაც არ გცოდნიათ! — შესძახა მურავიოვ-აპოსტოლმა ჭენერალ-გუბერნატორ გოლენიშჩევ-კუტუზოვს.

— გადაეცი ჯალათს შენი აქსელბანდები, რათა მესამედ არ მოგვიწიოს სიკვდილი! — ზიზღით მიაჩერდა რილეევი.

თხრილს გაღმა ხალხი ბობოქრობდა. მუშტებს იქნევდნენ.

გენერალი გარეკვით დაემუქრა მათ. ორკესტრს უბრძანა, უფრო გამაყრუებლად დაეკრათ.

— ჯალათებს სათადარიგო თოკები არ აღმოაჩნდათ და სიკვდილმისჯილებს კიდევ ერთი საათი მოუხდათ ცდა.

— მამაზეციერს არ ნებავს მათი დასჯა! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— რაკი თოკები გაწყდა, მეორედ აღარ უნდა ჩამოეკიდათ!

— წესი არაა!

ნება არ ჰქონდათ!

— წაქცეულს არ სცემენ!

— ჩამოჰკიდეთ, ჩქარა, ჩქარა! — გაჰყვიროდა გენერალ-გუბერნატორი.

— გენერალო! — შესძახა რილეევმა. — თქვენ ალბათ იმისთვის ინებეთ მობრძანება, რომ საკუთარი თვალით გეხილათ, როგორ ვკვდებით! გაახარეთ თქვენი იმპერატორი: მისი სურვილი სრულდება — ჩვენ ტანჯვით ვკვდებით!

კავალერგარდს ლაპარაკი უჭირდა, სიტყვა ბაგეზე ეყინებოდა.

— სიკვდილი არ კმაროდა? სახრჩობელა არ კმაროდა? — ბავშვივით ქვითინებდა შავსერთუკიანი მედუქნე.

— ღმერთო ჩემო, რაღა გვეშველება?! — მოთქვამდა არისტოკრატულად ჩაცმული ქალი.

— მაშ, რა გეგონათ! — უცებ, ყველას გასაგონად თქვა ფრაკიანმა კაცმა. — წესრიგი უსიტყვო მორჩილებას ითხოვს, თორემ...

— შეჩვენებულო!

— ენას კბილი! — ჩაეცინა მას.

— რას იცინით, რას ხედავთ აქ სასაცილოს! ყველას ჯერი მოვა!

— არ არსებობს ხალხისთვის სიკვდილზე უკეთესი სიკვდილი!

— დიდი ამბავი — ფიცისგამტეხნი თუ დასაჯეს!

— ხელმწიფე ყველაზე მწარედ განიცდის ამ უბედურებას!

— ვიცით! ვიცით! დღეს რვა საათზე გამოსულა სასახლის ეზოში — წყალში ცხვირსახოცს ისროდა და საყვარელ მწევარს უბრძანებდა, გამოეტანა.

— მაშ, რა გნებავთ — ხელმწიფე გახლავთ!

— ღვთისა და კანონის წინაშე თანასწორობა!

— ფრანგებო! — წამოიძახა ოქროსსათვალიანი.

— რას გაჩუმებულხართ! მოქალაქენი არა ხართ? ხალხი არა ხართ? საკუთარი თავი არ გაბიათ? ეს ჩვენ გაგვაყოფინეს თავი ყულფში! მაგრამ დიდია რუსეთი — მის ჩამოსახრჩობ თოკს ათას წელსაც ვერ დაგრეხენ. მანამდე კი თვით ჯალათებს მოუგრეხენ კისერს.

— მოდით, მესროლეთ, ნაძირალებო! სემიონოველი გახლავართ!

ჭეშმარიტი რუსი! — მკერდზე მჯიღს იბრაგუნებდა ნაკატორღალი უნტეროფიცერი და ლოყაზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი.

— მთელი ქვეყანა დაცარიელდა! — სიტყვას გულღვიძლი ამოაყოლა ქალმა.

სემიონოველი კედლის ნაპირს მიყრდნობოდა და მოწინააღმდეგეებს მიჩერებული, გამომწვევად მარცვლავდა: „იცოდეთ, ჩემთვის მშობელი ხალხის უუფლებობა ჯოჯოხეთს ნიშნავს, თავისუფლება სამოთხე არის!“

— გააჩერეთ ეგ ტუტუცი!

— სიმდიდრე ბადებს ბიწიერებას!

— ხმა!

— მთელ რუსეთს აწყენინეს!

— ეს, ბატონებო, ორი დღის საქმე ნუ გგონიათ!

— „ვიცი დაღუპვა რომ არ ამცდება.
ამას ჯალათიც არ დაახანებს.
დროებითია ეს დამარცხება,
ბოლოს მოუღებს ხალხი ტირანებს!“

— ძმებო! შებინდებისას ჩამოხრჩობილთა ცხედრებს ურმით სმოლენსკის სასაფლაოსკენ წაიღებენ! — წარმოთქვა კავალერგარდმა და ბრბოში გაუჩინარდა. ფორანზე, მის ნაცვლად, თეთრკაფტანიანი ჭაბუკი შეხტა და ცხენი სანაპიროსკენ გააჭენა.

— მოღალატენი! ტყავი უნდა გააძრონ ამისთანებს! — შეჰყვირა გადაცმულმა ჟანდარმის ოფიცერმა, რომლის მოსვლა არავის შეუმჩნევია.

— მოისმინეთ ხელმწიფის მანიფესტი! — მკაცრი ხმით გამოაცხადა მის გვერდით გამოჯგიმულმა ფელდფებელმა. — „სამშობლო გაწმენდილია იმ საშინელი სენისაგან, რომელიც ამდენი ხანია ბუდობდა მის სხეულში...“

— დავიშალოთ, ძმებო!

— ფეხი არ მოიცვალოთ!

— წადი, გამეცალე, ღვთის გულისათვის! — ხელის მკვეთრი მოძრაობით ჩამოიშორა ჭაბუკმა.

— მტრებს ემხრობით! საფრანგეთის ჯაშუშები ხართ!

— კრინტი! — იქუხა სემიონოველმა. — ეს ჩვენ ვიხსენით რუსეთი რვაას თორმეტში!

— თქვენ გამოაღვიძეთ უავგუსტესი მონარქის მტრები!

მედროვეე ბილწო! ხარ ვერაგი და სულმდაბალი,
მონარქის ფლიდი მეგობარი და ქედმაღალი,
განრისხებული ხარ ტირანი სამშობლო მხარის
და ცბიერებით მიღწეული უმაღლეს ხარისხს,
შენ ეხლა ბედავ, რომ მომაპყრო თვალები ზიზღით,
სასტიკ მზერაში დავინახე ნიშანი რისხვის!

ბოლო სიტყვების წარმოთქმა ვერ მოასწრო, რომ ჯიბეებში ეცნენ.

დამეხსენით, მე ეს ზეპირად მახსოვს!

— ძრწოდე, ტირანო, იქნებ იშვას ისევ კასიო! — ახლა სხვა მხარეს გაისმა რილეევის სტრიქონები და ხელმწიფის ერთგულნი იქითკენ გაექანენ.

— წადი, ძმობილო, თავი დამანებე! მთელ რუსეთს ხომ ვერ ჩამოახრჩობთ! ჩვენთვის ვლაპარაკობთ, სხვა რა!

შეკრებილნი, რომლებიც ამ მიყრუებულ ჩიხში თავდასხმას არ ელოდნენ, განზე გადგნენ და ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს ერთმანეთში ჩურჩული. მართალია, ტყეში და საიდუმლო ბინაზე არ მოუყრიათ თავი, მაგრამ ფარულ საზოგადოებათა წევრები სახელდახელოდ აფრთხილებდნენ ერთმანეთს, დაღუპულთა პატივსაცემად და ახალი ამბების გასაგებად, ეგზეკუციის დამთავრებისთანავე, შეუმჩნევლად შემოეველოთ აქ.

— მე მოვკლავ, ვინც პოეტი სახრჩობელაზე აიყვანა! — ფიცხად წაიჩურჩულა დოდაშვილმა.

— მოიძებნებიან რუსები, რომლებიც შურს იძიებენ! — ჩაილაპარაკა კრუპსკიმ.

შეკრებილებმა მდუმარედ იწყეს დაშლა. სოლომონს ზარდაცემული სამგლოვიარო პროცესიის განცდა იპყრობდა, ბურლაკების შორეული ზრინი სწვდებოდა, რომელიც მუდამ ატყვევებდა დაგუბებული ბოლმის გამოუცნობი სიდიადით.

— ვილოცოთ, ძმებო, მისთვის, მისი მეუღლისათვის, მისი ნასტენკასათვის! — ქვითინებდა მხრებჩამოყრილი მოხუცი.

— წაეალ, აღარ შემიძლია, არაყში ჩავიხრჩობი!

— ვაცი, დაღუპვა რომ არ ამცდება,
ამას ჯალათიც არ დაახანებს;
დროებითია ეს დამარცხება,
ბოლოს მოუღებს ხალხი ტირანებს!

იანინა, იაკობი და სოლომონი ისე გავიდნენ დიდი გრებეცკის ჩიხიდან, რომ ვისიმე განსაკუთრებული ყურადღება არ მიუპყრიათ. სტუდენტები იყვნენ და საგანგებო სიფრთხილე მართებდათ.

ბერძნის პროსპექტამდე სანაპირო ისე აიარეს, არცერთს ხმა არ ამოუღია. მონისლული, მტანჯველი შთაბეჭდილებებით იყვნენ მოცულნი. იანინა განუწყვეტლივ გარშემო იყურებოდა.

— ის უდიდესი პოეტი იყო! — ფიცხად წამოიძახა დოდაშვილმა, როცა პროსპექტზე გავიდნენ. — მსოფლიო პოეზიაში არ მაგონდება ამაზე ძვირფასი სტრიქონები: «Когда жъ ударит грозный час и встанут спящие народы, — святое воинство свободы в своих рядах увидит нас!»

— მან გამოგვიყვანა ჟუკოვსკის სამყაროდან! — თქვა კრუპსკიმ.

— მსხვერპლი ის მადლიანი თესლია, რომელიც უნაყოფოდ არ იკარგება!

— დიახ, მეგობრებო, რვაას თორმეტიდან ახალი რუსეთი დაიწყო. უკეთესის იმედი ჩემს ხალხს აღარასოდეს დატოვებს!

— მე მითხრეს, გრიბოედოვი დაპატიმრებული ჩამოუყვანიათ პეტერბურგში. — აღელვებით წარმოთქვა სოლომონმა.

საკრებულო ტაძრის შესასვლელთან გლახაკნი ჩამომსხდარიყვნენ. იანინა სწრაფად გამოეყო ამხანაგებს, მათთან მიირბინა, ხელში გროშები ჩაუბნია. როცა მობრუნდა, სოლომონმა შეამჩნია, მის სახეს სათნო სიმშვიდე შემატებოდა.

— მან თითოეული ჩვენგანის სულში დატოვა თაეისუფლებისათვის მებრძოლი გმირი! — თქვა კრუპსკიმ.

— ეს გმირი საკაცობრიო გმირია! — სახე გაუბრწყინდა იანინას. — მთელი ევროპა ირყევა! კარბონარები! პიემონტი! ელადა! ესპანეთი! იუგენდბუნდი! დაე, ძრწოდნენ მეტერნიხები და უავგუსტესნი!

— სამართალია, ერთ პირს ამდენი უფლება ჰქონდეს?!

სოლომონი თაყვანისცემით შეჰყურებდა უცხო ასულს, რომელიც მის ცხოვრებაში პირველი ქალი იყო, ვინც საერთაშორისო მოვლე-

ნებაზე, პიემონტსა თუ იუგენდბუნდზე, ჰორაციუსსა თუ კანტზე, შილლერსა და ბაირონზე, შოპენსა თუ ჟუკოვსკიზე ისე ლაპარაკობდა, რომ შეეძლო, არა მარტო ცეცხლი წაეკიდებინა მსმენელთათვის, არამედ ბევრი რამეც ესწავლებინა.

იანინა ბრწყინვალედ სატაცდა, ფორტეპიანოზე უკრავდა, რუსოს, შელლის, ვალტერ სკოტს, შილლერს ორიგინალში კითხულობდა. შეეძლო, ავადმყოფისთვის სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა. დაჭრილი სიკვდილისაგან ეხსნა.

„ვინ იცის, საქართველოშიც გვეყოლონ ოდესმე ასეთი ასულნი“!—ოცნებით გაიელებდა გულში სოლომონი, როცა იანინას უსმენდა.

მას არც იმის გაფიქრება აგრძნობინებდა უხერხულობას, რომ პირველად ხედავდა ასე უბრალოდ და ასე მოხდენილად ჩაცმულ ქალიშვილს, სერიოზულ საკითხებზე ასე მოსაუბრესა და, ამავე დროს, ასე თავაზიანს. გულს უჩქროლებდა უბრალოებით მომხიბვლელი მოძრაობანი. თბილი ხმა, თანაზიარობა, კეთილი შემოხედვა. მაგრამ, ჩამოვარდებოდა თუ არა სიტყვა სამშობლოზე, მეცნიერებაზე, თავისუფლებაზე, ვაჟს პირადული გრძნობა უყუჩდებოდა.

თუ არა იანინა, დღევანდელი ჯაბნობის, სიცოცხლის სიყვარულის, მოთმინებისათვის თავისთავი შესძაგდებოდა. შვებას აგრძნობინებდა მეგობრებთან ყოფნა. როცა მათ ხედავდა და უსმენდა, გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ასეთი ადამიანები რომ არ არსებობდნენ. მარადიული უძრაობა და სიყრუე გამეფდებოდაო.

ეს საუბრები, ეს მეგობრები, პეტერბურგის ეს მოუსვენარი ცხოვრება ჩემი მეორე უნივერსიტეტიაო, ფიქრობდა.

საუბრის თემა სწრაფად და მოულოდნელად იცვლებოდა. კარბონარებზე მსჯელობას ამერიკის ამბები მოსდევდა. ევრიპიდედან პიემონტზე გადადიოდნენ. ჟან ჟაკ რუსოდან — ორთქლის მანქანის პერსპექტივებზე. ლოგიკის კატეგორიებიდან — კუნძულ უტოპიაზე.

იანინას გაახსენდა, დედისთვის წერილი უნდა მიეწერა და ამ სალამოს ვარშავაში მიმავალი თანამემამულისათვის გაეტანებინა. მოიბოდიშა და, ის იყო, პროსპექტიდან უნდა გადაეხვია, რომ შედგა და ამხანაგებს მიაჩერდა.

— შევფიცოთ: ეს დღე არასოდეს დაგვავიწყდება! — აღგზნებით წარმოთქვა ცოტა დუმილის შემდეგ — შევფიცოთ: სადაც არ უნდა

ვიყოთ, თოთხმეტ დეკემბერსა და თოთხმეტ იელისს მოვიგონებთ, რაც აქ განვიცადეთ და ანგარიშს მოვსთხოვთ ჩვენს თავს!

— ვფიცავთ! — ერთხმად მიუგეს მეგობრებმა. საკუთარი ხელით გადაწერილი რილეევის წერილი, ციხიდან გამოღწეული ლექსები გულზე მიიხუტეს, პირი სენატის მოედნისკენ იბრუნეს და გარინდებულნი ერთსა და იმავე სტრიქონებს ჩურჩულებდნენ.

ვერცერთი ვერ შეძლებდა გამოეთქვა, რას ფიქრობდა იმ აგზნებულ წუთებში, მაგრამ მძაფრად განიცდიდნენ, რა გულისფლეთად დაუჯდათ დღევანდელი დღე. გრძნობდნენ, რომ ამიერიდან ერთი უკიდეგანო ოკეანის მღელვარე ტალღებად იქცნენ. რომ, ჩამოხრჩობილის წერილი მათ ანათესავებდათ რაინდებთან, რომლებმაც თავიანთი ახალგაზრდული სიცოცხლე მგზნებარებით მიიტანეს ხალხისა და სამშობლოს სამსხვერპლოზე. სჯეროდათ, რომ ეს წმიდა ხელნაწერები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უბით უნდა ეტარებინათ და აღესრულებინათ. მათი შინაარსი კიდითკიდემდე უნდა მოეფინათ. პირადი მაგალითით უნდა აღმოეჩინათ საიდუმლო: როგორი უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, ვისაც შეეძლო, სახრჩობელაზე ასვლის წინ ასე დაემორჩილებინა კალამი, ასე მყუდროდ გადმოეცა თავისი გრძნობა.

არცერთს გულში არ გაუვლია, რა მსხვერპლს ითხოვს ეს ფიცი.

დოდაშვილს არ შეუმჩნევია, როდის დაემშვიდობნენ მეგობრები. ახლა, როცა გამოფხიზლდა, მძაფრად იგრძნო, როგორ მოსწყურებოდა მარტო ყოფნა.

კარგა ხანს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. ათასი ფიქრი უტრიალებდა. დღევანდელ დანისლულ შთაბეჭდილებებში ილარიონ დობრომისლოვის სახე ამოდიოდა...

სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში რომ ასწავლიდა. მერმე, მანვე თბილისის სასულიერო სემინარიაში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად, იქიდან სიღნაღის სკოლაში მიიწვია მასწავლებლად.

დაჭირავებულ ბინაში ერთად ცხოვრობდნენ. მეორე წელს მოძღვარი და მეგობარი ხელში ჩააკვდა. რაც კი ებადა, ანდერძით სულ სოლომონისთვის დაეტოვებინა: წიგნები, საათი, სასმისი, პატარა ხანჯალი...

ილარიონი ჩასჩიჩინებდა, რუსეთში წამოსულიყო ცოდნის შესაძენად...

დოდაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა, დღეს საიმპერატორო ბიბლიოთეკაში შეევლო, ბერლინიდან მიღებული ჰეგელის ახალი გამოკვლევის გასაცნობად, რომელიც თავისი „ლოგიკის“ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით სჭირდებოდა, მაგრამ ისეთი ნაღველი შემოაწვა, რომ არაფრის გაკეთება აღარ ძალუძდა.

2

ოთახში შემოჭრილი დროშკების, კალიასკების, კარეტების ხმაურსა და ხალხის გნიასზე სოლომონი მიხვდა, რომ გვიან გაღვიძებოდა.

შუაღამემდე საწერ მაგიდას უჯდა, მერმე, ფიქრებმა აიყოლიეს, დიდხანს არ დაეძინა და ახლა ისე შეუძლოდ გრძნობდა თავს, რომ არ იცოდა, ამდგარიყო თუ არა. წრიალებდა. ბალიშს წარამარა ყურიდან ყურზე აბრუნებდა. ცოტას წასთვლემდა. ისევ გაეღვიძებოდა. ოფლიანი ძილღვიძილი თავს წაართმევდა.

მოლანდებები ერთმანეთს ცვლიდა. კბილდაღრჭენილი ვეშაპები... აჭრელებული ტყეები, დახუნძლული ბაღი... ფერმიმკრთალი ქალიშვილი, უცებ რომ უვსებდა სულს გამოუთქმელი ნეტარებით, რომელსაც ადამიანი მხოლოდ სიზმარში განიცდის, უახლოვდებოდა, ეკვროდა, ტუჩებთან მის ანთებულ ბაგეს გრძნობდა და, რაღაც უცნაური მამაკაცური მორცხვობისაგან ერთბაშად ფხიზლდებოდა.

ყოველი გამოღვიძებისას თავს ძალას ატანდა, რათა განთავისუფლებულიყო დამაბეჩავებელი ბურანისაგან, რომელიც ეს მეორე წელია დასჩემდა.

ოდნავ გახელილი თვალები ლურჯად შეღებილ ხის მაგიდაზე შეაჩერა, ვაზებსა და ჯამებს ჩააყოლა, მშობლიური მაღაროდან გამოყოლილ დედის ნაქარგს გაუღიმა.

სოლომონს უყვარდა ბელეტაჟის ეს მყუდრო ოთახი, აქ განმარტოება, ფიქრი და შრომა.

კირით შეფეთქილი კედლიდან მისი საყვარელი ესტამპები გადმოჰყურებდა — მარსი და მინერვა, გვირგვინითა და დაფნის რტოებით შემკული ორი ანგელოზი.

კუთხეებში კარადა, პირსაბანი და კიდევ ერთი რკინის საწოლი,

რომელზედაც, შესვენების ჟამს, ორიოდ წუთით წამოწოლა სიამოვნებდა, რადგან საკარძელი არ ჰქონდა.

იქვე, კედელზე შავი ჰილის შლიაპა ეკიდა, რომელიც ძალიან მოსწონდა და არასოდეს იშორებდა. მაგიდაზე სუფთა ქაღალდები, ფანქრები, კალმისტრები, რვეულები, ქაღალდის საჭრელი დანა. თაროებზე — კარგად მოვლილი წიგნები და ხელნაწერები. წიგნები ბევრი არ იყო, ახალმიღებული ჰქონდა ევროპის ქალაქებიდან და მისი ინტერესების სფეროში დიდ იშვიათობას წარმოადგენდნენ.

სოლომონს განუმეორებელ ბედნიერებას ანიჭებდა, ენერგიით ავსებდა და ძალას უღვიძებდა ახალი ხელნაწერებისა, და, კიდევ უფრო, დაუწერელი ქაღალდის ცქერა.

ღრიჭოდ დარჩენილ კარში ფანჩატურის მყუდრო კუთხე მოჩანდა, ქვითკირის გალავნისა და კოშკურის სილუეტით. ეს ძვირფასი ადგილი იყო. ზამთარში, როცა ყველაფერი დაითოვლებოდა, შრომით დაღლილი, აქ ჩამოჯდებოდა ხოლმე და ოცნებაში დანთქმული, საათობით გაჰყურებდა თეთრად დაყურსულ ტოტებს, დაცარიელებულ ჩიტის გალიებს, კუთხეებში მიდგმულ ყვავილის ქოთნებს, მოშორებით, გასაშრობად გამოფენილ თეთრეულს და აგურებში გამოჩრილ ღუმელის მილს, რომლიდანაც თბილი კვამლი მიიზლაზნებოდა.

ამ ბინაში სოლომონი თავს ცუდად არ გრძნობდა, რადგან მარტო იყო და არავინ აწუხებდა, მართალია, ბელეტაჟი და სარდაფი მსახურებსა და ხიზნებს ეკავათ, ხოლო გაუშალაშინებელი ფიცრებით მიშენებულ, კრამიტისსახურავიან ჩარდახებში ათასგვარი საკუჭნაო და სახელოსნო იყო მოთავსებული, მაგრამ ეს კარგა მოზრდილი ოთახი ისეთ ადგილას მდებარეობდა, რომ გარეშე მყოფთა შორეული ფუსფუსი არათუ ხელს უშლიდა, სიამოვნებასაც ჰგვრიდა მარტოობის მოყვარულ მდგმურს.

ხის შიდაკიბე, რომელიც ძლიერ დაფუტუროებულიყო, მესამე სართულის შანსარდს უერთდებოდა, სადაც კაცი თავდაუხრელად ვერ შევიდოდა. იქაც, სხვენზე, სოლომონს საკუთარი კუთხე ჰქონდა გაჩოყოფილი სამუშაოდ თუ დასასვენებლად.

მანსარდიდან დიდებული ხედი იშლებოდა ვასილის კუნძულის არხებისა და მაგისტრალებისა. წინასაუკუნის კლასიცისტურ ნაგებობათა მიღმა მოჩანდა ბირჟის, კოლეგიის, სამხატვრო აკადემიის, ნავ-

სადგურის, პირველი კადეტთა კორპუსი, რუმიანცევის ობელისკისა და ანდრეევის პროსპექტის ბრწყინვალე სასახლეები, ისაკისა და ტუჩკოვის ხიდების მონახაზები, ერთმანეთზე გადაბმული ფართო, კეთილმოწყობილი გამზირებისა და მაგისტრალების კონტურები.

სოლომონს უკვირდა, რომ ქუჩებში ადამიანთა გაუთავებელი დინება, ოპტიკოსების, მესაათეების, მოდისტების მაღაზიებთან და სახელოსნოებთან ფუთფუთი კი არ აფორიაქებდა, არამედ ისეთივე სიმშვიდეს აგრძნობინებდა, როგორც მყუდრო ოთახში განმარტოება.

დოდაშვილი მესამე წელია ცხოვრობს აქ, ვასილის კუნძულის მეთორმეტე ხაზზე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგის ძის, ბაგრატ ბატონიშვილის სახლში.

ილარიონის სიკვდილის შემდეგ, მან გადაჭრით მოითხოვა სიღნაღის სკოლიდან განთავისუფლება, რადგან უნივერსიტეტზე ოცნებამ მოსვენება დაუკარგა. ატესტატსაც არ აძლევდნენ და, როცა აუცილებელი შეიქნა, სასულიერო წოდებაზეც ხელი აიღო.

უნივერსიტეტში შესასვლელად თბილისის სემინარიის ატესტატი საკმარისი არ იყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ბედის საძიებლად წამოსულიყო იოანე ბოდბელის კერძო ბარათით, რომელშიც ეწერა: „ალექსანდრე ნეველის მონასტრის სემინარიაში ვგზავნითო“.

ცოდნას მოწყურებული ცხრამეტი წლის ჭაბუკი ორი თუმნით გამოემგზავრა სანკტ-პეტერბურგს, სადაც ერთი ნაცნობიც არ ეგულებოდა.

მოსკოვში გამოჩენილ მწერალსა და მოღვაწეს გიორგი ავალიშვილს მიმართა დახმარებისათვის. მას მოეწონა ნიჭიერი ყმაწვილი, პეტერბურგში მღვდელ-მონაზონ იონა ხელაშვილთან შუამდგომლობის წერილი გაატანა.

ვაჭირელმა მღვდელმა შვილივით მიიღო მაღაროელი მეზობელი, მაგრამ თვითონაც სხვისი მდგმური იყო და ახალჩამოსულს დიდხანს ვერ შეიფარებდა. სასტუმროს ან კერძო ბინის დაქირავება კი ვის შეეძლო! ბოლოს, გავლენიანი პირების შემწეობით, თავშესაფარი აჭ უშოვა.

მაშინ ქართველ ბატონიშვილებს კარგი მდგომარეობა ეკავათ. რვაას თორმეტი წლის ომში პეტრე ბაგრატიონისა და ათობით სხვა ქართველი გენერლის განსაკუთრებულ დამსახურებათა წყალობით,

პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ბაგრატ ბატონიშვილს, რომელიც 1801 წელს დასახლდა პეტერბურგში, ხელმწიფემ გენერალ-ლეიტენანტობა, კამერჰერობა და სენატორობა უწყალობა. თავიანთი სასახლეები ქართველი მეფეების სამეფო კარის ყაიდაზე ჰქონდათ მოწყობილი. თითოეულს თავისი ერთგული თავადი, აზნაური და ყმა ჰყავდა შეკედლებული. სარჩოსაც კარგად იღებდნენ და ფუფუნებით ცხოვრობდნენ.

ბაგრატი მალე დარწმუნდა და ხელაშვილმაც დაუდასტურა, რომ თავისი მცირეწლოვანი შვილებისათვის დოდაშვილზე უკეთეს ოსტატს ვერ იშოვიდა. სთხოვა, მათთვის ყველა საგანი ესწავლებინა, განსაკუთრებით, ქართული ენა და ისტორია. სამაგიეროდ, სრულიად უსახსრო კაცისათვის ნანატრი პირობები შესთავაზა: ყოველს თვის თავს ოცდახუთი მანეთი, საუზმე, სადილი, ვახშამი, ჩაი, ღვინო, შეშა და ეს მყუდრო ოთახი.

კვირაში სამჯერ სოლომონი ბაგრატის ექვსივე შვილს ამეცადინებდა ქართულსა, რუსულსა, არითმეტიკასა, საღვთო სჯულსა, გეოგრაფიასა, მსოფლიო და რუსეთის ისტორიასა და უცხო ენებში, მაგრამ საგანგებოდ დაეალებული ჰქონდა უფროსი ვაჟის — დავითის — აღზრდა, რომლისთვისაც ეს სახელი მამას დაერქმია უფროსი ძმის, ქართლ-კახეთის მემკვიდრე უფლისწულის დავითის საპატივცემულოდ და ამასთან დაკავშირებული ფარული ოცნებითა და იმედით.

პატარა დავითს, რომელიც „ნიანკასთან“ იზრდებოდა, ქართული სრულებით დავიწყებოდა და ბაგრატმა ახალგაზრდა მასწავლებელს სთხოვა, ძირითადი ყურადღება დედაენისათვის მიექცია.

საქმე კარგად აეწყო. ბატონიშვილი და მისი მეუღლე — ეკატერინე ჩოლოყაშვილისა, ისე მადლიერნი იყვნენ სოლომონისა, რომ შვილთაგან არ ერჩეოდათ. ბაგრატის შეწევნითა და შუამდგომლობით, მეორე წელსვე, პეტერბურგის ახალდაარსებული საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა.

სოლომონი პატივს სცემდა თავის მფარველს, აფასებდა მის ლიტერატურულ ნაშრომებს, განსაკუთრებით „ახალ მოთხრობას“...

უცებ, გაახსენდა, რომ ოთხშაბათი იყო. თორმეტ საათზე პატარა ბატონიშვილთან მეცადინეობა ჰქონდა დანიშნული. საბანი ხელის აქნევით გადაიგდო, საჩქაროდ ჩაიცვა, მაგიდაზე მუყაოგადაფარე-

ბული თუნუქის ტოლჩიდან გაგრილებული ჩაი მოხვრიპა, ხაოიანი, ფართო პირსახოცი წელზე შემოიკრა და ფანჩატურში გავიდა პირის დასაბანად. იქიდან სასადილო ოთახში გაიარა, სადაც გემრიელი, ქართულ-რუსულ ყაიდაზე გაწყობილი საუზმე ელოდა.

როცა ჰალსტუხი გაიკეთა,შლიაპა დაიხურა და მარმარილოს კიბეს აუყვა, გაახსენდა, რომ ამ ბოლო დროს ბატონიშვილი, რატომღაც, ჩვეული გულისყურით აღარ ექცეოდა, ბავშვებიც, როგორღაც, გაღიზიანებული ჩანდნენ, და, უსიამოვნო დაძაბულობის გამო, მეცადინეობიდან გულნაკლული ბრუნდებოდა.

ახლაც, კარი რომ გაუღეს, ბატონიშვილთა აპარტამენტში, სადაც მუდამ თვითონ ბაგრატი ან მისი მეუღლე გამოეგებებოდნენ და სამეცადინო დარბაზში შეუძღვებოდნენ ხოლმე, მოხუცი შვეიცარი შეხვდა, რომელმაც შეკრთომით მოახსენა — ბატონიშვილი კაბინეტში გთხოვსო.

რკინის მოაჯირის მარცხნივ, თეთრ, მოჩუქურთმებულ კართან შლიაპა მოიხადა, და შედგა თუ არა ოთახში ფეხი, იქვე გაირინდა.

ბატონიშვილი ოთახში ბოლთას სცემდა და კარგა ხანს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის.

დოდაშვილი, შლიაპით ხელში, მოკრძალებით ელოდა, როდის შესთავაზებდნენ სკამს.

ბატონიშვილმა რამდენჯერმე კიდევ დაჰკრა ბოლთა, მერმე, წითელხავერდგადაკრულ მაღალ სავარძელში მოკალათდა და უხეშად ჰკითხა:

— იცი, რატომ დაგიძახე?

— მზად გახლავართ თქვენი მორჩილი და მსმენელი. — მიუგო სოლომონმა და მითითებულ სკამზე ჩამოჯდა.

ბაგრატმა ზიზღით სავსე მრისხანება შეაგება.

— შვილებს მიხოცავ!

სოლომონმა მუდარით მიაპყრო საოცრად ცოცხალი, თბილი თვალები.

— ვერ გაიგე? ბავშვებს ნუ მიხოცავ-მეთქი სწავლით!

— ვერა გავიგე რა, ჩვენო ბატონო!

— პატარა ბატონიშვილები გიჩივიან, სწავლით გვხოცავსო! — დაფანჩული წარბები აკრიფა და ბუნჩულა ბაკენბარდებზე ხელი ჩამოისვა ბაგრატმა.

სოლომონის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. გრძელ, კიდეებში ერთ ხაზად შეკრულ ტუჩებზე ოდნავ ირონიული, უბოროტო გრიმასა უკრთოდა. „შვილებს მიხოცავ!“ — ეს საყვედური უწინაც სმენია, მაგრამ ნახევრად ხუმრობით, ახლა კი, ეტყობა, ბატონიშვილი ხუმრობისაგან შორს ბრძანდებოდა.

— საბაბი არა მიმიცია რა, შენი ჭირიმე.

— ყმებივით ექცევი! — ბრაზი ერეოდა ბატონიშვილს.

— პატარა ბატონიშვილები ფრიად ცელქნი და ჭირვეულნი გახლავან, ჩვენო ხელმწიფევ.

— ვიტომაც ბატონიშვილად იწოდებიან! — მკაცრი სიცილი შეაგება ბაგრატმა.

სოლომონს გაახსენდა, რომ წარსულ კვირას პატარა ნიკოლოზ ბაგრატის ძეს სულ მცირე შენიშვნა მისცა ფრანგული სიტყვის არასწორი გამოთქმის გამო. ბავშვმა იუკადრისა ეს, ჯერ, წამოიტირა, მერმე, დედის ხმა რომ შემოესმა, გული ამოუჯდა და მთელი საღამო ვერ დააშოშმინეს.

-- ჩემი შვილები მოსაკლავად არ მომიბარებია შენთვის!

— რას მემართლებით, ბატონიშვილო, დავითსა და გიორგის ქართული ღრამატიკა, რუსული ღრამატიკა, ჰსჯული ღვთისა, ღეოღრაფია, საღმრთო ისტორია, ქართული და რუსული ასოების დასხმა ვასწავლე.

— მაშ, რაკი ეგენი გისწავლებია, უნდა მოკლა?

— სნეული გახლავართ, ჩვენო ბატონო, და ეგ სიტყვა ფრიად სამძიმოდ და სავნებლად გამოთქმულია ჩემი სიმრთელისათვის.

— ჰმ, თავის სიმრთელეზე კარგად ზრუნავს! — ჩაეცინა ბატონიშვილს.

— არათუ მასწავლებელს (ეს სიტყვა ამაყად და მახვილით წარმოთქვა სოლომონმა), არამედ არა რომელს კაცს არ ეტყვიან ამ სიტყვებს, ისიც ყოვლის მიზეზის გარეშე, ჩვენო ბატონო!

ბაგრატი წამოდგა, მასთან ახლოს მივიდა და ჰკითხა:

— მაშ, ბატონიშვილები ტყუიან?

— პირველს ხანებში დიდად კმაყოფილი ბრძანდებოდით და მეც მოგენდეთ,ვითარცა მეფის ძესა!

— არ მიყვარს დაუნახავი და თავქედი ხალხი!

— მოიწვიეთ ვინც გნებავთ, გამოიძიეთ, რა ვასწავლე, როგორ

ვასწავლე! გაიგეთ, თუ რამ დავაკელი, თუ არადა, რაისთვის მკადრებთ ესრეთ სიტყვებს!

პასუხებზე უფრო ბატონიშვილს სოლომონის დარბაისლური და ღირსეული თავდაჭერა აბრაზებდა. ქედმაღლობად მიაჩნდა უგვარო კაცის დინჯი და თავშეკავებული უბნობა. უთუოდ, ამდენი რამ რომ უსწავლია: ეს ფრანგულიო, ეს გერმანულიო, ინგლისურიო, ლათინურიო. ბერძნულიო... ამიტომ აღარად გეაგდებს, მორჩილება დაუკარგავს. უხერხულობასაც კი გრძნობდა მის გვერდით, მოთმინებიდან გამოჰყავდა იმის ფიქრს, რომ როგორც თანასწორთან, ისე უნდა ელაპარაკნა.

მისი გულწრფელი რწმენით, დაბალი წრის პირი ვალდებული იყო, გზა დაეთმო მაღალი მდგომარეობის პირისთვის, მდაბლად მისალმებოდა, შეკითხვებზე მოკლე, მორჩილების გამომხატველი პასუხი გაეცა.

— გამოდის, რომ ბატონიშვილობა აღარაფერი ყოფილა, უფალო დოდაევო!

— დიახ, დღეს სხვა დროა, ბატონიშვილო, ევროპის წესია. თუ არ ისწავლიან, რა იქნება?!

— დაგვიწყებია ქართული ზნე და ზრდილობა, ყმაწვილო, ფრიად საწუხარ არს ესე!

— რათა, ჩვენო ბატონო! ადამიანთა მოდგმის აუცილებელი ვალია, ჰქონდეს ზნეობა და მე რათ უნდა დამვიწყებოდა ეს. დიდად პატივისმცემელი ვარ თქვენი, მიყვარხართ და ისიც მჯერა, რომ პატიოსანმა ადამიანებმა ერთმანეთთან არ უნდა იფარისეველონ. მოგახსენებთ ყოველივეს ისე, როგორც ვიცი და მრწამს.

ბაგრატს არავითარი სურვილი არ ჰქონდა დოდაშვილთან სერიოზული მსჯელობა გაემართა ამ საკითხზე. სტუდენტის სიტყვები უსიამოვნოდ კბენდა გულზე. გამჭოლავი, ყოვლის გამაცამტვერებელი მზერა სტყორცნა:

— ვნანობ ფრიად, რამეთუ ვერ ვპოვე, რასაც ველოდით.

— ვგონებდი მეც, თუ ყურადღებას მიაქცევდით თქვენს შვილებს და დამეხმარებოდით მათს აღზრდასა ზედან. შემეძლო მეცა საქართველოსა შინა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან მამულისამან განმაღვიძა. ვიკრეფ აქ სიბრძნესა მამულისათვის. ვერ შევიწყნარებ ქაცთა, რომელნიც ცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ყო-

ველი ჰფიქრობს საკუთარის თავის სარგებლობისათვის, რისთვისაც არცა რცხვენია, არცა სინდისი აწუხებს, სამართლიანად ჰსთქვა არის ტოტელემან — გვამი კაცისა შეიქმნების უბრწყინვალეს და უკე თილშობილეს მაშინ, ოდეს მიიღოს ცოდნა და სიბრძნე. ყოველ საქმე ითხოეს დამტკიცებასა — ვიფიქრო და ვივარაუდო — ნიშნავს მივიჩნიო რაიმე ჰეშმარიტებად, გულში კი ვიცი, რომ ჩემი საფუძ ველი არც თვითონ ჩემთვის და არც სხვისთვის არა კმარ არს.

— ჰო, ჰო, ჰო! ეხედავ ფილოსოფოსობასა შენსა და ვერა ვხე დავ კაცობასა ზრდილობიანსა.

— მე ჩემის კერიდან წამოყოლილი პატიოსნება მირჩევნის ყო ველსა სწავლასა და დიდებასა! ენას აჰყოლიხართ, ბატონიშვილო ნუ ერწმუნებით ტყუილსა არაკეთილმსურველთასა, არამედ ერწმუ ნეთ ჰეშმარიტსა სიტყვასა ჩემსა, რომელთა სიმართლეს საქმენი გვამცნობენ.

— უშენოდაც ვიცი, რა არს საჭირო! — შეაწყვეტინა ბაგრატ მა.

— ნუთუმე, აღზრდას არავითარს მნიშვნელობას არ ანიჭებთ? — მოწმენდილი, სიმართლით დამატყვევებელი თვალები მიაპყრო სო ლომონმა.

— შენ, იქნებ, ალიყურიც უთავაზო ბატონიშვილებს და მაშ, ხმ ალარ გაგცეთ?

— თქვენ, ჩვენო ბატონო, ყმად მრაცხავთ და არა მასწავლებლა და აღმზრდელად.

— უკეთუ არ გახსოვს, ვინცა ხარ? თუ მართლა ჰგონებ, ყველ კაცი ერთიაო? ეგ იქ, პეტრე-პავლეს ციხესთან ხომ არ გასწავლეს?

სოლომონმა ტუჩზე იკბინა. ახლაღა გაახსენდა, რომ კამერჰერს სენატორს, გენერალ-ლეიტენანტს ელაპარაკებოდა. „წითელ კაფტ ნიანს“, რომელმაც ხელი მოაწერა „მათ“ ჩამოხრჩობას. სენატორს უთუოდ, ატყობინებენ და ჩანს, მოეხსენება, სად დადის, რი სულდგმულობს მის სახლში მცხოვრები კაცი, მისი შვილების მას წავლებელი!

„რას თავპირით ზედ ეხლები? სენატორი და კამერჰერი შენს სი მართლეს დაგიდევს? მიუშვებს და მიდის თავის ნება, ყურსაც კ არ დაგიგდებს!“

სოლომონს უკვირდა, რომ ეს ფიქრები შიშს კი არ ჰგვრიდ

არამედ შთააგონებდა, უფრო მტკიცედ დაეცვა თავისი შეხედულება, რომელიც სამართლიანად, მაშასადამე, თვით ბატონიშვილისათვისაც სასარგებლოდ მიაჩნდა.

— პირველად უნდა ისწავლონ და გონება განინათლონ მამულისადმი მაღალისა და დიადის გრძნობით. კვირას, როცა ბატონიშვილს დავითს გაკვეთილი ეკითხე, მიპასუხა, გუშინ ჩემი «имянник»-ი იყო, მეჯლიში მქონდა, კაი მწვადები ავაშიშხინეთ და სად მეცალაო! გასდით დიდგულობა და, თუ ასე იქმნება, სადღა ეპოვოთ ის ჩვენი კეთილშობილური სიტყვა და მამულიშვილური გულისტკივილი!

— ქისიყელი ხარ, დგეხარ გაჭირსა და არ გესმის უფროს-უმცროსი!

— მე ვჰგონებ, დიდსა თუ მცირის კაცის აღზრდაში არავითარი განსხვავება არაა. მასწავლებლისათვის ერთად შესარაცხ არიან ისინი.

— ვოლტერი და რობესპიერი გირწმუნებიეს ოსტატებად, სიღნაღელო!

ბაგრატმა სუნთქვის შეგუბება იგრძნო. აცოფებდა „სტუდენტის“ ჯიუტობა, გაუტეხელობა და შეუპოვრობა. მაგრამ, ცდილობდა, არც ის დაეიწყებოდა, რომ თავის ყმას, ჯერეთ უმწიფარ ყმაწვილს ელაპარაკებოდა. „ამისთანებისაგან არავინ იცის, რა გამოვა! თუ გინდა, კაცი დადგეს და უფროსის ხათრი ჰქონდეს, კარგად უნდა მიშოლტო. რანაირად მოვტყუვდი მასში! რა ცხვირაბზეკით ლაპარაკობს! როგორ გულმოდგინედ ეძებს საწყინარ სიტყვებსა!“

სოლომონს თვალის უპეებსა და საულვაშესთან მკრთალი ჩრდილები დაეფინა, მაგრამ თვინიერი გამომეტყველება არ შესცვლია. ის კი არ უკვირდა, თავს რომ არ უყადრებდნენ, არამედ ის, რომ მის სიკეთეს არავითარი ფასი არ ჰქონდა. „მაშ, რატომ უთქვამთ: ამხილე ბრძენსა და შეგიყვაროსო?! მერე რა, რომ სამადლოთ ვყევარ აყვანილი და მისი მოწყალებით ვარსებობ?! ნუთუ ამისთვის ჩემს რწმენას, სიმართლეს უნდა ვუღალატო?! მე ხომ მისი წყენა არ მინდა. ვურჩევ კეთილსა და არ ნებავს დაუფიქრდეს!?“

თვალი შეავლო ბატონიშვილის მედიდურ სახეს, მოხუჭუჭო, შავი თმით მჭიდროდ დაფარულ, ბაგრატიონისებურ მრგვალ თავს და მტკიცედ გადაწყვიტა, არც არაფერი დაეთმო და არც თავისი კეთილისმყოფლისთვის ეწყენინებინა.

— ვოლტერი და რობესპიერი, ბატონიშვილო, იმას გვასწავლიან, რომ ყველანი ბუნების შვილნი ვართ და თანასწორნი კანონის წინაშე.

— გამეცალე! — დაიყვირა ბატონიშვილმა.

სოლომონმა ცოტა ადროვა და მერმე, მკაფიოდ წარმოთქვა:

— გემსახურეთ, ჩვენო ბატონო, მართლის გულით. თქვენ იცით, რომ მე ამ შრომით დავსნეულდი. შემეყარა ვნებანი, მოუსვენრობა და ნერვიულობა. ნუთუ, თქვენ ამას ვერ ხედავთ?!

— გამეცალე! შხამად შეგერგოს ჩემი ამაგი!

— გმადლობთ, ბატონიშვილო! აქამომდე მეგონა, თუ ასეთს განათლებულს სახლში არასოდეს სალანძღველსა სიტყვასა არ იტყოდნენ. ვირწმუნე თქვენი ყოველი. ფიცით აღმითქვით შემწეობა.

— წადი! აღარ დამენახო, ყმის ყმაო, სანამ უკეთურ აზრებს თავიდან არ მოიშორებ! — ქშენით ამოისუნთქა. — გადი ჩემი სახლიდან, გამეცალე!

— წავალ, მაგრამ ლანძღვისათვის მაქვს ნება, სენატს საჩივრით მივმართო. უწყით თქვენ თავადაც სტატიები კოდექსისა, რომ უსამართლოდ მთქმელი მიეცეს კანონითა სამსაჯულოსა ქვეშე.

ამ მუქარაზე ბატონიშვილი ისე გაცოფდა, რომ თვალთაგან ნაკვერცხლები დასცვივდა.

— მომშორდი, ღეთის მადლმა, მინამ აქედან არ მისერიხარ!

სოლომონი დინჯად წამოდგა, შლიაპა აიღო და თავდაღუნულმა გაიხურა ოთახის კარი.

„რას კადრულობენ, როგორ თვალთმაქცობენ! ამდენი თვის ხელფასიც არ უბოძებიათ! ამდენი საათის შრომა დამეკარგა და ახლა მაწანწალასავით მაგდებს! მეუბნებოდა, თითოეულს საათში გარდა თეთრისა, რამე საბოძვარს, სამოსელს, სახურავს, არ მოგაკლებო! არც ერთხელ ქვეითად შინიდან არ გაგიშვებო! ესევითარნი ურიცხვნი აღთქმანი და რას კადრულობენ სიტყვითა, საქმითა და მრავლის მოტყუებით! მაგრამ ეს ყოველი მათთვის იყოს, შერცხვენას სიკვდილი მირჩევნია! მირჩევნია, გავქრე, ვინემ თვალში და პირში შევყურებდე ვისმე, ვინც არ უნდა იყოს, რათა გავიგო, რას იტყვის და და რას ფიქრობს, რომ მეც ისე მოვიქცე და ვილაპარაკო!“

სწრაფად დაეშვა კიბეზე, რათა ახლავე აეკრიფა გუდა-ნაბადი

და რაც შეიძლება მალე გასცლოდა იქაურობას, მაგრამ შვეიცარმა კარი არ გაუღო, არ მაქვს ბატონის ბრძანებაო.

დოდაშვილმა გასვლა ძლივს მოასწრო, რომ ბაგრატს ცოლ-შვილი შეუცვივდა კაბინეტში, მასწავლებელი რა უყავიო.

— გავაგდე!

— რას ბრძანებ, ბატონო, ასეთ ოსტატს სადღა ვიშოვით, რომ ქართულიც ყოველივე საფუძვლიანად იცოდეს და ყველა სხვაც, რაც დღეს საჭირო არს. — მუდარით უთხრა მეუღლემ.

— მა, რა ვუყოთ, რო ეგეთი თავქედი და დაუნახავია!

— მერმე, ბატონიშვილები უსწავლელი უნდა დაგვრჩნენ?

ამასობაში მოკეთენი და მოსამსახურენიც მოგროვდნენ. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.

— ყაენივით ამპარტავანი და ფლიდია! — წაილაპარაკა გამდელმა აზნაურმა, რომელსაც სოლომონის სწავლა-განათლება ჭკუაში არ მოსდიოდა და მას დასანახავად ვერ იტანდა.

— გადრუნჭული დადის, სათოფეზე არ გვეკარება! — სიტყვა შეაწია სახლთუხუცესმა.

— მიწამ პირი უყოს ეგრე უმადურსა და ამპარტავანსა!

— გაჩუმდით! რა დროს ეგაა, ბავშვები მასწავლებელს ელოდებიან! — გაწყრა დიასახლისი.

— ოსტატი გვინდა!

— სადაა ჩვენი უფალი მასწავლებელი?

— ზმნის წესი დღეს კარგად გამიკვეთია!

მიესივნენ ბაგრატს პატარა ნიკოლოზი, ალექსანდრე, გიორგი, ბარბარე, რომელთა ბალღური ჭირვეულობითა და დაბეზღებითაც დატრიალდა მთელი ეს აურზაური.

ბაგრატი საგონებელში ჩავარდა. გაახსენდა ის ერთი გაკვეთილი, რომელსაც თვითონ დაესწრო, ოსტატმა ჯერ აუწერა ბავშვებს იევრიის შევიწროება და მერმე, პატივისცემით მიმართა უფროს ვაჟს: „პატარა დავით! იცით, ვინ გაანთავისუფლა საქართველო, ჩვენი საყვარელი სამშობლო აგარიანთაგან? შენმა სეხნია დავითმა, რომელსაც შემდგომ აღმაშენებელი უწოდეს“... დაბადების დღეს თეისის ხელით დაწერილი მოლოცვა გამოუგზავნა: „მე და ყოველნი სხვანი ერნი ივერიისანი ერთხმობით მღაღადებელნი ვართ, რათა ტირილი და გლოვა შეუცვალო სიხარულად და ბნელი ივერიისა შესცვალო ნათლად“...

„გავფიცხდი ფრიად და ვკარგავ ყმასა სარგებელისა მომცემსა!— გონს მოეგო ბატონიშვილი. — არს ნიჭიერი, ბეჯითი ფრიად და შეუძლია გამოადგეს ქვეყანასა!“

ეკატერინე შუბლზე ეამბორა მეუღლეს, ბავშვებიც გარს შემოეხვივნენ და თავისი დიდსულოვნებით კმაყოფილმა ბრძანა:

— სახლთუხუცესო, დააბრუნე ოსტატი!

სოლომონს უკან მიბრუნება არასდიდებით არ სურდა, მაგრამ არც გარეთ უშვებდნენ და, თვითონაც რომ დაფიქრდა, ძალადობაც უზრდელობად და ქედმაღლობად მოეჩვენა.

— სად გარბიხარ, შე კერპო და თვითრჯულო ქისიყელო! — რბილად დაუხვდა ბატონიშვილი. — ამ შენს შეგირდებს ვის უტოვებ, რომ დილიდან შენს მოსვლას ელოდებიან!

— მივდივარ, ბატონიშვილო! მე ვარ კაცი და მეშიშვის, რათა სული ჩემი არ შეიცვალოს და გაჩირქიანდეს წუთისოფლის სხვადასხვა გარემოებათა მიერ. არ ისწავლოს გულმა ჩემმან სიძულვილი ადამიანისა. არ შეითვისოს ზიზღი, მტრობა, შური და ხასიათი პირმოთნეთა კაცთანი. რათ მინდა, ცოდნა შევიძინო და სინდისი დავკარგო! გარედან შევიმოსო და შიგნით დავცარიელდე, გავხმე და დავლპე. რაღას ბედნიერებასა და სიხარულს ვჰპოვებ მაშინ ამქვეყნად?!

— დარჩი, ჩემთან, სოლომონ! ყველაფერი გადავწყვიტოთ ქრისტიანულის სულითა! თუ ოდესმე საქართველო ჩემს შვილებს ერგო, მიიღებ მამულსა და თავადობას!

„ყოველი ბატონიშვილი ოცნებობდა და ოცნებობს, მიიღოს ოდესმე საქართველო!“ — გაუელვა სოლომონს.

— წავალ, ბატონიშვილო, ჩემთვის იქნებ, ღვთის შეწევნითა, უნივერსიტეტსა შინა ვპოვო ღამის გასათევი. ჯერეთ ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულსა ჰეშმარიტებასა შინა და მმართებს მოქმედება საქმითაცა.

3

„ამ საქმემ, შესაძლო არს, შტაბამდე მიმიყვანოს. მაშინ ცხადი იქნება, რა მიზეზისა გამო დაბრკოლდა ირაკლის თაფთან ჩვენი ერიში. თავად გავიგონე, მთავარმართებელმა რომ ბრძანა, ბრიგა-

დას ცუდად აცვია, ცხენები დავარდნილანო. არც სამოქალაქო მმართველობას დაადგება კაი დღე! ახალი იმპერატორი ჩვენს გენერალ-ოტინფანტერს ავის გულით უყურებს. ეს ამბავი რომ ყურში ჩავაწვეთო, მეორე დღეს რბილ სავარძლებში ნაცნობს ვეღარ ვიპოვი.

ჩემი კაცების მეშვეობით, ამგვარს დანაშაულს მე ვერ გამოვიძიებ. შემიძლია, საერთო სამხილები მოვიპოვო, დამნაშავეთა ვინაობა გამოვიძიო: ფურაჟი და პროვიანტი ვინ გაყიდა, ვინ იყიდა... თუ ეს ცნობები სარწმუნო მეჩვენა, რასაკვირველია, რელაციას არ წარვადგენ, მაგრამ, როცა მთავარმართებელთან ვიქნები, ბუნებრივია, ჩემი ეჭვები ფრთხილად მივუქარაგმო, და, თუ ეს რაიმე ცნობისმოყვარეობას აღუძრავს, როგორც სხვა დროს მოვქცეულვარ, მცირე-მცირედ ახალ-ახალიც ჩავურთო. სიფრთხილე მმართებს იმის გამოც, რომ დასმენა ხელმოუწერელია, ეფრემამ რეგისტრაციამდე ამოიღო კანცელარიის ფოსტიდან, და, სავარაუდოა, დამსმენს ასეთივე წერილები შტაბისა და საქართველოს უზენაესი მმართველობის სახაზინო ექსპედიციისთვისაც გაეგზავნოს. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსალოდნელია, ცილისწამებასთან ან გაზვიადებასთან გვქონდეს საქმე. თუმცა, დამსმენი ფრიად კომპეტენტური და ვითარებაში გარკვეული ჩანს".

ამის გაფიქრებაზე საქართველოს მთავარმართებელ ერმოლოვის საგანგებო მინდობილობათა მოხელემ, კოლეჟსკი სოვეტნიკმა ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილმა, რომელსაც მ ი ქ ა ი ჩ ს ა ც უწოდებდნენ, ლურჯი საქაღალდე მაგიდის კუთხიდან წინ გადმოსწია და ლამაზი ხელით ნაწერ ანონიმურ დასმენას დააკვირდა.

„ამა 1827 წლის თერთმეტს აპრილს, აბასაბადთან შტაბსპოლკოვნიკმა შმაგოვმა, გზათა უწყების მაიორმა გენიჩმა და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პორუჩიკმა გომოზოვმა, თბილისის ხუთ უსტაბაშთან წინასწარი შეთანხმებით, ტყეში გადამალეს და ორი დღის შემდეგ დიდ თონეთთან უსტაბაშთა რწმუნებულებს ჩააბარეს სამოცი ურემი პროვიანტი და ფურაჟი, რაშიც მიიღეს გასამრჯელოთასი თუმანი. გატაცებული იარაღი და ტყვია-წამალი ყაზი მულას აგენტებს მიჰყიდეს".

კოლეჟსკი სოვეტნიკის ყურადღება გომოზოვის გვარმა მიიპყრო, თუმცა, ერთბაშად ვერც კი მიხვდა, რატომ. ლურჯ საქაღალდეს დიდხანს დასჩერებოდა, რაღაცას იხსენებდა, ანგარიშობდა. ბოლოს,

პაპის კუთხეში, მხოლოდ მისთვის ცნობილი კრიპტოგრაფით, რომლითაც ქვეყნად სხვას არავის უსარგებლია, მკრთალი ფანქრით იწერდა ამ საქმესთან დაკავშირებულ ვარაუდებსა და გეგმებს.

რამდენიმე საქმე გულგრილად გადადო. ერთმა თხელმა საქაღალდემ კი დააინტერესა, იქ ეფრემას მიერ მოპოვებული დასმენა ინახებოდა. თავადი შერმაზან სევარსამიძე უჩიოდა ელიაზარ ყაფლანისშვილს. კეთილშობილთა წოდებების გამომძიებელ კომისიას ყმებისა და მამულების რაოდენობაზე ყალბი საბუთები წარუდგინა, რათა ამით პირველი ხარისხის თავადობა დაიმტკიცოსო.

„საბრალო საქართველოვ! რას არ კადრულობენ შენი შვილები! სანამდე მივედით! რამდენი ჩუმჩუმა ავაზაკი გახეევია თავს! ყოველი მეორე კაცი ყაჩაღი და თვალთმაქცია. ხელმწიფეს ატყუებენ და ქვეყანას ღუპავენ. თბილისი უცხოელებით გაიევსო. ყიზილბაშებთან ომმა ათასობით უთვისტომო გადმორეკა. ეს გერმანელები რაღად გვინდოდა, რომ ჩამოათესლეს. ლეკებმა თავი წამოყვეს. საციმბირე სემიონოველები აქ გადმოგზავნეს. ახლა ჩამოხრჩობილთა მეგობრებიც მოაყოლეს. ვინ აღარ ირევა თბილისში. როგორ აიტანოს ახალშეერთებულმა კუთხემ ამდენი საეჭვო და თავზეხელაღებული! ყველა იმის ცდაშია, ჩინი და სიმდიდრე მოიხვეჭოს. არ დაეძებენ, რა გზით, რა საშუალებით. გენერალ-ოტინფანტერი მართალს ბრძანებს, კაცთმოყვარეობის გულისთვის საზარლად მკაცრი ვარო.

რამდენი ბოროტებაა დაფარული, რამდენი დანაშაული დაუსჯელად დარჩენილი! ერთ ცოდვას მეორე მოსდევს!

ჩვენი მონარქი ერთნაირად კეთილია ყველა ქვეშევრდომისათვის, განურჩეველად ეროვნებისა. დაწინაურების ასეთი პირობები საქართველოს არასოდეს ჰქონია. დიდია და უძლეველი რუსეთი, ყიზილბაში და ოსმალო ვინა გდია! ამ ომმა ერევანი და ნახჭევანი შეგეძინა. გლეხებს ვაწუხებთ. სწავლა არ გვინდა. წესრიგისა და დისციპლინის გარეშე ქვეყნის კეთილდღეობა თქმულა?! მთავარმართებელს ძლიერ ეწადა ჩვენი და მათი დაახლოება. ქართული გაზეთიც გვიბოძა. კლუბი გაგვიხსნა. რამდენიმე ქართველი პეტერბურგს გაგზავნა სასწავლებლად. ჩვენი მტრები როზგით, სახრჩობელებით, ეგზეკუციით წელში გატეხა. სხვა რაღა გვინდა? — გზა მივცეთ ყოველს ახალსა — ვაჭრობასა, ხელოსნობასა, ქარხნებსა, სწავლა-განათლებას.

წესრიგი და სამართალი გვაკლია. მამიჩემისაგან გამიგია, განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრემ კნორინგიცა და კოვალენსკიც იმიტომ დაითხოვა, კანონს არ ემორჩილებოდნენო.

ახლა რა, უკეთესია? ძარცვისა და გამდირებისათვის ცოტანი არიან გადმოხვეწილნი? მოხელეთა ასეთი უსამართლობა თქმულა? კანონი და სამართალი ყველას თავისთვის უნდა. როგორ აპირებ საქმე მოაგვარო ისეთ მოხელესთან, რომელმაც რელაციისა და არზის წერა არ იცის? სამაგიეროდ, დუელანტი, ლოთი, ყომარბაზი, რამდენიც გნებავს!

ყველა დამნაშავე ვართ ამ უბედურებაში. განა, ჩვენი ვალი არაა, დაეხმაროთ მთავრობას ბოროტმოქმედის გამომჟღავნებაში? დაფარული საქმეების გამოძიებაში? ავისა და კარგის გარჩევაში? სულ მოთავისენი ხომ არ უნდა ვიყოთ? ამეებში ქართველებს სხვებზე მეტიც გვმართებს.

დღეს მე ვსჭირდები ჩემს ქვეყანას და ხალხს. ღმერთია მოწმე, რომ აქამომდე მისი წარმატებისათვის არაფერი დამიზოგავს. არც მივხედავ ნათესავსა, არც მოყვარეს, არც მეგობარს, მათაც ისე ვეპყრობოდი, როგორც უკანასკნელს მაჰმადიანსა მტერსა.

მაშ, ქვეყანას პატრონობა, ხალხს მოვლა არა სჭირდება?“

ერმოლოვის საგანგებო მინდობილობათა მოხელე მიქაიჩი წელში გასწორდა, ნელ-ნელა წითელმაუდგადაფარებული ჩუქურთმიანი სავარძლის საზურგეს გაეკრა და რამდენიმე წუთს გაურკვეველ ფიქრში იყო ჩანთქმული.

ასეთ ბობრ, თეთრ თმა-წამწამიან კაცს ხახატოს ეძახიან. სუფთად გაპარსულ, უულვაშო სახეზე ფაფუკი ჭილვაშები მოეშვა. ყელზე მესამე ხარისხის „ანნა“, სერთუკზე „სტანისლავი“ და „ოქროს მედალი გულმოდგინებისა და ერთგულებისათვის“, რომელიც იმერეთის 1819 წლის ამბებში ებოძა.

კედლიდან ახალი ხელმწიფის სახე გადმოჰყურებდა. ქვემოთ ცალკე ქართული კორპუსის სარდლის, ინფანტერიის გენერლის ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვის ნახატი პეიზაჟი ჩაესვა ოქროსვარაყიან ჩარჩოში.

სამსახური ჯერ კიდევ ციციანოვის დროს დაეწყო, მაგრამ ორდენები ხოვენის განსაკუთრებულ კომისიასა და სახაზინო ექსპედიციაში სამსახურისას ჰქონდა მიღებული, ვიურტემბურგელი კოლონის-

ტების დასახლებასა, ავთანდილ თუმანიშვილის საქმის გამოძიებასა და მისთანებში დამსახურებისათვის.

იაგორ ჭილაშვილთან და ნიკოლოზ ჩუბინაშვილთან ერთად რომ ვახტანგ მეექვსის კანონები რუსულად გადათარგმნა, ერომოლოგმა დააჯილდოვა „ოქროს საათით, რეპეტიციითა და ჯაჭვით“. რუსულ-ქართული „რაზღოვორნიკის“ შედგენისათვის — კოლეჟსკი სოვეტნიკის ჩინზე წარადგინეს.

მიქაიჩი სადარბაზოსთან შეჩერებული ეკიპაჟის ხმაურმა გამოაფხიზლა, საქაღალდეები უჯრაში ჩაკეტა და, სანამ ფანჯარას მიუახლოვდებოდა, კარში გასაღები გადააბრუნა.

ეტლი მალე დაიძრა და, როცა კოლეჟსკი სოვეტნიკი ფანჯარასთან ცოტა მოშორებით შეჩერდა, ნიკოლოზის მოედნის კუთხეში დაინახა ცხენზე გამოჭიმული ნიჟეგოროდელი პორუჩიკი, მოდრეკილი სადავეებით. წითელარშიამოვლებულ უნაგირზე გარინდებულ ბრგე ვაჟკაცს ყველაფერი ისე უხდებოდა, თითქოს ეს სამხედრო ფორმა საგანგებოდ მისთვის ყოფილიყო გამოგონებული. წითელლამპასებიანი შარვალი, წითელი სამაჯურები, დაღილული, თეთრსამხრეებიანი ლურჯი ფრენჩი, ფართო, წითელი პაგონები, წითელი, მაღალი და ფართო საყელო, რომელიც ნიკაპამდე დაშვებულ, გაფუმფულებულ ულვაშებს სწვდებოდა. მოკლეკაკარდიანი, მაღალი ქუდი, ვეებერთელა არწივით, და მკერდამდე დაშვებული ფუნჯებით. უნაგირი თითქმის მთლიანად ფარავდა ცხენის ზურგს და უზანგებში მაგრად ფეხებგაყრილ პორუჩიკს ცხენი ადგილზე გაექვავებინა.

იდგა გარინდებული და უტეხად მისჩერებოდა ფანჯარას.

მიქაიჩი ორიოდ წუთს ისე ფრთხილად ათვალიერებდა მხედარს, თითქოს, ვერც ხედავსო. მერმე გონებაში პროვიანტისა და ფურაჟის გატაცებაზე ეფრემას მოპოვებული ანონიმური საჩივარი ამოტივტივდა. იდუმალმა ფიქრმა გაურბინა.

„დიმა გომოზოვი!“ — ყრუდ გახმიანდა ცნობიერებაში და, წამით მოძალებულ ვარაუდებში მზერა მისგან შორს, ქალაქის სიღრმეში გადაიტანა. თვალს აყოლებდა საკმაოდ ერთფეროვან სურათებს და ცდილობდა, გომოზოვზე ფიქრს ალარ დაბრუნებოდა.

მოედანზე ერთმწკრივად გაწოწოლიკებული, კისერწაგრძელებული, ბანჯგვლიანი აქლემების ქარავანი შემოდიოდა. მათ უკან სამხედრო საპურვლით დატვირთული ქართული ურმები გადაბმოდა

ერთმანეთს. ვერიდან კალათებგადაკიდებული სახედრები მოჩიქჩიქებდნენ. მოხრიოკებულ გორაკებსა და ბორცვებს შორის ზაფხულის პაპანაქებისაგან დაჩიავებული მტკვარი ილანდებოდა.

არავითარი სიმწვანე. მხოლოდ მოედანს ჩაჰყეებოდა მზისგან შეჭირვებული ახალნერგები.

ხრიოკი. ხრიოკი. ხრიოკი.

მეტეხს გამოღმა, მტკვრის პირზე, მინარეთები...

„აი რა დაგვრჩა წინაპართაგან! — კეხიან ცხვირზე ოქროს პენსნე შეისწორა მიქაიჩმა, — მტკვრის მღვრიე წყალს ვსვამთ. ჟუჟყსა და ნაგავში ვიხრჩობით. ყოველს წელს ქოლერას, შავს ჭირს მოველით. ქალაქში ერთი საავადმყოფოც არ გვაქვს.

სიცხისგან მოსაწყენო და მტვრისგან სულისშემხუთველოო, ამბობენ თბილისზე. მაშ, რათ არის, რომ ზაფხულის დღეში ეს საშინელი თბილისი უზომოდ მშვენიერია იმავ საღამოთი?! ასეთი გაუმწვანებელი ქალაქი ევროპაში მეორე არ იქნება, ნამდვილი უდაბნოა.

იშვიათად თუ მოიპოვება ასეთი დიდი ქალაქი ასეთის ვიწრო, მრუდე და მყრალი ქუჩებით. გენერალ-ოტინფანტერი მართალი არაა, აივნები რომ აკრძალა. სანამ ახალ სახლებს ავაშენებდეთ, სიცხე ამოგვართმევს სულს.

ჩრდილოეთით ახალი შენობები გვემატება. მთავარმართებელი ძლიერ სცდილობს ამისთვის. პეტერბურგში უთქვამთ, ერმოლოვი საკუთარ სატახტო ქალაქს იშენებს, ცალკე სამეფოდ გამოყოფას და ერმოლოვთან დინასტიის დაარსებას აპირებსო.

ამგვარი ტაატით შორს მაინც ვერ წავალთ. თუ ამ ქუჩებს არ გავაფართოვებთ, ეტლიც ვერ გაივლის, ომნიბუსი კი მისდღემჩი არ გვეღირსება. სახლის მეპატრონეებს დახმარება უნდათ, რომ დახურული აივნები და შუშაბანდები გააკეთონ, როგორც ავლაბარშია.

ამდენი ხანია, შუშის ქარხანა გვინდა და თავი ვერ მოგვიბამს. ეს ერთი კეთილშობილთა სასწავლებელი გვეყოფა?! დაბალი ხალხის შვილებმა რა უნდა ისწავლონ?! თეატრი არა გვაქვს. არც ბიბლიოთეკები. არც კლუბები. ძველი ტაძრები გვეღუპება და ვერ მოგვივლია. უპატრონობით მცხეთა ხელიდან გვეცლება.

ახლა ბაზარი ნახე, რა გაფხეკილია, რა სიძვირეა! ახლომახლო სოფლებში მიწას არ ვიყენებთ. არ ვრწყავთ. ახალს მიწის გასასუქებელს ღონისძიებას არ მოვიხმარებთ. გამოფენებს კარგის სოფლის

ნაწარმისას არ ვაწყობთ, როგორც სხვაგან არის. კაცს მკათათეში კიტრი და ლობიო მონატრებია".

მოედანზე მადათოვის რაზმის სიმღერამ იფეთქა და სასახლის მშენებლობაზე მომუშავე რუხმაზარიანი სალდათები გამოჩდნენ.

Буря брани зашумела,
Поскорей, друзья, к ружью,
В чисто поле поспешайте,
Защищать страну сию.
Мы не в ней, хотя, родились,
Она наша — в ней живем,
И ровно, что за отчизну,
За нее, друзья, умрем!

„პორუჩიკი გომოზოვი! მახსოვს, მახსოვს! დუელიანტი, პასიანსის გიჟი და შფოთისთავი!" დაასრულა გაუჩინარებული ფიქრი.

სახე მოეღრუბლა.

„და კიდევ რალაც!"

„ამ საქმეში პირადად არ გამოვჩნდები. ეფრემას, ერმოლოზას, სხვა თანაშემწეთ დავსაქმებ. წერილი, ვითომ, ფოჩტას დაეკარგა და სისხლის სამართლის პალატაში აღმოჩნდება.

ძნელია ქვეყნის გაძღოლა. ყოველთვის სწორად ვერ გაგიგებენ. საკმაოა, ერთი ფეხი დაგიცდეს, მამაზეციერიც ვეღარ გიშველის!

ეს ვინ მოგვეელინა! ჩემს სახლში განისვენებს, ჩემს პურ-ღვინოს შეექცევა, პირს კი მარიდებს. რა მაგის გულში კაცის მტრობა შევა, მის დღეში აღარ გამოვა. ჭავჭავაძეს, ჭილაევსა და სევარსამიძეს გუნდრუკს უკმევს.

ვნახოთ, ძვირფასო დეისტვიტელნო სტატსკი სოვეტნიკო! გუბერნატორად მოგავლინეს, მაგრამ მაინც მიფრთხილდი! ბედი სასტიკად სჯის ჩემს მტრებს!"

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ახალდანიშნულ თბილისის სამოქალაქო გუბრენატორ პიოტრ დამიანოვიჩ ზავილეისკის გულისხმობდა.

თვალი მოხუჭა და ფიქრი განაგრძო. „ისინი მხოლოდ ერთმანეთს ხედავენ, მე კი ყველას ვხედავ, ყველას, ისე, რომ მე ვერავინ მხედავს.

მტკიცე საბუთები გამაჩნია, პიოტრ დამიანოვიჩი მთავრობასა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდებას ლამობს. ხალხს აწუხებს, აღრეულობა სურს. თუ მართალია, რაც ჩემმა კაცებმა მაცნობეს —

თეკლა ბატონიშვილის სახლში საგუშაგოს მოწყობას აპირებსო, ზოგიც მაშინ ნახოს, რა ამბავი ატყდება.

ესაა მართლმადიდებელი ხელმწიფის პატიოსანი სამსახური? ნუთუ, ხელმწიფე ვერ დაინახავს, რომ აქაურ მმართველობას ქართველი უნდა განაგებდეს? ციციანოვიც არ იყო აქ გაზრდილი, მაგრამ თავისი წინაპრებისა მაინც მეტი გაეგებოდა და მასზე უკეთესი ჯერაც არავინ მოსულა.

გული მეუბნება, რომ გენერალ-ოტინფანტერს კავკასიიდან მალე აუკრავენ გუდა-ნაბადსა, ჩურჩულებენ, პეტერბურღში მაგაზედ მწყრალად ბრძანდებიან, აღარ ენდობიანო. რაც ახალ ხელმწიფეს მტერი და ორგული ჰყავს, სულ ამას შემოეხიზნა. აღარავის ერიდებიან. საეკვო საუბრებისათვის მეც ბევრჯერ წამიკრავს ყური.

გრაფის ჩამობრძანება შემთხვევითი არ უნდა იყოს. რაკი მოუსვენარ მოხუცს მთავარსარდლობა ჩამოართვეს, უეჭველია, მთავარმართებლადაც აღარ გააჩერებენ.

ხომ ასე ვუყვარვარ, ხომ ასე დამიახლოვა, მისი მაინც ვერაფერი გამიგია. საბრჩობელები, ხანძრები და იქვე ხელმწიფის მტრებთან ცელქობა“.

მიქაიჩი შეკრთა და, თითქოს, ხმამაღლა წარმოეთქვას, კაბინეტი შეშფოთებით მოათვალიერა. „მერე რა, განა, მეც მათ შორის არა ვარ?!“

„ვინ უწყის, გრაფს, იქნებ, მეც რამედ გამოვადგე. მე ხომ ამდენი რამ ვიცი. საქმე არ მეზარება. ჩემზე საიმედოს ვის ხედავენ?!

რაც თავი მახსოვს, მინდობილობას ერთგულად ვასრულებ.

თუ ქართველი დასჭირდათ, სხვა ვინ გამოადგებათ?

კონსტანტინე მუხრან-ბატონი, სამეფო გვირგვინისთვის რომ იმოსება?

დაუჯერებელია! აღარც კი მალავს პროტექტორატის მეფობაზე რომ ოცნებობს. მის მოქიშპე ბატონიშვილებსაც არ სძინავთ. მეც ცოტა რამ მომეპოვება ერმოლოვთან მის საეკვო ურთიერთობაზე. შემიძლია, ეს ცნობები ფლიგელ-ადიუტანტ პასკევიჩს მივაწვდინო. მაშინ მუხრანის ბატონი გუბერნიის მარშლობასაც დაემშვიდობება. ახალ ხელმწიფეს, ახალ მმართველობას ხელქვეითნიც ახალი დასჭირდება.

კიდევ?

კიდევ ვისზე შეიძლება თვალი შეაჩეროთ?

იქნებ, სენატორი, თავრიზის გმირი „ჰერიჰა?!“ არა! ესეც შეუძლებელია! ფრიად მიხრწნილიც ბრძანდება და ერმოლოველიც გახლავსთ!

საქართველოს უზენაეს პროკურორ ჭილაშვილზე ფიქრიც არა ღირს! იაგორ გავრილიჩი ერმოლოველიცაა, მასონური „მომაკვდავი სფინქსის“ წევრიც ბრძანდება თურმე და საეჭვო სისულელეებიც ჰქონია შეთხზული.

გენერალ-მაიორი ლეონტი სევარსამიძე ხომ არა? იქნებ, გენერალი ივანე აფხაზი?

შესაძლოა, თავადი ბებუთოვი?

ან, ალექსანდრე ჭავჭავაძე?

არა!

არა!

არა!

ისინი გულში ქვეყნის დამქცევ ბაგრატიონთა ერთგულნი დარჩნენ. ერმოლოვსაც ეკურკურებიან. ყოველ მათგანზე რაღაც მომეხსენება, და, რაც უმთავრესია, ყველანი ფრიად სულელნი ბრძანდებიან.

მაშ, ვინღა დარჩა? ვის შეიძლება ენდოს ხელმწიფე, ვის შესწევს ძალა, ემსახუროს ქვეყანას? ბოლო მოუღოს ბოროტმოქმედებებს? ააყვავოს ქალაქი და სოფელი?!“

სახეზე ცხელი სისხლის მოწოლა იგრძნო. თავი დაუმძიმდა. რამდენიმე წუთი მოუნდა, სანამ ფიქრის გაგრძელებას შეძლებდა.

„რა ვქნა, არ ყოფილა მამაჩემი არც თავადი, არც აზნაური!

მაგრამ ორდენი, ბრილიანტის ჯვარი და დიდი პენსიონი ხომ დაიმსახურა!

არაფერია, მოთმინებით უნდა ვზიდო უღელი. ჩემს მტრებსა და მოქიშპეებს თვითონ უნდა დავეხმარო დამხობაში.

თქმულა: წინანი უკან და უკანანი წინო!“

ასეთ სანეტარო ზმანებებში, თითქოს, აქამდე არ არსებულაო, მიქაიჩი ერთბაშად შეარყია უმცროსი ძმის იასეს გახსენებამ.

მაშინვე ოცნებათა ჭერი თავზე ჩამოექცა. ტუჩები გაბოროტებით მოეკუმა. თვალებში სიმწრის ცრემლი ჩაუგუბდა, ნიკაპი აუკანკალდა. არავითარ აღმაფრენას აზრი აღარ ჰქონდა...

ნარიყალაზე ზარბაზნის გასროლამ თბილისს სამი საათის შესრუ-

ლება აუწყა. როგორც ყოველთვის, მიქაიჩმა უბის საათი ამოიღო და მომართა.

წამოდგა. ნელა ამოისუნთქა. ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

„სანამ ეს გიჟი იასე ხელმწიფის მტრებთანაა, არაფერი მეშველება!“

იასე!

ნათესავთა უამური. უემურად გაჩენილი. თავგადაკლული მსმელი და ტოლუმბაში. ბორგენილი და ოჯახის შემარცხვენელი. თვალბედითი და ნირწამხდარი.

მიქაიჩის ფიქრებში ნაფლეთებად ჩაიარა ძმის ცხოვრებამ. ▪ ▪ ▪

ოჯახს არ უნდოდა სამხედრო სამსახურში შესულიყო, მან კი ყური არავის ათხოვა, გვარდიის პროპორშჩიკობას მიაღწია.

აქ, რა თქმა უნდა, შეეძლო კეთილად წაეყვანა საქმე, მაგრამ ერთი ბეწო მიზეზისათვის უფროსს ხელი მოუქნია და მთავარ ჰაუპტვახტში მიაბრძანეს. მეორეთ, შეებულებიდან დაგვიანებისათვის ჩასვეს.

არ გასულა დიდი ხანი, სამხედრო მუნდირი გადააგდო, ქართული ჩოხა ჩაიცვა და ბანაკიდან ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიპარა. ვერ გააღწია ალყას. საზღვრიდან მოაბრუნეს და არმიიდან გააძევეს.

იუკადრისა მამამ. არაფერი დაზოგა. კარგი მორუსულეა. კარგი წერა იცის. შესახედავად ავ თვალს არ დაენახვება. საქართველოს უმაღლესი მმართველობის ექსპედიციაში კოლეჟსკი რეგისტრატორად დაანიშვნინა.

რამდენიმე თვე გასძლო.

ერთ დღეს მიატოვა თვითნებურად სამსახური. გაიყოლა ძმაკაცები — ჭელიძე, ქუთათელაძე და შუა ზამთარში სამეგრელოში გაიქცა ნათესავებთან. იქიდან გურიაში გადავიდა. ბოლოს სათათრეთში გადაიხვეწა.

დაუმეგობრდა ხელმწიფის მოღალატეებს. დაწერა წამქეზებლური ლეკსი იმერეთის აჯანყებულთადმი, რომელშიც მოუწოდებდა, არ დამორჩილებოდნენ მთავრობას.

მოუხდა კონსტანტინოპოლში ჩხუბი თავის ძმაკაცებთან. დაერივნენ ერთმანეთს. მიამსგავსა თავისი ნაწერი მთავარ დადიანის ხელს.

შეთხზა მისი სახელით თაღლითური წერილი. გადმოუგზავნა კავკასიის მმართველობას. ჩაერია მამა. შემოირიგეს. მისცეს სამსახურიდან გადამდგარი კოლეგიის რეგისტრატორობა და დაუწესეს საგანგებო მეთვალყურეობა.

გარდაიცვალა მამა. მოუვიდათ გაყოფაზე დავა. ჰკრა ხანჯალი სიძეს. მიაყენა შეურაცხყოფა და-ძმას. გაექცა სამართალს და გადაიკარგა ლეკეთში.

მიაგნო მიქაიჩმა ძმის კვალს. მიუგზავნა კაცები. დააბრუნეს. მისცეს მცირე რამ სასჯელი. დაამწყვდიეს მეტეხის ციხეში. შეხვდა იქ თავის ძველ მეგობარს — ფრანგს, ტრაქტირის მეპატრონეს ადიეს. მოილაპარაკეს და გაიქცნენ ციხიდან. გაიგო აქ, რომ მთავრობას კარგად გამოეძია დადიანის საქმეზედ მისი თაღლითობა და მიცემულია პასუხისგებაში. დაჰკრა ფეხი და გავარდა ისევ თურქეთში.

„ასე დაღინტილობს დღეს ჩემი მშვენიერი ძმა, იასე ფალავანდიშვილი და მე კიდევ ჩემს იმედს არ ვიშლი! განა, სრულს ჭკუაზედ ვართ ან ის, ან მე?!

ჰხედავთ ბედის დაცინვას? ეს ნიჭი! ეს შრომა! ეს ქვეყნის სიყვარული, ეს სამსახური და ერთ ქეციან მოხელედ უნდა მოვკვდე!

მერმე, ვის გამო უნდა ჩამიშხამდეს ცხოვრება და დამენგრეს გეგმები?! არ სჯობდა, სულ არ გაჩენილიყო? ბოლოს და ბოლოს, განა სულ ერთი არაა, ვინ გეღობება გზაზე, ვინ გიშლის ხელს ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო საქმეში — მუხრან ბატონი, სევარსამიძე თუ ღვიძლი ძმა, იასე ფალავანდიშვილი?!

არა! ეს უარესიც კია! მათ, იცი, რა მოუხერხო, ამასთან კი ვერა გაგიწყვია რა, გზა ვერ გიპოვნია!

აბა, ერთი, მის ფორმულარში ჩახედე! მისი ბრალდებები ნახე! ჰოდა, მაშინ იოცნებე გუბერნატორობაზე!

დადგება, გამოსწორდება თუ რა? მუდამ რაღაც საშინელის ჩამდენია! მის გულს ვერა დააცხრობს რა. ძმა მაგან არ იცის და დაი!

ჩვენი გვარი ახალი გვარია, ფალავანდიშვილობა გუშინ მიგვიღია. საგანგებო მინდობილობათა მოხელედ რომ დამნიშნეს, ჯერ ისევ აზნაური მიქაიჩი ვიყავი. პაპაჩემი გლეხკაცი ყორჩიშვილი გახლდათ!“

ერთიმეორეზე მწარე გახსენებებმა მიქაიჩი ისე დააბეჩავა, რომ

თავისთავი არარაობად, ყოვლად უბადრუკ არსებად წარმოუდგა, რომელიც წინსელაზედ კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ, რაც აქვს, იმის შენარჩუნებაზედ.

უკვირდა, ასეთ უსასოო მდგომარეობაშიც რომ არ შეეძლო ნალოლიავები ოცნების გულიდან ამოგდება. თითქოს, პატრონის დაუკითხავადო, მისი გამოწრთობილი ჰკუა უკიდურეს განსაცდელშიც ეძიებდა გამოსავალს.

„მაგრამ, თუ იასე თურქეთიდან ტახტის წინაშე გულწრფელი მონანიებით დაბრუნდება? თუ ამ საქმეს თვითონ მოვაგვარებ? მაშინ ხელისშემშლელი მიზეზი ჩემს სასარგებლო მიზეზად არ გადაიქცევა? მთავრობას მოაკლდება საძაგელს მტერთან მყოფი ერთი საშიში, ჭკვიანი და გაბედული კაცი.

მერმე, ენდობა მთავრობა ხუთგზის შემორიგებულსა და გაქცეულს?

ასეთს შემთხვევაში, ენდობა თუ არ ენდობა, შემორიგება ფრიად სასარგებლოა და არცერთი მთავრობა ამაზედ უარს არ ამბობს. იქიდან დიდის ზიანის მოტანა შეუძლიან იასეს და დაბრუნებულს კანონი პასუხს არ მოსთხოვს!

კარგი, ვსთქვათ, ხელშეუხებლობის პირობა მივიღეთ. — ამაზე პირადად გავმართავ მთავარმართებელთან მოლაპარაკებას.

იასე?

გვენდობა მერე, მოისურვებს უკან მობრუნებას?

მმართველობასთან პირშავად მყოფი, ოჯახთან პირშავად მყოფი რის იმედით, რა ხალისით უნდა მობრუნდეს?“

მოაგონდა, რომ იასე საშინელ ინტრიგებში იყო გახლართული, კონსტანტინოპოლს გადახვეწილი იმერეთის ბატონიშვილები და დადიანის ერთგულნი დაბეზღებას სწამებდნენ და მოკვლით ემუქრებოდნენ.

უტყუარი ცნობები მოსდიოდა მსტოვრებისაგან, რომლებიც მის ძმას უმეთვალყუროდ წუთით არ ტოვებდნენ.

„მაგრამ, შესაძლოა, იქ დარჩენა მაინც უფრო უსაფრთხოდ ჩათვალოს, ვინემ თბილისში დაბრუნება, რადგან ოსმალოში კერძო პირნი სდევნიან, აქ კი — მთავრობა!“

სავარძლის ზურგს მიყრდნობილი უცებ წამოხტა, და, თვითონაც არ იცოდა რატომ, ფანჯარასთან მიიჭრა.

გომოზოვი! მოედანზე გამოჭიმული ნიჟეგოროდელი მხედარი იქ აღარ დახვდა, მაგრამ მისმა აჩრდილმა ერთხელ კიდევ გაახსენა კანცელარიის ფოსტიდან ამოღებული დასმენა...

„მშვენიერი ანიტა იასეს ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია. თბილისელ მოქალაქის ქალისაგან უკანონოდ შობილი თავად ყარანგოზოვის ასული. წოდებით მოქალაქე, მაგრამ ყველა კეთილშობილზე სათუთად აღზრდილი, მომხიბლავი: უმისოდ იასე ერთ დღესაც ვერ ძლებს. ყველაფერი მისთვის უნდა, არც დაცოლშვილებაზე ფიქრობს, რადგან მის გარეშე არავინ სურს, მაგრამ ანიტა, რომელიც არანაკლებ გატაცებულია ამ სიყვარულით, დაქორწინებაზე უარს არის.

ეს სამი წელია ბალღივით ყოველ სურვილს უსრულებს.

და, აი, იმ საბედისწერო დღეს ხმა დაირხა — ანიტა დრაგუნის პორუჩიკმა დიმა გომოზოვმა გაიტაცა ქალაქიდანო.

იასეს თავზარი დასცა ამ ამბავმა. არასდიდებით არ სურდა დაეჯერებინა, რომ მისი საფიცარი ანიტა თავისის ნებით გაჰყვა სხვას. ჭეშეანა შეაჯერა, მაგრამ მათ ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო. სმასა და ბანქოს მიეძალა. ლაპარაკობდნენ: დანაშაულიც ამიტომ შეემთხვა, ამიტომაც გადაიხვეწაო.

იასეს ოსმალოში გაქცევიდან დიდ დროს არ გაუვლია, რომ ანიტა ყარანგოზოვა და დრაგუნის პორუჩიკი კვლავ თბილისში გამოჩნდნენ, აღარავის ერიდებოდნენ.

ჩემი ძმა ამპარტავანი, შმაგი კაცია. ასეთ კაცებს გული წრფელი აქვთ, მაგრამ ჭკუა აკლიათ. თუ ვინმე შეიყვარეს, განშორება და დაეიწყება აღარ ძალუძთ. სეიდაბადელმა კახპამ კაბის კალთაზე გამოიბა და მის მეტი აღარავინ ვუნდოდით.

მახსოვს, როგორ იტანჯებოდა, როცა მოსტაცეს... მის ხასიათს კარგად ვიცნობ, ახლა, სამშობლოდან გადაკარგული, კიდევ უფრო დიდს სატანჯველშია.

ასეთს საქმეში გულს არ უნდა ავჰყვე, თვითონ არ უნდა გამოვჩნდე. ჩემს ძმას ამბავი ისე მივაწვდინო, რომ მიხვდეს, მხოლოდ ხელმწიფის ერთგულება და სრული დამორჩილება მოუპოვებს ანიტას სიყვარულს.

დიმა გომოზოვი ჩემს კისერზე იყოს!“

ერთბაშად დაბადებულ გეგმას ღრმად ჩამჯდარი თვალებით შეს-

ცინა და, რათა დრო არ დაეკარგა, დაუყოვნებლივ დაიბარა აზნაურის მეუღლე ფეფენო შიოევისა.

— შეიძლება, შემოვიდე?

— შემოდი, შემოდი, ფეფენოჯან! ჩხირი კედელს!

— აქა მშვიდობა! — თითქოს ვილაცას აჯავრებსო, მდაბალი რევერანსით წარუდგა განმარტოებულ ოთახში მომლოდინე, ჩაფუშფუშებული, მარილიანი სახის მანდილოსანი მიქაიჩს.

— დაბრძანდი, ნათლიდედე! რასა იქთ, ხომ კარგა ხართ? — ეფრემა შორიდან მოიკითხა, თუმცა, ერთობ ეჩქარებოდა და ამას ფეფენოც გრძნობდა.

— გმადლობთ, ჩემო მწყალობელო! ვართ ამ საძაგელს პაპანაქებაში, ქალაქიდან ვერ გავსულვართ.

თან, საქმის მოლოდინში, გატრუნული შეჰყურებდა.

— ლამაზ ანიტას იცნობ?

— იმას ვინ არ იცნობს!

— ბოლოს ჟამს როდის გინახავს?

— გუშინწინაც სიონის ბაზართან არა ენახე?

— როგორაა, რა შეგიმჩნევია?

— კუკლუზად გახლამსთ.

— შინ, მისას, ყოფილხარ?

— ბევრჯერ ვყოფილვარ, შენი გულისა, ბევრიც გვიმასლაათნია და დიდი მეგობრებიც გახლავართ.

— ხომ არ იცის, მე რომ მიცნობ?

— არა, აბა, საიდან უნდა იცოდეს! მე, განა, თქვენს სახელს ასე ყველასთან ვახსენებ?

— თუ გაგეგონება, მაგასა და ჩემს ძმას რომ სიყვარული ჰქონიათ?

— ეგ ვის არ გაუგონია, ჩვენო მწყალობელო!

— იასეს სახელი რამეზედ ხომ არ წამოსცდენია?

— არა, განა არ იცით, რო ახლა მაგას სხვა გულისვარდი ჰყავს, ერთი ვინმე შატაბუტა აფიცარი?

— ძლიერ უყვარსთ ერთმანეთი?

— ერთხელ, მაგათთან რო მარტო დავრჩი, ცოტას ცხარეს ლაპარაკს შევასწარი. აფიცარი წინა დღით ავთანდილაანთთან გვიანობამდე დარჩენილიყო.

მიქაიჩმა ამ ცნობას ფიქრი გააყოლა და ერთ ხანს დუმილი ჩამოვარდა.

ფეფენო თვალს არ აშორებდა თავის მფარველს.

— ერთი სათქმელი მაქვს, რომელიც ძლიერ ფრთხილად უნდა შეინახო.

— მიბრძანე, შენი მუხლების ჭირიმე!

— ანიტა როგორმე მარტო უნდა დაიხელო, და, ვითომ სხვათა შორის, იასეზე სიტყვა ჩამოუგდო.

— გავიგე, ჩემო ბატონო!

— უნდა თქვა, რომ ძმა, ე. ი. მე, იასეს ოსმალოდან დაბრუნებისთანავე, აძლევს ორმოც ათას თუმანს, მამისეულს სახლსა და მამულს!

— უიმე!

— დიახ, ეს ასე მოხდება! მიახვედრე, რომ ჩემის დახმარებით და შემწეობით, მთავრობა იასეს ყოველგვარ დანაშაულს აპატიებს, ხელშეუხებლობის სიგელს უბოძებს და სამსახურსაც უწყალობებს.

ფეფენო ცნობისმოყვარეობით, მაგრამ დაბნეული მისჩერებოდა.

— ისეთ დროს უნდა მიხვიდე, როცა ოფიცერი იქ არ იქნება.

— აფიცარს ჩაყლაპა უყვარს, ხან ბილიარტს თამაშობს, ხან სადღაც დაეხეტება.

— ვითომ, სიტყვამ მოიტანაო, ისე უნდა მოჰყვე, რომ ქალაქში ლაპარაკია, დრაგუნი გომოზოვი ავთანდილაანთ ქალსა სთხოვს. მერმე, უნდა დაუმატო, რომ ეს გომოზოვი მთავარმართებელთან ყოფილა დასმენილი სამხედრო ქონების ქურდობაზე.

— უიმე! — ტუჩებზე ორი თითი მიიდო ფეფენომ.

— მერმე, როცა ყოველს ამას შეიტყობს, ერთმანეთს კარგად გაეჩვევით, უნდა ურჩიო, იასეს წერილი მისწეროს, ესე ყოველი შეატყობინოს, ყოველი კეთილი აღუთქვას, თავისთან მოიწვიოს.

— მესმის, ჩემო ხელმწიფევ! — ხმას დაუდაბლა ფეფენომ.

— არავინ გაიგოს, ამაში მე რომ ვურევივარ.

— გაიგონ, თავი სადღა გამოვყო, შე კურთხეულის შვილო, განა ეს პირველი და მეორეა?! შენით არა ვართ, შენით არ გვიდგია სული?!

— შენ, ეფრემამ, ერმოლოზამ, თქვენმა ხალხმა ქალაქს ხმა უნდა

მოჰფინოთ, რო გომოზოვი ავთანდილაანთ ქალზე დანიშნულა, ქურდობაზე დაუსმენიათ და სიმბირი არ ასცდება.

ამ ხმამ დრაგუნისა და ანიტას ყურამდეც უნდა მიაღწიოს.

— მესმის, ჩემო ხელმწიფევ! ანიტას არმაღანით ვეახლები, რაცა გწადია, იმასა იქს.

— ეს ოთხი თუმანი ანიტას არმაღანისთვის, ესეც თქვენი ამხანაგებისათვის!

— არა ღირს ვართ! — ლოყაზე მსუბუქად ხელი შემოიკრა ფეფენომ, რომელსაც სახე ნელა და სქლად ეფაკლებოდა.

— სხვა სამურქაფოც ჩემზედ იყოს. მეტეხის მღვდელს სულხანოვს მალე დაითხოვენ, ეგზარქოსთან უკვე მქონდა ეფრემაზე ლაპარაკი.

— შენს მუხლებს შემოვევლებით! — შეჰღაღადა ფეფენომ.

4

— უი ჩემს თავს! ეგეთი ამპარტავნობა ვითარ იქმნების? მოხველ ჩემთანა და მითხარი, სამის-ოთხის დღით ლოგინის დასადგმელი მიბოძოსო... მყისვე შევსთხოვე უმაღლესსა. ესერა სამნი წელნი სდგეხარ და გეძლევის თვითეულისა თვის თავზე ოცდახუთი რუბლი, სადილი, ვახშამი, ჩაი, ღვინო, იყი, შეშა, წყალი და ყოველივე საცხოვრებელნი. — ტუქსვით ელაპარაკებოდა იონა ხელაშვილი შეწუხებულ სოლომონს, რომლისგანაც წუხელ მოკლე ბარათი მიეღო: „გთხოვ, რათა ინებოთ და გამობრძანდეთ ვასილისა ჭალაკში, მეთერთმეტესა მწკრივსა შინა საქმისა რაისათვისმე“.

— უწყით თქვენ, მზრუნველო მამობრივ, რაითამცა ვართ კაცნი შექმნილნი ზეციერისაგან და არაოდენ პურითა, შეშითა და წყლითა დავრჩებით, არამედ ვითხოვთ მოპყრობასცა ღვთისნიერს.

— ვერ შეგიწყნარებ, ვინათგან ზოგი კაცი მადლს მატლად აქცევს და ღვთის წყალობას ღვთის რისხვად. ხარ დიდისა აზრისა შენს თავსა ზედან, რაიცა არ შეიწყნარების, რამეთუ სჯული ქრისტესი გვასწავებს, ვიყვნეთ მდაბალნი და მორჩილნი.

— არა გამოიკითხავთ რასა და სჯით უსამართლოდ, — მკაცრად მიუგო სოლომონმა, რომელიც, მართალია, საერთოდ, კათალიკოს ანტონის სტილს მისდევდა, მაგრამ ასეთი არქაული ენით მაინც მხო-

ლოდ ძველი დროის კაცს — იონას ელაპარაკებოდა. — მართალს უბნობთ, რომ ვარ დადგენილი თქვენს მიერ ბაგრატთან. მაგრამ რაისთვინ დამიტოვებიეს მე საჭართველო და წამოვსულვარ ესრეთსა შორე. ტაძარსა შინა აღთებულისა სწავლისათა გახლავარ მაძიებელი სიბრძნისა. მჭირდება ჯანის სიმრთელე, ძილი და მოსვენება. სიშორემან გზისამან აქედან უნივერსიტეტამდისინ შემამთხვია ვნება სნეულებითა. სამი თვე ზამთარში ლოგინითგან არ ავმდგარვარ. ამიტომ ჩამოვრჩი სწავლასა. უწყით თქვენ, რამე საქმეში ერთისა დღისა დაკლება წარგიტაცებს მთელსა წელიწადსა. ბატონიშვილმან შემამთხვივნა მე დიდ-ფრიადნი მწუხარებანი.

ამჩნევდა, რომ სულიერი შვილი ძლიერ გამოცვლილიყო, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ იონას თვალებში სიბრალულის ნასახიც არ მოიპოვებოდა.

— უწყია, შვილო? მე ერთი გლახაკი მწირი და მეროჭიკე კაცი ვარ, გულსა ჩემსა არა ესმის ესევითარნი შენნი გულზვიადობანი და ყვედრებანი უფლისა მიმართ.

— კურსის შესრულება ჩემი მომავალს იანვარს იქნების. ვალდებული ვარ ყოველდღე ვიყო უნივერსიტეტსა შინა. წელს ძლიერ ბევრი საგანნი მაქვს, ეგრეთვე, დამამთავრებელი ეგზამენებისთვისაც უნდა ვემზადო და დრო ცოტალა მრჩება.

— ნურც ამას დაივიწყებ, რომელ არ ეშველა ბატონიშვილს ბაგრატს, არ იქნებოდი დღეს სტუდენტი და არც გექნებოდა ეს შენნი ზრუნვანი და საჩივარნი.

— არ არს ბატონიშვილი ბაგრატ მექონი თვისისა სიტყვისა. არც არა გამოუწულვილებია, არცარა უკითხავს. შეველ თუ არა, მეძგერა, ვითარცა ყმასა უკანასკნელსა.

— ნუთმე, ბატონიშვილის ყმობა სათაკილოდ გიჩნს?

— ყოველსა კეთილშობილსა და განათლებულსა გონებასა ლაჩიასთანაც ზრდილობა ჰშვენის, იგი არს სენატორი და ნებასაა? „გამეცალეო!“ — რათ იტყვის ეგეთსა სავნებელსა ლექსსა?

— ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა მოყვასისასა. ესეც გაიხსენე, შვილო ჩემო. თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არა დაელევის. რაისთვინ მიუგებდი მფარველსა და პატრონსა შენსა მწარე-მწარესა სიტყვებსა?

— რაოდენგზის უნებებია შეურაცხება ჩემი და გავყუჩებულ-

ვარ. მაგრამ არა ეგების კაცსა რიგიანსა გაყუჩება და ორაზროვნება, ოდეს ჰხედავს სიმართლესა თვისსასა.

ფიცხად და შემტევად ელაპარაკებოდა შეწუხებული და აღრენილი ჰაბუკი თავის სულიერ მამას.

— ხარ გულფიცხი და ამპარტავანი, ვითარცა ყველანი ჭისიყელნი! — მოთმინება დაეკარგა ბერს. — დაუფიქრდი საქმესა შენსა. ბატონიშვილი და ყოველნი მისეულნი სახლსა მათსა დაბრუნებასა გეაჯიან. ეგრეთი კადნიერება მცირისა დიდთანა სად გაგონილა?

— აბა, რა უნდა დავფიქრდე, როცა არ გეთანხმებით და საჭიროებასა ვერავითარსა ვერ ვხედავ? უნივერსიტეტში მაღალი ცნობანი საჭიროებენ ევროპულისა ენებისა შესწავლასა. რაოდენიმე შემისწავლია და რაოდენიმე, ვითარცა ღისპანური და იტალიანური მაქვს შესწავლილი კერძოობითსა მასწავლებლებთანა.

— ამპარტავნებისათვის შენი და ქვეყნის საქმე უნდა წაახდინო? ხეხილი, რა დაისხამს, ტოტებს დაბლა დაჰხრის. ესე არს ცხოვრება კაცისა და სკოლა სულისა.

— მუშა უფასო მინახავს, უპატიო კი არა.

— ბატონიშვილთან შენს ჩხუბს, მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა. მისგან გამოქცეულს ვინღა შეგივრდომებს?! — ისეთი სასოწარკვეთილი, მწუხარე ხმით აღმოხდა ბერს, რომ სოლომონმა ხმა ვეღარ ამოიღო და სიჩუმემ დაისადგურა.

განა არ იცოდა, რომ ეს თმაგაჩეჩილი, გლახაკად შემოსილი ბერი, რომელსაც მეფე ერეკლესთან, მეფე გიორგისთან, ანტონ კათალიკოსთან უსაუბრია და უსწავლია, პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის აკადემია დაუმთავრებია, ამა სოფლის ყოველი სიხარული უარუყვია, მხოლოდ სარწმუნოებისა და მამულისათვის შეუწირავს თვისი სიცოცხლე, ყველაზე გულითადი მშობელი იყო ამ უცხო მხარეში?!

რვაას ოთხში იონა ფარნაოზ ბატონიშვილს ახლდა მთიულეთს, საიდანაც შეპყრობილი, მასთან ერთად ვორონეჟს, იქიდან პეტერბურგს გამოგზავნეს. ისიც იცოდა, აღთქმულ დრომდე სამშობლოში დაბრუნება რომ არ ეწერა, ხოლო აქედან არას შემწეობას არ დააკლებდა.

— მამობრივ საყვარელო! — რბილად უთხრა სოლომონმა. — გიკადნიერდებით, ვითარცა მოწაფე, რათა მოისმინოთ საბუთნი ჩემ-

ნი და გარდავწყვიტოთ ყოველი საქმე მართლად: იმპერატორის უნივერსიტეტი არის ფრიად მაღალი სასიბრძნო ალაგი. ეგზამენნი წარმოებს ყოველთვის მმართველობასა შინა უნივერსიტეტისა, რომელიცა არს ვასილის ჯალაკსა შინა, მეექვსესა მწკრივსა და ბაგრატის სახლითგან შორს. ჩემთვის უმჯობეს იქნების, ვიცხოვრო იქვე, რათგან მუნ ჰსცხოვრობენ პროფესორნიცა და მეუფროსენიც მათნი.

ბაგრატის სახლსა შინა მე დავსნეულდი შორისა გზით და თუ ესე იქნა უნივერსიტეტში ათი წელი უნდა ვიარო, რათა შეისწავლო ყოველი, რაიცა საჭირო არს.

— მდევნელმან ორისამან ვერცერთი შეიპყრას. რას მოგცემს შენ, შენს სწავლასა ან მამულსა შენსა, ზვავობა ესე. იდია ჩემი მდგომარეობს მისად, თუ ლხინი და ქვეყნის კეთილი გვწადია, ღვთისგან ჭირნიცა შევიწყნაროთა. კაცი ესე ვითარ შესაბრალებელ არს, რომელიც ეკვეთების მაღალსა რასმე საქმესა და ვერ ჰპოვებს ღონესა და დროსა მისდა შესაწევდენელად. იყვნენ შენამდეც და არიან კვლავცა რუსეთს ქართველნი სწავლისმძებნელნი და მოყვარულნი — ბაზლაძე მოზდოკელი, ნაცვლიშვილი გაიოზ, პარმენ წინამძღვრიშვილი, ღირსიაშვილი ადამ.

სოლომონმა თავი მიაბრუნა...

იონა ხელაშვილი მწერალიც იყო, მეცნიერიც, საქართველოსთვის არას დამზოგველი, მაგრამ ქვეყნის ყველაზე დიდ სამსახურად ნიჭიერი, მცოდნე, გულმხურვალე ახალგაზრდა მამულიშვილების გამოზრდა უჩნდა, რისთვისაც სიცოცხლესაც არ დაიშურებდა.

— საყვარელო მამობრივ! შემოგფიცავთ, რომ ყოველი შრომა თქვენი და წარსაგებელი ჩემზედა, რანიცა დათესილან და იქმნებიან დათესილ, ყოველნივე კეთილად მოიმკიან და არა ბოროტად წარხდებიან. ჰეშმარიტებით ირწმუნეთ, რომელ სახელის დადება თქვენი ჩემზედა, უკუნითი უკუნისამდის იქმნების ხსენებულ ქვეყანას ზედა და უმეტეს ცათა შინა.

— ღმერთსა და მამულზე ვინც ფიქრობს, შვილო ჩემო, ის არაოდეს თვის პირადობაზედ და ამქვეყნიურს ამპარტავნობაზედ არ იზრუნვებს.

იონა აკვირდებოდა შვილობილის ავადმყოფურ სახეს და რწმუნდებოდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა.

„ამან სძლია ყველა გარემოებანი. — ფიქრობდა ის. — რასაც

სხვანი უძლეველად ხადიან. სცადა ის, რისი ცდაც სხვა ქართველთ ძლიერ ერიდებათ და ვერა ბედვენ. აძლევს კეთილს მაგალითს თანამემამულეთა. ამას გაეგება, რომ ამიერითგან, თუ არა სწავლა-განათლებით, ჩვენს მამულს აღარაფრით მიეცემა შება-სიკეთე. თვინიერ მეცნიერებისა, დღეს ყოველი არს ამაო და ძველი ქართველი ვეღარას გააწყობს. გააბედვინა ესე ყოველი მდგომარეობამ მამულისამ და სიყვარულმა.

ეწაფება ცოდნას, არა დაუტევებს ბიბლიოტეკებს, ლექციებს, სხვათა და სხვათა მოხსენებათა, ჟურნალ-გაზეთებსა, თეატრსა. შეისწავლა ენები ევროპიელთა. აქებენ ფრიად რექტორი ანტონ დეგუროვი, პროფესორნი პავსკი, ტოლმაჩოვი, ბოგოლუბოვი, ბუტირსკი და სხვანი".

ბერს ანაფორის გულის ჯიბეში ედო ქიზიყიდან მიღებული წერილი ივანე დოდაშვილისა, რომელიც სწერდა: „ჩემს მაგიერ თქვენ მზრუნველობთ ჩემს შვილს სოლომონზედა. რასაც სოლომონი მწერს თქვენგან მოწყალებას, მე როგორ შემიძლია, რომ გადაგიხადოთ!"

პასუხად იონამ, პირიქით, მშობლებს მისწერა მადლობა ასეთის შვილის აღზრდისათვის.

იონა ხელაშვილს წუწურაქს ეძახდნენ. მართლაც, ძნელად თუ ვინმე გააგდებინებდა ხელიდან გროშს. კაპიკს კაპიკზე აწებებდა, არ იცვამდა, არ იხურავდა, გლახაკად ცხოვრობდა. და თუ რასმე იშოვნიდა, მხოლოდ საქართველოსთვის იმეტებდა. ვინ იცის, მამულს სად და რაში დასჭირდებოდა ეს დანაზოგი. ცოდნას მოწყურებულ ყველა ქართველს იმედი უნდა ჰქონოდა მისი დახმარებისა, ოღონდაც დარწმუნებულიყო, სიმწრით ნაშოვნი წყალში არ გადაიყრებოდა. სოლომონსაც ხომ მისი წყალობით ედგა სული.

— მესმა, დიაცი უცხო ვინმე გაგიცვნიეს. — საყვედურით წარმოთქვა ბერმა.

სოლომონი შეიშმუშნა.

— აქ, პეტერბურღში არა დაიმალება რა.

— მეგობარია!—უმანკო გამომეტყველებით თქვა სოლომონმა და სიწითლე მოერია. — დიახ მიამება იმისი ნახვა, სხვათა ქალთა, განრთობილთა, არა ჰგავს, ცოდნის შეძენასა და თავის ქვეყანაზედ იწვის.

— თვალი და გული გვაცთუნებს, სოლომონ, გონებას უნდა დავეკითხოთ. სოლომონმა ფიქრად გაივლო: „გეძლევს, მერე, გული ნებასა, რომ გონებას დაეკითხოთ?!“

— გაქვს საქმენი ფიცხელი, არათუ ქალებთან სადმე განერთო.

რადგან სოლომონმა ეს საყვედურიც უპასუხოდ დატოვა, იონამ უფრო გაგულისებით მიახალა:

— გთხოვე, ახლის გასაღებისა გადაწერა და დამიგვიანე.

— თქვენც ისერე უსამართლოდ წარმოსთქვამთ, ვითარცა ბატონიშვილი ბაგრატი. —აღელდა სოლომონი,—ახლისა გასაღებისათვის ორი დღეა რაც წარმოგიგზავნეთ და ბრძანებთ სიზარმაცესა ჩემსა, რომლისა დამტკიცებასა არარასმე ვიხილავ. არა გაქვთ მიზეზი ესევითარისა უსაფუძვლო, უკიდურესისა მეტყველებისათვის. სიმართლე ჩემი მაძლევს გაბედვასა მოგიგოთ მტკიცედ, რამეთუ სიტყვანი თქვენი ტყუილ არიან.

შეშფოთებულ ბერს ვერ მოესაზრებინა, თვისის სულიერი შვილისთვის რა პასუხი მიეცა.

სოლომონს დაძაბულობისაგან სახის ნაკვთები უკრთოდა და ძალას იკრებდა, ზედმეტი არა დასცდენოდა რა. ხან, ეჩვენებოდა, რომ პეტერბურგში მყოფ მეორე ბერთან, ფილადელფოსთან, რომელთანაც სიღნაღიდან მეგობრობდა, მეტ სულიერ ნათესაობას ჰპოვებდა და იონა მის გადაღლილობას, სნეულობას, ათას საქმის გამოდევნებას ანგარიშს არ უწევდა. ხან ერთ, ხან მეორე პროფესორთან კვირაში ორჯერ-სამჯერ რომ უნდა ევლო რამდენიმე საათით სამეცადინოდ.

უცებ, გაახსენდა, რომ ამ პროფესორებს, იონა უხდიდა გასამრჯელოს და წყნარად გაეღიმა თავის განუსჯელ სიფიცხეზე.

იონა კი ფიქრობდა: „სოლომონი არს სულით ტალანტებიან, მდაბალ და მშვიდ, ზნეობითა პატიოსან და ხარაკტერებითა ნიშატიანი. აღთქმათა შინა და სიტყვათა მტკიცე, უტყუვილ ღვთის მსახურებათა შინა. განკრძალულ სწაელათა შინა, სამღვდელოთა და ერისა მოყვარე, მამულისა სამსახურისა მოსურნე, მყუდრო ცხოვრებისა მოყვარე, მსგავსად მემხოლოეთა. მცირეთა მეტყველ, მრავალთა კეთილთა სიტყვათა მსმენელ, საჭმელითა მცირითა კმაყოფილი, სამთრუალო სასმელთა არცლა მამგონებელ, კნინისა ძილის მექონი, წიგნებსა შინა განრთულ, დროისა არ დამკარგველი, ყოვლისა სი-

ტყვისა და საქმის მარჯვედ განმსჯელი, მომავლის საქმეთა კეთილგულისხმიერად გამჩხრეკი, მთავრობისა და მასწავლებელთაგან შეყვარებული, ესე ვითარი მამულისა შვილი, ჭური სიბრძნისა. რომელი ბრძენი არა შეიყვარებს მას, რომელსაც სიბრძნის თაფლი მოსწვეთს ბაგეთაგან და შრომისა მანანა თითებისაგან“.

— ღმერთისაგან შენ იშვი სწავლათათვის და ნურცა ოდეს გადახვალ ამა შენისა გზისაგან. — უთხრა ბოლოს.

— არაოდეს, მამობრივ საყვარელო! ვეწევი შრომასა უნივერსიტეტისა საგნებზედ და ვასრულებ პირველს ნაწილს ფილოსოფიისას — „ლოგიკას“. — და, შეგიდგინე არზა ესე ანა დედოფალთან „ლოგიკის“ გამოცემაზედ.

„უმაღლესო დედოფალო ანნა!
უმოწყალესო ხელმწიფევ!

ვინაითგან ყოველთა მთხზველთა აქვსთ ჩვეულება ევროპასა შინა წინა პირველუწყებად უმაღლესთა პირთადმი, გავბედავ თქვენს წინაშე სასარგებლოდ მამულისა შვილთა იქმნების თხზულება ფილოსოფიისა, რომელთაგან აწ დაიბეჭდების პირველი ნაწილი „ლოგიკა“, ვითარცა ქართულად, ეგრეთვე როსიულადაც; ჩემ მიერ თხზული...

უმაღლესო დედოფალო, უკეთუ ინებებთ ტიტულითა თქვენისა უმაღლესობისა სახელით დაიბეჭდოს...“ — იდეასა შინა ჩემსა თქვენ ხართ ბრწყინვალე სანთლად წინაშე ღმრთისა! — აღფრთოვანებით გადაეხვია სოლომონი სულიერ მოძღვარს.

როცა საქმე მეცნიერებას შეეხებოდა, კერძოდ, მის მიერ დაწერილ „ლოგიკას“, ყოველგვარი უსიამოვნება ერთბაშად ავიწყდებოდა. იმერეთის დედოფალს ანნას, რომელიც პეტერბურგს იყო გადმოსახლებული და იონა თავის სახლში ჰყავდა შეფარებული, შეეძლო, დიდი დახმარება გაეწია წიგნის გამოცემაში.

— მიდი ბატონიშვილთან, ყმაწვილი ხარ, არც ბოდიში გინდა, არც ვიზიტი, შეუდექ შენსა საქმესა ისე, ვითომც, არაფერი მომხდარიყოს. ხე ფესვითა და ადამიანი მოყვასითა თვისითა. ბაგრატ განათლებული და ფრიად ღვთისმოშიშია, დიდად დაგვიმადლებს ამისათვის.

სოლომონს გული ყელში მოებჯინა.

ლეიბჰუსართა ყაზარმებს ქვემოთ, შეუკაზმავი ცხენები ჰიხვინით ჩარბოდნენ არხის ნაპირზე დასარწყულებლად.

სოლომონი ახლა მხოლოდ იანინაზე ფიქრობდა.

5

სოლომონ დოდაშვილის დღიურიდან
პეტერბურღს, 10-ს აპრილს, 1827 წლისა.

გუშინ, შაბათს, მამა იონამ მიმიწვია ანნა იმერეთის დედოფლისას, სადაც მოვისმინე წირვა და იქედან წავედით ფონტანკაზე, ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომელმანც ვახშმად დაგვპატიჟა. დაგვხვდნენ იქ თამარ, ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილნი, დიმიტრი ორბელიანი, ელიზბარ და გიორგი ერისთავნი, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ბერი ფილადელფოსი და მოურავი სახლისა იარალი შანშიაშვილი.

ვინაითგან ბატონიშვილი ფარნაოზ, რომელიცა დავითის განსვენებისა შემდგომ, აქ საქართველოს საქმეებს განაგებს, მეუღლითა და ასულებითურთ ცარსკოე სელოს წარბრძანებულიყვნენ, საჩქაროს შემთხვეულობაზედ, სანთლებით გაჩირაღდნებულს დარბაზში ნარდსა და საუბარს შევექცეოდით.

მე და იონა რომ შევედით, მყოფნი ღირსებით მოვიკითხეთ და კუთხეში დავსხედით. ოქროპირსა და ყმაწვილ კაცთ მასლაათი ჰქონდათ ღეოღრაფიაზედ. ბატონიშვილი ამბობდა, ჩრდილოეთში არს ქალაქი კოლა, სადაც წელიწადში მზე რვა დღე არ ჩავაო.

— ამერიკაში ყოფილა ერთი კლდე, სიმაღლით ოცდაათი საჟენი, რომლის წვერიდამ აღმოსჩქეფს საოცარი მდინარე და, რა გადმოვარდების ესოდენსა სიმაღლესა, გარეშემო მიწა ირყევა და მდინარის დაცემით საზარელნი ხმანი გამოიცემიან.

ამას ნიაგარისა ჩანჩქერზედ იტყოდა იარალი. ყველას ეწადა, ეთქვა რამ საკვირველი.

— გასულს კვირას მოვისმინე უცხო რამ მუზიკა მოცარტისა.— სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა. —

უკეთესი მისის „სოფლის შექმნისა“ და „იქმნას ნათელი“ აღარა ითქმის რა.

— მომწონს მეც დიდად, მაგრამ საქებარ არს „ფრეიშიცა“ ეებერისა, რომელიცა მოკვდა ოცდათვრამეტისა წლისა. — წარმოსთქვა უმაწვილურის აღტაცებით დიმიტრი ორბელიანმან, ძემან თეკლა ბატონიშვილისა.

— მომისმენია „სილევერსკის ცირულნიკი“ როსინისა და უმჯობესი არა იქმნება. — მიუგო ელიზბარმა.

— ხერუბინი? მისი „მწყამს ერთი ღმერთი“, „და ევნო, და დაეფლა, და აღსდგა მესამე დღესა საფლავით?“ — მუზიკისა მცოდნენი იტყვიან, რომ არს უმჯობეს ყოველთა. — თქვა ოქროპირმა.

— ეღირსება ჩვენს მამულს ეგევითარი ევროპული მუზიკა და მხატვრობა, სკოლა და თეატრი, უნივერსიტეტი და წიგნთ საბეჭდავი? — მწარედ ჩაილაპარაკა გიორგი ერისთავმან.

— არღარა ვგონებ! — იმისავე ხმით მიუგო ალექსანდრე ჩოლოყაშვილმან. — ქვეყანა მორყვნილია სიღარიბისა და უცოდინარობისგან. არავინ იცის, ვითარ და ანუ სადით ისარგებლოს სახსრითა.

— ფაბრიკები და გზები გვინდა! — ფიცხლად წარმოთქვა დიმიტრი ორბელიანმან.

— საიდან? — გაეცინა ოქროპირ ბატონიშვილს. — მაშინ უნდა ეზრუნათ, სანამ საქართველო ჯერ კიდევ საქართველო იყო.

— რათამცა ერისა ჩვენისა ხმანი განდიდნეს და დაწყვდიადებულნი რკინოვანთა საუკუნეებითა შინა ავაზაკთა სპარსთაგან, ბალანგარა თურქთაგან, მეკობართა ლეკთაგან და გარემოთა უბიბლიატეკო თემთაგან! — ჩააბულბულა მამა იონამ.

— ვაქირელო, გამაგებინე, რას უბნობ! — ხუმრობით შემოსწყრა იარალი. — შენც ლეკი ხომ არა ხარ, ვერა გამაგებინო რა!

— ჩვენს თავს დავაბრალოთ! — ამოიკვნესა ოქროპირმა. — ცხენს მისივე ფეხები იპარავს.

— ერეკლეს ავად ნუ ვიხსენიებთ! იმას არ დასცალდა, რომ თვითონ მოესპო შინაგანი ვეშაპები და შებორკილს ცხოვრებას ხელფეხი გაეხსნოდა წარმატებისათვის!

— იმას არც ავად გადაუწყვეტია! მეფე ჩვენი უნდა გვყოლოდა და კანონიც ჩვენი. — თქვა ელიზბარმა.

კარგა ხანს ასე მასლაათობდნენ, მაგრამ დიმიტრი ბატონიშვილს

სიტყვა არ დაუძრავს. პირველი შეხედვისთანავე ვიგრძენი, რომ უგუნებოდ ბრძანდებოდა. უმისოდ კი რა განსჯა უნდა ყოფილიყო. თითქმის ყოველ უქმე დღე მასთანა ვარ და ახალი რამ არ გავიგო, არ იქნება. ყველაფერს აზვიადებს, საზარელ უიმედობასა და სასოწარკვეთილებას გაწვეთებს სულში. თან ისე მწარეცაა, ეშმაკს რო ლანძღავდეს, ანგელოსს დაეწვება გული, მაგრამ მაინც რომ ასე საინტერესოა?!

რა არ მსმენია მასზე — ავადმყოფი და მეთავისეაო. უქმური შეჰყრიაო, საკუთარი ცოფი აბოროტებსო. ბატონიშვილობა რომ არ ჩამოერთმიათ, პირველი კაენი ეგ იქნებოდაო. სამხედრო სამსახურში უნდოდა შესვლა, ნაცვლად, საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაგზავნეს, ისიც მეთორმეტე კლასით. იუკადრისა, სამსახური კოლეჯსკი ასესორის ჩინით მიატოვა. ერეკლეს შვილისშვილს „ბატონიშვილის“ ნაცვლად, „ბრწყინვალე თავადის“ ტიტული შეაჩეჩეს. მამამისის, იულონის, ბოღმა არ ასვენებსო...

არ ვუწყი ესენი, მაგრამ ქართველთა შორის მე უფრო განათლებულსა ვერავისა ვხედავ. მებრალების, რომ სნეულია ფრიად და ვიცი თავად, რა მძიმე არს ეს. არაა ჯერ ოცდაექვსისა წლისა და რაოდენი რამ იცის. მისდევს ფრანგულს თავისუფლებასა.

— ნეტავ, ისეთი რა ცოდვა მიუძღვის ჩვენებს, რომ სასჯელად ეს მძიმე გვერგო? — ამოიოხრა ელიზბარმა.

— შენს წინაპრებს ჰკითხე. — გაეცინა ოქროპირს. — სულ ერისთავების ბრალია.

— გამოძიება შორს წაგვიყვანს, ბატონიშვილო!

— ქართველები ველური, გაუნათლებელი ხალხია, მეფე არა ჰყავთ! — პირველად დააღო პირი და მშვიდად, მაგრამ თავისის მწარის კილოთი წარმოთქვა დიმიტრი ბატონიშვილმა.

დედაენა არ იცის, ამისთანა მწარე სიტყვებს სხვა ენაზედ წარმოსთქვამს და ისრეთ გგონია, სხვა მოდგმის კაცი გლანძღავს.

ამგვარს განსჯებში ჩარევა ფრიად არ მესიამოვნება, მაგრამ გული მტკივა და ვეღარ მოვითმინე.

— ბატონიშვილო, რისთვის ინებებთ მაგის თქმას? ვაჟკაცობაში ქართველნი ნაქებნი არიან და უყვართ მამულიცა.

— მაინც რის მაქნისი ვართ? — შემომიტია დიმიტრიმ.

— ვართ მშვიდობიანნი, წყნარნი, უფროსთა მორჩილნი, ნათე-

საობის მიმდევნი, მოსიყვარულენი, გამტანნი, შემწენი, პურადნი, შემწყნარებელნი! — აღელდა მამა იოანე.

— ჰა, ჰა, ჰა! — ჰომერიულად გადაიხარხარა ბატონიშვილმა. — ქართველები მხდალნი და გაიძვერები ხართ! ვირეშმაკნი! ამიტომაც გავიწროებენ. მაშ, რატომ პოლონელთ არ ავიწროებენ ასე?

— ძმობის ნაცვლად ყმობა — ეს ვითხოვეთ? —წამოენთო ელიზბარი.

— ვინ იცის, ამა სოფლისა ხვალეს რა მოაქვს? — თქვა იარალიმ.

— განა რას მოელით? თქვენს მამულს მკვდრის სუდარას აფარებენ, თავაშვებულება და გარყვნილება, სხვა რაღა!

— მართალს არ ბრძანებს? — გამოესარჩლა ელიზბარი. — ხელი ვეღარ გაგვინძრევია.

— უწინდელს საქართველოს სამართალში მომჩივანიცა და მოპასუხეც კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო. პირსაც აკოცებდნენ ერთმანეთს, საქმის გარჩევაც ორს დღეს არ გადაშორდებოდა. ახლა?!

— ჩვენი საზოგადოება არს მკვდარი. ვჰსცხოვრობთ უსაგნოდ. დავეხეტებით უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა. არ მიჰხედავენ სირცხვილსა. — თქვა ელიზბარმა.

— ეს არ გახლამსთ ბუნებითი თვისება ქართველთა! — შეაწყვეტინა მამა იონამ.

— ჰაი, გიდი! ალა-ალა ვინ იძახა და მწყერი ვინ დაიჭირა! — წამოიძახა ოქროპირმა. — დავითისა და თამარის ქვეყანა ამ ყბედი შუხრან-ბატონისა და ვაჭრუკა მიქაიჩ-ფალავანდოვის ხელთ არ ჩავარდა?!

— რა კაცებს აბარებენ ხალხის ბედსა და საქმეს?!

— კონსტანტინე მუხრანსკი საქართველოს მეფობაზე ფიქრობდეს და კანონიერ ბატონიშვილებს საფლავს უთხრიდეს?!

— ქვეყანა იქცეოდა, მელას ქორწილი ჰქონდაო, ემაგ ფალავანდოვებზე არ თქმულა?

— გააოხრეს ქვეყანა სიტყვითა, საქმითა და მრავლის მოტყუებითა.

დიმიტრი ბატონიშვილს თვალს არ ვაშორებდი. ისეთ მწარე სიტყვებს გვკადრებდა, ისე მიწაში გვდებდა, გამომეტყველება კი სულ

სხვა ჰქონდა, ცრემლი სდიოდა და ვერ მალავდა, რომ შვებას ჰგვრიდა ეს ცრემლი.

სამწუხარო ფიქრი მიპყრობდა, უსასოობა ხელს მრევდა და ცრემლნი მეცა გარდმომცევდა უნებლივ. მსიამოვნებდა ამათთან ყოფნა. ყველა ისე ლაპარაკობდა, როგორც გრძნობდა და ფიქრობდა. ერთმანეთის წინააღმდეგაც უბნობდნენ, მაგრამ ცნობისმოყვარეობით და მოწიწებით უსმენდნენ ერთურთს.

— მოგეხედოს მოწყალებითა ღმერთმან! — ღაღადისით თქვა ფილადელფოსმა.

— მთაში ამბობენ: ღამე ბნელი სჯობს სავალად, თუ ვაჟკაც გულიანია. — მიუგო ელიზბარმა.

ძველი ამბების გახსენება გვიჭირდა და არ გვესიამოვნებოდა. დიმიტრი ბატონიშვილმა სიტყვა ჩამოაგდო მხატვრობაზე, რომელიც ძლიერ უყვარს, კარგადაც გაეგება და მცირე კოლექციაც შეუძენია. გატაცებით მეტყველებდა რაფაელის „მადონაზე“, „რომის დაწვაზე“, „დღე-ღამის გაყრაზე“, მიქელანჯელოს „ჯვარცმაზე“.

— როგორ გგონიათ, — მომიბრუნდა მე, — გეყოლებათ ქართველებს ესევითარნი მხატვარნი?

— გვეყოლება! — ისე მივუგე, ვითარცა მის ქარაგმულ ლაპარაკს მოუხდებოდა.

— ამბობენ, თქვენს უნივერსიტეტში ურწმუნო პროფესორებიაო.

— პეტერბურგის უნივერსიტეტი ფრიად მაღალი საბრძნო ალაგია. — სიტყვა ჩამოართვა მამა იონამ.

— უფალი დოდაევი ყველა ქართველზე უკეთ ფლობს რუსულს ენას. — განაცხადა დიმიტრიმ. — მშვენივრად უთარგმნია ქართულითგან რუსულად „ფარშევანგი“, რომელიც შარშან დაიბეჭდა. საკუთარი სტატიებიცა და ლექსებიც მომისმენია, რუსულად დაწერილნი და ჟურნალებში დასტამბულნი.

— გაეცანი აქ ბევრი ჩინებული რუსი პოეტი და მწერალი, რომელთაცა იცნობს მთელი ქვეყნიერება, მათ მთხოვეს, დავსწერო წერილი ივერიასა ზედან ევროპის ჟურნალებისათვის. ერთი მათგანი ეხლა ლონდონიდან მწერს ავთრათსა და აღმითქვამს შემწეობასა.

ამან განაცხოველნა დამსწრენი.

— ვითარ მოგწონთ გაზეთი ერმოლოვისა „ტფილისისა უწყებანი"? — მკითხა ოქროპირ ბატონიშვილმა.

— აქვს ნაკლოვანება მრავალი, არა მსახურებს ხალხსა და ქვეყანასა.

— რა უნდა გამოხვიდეთ, უფალო დოდაშვილო? — მომმართა უცებ დიმიტრი ორბელიანმან, რომელიც პირველად ვნახე აქ.

— თუ გამოცდებს დამაკმაყოფილებლად ჩავაბარებ, გამოვალ კანდიდატის ან ნამდვილის სტუდენტის ხარისხით.

— დასცადა ჰავამ პეტრეს ქალაქისამ, დაუზიანა ფილტვები და ხშირად აცდენს ლექციებს. — მწუხარის ხმით მიუგო მამა იონამ.

ან სიტყვაზედ წამოდგა სავარძლიდან ბატონიშვილი თამარ, ასული იულონისა, დაი დიმიტრი ბატონიშვილისა, გახსნა მთიხვისა ჩანთა, ამოიღო ტარსიკონის ყდაში ჩასმული ახალი შრომა კანტისა, გერმანულს ენაზედ და მომიძღვნა თავისის წარწერითა.

არ დამავიწყდების არაოდეს სათნოება მშვენიერისა ამ ასულისა, რომელიც ოცის წლისა ყოფილა ფრეილინა იმპერატრიცისა, არს ეხლა სნეული და ოცდაათისა წლისა ამაოდ მიიჩნევს ყოველსა ამა-სოფლიურსა დიდებასა და უყვარს ივერია, ყოველსა ზედან.

— როგორ არა გრცხვენიათ, ასე რომ გავიწროებენ! — თქვა თვისის მწარის ენით დიმიტრიმ. — მხდალნი ხართ და ნუღა ლაპარაკობთ!

— რას უბნობთ, ბატონიშვილო? — გაცხარდა ფილადელფოსი,— ვის არ უყვარს მამული თვისი და არ გამოიდებს მისთვისცა თავს!

— ქართველობა ვიღას რათ უნდა, ქართველობისათვის ვიღასა სცხელა! ფლიდობთ და მეტი არაფერი!

ხომ კარგად ვიცნობ დიმიტრის, მაგრამ ზოგჯერ ვერ გამიგია, გულდამწვრობით ლაპარაკობს ასე, თუ სასოება წარკვეთია და მთელი ქვეყანა შესძაგებია!

— საქართველოს ჰყოფს კავკასიონის მთები და ნუთუ არა უწყიან, რომ ვერ იქნება მათგან სამუდამოდ დამოკიდებულ! — შესძახა ელიზბარმა.

— აღვენთოთ მამულისა სიყვარულით! — დიმიტრის ჯიბრზე თქვა ალექსანდრემ.

— სხვა დროა, დღეს სწავლითა და განათლებით უნდა დავაწი-

ნაუროთ მამული ჩვენი. მერმე, დრომ უნდა გააერთოს და აღადგინოს ის.

— ფილადელფოს, წაგვიკითხე შენი შეთხზული „იერემიას გოდება, ივერიის აწინდელის მდგომარეობისა გამო!“ — სთხოვა გიორგიმ.

ბერმა წაიკითხა თავისის ნაპერწკლიანის ხმით და ააღელვა ყველანი.

— ჩვენს ბატონიშვილებს თათრის ხანებს ეძახიან! — დაუმატა ფილადელფოსმა. — ამას ვითხოვდით?

— ვინღა აღარ მოითბო ჩვენზე ხელი! — თქვა გიორგიმ.

— ნუთუ ერისთავნიც ვეღარა გრძნობთ ძმური ხელის სითბოს? განა შენმა მამა-პაპამ არ გადმოგვაგდო აქ?

— ჩვენ თვითონ გადმოვყარეთ ერთმანეთი!

— ცხვარი ვის კარზედაც დაიბღავლებს, იმისია! გაფრინდა, წავიდა! დიდხანს ვიხარშებოდით ცოდვის ქვაბში! ვნახოთ, ვინძლო, ბედის გამოცდამ მოგვიტანოს კეთილი.

— გიორგი მეფეზე ავს ნუ იტყვით. იმას ქვეყნის მიცემა არ უწერია. აი, არტიკული 2: „ძე მეფისა გიორგისა დავით მიიღებს ტიტულსა „გამგე საქართველოისა“ და გარდავალს ასე შთამომავლობიდან შთამომავლობაზე“.

— ყველაფერი დაღუპა ბატონიშვილთა კინკლაობამ. აღა მაჰმად ხან ვერ მოგვერეოდა.

— ვიცით, ვინ, როგორ და ვისი პირით მოიწვია აღა მაჰმად ხან. ჯოხიანი და უჯოხო სულ ჩვენ საწყალს მამულზედ წამოეიდა.

— მეფემ პეტერბურღს სანდო პირი არ გამოგზავნა. ელჩებმა ქაღალდები შესცვალეს, მეფე მოწამლეს.

— მამაჩემმა მფარველობა ითხოვა.

— საქართველო მეტოქეობამ დაამხო.

— კნორინგი ჩვენს ელჩებს აქეთკენ გზას არ აძლევდა.

— რას წუწუნებთ, ჩრდილოეთის შევარდენმა გადაგაფარაო ძლიერი ფრთები.

— კი, თავიდან მოვიშორეთ სახელმწიფო ზრუნვა და საომარი დარდი!

— შეერთებული ძალით უნდა გვეომა. ბევრჯერ ავუოხრები

ვართ, მაგრამ არც ჩვენს კარზე მოსულ მტერს დასდგომია კარგი დღე.

— როგორც იქნა, ჭაპან-წყვეტით მივაღწიეთ მეთვრამეტე საუკუნემდე. გამოგველია სიცოცხლის ძალა. მარტო აღა მაჰმად ხანის იარებს ერთი საუკუნე ვერ მოაშუშებს! მეტი რა ღონე გვქონდა?!

— დასაწყნარებლად საქმეთა და აღრეულობათა კმარა რუსნი და ტრაქტატი მეფისა.

— რად გვინდოდა, ჩვენ ვერ მოვერეოდით?

— მეფეს დავეხსნათ, მისი განსჯა ღვთის ნებაა, ერთზე რომ ათი მოდიოდეს და შინაც გამყიდველი გყავდეს, სად გინახამთ?

— რისხვა ღვთისა ჩვენზედა მოვლენილის ხმა საიდუმლო არა გსმენიათ? — დაცინვით ბრძანა იარალიმ. — „აქამდის იცოცხლეთ, კმარა გეყოფათ, აიყარენით!“

დიმიტრი უხმოდ იღიმებოდა.

— ნეტა ესეოდენი მასხრობა რათ გეჯირს ქართველთა? — გაბრაზდა ფილადელფოსი.

— ბერო ფილადელფოს, ილოცე, რომ მეფედ დავჯდე და არხიეთ გაკურთხო! — მიაძახა ოქროპირ ბატონიშვილმა.

— ვერ მოგატყუებთ, ბატონიშვილო, რომ ჩემს ლოცვას ეგოდენი ძალა გააჩნდეს.

ამაზედ ყველას გაეცინა და ბატონიშვილს, რომელსაც ცოლად რუსის ღრაფის ასული ჰყავს, ყოველთა ქართველთა შორის უმდიდრეს მილიონერად ითვლება და ყოველი ქართველი ღირსეულსა პატივს მიაგებს, ეწყინა და ასე უთხრა:

— იმერელო, განა მართლა ლოცვაზე გითხარი. ჯერ არს აღანთო მამულის სიყვარული, ხალხს გული გაუხუროთ, თორემ ცივი თონე განა პურს ჩაიკრავს! არ იცი, რომ ბაგრატიონთ მეფეთ შთამომავლობა არის მეფისა დავითისაგან?

ამისათვის ინებებს იმპერატორი, რომელ ბაგრატიონთა გვარი მოუშლელ იდგეს ძველსა ადგილსა თვისსა. საქართველო მფარველობით მიურთმევიათ და არა დათრგუნვით.

— ვიკმაროთ, სულ სიამოვნება და ბედნიერება იყოს, — ირონიულად თქვა დიმიტრიმ. — მადლი უფლისა გადმოვიდა ჩვენზედა და მოსვენებით ვართ.

— ქართლი და კახეთი ერთი მცირე სათავადოა, როგორიცა

ღრაფ შერემეტიევსაცა ჰყავს ეგოდენი ყმა და აქვს ეგოდენივე მამული, — თქვა იარალიმ.

— ეს იმიტომ, რომ საქართველო არს დაძიძგნილი ნაწილ-ნაწილ მეფის ალექსანდრეს უგუნურებითა. — თქვა ელიზბარმა.

— უნდა შევერთხორცდეთ! — დავიყვირე მე.

— წებოთი მიკრული დიდხანს არ დადგების! — მომიგო ალექსანდრემ.

— ჩვენ თუ კიდევ რამ ღონე შეგვრჩენია, სულ სწავლასა და იკონომიას უნდა მოვახმაროთ, — თქვა მამა იონამ. — რუსეთით მამული ჩვენი ევროპას დაუახლოვდა. ომმან თორმეტისამან ქართველნი და რუსნი ფრიად დააახლოვა. დიდად ენდობიან ქართველთ. ამისათვის ამ ათის წლის წინათ უარი უთხრეს ბატონიშვილს დავითს ტრაქტატის აღდგენაზედ, და გადაჰყვა კიდეც ღრაფის არახჩეევის საყვედურსა. საქართველო დრომ და სწავლამ უნდა გააერთოს.

— მაღალღირსო მამაო, მონაზონო! ეს როდითგან შედგომიხართ მეფეთა საქმის გამოძიებას? — განრისხდა ბატონიშვილი ოქროპირ.

— ესეც გაჭირვებამ მოიტანა, ბატონიშვილო!

— ჩუმად. შე კუტრო! — თითი დაუქნია იარალიმ. —რაც იმერლებთან გადახველ, განა ჭკუითგანაც უნდა გადადგე?

— მოვედინ, შვილნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფლისა გასწაოთ თქვენ!

— ტყუილა არ ამბობენ, ქისიყელს რო უთქომს, ღმერთი დაბერებულა, წავალ, გამოვცვლიო, — დასძინა ოქროპირმა.

— თქვენ ეგ ბერი, იცით, რა უცოდველია? — აღარ მოეშვა იარალი. — საღამომდინ არა დგებოდა ლოგინითგანა. იმერლებსა ავათ ჰგონებიათ, ჰოდა, წურბელი უნდა დაესხათ. აუშლიათ საბანი დიდის სიფრთხილითა და სამი ცარიელი ვოდკის ბუთილკა არ უნახამთ ქვეშაგებშია?!

იწყეს ერთობლივ ხარხარი და ოხუნჯობა ბერზე, რომელსაც უწყინარი ღიმი გადასდიოდა სახეზე.

— გილოტინას ხო გადაურჩით და რაღა გინდათ?

— იმერელი, ქისიყელი, მეგრელი! გაერთხორცებაზედაც კი ბევრსა რიტორებთ. — დაეკარგა მოთმინება.

— ღირსო მამაო, მღვდელმოძღვარო და სულიერო სულისა წმიდისაო იონა! ეგ როგორ ყოფილა, ბატონიშვილის თეიმურაზისას

რო იდექ, სახლში ღვარი შეუგდე, ავეჯი და ბიბლიოთეკა გაუოხრე და იმერლებთან მოსცოცხე? ჩემის თავისთვის სოგრატ ამაშუკელის ნაზირობა რაღათ გიმჯობინებია!

ექვს საათზედ მობრძანდა ბატონიშვილი ფარნაოზ ცარსკოე სელოთგან, მეუღლე მისი ანნა, ასულნი სალომე და ელენა, ბატონიშვილები ანასტასია და რიფსიმე — დედა იქ მყოფის ალექსანდრე ჩოლოყაშვილისა და დავსხედით ვახშმად. მოუმატეს სანთლებს, გაგვიშალეს სუფრა მეფური, ვილხენდით, ვზეიმობდით და განვაგრძელებდით უბნობასა სხვა და სხვათა საგანთა ზედან.

— დიახ, კინაღამ ხელმწიფის საბრძანებელი სულ არ დაირღვა. — გულფიცხობდა ჩოლოყაშვილი, რომელიც ავსტრიის იმპერატორის გრენადერთა პოლკის პოდპორუჩიკათაა. — თუ თოთხმეტს დეკემბერს მეამბოხენი არსენალთან მივიდოდნენ და არა სენატთან, უეჭველად გაიმარჯვებდნენ. მაშინ ბრბოც იარაღს მოჰკიდებდა ხელს და ვაიუშველებელი მოხდებოდა.

რვაას ოცში სემიონოვის პოლკში რომ ვმსახურობდი, საქმე უფრო დალაგებით გავაწყეთ, მაგრამ ცოტა ვიყავით და რა გამოვიდოდა.

— გვარდიის ეკიპაჟს უნდა დაეწყო ხიშტით იერიში.

— ერთობ სათნო და სამართლიანი საქმე გახლდათ.

— ვიცნობდი კარგად პესტელს, — თქვა ალექსანდრემ, — საქართველოს ბედზეც ბევრჯერ გვქონია საუბარი. მათ მფლობელთ დაუბრუნდებათ და ახლის რუსეთის შემადგენლობაში ავტონომია მიეცემაო.

— თოკითა და ჯაჭვით ხელ-ფეხის შეკვრა შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება სულთა შეკავშირება.

— ეს მხეცური ჩამოხრჩობა რომ მომაგონდება, ისეთ გუნებაზე ვდგები, მინდა ხელმწიფეს ხმალი ვკრა, როცა ის ნევის პროსპექტზე დასეირნობს! — წასჩურჩულა ალექსანდრემ ელიზბარ ერისთავს.

— ეკატერინა ბიბიკოვას საქმე რომ მითხრეს, ძილი დამეკარგა. თვალთაგან არ მშორდება, როგორ ეხვეოდა სიკვდილის წინ თავის ძმას — მურავიოვ-აპოსტოლს. მის მუხლებზედ გული რომ წასვლია, და ძმას უთქვამს: „მზე ამოვა და აღარ ვიქნებიო“.

— ჩამოგვეხსნან, ჩვენ ხომ მეტი არა გვინდა რა!

— დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადნეთ! — ასწია სასმისი ოქროპირ ბატონიშვილმა.

ამაზედ აღმოვუტევე მე ოხვრა გულისაგან ჩემისა.

მაგონდებოდა ის საზარელი დილა, ოდეს კრუპსკისა და იანინასთან ერთად, ამა გმირთა ჩამოხრჩობის ამბავს ვისმენდით, რილეევის წერილს ვიწერდით და მხურვალის გულით ფიცს წარმოვსთქვამდით.

ელიზბარი და გიორგი სიმწრის ცრემლებს იწმენდდნენ.

— ჰიასაც რომ ფეხი დაადგა, ისიც ხმას ამოიღებს!

— ჩემი გვარი სიკეთეს ვერ დააყრის საქართველოს. — გვეუბნებოდა დიმიტრი ახალგაზრდებს. — ის დრო აღარაა. ჩვენს ქვეყანას ფრანგული თავისუფლება უნდა, რესპუბლიკა, თავისუფალი კრაკოვის წესზე არჩევნები. მონარქიამ დრო მოჭამა.

„ღმერთო, რამდენი რამ იცის! — ვფიქრობდი მე. — სხვებისა რა ვთქვა, თავიანთ ტახტსა და ყმებზე მეტსა ზრუნავენ, მაგრამ დიმიტრი ეგოისტი არაა. დღეს თუ ხვალ, ჭლექი მზეს დაუბნელებს, ის კი მამულსა და ხალხზე ზრუნავს. ხალხზე!“

— რადიშჩევის „მოგზაურობა“ წაგიკითხავთ?—მომიბრუნდა მე. უხმოდ მივაჩერდი.

— გირჩევთ წაიკითხოთ, გლეხებზეა!

დესერტად ნახევარ-ნახევარი მტევანი ყურძენი შემოგვიტანეს. ჩვენ, მხიარულებით, თითოს კუმპალს მივუკითხავდით ერთმანეთსა და ვიცინოდით, რადგან ამ დროს კახეთის ზვრებში ყურძენი მთებადა ჰყრია.

მომაგონდა მაღარო, დედ-მამა, და-ძმა, სახლეულნი ჩემნი... ამოვიოხრე, მაგრმ ეს ამოოხვრა აქ არავის შეუმჩნევია.

— ცარიელ სახლს მგლით სავსე სახლი მირჩევნია!—თავისთავს ირწმუნებდა მამა იონა. — ღვთის ნებაზედ ჩვენ რა შეგვიძლია! ქვეყანა მოშენდეს, ქარხნებს აღაშენებენ, სასწავლებელთ გააწყობენ, ხელოსნობათა საქმეთა ვისწავებთ და ავჰღორძინდებით!

— სხვა ზმნობა არს სასარგებლოდ მამულისა! — თავისი ძლიერი ხელი მხარზე დაჰკრა ფილადელფოსმა.

სთხოვეს თამარ ბატონიშვილს დაეკრა ფორტეპიანოზედ ლისტი, რომელიც არს დიდს მოდაში. მოვიდა ფერმიხდილისა და დაღონებულის სახით, კოჭლობითა, რათგან ფეხი მოეყინა, იყო სნეულად ფრიად და დაკარგა საძრისი მარჯვენა ფეხისა.

გადაიწერა სასოებით პირჯვარი და იწყო დაკვრად, რომლისა მსგავსი მე არაფერი მსმენია. უკრავდა და იმღეროდა სირინოზისა ხმითა და მიიტაცებდა გულსა ჩემსა ზეცისაკენ, სადაც მიისწრაფვიან ყოველნი ფიქრნი და სურვილნი ჩემნი.

შევჰყურებდი ასულსა უგანათლებულესსა, ნაშთსა ივერიის დიდებისასა, რომელიც დამყუდროებულის სულით მიდის გზასა ცხოვრებისასა, და თვალნი აღმევსენ ცრემლითა. შევჰყურებდი ყოველთა იქ მყოფთა კეთილმოწიწებითა და ვჰფიქრობდი, რომ არა ჰგავდნენ ისინი თანამემამულეთა ჩვენთა სიბნელესა შინა დარჩომილთა. არცა მუხრანბატონსა და ფალავანდოვსა, რომელთაცა ცნობა მაქვს. მიყვარს ყოფნა ამგვარს განათლებულს ხალხთან.

მორჩა რა დაკვრას ბატონიშვილი თამარ, წამოდგა ცრემლმორეული ელიზბარ და შესძახა:

— ბატონიშვილის სადღეგრძელო იყოს! — ავარდა შამფანურისა საცობი და შიშინით აივსო ბოკლები. — ღმერთმან ინებოს თქვენი დიდება!

შევსვით ყველამ. ვერ დალია შამფანსკი იარალიმ და თქვა:

— კახურისა კუპრის სუნიც მიამება! — და დასცალა ყანწი, საესე კარდენახულითა.

ნისლიანმა, მაგრამ მშვენიერმა საღამომ გამოგვიწოდა განათებულს ეზოში, სადაცა შადრევნები სჩქეფდნენ.

ვფიქრობდი იმ წუთს: მიყვარს პეტერბურგი, მიყვარს უზრუნველობა, სიჭაბუკისა დაუდევნელობა და მარადის მხიარულებისათვის მზადყოფნა, ვირწმუნებოდი, რომ უყვართ მათაცა მამული ჩვენი, კითარცა ჰეშმარიტთა ძეთა მამულისათა.

საღამოზე ჩირაღდანიც იყო. ვიმხიარულეთ, დრო გავატარეთ და როცა ქუჩაში გამოველ და მარტო დავრჩი, მაშინ კი ათასი აზრი და დარდი მომეძალა. თავი და ბოლო ვეღარ გამერჩია, ვის და როგორ უყვარდა მამული ჩვენი. ვის როგორ ესმოდა ქვეყნის ბედ-იღბალი. ვინ რა გზას რჩეობდა. ჯერ ოცდაათი წელიც არ გასულიყო და ისიც აღარ ახსოვდათ, როგორ დატრიალებულიყო ქვეყნის საქმეები. ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი.

ხან ერთის ნათქვამი ჩამესმოდა: „დრომ, მხოლოდ დრომ უნდა აღადგინოს საქართველო!“ ხან მეორესი: „ვისწავლოთ, ხელოსნობათა საქმე შემოვიღოთ და ავჰღორძინდებით!“

ხან მესამესი: „ჭიას რომ ფეხი დაადგა, ისიც კი ხმას ამოიღებს!“

მოვდიოდი ასე, შეწუხებულის გულით, სივრცეში თვალმიპყრობილი და ვფიქრობდი: „აი იქ, სამხრეთით, მთებია. მთებს იქით ისევ მთები, და სადღაც, იმ მთებში, ჩემი მამული, რომელსაც შველა სჭირდება!“

სული და გული ჩემი არს თქვენთან!

მაქვს სასოება და იმედი ღვთისა.

6

როცა მოახლე გოგოსთან ერთად, ბოგირით სოლოლაკის ხევზე გავიდა და ბაზრის ქუჩას შეუდგა, ფეფენოს ყველაფერი მოსაზრებული და მომზადებული ჰქონდა. მოდაზედ ნაოჭასხმულ თეთრ კაბაში გამოწყობილი, კმაყოფილებით ფიქრობდა მიქაიჩის დავალებაზე და ხარბად იჭერდა ფაშფაშა ქალების მოყვარულ მამაკაცთა მზერას.

ჩამავალი მზე ჯადოსნურად აელვარებდა მტკვრის ნაპირზე მიჰიჰქნილ კალოუბანს. ერთი-ერთმანეთს მიჰკვროდნენ შეფერადებული ქარვასლები, ხალხით სავსე დუქნები და ქულბაქები, მიჯრით მიწყობილი ბანიანი სახლები, რომლებზედაც ისეთივე გაცხოველებული მოძრაობა იყო, როგორც ქუჩაში.

ავლაბრის ხიდი რომ გადაიარა და აღმართს შეუდგა, ფეფენომ დაკვირვებით გახედა მეტეხის თეთრ კედლებს, პირჯვარი გამოისახა და შორიდანვე დაუწყო თვალიერება კლდეზე განმარტოებით გადმოკიდებულ აივნიან სახლს.

— კნიაჟნას ვახლავართ! — ჩვეული რევერანსით მიესალმა შესაგებებლად გამოსულ მომხიბვლელ ანიტას, როცა მისმა მოსამსახურემ სადარბაზოს რიკულებიანი კარი გაუღო და საკმევლის ნელი სურნელით გაჟღენთილ, მდიდრულად მორთულ სასტუმროში შეუძღვა.

— მობრძანდით, ფეფენო, შენი ჭირიმე! ასე რატომ დაგვივიწყე?

— ღმერთსაც დავიწყნია, Ma chére შენი დამვიწყებელი!

როცა მოახლემ ფეფენოს მოსვლა შეატყობინა, ტანწვრილი და ყარყარა ანიტა მტკვარზე გადაკიდული აივნის კუთხეში პარიზიდან

მიღებულ ჟორჟ ზანდის ახალ რომანს კითხულობდა და ოცნებებში გართულ სახეზე სევდის ჩრდილები დაჰფენოდა.

ჩვეულებრივი ურთიერთმოკითხვის შემდეგ, ფეფენო ტილოგადაკრულ რბილ სკამზე ჩამოჯდა, თეთრის დიბის ხელჩანთა გახსნა, ვერცხლის ავანი და ავანდასტა ამოიღო, დიასახლისს, თითქოს, სხვათა შორისო, პატარა მაგიდაზე წინ დაუწყო, ნიკაპქვეშ მსუბუქად შესკვნილი თავსაფარი შეიხსნა და ღიმილით უთხრა:

— ჩემო მზეთუნახავო, პეტერბურღიდან უცხო რამ მეშლაპე მადამა ჩამოსულა, იგეთ კარგსა და პატიოსან ქუდებსა კერამს, უკეთესი არა ნახულა რა. მუხრანიანთ მიუწვევიათ და არავის აგებინებენ. როგორც მადათოვის ქალის პირისფარეშისაგან გამიგია, ამ მეშლაპის ქმარი ახალ ტრახტირში ჩუმად იღებს შეკვეთებს.

— ჩემს გულში მჯდარხარ, რომ მაგ ახალი მოდის შლაპას ვეძებ და ვერ მიმიგნია.

— მუხრანიანთ თუ რამე ხელთ იგდეს, ვინღა მისწვდება!

— მერმე, სად ვნახო მე ის მეშლაპე?

— უი, დამიდგა თვალები! შენ რათ უნდა ნახო, მე თვითონ მოგგვრი, როცა მიბრძანებ.

— ასეც შეიძლება?

— მაშ, არადა თბილისში რა დაიმალება, შენ შემოგევლე! ცხვირს ვერ დააცემინებ, რომ მთელმა ქალაქმა არ შეიტყოს. მახსოვს, მთელ ტფილისში ერთი ცაკანას მეტი მეეტლე რომ არ იშოებოდა, ქალები ერთმანეთს რო ეტურტურებოდნენ: „უი, ქა, გაგონილა, ოთარის ცოლს ქოშები გაუხდია, და ბაშმაკები ჩაუცვამს!— მერე რაო, ბაშმაკები რო ჩაუცვამს?—ისა, შვილო, რო დღეს ქოშები გაიხადა, ხვალ სხვასაც გაიხდის“!

ანიტას ნაღვლიან სახეზე ღიმილმა გაითამაშა და სტუმარს თვალი მისტაცა.

ჯერ, წელამდე გადაგდებულ, მაჯისისხო, ოქროს კილიტებითა და ფირუზ თელებით შემკული თმისატანებით აბრწყინებულ, წაბლისფერ ნაწნავებს ჩააყოლა მზერა, ბადახშნის ლალის საყურეებით დამშვენებულ, მოვარდისფრო ყურის ბიბილოებს მიაშტერდა. ღიაქარვისფერ, პატარა, ოვალურ სახეზე იდუმალებით მოცულ უხილავ წერტილებს თვალი მოარიდა და მწყაზარ ყელზე მოლივლივე მინანქრებითა და მკრთომიარე მარგალიტებით გაწყობილ უცხო რამ

ყელსაბამს მიაცეცდა. თითქოს, პირველად ხედავსო, აცბუნებდა იგავადქცეული ქალის ნათლით მოსილი შუბლი, ლამაზად აპრეხილი ხშირი წამწამები, სწორი, პატარა ცხვირი.

„არაფერი დანანებია იმ დალოცვილ ღმერთსა, შურით გაიფიქრა, და იმისი ამაყი, მაგრამ სათნოებით სავსე გამოხედვით შემკრთალმა, ისეთი რიდი იგრძნო, რომ საკუთარ ხმას ვეღარ მიაგნო საუბრის გასაგრძელებლად, სანამ, აქ მოსვლის მიზეზის გახსენებაზე, გონს არ მოეგო და ამგვარი დაბნეულობისთვის თავისთავი არ დატუქსა.

— ქალაქში ახალ ამბავს რა გამოლევს, შენი მუხლების ჭირიმე! ამას წინათ თქვეს, პრისტავს ხუშტუკები შეჰყრია, ნოდარისშვილის კნეინასთან მიუსწრიათო. განა ქალი გაწყდა?!

ფეფენომ ანიტას მოწყენილობა დაატყო და გადაწყვიტა, პირდაპირ ეთქვა.

— რა დასაჯერია, ჩემო ხელმწიფავ, გუშინღამ მესხიანთა ისიც გავიგონე, ვითომ, დრაგუნის აფიცარი ავთანდილაანთ ქალსა სთხოვსო.

ფეფენოს არ გამოჰპარვია, რომ ამ სიტყვებზე ანიტა ოდნავ შეკრთა და სახე შეეფაკლა.

— ტყუილი იქნება, ავთანდილაანთ რა აბადიათ, ჩემო სინათლევ, რომ ამისთანა კაცის გული მიიზიდონ, ქალიც, ბეერი ვერაფერი შვილია.

ანიტა ბავშვივით წითლდებოდა. რამდენჯერმე კიდეც სცადა, რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, რათა თავისი აფორიაქება არ გაემჟღავნებინა.

— რათ დაჰფიქრდი შენი ჭირიმე, ეს ავი ხმა ხომ ჩვენს დრაგუნის აფიცარზედ არ იქნება!

გულში ამბობდა: „შენზე გონიერი მეორე არ მეგულვება—კარგად მოგეხსენება, ასეთი ლაპარაკი უმიზეზოდ არ ატყდება და, სულ უმიზეზოც რომ იყოს, გატეხილ ჭოთანს, მაინც ვეღარა გაამთელებს რა“!

ანიტას, თუმცა ააღელვა ამ ამბავმა, თავისთვის დიდი ძალის დატანება არ დასჭირვებია პირადი ღირსების შესანარჩუნებლად. ჭორი რომ მთლად უმიზეზოდ არ დაირხეოდა, ეს კარგად იცოდა. შინიდან იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ გუშინ კარამაზ მელიქოვის ქარ-

ცასლაში სრულიად შემთხვევით, თვითონაც ჩაეწვეთა ყურში ეგ ხმა. რაკი ქალაქის პირველი ჰორიკანაც ადასტურებს, ჩანს, სიმართლესთან ახლოსააო, დაასკვნა და გადაწყვიტა, ყველაფერი გულისყურით მოესმინა.

— ჩვენს დრაგუნის აფიცარზედ, გულო, სხვა ლაპარაკია. ვითომც. მაგას და ორს კიდევ სხვასა, ხაზინის ქონება გაეტაცნოთ, ღუბერნატორთან დაებეზღებინოთ და სიმბირი ელოდეთ.

— გულს ნუ მიხეთქავ, ძალო! — არცთუ ისე დამშვიდებული ხმით წარმოთქვა ანიტამ.

— ჰო, ჩემმა მზემ, ასე ლაპარაკობენ.

— მერე, ეს ლაპარაკი რას უნდა ნიშნავდეს? — სასოწარკვეთილებით ჩაილაპარაკა ახალგაზრდა ქალმა.

— ეჰ, შე დალოცვილო, რა კარგს უნდა ნიშნავდეს?

„რა საშინელებაა! — ფიქრობდა ამ ცნობებით გაოგნებული ანიტა. — შეიძლება გამოძიებაც დაიწყონ და კიდეც დამკითხონ! შეიძლება ამ სახლშიც ინახებოდეს რაღაც საეჭვო. ნუთუ, ეს წარმოსადგენია? ნუთუ მე არაფერს მეტყოდა ან თვითონ რამე საშიშარს ვერ ვიგრძნობდი?

— დახე, შენი ჭირიმე, ქვეყნის ოხრობასა! ღმერთმა ნუ ინებოს, თორემ, დაიხვევენ ხელზე და დავიდარაბას ბოლო არ ექნება. — ჩამოვარდნილ დუმილში მოხერხებულად ჩაურთო ფეფენომ.

„რა მეშველება? მალე მთელი ქალაქი შეიტყობს ამ ამბავს. თვითონ, მეორე კვირაა, არ გამკარებია“.

— შენ რა, გენაცვალე, ჭირს ნუ დაუწვები, თორემ უფრო დაგაწვება.

— მე რა შუაში ვარ? — კოპები შეჰკრა ანიტამ.

— ქა, მერე ვინ გეუბნება, შუაში ხარო? — ნაძალადევად გაიცინა ფეფენომ.

— სხვა რა ისმის, ძალო? — ერთხელ კიდევ სცადა ანიტამ თავის დამორჩილება.

— უკეთესი რა უნდა ისმოდეს, გენაცვალე, ამბობენ, მიქაიჩი ორმოც ათას თუმანს, სახლსა და მამულს აძლევს ძმასო! — უთხრა ფეფენომ.

ანიტა ისე შეაშფოთა ამ ამბავმა და ფეფენოს კისკისმა, რომ მღელვარების დასაფარავად, თავი ჩაღუნა.

სტუმარმაც სიჩუმე ამჯობინა. მხოლოდ ხანდისხან, ქვეშ-ქვეშ გააპარებდა თვალს მისკენ და მაღალი მკერდის მოძრაობაზე რწმუნდებოდა, როგორ უთრთოდა გული.

იასე ახლა მისგან ძალიან შორს იყო, მაგრამ მისი გახსენება წინანდებურად სულსა და ხორცს სწვავდა. ან კი როგორ სძლებს უმისოდ? რა ხანია, სხვა თაყვანისმცემელი ჰყავს, შეეჩვია კიდეც ამ მდგომარეობას, მაგრამ ის ფიქრი, რომ იასე უმისოდ სძლებს, სიცოცხლეს უწამლავდა: „რად დამივიწყა ასე იოლად! როგორ გამიმეტა!“

უბრალო, გულითადი ხასიათით პირველი შეხედვისთანავე დაეუფლა მთელ მის არსებას. შარბათით დატბორილი თვალებით დაიმონა. მე ხომ ბავშვობიდან მატყუვებდა მართლის გულით მოფერება, ალერსიანი სიტყვა. საიდან ამოდიოდა ის ყინულის გამალხვობელი ხმა! სად პოულობდა იმ ჯადოსნურ სიტყვებს! ჩუმი, მუდამ დაბნეული იასე! მის მცხუნვარე მკერდში პირველი ჩაკონება! მისი პირველი მოფერება! ტუჩებში დაწაფება! ახლაც მძაფრად გრძნობდა წელზე შემოჭდობილ მის ხელებს! მისი ღონიერი მკლავების მოხვევნას! ვნებათა ალმურს!

მკაცრი, მიუკარებელი იყო და ჩუმი ალერსით მოულბო გული. „ჩემო თვალციმციმაო“, ჩამჩურჩულებდა... რამდენჯერ დასთენებიათ ციურ ალერსში. რამდენჯერ დაცემულა მუხლებზე, ნეტარების ბანგით და წმინდა ცრემლებით დაულბია ჩემი სხეული. არა, ამ ფრანგულ რომანებშიაც არ იპოვება ასეთი სიყვარული! ეს ჩვენ ვიყავით, მხოლოდ ჩვენ—მე და ის, ერთად ეს იყო ჩვენი სიყვარული, მიუწვდომელთან ზიარება! სარწმუნოება! ერთხელ, მთელი ღამის ბედნიერების ცრემლთაფრქვევის შემდეგ, კინაღამ ხელში ჩააკვდა.

ისე როგორ მოვიდოდა, ძვირფასი, სადედუფლო რამ საჩუქარი არ მოერთმია. არა, ანიტა კი არაფერს სთხოვდა, ანიტას არაფერი აკლდა, მაგრამ არც უარს ეუბნებოდა, რადგან გრძნობდა, ამით თვით იასეს ანიჭებდა სიხარულს.

მოულოდნელი განშორების ღამეც ხომ თავდავიწყებული იყო და ვინ იფიქრებდა, რაც მეორე დღეს უნდა მომხდარიყო.

„ეჭვიანობამ და უზომო ზვიადობამ დაგვაშორა ერთმანეთს. გატაცებული ვიყავი დრაგუნით, მაგრამ თვითონ რომ ხელი არ ჰკრა, დავსძლევდი ამ გრძნობას. ხომ ვხედავდი, დასაკარგავად არ ვემე-

ტებოდი. მე და დრაგუნს შუა სიყვარული ჯერ კიდევ არ განახლებულიყო და ვერ მივმხვდარვარ, რისთვის მიწყრებოდა. სხვა მიჯნურებისგან განმარტებებს არც არასოდეს ვითხოვ და ვერც მათგან თავისმართლებას ვიტან.

შორიდან თვალს არ ვაშორებ და ვხედავ, თვითონაც არ დაეუკარგივარ, ჩემს შემდეგ არავის გაჰკარებია. მოწყენილი, ყარიბი, უგზო-უკვლოდ დაეხეტება. ნაცვლად ხატისა, უბეში ჩემი სურათი უდევს".

— უი, ქა! კინაღამ დამავიწყდა: ხმა დადის, იასეს ხელმწიფის ღალატი აპატიესო.

— ძალო, შენ ყველაფერი აგრე იოლი გგონია?

— ხმა დადის, გენაცვალე, თორემ მე მათთან ცხვირს ვინ შემაყოფინებს. იმის ძმა ხელმწიფის მსახურია და, არ უნდაო, ამბობენ, მისი ჯიგარი სათათრეთში იმალებოდეს, და რუსების მტრად ირიცხებოდეს. თქვენი მადლი არ გამიწყრეს, კნიაჟნა, თვითონვე აღუთქვამს, თურმე, გაქცეულ ძმას, მთავრობას პატიების სიგელს მოვაცემინებო.

— იქნებ, შემოტყუება სწადიანთ!

— ამას როგორ იკადრებენ! — წამოიკივლა ფეფენომ. — ცალი გვერდი ნათლიისა აქვს ნათლიას, იასე კი ღვიძლი ძმაა. მემკვიდრეობასაც აძლევს და ხელუხლებლობის სიგელსაც. არ უნდა, ცხრა მთას იქით ეშმაკს ჩააბაროს სული. თქვენც იცით, იასე რა თარაქამა ვინმეა. სათათრეთშიც მტრები გასჩენია და ეშინიათ და-ძმებს, ემანდ არ მოჰკლანო. — ხმას დაუდაბლა ფეფენომ.

— დაუჯერებს მერე?

— ზალიკა ყორღანოვის გაგზავნა განუზრახავთ იასესთან ჩუმად, ძლიერ ჰყვარებია იასეს, მაგრამ ენდობა ამისთანა საქმეში თავის მსახურს?

ანიტამ ალღო აართვა ფეფენოს სტუმრობის მიზანს, როგორც ყველაფერში, ამ ამბავშიც განგების ნება ივულისხმა, ამიტომ მორჩილი ღიმილით უსმენდა, მაგრამ, რაკი ფეფენოს ქალაქში ჰორიკანა და ავყურა მანდილოსნის სახელი ჰქონდა, ოჯახებში შინაურივით შედიოდა, დალალობდა, ფულს სართით ასესხებდა, შენთან შენი იყო და სხვასთან სხვისი, გულის ნადებს არ უმხელდა.

ფეფენო თავის ჰროღა თვალებს არ აშორებდა და ბოღმა ახრჩობდა, ამ ოხერტიალს სიტყვა ვერ დავაცდენინეო.

პასუხის ნაცვლად, ანიტა ფიქრს წაეღო. დრაგუნთან კავშირის უნეტარეს წუთებშიც ბევრჯერ დაუჭერია თავისთავი, რომ იასეს გულიდან ამოგდება არ შეეძლო. რაც ახლა გაიგონა, ყველაფერი ეს მის წარმოსახვაში დიდი ხანია მწიფდებოდა და, ღვთის განგებით, უსათუოდ უნდა ახდენილიყო.

იყო დღეები, როცა იასე განუწყვეტლივ თვალწინ ედგა და მასზე ზრუნვის მოთხოვნილება მოსვენებას უკარგავდა, სად იყო, რას შვრებოდა იმ წუთში, ახსოვდა თუ არა თავისი ანიტა?! რაც მათ შორის მოხდა და რაც იასეს თავს დატრიალდა, ყველაფერს მათი უბედობის ნიშნად თვლიდა. ძმა მტარვალივით მოექცა. დამ და სიძემ დასაღუპავად გაიმეტეს. მთავრობასთან დააბეზღეს, რათა მდიდარი მამის მემკვიდრეობა მათ დარჩენოდათ. შუაკაცები მოისყიდეს. შარში გაჰხვიეს. ჩირქი მოსცხეს. დის მკვლელობის ცდა დააბრალეს. ათასი რამ დასწამეს. ვითომ, დასმენაზე სხვის მაგივრად ხელს აწერსო. სამსახურიდან გამოაგდებინეს. მამული მიატოვებინეს, ხელმწიფის მოღალატედ გახადეს. „საბრალო ია შურითაა დაქცეული“! — დაასკვნა და შეკრთა, რომ გულში ისევ „ია“ უწოდა. მოფერებითმა სახელმა ისევ მძაფრად აგრძნობინა გულისა და სულის ნათესაობა და თავის თავიც მასთან ერთად დაღუპული წარმოიდგინა.

წარმოსახვამ ცხადზე ათასჯერ მეტად განაცდევინა მისი დამბანგველი ხმა, თონესავით მცხუნვარე მკერდში ჩაკონება, მათრობელა კოცნა, თავდავიწყებული ალერსი და ნეტარების ქვითინი.

ნუთუ, ცხრამთას იქით უნდა დაიღუპოს?! ნუთუ, ვეღარასოდეს უნდა ვიხილო?!

ვნებით, სიბრალულითა და სიყვარულით გულმა ძალუმად დაუწყო ძგერა.

— რას იტყვი, დაუჯერებს ზალიკო ყორღანოვს? — თითქოს შორიდან მოესმა ფეფენოს ხმა.

აზრმიუცემლად მიაჩერდა სტუმრის ცბიერად მოჭუტულ თვალს, გულში დაუარა გამგმირავმა ეჭვმა — საწყალი იასეს წინააღმდეგ ჩემს გამოყენებას ხომ არ ლამობენო, და, რათა მოჯარული განცდისა და ფიქრისგან თავი დაეღწია, ხელი წამოავლო შავის ხავერდის

ძაფისაგან ნაქარგ მწიფე შინდისფერ ხალათს და სასტუმროდან მეუყვსეულად გავარდა. არ გაუვლია დიდ დროს, რომ მოახლემ ვერცხლის სინებითა და ლამბაქებით ჩაი, დაბრაწული ნაზუქები, ვარდის მურაბა შემოიტანა და ფეფენოს წინ ტაბლაზე გადაფენილ ლურჯ სუფრაზე გააწყო.

— მიირთვით, ძალო! — თავაზიანად უთხრა მალევე შემობრუნებულმა ანიტამ ფეფენოს, რომლის ჩასაფრებულ მზერას, მიუხედავად დიასახლისის მხიარული კილოსი, მხედველობიდან არ გამოჰპარვია ქალის ნამტირალევი თვალები.

ჩაი რომ მოხვრიპა და ერთი ნაჭერი ნაზუქი შეატანა, ფეფენომ ისევ გაიმეორა უპასუხოდ დარჩენილი კითხვა:

— ენდობა, ვითომ, იასე მსახურს?

— სუ, სუ, ძალო, ნუღა მოვიგონებთ იმ ამბებს! — მუდარით უთხრა ანიტამ და, გაღებულ ფანჯარას მიადგა, სადაც, ბლონდის ფარდებს მიღმა, ადრეული შემოდგომის თბილ წვიმას წყნარად გაუდიოდა ჟუჟუნი.

აღმოსავლეთით მტკვრის ნაპირი მთლიანად მოჩანდა ნავთლუღამდე. მტკვარგაღმა, თვალისმომჭრელად ბზინავდა აბანოთა ჭრელი გუმბათები. შუქჩრდილებით დაფენილ ეზოში, შორიდან, თულუხჩის ხმა მოისმოდა. მეზობელ ქუჩაში კურტანიან მუშას, რომელსაც უღილო, ჭუჭყიანი შარვალი და დაფლეთილი ხალათი ეცვა, ვეება კარადა წამოეკიდნა. ფლიგელის კედელს იქით, ხის ქოშების კაკუნით ხიდისკენ ჩადრიანი თათრის ქალი მიიჩქაროდა. იქვე, მეზობელ სახლში, გაქონილ ქაღალდს ფანჯრის მინებით ცვლიდნენ.

„რა ჩამოსხმული წვივები აქვს ამ მიწადასაყრელს! — კინაღამ შეჰკივლა ფეფენომ. — ტანშიც რა გამოკვანწულია. ან როგორ შევნის ამ ჩასაქვავებელ თლილ თითებსა და მაჯებზე ეს ზურმუხტ-იაგუნდები! კორსეტს რომ შემოიჭერს, მაშინ, რა გულმა გაუძლოს ამ ლერწმად ჩამოსხმულ ტანის დანახვას!“

ფეფენო, ხან ქვევიდან გაჰხედავდა დიასახლისს, ხან განზე... წარამარა თავს იქნევდა, ჩუმად ოხრავდა და ვიშვიშებდა: „გაგონილა ამისთანა რძე და ღვინოსავით სახის კანი! ასე მკვრივად მონაკვთული ბურბუშელა ტუჩები. საალერსოდ მოღერებული კისერი. ეს ნიავსავით სიმსუბუქე და სიფარფატე! მაღალ შუბლზე ავარცხნილი

და ნაწნავებად გადაფენილი ხორბლისფერი თმა! გეგონება პლანით აუგიათო — ლოყებზე ჩაჩუტკნული ორმოებიც რომ არ დავიწყნია შემომქმედს!

ნამდვილი გრძნეულია ეგ სასიკვდილე! ამისი ნორჩი, მწყაზარი სახის შემხედავ ვაჟკაცს, აბა, რა ჭკუა მოეკითხება! როგორ იცის, რა დაშვენდება! ეს ძოწისთვლებით მოოჭვილი ოქროს გულქანდი თვალის საამებლად რო უკეთია! დედოფლობა მოუხდებოდა ნამდვილად, მაგრამ რად გინდა! კეკლუცი ქალი დღეს შენია, ხვალ სხვისა.

ანიტა ნათელი და დამშვიდებული სახით შემობრუნდა ფანჯრიდან, შიშველ ფეხებზე ჩილინით შეკერილი საიბაბთის ნარინჯისფერი მაშიები წაიძრო და ფეფენოს მუხლებთან, ხალიჩაზე წყნარად დაეშვა. სიამოვნებდა ფარდაგზე ასე წამოწოლილს ოცნება და არავის ერიდებოდა.

ფეფენომ აზიზად შეუსწორა ბრჭყვიალა კილიტებით ნაკერი თავსამკაული და ახლა მისი პაწაწინა, მშვენიერი ფეხების ხილვამ გააოცა.

„კაი შენ მოგეცა, კაი შენა ხარ! — დაადევნა ფეფენომ თავის აღტაცებას. — ვინ აღარ დაგდევდა! დამაცა, მალე პოლიციაში რომ დაგიბარებენ, უფრო მეტს მაშინ გაიგებ. მა რა გეგონა, გიჟი დუალანტი და თული კაცი რომ გამოგიჩხრიკავს! სულში ჩაგიძვრები, თუ ქალი ვყოფილვარ! შენ გგონია, ვერ ვხედავ, რა ქარბუქივით აგდი-ჩამოგდის ეგ თონესავით გულმკერდი? იცოდე, თუ შენისთანა გულდახურულს ერთი ხმა ამოგადგმევინე, შენს ჭარტალს მიჯნა აღარ ექნება. მართალია, ფრანციცული ქართულზე უკეთ იცი, პირველს ახალს წიგნს პარიჟიდან გიგზავნიან, მაგრამ შენს ნაბუშარს კნიაუნობას ჩემი აზნაურიშვილობა მირჩევნია!“

— ღენერლის ღირსი ხარ, შენი მუხლების ჭირიმე! — მოეფერა ფეფენო.

— კარგი, ნუღარას მკითხავთ, ძალო! — მთვლემარე ხმით მოიშორა ანიტამ, რომელსაც მისმა სტუმრობამ ათასი საფიქრალი გაუჩინა. არც ფეფენოს გაშვება უნდოდა და არც მასთან ლაპარაკი.

„აი, მეხი კი დაგეცეს მაგ გულზედა! არ გსურს ხვაშიადი გამიმჟღავნო, ხომ! მაშ არადა, დაიხრჩვი შენს დარდუბალაში! შენი ქარი გაალე, ტუტუცო, ჩემიც ღია დაგხვდება. განა, ვერ ატყობ, რო უჩეშოდ გზა აღარა გაქვს?“

მძიმე ბედის მიუხედავად, ანიტა მუდამ ცდილობდა, თავის გარშემო სრული მყუდროება და უზრუნველობა შეექმნა. ახლა ფიქრი არ ნებდებოდა. აზრისთვის თავი ვერ მოეყარა. სასტუმროდან სწრაფად გავიდა, ბუდუარში ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო და დიდხანს მხურვალედ ლოცულობდა. ეს ოთახი ხატებით ჰქონდა მორთული და დღე-ღამის დიდ ნაწილს აქ ატარებდა. მის გარდა, აქ არავინ შემოდიოდა. წმიდის დავითის სალოცავში წირვას არ დააკლდებოდა. მარხვას წესიერად ინახავდა და ისეთი ღვთისმოსავი იყო, შეეძლო, ერთ მშვენიერ დღეს ყველა ეს ამა სოფლის სიამენი დაეგმო და მონასტერში აღკვეცილიყო ერთბაშად.

უკვე დამშვიდებულ-დაწყნარებული სასტუმრო ოთახში რომ მობრუნდა, ფეფენო ბურნუთიან ცხვირს იწმენდდა და თავისთვის ბუზღუნებდა. ის იყო, ანიტას მის გვერდით უნდა ჩაემუხლა, რომ სულ ახლოს ცხენის ფეხის ხმა შემოესმა და შეკრთა. ამ თანაბარზომიერ თქარათქურს გულისლევით უგდებდა ყურს, სანამ სადღაც, შორს, არ გაილია.

ახლაღა მოაგონდა, რომ დიმა გომოზოვი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება მოსულიყო, აქამდე არც გახსენებია. მერმე, თუ ეს ხმა დადასტურდა, რომელიც ფეფენომ მოიტანა, სახელმწიფო ქონების გატაცებაზე, არც ერთს კაი დღე არ დაადგება. განა, მარტო ციმბირშია საქმე? დიმა გომოზოვი, ეს რვა წელია, განა ყველაზე მახლობელი მფარველი არაა?

იმ წელს ანიტა თექვსმეტისა შესრულდა. მამა, რომელიც მემკვიდრედ გამოცხადებას აღუთქვამდა, სწორედ იმ წელს კოპჭისდარის მთასთან დაეღუპა. დედა ქოლერამ იმსხვერპლა. ჰაბუკი შტაბსკაპიტანი, რომელსაც ცოლ-ქმრობის ფიცი მიეცა და მთელ ქვეყანას ერჩივნა, მამის გარდაცვალებისთანავე გაქრა.

მაშინ ანიტას ჯერ კიდევ არ ესმოდა მთელი თავისი უბედურება. სიყვარული უკვე გამოეცადა და კვლავაც ალერსი სწყუროდა. გიჟური ცეკვებით მოზიმზიმე წვეულებები ელანდებოდა. გადარეულ ცხენზე ოღროჩოღროებსა და ჩაბნელებულ ხეობებში ჯირითი სწადა. სწორედ იმ მომწამვლელ მოწყენილობაში გამოეცხადა მაღალი და ბრგე, თავზეხელაღებული და თავაზიანი, მოქეიფე და მოცეკვავე, ყომარბაზი და მფლანგველი დრაგუნის ოფიცერი, რომელმაც სული არ მოათქმევინა, ცხენებით პირველი გასეირნებისთანავე უნა-

გირზე აიტაცა და რკინის მარწუხებში გათანგა. იმ გიჟურ წუთებს თავბრუდამხვევი დღეები და წლები მოჰყვა. დრაგუნი მასავით უთვისტომო და ნაჯვარი აღმოჩნდა. ქართული სისხლი ურევია, მაგრამ ენა არ იცის, ნაპოლეონთან ომებიდან პირდაპირ კავკასიაში გადმოეგზავნათ. თორმეტი ჭრილობა მოჰყვა. ხიშტით დაგლეჯილია. გაუგონარ ამბებს ჰყვებიან მის გმირობასა და შემართებაზე.

რა ელვისებურად დატრიალდა ყველაფერი იმ ჩაბნელებულ ხეობაში! მეორედ სამეჯლისო ცეკვაზე აკოცა. ქალმა გონი დაკარგა. დაავლო ხელი და ისევ გაიტაცა. მესამედ, მარტომყოფს ბინაში მიეჭრა და არავითარი ნებართვა არ უთხოვია. ახლა აღარც კი შეუძლია გაიხსენოს და აღადგინოს, როგორ იქცა ეს თექვსმეტი წლის ქალიშვილი ცოლშვილიან დრაგუნის ხასად, ისე, რომ ამდენი წლის განმავლობაში თაეიანთ ურთიერთობაზე ორი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. თითქოს, უდაბურ ტყეში ყოფილიყვნენ: მიეჭრა და დაიმონა.

ეს იყო სიტკბოთი და ძლევამოსილებით აღსავსე კავშირი, მაგრამ არა სიყვარული.

თბილის-ქალაქისთვის ამ ქალის წარსული ბნელით იყო მოცული, თვითონ კი, სრულებითაც არ აკრთობდა განვლილი ცხოვრებისთვის თვალის გადავლება.

მამას ზრუნვა და მშობლიური გრძნობა არ დაუკლია, რათა ღირსეული თავადის ქალი გამოსულიყო. საუკეთესო გუვერნიორი და მასწავლებლები გამოუწერა ევროპიდან. ტანსაცმელი, ავეჯი და წიგნები უცხოეთიდან მოსდიოდა, როცა, ფრანგებზე გამარჯვების შემდეგ, საქართველოში ერმოლოვი გამოგზავნეს და აქაურობა პარიზში ნაცხოვრები ოფიცრებით გაივსო, ტრაქტირები, ბილიარდი, ხლუსტი, ბოსტონი, ვისტი, პრეფერანსი, არღანი, ბალები, პოლკი და მაზურკა შემოვიდა, მდიდარ ოჯახებში დუდუკი და ზურნა მოცარტისა და ფილდის ჰანგებმა დაადუმა, ანიტა საამური საზოგადოების ნანატრი სამკაული გახდა.

მაღალ წრეებშიც მამამ გამოიყვანა. თავდაპირველად ერთად ცეკვავდნენ. ადგილობრივნი თავიანთ ცოლებსა და ასულებს ოფიცრებთან ცეკვის უფლებას არ აძლევდნენ და თოთხმეტი წლის გოგონა სამეჯლისო ცეკვებზე ხელიდან ხელში გადადიოდა. აღტაცებულ ოფიცრებს საოცნებოდ გახდომოდათ მასთან ცეკვა. მალე კი, ყვე-

ლამ შეამჩნია, რომ „ბალის მეფას“ გაშმაგებული კავალრები და ცეცხლოვანი ცეკვები იზიდავდა. მოხიბლული ოფიცრები შვიდიოდე წლის წინ პარიზში გაგონილ ფრანგულ კუპლეტებს უმღეროდნენ. საქმროს არჩევა მისთვის არავის უკითხავს. თვითონ გამოეცხადა ერთ შშვენიერ დღეს, დიდებული გრენადერი შტაბსკაპიტნის ფორმაში და მწველი სიყვარულით დააჯილდოვა. არც ეს გაჰკვირვებია ანიტას, რადგან ყველაზე კარგად თვითონ გრძნობდა, რა ძალა ჰქონდა მის დაბინდულ, „კუდიანურ ღიმილს“. გრენადერის გამოჩენა ისევე ელვისებური იყო, როგორც, მამის სიკვდილისთანავე, მისი გაქრობა. მთელი ზაფხული ტირილით თვალებს იოსებდა, იმიტომ კი არა, რომ საქმრო დაკარგა, „უგვარობისთვის“, „ნაბუშრობისთვის“, დაიწუნეს. ტიროდა პირველი სიყვარულის გამო.

საზოგადოებაში დიდხანს აღარ გამოჩენილა. თანაუბნელ, უბრალო გოგოებთან ერთად, მამადავითის ეკლესიის კედლებზე ქვის მიმაგრებით ეკითხებოდა ბედს—როდის გამოჩნდებოდა მისი სატრფო. მტკვარში ოქროს ბეჭედი ჩააგდო ბედის მოსაბრუნებლად, მაგრამ გრენადერი არა და არ ჩანდა, ბორგვნილი გული კი კვლავ მჭუხარე სიხარულს ითხოვდა და, პირველივე მაზურკის შემდეგ, მწუხარება ახალმა მეგობარმა გაუნელა.

გადიოდა დრო. ანიტა ყველაზე დიდ ბედნიერებას მამაკაცის მკლავებში გრძნობდა. სიყვარულში მორჩილი, ამავე დროს, მკაცრი მომთხოვნი, გათხოვებაზე როდი ფიქრობდა, თუმცა ეჭვი არავის ეპარებოდა, თუკი მოისურვებდა, საუკეთესო ბედს იპოვნიდა.

„ვიცხოვრებ, როგორც მინდა!“ — ამაყად აღუთქვამდა თავისთავს და საკუთარი ღირსების გრძნობას განუმტკიცებდა იმის გაფიქრება, რომ შეეძლო ერთგულება, და არასოდეს არავისთვის უღალატნია.

კვლავ დიმა გომოზოვი გაახსენდა... არა, ამას სიყვარული არ ეთქმის. ქალის მოფერება ვაჟკაცისთვის სამარცხვინო ჰგონია. თავხედური ვნებით დაიმონა. რაღაც შიში დასჩემდა მისი. მოვა. არ დაგაძინებს. დილით ასიგნაციებით გატენილ კონვერტს დააგდებს სავარძელზე, ფეშქაშს მოგართმევს, და წავა, დაიკარგება, სადღაც „ლაგერად“, თუ პრეფერანსის მოყვარულებში.

„დიაცის ცრემლს რა ფასი აქვს? ერთხელ, მომეჩვენა უთუოდ, წამოიწია, ცრემლი რომ შემამჩნია, ეს წუთი დამამახსოვრდა და ვერ

ვაპატიე. ასე იყო, ია რომ გავიცანი. მისი გულითადი და ამაყი გამოხედვა! თბილი ხმა, ცეცხლოვანი თვალები! მე ხომ, სიყვარულის მეტს არაფერს ვითხოვ!

ნუთუ, წინათგრძნობა მისრულდება?!"

— ანიტაჯან! კი ნუ გამიწყრები, შენი მუხლების ჭირიმე, შენი ია სრულებით აღარ გენატრება?!

მოელოდა რაღაც ამგვარს, მაგრამ ჯიქურმა კითხვამ მაინც შეაკრთო. თავი მიაბრუნა.

ფეფენომ ადროვა და, როცა დარწმუნდა, არ მიჯავრდებაო, თქვა:

— რას დაღონებულხარ, ჩემო პირის მზევ! შენ ხო იცი მართალი მიზეზი, რატომ გადაიხვეწა ია. და-ძმებთანაც ჩხუბი შენ გამო მოუვიდა და ქვეყანაზე გზაც შენი სიყვარულისთვის დაეკარგა.

ეს სიტყვები კი წარმოთქვა, მაგრამ ფეფენო უმალ შიშმა შეიპყრო, არ გამაგდოს და თავის დრაგუნს არ შეატყობინოს, რაც ვუთხარიო.

შეწუხებული გვერდებს იქექავდა, დიასახლისს თვალს არ აშორებდა.

ანიტამ იგრძნო, რომ ქალი საქმეზე იყო მოსული და გულახდილად ელაპარაკებოდა.

„მერე, სწორი იქნება განსაცდელში მიტოვება?!" გაუელვა უცებ.

— ხვალინდელი დღე არ გამითენდეს! — ფეფენომ ისე დაიკრუსუნა ეს სიტყვები, თითქოს, სალაპარაკო საგანთან საერთო არაფერი ჰქონოდეს.

— მე ვიცი, რომ შენით არ მეტყოდი ამას! — თვალი გაუსწორა ანიტამ.

ფეფენო დააბნია ამ წამოძახილმა.

— შენ არ მომიკვდე, ჩემო ყველავ!

— არა, მითხარი, თუ გიყვარდე, ნუ გეშინია.

— თქვენი მოწყალებით არ უნდა ვიცხოვრო! ვიცი, რომ იასეს იამება!

— სხვა არაფერი?

— იასეს პატიება, ძმისგან ფულის და ქონების დაპირება და დრაგუნის ოფიცრის დასმენა რომ გავიგე, უმალ შენთან გამოვეშურე.

„ნუთუ, მაპატია იასემ?“

„მთელი თბილისი ჩემზე ჭორაობს, მაგრამ ვინ გამიბედავს, რომ ქარაფშუტა, უმაქნისი და გარყვნილი ვარ? რა ვუყო, ერთფეროვნება რომ გულს მიკლავს! ახლა სხვა დროა, სიყვარულის რატომ უნდა მრცხვენოდეს? მე „სიყვარულის შვილი“ ვარ, ნაბუშარი გახლავართ და ბედად მიწერია, თავისუფალი სიყვარულისთვის ვიცხოვრო. ეს მაშინ დაიწყო, როცა მამაჩემმა შეაცდინა დედაჩემი. ვინ რას მერჩის — უსიყვარულოდ ერთხელაც არ დავნებებულვარ. მამაჩემს სანატრელი საქმროები სთხოვდნენ ჩემს თავს. ახლაც ბევრი მემუდარება ცოლად გავჰყვე, მაგრამ რა ვქნა, რომ უსიყვარულოდ ერთ წუთს ვერ ვიცოცხლებ? ვფიცავ და ვადიდებ შემოქმედს, რომ ასეთი გულით გამაჩინა და მწველი ტრფობის გარეშე არავითარი ბედნიერება არა მწამს. დაე, მომიტევონ გულწრფელი რწმენისათვის, რომ ჩემი თავი ფასდაუდებელ საუნჯედ მიმაჩნია და, ვისაც ჩემი სიყვარული სწყურია, ყველა სხვა კეთილდღეობა უნდა გასწიროს. მე დავიბადე ღვთაებრივი უნარით, ბედნიერება მივანიჭო ყველაზე ღირსეულთ, შთავაგონო რჩეულნი სასწაულებრივი საქმეებისთვის.

რატომ არ ვერგები იას? თუკი ერთმანეთი გვიყვარს, რად უნდა დავშორდე სამუდამოდ? მე ხომ ქარისგან გადაღუნული ველის ყვავილი ვარ და თვითონ ვირჩევ თაყვანისმცემლებს! მე არასოდეს ქმარს არ შევირთავ. არ მეყოლება არც მაყრები, არც მდადე. ჩემს ჯვარდაუწერელ სიყვარულს ვერავითარი ჩირქი ვერ მოეცხება და უფლება მაქვს ყველას ჩემი პირობები ვუკარნახო. სხვათა ბედნიერება სრულებით არ მშურს. მე თვითონ ვირჩევ მფარველსა და თაყვანისმცემელს, რომელსაც ჩემს გარდა, ქვეყნად არაფერი ემახსოვრება. ია ჩემია, მე მეკუთვნის, რაც სულს აჭეთ აბადია. ჩვენში ერთი სული ბუდობს. არასოდეს, არავისთან არ მახსოვს ჩემი თავი ისეთი, როგორიც მასთან ვხდები. ის მე მიპყრობდა და ჩვენ ერთმანეთს ვავსებდით სულით და ხორცით.

გიჟი ვიყავი მაშინ! სიყვარულის გიჟი! ის სულ სხვა სიცოცხლე იყო, დიდკაცური სიყვარული! უცხო რამ ნიჭი! უმისოდ მზეს ძალა აკლია! იმ დღეების მოგონებით ვსულდგმულობ. მისი ალერსი მწყურია და მის დაკარგვას ვერასოდეს შევურიგდები. ამის წარმოდგენაც არ შემიძლია. რამდენჯერ მიფიქრია, წამოვხტები ლოგინიდან,

მთვარეულივით მივფრინდები მასთან, კისერზე შემოვეჭდობი-მეთქი.

მიყვარს! — გაიფიქრა თვალთა ელვით. გააზმორა.

მისი არსების უძირო სიღრმეებიდან ნაკვერცხლებად გადანახული გრძნობები და სურათები დაიძრა. წარმოუდგა, რა სიხარული, რა ვნება და სიტკბოება ელოდა იმ ძლევამოსილი სიყვარულის განახლებით. წელზე მისი მძლავრი მკლავების მოხვევნა იგრძნო. ტუჩებზე მისი ანთებული კოცნა. უხმო ფერება.

გარეგნულად მინავლული სიყვარული ბრიალით ღვივდებოდა, გამართლებას ეძიებდა და მოუთმენლობით ავსებდა.

იამ დიდსულოვნად სძლია თავის ტანჯვას და გადაიკარგა.

ვერ გამიგო. მე მისი მოცილება სულაც არ მდომებია. გაუგებრობა მოხდა. მეტი რა? როცა დრაგუნი ხელმეორედ გამოჩნდა, მე მინდოდა მშვიდობიანად მომეშორებინა ის. მან მოცილე ვერ აიტანა.

რა მექნა! ერთიცა და მეორეც თვით განგებამ არ მომივლინა ჩემთვის სრულიად მიუწვდომელ, იდუმალებით მოცულ გარემოებაში?

ბევრს ეცადნენ, ცოლი შეერთოთ მისთვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. კვლავ შეეცდებიან და არაფერი გამოუვათ. უმალ სულს ამოგლეჯენ, ვიდრე მისი გულიდან ჩემ სიყვარულს. მჯეროდა, რომ ვერ ვიარსებებთ უერთმანეთოდ, ერთხელ გადადგმულ ნაბიჯს ია უკან არასოდეს გადადგამს. მე ის ქალი არ გახლავართ, ვისაც ქალიშვილობის სიამაყისა ალარაფერი რჩება!"

ციყვივით მიცეცებული ფეფენო ყველაფერს მიუხვდა და, როცა ქალს დანისლული თვალები მიელულა, შემპარავად ჩაილაპარაკა:

— თუ მისამართი დაგჭირდეს, მითხარი, შენი სულის ჭირიმე, არ მომერიდო!

იმის თქმა კი მაინც ვერ გაბედა, წერილი მისწერე, მთავრობის მიერ შეწყალების ამბავი აცნობეო, რადგან ზვიადი გამომეტყველება ანიტას წუთითაც არ გაჰქრობია. ფეფენოს სიტყვებზე გონს მოეგო და უფრო დამშვიდებით განაგრძო ფიქრი.

ახლა თავისთავს გულგრილობას აყვედრიდა. განიგულებდა, რომ ხვალ მამადავითზე ავიდოდა, კელაპტარს დადგამდა, ყველა ხატს სანთელს დაუნთებდა. „უნდა დამასწროს? — სახეზე სხივი ჩაუქრა

ანიტას. — ყოველ წუთს შეიძლება ნაძარცვის საძებნად შემომიცვივდნენ და ვისი გულისთვის? მოვშორდით ერთხელ ერთმანეთს, რაღა საჭირო იყო ამ დაჩლუნგებული ტრფიალის განახლება? ლამის გავგიჟდე: ცოლშვილი სადღაც გადაუხიზნავს, მე აქ დავუბმივარ და ავთანდილაანთა ქალსა სთხოვს!

ანიტა, გონს მოდი, გათხოვებას სიკვდილი გირჩევნია, მაგრამ არც ხასა გახდები!“

— რათ იგვიანებ, დედავ და შვილო, წადი, საითაც გული მიგიწევს! — ვითომ თავისთვის წაიბუტბუტა ფეფენომ.

ამ სიტყვებმა ანიტას ცნობიერებამდე ვერ მიაღწიეს. თვალმოხუჭული, სევდიანი სახით განაგრძობდა ფიქრს. ვერაფრით ვერ მოესაზრებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მაგრამ, ის კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ღალატი არ ეპატიებინა.

რაც უნდათ, ის თქვან, რას დავეძებ. სხვებივით ქმარი არა მსურს: ვერავისი თანასწორი ვერ გავხდები. ვინც სანამ ჩემი ერთგული მონა იქნება, იმისი ვიქნები. ჩემს გარდა, არავინ და არაფერი არ უნდა ახსოვდეს. მე, მხოლოდ მე!“

ფიქრიდან ფიქრს ასკდებოდა და ვერც კი ამჩნევდა, როგორ იბადებოდნენ საჩქაროდ გასაგზავნი წერილის ნაფლეთები... „ჩემო ია!“.. „ჩემო ძვირფასო იასე!“, „ჩემო სიცოცხლევ“, „თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ...“, „მე დავისაჯე ჩემი ქარაფშუტობისათვის...“, „მე დავისაჯე ჩემი სისულელისათვის“. „მე დავისაჯე ჩემი ბოროტებისათვის...“, „შენ გელოდი და დროც იყო შენი მოსვლისა...“, „თუ გულში ჩემი სიყვარული კიდევ გაქვს, ნუღა იგვიანებ!..“ „აღარასოდეს გულს აღარ გატკენ...“

ხან შეეშინდებოდა, ვაითუ, არ მაპატიოს და არ მომიბრუნდეს. ხან, გაიფიქრებდა, ოღონდ ჩემი ნებართვა გაიგოს და ჩემს თავს არავის დაანებებსო. გულში იფიცებოდა: უნაზესი ალერსით, სიყვარულითა და მზრუნველობით დავაჯილდოვებო. კმარა, რაც იყო, ამიერიდან მის თავს ვერავინ წამართმევსო.

„ამას ჯერ არაფერს გავუმხელ! — გაიფიქრა ფეფენოზე. — ერთხანს შორიდან ვუყუროთ! ხომ შეიძლება, მეც და იასესაც მახეს გვიგებდნენ. თვითონ მოვაგვარებ ყველაფერს“.

იმის შეგრძნებით, რომ ასეთი რთული და საფრთხილო საქმე გამოუჩნდა, უცებ შიში იგრძნო.

ამასობაში წვიმას გადაეღო.

ოთახში საამო ბინდი ისადგურებდა. სამრეკლოზე მწუხრის ზარს უკრავდნენ. აბასაბადის მოედანზე მშვიდსა და თბილ ჰაერს ხალხი სახლის ბანებზე გამოეხმო. დაირისა და არღნის ხმებს მკვნესარე სიმღერა ერთვოდა: „ახალ აღნაგო სულო და...“

როცა ფეფენომ ერთბაშად გაცისკროვნებულ ანიტას თვალი შეავლო, გამარჯვების ჟრუანტელმა დაუარა. უნდოდა თავისი სამსახური შეეთავაზებინა, მაგრამ ქალმა მსუბუქად აუკრა ხელი:

— მეტს ნუღარას მკითხავ!

ფეფენო ნაზად მოელამუნა და, როცა ჭიშკართან ცხენის ფლოქვთაცემა გაისმა, პირბადე ჩამოიფარა.

ეზოში, გალაღებული დრაგუნის ოფიცერი, დიმა გომოზოვი შემოდიოდა.

7

„მორჩა! კავკასიის პრაკონსული აღარ არსებობს. ჯერ როდის ვიწინასწარმეტყველე, რომ ბედისგან გათამამებულ მოხუცს ახალი ხელმწიფე აქ აღარ გააჩერებდა. მიჰყვა ისიც ციციანოვს, გუდოვიჩს, ტორმასოვს, პაულიჩს, რტიშჩევს. სხვა რომ არაფერი, იმას მაინც არ აპატიებდნენ, რომ თბილისში ალექსანდრეს სიკვდილის ცნობის მიღებისთანავე, სიონში თითქმის ძალით დააფიცა ხალხი და ჯარი კონსტანტინეს ერთგულებაზედ. არც მერმე აპირებდა ამ ცრუ ფიცზე უარის თქმას, თუმცა გაიგო, რომ ტახტზე ნიკოლოზი ავიდა და არა კონსტანტინე“.

ჩამოათავა ერთი ფიქრი მიქაიჩმა, რომელიც, მეხუთე დღეა, ინფანტერიის გენერალ ერმოლოვის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე აღარ იყო.

ერთხელ კიდევ თვალწინ დაუდგა ყოფილი მთავარმართებლის ფართო სახე, ბურჩხა წარბები, გაფაფრული ულვაშები, შუათითში გაჩრილი ოქროს მუნდშტუკი, წამოზიდულ მკერდზე მიჯრილი ჯვრები და ლენტები. გაუელვა, რამდენჯერ ოთხად მოკაკული, ფეხის წვერებზე შესულა ნოხებგადაფენილ მის კაბინეტში. რამდენჯერ თვალით მიალერსებია მის ბრჭყვიალა აქსელბანდებსა და კმაყოფილებით გაეღიმა, რომ გუშინ მის გაცილებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

„კონსტანტინე მუხრან-ბატონი, მელიტონ ბარათაშვილი, პოლკოვნიკი ბებუთაშვილი, ლიბერალი პრაკონსულის საამებლად, ესკადრონში საჯაროდ რომ დასწვა როზგები და წკეპლები, გათავებული კაცები არიან, — უფრო დალაგებულად განაგრძო ანგარიში, — ამ ათ წელიწადში ბევრი სარეველა მოერია ყანას. ახალ მთავარმართებელს რიგიანი ხალხი დასჭირდება. ერთი ომი დამთავრდა, მეორე დაიწყო. გრაფი დღე-ღამ ბრძოლის ველზეა. სამოქალაქო საქმესაც კარგი თანაშემწე უნდა! მოხელეებში ღვთის ცოდვა ტრიალებს, ბოროტებას ხელს აფარებენ, ქვეყანას გასჭირვებია. მართებლობა ხალხისთვის უნდა იყოს. უავგუსტესმა მონარქმა და პასკევიჩმა უთუოდ იციან, რა ხდებოდა პრაკონსულის გამგებლობაში. კორპუსში „კავკასიის ფარული საზოგადოება“ რომ შეიქმნა და გადატრიალების მოხდენას აპირებდნენ! რუსეთის პროტექტორატი და ფინეთივით სეიმი და კონსტიტუცია! სად შეაგროვა ერთად ეს ვოეიკოვი და ტალიზანი! კანოვსკი და მუხანოვი! ველიამინოვი და ესპანეთის მეფის მტრობაზე გადმოხვეწილი ვანგალენი! გამოყოფა ეწადათ! თვითონაც იქ არ ვიყავ?! თავს აკლავდნენ ერთმანეთს ფუალდესის პროცესზე, ბონაპარტის ლეიბმედიკის ვერლინგის ამბებზე, პეიმონტზე. მე ხელმწიფის წინაშე ჩემი მოვალეობა იქაც კეთილად შემისრულებია, რასაც ვერ დაიკვეხნიან მუხრან-ბატონი და ჭავჭავაძე, იაგორა მასონი და ბორისა ჭილაშვილი. ქართველთაგან დღეს გრაფთან ჩემზე მეტად არავის მიესვლება. მერე რა, რო ჩინები და ლენტები მოხუცთან მიმიღია! სამსახური იყო, მაგრამ წინაც ვიხედებოდი. იაგორა დამსახურებით ჩემზე მაღლაა, მაგრამ მონტესკიე და რაბლე სთარგმნა. პეტერბურგშიც დიდად საეჭვო წიგნი გამოსცა რუსულ ენაზედ. ასეთს ნასწავლს კაცს დიდს არაფერს მიანდობენ. მარლინსკის მეგობარიც ბრძანდება. მუხრან-ბატონს რო საქართველოს მეფობაზე უსკდება გული, ესეც კარგად იციან.

სხვანი სამსახურებრივ მინდობილობასაც ვერ ასრულებენ. მე კი ყველაფერზე თვალი მიჭირავს. ყველაფერი მე უნდა ვიდარდო და ვიტირო. გუშინდელი გამომტყვრალი ხომ არა ვარ, აქა ებერდები.

ეს ქანქარა გრიბოედოვი რის გულისთვის დაიმეგობრა? არ იცოდა, რომ ვიღაც ბალერინისა და მისი მეუღლის გამო მაგან და იაკუბოვიჩმა კინალამ დახოცეს ერთმანეთი? მერმე, კუკიაშიც ხომ მკლა-

ვი გაუხერიტა იაკუბოვიჩმა! შარშან პეტერბურგს გაგზავნეს ტუ-
საღად. ჩემი თვალით წავიკითხე, დღიურში რო ჩაწერა ოც დეკემ-
ბერს: „ალბათ, პეტერბურგში დიდი არეულ-დარეულია. ნეტავ, რით და-
თაყრდება ყველაფერი?!“

„ჩამოსულნი ირწმუნებიან, ადათ-წესების შესასწავლად გამოვე-
შურეთო, მეცნიერებისთვის ვიღვწით, ბუნება გვიზიდავსო, იმას
კი არა ხედამენ, რო ციებ-ცხელება მუსრს ავლებთ!“

მოხუცის სახრჩობელებმა რა ხეირი დააყარეს ხელმწიფეს! ერთ-
გული ქვეშევრდომები გაუორგულეს. ქაიხოსრო გურიელმა რო
ხმალი ჰკრა პოლკოვნიკ პუზირევსკის, პრაკონსულმა იქაურობა აიკ-
ლო. მერე რა კეთილი მოგვიტანა ამან! ეს ქვეყანა ხანჯლის სამეფოა!
ამანათების მორეკვა და დასჯა ვერას უშველის.

ამბობენ, გრიბოედოვს გრაფისთვის კავკასიის კამპანიის პრო-
ექტი მიურთმევია. საქართველოს გამგებლობა და მეურნეობა კამ-
პანიის ხელში უნდა გადავიდეს. დირექტორად გრიბოედოვი იქნება
და წევრად — პარსკევიჩი. ესეც ახალი მეფის მოვლინებას არ ემგვა-
ნება?! კიდევ ერთი მეფე-პოეტი საწყალ საქართველოს! ფრონტ-
ზე თუ მიართო თავისი „პროექტი“, თორემ, რაც მთავარმართებ-
ლობის რესკრიპტი მოსულა, რაღას გაუბედავდა. წარეუდგები გრაფს
ჩემის პროექტით საქართველოს აღორძინებისა. ვსთხოვ თბი-
ლისში მარილის საწმენდს და ლითონის სადნობს ქარხნებს, ქუ-
ჩების პლანზედ გაშენებას. შევსწირავ საკუთარს თეთრს საავადმყო-
ფოს აგებისათვის, სკოლასა და ბიბლიოთეკას... დავძებნი კარგს
მოხელეებს, რადგან გულგრილობა და უგულისყურობა ჰღუპავს
ჩვენს ერს.“

ბუნდოვანი იმედით სულშეგუბებულმა შეთხელებულმა ჭაღარა-
ზე გაშლილი ხელი გადაისვა. კედლიდან ვერცხლისტარიანი მათრახი
ჩამოხსნა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ათასი ფიქრი მოსდი-
ოდა, ათასი რაღაც ახსენდებოდა და, რათა არ დავიწყებოდა, საწერ
მაგიდასთან ჩერდებოდა ჩასაწერად. ასე მდგომარემ ამოიღო უჯრი-
დან სუფთა ქაღალდი და მხოლოდ მისთვის ცნობილი კრიპტოგრა-
მით კუთხეში წააწერა: „სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი. სანკტ-
პეტერბურღლის უნივერსიტეტის სტუდენტი“. მერმე ქაღალდებს ათ-
ვალიერებდა და კიდევ უფრო წვრილად უმატებდა: „ბერი იონა ხე-
ლაშვილი. სახელმწიფო დამნაშავე ბერი ფილადელფოსი კიკნაძე.

რუსი სტუდენტი იაკობ კრუპსკი. პოლონელი ქალი იანინა ბელსკა. ბაგრატ ბატონიშვილი. ოქროპირ ბატონიშვილი. დიმიტრი ბატონიშვილი. თამარ ბატონიშვილი. დაესწრო სახელმწიფო დამნაშავეთა დასჯას 13 ივლისს".

რამდენიმე წუთს, ჩაფიქრებული, ნეკის ფრჩხილით ყურს იფხეკდა, მერმე, ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

შემოვიდა ჯმუხი, უეპოლეტო სერთუკიანი კაცი, რომელიც მოსაცდელში იჯდა.

— ეფრემ, — შინაურულად მიმართა სახელმწიფო მრჩეველმა.— სოლომონ დოდაევი გაგიგია?

— გამიგია! — მიუგო და მზადყოფნით მიაჩერდა.

— საიდან?

— სემინარიიდან.

— იქ უსწავლია?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ! ატესტატს არ აძლევდნენ და სასულიერო წოდებას თავი გაანება, რო ატესტატი მიეღო. მცირე ჟამს სიღნაღში ოსტატად იყო. იქ ერთი კარგა შორით მოსული ჰკუის მასწავლებელი ეშოვნა. იგი რომ მოკვდა, წმინდას პეტრეს ჭალაქსა შინა წაბრძანდა საკუთარის ხარჯითა.

— ვარგა? — ისე ჰკითხა მიქაიჩმა, რომ ყურებდაცქვეტილი ეფრემა მაშინვე მიხვდა, რა ეპასუხნა.

— მწაკე ჯიელიაl

— იქაურისა არა გსმენია რა?

— ბატონიშვილთა ოქროპირისა და დიმიტრის ერთგულიაო: კათალიკოსის დამსმენი იმერელი ბერიც მისი ძმაკაციაო. სემინარიაში ლექსებსა თხზამდა, მითამ, ავქსანთა გვეჯიბრებოდა. ერთობ უნიჭო გახლამსთ.

ეფრემამ მოშვებული, ჯმუხი ტანი შეისუნთქა და ყურადღებად იქცა.

მის სერიოზულ პოზას ცოტა უაზრო იერს აძლევდა დიდ, ხორკლებიან სახეზე აქა-იქ მიმობნეული წვერი, სქელ, მაგრამ ფერგაცლილ ტუჩებზე გადმოზნექილი ცხვირი და ბრტყელი ნიკაპი.

მიქაიჩს, დოდაშვილის საქმე, უცებ, გონებიდან ამოუვარდა, რადგან სწორედ ახლა გაახსენდა, დილით მთავარმართებლის კან-

ცელარიაში მის ერთ-ერთ სანდო პირს ყური რომ მოეკრა, გრაფის მეუღლე ძლიერ გატაცებულია ძველი ხელოვნების ნიმუშებით და უნიკალურ ნაკეთობებს დიდს პატივს მიაგებსო.

„როგორ გამომრჩა? — საკუთარი თავისადმი უკმაყოფილებით თვალი გაუშტერდა. — თუ ღრაფინია კეთილმოწყალე არ მექნა, ისე ჩემს მამულსა და ერს რას ვარგებ? წესრიგისა და ქვეყნის მტრები ხომ უმალ გადამთქორავენ? გრაფს უბრძანებია, კავკასიაშიც ცენტრალური გუბერნიების მმართველობა და კანონები უნდა შემოვიღო. ჩემი გამოცდილება ამ საქმეში დიდად გამოადგება ჩემს ერს, მაგრამ თუ ფლიგელადიუტანტმა ყურადღება არ მომაპყრო და გრაფინიამ თბილი სიტყვა არ შემაწია, რა უნდა გამოვიდეს? გრაფი დიბიჩი, უფროსი შტაბისა, ეგონებ, კარგად არ მიყურებს და, შესაძლოა, ერმოლოვის კაცადაც წარმომადგინოს. ერთხელ, მოხუცის მიზეზით, მისთვის რაღაც მიწყენინებია. თუ გრაფინიას, და მისის ხელით, თვით გრაფსაც, ჩვენის მამულის რამ ძვირფასს მივართმევ, მაშინ არავისგნით დაბეზღებისა შიში აღარ მექნება და მე თავად მოვახსენებ ყველას ჩვენის მამულის საჭიროებასა!“

ამ ფიქრში კიდეც დაავიწყდა, ეფრემა რომ იქ იჯდა, და წამიერი გამოფხიზლებისას, ისღა მოაგონდა, რომ ეფრემა სასულიერო პირი იყო და საეკლესიო განძებს კარგად იცნობდა.

— მესმა, რომ ღრაფინიას უყვარს ძლიერ ძველნი ძვირფასეულნი, ვითარცა სახე ხელოვნებისნი და უნდა მივართვათ მე და შენცა და ვასიამოვნოთ ღრაფსა და ღრაფინიასა. ამაზედან დიდად არს დამოკიდებული კეთილი ერისა ჩემისა.

ეფრემა მყისვე გაერკვა მფარველის განზრახვაში და სხარტად მიუგო.

— გვაქვს წმ. ბარბარეს ეკლესიაში ხატი წმიდისა სამებისა, მისის ნაწსოვის ბუდითა და პირსახურავითა, მომარგალიტებული. გვაქვს მეტეხში ხატი ყოვლად წმიდისა, მისის ნაწსოვის ბუდითა და პირსახურავითა, პატიოსნის თვლებით შემკობილი. გვაქვს მამადავითზე ხატი წმიდისა მარინასი, მისის ერთის ზარბაბის ფარდითა, ოქროთი მოჭედილი. გვაქვს იქვე დაუჯდომელი, მოზურმუხტებულს ყდაში. ბეჭედი ყვითლის იაგუნდის დუნჯისა, ყელის ჯაჭვი ოქროსი მისის ფირუზჭარის ამბარჩითა, ოცდაათის ბადახშანის ციალითა, თვრამეტის ზურმუხტითა დედოფლის რუსუდანისეული...

— მომართვი სია ყოველთა ამა ჩვენთა სასიქადულოთა, რათა გაიცნონ წარსული ჩვენი. — შეაწყვეტინა სახელმწიფო მრჩეველმა, რომელსაც, უცებ, მოეჩვენა, რომ ეფრემასთან ამ საქმეზე ლაპარაკი ქმაროდა.

„მეტისმეტმა სიწმინდემ საბერძნეთი დააქცია. — წარბები ასწია და ფიქრს მოჰყვა. — ხვალიდანვე მამადავითის შეკეთებას დავაწყებინებ. მე, ვითომ, არაფერი ვიცი. ოსეს ვათქმევინებ მარდალასთვის, მარდალას კაკატოსათვის, კაკატოს თავის საყვარლის ენუქასათვის, ენუქას ზებედასთვის, ზებედო თავის საყვარელ ჰამალას ეტყვის და შეასახელებს გაიტაცოს ხატი წმიდისა მარინასი, ოქროთი მოჭედილი ბეჭედი ყვითლის იაგუნდის დუნჯისა, ყელის ჯაჭვი ოქროსი, მისის ფირუზ ქარის ამბარჩითა დედოფლის რუსუდანისეული... ჰამალოს ჩემი მოურავის ბიძაშვილი ლადე მოჰკლავს და წაართმევს ყოველს ძვირფასეულს... ლადეს ჩემი მოურავი საიდუმლოდ ეტყვის, რომ მთავრობამ ყველაფერი იცის და სიმბირი არ ასცდება, უკეთუ ნაძარცვს არ ჩააბარებს.

ამ გზით, მოწმე აღარავინ დარჩება. ქალაქის პოლიციის უფროსს მელნიკოვს, მამულის მოღალატე ერისთავების სიძეს, დავასჯევინებ. ეგზარქოსს სხვათა პირით გავაგებინებ, რომ ეს ამბავი ქარგად მომეხსენება, და, რაცა მსურს, აღვასრულებინებ.

უკეთუ, ღვთის შეწევნით, ეს საქმე სარფიანად წამივიდა და ღრაფინიას ქართულნი სამკაულნი ვუფეშქაშე, სხვა დროსაც მრავალს მივართმევ და, ვინძლო, ჩერნიშევამდეც მივაღწიო ჩემის ფეშქაშითა. ყოველი ესე დიდად დარბაისლურის და დინჯის სახით უნდა აღსრულდეს, მხნედ, მაგრამ არა თავხედად, რამეთუ, მინდორს თვალი აქვს და კედელს ყური!“

— თეკლას ფათერისა რა ისმის? — მოუბრუნდა უცებ ეფრემას.

— ალექსანდრე და თვით ბატონიშვილიც გავეშებული ბრძანდებიან. ბორჩალოდან ყმები ჩამოუყვანიათ, თუ გუბერნატორი ჩვენს სახლში საგუშაგოს მოაწყობს, სისხლი დაიღვრებაო.

— მუხრანსკი რატომ არ უშველის, ის ხომ ბიძაა ალექსანდრესი?

— დაფარულ მტერთ ეამებათ ყოველთვინ, ერთგულნიც შეაწუხოს მთავრობამ.

„მდაა! — ამოისუნთქა მიქაიჩმა. — თუ ზავილეისკიმ თეკლა ბა-

ტონიშვილის სახლში ფათერზე ხელი არ აიღო, მთელი ქალაქი აღსდგება!“

ამაზე ალექსანდრე ორბელიანის მშვენიერი მეუღლის, კატინკა ბარათაშვილის სახე მოელანდა. მის გვერდით, ლოგინად ჩავარდნილი, თავისი გალეული ცოლი. ბინდბუნდში: მართა სოლოღაშვილი, რახილ ციციშვილი, ნათიმზე ორბელიანი და თბილისის სხვა მშვენებანი. ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, რათა მიუწვდომლისათვის თავი დაეღწია და კვლავ საქმეს დაბრუნებოდა.

„მე მხოლოდ ჩემი სინდისისა და სანუკვარი მამულის წინაშე მოვალეობის შეგნებით ვიხელმძღვანელებ! თუ იასეს საქმეში არაფერი გამომივიდა და ჩემს მშვენიერ ძმას ღირსება აჰხადეს, მაშინ... ტალახიან ჯოხს ხელს არ მოვკიდებ! ერთის ხისა ბარიც გამოვა და ნიჩაბიც. ჩემის ოჯახის ნამსახურობა მეტის ღირსია!“

— მაშ, შენ იცი, ეფრემ! ფათერას თვალი ადევნე! პოლიცმეისტერ მელნიკოვზე თუ გაიგო...

ეფრემა მოელოდა, ჩემს ლექსებზეც რაღაცას მეტყვისო, და, რაკი არაფერი უთხრა, მოთმინება დაეკარგა.

— „უწყებაში“ არც ახლა გახლამსთ ჩემი სტიხთქმნილებანი.

— ნუ დამიღონდი, თუ არ ჩავსთვლემთ, ეგ „უწყებანი“ სულ შენი იქნება.

ეფრემა ანუგეშა მფარველის პასუხმა, რომელიც გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ საგამომცემლო კომიტეტის წევრიც ბრძანდებოდა.

— ფოსტაზე თვალყური გეჭიროს! — შეახსენა მიქაიჩმა და, მისი გასვლისთანავე, უჯრიდან ამოიღო ლურჯი საქაღალდე, სადაც კრიპტოგრაფებით გომოზოვის მასალები ჰქონდა ჩაწერილი.

ეს წვრილმანები ადგილობრივ ხელისუფლებას არ მოეხსენებოდა და თვითონ დიმა გომოზოვს წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ თბილისში ვინმე ამ ამბების მცოდნე იქნებოდა.

დიმა გომოზოვის წინაპარი ვახტანგ მეექვსეს გასდევნებოდა რუსეთს, სადაც პეტრე დიდის მიერ მოწვეული გემმშენებელი ჰოლანდიელის ასულზე დაქორწინებულიყო. პაპა და მამა-ბიძანი ოფიცრის მუნდირს ერთგულებდნენ, დედა კი ნოვგოროდელი აზნაურის ქალი ჰყოლოდა.

დაობლებული, თოთხმეტი წლისა, სუვოროვს ხლებია ალპების ლაშქრობაში. იქიდან მოკიდებული, არც ერთ ომს არ დაჰკლებია,

და, რადგან ფორმულარში ჰრილობების ჩასაწერად ადგილი აღარ დარჩენოდა, მეორე ფურცლის გვერდი ახირებულად მთავრდებოდა: „და ასე შემდეგ“, „და ასე შემდეგ“, „და ა. შ.“

თექვსმეტისას წმ. ანას მეორე ხარისხი მიუღია.

იქედან მართლა „საგმირო საქმეები“ იწყება! ცხრამეტი წლის პრაპორშჩიკს ძმა მოუკლავს დუელში. ტუნდრაში გადასახლებული ბრემენში გაქცეულა. იმავე წელს ინგლისის ჯარში შევიდა ვოლონტერად. იქ რუსეთის ელჩმა, გრაფმა ვორონცოვმა მოიძია მისი კვალი და თავისის რეკომენდაციით კვლავ რუსეთს დააბრუნა. დიდი დრო არ გასულა, პოლონელი გრაფის ქალიშვილი მოიტაცა და ცოლად შეირთო. ისევ ჩამოხსნეს ხარისხი და ორდენები. რვაასთორმეტში მარტოდმარტომ ხუთასი ფრანგი შემუსრა. პოლკოვნიკობა და წმ. გიორგი უბოძეს. მეორე წელსვე „ვისტში“ ორი მილიონი სამხედრო თანხა წააგო. ყოველგვარი ღირსება აჰხადეს და რიგითს სალდათად კავკასიაში უკრეს თავი. სპარსეთთან ომში ესკადრონი დაიფარა და ირანის პრინცი დაატყვევა. უბოძეს ისევ ორდენები და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პორუჩიკობა.

— „დანარჩენი ჩემი პირადი საკუთრებაა! — მწარედ გაეღიმა მიქაიჩს და ამ ცნობებს წვრილი კრიპტოგრაფებით მიაწერა სამხედრო ჭრონების გატაცების ჭარავნებზე თავდასხმის, ორი ჩერქეზი მძევლის გაყიდვის პატაქები. ახლა ცოლშვილიანი დრაგუნი, მზითვის გამოსაძალველად, ავთანდილაანთ ქალსა სთხოვს!“

ანიტასთან ინტიმური კავშირი ამ საქმეებში არ გარია.

— ერმოლოზ, შემოდი! — გასძახა მოსაცდელში.

შემოვიდა ტიღა ყმაწვილი კაცი, შუაზე გადაყოფილი შავი თმით, უჩვეულოდ ბრტყელი სახისა, და დიდის ფაციფუცით მიესალმა. ფანქარი და ქაღალდი მაგიდაზე წინ დაიდო.

— სად დაიკარგე, ერმოლოზ, რო აღარა ჩანხარ, ჰა?

— სასწავლებელში გახლდით, ბატონო, გაზეთზე ლაპარაკი მოვისმინე. კორხმაზ მელიქოვის ჭარავასლაშიც ოფიცრებთან ბილიარდი ვითამაშე, კაზინოში მეზობელს გავჰყე, რომელიც იქაური მზარეულია.

— იყო რამ მომასწავებელი?

— ტრაქტირში დრაგუნს სამჯერაც შევხვედრივარ და წინანდე-

ბურად მხიარული ვეღარ ბრძანდება. ბევრისგან გავიგონე, ბრალი ედებაო. თქვენის ძმის სათათრიდან დაბრუნებაზედ დიდი ლაპარაკია.

— ძრიელ კარგი, ერმოლოზ! — უთხრა მიქაიჩმა. — დღეიდან ქალაქში ხმა უნდა დააგდოთ, რომ დიმა გომოზოვს ჩერქეზი ამანათების გატაცება და გაყიდვა დაუმტკიცდა. ქარავანზე თავდასხმაც გამორკვეულია და მთავარსარდალს მაგისი დატუსაღება უბრძანებია. ქალბატონ გომოზოვას ანიტასთან ქმრის ტრფიალება და ავთანდილაანთ ქალის დანიშვნა გაუგია და თბილისს გამომგზავრებულა. ეს ამბები ქალაქშიაც უნდა შეიტყონ და ისეთ ვინმესაც უნდა შიაწვდინოთ, ვინც დიმა გომოზოვს ეტყვის.

— ვიცნობ ერთს ოფიცერს!

— შენგნით არ ივარგებს. საიდუმლოდ უნდა ურჩიონ, ან, თავად უნდა მიხვდეს, რომ დაემალოს სამართალს. გაიქცეს მთებში, გადაიკარგოს.

ერმოლოზი ქაღალდზე ფანქრის წვერს ისე ათამაშებდა, თითქოს, რაღაცას იწერსო, შიგადაშიგ, აჰხედავდა და წყნარად თავს დაუკრავდა: „გასაგებიაო“. მიუხედავად ამისა, მის სახეს დამცინველი იერი არ სცილდებოდა და სუფთად წვერულვაშმოპარსულს, ცხვირქვემოთ ტუჩის ანაკეცი უკრთოდა.

მიქაიჩმა, რომელსაც ეს მნიშვნელოვანი მომენტი გამორჩენოდა, კინაღამ, თავში ხელი შემოირტყა.

„მართლაც! ხომ შეიძლება დიმა გომოზოვმა ანიტა მთებში გაიტაცოს? ამ ქალის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. ეს რომ მოხდეს, მაშინ მთელი ჩემი გეგმა ჩაიფუშა“.

— რაც გითხარი, ხვალიდან შეუდექი! დღეს კი არავისთან სიტყვა არ დასძრა!

— ბალღი ხომ არა ვარ, ბატონო.

— ფრანგის ლეტელიესი რაღა იცი?

— ჰავჰავაძის ხშირი სტუმარი ბრძანდება. უბრალოს ხალხში დადის და ყველას ქართულად ემასლაათება. ვგონებ, ქართულს ლექსიკონს ადგენს. ყმაწვილს თავადიშვილებს მეგობრობს. გუშინ პატრიარქ ნერსესის ქარვასლაში შედიოდა.

— კმარა, ერმოლოზ! თუ ასე ვიცით, მომავალს წელს შენი ლექსთკრებული მაგიდაზე გვედება. — არცთუ ისე მშვიდად უთხ-

რა კოლეჯსკი სოვეტნიკმა, რომელიც, ანიტას საჩქაროდ გადამალვაზე ფიქრში, ფეფენოს ელოდებოდა.

8

ხუთშაბათს, ახალი ფილოსოფიის ლექციაზე, სოლომონი ისე ცუდად შეიქნა, რომ პროფესორმა ტოლმაჩოვმა აუდიტორიაში გამოუძახა უნივერსიტეტის ექიმს ნესკეს, რომელმაც რამდენიმე თავი წამალი გამოუწერა, სწავლის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება ურჩია.

ამხანაგებმა შინ მოიყვანეს სოლომონი, აფთიაქიდან ესპანური მუშკი, აბები და სასაქმებელი ზეთი მოურბენინეს. მუშკი დილიდან კისერზე ედო, მთელ სხეულში ცეცხლს უკიდებდა, ავარვარებდა, კისრის ტყავი ატკიჩა და განუწყვეტელი ჩირქოვანი ყვითელი სითხის დენა დაეწყო. ზეთმა კუჭი მოუშალა. ყინვაში წარამარა ოთახიდან გამორბოდა და ციებებოდა. სისხლის, ჩირქისა და ოფლისაგან დასველებული სამოსი მალიმალ უნდა გამოეცვალა, მიმხედავი კი არავინ იყო. იმის გაფიქრება, დღეებს უქმად ვკარგავ, მეცადინეობას ვცდები, საქმე უკან მრჩებაო, ნერვებს უშლიდა და უფრო აბრკოლებდა განკურნებას. ზოგჯერ, ისეთი სასოწარკვეთა შეიპყრობდა, თავის თავს ნიშნს უგებდა: „აჰა, აგიჯანყდა შენ სხეული შენი, აღბორგებულ ანუ აშლილ შენის უწესივროს ცხოვრებითა და რაისა ყოფად ძალგიძს მოკლებული საქმისა და არარაობისა ცალიერ ყოვლით ურგი!“

ცრემლი აბრჩობდა იმის ბოლმით, რომ შეიძლებოდა, შორეულ მხარეში მომკვდარიყო, და ვერ მიეტანა მამულისთვის ის ცოდნა, რომელიც ასეთის ტანჯვით შეეძინა. შეიძლებოდა, უაზროდ ჩამქრალიყო სიცოცხლე, რომელიც მშობელი ქვეყნისთვის უნდა შეეწირა.

როცა ექიმმა შინ ინახულა, გაოცებული დარჩა ავადმყოფის მოთმინებით, და კრუპსკის, რომელმაც მოიყვანა, საიდუმლოდ უთხრა:

— მისი ჯანმრთელობა ისე შერყეულა, რომ სიცოცხლის ნიშანწყალიღაა დარჩენილი.

ორი კვირის შემდეგ, ჩირქმა ყურიდანაც დაუწყო დენა. თავ-

ბრუ ესხმოდა, ტკივილებისაგან მხედველობას ჰკარგავდა, — ერთ წუთს რომ ხედავდა, მეორე წუთს ვეღარას არჩევდა. ჩიოდა, ესრეთ მიბნელდება თვალი, რომ ოთახიდან ოთახში გასვლა არ შემიძლია და დიდად მიშლის საქმესო.

ასეთ დროს შემოეთვალა ფაკულტეტის დეკანს დუგაროვს, თუ კურსის შესრულებას აპირებს, სადისერტაციო ნაშრომი დროზედ წარმოადგინოს და სადიპლომო გამოცდებისთვის მოემზადოს, თუ არა, შვებულება აიღოს, ან, კურსის მოსმენის ცნობას მივსცემთო.

სოლომონს არც შვებულების და არც „კურსის მოსმენის“ გაგონება სურდა. მოვკვდები, ან წელსვე დიპლომით დავბრუნდები საქართველოშიო, — აღთქმა მისცა თავს, და, როგორც კი ოდნავ მოიხედა, ყველა საქმეს ერთად შეეჭიდა.

„წელსა იქნება ეგზამენი და გამოშვება ჩემი სრული ატესტატით. — მისწერა პეტერბურგიდან დროებით წასულ იონას. — სნეულებისა გამო, დავჰშთი უქონლობასა შინა მრავალთა საგანთასა მოუმზადებელ. ლექტორებიც არ არიან კმაყოფილნი, ვერ ხედავენ ჯერ საქმეთა ჩემთა. მერიდება მათი, ვინც მშველის.

საჩქაროდ უნდა დავაბეჭდინოთ „ლოგიკა“, რუსულს ენაზედ ახლა და ქართულზედ შემდგომ მისსა. ამისათვის გთხოვთ იმეცადინოთ მოძიება წარსაგებელისა ფულითა“.

ორი თვე არ უძინია. დილით ბიბლიოთეკაში გარბოდა. ყინვასა და გრიგალს არ ეპუებოდა. ერთი საგანიღა დარჩა, ნაშრომიც თითქმის მზადაა და ახლა ვეღარ წამოუდგა სნეულებას.

წევს მოკუნტული, გაოფლიანებული. გაზინთული შავი თმა ფთილებად დაჰყრია ბალიშს. გარეთ ყინულოვანი ქარი სტვენს. ფანჯრის მინებს აზანზარებს. შანდალში ჩარგული თაფლის სანთელი მწუხარე შუქს ჰფენს სპირტით, ნიშადურით, წითელი წიწაკით, აბებით სავსე შუშებს.

სოლომონი საათობით იკრებს ძალას, ტკივილებს იხშობს, რათა წუთით მაინც წამოიწიოს იდაყვებზე, თვალი შეავლოს საწერ მაგიდაზე დახვავებულ წიგნებს.

ლოკი და ვოლტერი. ლესინგი და ეშენბახი. კანტი და ჰეგელი. ბეკონი და ვოლფი.

სულწასული იშვერს ხელს რომელიმე მათგანისაკენ, ღონე ღა-

ლატობს, ილაჯწართმეული ბალიშზე ეცემა და ისევ უაზროდ, ნაღელიანად გაჰყურებს აკვიატებულ წერტილს.

კიზევეტერის წმინდა საყოველთაო ლოგიკის ნარკვევი სწორედ იმ დღეს გამოატანინა დიმიტრი ბატონიშვილმა ბიბლიოთეკიდან და ვეღარ მოასწრო ერთხელ კიდევ შეეჯერებინა იაკობის, რაინჰოლდის, შულცის, ჰოფბაუერის, კრუგის, ბულეს, ბუტერვეკის ნაშრომებთან.

მაჯამ იმ დროს უღალატა, როცა საცენზურო კომიტეტში „ლოგიკის“ გამოცემის ნებართვის გამო თხოვნასა წერდა.

ნერვები ეშლება რომ, სიცხით გათანგულს, არ შეუძლია ერთ საგანზე ფიქრი და ოცნება. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ზმანებებში ერთმანეთს ენაცვლება ქარში გაწეწილი ქერა დალალები, მოქანავე წიგნები, სახრჩობელები...

„ნუთუ გულმა მომატყუა?“

თავს ძალას ატანს, ბოლომდე მიჰყვეს ფიქრს...

„ხომ დავმეგობრდით ისე, რომ ბევრჯერ სულ მარტონი დავრჩენილვართ, მკლავგაყრილთაც გვისეირნია?!

კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ რომ გამოვიტანე, პეტერჰოპში გამოვიარე. ფოთოლცვენა იყო. შემოგარენი ყვითელი ფოთლებით იყო მოფენილი. ესაუბრობდით, ვლაღობდით...

უცებ: დაბნეულად დავიწყე ლაპარაკი. მივაჩერდი. ღიმილით შემომხედა. მიეხვდი, არაფერი არ უნდა მეთქვა. მისი გულის ფრთოზას ვუსმენდი. მეშინოდა, არ გამრისხებოდა. „თქვენ რა აზრისა ბრძანდებით?“ — ვითომ არაფერიო, ისე განაგრძო.

ის ღამე მასზე ფიქრში გავათენე. ღმერთო, რა სითბო და სათნოებაა მის თვალებში! შემიყვარდა უბანი, სადაც ის ცხოვრობს. რატომ იწვევს ეს სახლი და კუთხე-კუნჭული რაღაც იდუმალ გრძნობას? რატომ მომეწყინებოდა ისე მტანჯველად, რომ უსათუოდ უნდა წავსულიყავი და საათობით ვმდგარიყავი მის ფანჯარასთან? შემფერის ესეც ქცევა ფილოსოფოსსა და მასწავლებელს? მთხოვა და ჩავუწერე ალბომში ქართულს ენაზედ:

როს გარდაშლიდე,
მეც დამხედავდე,
გაიღიმებდე...
მომიგონებდე...

სამსონის შადრევანთან ვისხედით. ნუთუ იმ დროს, როცა ასე ბედნიერნი ვიყავით, ყველაფერი იცოდა, ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა?

წამით ერთმანეთს მივეკარით. მისმა სუნთქვამ შემაშფოთა. მთვრალივით ვიქცეოდი. მთვრალივით ვლაპარაკობდი. სამოსის შეხებაც სიხარულით მათრთოლებდა. ახლაც მრცხვენის, რომ მაგონდება. ანკი როგორ გავბედე! საიდან გაჩნდა ეს სითამამე! იმ ამბორმა სიცოცხლე დამიბრუნა, ოცდაორის წლისა ვარ, ქვეყანა მომივლია და ეს პირველი ამბორი იყო. მიხარია. შევსტრფი სინაზით სავსე თვალებსა და სევდა მიპყრობს, ლამაზი სევდა.

სასურველო ჩემო! მართლის საკმევლის წმინდა ალო! ნუთუ შეგეძლო წარმოდგენა, რომ ეს მოხდებოდა? ნუთუ მაშინაც გიფიქრია პატარა ბარათზე, რომელსაც ჩვენის კავშირისთვის წერტილი უნდა დაესვა?

„ძვირფასო მეგობარო! — მწერ შენ და ეს ბარათი, როგორც წმინდა რამ ავგაროზი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩემს გულთან იქნება. — დიდი ხანია ვგრძნობ, რომ გულგრილი არ ხართ ჩემდამი.

თქვენც გრძნობთ, რომ მიყვარხართ. რა შეედრება ამ ბედნიერებას!

რა შეედრება შეყვარებული გულის ძახილს!

მაპატიეთ: მამულის ძახილი მხოლოდ!

რა შეიძლება გვაღელვებდეს სატრფოს ბედზე უფრო?

მამულის ბედი!

საით უნდა გაეშურნენ შეყვარებულნი, თუ არა ერთმანეთისკენ?

მამულისკენ, რომელსაც შველა სჭირდება!

სიკვდილამდე დაუვიწყარო მეგობარო! თქვენთან გატარებულმა წლებმა დამარწმუნა, რომ თქვენ უფრო სჭირდებით თქვენს მამულს, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი თავისას.

მამული ჩემი დიდი ამბების წინაშეა და ჩემი ადგილიც იქ არის! უფლება არ მაქვს, თქვენს სამშობლოს წავართვა თქვენი თავი. მტანჯველია თქვენთან დაშორება, მაგრამ უნდა წავიდე.

მშვიდობით“!

ნუთუ არ იყო ამ ბედნიერების ღირსი?

ღამეებს ათენებდა იანინაზე ფიქრში. მისი ხილვით ეხუჭებოდა

და ეხილებოდა თვალი. სულ მისი ხმა ესმოდა. ვერ აეხსნა, რა იყო ეს, რას შეეძლო ამ ტკივილების განკურნება. ხან, ეგონა, დაუბრუნდებოდა, კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. რომ წარმოუდგენელი იყო უერთმანეთოდ მათი ყოფნა. ხან მომაკვდინებელი მარტოობით დაისრული გული განუკურნებელ ტანჯვას აყენებდა.

ასეთი ქალები ქვეყნად არ მოიპოვებიან და ამიერიდან დახშულია მისთვის სიყვარული. მშვენიერმა ყვავილმა გაფურჩქნაც ვერ მოასწრო, ისე დაზრა.

პირველ დღეებში, ბალიშში თავჩარგული ქვითინებდა. მერმე, ლექსებში აქსოვდა მარტოშთენილობის ტკივილებს. თუ ამ ტანჯვას ვერ დასძლევდა, თუ სენს ვერ მოერეოდა, ფუჭად ჩაუვლიდა მაშინ სამშობლოს გარეთ გატარებული წლები.

დრო კი არ ითმენდა. ფიზიკური და სულიერი ტანჯვისთვის წართმეულ ყოველ წუთს „ლოგიკის“ საბოლოო რედაქციას უთმობდა. თავს განუწყვეტლივ შთააგონებდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაშრომს როგორც პირადად მისთვის, ისე სამშობლო ქვეყნისათვის.

„სურვილი, სასარგებლო ვიყო ჩემ თანამემამულეთათვის, მუდამ წმინდა მოვალეობა იქნება ჩემი“.

ის იზიარებს იმანუელ კანტის შეხედულებებს ლოგიკის საგნისა და ამოცანის თაობაზე. ლოგიკის საგანია არა შემეცნების შინაარსი, არამედ მისი ფორმა. ლოგიკის სფეროა მოვლენები და არა ნივთი თავისთავად. ბევრგან დოდაშვილი საკუთარი გზით მიდის. სძლევს ფორმალურ-მეტაფიზიკურ თვალსაზრისს. კანტის აბსოლუტური ფორმალური ხასიათისაგან განსხვავებით, ლოგიკურ კატეგორიებს მასთან მინიჭებული აქვთ ახალი სული.

სამყარო ურთიერთობათა სისტემაა, სადაც ყველაფერი განსაზღვრულია მიზეზ-შედეგობრივად, საშუალებათა და მიზანთა განუყოფელი კავშირით, ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული. ყველაფერი ექვემდებარება უცვლელ წესებს, მარადიულ კანონებს.

ნივთიერი ჰეშმარიტების დროს საკითხავია: შეეთანხმება თუ არა ცნება საგანს. ლოგიკურის დროს — შეეთანხმება თუ არა ჩვენი აზრის კანონებს. უტყუარობის დროს საკითხავია: შეეთანხმება თუ არა იგი საგნებს, აზრის კანონებსა და სხვა საგნებს და როგორი სიდიდისაა ამ ჰეშმარიტად მიჩნეულის ხარისხი.

ახლა ლოგიკური მეთოდოლოგიით იყო გატაცებული, სისტემატური შემეცნების, მეცნიერების არსის პრობლემებით, სისტემითა და რაპსოდიული შემეცნებით. რამდენადაც ადამიანი შეზღუდული არსებაა, ძალა არ შესწევს, მიაღწიოს სრულყოფილობას.

ტიპოგრაფიაში ჩაბარებამდე აუცილებელი იყო ზოგიერთი ადგილის ჩაღრმავება, დაზუსტება, არგუმენტირება.

„შემეცნებას, რომელსაც არ გააჩნია ლოგიკური ჰეშმარიტება, არ შეუძლია ჰქონდეს ნივთიერი ჰეშმარიტებაც!“

მაგრამ, თუ ყველაფერი გონებაზე ჰკიდია, რატომ ვერ ვიმორჩილებ ჩემს გულს! რატომ არ შემიძლია ფარად ვიხმარო ლოგიკის კანონები და დავივიწყო, მკერდიდან ამოვიგლიჯო ის სახე! საკმარისია ერთი შემოხედვა, რომ ცეცხლს მივსცე ყველაფერი ეს, გავეშურო იქით, საითკენაც ინებებს და მიბრძანებს.

ხომ არ ვაზვიადებთ ჩვენის გონების ძალას! ხომ არ ვაკნინებთ იმ ფაქტს, რომ ყველანი ბუნების შვილნი ვართ და თითოეულს ჩვენს ნაბიჯს ბუნება განსაზღვრავს!“

მაჯაგანში დაამტვრია ცხარე განცდამ, რომელიც ხშირად მოაკითხავდა ხოლმე: რაღაც აკლდა მის შემეცნებას, მის შრომებს, მის მიზნებს, რაღაც ისეთი, რაც არ იცოდა, რაც მისი აზრისა და გრძნობისთვის მიუწვდომელი იყო. რის კითხვად წამოჭრა არ შეეძლო და ვერც ვერასოდეს შეძლებდა. ამის გამო, არც შეეძლო ამოეცნო ან ეპოვა. ეძიებდა და ჰპოვებდა იმას, რაც იცოდა, რომ საძიებელი და საპოვნელი იყო, მაგრამ რისთვის ტანჯავდა საშინელი ალღო, რომ ეს არ კმაროდა?!“

ამ ფიქრმა გრიგალივით ამოტყორცნა ლოგინიდან და, რათა იატაკზე არ გადავარდნილიყო, ცალი ხელით საწოლს ჩაეჭიდა, მეორეთი — მაგიდის ფეხს. ცდილობდა, დაემორჩილებინა დამძიმებული სხეული, მისჯდომოდა მაგიდას, მტანჯველ კითხვებზე პასუხი ეპოვა, ჩამოეყალიბებინა და ქაღალდზე გადაეტანა.

„ადექი! — კბილების ხრჭიალით უბრძანებდა თავის თავს და სიხარულით ამჩნევდა, როგორ იღვიძებდა მინავლული ღონე, როგორ ემორჩილებოდა სხეული პატრონის ნებას. — ადექი! სძლიე სისუსტეს! — ეფერებოდა, ამხნევებდა თვალგახელილ ძალას. — არ გაქვს უფლება ავადმყოფობის, უქმად ყოფნის! არ შეგფერის ემონო ბოროტსა სენსა.

ადექი! წინ წადგი ნაბიჯი! შეებრძოლე, სძლიე ბოროტსა, განამრავლე საქმენი სარგო მამულისა ჩვენისა!

ადექი, სოლომონ! შენ ხომ დიდ საქმეთათვის წამოსულხარ! ბევრი აღარ დაგრჩენია აქ და წუთიც ძვირფასია.

ერთი ფეხის გადადგმა.

მხოლოდ ერთი ნაბიჯი!

მერმე გაცოცხლდები! გაიღვი, მიხვალ. შთაჰბერავ სულსა შენსა ღვთისგან მონიჭებულს, ღვთით შთაგონებულს საქმეთა მამულისა შენისა, სადიდებლად ერისა შენისა და მეცნიერებისა კაცობრიულისა!“

მოაგლო ხელი კედელში საგანგებოდ გამობმულ ღვედს, წამოიწია. მუხლები ეკეცებოდა, ცახცახებდა, გრძელი, შავი თმა მხრებზე გადასწეწოდა. ლოყები ბრტყელ, ნაცრისფერ ლაქებს აეჭრელებინა. მხოლოდ ნაპერწკლიანი თვინიერი თვალები გამოხატავდა იმედს, გამარჯვების ზეიმს, მხნეობას, სულის სიმტკიცეს.

სკამი გაასწორა. ერთბაშად შეგრძნებული ენერგიით პატარა საწერი მაგიდა წელზე მოიყრდნო. წიგნები ნაჩქარევად გადაფურცლ-გადმოფურცლა. ჩანაწერები ჩაათვალიერა. ფეხები გაშალა. გაიზმორა. თავი გადასწია და კისრის მალები გაატკაცუნა, რაც, მუდამ, ჯანმრთელობის დასტურად მიაჩნდა. მთავარ, საცენზურო კომიტეტში მისატანი თხოვნა ჩაასწორა: „მაქვს პატივი, მთავარ-საცენზურო კომიტეტის განსახილველად წარმოგიდგინოთ ხელნაწერი როსიულ და ქართულ ენებზე სათაურით: „ფილოსოფიის კურსი, ნაწილი პირველი, ლოგიკა“.

სატიტულო ფურცლის მეორე გვერდს მზერა გაადევნა: „მის აღმატებულებას ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველს, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს და კავალერს ალექსი ალექსის ძე პეროვსკის.

თქვენო აღმატებულებავ, მოწყალეო ხელმწიფევ!

მას შემდეგ, რაც რუს მეფეთა მმართველობის მზემ ძველი კოლხეთის ჰორიზონტი გააცისკროვნა, წესრიგისა და კეთილდღეობის შუქი საგრძნობლად ვრცელდება კავკასიის კურთხეულ ქვეყანაში. ამჟამად სახალხო აღზრდამ, რომელმაც თქვენი აღმატებულების მფარველობით და დაუღალავი ზრუნვით, თქვენდამი რწმუნებულ ოლქში ბედნიერი მიმართულება მიიღო, უეჭველია, ამ აზიურ ქვეყა-

ნას ევროპული განათლებულობის საფეხურზე აიყვანს. კავკასიის ჰაბუკ შვილთა აზრი და გონება საზრდოს ეძებს...“

ამ მიძღვნამ სოლომონს ისევ გაახსენა, რომ საქართველოში წასვლის ჟამი ახლოვდებოდა. რამდენიმე დღის წინ უმცროსი ძმის — სტეფანესაგან მიღებულ ბარათს დახედა. „მამაჩემმან რაღაცა პოლიტიკა იცოდა, ისიც დაუტევა. არ ვიცი, რის მიზეზითა, და პრაქტიკაცა ეგრეთვე. მთხოვა, შენ მისწერე, სულ ერთი არისო... ჩინოვნიკებში გავლა დიდათა სძულს. სუდში ათის თუმნის საქმე რომ ჰქონდეს, არ წავა და ესრეთ ფოჩტაშიაც წიგნს ვერა ჰგზავნის“.

სოლომონს ნაღველი შემოაწვა. ამ წერილში რაღაც უფრო მეტი იგულისხმებოდა.

9

სოლომონის ავადმყოფობამ ძლიერ დააღონა იონა ხელაშვილი. რამდენიმე თვით ნიჟნი ნოვგოროდს წარგზავნილი, იქიდან ემუდარებოდა, გაფრთხილებოდა ჯანმრთელობას, ნუ გეშინია, მალე ჩამოვალ, ყველაფერს მოვაგვარებო.

„უსაყვარლესო ძეო ჩემო! აჰა, სვინდისი ჩემი მოგითხრობს, რომელსაც ჰსურს, რათა სენი ეგე წარიტრას თქვენგან და მოვიდეს ამათ ხორცთა ჩემთა, რათამცა სიბრძნისა დღესასწაული ეგე თქვენი შკოლასა შინა მაღალთა დღეთა შინა ყოველთა აღასრულოთ რვანი ჟამნი და ჟურჭელი აგე ჰაბუკობისა იქმნეს ჰიერ ზეცისა სიბრძნისა“.

დაჩოქილი დღენიადაგ ღმერთს ევედრებოდა, სოლომონის სენი მე შემყარე, მოხუცი ვარ, მამულს აწ ბევრს ვეღარას ვარგებ, სოლომონი კი ჩვენის უბედურის ერის ნუგეშიაო. ისიც უხაროდა, რომ სულიერი შვილი ხორციელად სუსტი იყო და ხორციელი უძლურება სულს განუძლიერებდა. პეტერბურგს დაბრუნებისთანავე, იონამ გამოსაცემი ხარჯებისათვის ფული მოიპოვა, ხელნაწერი გაამზადა, და, რადგან სოლომონი დასკვნითს გამოცდებს აბარებდა, ბეჭდვასთან დაკავშირებული მთელი დავიდარაბა თვითონ იკისრა.

მაისში დოდაშვილმა გამოცდები წარჩინებით ჩააბარა და წიგნიც დაისტამბა.

— ესე არს უბედნიერესნი ჟამნი ჩემის სიცოცხლისა! — ქვითინებდა ბერი და წიგნსა და ავტორს გულში იკრავდა.

აუწერელმა სიხარულმა სოლომონს ყოველი სნება და მხურვალება გადააავიწყა. თავისთავის რწმენამ და იმედმა ფრთა გამოასხა. შეუძლებელი და მიუღწეველი აღარაფერი ეჩვენებოდა.

ახალჩამობეჭდილ წიგნს სტამბის საამო სურნელი ასდიოდა, რომელსაც ვერავითარი ამბრი ვერ შეედრებოდა.

სულიერი მამა-შვილი ყმაწვილებივით შესციცინებდნენ ყოველ ფურცელს, ყოველ გვერდს, ყოველ სიტყვას, ყოველ სასვენ ნიშანს. ვერ ძღებოდა სათაურის კითხვით:

Курс философии
Часть первая
Логика
Сочинение Соломона Додаева-Магарского
Санкт. Петербург
В типографии Александра Смардина

სოლომონისთვის ნაცნობი გრძნობა იყო: დამაშვრალი კაცი გატანილ სვრელს რომ გახედავს. გამოცდებიც არ იყო იოლი, მაგრამ წიგნი მაინც სხვაა. მამაზეციერს ევედრებოდა, ეპატიებინა ამქვეყნიურ საქმეთა გამო ესრეთი ზრუნვა და სიხარული. ზოგჯერ, არც ეგონა, თუ მას ეკუთვნოდა, თითქოს, მის მიერ სტამბაში ჩაბარებული ხელნაწერი და ეს, წიგნად გამოსული, სრულიად განსხვავებული რამ ყოფილიყო. ნეტარებით განიცდიდა გაუცნობიერებელ აზრს, რომ ამიერიდან მისი პირადი ფიქრი და აზრი მთელი კაცობრიობის ფიქრსა და აზრს შეუერთდა. მისმა შეხედულებებმა საყოველთაო მნიშვნელობა მოიპოვა. ადამიანთა წარმატების გზაზე საკუთარი ნიშანსვეტი აღმართა და საკუთარი სანთელი აანთო.

იონას გულს უხარებდა მადლიერების სიტყვები: „ამ თხზულების ავტორი სასიამოვნო ვალად რაცხს, ამცნოს მოწყალე მკითხველს, რომ მის გამოცემაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა მისი ღირსება, მღვდელ-მონაზონი იონა“.

ბერს სწამდა, რომ ეს პირადი სიხარული კი არ იყო, არამედ მამულის წარმატება.

„ჯერ სამათეული წელი არ გასულა, რაც რუსთა თანა ვართ, და

გვყავს ყოველად განათლებულნი ყმაწვილნი, რომელნიც როსიულთ ენაზე თხზავენ ესეითართა საბრძნო თხზულებათა ჩვენის გონების სიფხიზლის მაგალითად. მთელს იმპერიასა შინა იქნების ოცდაორის წლის ქართველის ჭაბუკის მიერ შეთხზული ესე წიგნი სახელმძღვანელოდ. ესე არს ნიშანი თანამემამულეთა დიდისა ნიჭისა, შრომისა, სიბეჯითისა და სწავლისა და მეცნიერების მოყვარეებისა. უწყოდეს ევროპამ, რომე ძველისძველი ნათესავი ჩვენი ფხიზლობს და გაჰყურებს წინ!“

იონამ იცოდა, ასეთი ნაშრომის მადლს ყველა ვერ მისწვდებოდა. ისიც იცოდა, წიგნი ყველა დაინტერესებულ მკითხველამდე ვერ მიაღწევდა, ამიტომ არ დაუტოვებია არც ერთი ქართული ოჯახი, სადაც თვითონ არ მიეტანოს და არ აეხსნას მისი მნიშვნელობა. ცნობილ მეცნიერებს, ბიბლიოთეკებს, რედაქციებს ფოსტით გაუგზავნა.

ახლა, ბაგრატ ბატონიშვილთან რომ ადიოდა იღლიაში ამოჩრილი „ლოგიკის“ ერთი წარწერიანი ეგზემპლარით, თავის თავს ჰაიცხავდა ნიშნის მოგების განზრახვისათვის. „ნახოს მეფის ძემ, ჩემი რომ არა სჯეროდა, რა შესძლებია ერთი საწყალი ქისიყელის გლეხის შვილსა! რამდენი მახვეწა და მაევედრა, რათა ღირსეულად მოპყრობოდა ნიჭიერს ყმაწვილს კაცსა! მაგათნი ათასიც იქნებიან აქა, როდის-როდის მოსულან, აბა, ერთმან თუ რამ ასეთი იღვაწა! არცა შეეწეოდნენ რიგიანად და ჰყო სიდუხჭირემ სნეულად, მაშინ, ოდეს ათასებსა განაბნევენ ტანცი-მანცისთვის!“

— წარვსდგეთ ბაგრატთან! — უთხრა, ცოტა რა იყოს, შეფიქრიანებულ სოლომონს. — ნახოს მან და გაიცნოს, ვინ იყავ მისთა შვილთა მასწავლებელი, რომელსაც ღირსებით არ შეგიწყნარებდეს!

ინება ბაგრატმა მათი მიღება. გამოვიდა ჩაცმულ-დახურული, ამპარტავნულის იერით. წარსდგა ბერი. თაყვანი სცა და მოახსენა ღირსებით:

— დღეგრძელო მეფის ძევ, ღენერალო და სენატორო! ღმერთმა ინება კეთილი მამულისა ჩვენისა! დაიბეჭდა ხელმწიფისა საბეჭდველსა შინა წიგნი თანამემამულისა ჩვენისა, უფლისა დოდაევისა!

„ლოგიკა“ ზეიმურად აღმართა. ირგვლივ, სივრცეში, შემოატარა, თაყვანებით გადაფურცლა, გადმოფურცლა, სატიტულო ფურცელზე შეჩერდა და ბატონიშვილს ფასდაუდებელ განძად გაუწოდა.

სანამ გამოართმევდა, ბაგრატმა სატიტულო ფურცელს მზერა ჩააყოლა და სახეზე საოცარი გაკვირვება გამოეხატა. ბერმა ისარგებლა ამ შეყოვნებით, წიგნი ორივე ხელით გულზე მიიკრა, ჯვარი გარდასახა და ისე გაუწოდა.

ბაგრატი რამდენიმე წუთს პირდაღებული დაჰყურებდა ნაშრომს. დარბაზში ერთბაშად მოგროვდნენ კნეინა ეკატერინე, იარალი, ნიკოლოზი, ალექსანდრე, გიორგი, ბარბარე, რომელნიც სამოახლოში საკერავს, ქისასა და ქარგას უსხდნენ.

— ესე რა გველირსა ღვთისაგან ქართველთა! გიხაროდენ, ივერია! — აღაფრთოვანებდა მათ ბერი. — სამეფონი სქესნი ჰკვირობენ! უმაღლესთა სახლსა შინა მარიამ დედოფლისასა მისული რუსნი ყითხულობენ დიდ ფრიადსა გულმოდგინებით და კმაყოფილებით. სხვადასხვა სახლთა შინა უჩვენებენ: იხილეთ, ესერა, ქართველმან დათხზა.

— ბერო, ვითარცა შენ მიქებდი ჩემის შვილების ოსტატსა, ჰეშმარიტად ისეთი ყოფილა.

ბატონიშვილისთვის სოლომონი ახლა სულ სხვა კაცი იყო. ღირსეული მოკრძალებით შეჰყურებდა და, იქნებ, კიდეც ნანობდა, ასე რომ აწყენინა.

— გაშვსთ ქისიყელთ საგანი ამპარტავნებისა!

— დიახ! — დაუდასტურა ბერმა, — ქართველის კაცის ნაწერი რუსულად! ისიც, ფილოსოფია!

— მიწევნილ ხართ დაფარულ მცნობელობაში.

ბაგრატმა წიგნი სასტუმროში გაიტანა, ხატის წინ სამჯერ პირჯვარი გამოისახა და გამოვიდა.

— არ უკვირსთ ქართველთ ფილოსოფია! — აბუჩად თქვა იარალიმ, რომელსაც არ მოეწონა ბერის მიერ ამდენი ქება ტანჯული და სამოწყალო მდგმურისა.

— ვისცა ესმის, განუკვირდების ფრიად!

— გვყავდა პეტრიწი და რუსთველი!

— მაშინ სხვა იყო, ახლა ევროპაა!

— გვყავდა ანტონ დიდი.

— ისიც სხვა იყო! ესე არს უმაღლესი ყოველთა.

— რას მიჰჭვარავ, ბერო! იქადიდა ივერია ფილოსოფიითა და სიბრძნითა!

— ის დრო განქარდა.

— ვინ არს საქართველოში ამის წარმკითხველი და გამგები! — ჭორივით მიაჩერდა იარალი.

— იქნების!

— ბერო, შენ ოცი წელიწადია, აქა ხარ, სულ რაღაცას წერ და და შენი დაბეჭდილი ვერა ვნახეთ რა. ეს ოთხი წელია მაღაროდან პეტერბურღს ჩამოსულა და უკვე ლოგიკა ქნა.

— „ქნა“, ნეხვი ხომ არაა, ბატონო მოურავო!

იარალმა იწყინა, „მოურავი“ რომ უწოდა.

— შე მართლა ვაქირელო ჩოჩინავ, ჯერ ხო არ დაგიყნოსავს და საიდან იცი, რო ნეხვი არაა?

— სიბრძნის მაძიებელსა არა თანა აქვს სმა-ჭამა და ძილი, — იონამ დაჟინებით შეხედა იარალის ქონმორეულ სახეს: — განრთობა და მხიარულობა, თურაშაულივით ლოყები და სტაფილოსავით ცხვირი.

— შენგან ვის ეკადრება ეს ამდენი შეურაცხყოფა! — განრისხდა იარალი, კედელზე წუმწუმის ასანთი გაჰკრა და ჩიბუხს მოუკიდა.

— შემიდგენია მეც ლექსიკონი ქართულ-რუსული და სხვანი საღვთო წიგნნი მრავალნი. მსოფლიურთა საქმეთა შინა გარევა არა მწადს და ყომარბაზობას ეგ არა სჯობია? არს ავქსონი ამა წიგნისა სულიერი შვილი ჩემი.

— აი, გაგიხმეს, გოგრა თავი! გვარცხვენ ქისიყელთ.

— ბერო, ეგეთი ამპარტავნობა ბერისა იქნება? — გაწყრა ბატონიშვილი.

— ჩუქში, ჩუქში! შე ეშმაკზე შესასმელო! — ვეღარ ცხრებოდა იარალი.

— მადლობა მომიხსენებია, შანშიაანთ უფლისწულო!

— გეყოფათ ქისიყურად გასწვრივ ლაპარაკი! — დააწყნარა ბატონიშვილმა. — ამას იქით რაღა უნდა იყოს?

— ესე ლოგიკა არს დისერტაცია ამისი. ამ მაისს ამან დაასრულა კურსი უნივერსიტეტისა წარჩინებით. მითხრეს პროფესორებმა, რომელ გვასახელა ერნი ივერიისა, რომელ ყოველს ეგზამენიაში გამოსჩნდა უაღრესად. აგზავნიან თბილისში, მაგრამ არ აძლევენ პრაგონსაგზურსა, სახელმწიფო ბლისტით არ აღზრდილხარო. ურჩევდნენ ამას ექიმნი გაცლასა პეტერბურგსა ჰავისაგან და უკუმოქ-

ცევას თვისსა მამულსა შინა, მაგრამ გასწირა თავი თვისი და პირველმან ქართველთაგან განასრულა ესრეთ ყოველის დისერტაციით უმაღლესი სწავლა რუსეთის უნივერსიტეტისა შინა. თქვეს თუ წიგნი ესე მიღებული იქნება მთელს როსიასა შინა სახელმძღვანელოდ ლოგიკისა, სთხოვეს დიდთა პროფესორთა სოლომონს, დარჩენად უნივერსიტეტსა შინა საპროფესოროდ მომზადებისათვის, გარნა ილტვის ესე მამულიშვილი სამშობლოდ, რამეთუ იცვალოს ქვეყანა ჩვენი ღვარძლისაგან იფქლად, შესცვალოს ბნელი ივერიისა ნათლად, გლოვა — სიხარულად. წერს ეხლა ნაწილსა მეორესა ფილოსოფიისასა „ლოგიკურს მეთოდოლოგიას“ და „გამოყენებითს ლოგიკას“.

— მითხარ, მამაო, რაი არს ფილოსოფია, რაი ლოგიკა და რაი კატიღორია?

— ფილოსოფია არს მცნობელობა ბუნებისა და თვისებისა, დამაფუძნებელი მცნობელობათა ზედა გამოცდილებათა და განზრახწულებათა ჩვენთა. ფილოსოფია განიყოფების ოთხს ნაწილად: ლოგიკა, ზნეთსწავლება ანუ ითიკა, ფიზიკა და მეტაფიზიკა.

ლოგიკა არს სწავლა მაჩვენებელი კანონისა, რომლისა ძალით გონებაი ჩვენი მოქმედებად თანამდებ არს მცნობელობათა შინა ნივთთასა, ვითარცა საკუთარისა მოძღვრებისათვის თვისა თვისისა. იგი მოგვსცემს ჩვენ ნამდვილთა კანონთა განმსაძღვრებად, ყოველისა უკვე საგნისა განწვალებად, განსჯად და აღმოჩენად, კანონიერთა შედგინებათა.

— ლოღიკა არაოდეს განიყოფების, იგი არს ჰსწავლა გულისხმისყოფისა, ხოლო გულისხმისყოფა განიყოფების თვისსა მოქმედებასა ზედა არა გარეგან, არამედ შინაგან ფორმაული არს. — ჩაერია სოლომონი, რომელმაც ვეღარ მოითმინა სულიერი მამის მოძველებული აზრები.

— რაი არს ჰეშმარიტება?

— შემეცნება, რომელსაც კარგი საფუძველი აქვს, ჰეშმარიტია. ის შემეცნება კი, რომელსაც საკმაო საფუძველი არ გააჩნია, მცდარია. — მიუგო სოლომონმა.

— რაის მიზეზით ვსცნობთ ჰეშმარიტებას?

— ჰეშმარიტი შემეცნებიდან გამომდინარე შემეცნება ჰეშმარი-

ტია. ყველა ადამიანი მოკვდავია — ონოფრე ადამიანია, მაშასადამე, ონოფრე მოკვდავია.

მიიჩნიო ჰეშმარიტად ნიშნავს, დაეთანხმო მას. თანხმობის საფუძველს შეადგენს მიზეზის ან საფუძვლის ჰეშმარიტად აღიარება. საფუძვლის დამყარებით უნდა დამყარდეს შედეგიც.

— საგულისხმიერო არს ფრიად! — კმაყოფილებით წარმოთქვა ბაგრატ ბატონიშვილმა, თუმცა, ეტყობოდა, ბევრი ვერაფერი გაიგო.

— მოურავს უკეთ ეცოდინება! — ისევ გადასწვდა ბერი იარალის.

— არა, შენის ლამპარმანით ვსცხოვრობთ, ეტყობა შენს ანაფორასა!

— სოლომონის ლოგიკა რას დაამტკიცებს: ღმერთი არს თუ არა? — ჰკითხა ბატონიშვილმა.

— სულისა მოქმედებანი იწყებიან ტვინსა შინა. — მიუგო დოდაშვილმა. — მე არ მოვიხსენიებ ღმერთსა, მის ლოგოსსა და განგებასა, ვითარცა სხვანი ყოველნი იქმნენ.

— მაშ, ვოლტერანული ღვთის გმობაა? — წარბი აზიდა სენატორმა.

— უი, ჩემს თავს! ვინ მოგახსენათ? — წამოიყვირა ბერმა. — ღმერთი როგორ არ სწამს. ისეა, ვითარცა ახლანდელი საუკუნე იჩვენება.

— წინასწარმეტყველთ ტომი ხართ მაღაროელნი და ვაჭირელნი! — წაიბუზღუნა იარალიმ.

— შენც დიდად შორს არა ხარ ჩვენგან, მოურავო!

— ჩუმად, ბერო, თორემ გამოგაბამ კუდსა! — განრისხდა იარალი.

— რას მიწყრები რა, თუ ხუმრობა არ იცი, ვერ წახვალ სამოახლოში?

— წავალ, სადილი მოდის. და, რაც იქ პურსა და ღვინოს შემოიტანენ, ჩვენი იყოს, ხოლო რასაც თქვენის ლოგიკის ლაქლაქით დაამტკიცებთ, თქვენ მიირთვით. რომელ ჩახოხბილს ჩვენ ჩამოვდგამთ, ღმერთმა შეგვარგოს და რასაც შენ და ეს მაღაროელი თქვენის ფილოსოფიით ვარიებს გამოჩეკავთ, ის ღმერთმა თქვენ მოგახმაროთ! — გავიდა იარალი.

— არა გესმის რა! — მიაძახა ბერმა. — ამა ჭაბუკსაც შეეძლო საქართველოსა შინა ცხოვრება, მაგრამ სიყვარულისთვის მამულისა დასტოვა ყოველი, რათა სწავლითა უფრო სასარგებლო ექმნეს ქვეყანას.

— გეშველება ამით?

— არს მშვიდობა. ქვეყანა ცოტა მოშენდა. დაბა-ქალაქები გაცოცხლდა.

— მეფის ერეკლეს ანდერძი ასე არს, ეს დამტკიცდეს და მაგათის მფარველობის და ჩვენგან რაოდენ შესაძლებ სამსახური იყოს, გვიმსახუროს და მიირთოს.

— უავგუსტოესი მონარხი ჩვენი ჰზრუნავს თანასწორ ყოველთათვის ქვეშევრდომთა მისთა, — თქვა სენატორმა.

— აი, ჩვენო ბატონო — ქება დიდი სოლომონის „ლოღიკისა" „პჩელაში" და „ტელეღრაფში" და სხვაგანაც ბევრგან იქნების! — გამოაჩინა იონამ ახალი ჟურნალები, სადაც დოდაშვილის ნაშრომზე რეცენზიები იყო დაბეჭდილი.

— ქართულად რად არ გამოეცით?

— მზად გვაქვს ისიცა და გამოვსცემთ.

— კარგი თხზულებაა. ჰეშმარიტად, გმადლობთ, იოანე, რომ მეც არ დამაგდე უწიგნოდ. — დატკბობით მიუგო ბატონიშვილმა, რომელიც საუბარს დიდი ყურადღებით ისმენდა, ხოლო სოლომონი უფრო და უფრო ისე შეცვლილი და წარმოსადეგი ეჩვენებოდა, თითქოს სხვა კაცი ყოფილიყო.

— მესმის, ვითარ დიდი იყო ხარჯი ამის გამოცემისათვის. სამუშაფოდ რაი გნებავს, ჩემო ფილოსოფოსო?

დოდაშვილმა სიტყვის დაძვრა ვერ მოახერხა. ბატონიშვილი შიგნით საწოლში შებრძანდა და ათი ბაჯაღლოს ოქრო გამოატანა და გაუწოდა.

სოლომონმა იგრძნო, რომ ძველი შეურაცხყოფა აქამდე ვერ მოენელებინა და ასეთი ამპარტავნობისათვის თავისთავზე ბრაზი მოერია.

ბერმა შეამჩნია სულიერი შეილის უხერხული მდგომარეობა და ბაჯაღლო ოქროები დიდის მოწიწებით ჩამოართვა მეფის ძეს. ხელი ეამბორა. ღმერთი გწყალობდეთო, უთხრა. ასე რომ, ახალგაზრდა ავტორს ხმის ამოღება არ დასჭირვებია.

ამასობაში ყველანი სადილზე მიიწვიეს, სადაც მოართვეს საგანგებო ჭაშნიკი პირჯვარის ქვევრიდამ.

გაშლილი სუფრის დანახვაზე იონამ ხელი ხელს შემოჰკრა.

— შენ რა გიხარია, ვაქირელო, — გაექილიკა იარალი, — ფილოსოფოსთათვის იქ ცალკე გვაქვს სუფრა გაწყობილი და მიირთვით თქვენი ლოღიკა, კატიღორია და ითიკა!

სოლომონი მგზავრობაზე ფიქრობდა. გუშინ დიპლომის მისაღებად და სამსახურში დანიშვნის განკარგულებისათვის ხელწერილი ჩამოართვეს. „ამა ხელწერილს ვდებ მას ზედან, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ და არც მომავალში ვიქნები რომელიმე მასონთა ლოჟის ან სხვა საიდუმლოს საზოგადოების წევრი“.

სოლომონის ფიქრი თავს დასტრიალებდა საქართველოში დაბრუნების საამურ და ბუნდოვან გეგმებს.

ის იყო მაგიდას შემოუსხდნენ, რომ დარბაზში შემოვიდა წარმოსადეგი კამერჰერი ზაქარია ჩოლოყაშვილი, ბატონიშვილ რიფსიმეს ვაჟი, რომელიც სოლომონთან ერთად აპირებდა სამშობლოში გამგზავრებას.

10

— ჩვენი მამული სხვამ რათ უნდა დაიჭიროს! ას ოც ომს დასწრებიხართ, ასი ჭრილობა გაქვთ, ასი ათასი ყიზილბაში, ლეკი და ოსმალო შეგიმუსრავთ, წელს თავრიზი აგიღიათ, ესოდენ ნამსახურს ხელმწიფის კაცს ასე გეკუთვნოდათ?! ახლა ძია ვარლამი! სინოდის წევრი! მიტროპოლიტი! ეგზარქოსი! ეს ჰირნახული მოვიმკეთ ქსნის ერისთავებმა! — ფიცხად ელაპარაკებოდა ოცი წლის პირმშვენიერი პორუჩიკი ელიზბარი, ავადმყოფობის საბაბით პეტერბურგიდან ორიოდე თვით თბილისში დასასვენებლად ჩამოსული, ღვიძლ ბიძას, გენერალ-ლეიტენანტს, სენატორს, „ჰერიჰად“ წოდებულ „დიდ კნიაზ“ გიორგის.

— ხელმწიფე შეაცდინეს ტყუილი ცნობებით. სენატმა საქმე დააბრუნა და ახლა ახალ ხელმწიფესთანაა განსახილველად. პასუხს ველოდებით. — რაც შეეძლო ამშვიდებდა გენერალი აგზნებულ ძმისწულს, რომლის ძარღვებში ქსნის ერისთავთა შფოთიანი სისხლი ჩქეფდა.

— ნუთუ, ესოდენ ნამსახური ხალხი ოსებისათვის უნდა გადაგვიმტვრონ!

მთელი საგვარეულო ჩახმახზე იდგა იმის გამო, რომ, მთავრობის გადაწყვეტილებით, ქსნის ხეობის ოსებით დასახლებული ნაწილი, რომელიც უხსოვარი დროიდან მათ საფეოდალო სამფლობელოში შედიოდა, სახელმწიფო მამულად უნდა გამოცხადებულიყო. დიდი შანშესა და იასეს შთამომავლებს, რომლებიც მეფეებს, არაგვის ერისთავებსა და ამილახვრებს სისხლს უშრობდნენ, ნადირშაჰს არ ეპუებოდნენ, ჩრდილოეთის ხელმწიფეს სულითა და გულით ერთგულებდნენ, მეორედ მოსვლის ნიშნად მიაჩნდათ ეს ამბავი.

„ამბობენ, გაისიდან ფეხს არ დაგვადგმევინებენ ჩვენს მიწაზე!— მწარედ გაიფიქრა „ჰერიჰამ“, რომელიც ყმაწვილზე ნაკლებ როდი განიცდიდა ამ შეურაცხყოფას. — ქსანი, ასწერიე და გასწერიე, ულუპაპათგან ჩვენი ყოფილა და ჩემს დროს კი უნდა დავკარგოთ! საქართველოს პირველი მემამულენი ვიყავით და ამიერითგან უკანასკნელნიც აღარ ვიქნებით. როგორ გამიბედეს! ვისი ნამოქმედარი უნდა იყოს? მაშ, ხელმწიფეს ჩემი რა ჯავრი უნდა ჰქონდეს?!“

ელიზბარი ქსნის ერისთავთა ქორული მზერით მისჩერებოდა ბიძას, რომლის იმედიც ჰქონდა და რომელიც ახლა თავისზე უმწეოდ და სასოწარკვეთილად ეჩვენებოდა. ირიბად გაჭრილ თვალებში მწარე ირონია უტრიალებდა, კოკობი ულვაშებით მოხაზულ სქელ ტუჩებზე ცივი ღიმილი გაჰყინვოდა და სრულიად შეუმჩნეველად თავს იქნევდა.

პეტერბურგიდან რომ მოდიოდა, მყუდროებაში სულს მოვიბრუნებო, იმედოვნებდა. აქ კი უარესი უნუგეშობა დახვდა. საშინლად გააღიზიანა მამის უმოქმედობამ და სიმუნჯემ. ერთბაშად წარმოუდგა, რომ სწორედ მამამისს, პოლკოვნიკ შანშე ერისთავს ეკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა ახალი ხელისუფლების დამკვიდრებისათვის. გაახსენდა მისი ჯილდოები, ჩამოსული უფროსებისადმი გახელებული სიყვარული და მონური ერთგულება. ჩაებეჭდა, აღენთო ჭაბუკურ გულში ყველაფერი ეს, და მშობელი მამა ისე შეიძულა, დასანახად ვეღარ იტანდა. ბავშვობიდანვე ბატონიშვილთა შორის გაზრდილი, დედით საქართველოს უკანასკნელი მეფის შვილიშვილი, მოუსვენარ წრეებში გართული პორუჩიკი, რომელმაც ზეპირად იცოდა რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ და საბრძო-

ლო მოწოდებასავით წარმოთქვამდა, ყველაფერში თავის მამის დანაშაულს ხედავდა. „ესენი შენ შემოიყვანეო!“ — ბევრჯერ წამოსძახა.

ოძისსა და ახალგორს ერთ დღეს ვერ გაჩერდა. თბილისში ან ვინმეს პატიჟობდა ან თვითონ გახლდათ დაპატიჟებული. ოქროს ძეწკვებით შემკული ჩოხის გულმკერდი, ერეკლეს „მორიგე ლაშქრის“ ოფიცერივით, ვერცხლის ყაწიმებით ჰქონდა გაწყობილი. ქალაქში თეთრი ყაბარდოული ბედაურით დასეირნობდა. საკრებულოში ბანქოს თამაშობდა ან მეგობართა ბინაზე ღამეებს „ვისტის“ და „ბოსტონის“ ქარიშხალში ათენებდა.

— ერმოლოვი მეუბნებოდა, სამღვდელოება ითხოვს ოსების განთავისუფლებას ერისთავებისა და მაჩაბლებისაგანო.

— სამღვდელოებას რა ხელი აქვს?

— არიან მისიონერნი ოსთა შინა ქრისტიანული შჯულის საქადაგებლად. ისინი მოახსენებენ ხელმწიფეს, ვითომ, ჩვენ, ერისთავნი, ვტაცებდეთ მათ ბავშვებს და ვჰყიდდეთ ოსმალოში, ვძარცვავდეთ და ამისთვინ არ ძალუძდეთ ოსთა, ირწმუნონ შჯული ქრისტესი..

— მოგონილია მტერთაგან!

— გამოუძიებლად არ მოხდება.

— მერმე, მრუდის სამართლისა რა იმედი გაქვსთ?

სენატორსა და გენერალს, დიდი იასეს ძეს და მეფე გიორგის სიძეს, რომელიც იმ დროს სამოცდაათისა იყო და ერთი ამდენი კიდევ უნდა ეცოცხლა, ძლიერ უჭირდა ანთებულ ჭაბუკთან თავისმართლება, და იძულებული იყო უფრო ნაკლებ ელაპარაკა.

ამ კაფანდარა მოხუცს ბრძოლის ველზე მტერთან პირისპირ შებმა და ლექსის წერა ეხერხებოდა. იმხანად მთელს იმპერიაში სალაპარაკოდ გამხდარიყო თავრიზთან მისი ბრწყინვალე გამარჯვება.

— ესაა ღვაწლის დაფასება, რომ მამაპაპეულს გვართმევენ, ფრანციის კონსული გამბასათვის კი იმერეთში ორასი ათასი დესეტინა მიწა უბოძებიათ? — შეჰყვირა ელიზბარმა.

— ამ თხუთმეტისა წლის წინათ, უმაღლესი რესპუბლიკით ქსნისა და გვერდისძირის ადგილები რტიშჩევს უნდა მიეღო სახელმწიფო მფლობელობაში და ჩვენ კი, სამუქაფოდ, წლიურის შემოსავლის ანგარიშში, ათი ათას ვერცხლს გვპირდებოდნენ. ეს საქმე მე ჩავშალე.

— მაშ, დღეს რაღა მოხდა?

— ჩვენმა ყმებმა მას შემდეგ ნათელ იღეს ქრისტეს სჯული.

— გვავიწროებენ და გვაიძულებენ ერთგულ თავადებს, ერთგულნი აღარ ვიყვნეთ. თქვენი არ ვიცი, და, მე კი, ჩემდა თავად, ვერ ვაპატიებ ოსეთის წართმევას! — მძულვარებით სახე მოეღრიცა ელიზბარს.

— მოთმინება გვმართებს!

— რის მოთმინება! მე და ჩემი ძმა ხელმწიფის ოფიცრები ვართ, მის მტრებსა ვმუსრავთ! მე კარგი შემოსავალი მჭირდება, აქ კი ჩემთვის მამულები ჩამოურთმევიათ. ჩემი ძმა გვარდიის ჰუსარია. თუ კერპთა მოქცევას მართლა კეთილის საქმეებით აპირებენ რატომ დაურბევია გენერალს რენენკამფს საწყალი სამაჩაბლოს ოსები?

— ჩუმად, ვეჟო, ემანდ არ დაგავიწყდეს, ხელმწიფის ოფიცერი რომ ხარ და მორჩილება გმართებს! — ცოტა არ იყოს, მკაცრად გააფრთხილა სენატორმა, რომელსაც გულს აკლდა, მაგრამ მთლად ასე მაინც არ უყურებდა ამ საქმეს.

— ჩვენი წინაპარნი შიშველი ხმლით იბადებოდნენ, ქსნის ერისთავთ არ უცვნიათ თვით მეფე, მათი მაწყენინებელი.

ჯაღებითა და კანდელაბრებით გაჩახჩახებულ დარბაზში ისხდნენ. კედლებზე არაბესკები და ინგლისური გრავიურები კიაფობდნენ. დროდადრო დასადგურებულ სიჩუმეს ბრინჯაოს საათის ქანქარის თანაბარზომიერი რხევა არღვევდა.

„თქვენი ბრალია! თავიდანვე უნდა გცოდნოდათ! ყველაფერი თქვენი ბრალია!“ — იმეორებდა გულში ელიზბარი და დაძაბული დაჰყურებდა ღია ფანჯარაში მოყურადებულ სიერცეს.

მსახურებმა წყლით სავსე ალთაფები, ტაშტი და პირსახოცი ჩამოატარეს. სტუმარ-მასპინძელს ხელი დააბანინეს. სანამ ბიძა-ძმისწული მასლაათობდნენ, დარბაზში სადიდვახშმო სუფრა იშლებოდა. მართალია, გარეშე არავინ ჰყავდათ, მაგრამ, როცა შანშე ერისთავმა გაიგო, უმცროსი ძმა უნდა მეწვიოსო, რათა შვილს არ შეხვედროდა, ახალგორს წასასვლელად მოემზადა, მზარეულუხუცესს კი უბრძანა:

„ხვალ სანაქებო ვახშამი მოამზადე. კარგი ცხვრის ბოზბაში, კარგი ხაშლამა, კარგი ხოხბის ფლავი, კარგი ჩახოხბილი ქათმები,

კარგად შებრაწული ტაბაკა, სუკის მწვადები, კარგი გამტკიცული შოთები“.

— იქნებ, ბატონიშვილთა ხელიც ერიოს ამ საქმეში. — ფრთხილად ჩაურთო სენატორმა.

— დიმიტრი ბატონიშვილს დიახ ბევრჯერ უბრძანებია, ოსეთი მამიჩემისგან მე და ოქროპირს გვეკუთვნისო. — უცებ, რაღაც გაახსენდა ულიზბარს, — არ მესმის, საიდან უნდა ეკუთვნოდესთ მათ ჩვენი მამულები!

— ამასაც ხომ ჰხედავ, ყმაწვილო! ქართველები სულ მუდამ ერთმანეთის შურში ვიყავით. თუ ბატონმა თავის ყმას არ წაართვა, შიმშილით სული ამოხდება. ცხონებულმა მეფე ერეკლემ ჩვენი საერისთაო გააუქმა და თავის შვილს იულონს უბოძა. ოქროპირი და დიმიტრი იულონის ძენი არ არიან?! ამისათვის გეუბნებიან ჩვენ გვეკუთვნისო. ოქროპირს ეხლა დიდი გრაფის ქალი ჰყავს ცოლად, მილიონის ქონება აქვს და, უცილოდ, ისიც, თავის მხრივ, უჩუჩხურებს მთავრობას.

ელიზბარი დააბნია ამ უსიამოვნო ცნობამ, მაგრამ უცბადვე გონს მოეგო.

— ქსნის მამულები ჩვენია და ვერავინ შეგვეცილება! კარგი იყო თუ ავი, მაინც, ნეტავ იმ დროს!

გრძელს, განიერს ყალანქრის სუფრაზედ ოქრო-ვერცხლის სურები ჩამოდგეს, წითლის კახურით. შუაში, იქა-აქ, ვერცხლის სანაყურები. მურასა ლავაშები და გამტკიცული მრგვალი პურები ყველას სათითაოდ მიართვეს. მოხატულის ხონჩებით კერძებიც ყველას სათითაოდ ჩაუდგეს.

წყნარად შეექცეოდნენ. სასმურებს სცლიდნენ და, პურობის რიდით, ცოტა უფრო დინჯად განაგრძობდნენ საუბარს.

დიდხანს არ გაუვლია, რომ მათ შემოემატათ მხარბეჭგანიერი, ქერა, ჭარმაგი სტატსკი სოვეტნიკი, ანდრია იაკობის ძე მელნიკოვი, თბილისის პოლიცმეისტერი, ელიზბარის უფროსი დის — მელანიას — მეუღლე, რომელსაც ყველანი, მათ შორის, „თავრიზის გმირი“, ფეხზე ადგომით მიესალმნენ და სუფრასთან მიიწვიეს.

ანდრია მელნიკოვი თავის თავს „ძველ კავკასიელს“ უწოდებდა. ჯერ კიდევ ციციანოვის დროს დაეწყო აქ სამსახური, მამაცობისათვის გიორგის ჯვარიც დაემსახურებინა და ის დროც ახსოვდა, როცა

ჩექმის წრიპინზე და კარტუზის გამოჩენაზე ქალები და ბავშვები წივილ-კივილით გარბოდნენ.

პირველ ხანებში, ანდრია იაკოვლევიჩი ხშირად იტყოდა ხოლმე: „კარგია ახლა ჩვენს დალოცვილ ჩრდილოეთში! აქ კი, სულ კლდე და ღრე, კლდე და ღრე!“ მერმე, თანდათან შეეჩვია აქაურობას და, თითქოს, თავს იმართლებსო, ამბობდა: „ვინც ამ ცას და მთებს იხილავს, იგი სამუდამოდ მისი ტყვეა!“ ბოლოს, ნეტარებით ჩაუშვა ღუზა, „პოეზიისა და სიყვარულის“ კუნძულზე. ყველა აღიარებდა, რომ ცხოვრებაში გამოწრთობილი, განათლებული და ნაკითხი კაცი ბრძანდებოდა. შესანიშნავად მღეროდა, ცეკვავდა, ფორტეპიანოსა და გიტარაზე უკრავდა. ალექსანდრე ჭავჭავაძისა და იაგორ ჭილაშვილის სასურველი სტუმარი გახლდათ.

ზნეობრივად, ზოგი ამტკიცებდა, ჯიბიდან გავარდნილი მძარცველიაო. ზოგიც იფიცებოდა — ასეთი უანგარო და პატიოსანი მოხელე ჯერ არ გვყოლიაო.

მართალი ის იყო, რომ მელნიკოვმა ვეებერთელა ევროპული სტილის სახლი აიშენა მეიდანზე, ქვემოთ ფეშენებელური მაღაზიებით, რომლებიც შვეიცარიელ ვაჭრებსა და ოსტატებს მიაქირავა. მაგრამ, განზრახ ივიწყებდნენ, რომ თბილისის პოლიცმეისტერს, თუკი იმის ნახევარს იკისრებდა, რასაც მისი კოლეგები აკეთებდნენ, ათასჯერ მეტი სიმდიდრის მოხვეჭა შეეძლო.

მელნიკოვის მიმართ შური მას შემდეგ გაიბერა, რაც ეს რიგითი მოხელე ქსნის ერისთავთა ძლევამოსილ ოჯახს დაუსიძევდა, დიდძალი ქონების წილში შევიდა, და მშვენიერებით განთქმული ქართველი თავადის ქალი შეირთო, რომელიც, მიუხედავად ძმებთან გაყოფის თაობაზე წარმოშობილი უსიამოვნებისა, ჰეშმარიტ ერთგულებას უწევდა.

ოსეთის ჩამორთმევის საქმით ანდრია მელნიკოვი ცოლისძმებზე ნაკლებ როდი გახლდათ დაინტერესებული და, როგორც კი გაშლილ სუფრას მიუჯდა, გემრიელად ილუკმებოდა და, რაკი ქართული დედაენასავით შეეთვისებინა, თან, სენატორისა და პორუჩიკის კამათს ყურადღებით უსმენდა.

— აქამდე ხელმწიფის ერთგული ვიყავი, მაგრამ, თუ ოსეთი ჩამოგვართვეს, ვეღარ ვიქნები ერთგული. რა გული გამიძლებს. ჩვენ ჩავაბარეთ ქვეყანა და ისევ ერისთავებმა უნდა გავაცილოთ აქედან.

— ყმაწვილი ბრძანდებით და სისხლი გიდუღთ, ძმისწულო! — მხრები აჰყარა სენატორმა. — დღეს არღა მდგომარეობს ჩვენს შორის იგი მხნეობის სული, რომლითაცა იქნებოდნენ უწინ. აღარ იცის ქართველმან, სად მოიდრიკოს თავი. წახდა ზნეობა. ზღვა კოვშით დაიღია. აღარ მიჰხვდნენ დღევანდელნი ქართველნი არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა პირადის სარგებლობისათვის. გვეკარგება ამით პატიოსნება ქართული, თუმცა, ეს არა არს ბუნებითი თვისება ქართველთა, არამედ მოიტანა დრომ და დრომვე უნდა განაქარვოს.

— ჩვენი რუსი პოეტი ამბობს, ქართველები ერთობ მხიარული და გულკეთილი ხალხიაო. — ჩაურთო მელნიკოვმა.

—მე წამიკითხა დიმიტრი ბატონიშვილმა „შეერთების მანიფესტიდან“: „არა აღორძინებისთვის ძალთა, არა ნივთისა, არა განვრცელებისთვის საზღვართა, ესრეთსა უკვე ვრცელისა ქვეყნისა ზედა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოს მმართველობისასა, როგორც საპატიოსა და საღმრთოს ვალისა... რომელსაცა ეძლისცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა და მიცემად თვითეულისა დაცვა ჰსჯულ“.

— ვიცი ესეც. თავადებს უფლება გვქონდა, აგვეღო ბაჟი ზაფხულობით მარილის სახით მათგან, ვინც მარილის ქარხნიდან ბრუნდებოდა. ახლა ესეც მოგვისპეს და თეთრი მოგვაკლდა.

— ღმერთი გწყალობდეთ! — შემობრძანდა დარბაზში ელიზბარის დიდედა, იასე ერისთავის მეუღლე, რომელზედაც მას შემდეგ დაქორწინდა, რაც არაგვის ერისთვისაგან შეპყრობილი პირველი ცოლი ნადირშაჰმა მოუკლა წამებით. მოახლენი წამოეშველნენ, ქალბატონი საუცხოო საფენზედ დაბრძანდა. დორეზედ მიესვენა და პეტერბურგიდან ჩამოსულ მონატრებულ შვილიშვილს სიხარულით დაუწყო ცქერა.

— რწმენა მინდა, ოფიცერი ვარ! ესენი არ გვანებებენ, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი. სიყვარული მამულისა არს სიყვარული და ერთგულება ხელმწიფისა! „გამოტვინებულებს“ გვეძახიან. „შაშლიქებს“ გვიხმობენ. ჯიბრით გვაგონებენ: „კარტულა ხოდიტ ბასიკომ“!

— ეს ვერ დაამცირებს კავკასიელთა რკინის მოდგმას! — თქვა მელნიკოვმა.

— ვითარ ჰფიქრობ განზრახულების აღსრულებას? — ჰკითხა სენატორმა.

— ჯერ არ ვიცი!

— მაშინ, ჯერ არს დუმილი.

— მაგრამ მე ის ვიცი, რომ ყველა უნდა აღენთოს მამულის სიყვარულითა და აღირჩიოს გზა ლეონიდისა, საქართველო, ეგრეთ მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა თავსა, თუ არა განსხვავებულის ვაჟკაცობითა და წინდახედულებით.

— თუ სიკვდილითა ჩემითა შეიცვლებოდეს ჩემი მამულის მდგომარეობა, ამწამსვე სიხარულით გადავვარდებოდი ფანჯრიდამ სასიკვდილოდ. მზად ვარ ჩემი ჰაღარა თმა სისხლით შევღებო ამ მოვალეობისათვის.

— ფინეთის სეიმი და კონსტიტუცია?!

— სულ სხვა რამეა. საჭირო არის ხაზინა! ერთობა. განათლება. უნდა შეგვეძლოს, თვალში შევხედოთ სიმართლეს. უნდა ისწავლოთ და გონება განინათლოთ ყმაწვილთა კაცთა! მარტო მხნეობა და სიყვარული აღარა კმარა.

დაგვიარსა ერმოლოვმა „ქართული გაზეთი“, არ გამოვიწერეთ. დავინანეთ ვერცხლი და მოვჰკალით ჩვენის ხელით. დაგვიარსა „ტფილისის უწყებანი“, არ გამოვიწერეთ და ვახრჩობთ კელავ ჩვენ თითონ. ყოველი ჰფიქრობს თავისა თვისისა სარგებლობისათვის და არა გამოვა რა საზოგადო.

„ჰაი, გაგწყვიტათ ჭირმა ეგ ტრიკიანი ბებრები, ვითომ, თქვენც ქართველები გქვიათ!“ — უხმოდ დაიყვირა ელიზბარმა, ხმამაღლა კი თქვა:

— ამთავრებს წელს ერთი გლეხთაგანი, ქისიყელი, პეტერბურგის უნივერსიტეტსა და ესოდენ განათლებულია, რომ იწვევენ „სა-პროფესორო ინსტიტუტში“, რომელიც გაისს გაიხსნება. ორი წელი უნდა დაჰყოს დერპტს და მერმე პარიჟს ან ბერლინს. მაგრამ ამბობს პროფესორობაზე უარს და მოეშურება მამულისაკენ. აი, ის ახალ-გაზრდაა, და გარწმუნებთ, რომ კარგად მოუვლის გაზეთსაც, სას-წავლებელსაც, სხვა საქმეთაც.

— ქართველნი აღორძინდებიან, — თქვა მელნიკოვმა. — ნუ დაი-ვიწყებთ, რომ მათ გააკეთილშობილეს არაბებისა და თურქების სისხლი, მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი.

სუფრა გამხიარულდა. შემოემატნენ ქალები, შემოიტანეს ზელ-ლაცხებლის სურნელი, მოავლეს თავისიანებს მოღიმარე თვალები. სთხოვეს მამაკაცებმა, დაეკრათ სამხიარულო რამ. აჰხადა მანანამ ფორტეპიანოს სახურავი, გასწორდა სავარძელში, დაუკრა ფილდი.

თეთრ კაბაში გამოწყობილ მელანია მელნიკოვისას ოდნავ სიმსუქნე შეჰპარვოდა, როცა მანანამ დაასრულა დაკვრა, გადაიხარა და ფეხზე მდგომარემ დასცხო: „ათმაბუტაშლარა“. ქმარმა გიტარა გულზე გადაიგდო და დაამღერა: „სიცოცხლეს შენგან მოველი, უკვდავება ხარ ცხოველი“...

— როცა აქაური ჯარისკაცები კორპუსიდან სემიონოვის გვარდიის პოლკის შესავსებად გამოგზავნეს, — განაგრძობდა ელიზბარი ფორტეპიანოსა და გიტარის გრიალში, — და როცა ისინი მის უმაღლესობას წარუდგინეს და მარშით გაატარეს, მის გვერდით ვიდექი, დიდმა მთავარმა რომ ჩაიქირქილა: „ესეც ქართველი ბატონიშვილები!“ მზად ვიყავ ყელში ვცემოდი და ხმალი მეკრა.

— მერე ამით რას არგებდით?

— სხვის კარზე ნაზუქის ჭამას მირჩევნია ჩემს სახლში ნაცარი ეშუშო. ეგრე რამ წაგვახდინა, ხომ უთქვამთ, გაბედე და ღმერთი შეგეწევაო!

— მახლას! — შესძახა გენერალმა. — მათი მყვარებლის ასე და ისე! დათვი რომ სამადლო გახდება, მისი საქმე წასულია.

— აგაშენა ღმერთმა!

— შენ გგონია, არავინ ფიქრობს ჩვენს კეთილზე! მაგრამ იქ, სულ ბოლო საფეხურზე, ფუშდება ყველაფერი. ერთხელ რტიშჩევმა მითხრა, გავგზავნე შუამდგომლობა პეტერბურგს, მაგრამ სასახლეს არ სცალია პატარა საქართველოსთვის, საქმე კი არ ითმენსო.

— ქვეყნად სამართალი სადაა, თუ შენი თავისთვინ თვითონ არ გაისარჯე. მათი სიმართლის ლოდინში ბავშვი გაჭაღარავდება. კოვალენსკის დროს დაწყებული საქმეები აქამდე არ გარჩეულა და კვლავ დიდი დრო გავა, რომ არ გაირჩევა. ჩვენმა სახლთუხუცესმა მითხრა, ერთი დღის მიწაზედ ათი წელია საჩივარი მაქვს. ასი თუმანი ხარჯი გამიწევია, მიწა თხუთმეტ თუმნად არ ღირს. ნაწლავებში გაწყვეტილი ვარ წანწალითო.

— ეგ მეც ვიცი, რო დავას ვერცხლით ყიდულობენ.

— წუთისოფელი ვაივაგლახში უნდა გააჩანჩალო! — შესძახა

ელიზბარმა და თასი ასწია. — გაუმარჯოს, ვისაც საქართველო უყვარს! ვისაც მისთვის თავგანწირვა უხარია!

შუაღამე გადასული იყო, როცა რამდენიმე ცხენოსანი თქარათქურით მოიჭრა ჭიშკართან და პოლიცმეისტერი იკითხეს.

— Ваше высбродь, ეკლესიებს ყაჩაღები დასხმიან თავს, ძვირფასეულობა გაუტაცნიათ! — მოახსენა უბნის ზედამხედველმა, როცა მელნიკოვი აივანზე გავიდა.

ნავთის ლამპების მღვრიე შუქზე არაქათგამოლეული პოლიციელები შეშფოთებულები ჩანდნენ.

სტატსკი სოვეტნიკს ახლაღა ენიშნა, რომ ქალაქის სხვადასხვა უბნიდან რამდენიმე საათია ესმოდა კანტიკუნტი სროლა, ყიჟინა და გნიასი. მაგრამ ეს ხმაური ერთმანეთისგან ისე დაშორებული უბნებიდან მოდიოდა, რომ მათ შორის საერთო არაფერი უნდა ყოფილიყო. ამ წუთს, მტკვარზე, ჩუღურეთის წისქვილთან რომ ატყდებოდა ტკაცატკუცი, მეორე წუთს სოლოლაკის ღორღიან ხევში იქუხებდა თოფი და აბანოების რიგში ან კალოუბანში შეიქნებოდა ზედახორა.

ანდრია იაკობის ძემ ფიცხლად სამოსი გამოიცვალა, დარბაზში შემობრუნებულმა ბოდიში მოუხადა საზოგადოებას და სასწრაფო ღონისძიების მისაღებად გაეშურა.

რადგან სუფრასთან ინტიმური განწყობილება სუფევდა და ინციდენტს არავინ ელოდა, ერთბაშად ყველამ მოიწყინა.

მელანიას სახეზე შუქი ჩაუქრა. წამდაუწუმ ფანჯარასთან მიდიოდა.

ეკლესიებზე თავდასხმის ამბავი რომ შეიტყო, ათასჭირგამოვლილი მოხუცი ქალი შიშმა აიტანა და ხატის წინ მუხლმოდრეკილი პირჯვრის წერას მოჰყვა.

— არა უშავს, კნეინა, სამსახურია! — ამშვიდებდნენ მსახურნი.

— ვინ იფიქრებდა, — ნაღვლიანად ეუბნებოდა მანანა დას.

ეგონათ, მალე მობრუნდებაო, არ აპირებდნენ სუფრის ალაგებას, მაგრამ სროლა არ წყდებოდა და ანდრიაც იგვიანებდა.

— კუკიასა და ჩუღურეთშიაც ისმის თოფის ხმა! — თქვა სახლთხუცესმა.

— ჰოსპიტალთანაც იქუხა!

— ეს რა ხდება ქალაქში! — შეწუხებული ხმით თქვა სენატორმა.

— დაეტყო ერმოლოვის წასვლა, — გაეპასუხა მანანა.

— გაუღეს კარი ვიგინდარებს!

— უწინდელს დროს ჩვენთან არც ერთ კარს დასაკეტი არა ჰქონდა, არც ერთი ჰიშკარი არ იკეტებოდა არც დღისით, არც ღამით. ხალიჩებსა და დორეებს აივნებსა და ღობეებზე გაფენილსა ტოვებდნენ.

ღამის განგაშმა ელიზბარიც ააფორიაქა. აბორგებული ბოლთას სცემდა აივანზე. ანთებული, რაღაც უცნაური აღმაფრენით დააყურებდა გნიასსა და ხმაურს და თითოეული გასროლა ნეტარებას ჰგვრიდა.

ღამე გაცრეცილი იყო, როცა დაჭანცული, საგონებელში ჩავარდნილი პოლიცმეისტერი შინ მობრუნდა. ისე იყო დაბნეული, რომ დარბაზში გატენილი დამბაჩებით შემოვიდა.

როგორც მისი დაულაგებელი ლაპარაკიდან ჩანდა, სიონის წმინდა საკრებულოს, მამადავითს, წმ. ბარბარეს, წმ. მარინეს ეკლესიებს ერთდროულად დასხმოდნენ თავს. თვალმარგალიტით მოჭედილი ძვირფასი ხატები და ბევრიც სხვა განძეული გაეტაცნათ.

მთელი ქალაქი შეაჯერეს, ხელთ კი არავინ შერჩათ.

თენდებოდა.

სოლოლაკშიც განუწყვეტლივ ქუხდნენ თოფები, ჭყვიტინებდა ზურნა, კვნესოდნენ საზანდრები.

აივანზე ისევ გააფთრებით სცემდა ბოლთას ელიზბარ ერისთავი.

სოლომონ დოდაშვილის დღიურებიდან

20-ს მაისს 1827 წელსა.

გუშინ, საღამოს, საქართველოში ჩემი გამგზავრებისა გამო, დ. მეგობრისა ჩემისა იაკობ კრუპსკისა, რომელიც ევროპაში მიდის სწავლის შესასრულებლად, პეტერბურგის ჩინებულთა პოეტთა, მწერალთა და მეცნიერთა ფონტანკაზეც მიგვიწვიეს გამოსათხოვრად.

წვეულთა შორის იმყოფებოდნენ კაცნი სახელდებულნი პეტერბურლსა შინა თვისითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედან

განთქმულნი პატიოსნებითა. ფიოდორ ეოეიკოვი, გლინკა, პოლევოი, დელვიგი,ნადეჟდინი, პროფესორი ოცდაორის წლისა სენკოვსკი, რუნიჩი, რომელიცა გასულს წელს გადაყენებულ იქნა უნივერსიტეტის ზედამხედველობიდან, უწინდელი დეკანი ჩვენის ფაკულტეტის, პროფესორი ბალუგიანსკი, პროფესორი კუნიცინი, დათხოვნილნი— უნივერსიტეტიდან პანსიონის არეულობისა მიზეზით.

უცნობთა აცნობდნენ ჩემს თავსა, ვითარცა ქართველ მეცნიერსა და პოეტსა, აექსონსა „ლოგიკისა“ და სხვათა სტატიათა.

„დიდად მოხარული ვარ, ბატონო, თქვენის გაცნობისა“! — მეტყოდნენ თავაზით.

მცირისა ვახშმისა შემდეგ, შევექცეოდით ფუნჯსა და წყნარად ვსაუბრობდით.

ჩემნი ახალნი მეგობარნი ისე მეპყრობოდნენ, ვითარცა დიდის ხნის ნაცნობსა. ყველა გამოთქვამდა თავის აზრსა, როგორც თვით მიაჩნდა საფუძვლიანად, სხვანი უსმენდნენ, ესრეთვე წყნარად ეტყოდნენ პასუხსა.

ჩემმან ნაცნობმან მწერალმან, ნიკოლოზ პოლევოიმ, რედაქტორმან „მოსკოვსკი ტელეღრაფისა“, მოუწოდა ყოველთა დამსწრეთა და აჩვენა უკანასკნელი ნომერი თვისის ჟურნალისა, სადაც დაბეჭდილი არს მისი რეცენზია ჩემს „ლოგიკაზედ“ და თქვეს კარგი მრავალი.

— ბატონი მაგარსკი ბუნებით ქართველია! — განაცხადა პოლევოიმ.

კრუპსკიმ წაიკითხა რეცენზია ჩემს „ლოგიკაზედ“, დასტამბული „სევერნაი პჩელასა“ შინა. მომილოცეს და მომიწოდეს ყოველთა. მომივიდა წერილი პოგორელოვისაგან ლონდონით, ქება „ლოგიკისა“ და მადლობა წიგნისათვის.

— იშრომეთ და იღვაწეთ მომავლისათვის! — მითხრა კუნიცინმა, — და იგრძენით თავი თქვენი მთელის კაცობრიობის ნაწილად! ემსახურეთ მომავალსა ერისა თქვენისა და ამით მთელს კაცობრიობის საქმეთაცა და ბედნიერებასა!

„ეფიცავ!“ — წავიჩურჩულე ჩემთვის უნებლიე.

„ღმერთო, რაგორ ესმით ადამიანის ვალი, ქვეყნის ბედიღბალი და მოყვასის სიყვარული! ყოველს სიტყვასა და მოქმედებასა მათ-

სა ზედ აწერია კეთილი და ერთის ნახვით მიენდობი, თუნდაც აქამდის სრულიად უცნობსა“.

შემდგომ ამისა, ილაპარაკეს, შარშანწინ რომ ჩვენს უნივერსიტეტიდან ოთხი უკეთესი პროფესორი დაითხოვეს.

ადგა მეგობარი ჩემი კრუპსკი და წარმოსთქვა ლექსი „პასუხი პუშკინს“ ოდოევსკისა, რომელიც ამ ზაფხულს მოვიდა კატორღიდან და გადავიწერეთ მე და კრუპსკიმ ერთად.

შენი სიმების გრძნეულმა ხმებმა
აღგვიძრეს გულში ნუგეში ტკბილი,
და მახვილისკენ გაწვდილმა ხელმა
შეაღღარუნა ცივი ბორკილი.
დიდო პოეტო! იყავი მშვიდად!
არ ვნანობთ, ბედმა რაც გაგვიმზადა!
ჩვენ კვლავ დავეცინით ცხრაკლიტულიდან
მეფეს მასხარას და არამზადას.

დაჰკრეს ტაში.

ამასაზედან გადმომცვივდა ცრემლები. არ იყო ეს ლექსი არც ტრფობისა, არცა ბუნების მშვენიერებასა ზედან და ესრეთ კი განემსჭვალა ესტეტიკებრსა გრძნობასა შინა.

— ნუ სტირი, ძმაო! — დამკრა მხარზე ხელი ვოეიკოვმა, — არამედ იმოქმედე კეთილისათვის, რათა გლოვა და ურვა სიხარულად შეგვცვლოდეს.

მწამს ჩვენი შრომა ხალხს მისცემს ნაყოფს,
ნაპერწკლებიდან იფეთქებს ალი
და ბორკილითგან, რითაც ვამაყობთ,
გაიჭედება მებრძოლთა ხმალი!

მომაგონდა საოცარი დღე, როცა მე, კრუპსკიმ და იანინამ, რილეევის წერილი გადავიწერეთ. მეჩვენა ყოველი მას შემდგომი ტკბილ-მწარედ და ვერ ვსძლიე კვლავ ცრემლსა. მივხედე სხვათაცა და ბევრნი ჩიბუხის ბოლქვებით იკლავდნენ მოწოლილ ვნებათა.

— რუსეთი გადაჭიმულია დედამიწის სივრცეზე სამყაროს სამ ნაწილში, — თქვა გლინკამ. — ის ევროპას გაუსწრებს, ოდეს სძლევს მტარვალთა თვისთა!

— წყაროვ სიბრძნისაო! ადრე იქნება თუ გვიან, ხალხი ჩვენი ჰსცნობს შრომასა ჩვენსა! — შესძახა სენკოვსკიმ. — ბევრის ბევრობს სიბრძნე ნათესავთა სლავიანისათა.

კაზაკმა უკვე დიდი ხანია,
მოკაშირეში ტირანი ჰპოვა.

— ნუ გეშინიათ, ძმებო! ჩვენ ყველანი ეჰვმიტანილნი ვართ! — გადაიხარხარა საშინელის ხარხარით ვოეიკოვმა.

— იმისათვის, რომ ინტელიგენტნი ვართ და გვესმის ჩვენი ვალი.

— თქვენ იმით დაიწყეთ, რომ გლეხები გაათავისუფლეთ! — აღფრთოვანებით ხელი წამომკრა კრუპსკიმ.

ხან ფორტეპიანოსთან მიდიოდნენ. ყველა კარგად უკრავს. შესახუმრებლად რეპრიზს ან ვალსს დააჭუხებდნენ.

მუსიკა ჩემს გულს მიიტაცებდა. ჩემგან სამუდამოდ წასულს მეგობარს მომაგონებდა. ხან, შემეშინდებოდა: „დედას ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი!“, ზოგან, მამასა და ძმებზე შიში შემაკრთობდა.

წამოიშლებოდნენ და ცეკვავდნენ მცირეს ხნით, ლაღობდნენ, მხიარულობდნენ.

ვფუცავ: ეს საღამო, ეს ამდენი მოყვასი, მსახურნი მეცნიერებისა და კეთილისა, არასოდეს განქრეს გულისა ჩემისაგან.

როდის გვეღირსება ქართველთა ეს განათლება!

ამათში მეცა ვარ ერთი წევრთაგანი მთელის კაცობრიობის სწავლისა და წინმსვლელობისა. განუყოფელი მათგან და ძლიერი ფიქრსა ჩემსა შიგან. უერთდება ჩემს სულს სული მათი, ჩემს აზრს, — აზრი მათი, ჩემს მიზანს — მიზანი მათი, ჩემს ძალას — ძალა მათი. ქვეყანა ჩემი— მთელს ქვეყნიერებას.

ოჰ, როგორ მინდა მეც ვარგო ჩემს მამულს!

ღმერთო, ნუთუ სამს თვეში საქართველოში ვიქნები?!

— შემოგვიერთე წერილები თბილისიდან! — მთხოვდნენ მეგობარნი ჩემნი.

— შემოგვიერთე შენი სტატიები!

— მომწერე შენც ავთრათი ევროპიდან. ყოველი საინტერესო, ძმაო კრუპსკი!

მან აღმითქვა.

— ფოჩტას ნუ ყოველთვის ენდობი!

„მალე დავტოვებ აქაურობას, ძვირფას მეგობრებს, ჩემს სატრფო უნივერსიტეტს!

წიგნებო, წამოდით ჩემთან, მე უთქვენოთ არ შემიძლია!“

მოვდიოდი ბედნიერი და გულიდან ვერ ვიშორებდი საოცარს სიტყვებსა: „ვიცი, დაღუპვა რომ არ ამცდება, ამას ჯალათიც არ დააყოვნებს“, და სრულებით არ ვუკვირდებოდი მის აზრს.

***

შაბათს, 28 მაისს, 1827 წელსა.

დილის ათ საათზე ვასილის კუნძულის გაღმითგან დაიძრა ჩემი ეტლი, დატვირთული წიგნებითა და ამანათებითა. გვერდით მოგვყვა ეტლი მეფის ძის ბაგრატისა. პირველს საათამდე განვვლეთ ქალაქი ესე ღვთივ კურთხეული, განვვლეთ ნევის პროსპექტი, უნივერსიტეტი, დიდი ნიკოლის სანაპირო, მოიკა, რიგის პროსპექტი... ყოველს მათს დანახავაზედ გული ჩემი კვნესით იმეორებდა: „მშვიდობით! მშვიდობით! მშვიდობით. ესე სიხარული აღარ განმეორდების! მშვიდობით, ჩემო საყვარელო უნივერსიტეტო! ჩემო მეგობრებო! მშვიდობით, მშვენიერო წიგნებო!“

სახმილობამდე მივაღწიეთ საგუშაგოს, სადაც ოთხი წლის წინ ქალაქში შემოსვლის ნება დამრთეს და ახლა გამისინჯეს კვლავ საბუთნი და მომცეს უფლება წასვლისა.

რაოდენსა განსხვავებას ვხედავ ჩემში ამ ოთხ წელიწადში!

საგუშაგოდან მცირის მანძილზე, მარჯვნივ ხეთა ქვეშ, გაშალეს ჩემთა გამცილებელთა, მწვანეზე, პურ-ღვინო, სახსნილი და საუზმისა ყოველნი შესატანნი. წარმოსთქვა მამა იონამ საუზმისა ლოცვა, გვიკურთხა მე და ალექსანდრე ჩოლოყაშვილსა მგზავრობა და შესვეს სადღეგრძელონი ჯამებით.

გვიამბორეს შუბლსა ზედა. დაგვარიგეს. დაგვიბარეს. გაგვამხნევეს. „არ დაივიწყოთ, რომ ქართველები — ველური და გაუნათლებელი ხალხი — უმეფოდ ხართ!“ — ეშმაკური ღიმილით მიმეორებდა წამოწითლებული დიმიტრი ბატონიშვილი.

სიყვარულით გულამომჯდარი ავედით ეტლსა ზედა და, ვითარ-

ცა მამა იონამ ბრძანა: „წარვიტარეთ ამიერითგან იერიისა ქალაქსა შინა ტფილისსა“.

არა შეედრება რა ადამიანთა შუა ესრეთ გულმართალსა კავშირსა! ვინც კაცის ხასიათს დაჰკვირვებია, მან იცის, რომ უბრალოებისაკენ ლტოლვილება, ერთობის სიყვარული, მის ყოველ მოქმედებაში ჩანს.

• • •

2 ივნისს, 1827 წელსა

იონა ხელაშვილს

„შაბათს გამომგზავრებული მანდედან ვიქენ დიდად შეწუხებული განშორებისათვის. სიცხე, თავისტკივილი. ვიცრემლებოდი ორს დღეს განუწყვეტლად... სული ჩემი არს თქვენთანა... კვირას ათს საათზედ მოველ ნოეღოროდს. ერთი ბრმა ცხენების პატრონი შემხვდა, ნოეღოროდელი. აცთუნა თვალმან, გარდავარდა ერთს ხევში, გარდამიბრუნა ტახტა, მაგრამ გარდახტომა, მოვასწარი. ის კი გადავარდა და ძლივს წამოდგა. შეეშინდა, არ ვგეემო, ვსხთოვე გამვლელთ, ამოვატანინე და გავაწყობინე ბრიჩკა. წინა გორგოლების გაკეთებას ერთი დღე მოუნდა“.

• • •

9 ივნისსა, 1827 წელსა. მოსკოვს.

ბაგრატ ბატონიშვილის სახლში მსურდა დადგომა, მაგრამ ვერ ვიპოვე...

მივუახლოვდი მარიამ დედოფლის სახლსა, ვიკითხე, შესაძლებელ არსა აქ სადგურებაი? მომიგეს: ძალგიძსთ!

მიმიღეს კეთილად. მათმან უამაღლესობამან რაოდენსამე საათსა იმეტყველა ჩემთანა, ეგრეთვე, ბატონიშვილმან ოქროპირმან და თამარმან და ილია კი თვისის ცხოვრებით ბრძანდება ზაფხულის სახლსა შინა და დედოფალიცა დღესვე წაბრძანდა...

აქაურნი ბრძენნი ვიხილე და შემთხვეულობათა გამომცდელნი. მიმიღეს დიდ ფრიად კეთილად. მთხოვეს მეგობრობა კეთილი და შეერთება მათდამი წერილისა და სხვათა გარემოებითთა შემთხვე-

ვათა თბილისით, რათა აცნობონ საზოგადოებასა ჟურნალსა შინა დაბეჭდვითა. ვიხილე უნივერსიტეტი მოსკოვისა, თეატრი, ბიბლიოთეკა და სხვანი ჩინებულნი, ყოვლით კერძო გამოვიძიე. მოსკოვი ვრცელი ასე დიდად ჩინებული ქალაქი, საამო არს სახილველად, მაგრამ პეტერბურგი უმჯობეს არს.

მე აქ დამიხანდა შაბათ-კვირამდე. ნივთები ძრიელ ამძიმებდა ბრიჩკას. ამისათვის სრულად ერთს ყუთში შევკრიბე და განვისტუმრე, რომელიც მოვიდა თორმეტი პუდი. თითო პუდი ტფილისამდე პირობითა წარიღეს ცხრა რუბლად. ნაკლებ ვერ მოვიძიე. ბრიჩკას უკან ყუთში სრულიად წაბღალულია ყდებიანი და უყდონი წიგნები. დიდად შევსწუხდი მათი წარხდენისათვის.

ამინდი აქ არს მძიმე, წვიმიანი. უსიამოვნოდ ღრუბლიანი, რომლისა გამო მტკივა თავი დიდად შესაწუხებლად. გარნა სმენისა, ხედვაც დამაკლდა. არ ვუწყი, ვითარ შეიცვლება საქართველოსა შინა. თვალების ძარღვნი მტკივა და სრულად ჯანმრთელობისა ჩემისა სისტემა მოშლილია...

კვალად ფილადელფი შეპყრობილი ჰყოლიათ აქა ერთი თვე და იქიდგან ფეხით ნიჟნი-ნოვგოროდს წაუყვანიათ, რომელიცა დიდ ფრიად შესაწუხარ არს. ღმერთმან ინებოს, იხსნას თავი თვისი ამ განსაცდელისაგან. ჩემთან მანდ მოუწერია ავთრათი, ბაგრატ ბატონიშვილის სახლში...

• • •

დღეს ფილადელფოსს ნიჟნი-ნოვგოროდს ეს წერილი გავუგზავნე.

„მამაო ფილადელფოს! მე მსურდა შეერთება აზმნობისა ჩემისა უმეტეს თქვენდამი... წელს ტფილისში მაღალი საკეთილშობილო სასწავლებელი გაიხსნება. უნივერსიტეტის მზრუნველმა წარმადგინა და დამამტკიცეს მე მინისტრთან განათლებისა უფროს მასწავლებლად ფილოსოფიისა და რიტორებისა რუსულს ენაზედ... მივდივარ და მიმყვება ფიქრი თქვენზედან და ნუგეშინი, რომ მალე გიხილავთ ჩვენს მამულში.“

არავინ ისე არ მენანება და მენატრება, ვითარცა ფილადელფოსი. იმ დღითგან, რაც რვა წლის წინათ გავიცან ხირსის მონასტერსა

შინა ნიკიფორე არქიმანდრიტთან, მშობელს მამასავით შეითვისა სულმან ჩემმან. მიყვარს მოუსვენრობა და ბობოქრობა მისი. თავის დადება და უანგარობა მამულისათვის. ბერდების უცოლშვილოდ, უსახლკაროდ. მაგრამ არ მოჰსწყინდების არაოდეს სწავლა და ღწვა. არა შეეპუა თვით ეგზარქოსსა და ციციშვილს, უჩივლა და დაატუსაღეს ამისთვის. მიყვარს დიდად მისგან შეთხზული ალეღორიული ტრაღედია „გოდებანი იერემიასანი“, „სიყვარული სამშობლოსადმი“. სასურველ არს ჭართული ანბანი, შედგენილი ფილადელფისა.

მაკვირვებს ძლიერ საკვირველი ცხოვრება ამ ადამის ძისა! მითხრეს, თავადის ასულის თინათინ აბაშიძისა და აზნაურ იოანე კიკნაძის არასჯულიერი შვილიაო. თითქოს ელოდნენ, რაც უნდა მოსვლოდათ: შვიდი წლისა ნათლისმცემლის მონასტერში მიუბარებიათ მშობლებს და მოგზაურობაში შეყრილს ხოლერას გადაჰყოლიან.

ამისი ნიჭი რომ ნახეს, უდაბნოს ძმებმა, თავიანთი ხარჯით აღზარდეს. ხირსელმა არქიმანდრიტმა ფილოსოფია შეასწავლა და არა ვგონებ, აკადემია დამთავრებულმა მას აჯობოს.

ნეტავ, ამ მეორედ რაღასთვის ჩაუსვამთ სატუსაღოში? არასა მწერს ამასა ზედან“.

• • •

10-ს ივნისსა, 1827 წელსა, მოსკოვს.

გუშინ ოქროპირ ბატონიშვილმა დამპატიჟა სადილად. ბევრს რამეზედ ვიბაასეთ. „თხოვე მღვდლებს, რათა მათ ჩემთვის ილოცონ!“ მერმე კიდევ ბევრი მისთანანი. „ქადაგება ძალიან საქმესა შვრება“. „არ შეარჩინოთ ავკაცობა!“, „იმისთვის კი არა, რომ რომელიმე ბაგრატოვანი გამეფდეს, არამედ იმისთვის, რომ შეიქმნას რესპუბლიკის მაგვარი“!. „მეფობას არ ვითხოვ, იქაური ჰაერით მასუნთქეთ!“; „მე მწამს, რომ საქართველო გადაიქცევა თავისუფალ და დამოუკიდებელ სამეფოდ“, „ნურასდროს ორს კაცს ერთად ნუ ელაპარაკები, თუნდაც შენნი ძმანი იყვნენ“; „ეძებეთ ნიჭიერი ახალგაზრდობა!“

ოქროპირმა საფოსტო ქაღალდის ნახევარი მიბოძა, ალაგ-ალაგ ამოჭრილი უჯრებით, რომლითაც წერილები უნდა მივსწერო.

თბილისის გუბერნატორ ზავილეისკისთან, რომელიც სანდო მეგობარია, წერილი და ამანათი გამომატანა.

ოქროპირმა და ილიამ ოთხასი მანეთი მომცეს.

წარმოსვლისას იმისი დაი, კოჭლი ბატონიშვილი, მონაზონი თამარი კვლავ აქაც ვნახე.

„ნუ დაივიწყებთ ქართველ ბატონიშვილებს! — მთხოვა თამარმა. — მოწაფეთა თქვენთა შთაუნერგეთ მამულის სიყვარული. ისტორია იკითხონ! ხომ შეიძლება, ჩვენ დავბრუნდეთ!“, „ის მეფის ერეკლეს ანდერძი დამტკიცდეს“! „არ დაავიწყდეთ მოწაფეებს საქართველო და ბატონიშვილები!“, „საქართველოს სიძველეებზე ელაპარაკეთ!“

„ამა ქვეყანასა ზედან ყველა თავისასა ცდილობს, განურჩევლად არა იქნების რა. საქმე ხალხისა და მამულისა ითხოვს საფუძვლიან განსჯას. მოვალე ვართ, გულდასმით ვიფიქროთ შინაგან მოვლენებზე. ყოველმან თანამემამულემ ჩვენმან უნდა სცნას, რომელ განათლება არს უუპირველესი და უუსაიმედოესი საფუძველი მამულის კეთილმდგომარეობისა. ჯერ არს, ზედმიწევნით სცნონ თანამემამულეთა ჩვენთა, რომელ უკეთუ განათლებულ იყვნენ, მიაღწევენ უმაღლეს ხარისხამდე ბედნიერებასა. ვარ სწავლული და ეს არს ვალი ჩემი და, ვინძლო, მოგვხედოს მოწყალებითა ღმერთმან. ანგარება ყოველი არარაიმედ აქცევს პატიოსნებას კაცისა!

ხუთი დღე კიდევ დამრჩენია ამ მშვენიერსა ქალაქსა შინა. წავალ ტიპოგრაფიებში, გასაცნობად საბეჭდველის ყოვლის ხელოვნებისა, ვინახულებ პაიჭაძესა. შევივლი რედაქციებსა შინა, თუ ვითარ საქმობენ აქაურნი ჟურნალნი და გაზეთნი!“

* * *

2-ს ივლისს, 1827 წელსა, ხარკოვს.

დღეს, ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტსა შინა დიდის პატივისცემით მიმიღეს, ნაშუადღევის ოთხს საათზედ იწყო სლობოდო-უკრაინის გიმნაზიის დღესასწაულობა. საკრებულო დარბაზში შესვლისთანავე კარებთან მომეგება გიმნაზიის ინსპექტორი. მინდოდა სულ ბოლოს დავმდგარიყავ, მაგრამ რექტორმა კრონბერღმა გამომდო მკლავი, წარმადგინა, ვითარცა მეცნიერი, ავქსონი „ლოგი-

კისა“ აურაცხელისა ქალ-კაცის წინაშე და დამისვა გვერდით...

ნუ გამირისხდებიან მასზედა, რომელ არ სრულად ჭებას ვამბობ ეგზამენიისა. კარგი იყო, გარნა მე უკეთუ არ ვგრძნობდე შეცთომასა მათსა, არაოდეს არ ვიტყოდი.

„ვითარ გესიამოვნათ?“—მკითხა რექტორმა.—მადლობა ღმერთსა, საკმაოდ კარგად!“ — მივუგე.

ინსპექტორმან ღიმნაზიისმან დამპატიჟა სახლად თვისად. იქ ვიშეტყველე ყოველივე საჭიროება მამულისა ჩვენისა, ჰსწავლისათვის.

ხარკოვიდან არ მიშვებდნენ, ცოტა ხანს კიდევ იყავ ჩვენთანაო, მაგრამ თბილისის სურნელი გულს მწვდება და აქ რა გამაძლებინებს.

მოვდივარ, საყვარელო მამულო! დე, შენს აღორძინებაში გაცვთეს ჩემი სიცოცხლე! მწყურია შენი სამსახური, შენთვის შრომა, შენთვის ღვაწლი და თავდადება.

შენთვის გავჩნდით და შენს სიცოცხლეს შევეწირებით.

ნაწილი მეოთხე

1

ანიტას წერილი რომ მიიღო, იასეს არც საბუთები უძებნია, არც არავის დამშვიდობებია, არც იქაურ, არც აქაურ მტრებზე უფიქრია, ქამარში ორლულიანი კუხენროიტერი გაირჭო, დაჰკრა ფეხი და სტამბოლიდან თბილისს ჩამოიჭრა. წერილის ის ადგილები, სადაც ფულის, მამულის, ხელშეუხებლობის ამბები ეწერა, არც წაუკითხავს.

მოილტვოდა ანიტასაკენ, ურომლისოდაც, სამი წელი, პალახის ღეროსავით ხმებოდა და ქვეყნად არაფერი ახარებდა. იმერეთის, სამეგრელოს, გურიის მეფე-მთავართა კარზე, თურქეთის ქრისტიანთა წარჩინებულ ოჯახებში გზა ხსნილი ჰქონდა, მაგრამ მისთვის, ანიტას გარდა, არავინ არსებობდა. ნაჩხუბარნი დაშორდნენ, მაგრამ ერთმანეთი ისე მოსწყურებოდათ, რომ ეს აღარც ახსოვდათ.

შემოაღწია თუ არა ქალაქში, მისკენ გაეშურა, მაგრამ იქ უცხო მდგმურები დაუხვდნენ, მათ არაფერი იცოდნენ ანიტაზე.

მთელი დღე ძებნაში გაილია, საღამოს ვეღარც მოესაზრებინა, საით ან ვისთან წასულიყო..

ანკი როგორ უნდა მიმხვდარიყო, რომ, მას შემდეგ, რაც ანიტამ წერილი გაუგზავნა, მიქაიჩმა მოულოდნელი ამბები დაატრიალა.

მისი დავალებით, ეფრემამ დიმა გომოზოვს საიდუმლოდ უჩვენა უტყუარი სამხილები სამხედრო პროვიანტისა და ფურაჟის გატაცებაზე, თან, ურჩია და გააფრთხილა, თუ დაუყოვნებლივ გაიქცეოდა, სასჯელს გადაურჩებოდა.

დრაგუნის პორუჩიკს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა და კიდეც გაუხარდა, რომ მთებში ახალი თავგადასავლები ელოდა. უმალ ანიტას ბინაზე გაჩნდა, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ალღო ვერ აუღო და იძულებული გახდა თავის გადარჩენაზე ეზრუნა.

მიქაიჩს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ფეფენოს გარდა, ანიტას ადგილ-სამყოფელი არავინ იცოდა. უნდოდა განდგომილი ძმისთვის ეს ამბავი პირადად ეხარებინა, რათა მისი გული მოეგო.

ამაო ძებნით გაშმაგებული იასე ყველაზე ნაკლებ სწორედ შინ მისვლაზე ფიქრობდა და ყველაზე უსიამოვნოდ და-ძმასთან შეხვედრა ეჩვენებოდა. საერთოდ, ჯერ არც ჰქონდა გადაწყვეტილი, შერიგებოდა თუ არა ოჯახს.

ასეთ დროს, ჩვეულებრივ, ტრაქტირში, კლუბში, კაზინოში ან კორხმაზ მელიქოვის ქარვასლაში შედიოდა ბილიარდის, ვისტის, ბოსტონის სათამაშოდ, მაგრამ ახლა არავითარი საბუთი არ გააჩნდა და პირველ შემხვედრ პოლიციელს შეეძლო პირდაპირ მეტეხში მიებრძანებინა. ამის შიშით, ქარავან სარაიშიც კი ვერ გაჩერდებოდა, სადაც ყოველ ბოგანოს შეეძლო ღამით ტანთ გაეხადა და ჭიქა ღვინო მოეთხოვა.

ალექსანდრე ორბელიანის ნდობა შეიძლებოდა, მაგრამ კარის მეზობელი იყო და იქ გამოჩენა ნაცნობებს არ გამოეპარებოდა.

ბოლოს, ისევ ფრანგი ადიეს ტრაქტირი ამჯობინა, იმ ადიესი, რომელთანაც ერთად ორი წელი მეტეხის ციხეში გაეტარებინა. ეგვიპტიდან გამოქცეული ნაპოლეონის უტოპისტი ოფიცრისა.

ადიემ ძმურად მიიღო, მაგრამ იასეს გულში ხანძარი უტრიალებდა და ძილი არ გაჰკარებია.

დილაუთენია მენახშირესავით გადაიცვა და ქალაქში გაიჭრა.

დაეხეტებოდა.

დაეძებდა.

გარეუბნიდან სამხრეთით მიუყვებოდა.

ღვარცოფისაგან დაღრღნილ სოლოლაკის ხევზე საქარავნო გზას გადადიოდ-გადმოდიოდა. მოუკირწყლავ ქუჩებს მისდევდა. ეკლის ღობეებით შემორაგვულ ეზო-ბაღებსა და მსხმოიარე ვენახებში იმზირებოდა.

ისევ კალოუბნისაკენ მობრუნდებოდა. მეტეხის კედლებთან ჩუმად და ნელა მოშიშინე მტკვარს უყურებდა. სახაზინო ბაღის ცხელი წყაროების ჩუხჩუხს და კლდეებზე გადმოკიდებულ აივნიან სახლებს თვალს ვერ წყვეტდა.

სიონი და ფრანგული სასტუმრო!

— დარეჯანის სასახლე და ნერსესის ქარვასლა!

— მამადავითი და ლაზარეთი!

მიყრილ-მოყრილი ქვაღორღი და აგური.

ყაბახი და კაზინო!

მოკუპრული რუმბები და ბავარიული ლუდის კასრები!

თბილისი!

ბანებზე მოცეკვავე ლამაზმანები!

დაირის ხმაზე ლეკური!

ზურნა და მკვნესარე სიმღერა!

ხალიჩებით მოფენილი აივნები!

თოკით დამაგრებულ ბორანზე მიბმული აქლემები!

ჩრდილქვეშ ნაბდებზე წამოწოლილი ხალხი!

ქვაფენილზე გამოწყობილი გამხმარი თევზი, ნავთი და ზაფრანა!

საპონი და სანთელი!

ალვის ხეთა გრილოში ჰადრაკი და ნარდი!

ხუმრობა და ბაასი!

ხურჯინებაკიდებული თვინიერი ვირი და ხმაწკრიალა მენახშირე.

სად არ ყოფილა და ვერსად იგრძნო ეს სურნელი!

განა, მარტო ხედავს!

შეუძლია, თვალი დახუჭოს და კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნოს აქაურობა.

ეხება, იყნოსავს, სვამს, ისრუტავს, თვრება და ასე აღიქვამს, ასე განიცდის, ასე უხარია და ასე ტკივა ყველაფერი!

ყოველი კუთხის, ყოველი ადგილის დანახვაზე მთელი მამულის, მთელი წარსულისა და აწმყოს გაელვება აერჟოლებს.

„არა! სათხოვნელად არ მივალ! რა ვქნა, რომ ღვიძლი და-ძმაა?! რა ვქნა, რომ ასეთი გაჭირდი?! რომ ეს სოფელი ჩემგან ახალ-ახალ ხარკს ითხოვს?! სხვისი ჰკუით მაინც არ ვიცხოვრებ! განა, არსებობს ჩვენში მეგობრული და ნათესაობრივი გრძნობა?! ფეხი ვერ გადამიდგამს, ჯოხი არ დამიდონ! ჩემის შინაურების გამო, ღირსებასა და პატივს ვერ ავიყრი.

მერმე ვისთვის?

მტრისგან დასაჩუქრებულისა და ნაფერებისთვის!

მისი ახალი ფერებისა და საჩუქრებისთვის!

მისი ჰუჰყიანი საქმეებისთვის!

მისი ცოდვებისთვის!

მისი კარიერისთვის!

მარტოობა მწყურია!

არაფრად მინდა თვალთმაქცური თანაგრძნობა!

ვიცი, როგორც უყვართ ჩემისთანა სულელები!

დე, ინუგეშონ თავი, რომ თითო მახინჯი ყველა ოჯახშია!

არ მსურს ვიყო იქ, სადაც უტვინო ნიჭზე ლაპარაკობს! ავაზაკი — წმინდა კაცობაზედ! კაცისმკვლელი — სათნოებაზედ! გარყვნილი — პატიოსნებაზედ! ბოროტი — სინდის-ნამუსზედ! არ შემიძლია ფუჭ-საუბარ ადამიანებთან ყოფნა. მაშ, მოდით, მომცხეთ ჩირქი! მოშიგონეთ ჭორები! გამსვარეთ ლაფში! გაახარეთ თქვენი პატარა გული.

მაინც ვერ მოვალ თქვენთან! ვერ ვიქნები თქვენისთანა"!

ასე ფიქრობდა, მაგრამ სწამდა თავისი ვარსკვლავი და, სჯეროდა რომ თავმოყვარეობა იყო მისი უბედურების მიზეზი.

არ იცოდა როგორ დაეძლია ეს, როგორ მიეღწია სურვილებისათვის. რა გაეკეთებინა? რისთვის მოეკიდნა ხელი?

ანიტა?

ლექსები?

ნუთუ ერთადერთი იდეალი ის იყო, რომ არაფერში დამსგავსებოდა უფროს ძმას. არ ყოფილიყო ისეთი, როგორიც მიქაიჩია.

არც ნანობდა, რომ თავისი ხასიათისათვის მწუხარების ღმერთი გულუხვად ასაჩუქრებდა თავისი მწარე დოვლათით.

„წყალს წაუღია ყველა დიდება! ბედასლი გახლავართ, არაკეთილსაიმედო! ბევრი ჭუჭყიანი საქმე ჩამიდენია! სამჯერ გაქცეული ვიყავი! ორჯერ ციხეში ჩამსვეს! უზნეო ყოფაქცევა მაქვს! დაოჯახებას არ ვაპირებ! უთვისტომო ქალს უნდა შევსწირო ჩემი სიცოცხლე! მამულის ტკივილები ჭკუას მაკარგვინებს!“

— ბოდიში! — წინ გადაუდგა ყურთმაჯებიანი ახმახი. — ეს ფუთა ნახშირს ვერ მიშოვი ამ კვირისთვის?

იასე დაიბნა.

— ასი ფუთი ნახშირი რაში დაგჭირვებია?

— იმ შენს დამპალ ძმას, მიქაიჩს, უნდა დავაყარო თავზე!

იასეს, ის იყო, მუშტი უნდა მოექნია, რომ ერთბაშად გარს შემოეხვივნენ, სადარბაზოდან და სახლის კუთხეებიდან გამოცვენილი ჩამჩი მელქო, დიღმის არსენა, ჭრელო, კნინბესიკა, კუკრუნჩხო, მართაი ბიჭი, ალილ მელიქი, ნეხში-მალო, ბოსტანა, ჰავლაბრის ბუნაპარტე, დალალკუკუ, შახტი კბილა, ცერბუსკნელა, ყაზიმულა, არინმარინი, ახტალო, იმერულა, ენბექო...

სიცილ-ხორხოცით შეითრიეს ეზოში, ჩამოაფხრიწეს მენახშირის წონძები, გადააცვეს ახალთახალი ჩოხა, დაჰხურეს ბოხოხი, ფეხი გააყოფინეს მშვენიერ აზიურებში.

გამოვიდა, სულ ბოლოს, მისი მეგობარი და მსახური, აზნაური ზალიკა ყორღანოვი, გადაეხვია, და გადაჰკოცნა.

— აი, სად დაგიხელთეთ, სამძღვარზედ შემოპარულო!

— ვა, როგორ დადის, კაცო! მართლა არა ჰგონია, თბილისელებს დავემალეო?

— ვა, რა გზათა უკან დახვალ, შე მამაცხონებულო, შენა!

— ვახ, ვახ, ვახ!

— შენ ჯერ ძეგვთანაც არ იყავი, რო ჩვენ ყველაფერი ვიცოდით.

— აბა, ბიჭო, ე ნამუსგაწყვეტილი, ეგა!

— ჩვენ ხელმწიფის მდევრები დაგვეტოლებიან?

— სად დაეხეტები, რო გუშინ დილიდან დაგდევთ და შენ კი ვერა გვხედავ?

— ერთი ამას დახე, რო ცოცხალიც ყოფილა!

— აბა, პრეობრაჟენის ფლიგემანი პაჰიჰებში დაიმალებოდა?

— ჰა გაგვიძეხ, ხელმწიფის კაცებს უნდა ჩაგაბაროთ!

იასეს ესიამოვნა მეგობრების ნახვა, მაგრამ ახლა იმათი თავი არ ჰქონდა და საგონებელში ჩავარდნილმა შუბლშეჭმუხვნით დაუწყო ყურება ზალიკა ყორღანოვს.

— შენ რა ეგრე გვიყურებ, ჩვენი იმედი აღარა გაქ, თუ?

— აბა, თავად ღრაფი მობრძანდეს თავის პამპულაკებითა და დრაღუნებითა, თუ დაგანებოთ!

— აბა, ჰა, აბანოში, ჩვენების ჩამოსართმევად! სად იყავ, რეება ჩაიდინე, რაითვინ დაგვივიწყე?

— წამო, წამო! ორი აზარფეშა დაგვილიე!

— სირჩა არაყი!

ჩაავლეს ხელი. ჩაარბენინეს სიონის ქუჩა. მტკვრის პირზე, სირაჯხანის ეზოში, უნაბის ხის ქვეშ, მწვანეზე, სუფრა გაუშალეს.

ახალამოღებულ ხორცს ოხშივარი ასდიოდა. თუჯის მაყალში, ნაკვერცხლებზე, ცვრიან ქაბაბს ატრიალებდნენ.

თავში, ზურნით, ჰიანურ-თარით ლაზათიანი მომღერლები ჩასხდნენ.

— არავისთვის ჩვენ დღეს არა გვცალიან! — შესძახა ზალიკა ყორღანოვმა.

— ტულუმბაშად ჰავლაბრის ბუნაპარტე!

რუმბივით ჩამრგვალებულმა ბუნაპარტემ ქუდი ჩაიტეხა.

— ავი კაცის წვერი წყევლით აივსოს!

ჩემი თასი წითელ ღვინით გაივსოს!

აზარფეშები წითლით ააევსეს.

იასე უგუნებოდ გრძნობდა თავს. სახეზე ცოტა, სულ ცოტა ირონია, სულ პატარა, საიდანღაც უნებართვოდ გამომკრთალი დაცინვა ილანდებოდა.

ირონია მეგობრული, მოსიყვარულე, ყოველივე ადამიანურის შესაწყნარებლად გაჩენილი, ყველაფერი რომ იცის და მაინც რომ თანაუგრძნობს ადამიანის მშვენიერ სისუსტეებს.

— იაჯან, შენ რა დერვიშივით დადუმებულხარ?

— დროს უქმად რად ჰკარგავ? სათათრეთში ვინ მოგაშვებდა ამ მადლიანს კახურს!

— დაგვაცა, კნიაზ, გული ყელში ნუ გჩრია!

— მაშ, მოვედ, მნათო! — ხელი დაჰკრა ტოლუმბაშმა.

— ამ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს! იასეს ეკლიან გზას გაუმარჯოს! აბა, გაჰხედეთ, თუ გუშინდელიდან თბილისი არ გამოიცვალა! ყური უგდეთ მტკვრის სამადლობელს! დააკვირდით მთაწმინდის გვირგვინს!

— იცოცხლე შენი სიმართლისათვის.

— შენს მტერს მხრებზე თავი არ შერჩება!

— ეს იასე ჩემი ნათესავი, ჩემი ბატონი, ჩემი სული და გულია! გაგიმარჯოს, ძმაო! შენმა ნახვამ მკვდარი გამაცოცხლა! — მოიყუდა ზალიკამ ჩაფი და დასცალა.

— შენ დაუკარ!

დუდუკებისა და საზანდარების დასტამ მუხამბაზი წამოიწყო.

— მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო! — ააყოლა ჩამჩი მელიქომ.

— „ალავერდი!“

— „იახშიოლ!“

გახშირდა თასების ფრენა.

ყელიყელ გადახვეულებმა გაღიმებული სახეებით მიუმღერეს:

გულით წმინდაააა,
ვითა მთის წყაროოო...

თვითონაც აჰყვა, ჩააგურგულა.

მტკიცე რწმენა, რომ ყოველი მათგანი მისთვის სიცოცხლეს ევასწირავდა, გულს უჩუყებდა. ბედნიერებას განაცდევინებდა ეს ლაღი და დაუდეგარი ცხოვრება. რომ დასჭირვებოდა, მის ვალში უკანასკნელ ქონებას არ დაიშურებდნენ.

იასე მათსავით ალალი და უანგარო იყო. სიძუნწე ეზიზღებოდა. ჭეიფი და დროსტარება უყვარდა. ამხანაგს ჭირში არ დატოვებდა. მღეროდა, ცეკვავდა, უკრავდა. თარი და გიტარა, ფორტეპიანო, დუდუკი ერთნაირად ემარჯვებოდა. ნარდში, ვისტში, ბოსტონში უკანასკნელ რისკზე მიდიოდა. ლექსებსა და სიმღერებს თხზავდა. სამსახური ეჯავრებოდა. ხალხის წყენინება არ შეეძლო. უკანასკნელი სულიერის წინაშეც ხათრით დნებოდა.

დიდი, საცოდავი ბავშვი იყო. ვინ იცის, მის საქციელში, იქნებ,

ცოტა ძმის ჯიბრიც ერია, რომელიც „კანონებს“ და „დისციპლინას“ ითხოვდა და უბრალო კაცთან ლუკმაპურს არ გატეხდა.

ზალიკასთან ძმობისთვის აღმერთებდნენ.

„ეს ამისთანა ერთგულება ამათის გულის სიმარტოვის ბრალია. ესენი არასდროს არ გაგწირავენ. შეგიძლია, ყველაფერში ენდო. შეგიფარებენ ყველასგან დევნილს! გადაეფარებიან შენთვის დაკრულ ხმალს! მაგრამ, ვაი, ვინც ამ ნდობას ვერ შეიღირსებს!“

ამ ფიქრებმა იასე გამოაცოცხლეს. ახლა მთელ მის შესახედაობაში ძალა, სიამაყე და თავისუფლება გამოსჭვიოდა.

აზარფეშა ახალ-ახალ რკალებს ავლებდა სუფრაზე.

— ეს, ვისაც ვისი სურვილი ჰკლავდეს, იმას გაუმარჯოს! — სასმისი ასწია ჰავლაბრის ბუნაპარტემ.

— კოკობის გულის ვარდისა, რა!

— დავიჯერო, ამ ძმობას ქალის ალერსი სჯობია?

— მაშ, ეს კახური, ეგრე ლალისფრად მოლიელივე, ქალის ტუჩებზე უტკბესი არაა?

— ნურც ასე იტყვით! — ულვაშზე ხელი გადაისვა დიღმის არსენამ. — ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურა და ქალის გაუბედურებული, ღმერთმა ვერ გააბედნიერაო.

— ყური მიგდე, იაჯან, ნურც ეგრე ძალიან ენდობი.

— სად მიდიოდი, თურაშაულის პატრონსა ტყეში პანტაზე რა გინდოდა.

— ქალ-კაცის ამბავს ვინ გაარჩევს!

იასეს თანამეინახეებთან გული აღარ უდგებოდა. აღარც სადღეგრძელოებს უსმენდა. სიმშვიდე, ფუფუნება ენატრებოდა. უზენაესი სიმშვიდე და ფუფუნება კი ის იყო, ვისაც ეძებდა. მხოლოდ მას შეეძლო ამ ტკივილების დაცხრომა. ტანჯვის განკურნება. უბედურების ბედნიერებად გადაქცევა. სხვას არაფერს და არავის.

— იაჯან, არ დაგვიღონდე! თავის დროზე ყველაფერი იქნება! — თვალი ჩაუკრა ზალიკამ ამხანაგებს.

მუხთალს ამ სოფელს, ვისაცა გსურს იყო ბედნიერ,
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!

ნაღველრეული ხმით დაამღერა კნინბესიკამ. ჰავლაბრის ბუნაპარტემ ჯამი მოწიწებით გაავსო, სერიოზული სახით წამოდგა.

ცოტა ძმის ჯიბრიც ერია, რომელიც „კანონებს“ და „დისციპლინას“ ითხოვდა და უბრალო კაცთან ლუკმაპურს არ გატეხდა.

ზალიკასთან ძმობისთვის აღმერთებდნენ.

„ეს ამისთანა ერთგულება ამათის გულის სიმარტოვის ბრალია. ესენი არასდროს არ გაგწირავენ. შეგიძლია, ყველაფერში ენდო. შეგიფარებენ ყველასგან დევნილს! გადაეფარებიან შენთვის დაკრულ ხმალს! მაგრამ, ვაი, ვინც ამ ნდობას ვერ შეიღირსებს!“

ამ ფიქრებმა იასე გამოაცოცხლეს. ახლა მთელ მის შესახედაობაში ძალა, სიამაყე და თავისუფლება გამოსჭვიოდა.

აზარფეშა ახალ-ახალ რკალებს ავლებდა სუფრაზე.

— ეს, ვისაც ვისი სურვილი ჰკლავდეს, იმას გაუმარჯოს! — სასმისი ასწია ჰავლაბრის ბუნაპარტემ.

— კოკობის გულის ვარდისა, რა!

— დავიჯერო, ამ ძმობას ქალის ალერსი სჯობია?

— მაშ, ეს კახური, ეგრე ლალისფრად მოლივლივე, ქალის ტუჩებზე უტკბესი არაა?

— ნურც ასე იტყვით! — ულვაშზე ხელი გადაისვა დიღმის არსენამ. — ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურა და ქალის გაუბედურებული, ღმერთმა ვერ გააბედნიერაო.

— ყური მიგდე, იაჯან, ნურც ეგრე ძალიან ენდობი.

— სად მიდიოდი, თურაშაულის პატრონსა ტყეში პანტაზე რა გინდოდა.

— ქალ-კაცის ამბავს ვინ გაარჩევს!

იასეს თანამეინახეებთან გული აღარ უდგებოდა. აღარც სადღეგრძელოებს უსმენდა. სიმშვიდე, ფუფუნება ენატრებოდა. უზენაესი სიმშვიდე და ფუფუნება კი ის იყო, ვისაც ეძებდა. მხოლოდ მას შეეძლო ამ ტკივილების დაცხრომა. ტანჯვის განკურნება. უბედურების ბედნიერებად გადაქცევა. სხვას არაფერს და არავის.

— იაჯან, არ დაგვიღონდე! თავის დროზე ყველაფერი იქნება! — თვალი ჩაუკრა ზალიკამ ამხანაგებს.

მუხთალს ამ სოფელს, ვისაცა გსურს იყო ბედნიერ,
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!

ნაღველრეული ხმით დაამღერა კნინბესიკამ. ჰავლაბრის ბუნაპარტემ ჯამი მოწიწებით გაავსო, სერიოზული სახით წამოდგა.

ისე იდგნენ, თითქოს, კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო.

— რახან არ დაგიშლიათ, ჰა, თქვენსავით გიჟი ცხენები! — შემოუძღვა ზალიკო ორ თეთრ ბედაურს.

— ბაყაყი გუბეში, ვაშლი უბეში! — ტაში შემოჰკრა ჰაელაბრის ბუნაპარტემ.

— იჯან, არა არს დაფარული, რომელ არა გამოცხადდეს.

— რას უდგახარ, მიდი ბარამჯიბილსავით, ცხენით მიეგებე.

ამ სიტყვებმა იასე გამოაფხიზლა, ხელგაშლილი გაიწია, რათა წელზე ხელები შემოეჭდო და მთელი ძალით გულზე მიეკრა, მაგრამ ანიტამ ისკუპა, ცხენს ელვად წამოენთო, ჰიშკარში გავარდა. იმწამს იასეც მძლავრი სხეულით გადაევლო ბედაურს, ღონიერი ფეხებით უზანგები მოდრიკა და, როცა ცხენმა სასიამოვნო სიმძიმე იგრძნო, ფრთაშესხმული გაქროლდა.

სასმელი მოერია ზალიკას. აზლუქუნდნენ იასეს მზარეული ნინია, მოახლეები: ბარბარე, ლომისეული, მარინე. დასცხო დაფა-ზურნამ, აღუღუნდა დუდუკი, აკვნესდნენ თარი და საზანდარი.

დილმის თავს ვაჟი თვალმისაწიერზე წამოეწია ანიტას. ქალს უკან არ მიუხედავს, მაგრამ უმალ იგრძნო ეს და თავდავიწყებით ააგელვა იაბო. ერთმანეთში ირეოდნენ ციხეთა დაკბილული ქონგურები, ხეივნები, ძეძვი და ბუჩქნარი. გუნჯუთის ზეთის ჭრაქებით განათებული სახლები, ეკლესიათა ღრიჭო კარში მკრთომარე სანთლები; ქარს მოჰქონდა შორეული სოფლების ჟრიამული. სადღაც, შორს, ძაღლი ჰყეფდა. უკან ჩამოიტოვეს ბინდბუნდში მინავლული სოფელი მცხეთა. მკვეთრი მოსახვევების რისკი და სიხარული. პომპეუსისგან დევნილი მეფე არტაგის გზები და ბილიკები. სარკინეთის ციხე-სიმაგრეები და ტაძრები.

ყველაფერი თავისკენ ეძახდა, იზიდავდა.

აგიჟებს მთებისა და მდინარეების ალერსი. ზმანებებით ავსებს უზარმაზარი ლანდები.

ხან წყლის, ხან მთების, ხან მთვარის, ველებისა და ციხე-კოშკების დედოფალია. მთელ სამყაროს თავის იერს ანიჭებს. კვალში მოსდევს. არაამქვეყნიურ არსებად აქცევს.

მისი მოვლინება სამყაროს განახლებაა. მასში თეით მისთვისვე რაღაც გაუმხელელი ძალაა ჩამალული.

ქალღმერთია! სიყვარული მისი საღმრთო ვალია!

იასეს თვალწინ ენკენისთვის თბილ ჭარს ალისფერი ყვავილი მიჰქონდა.

„ვინ იფიქრებდა, ჩემო სიცოცხლევ, რომ შენ შეგეძლო ასე დაგეტანჯე! ამიერითგან მხოლოდ ჩემი ხარ! ჩემი სული ხარ! ციციერს ვგრძნობ შენში. „მთის ვარდო, ნამით ცვარულო!“

ანიტა ნაოცნებარ იალქნის ფრთებზე მიჰქროდა. უხილავი ტაშის გრიალში მკლავგაშლილი, წრეში უნდა შეფრენილიყო. თეძოებზე გრიგალი ეხვეოდა. ყველაფერი სულის სალბუნი იყო. მშვენიერი რბილი ჰაერი. ტარანტასის ზარის წკრიალი. ასკილის სურნელი.

დიდი ხანია გრძნობდა, რომ წუნარი სიყვარულისთვის არ იყო გაჩენილი. ახლა არავითარ სიტყვას, არავითარ სხვა ალერსს არ შეეძლო მისი განცდების გამოხატვა და დაოკება. ეს უნაპირო და გიჟური ქროლვა უზენაესი სარეცელი და ფარდებჩამოშვებული საწოლი იყო.

გაირბინეს მურვანყურეს დროიდან გაჩანაგებული სვეტიცხოველი, ალფარსლანისა და მილქუახისგან დანგრეული ქონგურებიანი გალავნები, ნალეკარი ეზო-ყურეები.

მოსახვევში მხედარმა იგრძნო, რომ საცაა, ქალი ცხენიდან გადმოვარდებოდა. მთელი ძალით წამოეწია, ისე რომ, არც შეჩერებულან, დასწვდა წელზე, ხელმოხვეული ჰაერში აიყვანა. ცხენს მოსართავი მოუჭირა, უნაგირი, რომელიც კინაღამ გადმობრუნებულიყო, გაასწორა და მოსწყდნენ კვლავ.

„ბებრის ციხიდან“ ანიტამ ცხენი არაგვის რიყეზე მიაგდო. ჩაიჯირითეს ნაპრალები, გადაიფრინეს ციცაბონი, ამოუხვიეს სევსამურასთან. თავისკენ იზიდავდა მთათა ურჩხულები. მუხრანის ველი, თეთრად მოფრქვეული მყინვარწვერები. არაგვის ჩქერებით ჩარეცხილი ნაპირები, ნაზვაური ღრანტეები.

ალესილი კლდეები მის სულს სიმკაცრის მომხიბვლელ გაკვეთილებს აძლევდნენ.

გახევებული ქვაჭვიშის ბილიკებით სხალტბის ნაოჭებზე „ცრემლის წყაროსკენ“ მიჰქროდნენ...

...სამხედრო ორკესტრი. მოლაპლაპე ხიშტები. კარაბინერთა პოლკის ასეული თორმეტი ზარბაზნით. ეგერები და ცხენოსანი დრუჟინა.

„დიმა გომოზოვის ამორძალია!“ — გადაიხარხარა პოლკოვნიკმა,

როცა მხედრებმა ისე ჩაუქროლეს მათ, რომ ვერც კი გაარჩიეს, რა მოხდა.

ანანურთან მთვარე-მხატვარი ამოქათქათდა.

გაოცდა, ყველაფერი რომ შეცვლილი დახვდა. დინჯად, გრძნეულის გემოვნებით შეუდგა საკუთარი სამყაროს აღორძინებას. ხაზავდა. აფერადებდა. კლდის ამონაშვერებს ჰკბილავდა. აქ სხივი ჩაჰყარა, იქ ჩრდილები მიმოაბნია. ერთგან იგულუხვა, მეორეგან იძუნწა. ნაკადულებს ვერცხლი გადააფრქვია. ნანგრევთ სანთლები აუნთო. გარდაცვლილთ სვეტებად დაუდგა.

გამოქვაბულები, მღვიმეები, ელვის უსწრაფესად აღებდნენ და ხურავდნენ ხახას. ჩაბნელებული მთები ცის თაღებს ხევდნენ. ღრუბელთა ფასკუნჯები, რომლებიც სპილოებს იტაცებდნენ, მის შუქზე იბნეოდნენ, იკარგებოდნენ.

ღამის მწყემსი მყუდროებას აყურსებდა.

„ოჰ, ღამევ, იერიისა!“

— როგორ ჰკანკალებ?

ცხენს აღვირში წაავლო ხელი.

8

დარიალის ხეობაში ჩამოწოლილმა გიგანტურმა ზვავებმა თერგი ისე გადაკეტეს, რომ დოდაშვილმა თბილისში მხოლოდ ივლისის დამლევს ჩამოაღწია.

დაუყოვნებლივ სამხედრო გუბერნატორს სიპიაგინს ეახლა, პეტერბურგიდან გამოტანებული ცოლის წერილი, ამანათი და ბატონიშვილთა სარეკომენდაციო ბარათები გადასცა.

გუბერნატორმა ახალგაზრდა მასწავლებელი იქვე წარუდგინა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს ევარისტ გუბერს და დაავალა, ყოველმხრივ დახმარებოდა მას.

რაკი ყველაფერი ასე კარგად დაიწყო, მესამე დღესვე სოლომონი ოთხი წლის მონატრებულ მშობლებთან გაეშურა სოფელ მაღაროს.

სანუკვარი შვილის დაბრუნებამ მშობლებს ცა გაუბრწყინა. დიდი ხნის სნეული ბარბარე ავადმყოფობას ფეხზე წამოუდგა. მამა, რომელიც უფროსი ვაჟისთვის სულს ჰლეოდა, და, სამი წელი სოფლი-

დან აღარ გასულა, შვილს კარდენახში მიეგება. აყრიამულდა მთელი სახლეული, და-ძმანი: სტეფანე, მიხეილ, ნიკოლოზ, იასე, სფირიდონ, აღათია, მელანია, ნინო.

ყველას შველა, პატრონობა, ნუგეში უნდოდა.

სოლომონი უზომო პატივს სცემდა მამას. ესმოდა, რა ჭირი გამოიარა ოჯახმა და რას ავალებდა ეს.

სახაზინო გლეხის ძემ, ივანე დოდაშვილმა, მოიწადინა და შეძლო ის, რასაც უბრწყინვალესი თავადები ვერ ბედავდნენ: შვილს დაამთავრებინა პეტერბურგის უნივერსიტეტი!

პატარა სოფლის ღარიბი მოძღვრისთვის ეს იოლი როდი იქნებოდა!

სოლომონმა იცოდა, რომ მამამისი იმ უბრალო მღვდელთაგანი არ იყო, რომლებიც ლოცვანსაც ვერ კითხულობდნენ. ჯერ კიდევ ანტონ კათალიკოსის დროს შეესწავლა კატიგორია, რიტორება, ღვთისმეტყველება, ისტორია და ბუნებისმეტყველება. ერეკლესა და გიორგის ორმოცამდე ომში ხლებოდა. დავით ბატონიშვილის განმგებლობაში, როცა ლეკების ათი რაზმი მუღანლოს ფონზე გადმოსულიყო და საიერიშოდ ასწლიან წაბლნარსა და ველურ ვაზნარს შეჰფარებოდა, მაღაროელი მღვდელი მთელ ქიზიყს გასძღოლოდა წინ.

რვაას თორმეტის აჯანყებაში მთავრობის ჯარს იორი რომ გადაელახა და კახელებს ხაშმთან გაემარჯვნათ, სარდალს გლეხებისთვის წინადადება მიეცა, დაშლილიყვნენ და დაჰპირებოდა, სამაგიეროდ, დანაშაულს გაპატიებთო. ხალხის სახელით, ივანე დოდაშვილს თარჯიმან ბებუთაშვილისთვის ეთქვა: „გადაეცით მათ, რომ, სანამ პირში სული გვიდგას, ივრის აქეთ ერთ მათგანსაც არ გადმოვუშვებთო!“

იერიშის წინ, დამსჯელ ნაწილს ჯვარითა და სახარებით მიჰგებებოდა. სოფლისა და მონასტრის შეწყნარება ეთხოვა. მეთაური ყვირილით შეხვედროდა, ისეთი ლანძღვა დაუწყია, რომ თარჯიმანს სულიერი მამისთვის ამ სიტყვების გადათარგმნა ვერ უკადრებია, რატომ მიბრაზდები? — ეკითხა მაღაროს მოძღვარს. — „სხვა რჯულისა გახლავთ და ჯვარსა და სახარებას დასანახად ვერ იტანსო!“— მოუტყუებია თარჯიმანს.

მესამე დღეს მარკიზ პაულიჩისთვის დაჭრილთა შეწყნარება

უთხოვია, რომელთაც თოკები გამობმული ჰქონიათ ჩამოსახრჩობად.

ველისციხეში იმ რაზმში რეულა, რომელმაც მთავრობის ოფიცერი ვახტანგ ორბელიანი მოკლა და ალექსანდრე ჭავჭავაძე დაჭრა...

ქვევრის საზეიმო მოხდის შემდეგ, სოლომონი პეტერბურგიდან და მოსკოვიდან გამოტანებული აურაცხელი წერილის, ფულისა და ამანათების დარიგებას შეუდგა. რუსეთში მყოფი ბატონიშვილებისა და თავადების ამალათა დიდ ნაწილს სწორედ ამ კუთხის შვილები შეადგენდნენ და მათი დანატრებული ოჯახებისათვის ერთი განაწერა ქალალდიც ბედნიერება იყო.

ვაჭირში თავისი სულიერი მამის, იონა ხელაშვილის ძმას წერილები, ფული, ამანათები ჩააბარა. ბოდბეში იარალი შანშიაშვილის ოჯახი გაახარა. ადამ ღირსიაშვილის მშობლებს ესტუმრა, მაგრამ მთელ წინამხარს ვერ შემოივლიდა, შორეულ სოფლებში მამის საიმედო კაცებს გაატანა გამონაგზავნი და დანაბარები.

გული ვერ უძღებოდა მშობლიური სოფლით, სადაც საოცნებო სიყმაწვილე გაეტარებინა. თვალიდან არ შორდებოდა ბავშვობის მოგონებათა, ზღაპრების, ლეგენდების, ხალხური ლექსების მშვენიერი სამყარო. სულს უტკბობდა ლეკის მთის გადასახედები, როცა მასზე მზე ამობრწყინდებოდა ან დაყურსული ქართული ღამე დაიმყუდროებდა. აუწერელ ნეტარებას ჰგვრიდა ეს სოფლის დაკლაკნილი ბილიკები. წნელის ღობე და წნორის ხეები. ქუდურა გორაკები. შორს მომჩინარე ორკაპალა ქედი.

საცა არ უნდა ყოფილიყო, ნათესაური გრძნობა იპყრობდა მეზობელთა გვარების გაგონებაზე: შინჯიაშვილი, გოდერძიშვილი, ყანდაშვილი, ჯანიკაშვილი, ჭრელაშვილი...

განა, შემთხვევით აირჩია თავის ფსევდონიმად „მაღაროელი?“ განა, ალალბედზე დააწერა თავის სათაყვანო „ლოგიკას“ დოდაევმაგარსკი“?

ამაყობდა მშობლიური მაღაროთი და საამაყოც ჰქონდა.

მთიანი კახეთის ეს მშვენიერი სოფელი, სიღნაღიდან სულ რაღაც ოთხიოდე ვერსზე, წინათ კახეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა. აქაურ სასახლეში იკრიბებოდნენ სახელმწიფო საქმეებზე სათათბიროდ.

მაღარო ამაყი, თავისუფალი სოფელი გახლდათ. ბატონებს არ აჰაჰანებდნენ. ორასიოდე კომლიდან ზოგი სახაზინოდ ითვლებოდა, ზოგიც საეკლესიოდ. სხვა კუთხეებიდან გამოქცეული ყმები აქ უშიშრად ცხოვრობდნენ. მათ თავს მაღარო არავის დაანებებდა. ასე გაშენებულა სიღნაღსა და მაღაროს შუა ნუკრიანი ე. ი. „ნაშვილები სოფელი“.

მაღაროელები დღენიადაგ იარაღში ისხდნენ. მათმა ხმლებმა მოსვენება არ იცოდა. რაინდობის, ლაშქრობის, გმირული შემართების სული ამ სოფლის სული იყო.

ეს სული არავითარ მონობას არ სცნობდა.

მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე მაღაროელებმა დაამარცხეს.

სპარსეთიდან მობრუნებული თეიმურაზი, რომელსაც მოსაკლავად დაეძებდნენ, მაღაროელმა გლეხმა ისტუმრა და, როგორც მეფეს ეკადრებოდა, უძღვნა ცხრა წულნი აკვნით და უთხრა: „ბატონო მეფეო! გამძვინვებული პატრონი სპარსეთისა შაჰ-აბაზ ჩვენ იმიტომ გვავიწროებს, რომ ცოტანი ვართ. მაგრამ კეთილიც იყოს თქვენი მეფობა, მტრის დასამარცხებლად მე ჩემს მამულს ვუძღვნი ცხრას ჩემს შვილს!“

ათას რვაას ორში იულონის მომხრენი მაღაროს შეიყარნენ და, ბოდბელ მიტროპოლიტთან ერთად, შეჰფიცეს.

ათას რვაას თორმეტში პირველად მაღაროელმა შესძახა: „ის გადამთიელი, ვინც დედაკაცი შეურაცხყო, ნაკუწ-ნაკუწ უნდა ვაქციოთ!“

ავიდნენ სიღნაღს და გარნიზონი გაწყვიტეს.

შეჰხაროდა სოფლის ბილიკებს, სადაც ბავშვობისას ერბინა და ყოველ კენჭს იცნობდა. სოფლის თავში მთიანი გზა ველზე გადიოდა. ფერდობებს მხიარული საცალფეხო ბილიკები ასდევდა. შორს ჩალურჯებული მწვერვალები მოჩანდა. უყვარდა გვიან შემოდგომაზე მოკამკამე თოვლი.

ფუძის ანგელოზის ფარფატა ფრთებს ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდა და ყველაფერს გრძნეული მიმზიდველობა ჰქონდა.

გზაზე სავსე გოდრებით დატვირთული ურმები მიჰრიალებდნენ. მეზობლის ბიჭი სახრის ტურტურით სახედარს მიერეკებოდა. ხალისიანი შეძახილებით ქვევრებს რეცხავდნენ.

„ბაკურციხულა ლეღვს ყუნწები დაჰყვითლებია! ღობის გასწვრივ მამასა და სტეფანეს ხეხილი ჩაუყრიათ. გაზაფხულზე კვირტის გაღვიძებას უნდა დავესწრო. ყბიან ხეს ტოტები აუყრია. აქ დედა-მიშველობიას ვთამაშობდით!

ამოვიჩრიდით ამოკრულ პურს იღლიაში და ბერაობაზე ნუკრიანში გავრბოდით!

ბოდბის წმინდა ნინოს სამონასტრო სკოლაში რომ მიაბარეს, რვა წლისა შინიდან ფეხით დადიოდა.

სიღნაღის სამრევლო სკოლაშიც ასევე.

თხუთმეტი წლისამ დაამთავრა.

„ჩემო სინათლევ! ვინძლო, კაცი გამოხვიდე, ვინძლო გაუხარო გული დედ-მამასა!“

დაბადების დღეს, წმიდა ანდრონიკეს დღეობას, რომელიც ჩვიდმეტ მაისს მოდის, დედა წმიდა ნინოს მონასტერში კელაპტარს უნთებდა.

„რუსული ენა — ფრიადი! ქართული ენა — ფრიადი! ისტორია — ფრიადი! არითმეტიკა — ფრიადი! ღვთისმეტყველება — ფრიადი!“

თბილისის სემინარიიდან — პირველი ხარისხის ატესტატი!

სიღნაღის სამრევლო სკოლაში მასწავლებლობისათვის წელიწადში ას ოც ვერცხლის მანეთს იღებდა. დედ-მამას წვრილშვილის გამოზრდაში ეხმარებოდა. მაღაროში ყოველდღე ჩამოდიოდა, მაგრამ ღამეს სიღნაღში ათევდა, დაქირავებულ ოთახში, უყვარდა დობრომისლოვთან საუბრები.

„ხვალ მისი საფლავი უნდა ვნახო!.. სულის მოსახსენებელი გადავუხადო!“

ქიზიყს საქართველოს იტალიად რაცხდა. ერთი კვირის შემდეგ მამა იონას პეტერბურგში სწერდა: „ვიყავი საქართველოს იტალიასა შინა ანუ ქისიყსა, მოვიქეც კვალად ტფილისად.“

შინ რომ მობრუნდა, ეზო ხალხით დახვდა საავე.

პირველ დღეს მეზობლები დაეხვივნენ, ახლა კი, შორეული სოფლებიდანაც ჩამოსულიყვნენ ამბის საკითხავად, ჰირ-ვარამის სათქმელად, რჩევისა და დახმარებისათვის. თითქოს, სახელგანთქმული ექიმი დაბრუნებულიყო, ყველას თავისი სატკივარი უნდა გაემხილა.

მაღაროს მოძღვრის სახლი არაფრით გამოირჩეოდა თანასოფ-

ლელთა სადგომებისაგან. ბანიანი ქოხი. შესავლის თავზე ჰუჰრუტანა — შუქისწყარო. უკანა-კედლებში ბუხარი, ორივ მხრივ, მიწიდან ნახევარი არშინის სიმაღლეზე — ხალიჩებით მოფენილი ფიცრის იატაკი. გვერდზე საქონლის ბაკები.

ეზო ფართო და მოვლილი ჰქონდათ ლეკის მთისკენ მშვენიერი გადასახედით.

კედელზე ყურძნის დიდრონი აკიდოები და ვარდისფერი ალიბუხარით სავსე კალათები. გალა-გალა ხახვი და ნიორი. მაგიდაზე ეერცხლით მოჭედილი ბზის კათხები. გოგირდის ასანთი და ქონის სანთელი.

დედა ზღურბლზე პატარა სფრიდოს ძუძუს აწოვებდა და სტუმრებს ელაპარაკებოდა.

სოლომონს გული აუჩქროლა ეზოში ამდენი ხალხის დანახვამ.

ოთხი წლის წინათ, როცა მამამ პეტერბურგში წასვლის ნება დართო, მოსახლეობამ ივანე მღვდელს ოჯახი შეუკრა — რუსეთში შვილს ნუ გაგზავნი, მთავრობა თავის ჰკუაზე აღზრდის, ჩვენი შინაური ამბები იცის და ყველა მტერზე უარესი მტერი გაგვიხდებაო: შვილის გამყიდველობა დაუწამებიათ, ასჯანყებიან, დამუქრებიან, თუ სოლომონს უკან არ დააბრუნებ, სახლს დაგიწვავთ, ცოლშვილს ამოგიჟლეტთო.

„შენ შვილი მთავრობას აჩუქე, გაასალდათებინე, აწინ ჩვენს შვილებსაც სალდათად წაიყვანენო“.

ივანე მაღაროდან გაქცეულიყო, ხოლო სიღნაღის მაზრის უფროსს მხედრობა გამოეგზავნა მისი ოჯახის დასაცავად.

ახლა კი ამდენი ხალხი ელოდა მოუთმენლად.

ახალი წესები ჯერ ფეხმოუკიდებელი იყო, მოსახლეობა ვერ ეგუებოდა, მოხელენი საჩივარს არ უსმენდნენ, არზა-თხოვნის დამწერი მთელ მაზრაში არ მოიძებნებოდა და სოლომონი პირდაპირ წამლად მოევლინა აქაურობას.

სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა, მოიკითხ-გამოიკითხა, მოეფერა. გლეხები გარს შემოეხვივნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, მაგრამ კი არაფერს სთხოვდნენ, არამედ რაღაც უთავბოლოდ თაეიანთ გაჭირვებას უყვებოდნენ.

— გაღმა ფერდობზე ერთი ალო ამპარტავანი მამული მაქ. იგე-

თი ხირხიტი ვენახი, რო, რო, რალა გითხრა. ეს მეორე წელია, აზნაურნნი ჩემობენ!

— წყარო დაგვიწყვიტეს, შარშან ი ორი წვეთი წყლისთვინ კინალამ ერთმანეთი ამოვხოცეთ!

— შენ ეგა თქვი, რო წელ პურმა გვიღალატა. აპრილში ჯეჯილი დედოფლის გულმკერდივით ვარვარებდა. გვეგონა, თუ წლის სამყოფზედაც ბევრი მოგვივიდოდა, მაგრამ მაისში ი ოხერმა გვალვამ ყანები ისე აამშივა, რო, ზამთარი კარს გვადგა და ი ორი მარცვალი პირის ქარათაც აღარ გვეყოფა. წვრილშვილი მაწვნი შეჭამანდზე და ალაოზე უნდა დავყაროთ. არჯანოი პურ მაინც მოგვცემდეს პოლკოვნიკი.

— ჩვენიანი ხარ, ხო იცი! სანამ თესვას შევუდგებოდეთ, გადავიწერთ პირჯვარს, მოვაბნევთ პურის თესლს მარჯვნივ და მარცხნივ და თითოეულს ხელის გაშლაზედ ვიტყვით: „ეს ჩვენს სამშობლოს, პირველ თუ ესა, ჩვენცა და ჩვენს ცოლშვილებსაცა. ეს ჩვენს ბატონს, ეს ჩვენს სტუმარსა. ღმერთო, ლუკმას ნუ მოგვაკლებ, დავხვდეთ გულგაშლითა. ეს მამულის ჯარისკაცებს, ეს დაცემულსა, ვისაც საქონელი დახოცია. ეს იმასა, ვისაც მარცვალი არ მოსვლია. ეს უშვილოს ქვრივსა. ეს ქვრივსა, ობლების პატრონსა. ეს ღარიბსა მარტოხელასა. ეს ობლებსა — უდედ-მამოს. ეს იმასაც, ვისაც შიან. ეს სწორსა, ეს ამხანაგსა. ეს მეგობარსა! ეს ნათესავსა! ეს მეზობელსა! ეს ამვლელს! ეს ჩამვლელს! ეს ფრინველს! ეს პირუტყვს! ეს მყეფარსა! ესეც მე და ჩემი ხიზნისათვის!“

წელს ბატონსა და სტუმარს, ობოლსა და ამხანაგს რა მივართო, რო ჩემი ბალღებითვინაც ლუკმა აღარ მექნება?

— ჩვენთან არ გაიზარდე? გლეხის ქოხში საქონელი, კაცი, ძროხა, ცხვარი, ძაღლი სულ ერთად არა ეყრივართ? კიკინი, ბღავილი, ყეფა, ხვრინვა, კაც-პირუტყვში გზას ვერ გაიგნებ. შუა ცეცხლი. ზედ ქვაბები, ორთქლი, ქარი საკვამურიდან უკან ერეკება ბოლს. აბა, რა ჯანი გამოჰყვებათ ბალღებს!

— ჩვენ-ჩვენი ფეიქარი და შალის მქსოველი დედაკაცი რო არა გვყვანდეს, მხეცივით შიშველ-ტიტველი ვიქლიდით.

სოლომონს ცრემლი ეძალებოდა მათ საჩივრებზე. პატარაობისას როგორღაც ვერ ამჩნევდა ასეთ გაჭირვებას, სწავლას თითქოს გული დაერბილებინა მისთვის. სულის მოსაბრუნებლად, ზოგჯერ,

დედას გაჰხედავდა, რომელიც ბავშვებს „აბიზ, ბაბიზ, ბიზ და ოცს“ ეთამაშებოდა.

— აცხეპამაანთ იაგორას ლეკთან ომში პოეოზკა გადაბრუნებოდა და ცხენებს ეთრიათ. ეტაცნა უნტერ ოფიცერს. ჯერ როზგებით ეცემნათ, მერმე, რაც რომ ებადა, სულ წაერთმია. ვაჩივლინეთ ექსპედიციაში. გვატარებენ ხან იქ, ხან აქ. როცა კი მოვა, არცა რას ჰკითხავენ: „ახლა არა გვცალია, ხვალაო!“ ათი წელია „ხვალე-ხვალეს“ ბოლო არ უჩანს და ღმერთმა უწყის, რამდენი ზამთარ-ზაფხულია ეგ იმათებური „ხვალე“. ენა ჩვენ არ ვიცით და კანონი!

— დაგვიწერე, შენი მუხლების ჭირიმე, ერთი იგეთი არზა, რო სამართალი გვაშოვნინოს!

— აბა, ნუკრიანში რა გეშავდა რა, მაგრამ ერთი ხანია, ნაცელიაანი შემოგვჩენიან, ჩვენს ყმებად უნდა დაგწეროთ, ისე მთავრობა აზნაურობას არ გვიმტკიცებსო. ეუჩივლეთ და არქიმანდრიტმა ნიკოლოზ დოდაევმა ოცი თუმანი თეთრი მოგვთხოვა.

— გეშველე რამე, ღუბერნატორთან, შენს ნათელს შემოვევლებით!

— დიანბეგს ხელი ჰუჰყი და ღვინი ხუხვაი, მეტი არა აგონდება!

— ხალხის საქმეს ძლიერ ავათა ეხედავ! — თქვა ბოდბიხეველმა მოხუცმა. — ქისიყი ძლიერ შეწუხებულია, და თუ კვლავ ასე გაგრძელდა, შეიძლება ისე მოხდეს, როგორც თხუთმეტი წლის წინ იყო. შენ ბალღი იყავ, არ გეხსომება. ათასობით ჯარსა და ცხენს გვთხოვდნენ ომისთვინ. სურსათი მუქთად მიჰქონდათ. უქრთამოდ მაღაროდან ვაქირს არ გიშვებდნენ. პური გაწყდა. ხის ფესვებსა და ფოთლებზე გადავდიოდით.

იხუვლა წინამხარმა და უკანამხარმა. უარი ეთქვით პურის გადახდაზე. გამოგვისია პაულიჩმა ეგზეკუცია: წაესიენენ ჩვენს ოჯახებს. ცხვარ-ძროხას თოფით ხოცავდნენ, იქვე ხარშავდნენ, დარჩენილ ხორცს მყრალ ორმოში ყრიდნენ. ქვევრებს თავს ჰხდიდნენ, თავჩაყუდებულნი ეწაფებოდნენ და მერმე მიწით ავსებდნენ.

მივსწერთ, ჩვენ ხელმწიფეს არ ვღალატობთ, არც ჯვარსა, ეს ბილწი მოხელეები მოგვაშორეთო.

შევიკრიბეთ ეკლესიებზე. რა ვქნათ, პური სად ვიშოვოთ! არბაბი როგორ გადავიხადოთო! მოვარდა ერთი გაცოფებული დედაკაცი. მოჰგლიჯა ქუდი თავის ქმარსა და დაიხურა თვითონ. მოიხს-

ნა და მოასხა ქმარს თავის ჩადრი. „შენ ახლა ცოლი ხარ და მე ქმარიო! სალდათმა გამაუპატიურა და შენ მაგიერ მე უნდა გავცე პასუხიო.“ გამოჰგლიჯა თავის ქმარს ხანჯალი და გაიქცა შინისკენ. მიევსიეთ მთელი ხალხი. ავკუწეთ ის გამაუპატიურებელი. დავხანჯლეთ კამანდა. ავიღეთ ბაირაღი ხელში და მოგვჰყვა მთელი წინამხარი და გაღმამხარი.

— თუ ხალხის შეწუხებას რამე წამალი არ დაედო, უარესიც მოხდება!

— მოსულა ის ღენერალი და უთქვამს, რას ბუნტაობთ, თქვენი თავი ჩვენ გვაჩუქა თქვენმა მეფემაო.

ერთ საქობელს გაუშვერია ხელი და უთქვამს:

„ა! გასაგებია! მიჩუქნია, ღენერალო, შენთვის აი, ის ჩიტი, მაღლა ტოტზე რო ზის. წაიყვანეთ, თქვენია!“

— მისწერე, სოლომონ, ჩვენს ცოდო-ბრალს ნუ დაიდებთ-თქო!

— არ ვიცი, რამ დაგვაგლახა! — თქვა ისევ ბოდბისხველმა მოხუცმა. — მამაჩემს იმ შუღლიან დროებაში არა იარაღი არა ჰქონდა, თუ არა ერთი უზარმაზარი ჰიგო, რომლითაც თურმე ორი ასი ლეკი და ყიზილბაში დაუხოცნია. ბოლოს, მეფე ერეკლეს ზარიანი თოფი უჩუქნია და უთქვამს: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა, უნდა ეს იარაღი დაიკიდოო!“

ეს კი მეც მახსოვს, ლეკები რო საქობოს ეპარებოდნენ და ერთს შინჯიაშვილს დაეხახნა და მინდორში თავის თავი დანით დაეჭრა. მოსულიყვნენ ის ტურები. გაესინჯათ, ხანჯლები ჩაეკრათ, მარჯვენაც მოეჭრათ. იმას სუყველა ეს მოეთმინა, ერთი კვნესაც არ დასცდენოდა. მისულიყო სიმწრითა სოფელში, შეეტყობინებინა. მოესწროთ გალავნის ჩაკეტვა და ერთი არ გაეშვათ ცოცხალი.

— ომარხანი მუზარადიანმა ფშავ-ხევსურებმა დაამარცხეს ნიახურაზე, ჩინები კი სხვებმა დაიკერეს...

ის ღამე სოლომონი გენერალ-გუბერნატორ სიპიაგინის სახელზე წერდა:

„მაქვს პატივი მოგახსენოთ იმ ჩაგვრა-შევიწროებათა შესახებ, რომელნიც მე ჭართველთაგან მომისმენია:

1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეები ძალიან ჭიანურდება, რაც არ შეჰფერის ჩვენი ხალხის ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებს.

კანონს უკუღმართად ხსნიან და საქმე ძლიერ არასწორად წყდება.

2. საქმე მხოლოდ ქაღალდზე მთავრდება და ორივე მხარე უკმაყოფილოა.

3.ერთწუთიან, სულ უბრალო საქმეზედაც კი, თხოვნა ღერბიან ქაღალდზე უნდა შეიტანონ.

4. საქმე, რომელიც შეიძლება სახელდახელოდ, სიტყვიერად გადაწყდეს, სასამართლოში იგზავნება წლობით გაჭიანურებისათვის.

5. მომჩივანსაც და მოპასუხესაც, მტყუანსაც და მართალსაც ბევრად უფრო მეტი ეხარჯება, ვიდრე საქმის მოგება იძლევა. მთავარ ხელისუფლებას არ შეუძლია იცოდეს ყველაფერი, რაც მაზრაში ხდება, რადგან შეეწროებულნი და ჩაგრულნი ვერ ბედავენ უფროსებზე საჩივრის თქმას...

სწორი გამგებლობისათვის, საჭიროა შერჩეული იქნენ მცოდნე, მიუკერძოებელი, კეთილი ადამიანები.

გლეხებს ის უხარიათ, როცა ორივე მხარეს მოუსმენენ და იქვე, სასამართლოს გარეშე, მოარიგებენ. ანდა, თუ დამნაშავეს ისე დასჯიან, რომ სასამართლოში არ მისცემენ.

სასამართლო მგრძნობიარე, კეთილი და გულწრფელი ხალხისთვის საშინელი ტვირთია...

— ოსტატო! ოსტატო! — შემოესმა ამ სიტყვების წერისას სოლომონს.

მაშინვე წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ახლოს ვერავინ დაინახა და ისევ მიუჯდა მაგიდას.

— ოსტატო! — განმეორდა იგივე ხმა.

სოლომონმა ჭრაქს ხელი წამოავლო და ეზო გაინათა.

ჭიშკართან, ათიოდე ნაბიჯზე, ბაკს მოფარებული კაცი დალანდა.

დაფერილ თოფ-იარაღში ჩამჯდარ, ულვაშაკოკრილ ბიჭს ვერცხლის ქამარზე სატევარი უელავდა, მაგრამ სოლომონმა მაინც დანახვისთანავე იცნო საყვარელი მოწაფე პაატა ჯიმითელი, რომელსაც ექვსი წლის წინ სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა და სკოლაში ილარიონ დობრომისლოვის შუამდგომლობით მიიღეს.

უმცროს ძმასავით გადაეხვია სოლომონი.

— მაპატიე, ოსტატო, მე იმ ხალხთან ვერ მოველ, არ ივარგებდა ჩვენთვის.

— რა მიზეზით, პაატა?

— მე ერთი ტყეში გავარდნილი კაცი ვარ!..

ნეტამც, არა გესწავლებინათ რა, ოსტატო! რაც მისწავლია, იმას ცხოვრებაში ვერ ვხედავ. არის ყველგან და ყველაფერში მარტოოდენ ღვთის გმობა, დევნა კეთილისა და ზეიმი ბოროტისა.

ნაბიჯს ვერ გადადგამ, ეს არ დაინახო. მაგრამ არ ვიცი, იმ დღეს რა დამემართა.

დაეჯირა ჩვენს ბატონს მოახლე გოგო თებრა, გაეკრა წნელით ხელები და ქალბატონი უმოწყალოდ სცემდა.

ამივარდა თავში სისხლი. მთვრალს კაცს დავემგვანე. დავავლე ხელი მამაჩემის ხანჯალს და ღმერთმა მიშველა, რომ ორთავ არ ავკაფე.

ეს არავის დაუნახავს, მაგრამ მე მივხვდი, რომ ფიცხი გული მჭონია და შემიძლია ყოველს წუთს ჩავიდინო ცოდვა: მოვკლა თავადი, ვაჭარი ან დიანბეგი.

სოფელში აღარ მედგომებოდა. ჩემი სული ვერც მონასტერში გაჩერდებოდა, ღვთის მოტყუება კი არ შემეძლო.

თავისუფალი ცხოვრება მწყუროდა. აი, როგორც ირემი ან შველია ტყეში, სადაც ჩემსავით კაცისა არ შემეშინდებოდა. არც ის კაცი მინდოდა ვყოფილიყავი, ვინც საცოლეს იტაცებს და არც ისა, ვისაც ბატონთან ღამენათევი ქალი შეჰყავს შინა. არ მინდოდა ქედმოხრილი ვყოფილიყავ ღვთის მიერ ჩემს მსგავსად გაჩენილთა შორის.

— მაშ, ტყეში რაღას ეძებ?

— ტყე-ღრეში მე ის სიხარული მიპოვნია, რომელიც ვერსად მოვიძიე. ჯერ ჩემს ჰკუაზე დავდიოდი, მანამ ბატონი დამიწყებდა დევნას, ყმა გამექცა, დამიბრუნეთო. მერმე, დამჭირდა თავისუფლების დაცვა და ვიცავ! ხან გომბორზე მძინავს, ხან — აზავერაზე, ხან ლეკში, ზოგჯერ ქალაქშიაც.

აქ ბრმა ვყოფილვარ, იქიდან ყველაფერს უკეთესად ვხედავ და ვერ ვხედავ ამა სოფელს წესზედა! არა სრულდების მცნება ღვთისა: „უკეთუ გაქვნდეთ ორი სამოსელი, მიეცით ერთი გლახაკთა!“ სხვა სწერია და სხვა მეფობს ამა ქვეყანასა ზედან.

გლეხის გაჩენაში ღმერთი არ რეულა.

— არ შეჰფერის კაცს ამგვარი უსასოობა, ღმერთი მოწყალეაო, იტყვის ჩვენი კაცი თავის უკანასკნელ განწირულებაშიც.

— რათა, შენი ჭირიმე! განა უმწეობას ვიძახი. განა თვითონ არ ვკითხულობთ, სადაა ის სათნოება, რომელითაც ღმერთმა დაგვაჯილდოვა, ის სიკეთე, რომელიც გვიქადაგა? ხომ გაიგონეთ დღეს ხალხის კვნესა-ჩივილი! მერმე ეშველებათ რამე? მე თავი დამიდვია, გვასწავლე მოძღვარო, როგორ ავაცილოთ ხალხს ეს ბედი! როგორ დავიხსნა უსამართლობისაგან. შენ ხომ მთელი ქვეყანა მოგივლია. ბევრსაც გაიგებდი, ბევრიც გეცოდინება.

ვარსკვლავები ნელ-ნელა ქრებოდნენ. შორს, სადღაც ყრუ შეძახილი ისმოდა. ჰიშკარზე მიბმულ ლურჯა ცხენს თავი ჩაეღუნა.

— ყური მიგდე, პაატა! საქმე აგრე იოლი ნუ გეგონება. მარტო რას გააწყობ!

— ამას რაღა ეშველება, რო სოფლიდან გამოსული ვარ, ან უნდა გაეიმარჯვო ან უნდა მოვკვდე. სხვა გზა აღარ დამრჩენია.

— ევროპაში, რა ხანია, გადავარდა ეს სამარცხვინო სენი და რუსეთშიც ბევრი ითხოვს ბატონყმობის აღსპობას. ეს ახალი საუკუნე ვერ მოითმენს ასეთს უკეთურობას და თავისუფლება შორს აღარაა. ხალხს სულ უფრო მეტი იმედი უნდა ჰქონდეს კეთილისა, და ბატონებს — მეტი შიში თავიანთი არაკაცობისა.

რუსეთში ხალხის მოყვარე სწავლულნი სიცოცხლეს არ ჰზოგავენ ამისთვის და გლეხნიც არ ეპუებიან მჩაგვრელთა.

— რახან გამოვსულვარ, სანამ ჩემი ლეში სვავებს დარჩენია, მეც ვაჟკაცობა უნდა ვაჩვენო ამ საქმისათვის.

— აგაშენოს ღმერთმა! კაი მეგობრები მზათ გყავდეს და ჩირქი არა მოგეცხოს!

— მანამ პაატა მოგიკვდებოდეს! აჰანდე! ახლა მზეც იწვერება და უნდა გავქუსლო. ჩემი თავი მთავრობისაგან დაფასებულია და ჩვენს მაცხოვარს არა შეგემთხვეს რა. ამიერითგან შენის იმედით უნდა ვიყოთ.

შემოეცლო პაატა ბედაურს, ოდნავ სადაეე აუქნია და გაქროლდა.

„ნელა, პაატა, ცხენი არ წამოგექცეს!“ — უხმოდ დაადევნა მასწავლებელმა.

„ამ ქვეყნის შვილს უნდა შიოდეს და თავისუფლება ენატრებო-

დეს?! განა ყოველს სოფელს თავისი მარატი, თავისი რილეევი და ნაპოლეონი არ ჰყავს?! ვინ იცის, რა მხედართმთავარი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე იქნებოდა ეს საცოდავი გლეხისშვილი, სადმე სხვაგან, სხვა პირობებში რომ დაბადებულიყო და გაზრდილიყო! არა, ძალა და ბედნიერება სწორედ აქ, ამ უბრალო და გულმართალ ხალხშია!

წინ წადექ, პაატა! ყოველთვის ყველგან წინ წადექ!“

გაახსენდა...

პატარაობისას ბიძამ დაჭრილი ველის არწივი მოუყვანა. ახალწამოჩიტული მართვე იყო. ტყვიას ბარკალში გაეელო. როცა უმცროს დას შეუყვანეს, არწივმა დაისისინა და სათამაშო მელიას კლანჭი ჩაავლო.

„არ მინდა. წაიყვანეთ!“ — შეეშინდა ნინოს.

არწივი ბანზე დააბეს.

დიდთოვლობა იყო. ყინვას კედლები დაებზარა. არწივი მთელი ღამე თოკზე თავდაღმა ეკიდა და ვაჟკაცურად იტანდა გასაჭირს.

დილით სოლომონმა ოთახში შემოიყვანა შეუპოვარი ფრინველი. ცოცხალი ხორცი მიუტანა. მისი თანდასწრებით არწივმა იუკადრისა ხორცთან მიკარება, მაგრამ, როცა თავი მარტო დაიგულა, შეაჯდა ხორცს, ჩაჰკორტნა და შესანსლა.

დათვის ბელის თოჯინა მიუტანეს. არწივი უცებ გამოცოცხლდა, მიუხტა. მაგრამ თოჯინა არ განძრეულა და არწივმა ერთბაშად დაჰკარგა მისდამი ინტერესი. ჩაკვდა. გაჰქვავდა. თვითონაც ფიტულს დაემსგავსა.

„დილამდე ვერ გაატანს!“ — თქვა მამამ.

სოლომონი არ ეშვებოდა. მოჰქონდა ხორცი. ეფერებოდა შორიდან. ტკბილ სიტყვებს ეუბნებოდა და გრძნობდა, რომ არწივს ადამიანივით ესმოდა ეს.

რამდენიმე დღეში არწივმა მოიხედა. „რა იყო, არწივო! როგორ ხარ? ხომ არ მოგწყინდა?“

არწივი თავისი დიდრონი თვალების საოცრად მეგობრული სითბოთი პასუხობდა გადამრჩენელს. სულ მეტი ნდობა ეტყობოდა. მეათე დღეს არწივმა თავის ღონიერი ნისკარტით თოკი გადაჭრა და, როცა სოლომონი დაინახა, გამიშვიო, მუდარით მიაჩერა თვალი.

ფრთა და ბარკალი შეხორცებული არ ჰქონდა და სოლომონს ეშინოდა, არ ჩამოვარდეს, ტურა-მგლის ლუკმა არ გახდესო.

მაგრამ არწივი ისეთი მუდარით განაგრძობდა ყურებას, რომ გულმა ვეღარ მოუთმინა, შეხსნა თოკი და გაუღო კარი.

რა საოცარი ნეტარებით შეხტა არწივი მოაჯირზე, როგორ გაშალა ფრთები!..

თურმე რამხელა ყოფილიყო — მფრინავ სახლს დაემსგავსა. ზამთრის მკრთალ მზეზე, ეზოებს, ვენება ჩრდილად გადაეკლო, ირაო შეჰკრა, გადაუფრინა მაღაროს და სადღაც, სოფლის ბოლოს, თითქოს დაეცა.

გაისმა გასროლა. სოლომონი ელდანაკრავივით გავარდა ეზოდან. „ნუთუ ისევ ესროლეს?“ — მეზობლის ბიჭი შეეფეთა. „არწივი ხომ არ დაგინახავს?“. „არა! ეს გასროლის ხმა ნუკრიანიდან იყო!“ სადღაც ისევ გაისროლეს. „ბიჭებო, არწივი ხომ არ დაგინახავთ?“. „დავინახეთ, როგორ არა, აი, იქ, ორკაპა ხეზე დაფრინდა!“. „ეს გასროლა რაღა იყო?“. „გზაზე ამალი ააფეთქეს ბავშვებმა.“

თითქოს დაინახა კიდეც: არწივი ერთხანს ვენება ხის განიერ ტოტზე. მერმე შეტრიალდა და ნაცრისფერ ცას შეერია.

„წადი, იფრინე, ჩემო არწივო! ხომ დავრწმუნდი, რომ ოთახში ყოფნას შენ ასე თავისუფლად სიკვდილი გირჩევნია!“

— მაფიქრებს ჩვენი სოლომონის ბედი, ბარბარე! — მზრუნველად უთხრა ივანემ ცოლს, როცა სოლომონი თბილისს გაემგზავრა. — ძალიან დარბილებია გული! ბალღობიდანაც საცოდავის სიკეთისა ყოფილა და ამ ოთხს წელს უფრო მოულბია. ამ ქვეყანას რა გაასწორებს. გაჭირვებას რა გამოლევს! ამის სული კი მუდამ იქაა, საცა ტირიან და კვნესიან. გაუჭირდება აგეთ გულსაწყალს ამ საძაგელი წუთისოფლის გავლა.

8

— ფილოსოფოსი შეგირდებს გვიბუნტებს. მისგნით წაქეზებულნი ჩემნი უკეთურნი მოწაფენი მშობელთ ემუდარებიან, ეფრეშა აღარ გვინდა, ქართული დოდაშვილმა გვასწავლოსო.

— მაგას ქართულისა რა ესმის?

— შენ, ჩემო ძმაო, ეგრე ილაპარაკე და, მოვიდა თუ არა, ყველა საგანი მაგას გადააბარეს. გინახამს, რო ერთი ოსტატი ასწავლიდეს ქართულს, რუსულს, ლოღიკას, რიტორებას, ისტორიას, ღეოღრაფიას, ალგებრას?! მე აგერ ათი წელიცაა, მოძღვრად ქართულისა ენისა და სჯულისა ღვთისა ვარ, და უფროს კლასებს მაინც არ მაძლევენ.

ასეთი საუბარი ჰქონდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სამასწავლებლოში ეფრემასა და ეგნატეს.

— ღვთის რისხვად რამე ლოღიკა დაუწერნია რუსულს ენაზედ და თავს უნდა დაგვასვან ჯერეთ ნინველი.

— კეთილი იქნება ამა ნაწერის განჩხრეკა.

— მაქვს სურვილი მეცა, დავუწერო კრიტიკა.

— წარდგენილია მხოლოდ მეათეს კლასის ღირსებაზედ და აძლევენ ას სამოცს თუმანს ასიგნაციით, ითხოვს მეთერთმეტის კლასის ჩინსა და ორას ორმოცდაოთხ თუმანს წლიურად.

— ვინ მიაქვავებს უაზნოსა და სასულიეროდანაც გასულსა!

— განა, ვერა ჰხედავ, რა განლაღებულ არს ამპარტავნებითა? პირველსავე მოსვლისა შინა მაგისა იქუხა ქალაქმან ტფილისმან, სადაც მოუთხრობენ ერთიმეორესა მაგისა სიბრძნესა ზედან. ლამის გამოაცხადონ მოციქულად.

— ეგ როგორღა მომხდარა, რომ გენერალ-ადიუტანტს თავისი შვილების მასწავლებლად მიუწვევია?

— ამას ნუღარ მეტყვით, ამაზედ მთელი ქალაქი დამუნჯებულია. თავადნი და ნაშოვანნი კაცნი ფრიად გაოცებასა შინა არიან.

— ღენერალ-ღუბერნატორი სიპიაღინი კეთილშობილ მოხელეებს ხუთის წუთის საჩივრის მოსმენაზე უარს ეუბნება, ამ ჭიზიყელს „სახაზინოს“ კი გვერდიდან არ იშორებს. დაბრუნდა თუ არა პეტერბურღიდან, უმალ სადილზე მიიწვია, ბევრიც უსაუბრნიათ. რაც ამას უთქვამს, განათლების მინისტრისათვის მიუწერნია. მერმედ ყოველს შაბათს-კვირას სადილად ჰპატიჟებს და ფრიად კარგად იღებს.

— ჩემის თვალით ვიხილე, სობოროსა შინა ეგზარხმან, შემდგომ შეწირვისა, მიჰსცა ღუბერნატორს სეფისკვერი და მან გადასცა იგი „სახაზინოსა“, სიტყვითა ამით: „მიიღეთ, რათა უმეტესად განანათლოთ და ასწავლოთ მეცნიერებანი!“

— ესევითარსა არაოდეს აპატიებენ ქართველნი.

— არცა რუსნი, რომელნიცა არ მიიწვია თვისის შვილების აღმზრდელად და მიიწვია ესე ნინველი აქაური.

— ვლადიმერ ევსტაფიევიჩ! — თავი მიიბრუნა ეფრემამ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ დემენტიევისკენ, რომელიც ცოტა მოშორებით, ამხანაგებს ელაპარაკებოდა. — მთელი ტფილისი ზეიმობს, რომ ღუბერნატორმა თავისი შვილების მასწავლებლად ახალგაზრდა ქართველი მიიწვია და სხვა უკეთესი ვერა ჰპოვა

— ბატონი დოდაევი?! გუბერნატორმა ღირსეულთა შორის ჭეშმარიტად ყველაზე ღირსეული ამოარჩია. გაქესთ საამაყო ქართველთა, რომ თქვენ შორისაც გყავთ მეცნიერნი, როგორც დღევანდელს დროებას შეჰფერის.

— თქვენ? ნუთუ, ამ სასწავლებელში სხვა არ ამოირჩეოდა? — ეღარ მოითმინა ეფრემამ.

— დოდაევთან ვერც ერთი ვერ მოვალთ. მიიღო განათლება პეტერბურღის უნივერსიტეტში. დასწერა წიგნი, რომელიც დედაქალაქში დაბეჭდეს და შეაქეს, მიიღეს სახელმძღვანელოდ. ასეთის ნიჭით მილიონში ერთი იბადება.

— ცეცხლი შენს ენას! — ჩაილაპარაკა ეგნატემ. — რაღა ამ ვირს ჰკითხე. მაშ, თავზე უნდა დაგვაჯდეს?!

— თქვენც ხომ ფრიად კმაყოფილი ბრძანდებით, ზენონ ევგრაფოვიჩ? — ახლა გეოგრაფიის მასწავლებელს იაროსლავსკის მიაჩერდა ეფრემა.

— სისაძაგლეა! — სიბრაზისაგან ენა დაება მას. — „ო"სა და „ა"ს ვერ ანსხვავებს. ჩვენ, ჩვენ...

— მაჩანჩალაა ეს თქვენი ფილოსოფოსი! — ხელი ჩაიქნია და იქაურობას გაეცალა არითმეტიკის მასწავლებელი იაბლონსკი.

— ხო გაიგე, ვისგან და რისთვის ყოფილა წარმოგზავნილი?

— რასაც მოიწადინებს, იმას გვიქს. პასკევიჩი სულ ომშია, ჩვენი ბედი სიპიაღინს აბარია. ბუნაპარტესთან ომში დიდი სამსახური გაუწევია და ხელმწიფეს დიდს პატივში ჰყოლია. მხედართა ჟურნალის რედახტორადაც ნამყოფი ყოფილა.

— ზოგის გროში ოქროდ გადის, ზოგის ოქრო არც მარჩილად. რაკი პეტერბურღში უსწავლია, ავიღოთ და ფეხები ვებანოთ?

— ერთი ამ ციბიტოს უნდა ვთხოვო, გუბერნატორთან რეკამანდი მიქენი-თქო.

ეფრემა გრძელი ნაბიჯით გაეშურა სოლომონისაკენ, გადაეხვია, დაჰკოცნა.

— კურთხეულ არს მოსვლა შენი ივერიისა შინა! — მეათასეჯერ გაუმეორა, რასაც ყოველი შეხვედრისას ეუბნებოდა ხოლმე.

სოლომონი პირდაპირ გაკვეთილიდან შემოვიდა და კარგს გუნებაზე იყო, რადგან, როცა მოწაფეებს კათედრიდან სამყაროს მათემატიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე ესაუბრებოდა, იონა ხელაშვილის წერილი გადასცეს და ამან ძლიერ გაახარა.

დღეში რვა გაკვეთილი ჰქონდა, ათას საქმეზე ეძახდნენ, ჟურნალში ახალი მასალის ჩაწერასაც ძლივს ასწრებდა, მაგრამ კლასში მუდამ ენერგიით სავსე შედიოდა.

რა საგანიც არ უნდა ყოფილიყო, სოლომონი ყოველთვის საქართველოს მოკლე ისტორიით იწყებდა, გმირულ ომებს, დაცემას, ახლანდელს მდგომარეობას და მამულიშვილთა მოვალეობას, განათლების საჭიროებას შეეხებოდა.

— სოლომონ ივანიჩ, თქვენ რას იტყვით ჯარიმებზე, მთავრობას რომ შემოუღია იმ მშობლებისთვის, რომელნიცა შვილს არ შემოიყვანს შკოლაში?

— მე რა მოგახსენოთ! — მოუჭრა დოდაშვილმა და ჟურნალში ჩასაწერად მაგიდას მიუჯდა.

— ვითარ იქნების თავადი აზნაური უსწავლელი დარჩეს? — თქვა ეგნატემ.

— თავადსა და აზნაურსა ამისათვის ჯარიმა რათ უნდა, გლეხი და ვაჭარი ხომ არა ვართ! აგერ უფალი დოდაევიც ამ აზრზედ ბრძანებულა.

— მე? — საკლასო ჟურნალიდან თავი წამოსწია სოლომონმა ისევ იმ თავისი კეთილი ირონიული ღიმილით.

— მაშ, თანახმა არა ხართ?

სოლომონმა შავი ბურჩხა წარბები ზეაზიდა:

— უფალო, ჩემის რწმენით, სწავლასა შინა დიდი კაცისშვილნი და მცირისა, ერთნი და იგივე უნდა იყოს. თუ კეთილშობილს თავისი შვილი არ შემოჰყავს, მის ადგილზე გლეხის ან ვაჭრის შვილი უნდა შემოვიდეს, რომელსაც აქვს ნიჭი და აქვს სურვილი.

— მაგრამ ეს ხომ კეთილშობილთა სასწავლებელია?

— გავიგონე მე, რომ მალე ეს სასწავლებელი გადაკეთდება.

— მე არა გამიგია რა! — სწრაფად შეაგება ეფრემამ.

— უფალ დოდაევს პეტერბურღის უნივერსიტეტი დაუსრულებია, ჩვენზე მეტი ეცოდინება.

— უფალნო, მე ეს არ მეხება. მე მოგახსენებთ ჩემსა საკუთარსა აზრსა, გავრცელებულსა რუსეთის სწავლულთა შორის, რომ საჯარო აღზრდა ქვეყანას აიყვანს ევროპული განათლების საფეხურზედ.

— ეს ვითარ გავიგოთ? — ჩაეძია ეფრემა, რომელიც აბრეშუმის ჭამრის გრძელ ბოლოებს ათამაშებდა.

— მე ვამბობ სიყვარულისათვის მამულისა, მთელი ხალხი და არა ერთი რომელიმე წოდება.

— ხოვენის გუბერნატორობაში, ოდეს ოფიცერნი იყვნენ ფრონტზედ, უფროსის კლასის მოსწავლენი გაიგზავნებოდნენ ცეკვებზე კავალერებად, და თუ ყოფილიყვნენ ვაჭარნი ან გლეხნი, ვითარ იქმნებოდა ეს საქმე? — თვალი გაუსწორა ეფრემამ.

სოლომონს ხმა არ ამოუღია.

— შიპულინი მეექვსე კლასში გთხოვთ! — გამოაცხადა ბიბლიოთეკარმა კოტოვმა.

— წავიდეთ! წავიდეთ! — ფაციფუცით წამოდგა ეფრემა. — კინაღამ დამავიწყდა.

დოდაშვილს რამდენიმე რვეული დარჩენოდა გასასწორებელი, უნდოდა, მეოთხე გაკვეთილისთვის მოესწრო.

— თქვენ არ დაესწრებით, სოლომონ ივანიჩ? — ჰკითხა ბიბლიოთეკარმა.

— როგორ არ დაესწრება! — გაიოცა ეფრემამ: — შეგირდს ნადიროვს გუშინ ამხანაგისთვის უკარნახნია და კლასის თვალწინ ოცდაათი სახაზავი უნდა დაჰკრან.

სოლომონს, თითქოს, არც გაუგონია.

— წავიდეთ, ნუღა ვიგვიანებთ! — ხელი დაადო ეფრემამ. — რაც მეტნი ოსტატნი ვიქნებით, შეგირდნი უფრო შეიგნებენ თავიანთს შეცდომას.

მხრების შეუმჩნეველი მოძრაობით, დოდაშვილმა თავაზიანად მოიშორა ეფრემას ხელი.

— ესე ვითარი პედაგოგიური ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოტოვებული ჩვენსგნით!

— მიბრძანდით, მამაო! — მოთმინება გაუწყდა სოლომონს. — მე არა მრწამს ესევითარი პედაგოგიური ღონისძიებები. — შეგირდი არის კაცი, ვითარცა ჩვენ, და ამისი ნორჩი გული არაოდეს არ უნდა დაიჩაგროს სამაგიეროს მიგებითა.

— მაშ, უკარნახონ ერთურთსა და არა ისწავლონ რა? განა მისთვის მოგვაბარებენ კეთილშობილნი თავიანთს შვილებსა! რამდენს უთქვამს ჩემთვის, შინდის ჯოხით გააჭრელეთ, რო ჭკვაში ჩავარდესო!

— მე არ გიშლით! თუნდაც, სახრეებით გაგიჭრელებიათ.

— პეტერბურღში ნასწავლს ოსტატს რომ ჩვენთან დაგინახავენ, უფრო ჭკვაში ჩავარდებიან.

— მე მათ შეგნებითა და მაგალითით ჩავაგონებ ყოველს კეთილსა!

— ეგ არა თქვათ! აქ ისეთი ავაზაკები გვყვანან, რომ ზარბაზნებითაც ვერას ჩააგონებ.

— მაშინ რაღა ნადიროვს უნდა დაჰკრათ ოცდაათი სახაზავი? მერხები ყველა კლასში დამტვრეულია, ამოჭრილია დანით. დაჩხაპნილია საძაგლის წარწერებითა. მინები სულმთლად ჩამტვრეული. გასვრილი, ქაღალდჩაკრული, მტვრიანი. თუ ყურის აწევა, თმის აგლეჯა, როზგი და გაჯოხვა, დაჩოქება, უსადილოდ დატოვება წამალია, რატომ აქამდე ვერაფერი უშველა? ოდეს ადამიანი მარტო დარჩება და იმის შიში აღარ ექნება, მხედავენო, მაშინ არ უნდა ჩაიდინოს დანაშაული. თორემ, ცხვირში სახაზავითა და წკეპლით ყველას ყველგან ხომ ვერ გამოეკიდები! ყოვლის მათგანის სიყვარულითა და სიბრალულით ჩავუნერგოთ გულში სამაგიერო სიყვარული და ნდობა. მივცეთ მაგალითი სიდარბაისლის, მოთმინების, სამართლიანობისა. როზგი და სახაზავი უფრო უწინ უსამართლოს ოსტატს უნდა მოხვდეს!

ეფრემა და ეგნატე ამ სიტყვებზე შეხტნენ.

— რატომ იგვიანებთ? — თავი შემოჰყო და მკაცრი ხმით იკითხა შიპულინმა.

— უფალი დოდაევი არ გვირჩევს პედაგოგიურს ღონისძიებას.

— თქვენ რუსოს ემხრობით? — შეცვლილი ხმით ჰკითხა შიპულინმა.

დოდაშვილი უსიტყვოდ გაჰყვა.

როცა შემობრუნდა, სოლომონს ჩვეულებრივზე პირქუში გამომეტყველება ჰქონდა. მეათე დაკვრაზე ბიჭს თითებიდან სისხლი წავარდნოდა და გული შეჰღონებოდა. მანასეინი, დემენტიევი, დოდაშვილი ეგზეკუციის შეწყვეტას ითხოვდნენ, ხოლო შიპულინს, სროსტინსკის, ეფრემასა და ეგნატეს სასჯელის ბოლომდე მიყვანა განეზრახათ, რათა შეგირდები არ გათამამებულიყვნენ.

— თუ ასე მოვიქეცით, თავზე დაგვასხდებიან! — ცეცხლს აკვესებდა შიპულინი.

— ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ... — არ უნდოდა საუბრის გამწვავება დოდაშვილს.

— მე ვფიქრობ, ზოგიერთი აღმზრდელი გადაჭარბებულ მზრუნველობას იჩენს წესის დამრღვევთადმი. — უკმაყოფილოდ ამბობდა შიპულინი.

— ყმაწვილობისა გამო! — ჩაილაპარაკა ეფრემამ.

— ჯერ ის გავაკეთოთ, ბატონებო, რაც ჩვენ გვევალება. — თავის მართლების კილოთი ლაპარაკობდა დოდაშვილი. — შვიდი და თხუთმეტი წლის შეგირდები ერთ კლასში სხედან.

— ესე არა სჯობს? დიდი შეგირდი მცირესა დაარიგებს და განუმარტებს.

— ამაო აზრი გახლავთ. თხუთმეტის წლისანი გარდასულნი არიან იმ წლოვანებისგან, რომელსაცა შინა უნდა მიიღოს ჰსწავლა გულისხმიერმა ნორჩმა არსებამ. როცა ექვსის წლისა იწყებს სწავლასა, უფრო საფუძვლიანად და შეურყეველად შეითვისებს ყოველ სიბრძნეს და ზნეობას.

— კიდევ რა გვაკლია? — ოდნავ დამცინავი ხმით ჰკითხა შიპულინმა.

— თავადაც მოგეხსენებათ, რომ მასწავლებელნი არ გვყოფნის და დაწყებითს კლასებში უფროსი კლასის შეგირდებს ვავალებთ გაკვეთილების ჩატარებას. არ გვაქვს ხელსაწყონი ბუნებისა და ფიზიკისებრნი.

— დაწყებითს კლასებს რა ისეთი სიბრძნე სჭირდება! — თქვა ეფრემამ.

— მეც ისეთს ფრიადს ცოტას განსხვავებას ვხედავ ოსტატსა და შეგირდს შუა, როგორიც... ჩვენი სასწავლებელი დღემდის უპატრონოდაა.

ამაზე ეფრემამ ისე დაქაჩა პიჯაკის კალთა, რომ ყველას დაენახა.

— ხევრე, ხევრე, ისევე ხევრე! — ჩაულაპარაკა ეფრემამ ეგნატეს.

სოლომონი რწმუნდებოდა, რომ ამ პირობებში აღთქმული მოვალეობის შესრულება სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

„უსარგებლოდ ვკარგავ დროს ამათთან ლაპარაკით. ვერა რაისა ღირსებასა ვერ ვიხილავ მათს საქმეში. სიტყვა მათი არს ფუჭი და არა არს მათსა სულსა შინა ჰეშმარიტება და არცა სწადიანთ ცოდნა მისი. არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება. არ არს მოდრეკა სიბრძნისადმი, არცა სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არცა მეცადინეობა და წადილი უკეთესისა, არამედ ყოველი სიძულვილი და მტრობა. მაშ, რისთვის ვიკლავ თავსა ჩემსა ამაოს ქადაგებით? რაი ვჰყო მუნ, სადაც ვერ მომიძებნია არა რაი ღონე და საშუალება. ყოველი წინააღმდეგსა მეტყველებენ და სხვაი საშუალება არარაი მაქვს, გარდა დუმილისა. ქართველნი ცუდ მეშურნეობასა შინა არიან და არ ვიცი, რა მომელის მათგან. ვავნებ მხოლოდ საქმესა სასიკეთოსა და ვერას შევმატებ ვერცა მამულსა და ვერცა თავსა ჩემსა. არა უმჯობეს არს, ვიღვაწო საქმითა, მოვფინო ნათელი განათლებისა და ვიყო მსაჯული შინაგანი სულისა ჩემისა? დავიხშო სასმენელი ჩემი მათს სიტყვაზედ და ვმსახურო კეთილსა?

თუ დავიმძიმო უღელი კამათითა და დავითა უღირსთა კაცთა მიმართ. სიძლიერისა წილ, ვაჩვენო სისუსტე გულისა ჩემისა, ვითარცა გველი! წავუყრუო უმეცრებასა, ცილისწამებასა, ვერაგობასა, სიავესა, ნაკლულოვანებათა, უსამართლობასა თუ ვეკვეთო მედგრად ყოველსა უკეთურსა და შევმუსრო ყოველისა ძალითა?

აქ არ ეძიებენ სწავლასა, არ სწყურიათ წიგნი. მეშურნეობენ ურთიერთ შუა. ზრუნვენ მხოლოდ, რა ჰამონ და რაი დალიონ დღეს. ამა შკოლისა მესვეურთა არა ესმით რა დღეისა და ხვალისა. მრავალრიცხოვანს ამ საზოგადოებასა შინა ყოველი კაცი ცდილობს დამალოს თავი თვისი, ჩამოიფაროს ნიღაბი სახესა ზედან, რათა ვე-

რავინ ჰსცნოს, გააკეთოს ყოველივე ისე, ვითარცა აკეთებენ სხვანი და ჰგვანან ყველაფერნი და ყველანი ერთმანეთს.

არა ჰგუობს სულსა ჩემსა ასეთი ბაზაზხანური ცხოვრება“.

4

მიქაიჩი ფიქრსა და საზრუნავს ერკინებოდა.

ყიზილბაშებთან ომი ჯერ არ დასრულებულიყო, თბილისში პანიკა სუფევდა. საგანგაშო ხმით ჩურჩულებდნენ, აბას მირზა ასი ათასიანი არმიით ელიზავეტოპოლს უახლოვდებაო, მისი ავანგარდი კი, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი მოუძღვის, შამქორში გამოჩენილა, შუშაში პოლკოვნიკ რეუტის პოლკისთვის ალყა შემოურტყამსო. ერევნის სარდარს ბამბაკი და შურაგელი დაუკავებია. თარეშებს დმანისამდე მოუღწევიათ და, თბილისიდან ერთი დღის სავალზე, გერმანელთა ახალშენები გაუძარცვავსო. საიმედოდ ის ჰქონდათ, რომ თავად მადათოვს სამი ათასი ჯარისკაცი მზად ჰყავდა, ხოლო ლორესთან, ქვის მდინარის პირზე, ჯელალოღლის ხეობაში პოლკოვნიკ სავარსამიძის ცხენოსანთა პოლკი ეკვეთებოდა ყიზილბაშებს.

„დადგა დრო, როცა ერთგულება უნდა ვუჩვენო! რაც რუსული ხიშტისაგან შეძრწუნებულმა მტრებმა მაჰმადის მწვანე ბაირაღი გაშალეს, ჩემს ქვეყანაზე დარდი დღედაღამ მოსვენებას აღარ მაძლევს. გარდმოხვეწილ ქრისტიანთა კოლონებს ბოლო არ უჩანს. ასე თუ გაგრძელდა, ფეხის დასადგმელი აღარ დაგვრჩება. ახლა ამდენ ჭრელ ხალხში წესრიგის დაცვას რამოდენა თავი უნდა, გარშემო კი არავინ ჩანს. იახსეს ეშმაკი დაჰბუდებია. მისგან სასიკეთოს აღარას ველი. საიდუმლო ცბიერებას ეხედავ, რადგან აღარც მთავრობასთან ედგომება, აღარც თავისიანებთან. წესისამებრ ხომ არ გამოცხადდა, შემოიპარა. ორი დღე კინტოებში ქეიფობდა. ვიფიქრე, წალკის ციხეში მივავლინებ-მეთქი, პროვიანტის აღსაწერად, მაგრამ არც ეს ისურვა.

როგორმე, ჩემს სახლში უნდა გადმოვიყვანო საცხოვრებლად, უფრო იოლი მოსავლელი მეყოლება, თორემ ეს რა მეგობრები გამოსჩენია! კინტოები მერჩიენა. ფრანციის საკონსულოს მდივანი ლეტელიე, რომელმაც, ეშმაკმა უწყის, საიდან ისწავლა ასეთი

ქართული! პოლონელი ექიმი პოპეიკა, საქართველოს სიყვარულით რომ კვდება. პოლკოვნიკი ანრი, რომელსაც ბუნაპარტეს ლაშქარში უმსახურნია და ბეჭზე ბუნაპარტე ახატია. ასე თუ იქნა, ქონებას სიზმარშიაც ვერ იხილავ, ჩემო მშვენიერო ძამია! უნდა მოგახსენო, რომ გაყოფას სრულებით არ ვჩქარობთ!

ასე თუ იქნა, ჩემო მშვენიერო ძამია, მაგ მზეთუნახავსაც ხელმეორედ დაჰკარგავ, დღედაღამ რომ ვერ შორდები და არც კი იცი, ვის უნდა უმადლოდე სიყვარულის განახლებას!

ასე თუ იქნა!..

ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა ბრძანდებოდე, ჩემო მშვენიერო ძამია, და ფეხებში არ ებლანდებოდე დიად გეგმებსა და განზრახულებებს, რომლებზედაც საცოდავი საქართველოს ბედიღბალი ჰკიდია!

მე ხომ შენთვისაც ვზრუნავ! აბა, გაიხსენე, რა მოგივიდოდა, გვერდით რომ არ გედგე, განსაცდელიდან რომ არ გამომყავდე! შენს შეცდომებსა და სისულელეებს რომ არ ვასწორებდე! გიფიქრია ოდესმე, რა ძნელია ჩემისთანა კაცისთვის პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო ძმის ყოლა?

გგონია, არ გეტყობა, რა გულით ჩამობრძანდი!

ან, ეს ფილოსოფოსი საიდან გამოჩხრიკე ასე უცებ! როდის ჩაჰბერეთ ერთმანეთს მუჭში სული!

მერმე, იცი, ვინ არის სოლომონ დოდაშვილი? რა მოგეწონა მისი? რით მიგიზიდა? რამ შეგაყვარა ეგ თავქარიანი გმირები? ღმერთო, ეს რა ახალი თავსატეხი გაგვიჩინე ქართველებს: სოლომონ დოდაშვილი! ეს გვინდოდა! ესღა გვაკლდა?!

თბილისის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს, რომ ჰკუის მასწავლებლობა დაგვიწყო. შეგირდებს რესპუბლიკურ მმართველობაზე, შვეიცარიის ცხოვრებაზე, შილლერზე და პიემონტზე ლაპარაკით უნაგვიანებს ტვინს. მთავრობას სასწავლებელი უპატრონოდ დაუგდიაო. მთავარმართებელი კი გუშინაც იქ ბრძანდებოდა და ფრიად დიდი შემწეობა დაჰპირდა.

გენერალ-გუბერნატორისა ვერაფერი გამიგია, რომ ეს ლაწირაკი შვილების მოძღვრად მიუწვევია, ქალაქში თვისის კალიასკით დაჰყავს. ყოველს რჩევას ამას ეკითხება და ყოველი ამისი სჯერა.

ნუთუ, სიპიაგინმა მართლა არ იცის, ვინაა სოლომონ დოდა-

შვილი? ნუთუ, მარტო მე მომეპოვება სარწმუნო ცნობები დეკაბრისტებთან მის საეჭვო ურთიერთობებზე? განა, ის მაინც არ უნდა შეეტყობინებინათ გენერალ-გუბერნატორისთვის, რომ დოდაშვილს ჩამოსვლისთანავე მიაწყდნენ ხელმწიფის მტრები? არ გაუგია, როგორ აგულიანებს ქიზიყელ გლეხებს მთავრობის წინააღმდეგ? განა იგეთი უკბილო ყმაწვილი ბრძანდება, არ გაეგებოდეს, რა შეიძლება მოჰყვეს გლეხების წაქეზებას.

იცით თქვენ, ვინაა სოლომონ დოდაშვილი?

არც ჩინი, არც ჩამომავლობა, არც სიმდიდრე, არც საზოგადოებაში წონა.

მაშ, რამ დაგაბრმავათ ყველანი?

იქნებ, გგონიათ, მის ხელში უნდა აღორძინდეს ახალი საქართველო ეკონომიურად, განათლებით, მეურნეობით, სიმდიდრით?!

მე, საწყალმა სტატსკი სოვეტნიკმა, მეტი რა ვიღონო! სიპიაგინთან ომი სად შემიძლია, ხელები გაკრული მაქვს!

მხოლოდ საქართველოს სიყვარული და უავგუსტესი მონარქის ერთგულება ჩამაგონებს, ვეძიო ჰეშმარიტება.

ყველაზე დიდ საფრთხეს სამოქალაქო გუბერნატორისაგან ველი, რომელსაც ჩემი გაქრობა გადაუწყვეტია და ახალი მთავარმართებელი ფრიად სწყალობს.

კარგს დროს შევიტყვე, რომ გრაფს ხელმწიფის მიერ შერისხული ერმოლოვის სიმახინჯეთა გამოკვლევა და დამნაშავეთა დასჯა ზავილეისკისათვის დაუვალებია. თუ ჰკუით არ ვიქენი, შეიძლება, მეც მოხუცის ნაგავს გამაყოლონ! იმ ბევრისგან ცოტაც რომ გაიგონ, თავზე ხელს არ მომისვამენ.

ბუზი რომ დაგბზუის, კოლოც მაშინ გიკბენს. პოლიცმეისტერმა მელნიკოვმა და მისმა ცოლისძმებმაც ახლა წამოჰყვეს თავი. მელნიკოვი და ერისთავები ისეთივე თაღლითნი და გაიძვერები არიან, როგორც სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი. ამ ვიგინდარებს ერთად მოქმედების ნება არ უნდა მივცე. გრაფი გარემოცულია მონებით და არა თაყვანისმცემლებით.

გიჟი თავის კბილებს სხვის პირში ითვლისო. ზავილეისკიმ და მელნიკოვმა სხვა როგორ უნდა შეამოწმონ, თვითონ რო ხელმწიფის მტრები და კანონის დამრღვევნი არიან! მაქვს საბუთი, პოლიცმეისტერმა მელნიკოვმა მოქალაქე ხანქალამოვს უკანონო არენ-

დაში ოცი ათასი თუმანი ქრთამი გამოართო. ქალაქში რა ხდება, ბაიბურში არაა. გაიტაცეს ეკლესია-მონასტრებიდან ძვირფასნი განძნი და ბოროტმოქმედნი თავისუფლად დანავარდობენ. რომლის კაპიტალით აიშენა ქალაქის შუაში ისეთი სასახლე, როგორიც ჩვენს მეფეებს არ ღირსებიათ? ქვეშოთ, საეჭვო პოლონელთ, შვეიცარიელთ და ფრანცუზთ მაღაზიები დაახსნევინა. დღეს მაგის მუცლისგერემა ისაა, რომ სენატმა ერისთავებს ოსეთი ჩამოართვა და თავისი წილი მამულები ეკარგება. მელნიკოვის დამხობა ერისთავებსაც ზარს დასცემს, ნამეტუნ „დიდს გენერალს“, რომელიც ყველაფერში ცხვირსა ჰყოფს. ალექსანდრე ჭავჭავაძე და იაგორ ჭილაშვილიც დაფრთხებიან. არც დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკო დადგება კარგს გუნებაზე.

ზავილეისკის თავს წავუღუნავ. ქრთამისა და ძარცვა-გლეჯის სამხილებს პირადად მივაწვდი. რაკი გრაფისაგან გამოძიებანი მას ჰქონია მინდობილი, ამასაც თავის დამსახურებად მიითვლის და მე სრულებით არ გამომაჩენს. მისი რჩევით, მთავარმართებელი მელნიკოვს გააციმბირებს. გავლენიანი ნათესავები მელნიკოვს უპატრონოდ არ მიატოვებენ, ზავილეისკიზე ათასი სიავე იციან, ხელმწიფესთან უჩივლებენ და მოახსნევინებენ.

თუ ყველაფერი ისე აეწყო, მაშინ ორთაეეს ჩემთან ექნება საქმე.

წმიდა ბარბარეს ეკლესიიდან გატაცებული გულისპირის ჩამოსავლები სამი ათასის ხოშორის მარგალიტით, ფარსანგის იაგუნდითა, ნიშაბურის ფირუზებითა, რომელიც თხუთმეტი ათასის ხოშორის მარგალიტით, ერთის პატიოსნის დიდის ზურმუხტითა, ლალითა და ოქროს კილიტებითაა გაწყობილი, წმიდის მარინას ხატთან ერთად, გრაფინიასთვის უკვე მიმირთმევია და უბრძანებია, ყოველს წყალობას მივაგებო, და როცა ნებავდეს, მთავარმართებელთან აუდენციას მოეუწყობო. სხვაც ბევრი პატიოსანნი ნობათნი ბეჭდები და ფრანგი-ფარსანგები გამზადებული მაქვს და ვიმედოვნებ, პეტერბურგს გრაფინია ჩერნიშოვას მივაწვდინო. თუ მელნიკოვი და ზავილეისკი ერთურთს გააქრობენ, გრაფისთვის მრავალი ფრიად ყურადსაღები ცნობა მაქვს მოსახსენებელი იმ ბოროტებათა ზედან, რომლებიც მართებლობაში, სისხლის სამართლის პალატასა და სასამართლოებში ხდება. გრაფიც დამიმადლებს და ხალ-

ხსაც ეშველება, თორემ, თუ ამათ ვუყურეთ, საქართველო დაგვენგრევა. ტიტულოსანი სოვეტნიკები აქ მხოლოდ ასესორობის მისაღებად მორბიან და ხალხის საქმე არავის აწუხებს. ერი დრტვინავს, სამართალს ვერ ჰპოვებს და, ვინ უწყის, რა იქნება. რაღა მარტო ქართველობა ამოურჩევიათ დასაჩაგრავად? მითხრეს, რომ ზავილეისკის ხელი არ აუღია თეკლა ბატონიშვილის ოჯახის შეურაცხყოფის განზრახვაზე. მეც ვეცდები, სისრულეში მოიყვანოს თავისი განზრახვა და მოაწყოს სამხედრო საგუშაგო ბატონიშვილის ეზოში. ეს კი საბოლოოდ დაასამარებს მას. ამპარტავანი კაცია, ჩემი ერთგულნი ყურში ჩააწვეთებენ, ორბელიანნი იკვებინიან, ზავილეისკი ფათერის მოწყობას ვერ გაგვიბედავსო. ამაზე განრისხდება, სალდათის ძალით მოინდომებს საგუშაგოს გახსნას და ხერსონის პოლკის ერთ ოცეულსაც ჩააყენებს.

ძალიან კარგად ვიცი მისი ფასი: გრაფის მობრძანებამდე ჩემსავით ქეციან კოლეჟსკი სოვეტნიკად მსახურობდა".

იმის რწმენით, რომ ვარაუდებში არ სტყუვდებოდა, მიქაიჩმა თავისთავის სიყვარული იგრძნო და ფიქრი საქართველოს განვითარების პროექტებზე გადაიტანა, რომლებსაც, თუ ეს სანუკვარი მომენტი დადგებოდა, მთავარმართებელს წარუდგენდა. სტატსკი სოვეტნიკ გრიბოედოვისა და კოლეჟსკი სოვეტნიკ ზავილეისკის „კომპანიის ახალ სამეურნეო და კომერციულ წესდებაში", მან იმდენი შეცდომა, წინააღმდეგობა და შეუსაბამობა აღმოაჩინა, რომ სასაცილოდ აღარ ჰყოფნიდა. მახლობელთა შორის „ყაზიმულას პროექტს" უწოდებდა.

საკუთარი პროექტის მომზადებასთან ერთად, განზრახული ჰქონდა თბილისში ტრიუმფალური თაღის გეგმაც დაესრულებინა. აქ გამოფენილი იქნებოდა ერეკლე II-ის პორტრეტი და წარწერა: „მადლიერი საქართველო, ძლევამოსილი რუსეთის არმიას". მეორე მხარეზე მოთავსდებოდა ძველი ივერიის ღერბი, ქვემოთ, დაფნის გვირგვინზე დაიწერებოდა დაპყრობილ ციხე-ქალაქთა სახელწოდებანი, გენერალთა გვარები და სამხედრო ნაწილები.

— სადა ხარ, შე ასეთო, შე ისეთო! — ყვითელი ქარვის კრიალოსანის მარცვლა-მარცვლით მიეგება ეფრემას, რომელიც საამდროოდ ჰყავდა დაბარებული.

— დიდი ჯაფა გვადგა, ნიკოლაი იოსიფოვიჩ!

— ეს ერთი სასწავლებელი გექონდა ყუდროდ და ისიც აირია?

— მოვიდა „მე ვარ და ჩემი ნაბადა“. არავის აღარაფრად გვაგდებს.

— რაო, რა მინდაო?

— ოსტატებმა შეგირდებს ჩილიყაობა ვეთამაშოთო.

— გუბერნატორის შვილებს ჩილიყაობას ეთამაშება?

— ამან არ გააგიჟა? სკოლა უპატრონოდაა. მთავრობა ყურადღებას არ აქცევსო. მასწავლებლებმა წერა-კითხვა არ იციანო.

— ნაწერი რამე ხომ არ გამოსჩენია?

— მომართვეს ორი ქაღალდი. — ამოიღო ეფრემამ იმ განცხადების ასლი, რომელიც სოლომონმა მაღაროში დაწერა გუბერნატორის სახელზე. აგრეთვე, ფოსტიდან ამოღებული ფილადელფოსის წერილი.

მიქაიჩმა ორივე ნაწერი მოუთმენლად ჩაათვალიერა და მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი.

— ამას რომ ყური უგდონ, ჩვენ ჩამოსახრჩობი ვართ. ნახე ერთი, მთავრობას თავის თავს სთავაზობს გუბერნატორად: „მართვისათვის საჭიროა შერჩეული იქნეს ადამიანები სავსებით მცოდნე ხალხისა და, რაც შეიძლება, მეტად არჩევდნენ საქმეს სიტყვიერად. შერჩეული უნდა იქნან მიუკერძოებელი, კეთილი ადამიანები!“

— ხა, ხა, ხა!

— დასაბმელი გიჟი არაა, იოსიფოვიჩ?

— უარესი გიჟი ეს იმერელი ბერია, რომელიც მეხუთეჯერ ჩაუგდიათ ციხეში. ამათ რა კეთილი უნდა დაგვაყარონ?

— რა გვეშველება? რა გვეშველება? — ნერვიულად იმეორებდა მიქაიჩი და გაურკვეველ წერტილს მიჩერებოდა.

— ფარისეველი ესე წერს: „არა თავისა თავისათვის, განა ბედნიერებისათვის ჩემისა ვმუშაობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა“.

— ეფრემ, ამ ყმაწვილისა ძლიერ უნდა გვეშინოდეს. გუბერნატორის მეგობარია. მთავარმართებლის სასწავლებელში ყოფნისას ზედაც არავის გვიყურებდა, მარტო ამას ესაუბრებოდა. ბევრი მეგობარი და მფარველი ჰყავს. ნასწავლი და განათლებულია. აქაურიც გაეგება და იქაურიც. მაგრამ არც ერთს ამას ჩვენის ქვეყ-

ნის სასარგებლოდ არ მოიხმარს, არამედ დანთქავს საწყალს საქართველოს.

— ასეთი თავგახურებული ჩემს დღეში არავინ მინახავს.

— მაგას ერთს და ორს დღეში ვერ მოვერევით, ეფრემ! წერილები გასინჯე და, რაც საეჭვო იყოს, მომიტანე.

უნდა იპოვო და გაჩხრიკო, რაც ნაწერები პეტერბურგიდან ჩამოუტანია.

ეფრემა კმაყოფილებით უსმენდა მიქაიჩს. მართალია, დოდაშვილს მისთვის არაფერი დაუშავებია, თავაზიანად ექცეოდა, მაგრამ სოლომონის გვერდით თავის თავს მაინც დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა. გულს უგესლავდა იმის გაფიქრება, რომ ამ ნინველმა ათასი რაღაც იმისთანა იცოდა, რაზედაც ეფრემას წარმოდგენა არ ჰქონდა. ჩინით და გვარიშვილობით ეფრემა მაღლა იდგა, მაგრამ ახალმოსულს მაინც შეეძლო თავისთავი მაღლა დაეყენებინა და ეს დამსახურებული კაცი არად ჩაეგდო. კეთილშობილთა სასწავლებელში ეფრემა ჰკუასაკითხავი კაცი იყო. როცა უფროსებს რამე დასჭირდებოდათ, რჩევას ეკითხებოდნენ. ქართული ენის გრამატიკას ადგენდა. მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა. მისი მსჯავრი შეუვალად ითვლებოდა. გამოგზავნეს ეს წიწლიკა და ეფრემა არარაობად იქცა.

შეიძლება ახლა იმის თქმა, დოდაშვილს ეფრემასათვის არაფერი დაუშავებიაო? მაშ, ამაზე მეტი ვის დაუშავებია და ამაზე უარესი ვის რა უქნია ეფრემასათვის? სამასწავლებლოში ხმის ამოღებაც ვეღარ გაუბედნია, რათა რამე შეცდომა არ დაახეთქოს. მოერიდება თუ რა? უფროსი იცის თუ უმცროსი? მაშინვე პირში ეცემა და ჰკუის სწავლებას დაუწყებს.

ეფრემას ზიზღს ჰგვრის ახალგაზრდა მასწავლებლის ამაყი და სერიოზული იერი. დარბაისლური თავდაჭერა. მედიდური გამომეტყველება, გამგმირავი გამოხედვა. მთავარმართებელსაც და გუბერნატორსაც ისეთი ღირსებით ებაასება, თითქოს, მათი თანასწორი იყოს. ჩვენ კი, ათას საბელში უნდა გავძვრეთ და ჭირის ოფლში გავიწუროთ, როცა დიდკაცები გადმოგვხედავენ და რასმე შეგვეკითხებიან. ქლესა და ლაქუცააო, რომ თქვა, გაიოცებენ, ისე თვალთმაქცურად აკეთებს ყოველივე ამას.

— ჩაგაფიქრა, ეფრემ, მაგის ოინებმა?

— როგორ არ ჩამაფიქროს, რო ჯერ არ მოსულა და კისერში ფეხები გაგვიყარა!

— არა შეამჩნევინო რა, გაუცინე, მოეფერე. მაგრამ როგორც კი რასმე ურიგოს იქს, თითო-თითო კაცთან გაჰკილე და გააქილიკე. ხო იცი, ერთის თოფის პატრონა მეორესთვის არ გამოდგება. მაგას ახლა ბეერი მოთაყვანე ჰყავს, პირდაპირ რომ ვეცეთ, გამოესარჩლებიან. ისე უნდა ვიოსტატოთ, რო ორ-სამ წელში ერთი ერთგული კაციც აღარ დარჩეს უფალ დოდაევს. მერმე ჩემზე იყოს. ჩუმ-ჩუმად ხმა გაავრცელე, რომ ფილოსოფოსი სენატის მოედანზე სიტყვით გამოსულა და ხელმწიფის მოღალატეა. მთავრობის მტრებთან კი ილაპარაკე, რომ ჟანდარმის ჯაშუშია, გენერალ-გუბერნატორის საიდუმლო აგენტია და ქართველების დამხობა სურს.

კეთილი საქმე დიდს ხერხსა და ღონეს ითხოვს, თორემ, ხო იცი, ბოროტი ძალა რა ვერაგი და ულმობელია.

— აბა, ერთი შენი კნეინა შემოვიდეს!

ფეფენომ რევერანსი გაუკეთა მიქაიჩს და, ნიშნად მილოცვისა, გვერდზე ჩამოკიდებულ ოქროს ჯვარს ეამბორა, რომელზედაც სტატსკი სოვეტნიკი ჯერ კიდევ ერმოლოვმა წარადგინა.

— ახალი რა ისმის, ჩემო ფეფენო?

— ქალაქში ამბავ-ხაბარს რა გამოლევს, შენი მუხლების ჭირიმე! ახლა კი სულ ამ „უჩიტელზე“ ლაპარაკობენ, პეტერბურღიდან რომ ჩამოსულა. დიდს ქებას იტყვიან, ჩემო ხელმწიფევ!

— ჩემს ძმაზე არას იტყვიან?

— თქვენს ძმაზედ რაღა უნდა სთქვან, რო ის კუდიანი ანიტა ლოგინიდან აღარ უშვებს?

— როგორ დაბინავდნენო, არას ამბობენ?

— შაჰინ-შაჰივითა ჰყავს თავის დედოფალი.

— სხვას საეჭვოს არას იქს?

— მომიტევე, შენ გენაცვალე! ხელმწიფის მტრებთან დადის თურმე. ალექსანდრე ორბელიანთან განუახლებია ძმაკაცობა. კინტოებთანაც ბევრჯერ უნახავთ. ზალიკას არ იშორებს.

მიქაიჩმა ფიქრიანად თვალი მოხუჭა. „დოდაშვილის სრულებით არ მეშინია“ ჩემი უბედურება იასეა! მისი ჩირქი და ლაფი არაფრით ჩამოირეცხება. არც მოისვენებს. არც ჩემი ხათრი ექნება!“

— ფეფენო! ჩემი უმთავრესი თხოვნა ისაა, რომ იასე ერთ წუთს

თვალიდან არ დაკარგო! უნდა ვიცოდეთ, ვისთან დადის, რას ლაპარაკობს, რას აპირებს. ანიტასთან სიარული არ გაწყვიტო. რაც რამე დაგჭირდეს, მთხოვე!

— შენი წყალობა ნუმც მოგვკლებია. ეს ორი დღეა, ჩემო ხელმწიფევ, ხმა დავარდა, დრაგუნის ოფიცერი მთებიდან ჩამოსულა და ქალაქში იმალება, ანიტას გატაცებას აპირებსო!

— ტყუილი ხმა იქნება!

— ეჰ, შენი ჭირიმე, ის დრაგუნის აფიცარი ძრიელ დაუნდობელი ვინმეა!

— ვიცი, მარადის ბრძოლის კვამლს და სისხლის სუნს მოწყურებული. მაგრამ, მე გავიგონე, ყაზიმულასთან გადავიდაო?

— ეგ ავაზაკი ერთ ადგილზე გაჩერდება?

— ფეფენო! გომოზოვის განზრახვა იასეს ყურამდე უნდა მივიდეს. მაშინ მას ხელმწიფის მტრებთან და კინტოებთან შეთქმის დრო აღარ დარჩება.

— ესეც ჩემზე იყოს, შენ შემოგევლე. სანამ შენ ჩემს გვერდით მეგულები, არაფრის მეშინია.

— ახლა კიდევ ერთი! — ხმას დაუწია მიქაიჩმა! — მთელმა ქალაქმა უნდა გაიგოს, რო პოლიცმეისტერ მელნიკოვს ვაჭრის ხანჭალამოვისაგან ოცი ათასი თუმანი ქრთამი აუღია, ეკლესია-მონასტრები გაუძარცვავს, და ციმბირი არ ასცდება. დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკოც ქრთამებზე სამსახურიდან გაუგდიათ.

— უიმე!

— არა, ჯერ არ გაუგდიათ, მაგრამ ხალხი რო აყაყანდება, მალე გააგდებენ.

— მესმის, ჩემო ხელმწიფევ!

საუბარმა მიქაიჩი ისე გაახალისა, რომ შეუმჩნევლად გადაუხსნა ფიქრები, რომელთაც მუდამ გზას უხშობდა და ფსკერის საიდუმლო ჯურღმულში ერეკებოდა.

„თუ ყველაფერი კეთილად აღვიდა და სამართლით დასრულდა, მაშინ რისთვის არ უნდა მერგოს ის ბედნიერებაც? დედოფალი ხომ უნეტარესი ჯილდოა კაცისთვის და სხვას ვის უნდა ჰხვდეს საქართველოში ის სიტურფე და ჰაეროვნება, რომელიც შეადგენს კაცის უმაღლესს ოცნებასა და სანატრელს. დიდგვაროვანი. სიმ-

დიდრით ქებული. ფერადოვნება და მადლი ცისიერი. კეთილად ზრდილი...“

თითქოს რული მოეკიდაო, მიქაიჩის წინაშე ერთად აფრინდნენ რახაელ ციციშვილი, მართა სოლოღაშვილი, მაიკო ორბელიანი, ნათიმზე ჯამბაკურიანი, და, მან არ იცოდა, რომელ მათგანზე შეეჩერებინა თვალი, რომელი ამოერჩია.

ნათიმზე ორბელიანი! ყველაზე ამპარტავანი ოჯახისშვილი! ყველაზე დიდგვაროვანი! ბაგრატიონთა სისხლრეული! ფარფატა და სათნო. ზრდილი და ნორჩი.

მიქაიჩს ისე მიუწვდომელი ეჩვენა ეს ოცნება, მძაფრმა გამოფხიზლებამ გაახსენა, რომ კანონიერი თანამეცხედრე ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა და ლოგინად ჩავარდნილი, საშინელ სენს ებრძოდა. ამან ერთდროულად წარმოუდგინა ჩონჩხადქცეული, დამახინჯებული, სოფლელი ღარიბი აზნაურის ქალი, რომელიც იმ დროს შეირთო, როცა ოცნებანი არ გააჩნდა, და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. ისიც გაახსენდა, რომ საბრალო ქალმა, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, გარდა იმისა, რომ ავადმყოფობამ დააძაბუნა, ამ დილით სთხოვა ორიოდე წუთით შესულიყო მასთან და მიქაიჩმა ვერ შეძლო ეს. „ყოველად მოწყალე მამაზეციერო, მიმტევებელო ცოდვათა ჩვენთა. შემინდე მე უღირსსა, ცოდვილთა ფიქრთათვის! შემინდე! შემინდე! შემინდე! ღმერთო, რა საძაგელი ვარ! ლამის ჯავრით გავგიჟდე, საიდან მოძვრება ეს საზიზღარი ცოდვა!“ წუთით სახეზე ტანჯვა გამოუკრთა, მაგრამ, მაშინვე, მისთვის გაუგებარი რაღაც ძალით, ფიქრი ისევ იმ საგანს მიუბრუნდა.

„დიდი ჯამბაკურ ორბელიანის ღირსება ბეწვზე ჰკიდია და ის ბეწვიც ჩემს ნეკზეა დახვეული. როცა მოვისურვებ, მაშინ დავამხობ მის მდუმარე ამპარტავნობას! თავად-აზნაურთა ყალბი საბუთების საქმე დასასრულს უახლოვდება, „გერალდის დეპარტამენტს“ მალე ვაცნობებ ყოველივეს!“

— ერმოლოზ!

— გახლავართ, ჩემო ხელმწიფევ!

— ეს აზნაურობის სიგელი წაიღე და ლუარსაბ ორბელიანის ეზოში ჩააგდე, ვითომ, დაუვარდათ.

ერმოლოზმა სარტყლის ქვეშიდან ორკეცი ქამარი შემოიხსნა და წერილი შიგნით ქამრის უბეში ჩადო.

მიქაიჩმა თავი უკეთესად იგრძნო, ასეთ წუთებში, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამდენ შრომასა და ძიებას ნაყოფი უნდა გამოეღო.

5

კეთილშობილთა სასწავლებლის შენობაში თავისუფალი ბინა არ აღმოჩნდა, მთავარმართებლის კანცელარიის მმართველმა იანოვიჩმა სოლომონს მეორე სართულის ხუთი ოთახი აშოვნინა. „ღვთაების ქუჩაზე“, გენერალ კომაროვსკის სახლში, სადაც მანამდე გენერალი რომან ბაგრატიონი ცხოვრობდა. ზემო სართულის მაღალი ფანჯრები ანჩისხატის მხარეს გადიოდა. აგურის ოღროჩოღრო ეზოს ბაზრის ქუჩისკენ ფიცრის ფარდულები გასდევდა, რომლებიც წვიმისა და მზისგან იფარავდა. აქედანვე ჰქონდა სადარბაზო შესასვლელი და რკინის მოაჯირები. მეზობლად აგურის კედლები ამოჰყავდათ. იქვე ხის მორები ეყარა. გვერდზე კუთხის სახლის რიკულებიანი კარი ეკრა. წინ ახალი შენობის ფრონტონი ორმხრივ დაქანებული სახურავითა და კარნიზით.

ევროპელები ქალაქის ამ ნაწილს ბრტყელი სახურავებისა და სევდიანი სიმღერების უბანს უწოდებდნენ.

ბინა მორთული იყო ნადავლი რბილი სავარძლებითა და მაგიდებით, ყვითელი სპარსული ხალიჩებით. შუა დარბაზში კაკლის ხის სოფა იდგა. ბუხრის თავზე ბრინჯაოს საათის ქანქარა ქანაობდა.

ამ დროს სოლომონი მარტო ალარ იყო. მაღაროდან უმცროსი ძმა სტეფანე წამოეყვანა, რომელსაც გასათხოვარი დები და იონა ხელაშვილის ძმისწულები მოჰყვნენ. იონას თხოვნით, სოლომონს მათთვის შესაფერი განათლება უნდა მიეცა და გზაზე დაეყენებინა, მაგრამ, როგორც პირველივე დღეებმა დაარწმუნეს, ეს იოლი არ იქნებოდა.

ყველაზე მყუდრო ოთახი სოლომონმა სამუშაოდ აირჩია. იქ, საწოლში, საიდუმლო კუთხე მოაწყო, სადაც რილეევის წერილი, ლექსები და იანინას პორტრეტის ესკიზი შეინახა. ყუთი, რომელშიც „ლოგიკის“ დარჩენილი ეგზემპლარები ეწყო, უბრალო ხის მაგიდაზე დადგა.

იმ წელს ხმელი და ცივი ზამთარი იყო. მტკვარი ისე გაიყინა, ურმები გადადიოდა. ქუჩებში ცივი ქარი ჰქროდა, გარეთ გამოსე-

ლა ვაჟკაცობა იყო. სოლომონს ყოველ შაბათს უხდებოდა მეტეხთან შეშის ყიდვა და, საერთოდ, მალე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თავისი ხელფასით, ამდენი სამოწყალო ნათესავებით, დაქირავებულ ბინაში არათუ არისტოკრატიული ფუფუნებით ცხოვრებაზე, ჩვეულებრივ ინტელიგენტურ პირობებზე ფიქრიც ფუჭი იყო, და როგორც თვითონ დაარქვა: „ფილოსოფიურად უნდა ეცხოვრა“.

რამდენიმე თვის შემდეგ იონას პეტერბურგში მისწერა: „უსახლობა გვაწუხებს. უკეთუ მაქვნდეს ღონე, აღვაშენებდი სადმე რაოდენსამე დუქანსა და ზედ სადგომსა სახლსა“.

ამ მიუსაფარ ბინაში მალე მეცნიერებისა და მწერლების ისეთი საკურთხეველი გაბრწყინდა, რომ სიღარიბე და სივიწროვე აღარ იგრძნობოდა.

თავისუფალი დროის დიდი ნაწილი ათტომიან ფილოსოფიას მიჰქონდა. თორმეტ წელიწადში ვარაუდობდა მის დასრულებას. სასწრაფოდ უნდა შეედგინა ქართული ენის გრამატიკა, მოსწავლეთათვის მშობლიური სიტყვიერების ისტორია. ქართულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად სხვა ასეთი მთარგმნელიც არ იპოვებოდა და მთავარმართებელმა გრაფმა პასკევიჩმა გამოუგზავნა და სთხოვა ქართულად ეთარგმნა ცხენოსნების სახელმძღვანელო. სიპიაგინმა სასამართლოსა და პოლიციის კანონები, „მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი“ მისცა სათარგმნელად.

„არცა ერთი წამი მაქვს თავისუფლებითი“, — ატყობინებდა იონას.

მაგრამ მისი უკიდეგანო ფანტაზია და შთაბეჭდილებები არ ემორჩილებოდა გონებრივ ანალიზს. დაუძლეველ მოთხოვნილებას გრძნობდა, გამოეხატა თავისი განცდები. წამით არ შორდებოდა იმის შეგრძნება, რომ სამყარო, ათასგზის უფრო ღრმა და მიუწვდომელი იყო, ვიდრე ჩვენს აზრს შეეძლო გადმოეცა. ყველაზე დიდ სიხარულს მაშინ განიცდიდა, როცა მის მიერ აღმოჩენილი ხატებით ადამიანისა და ბუნების საიდუმლოებებს სწვდებოდა. წერდა ლექსებს. ამ დღეებში ხელი მოჰკიდა რომანს, რომელსაც „ელენე“ უწოდა.

ელენე!

მშვენიერი, თხუთმეტი წლის ქალიშვილი, სოლომონს სიპიაგინის ოჯახში გააცნეს.

„სიხარული ჰბრწყინავს თვალთა შინა მისთა“. „იგი განიღიმებს მსგავსად გაზაფხულის დილისა“. „შუბლსა ზედა მისსა გამოიხატების სულიერი სიმშვიდე და სათნოება“. „დაუჭკნობნი ვარდნი და ზამბახნი ჰყვავიან მის ღაწვთა ზედა“.

მეგობარი სწყუროდა და არ იცოდა, სად ეპოვნა, ვინ ამოერჩია. ის კი, თურმე, იქვე, გენერალ-გუბერნატორის სახლში ცხოვრობდა, სადაც სოლომონი ყოველდღე მიდიოდა გაკვეთილების ჩასატარებლად. მაგრამ, სოლომონი მასწავლებელი იყო და ელენეს ტოლებს ისე უყურებდა და აფასებდა, როგორც მოწაფე ბავშვებს.

მათი გაბედნიერების აზრი თვით გუბერნატორის მეუღლეს დაჰბადებოდა, რომელიც სოლომონს პეტერბურგიდან იცნობდა. ქალიშვილის დედისგან თანხმობა მიეღო და ერთად დაეწყოთ მოქმედება.

ახალგაზრდებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ არაფერი, როცა კეთილშობილი მანდილოსნები საქმეს შეუდგნენ.

ერთხელ გუბერნატორის მეუღლემ სამეცადინო ოთახში ფერადი ძაფების ყუთი შემოატანინა და სოლომონს სთხოვა, ამორჩევაში დახმარებოდა. ამ შემთხვევის გამო დედას საგანგებოდ მოერთო ქალიშვილი, რომელიც გრაფინიას მოწვევით, თვითონაც მონაწილეობდა ძაფების ამორჩევაში.

— როგორ უხდებიან ერთმანეთს! — აღტაცებით წამოიძახა გუბერნატორის მეუღლემ, როცა ისინი ერთმანეთის გვერდით ძაფებზე თავდახრილნი დაინახა.

გოგონა შეკრთა. თვალები მიაბრუნა. სქლად დახვეული შავი ნაწნავები უთრთოდა.

— ღენოჩკა, რა ჭარხალივით გაწითლდი? — თითი დაუქნია გუბერნატორის მეუღლემ, — უფალი დოდაევი სამაჭანკლოში მწევარს მპირდება. ასეთი ჩვეულება ჰქონიათ ქართველებს.

გუბერნატორის მეუღლეს ორივესთვის ისეთი მაგიური ძალა ჰქონდა, რომ სიტყვა არ დაუძრავთ.

მომავალი კვირისთვის გრაფინიამ თავის სახლში მეჯლისი დანიშნა და ორივე საგანგებოდ მიიპატიჟა.

ელენე თევდორეს ასული ბარიშკინა რუსად იწერებოდა, თუმცა დედითაც და მამითაც ქართველი იყო. მამა, პოლკოვნიკი კობიაშვილი, მთიელებთან ბრძოლაში დაღუპულიყო, დედა — ანა

ჯავახიშვილი, თბილისში ცხოვრობდა. მცირეწლოვანი ელენე ეშვილებინა სახაზინო ექსპედიციის არქიტექტორს, ინჟინერ-კაპიტანს თევდორე ბარიშკინს, სახელგანთქმულ ევგენი ბოტანკურის ღირსეულ მოწაფეს, და, როგორც მაღალი მდგომარეობის ქალს შეეფერებოდა, ბრწყინვალედ აღეზარდა, რადგან ბარიშკინი ქველმოქმედი ბრძანდებოდა, ხოლო ობლის აღზრდა უმაღლეს სათნოებად მიაჩნდა.

მეჯლისზე თავი მოეყარა ტფილისის რჩეულ საზოგადოებას. ვრცელი დარბაზის ოქროქსოვილით დაფარულ კედლებს ბროლით დახუნძლული კანდელაბრებისა და ჭაღების შუქი აელვარებდა. გუბერნატორი და მისი მეუღლე სტუმრებს საზეიმო იერით ხვდებოდნენ. გაისმა ფორტეპიანოს პირველი აკორდი. აჰყვა ორკესტრი. კადრილმა იფეთქა. ელენე ჭაბუკმა კამერჰერმა გაიწვია. იგი ისე მოკრძალებულად მოძრაობდა, თითქოს ცეკვის პირველ გაკვეთილზე ყოფილიყო. ბეზოკი სოლომონთან ითამაშა, წყნარად, დაძმასავით უვნებოდ. სოლომონი სულ ფიქრობდა, გოგონა ჯერ წლებში შესული არააო.

მათი მორცხვობა გუბერნატორის მეუღლეს უფრო უღვივებდა მფარველობის ჟინს. სიხარულს ჰგვრიდა იმის გრძნობა, რომ ორივე მოსწონდა, ორივე ბედნიერების ღირსად მიაჩნდა და წრფელი სურვილი ამოქმედებდა.

როგორც კი საპატიო სტუმრებთან სავალდებულო მოკითხვის ცერემონიალს მორჩა, გენერალ-გუბერნატორიც მეუღლესთან მოვიდა, დამორცხვებულ ელენესა და სოლომონს შინაურულად გამოესაუბრა.

— აქაც ვიწყებთ ცივილიზებულ ცხოვრებას, ჩემო ძვირფასებო. სამი ათეული წლის წინ ვინ იფიქრებდა, თუ მოკლე ხანში საქართველო ასე დაწინაურდებოდა.

— წარმატებანი განათლებისა მოწმობენ აღმატებასა ქვეყნისა,— მხარი აუბა სოლომონმა.

— რას გვეტყვით, ჩემო ანგელოზო, ამ დაქარგული კაბის მოდაზე, ასე რომ გშვენით? — ფრანგულად ჰკითხა ელენეს გუბერნატორმა.

— ძალიან მოხერხებული გახლავთ, ბატონო. პარიზშიაც კი შარშან შემოსულა მოდაში.

— უმრაელესობა ჯერ მაინც აზიურ სამოსელს ამჯობინებს. ევროპული ცეკვებისთვის, ეგონებ, ფრანგული კაბა უმჯობესია.

— ჩვეულება ძნელი გადასაგდები გახლავსთ.

— მართალს ბრძანებთ, ძვირფასო. უმთავრესი გულია. ხელმწიფის ერთგული რუსი, უთუოდ კეთილი ქართველიც უნდა იყოს თავისის გრძნობებით, ეგრევე, როგორც ერთგული ქართველი უნდა იყოს კეთილი რუსი.

— უკვე გვაქვს პირობები, ჩვენი მხარეც უფრო სწრაფად წავიდეს განათლების გზაზე.

— ველოდებით, ძვირფასო, და აი, პეტერბურგმა დაგვაჯილდოვა უფალი დოდაევით, რომელიც შემოგვიტანს სწავლას და ააყვავებს ჩვენს სკოლას.

სოლომონი ისე მოჯადოებული იყო გოგონას საუბრით, თავდაპერით, ნატიფი ფრანგულითა და რუსულით, რომ ერთბაშად ვერც კი გამოერკვა.

— არ გაჩენილა განათლებულ ქალიშვილთან საუბარზე დიდი სიხარული! — თავაზით წარმოთქვა სიპიაგინმა.

სოლომონს გენერალ-გუბერნატორი სრულ ნდობას უცხადებდა და ორი განათლებული ქართველი ახალგაზრდის ქორწინებას გარკვეულ იმედს უკავშირებდა.

სოლომონის წარმოდგენაში ელენე იმ ერთ საღამოს დაჭალდა და შეიცვალა. რამდენჯერმე შეამჩნია გარინდებიდან გამორკვეულმა, რომ თვალები მისკენ ჰქონდა მიშტერებული. გაგონილი ჰქონდა, დედას ბევრი სანატრელი ოფიცერი სთხოვს ელენეს ხელსო, და შეეშინდა, არ დაჰგვიანებოდა.

საიდან ეცოდინებოდა, რომ ანა ჯავახიშვილს, რომლის უზენაესი ოცნება ქალიშვილის დაოჯახება იყო, სოლომონი დანახვისთანავე გულში ჩავარდნოდა, და ამ ნასწავლ ახალგაზრდას ათას გენერალში არ გასცვლიდა.

ერთხელ გუბერნატორის მეუღლემ და დედამ ქალ-ვაჟი მარტო დატოვეს.

აქ ელენემ სიზმარი უამბო.

„ამ სამი წლის წინ დიდედასთან ვიყავი სოფელში.

ერთ დღეს სირბილით დაღლილს ნუშების ჩრდილქვეშ ნაბადზე ჩამეძინა.

სიზმარშიც მეძინა. რაღაც საოცარი, ღვთიური მუსიკის ჰანგები მესმოდა. არფები უკრავდნენ. ფლეიტები ნაზად ეხმიანებოდნენ.

გამიკვირდა, საიდან ისმის ეს საქორწინო, წუნარი მუსიკა-მეთქი.

წამოვდექი, ფანჯრიდან გადავიხედე. მშვიდი მთვარიანი ღამე იყო. მთვარე მშვიდად, მკაფიოდ ანათებდა, მაგრამ განათებული იყო მხოლოდ ცა მთვარის გარშემო, დანარჩენი გარემო კი რაღაც შეგუბებულ სიჩუმეს და სიბნელეს მოეცვა. ჩემი საწოლიდან დაწყებული მთის ძირამდე, რომელიც ჩვენი ფანჯრების წინაა, დაგებული იყო შავი, სარკესავით პრიალა გზა. აღარც ერთი ნარგავი, ახლა რომ სამიოდე ადლის იქით გახედვას მიშლიან.

აი, ამ სიჩუმეში, სიბნელეში და მუსიკის წუნარ ხმებში უხმოდ შემოვიდა და ზუსტად ჩვენი ფანჯრის წინ გაჩერდა საქორწილო მაყრიონი. წინ ორმოცი მხედარი იდგა, შავ ცხენებზე, შავჩოხიანები, შავგვრემანები, ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები, მდუმარენი და თავდახრილები, მშვიდი სახეებით, რაღაც უცნაური სევდით შეპყრობილნი.

შუაში შავი ეტლი იდგა. შიგ სამი შავი ცხენი ება. ეტლში ახალშეუღლებულნი ისხდნენ. ნეფე — შავ შარვალ-კოსტუმში და თეთრ პერანგში, შავთმიანი, შავგვრემანი. დედოფალი — თოვლივით თეთრ კაბასა და იალქანში. ისინიც სევდიანი, მდუმარენი და თავდახრილნი. ხელები გადაეჯვარედინებინათ და მუხლებზე დაეწყოთ. მათ უკან ისევ ისეთივე ორმოცი მხედარი, მაგრამ წითელჩოხიანები.

გაკვირვებით ვუყურებ და ვფიქრობ: „ღმერთო, რა უცნაური ქორწილია, ჩუმი, ნაღვლიანი. ქალები არსად ჩანან, ან, აქ რატომ გაჩერდნენ? ისე კი, რა ლამაზი, რა სასიამოვნო სანახავია!

ამ დროს მუსიკის ხმაც მიწყდა. ნეფე-დედოფალი ეტლის საფეხურზე დადგნენ, წითელჩოხიანი მხედრები შებრუნდნენ და წავიდნენ ჩუმი ხმაურით...

გზაზე ისევ მდუმარება ჩამოწვა. შევხედე მთვარეს და ვამბობ ჩემთვის, ისე დიდხანს ვუყურე მთვარეს, რაღაც მომელანდება.

ის იყო, დავაპირე ლოგინში ჩაწოლა, რომ ატყდა საოცარი გრუხუნი. მთები უცებ გაიზარდა, დაფარა ცა და მხოლოდ ერთ ჩაღრმავებულ ადგილას ჩანდა. ელვა გაანათებდა, დაიქუხებდა და ჩაბნელდებოდა.

ჰექა-ქუხილში ინათა, მთებს შორის გამოჭრილ ადგილში თეთრი

ბისლი ჩამოწვა. შორს ბურუსში გამოჩნდა ახოვანი მოხუცის ძლავრი ტანი. ნისლი თანდათან გაიფანტა და დავინახე შავთმიანი, წვერიანი კაცი. ალაგ-ალაგ თეთრი გარეოდა თმაში. მოდის და ნათდება. ნაკვერჩხლებივით ანთებული თვალებით მიყურებს... შორს ცაში რაღაც უცნაური გრძელი, მწვანე ხვეულა, ჩვენსკენ მოიწევდა.

მოხუცმა მითხრა, რომ ის ჩემი ბედია. რა ხანია, ასე ცაშია გამოკიდული, მხოლოდ ერთხელ მომიახლოვდება, და თუ მოვასწარი და ხელი ვტაცე, ხომ კარგი, თუ არა და, ვერასოდეს გავთხოვდები.

ხვეულა მიახლოვდება, იზრდება. „ღმერთო, ღმერთო, შენს სახელს ვფიცავ, ერთი მოიყვანე ჩემამდე, დამანახე, ვინ არის ეს უცნობი არსება. მომიახლოვდა და დაეკიდა ჩემს თავზე. ხან, დაბლა დაიწევს, ხან ისევ ცაში გაფრინდება. „ღმერთო, თუ ბედი გამომიგზავნე, ისე მაინც მომიახლოვე, რომ შევძლო და ხელი ჩავავლო!“

დაიწია ხვეულამ, მოვიკრიფე ძალ-ღონე. ავხტი, ვჭიდე ხელი, დაეშვა ნელ-ნელა დაბლა და ბოლოს სულაც მიწაზე დაეცა.

ვუტრიალებ გარშემო, თავი და ბოლო ვერ გამირჩევია, ვიპოვე წვერი, მოვსწიე და მომყვა ნაჭერი. ეხსნი, ეხსნი, ერთი ვეება გორგალია. როგორც იქნა, გამოჩნდა სახე. ვეება ვაჟკაცი იდო შიგ, მკვდარი. დავუჯექი თავთით, დავიდე მუხლებზე მისი თავი, ავტირდი გულამოსკვნით: „ღმერთო, ნუთუ, ეს იყო ჩემი ბედი? ნეტავ, სულ არ გეჩვენებინა! ღმერთო! ოღონდ გამიცოცხლე, დამანახე, ვინ არის, და მერმე, თუნდა მომკალი!“

წვიმასავით ჩამომდის ცხელი კურცხალი და ვაჟს სახეზე ესხმება. უცებ, წამწამები შეარხია, თვალები ნელინელ გაახილა, შემომხედა, გამიღიმა. ღონივრად გაიზმორა და ღიმილით მითხრა: „ღმერთმა გაგახაროს, ღმერთმა! რამდენი წელია, ასე ჰაერში გამოკიდებული დავხეტიალობ უგზოუკვლოდ და, შენ რომ ახლა არ გეშველა, ვინ იცის, რა მომივიდოდა. ღმერთმა გაგახაროს ჩემი ხსნისათვის!“

ქალს წრფელი გრძნობა ალაპარაკებდა და სოლომონს თვალნი ცრემლით აღევსო.

გადიოდა დღეები. ისინი სულ უფრო ძვირფასნი ხდებოდნენ ერთმანეთისთვის და მომავალი ვარდისფრად ეხატებოდათ.

ერთხელ ორადგილიანი ეტლით მცხეთაში გაუშვეს გასასეირნებლად.

ეს გვიანი შემოდგომის დღე განსაკუთრებით დაამახსოვრდა სოლომონს.

გრანდიოზული მთების ჩრდილში, შორეული სისპეტაკის ანაკრთომებზე ცხენები დაოთხილი მიჰქროდნენ. ჩრდილებით მოხატულ გზაზე. ელენეს ლეჩაქი მსუბუქ ნისლად უფრიალებდა. თეთრი, გამშვირვალე პირბადე სასიამოვნოდ ელამუნებოდა და სიმშვიდეს უფრო მყურსად აგრძნობინებდა.

„მისი სული წმინდა არს, ვითარცა თოვლი მთის მწვერვალებისა!“ — გულში ჩურჩულებდა ვაჟი.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, სქელი ნისლი ტალღა-ტალღა ეშვებოდა დაბლა. ცა დიდრონ წინწკლებს ისროდა. მთებზე ბნელი ღამე წვებოდა და მტკვრის ხეობაში ცივმა ქარმაც წამოუბერა.

კარგა დაღამებული იყო, ეზოში რომ შემოვიდნენ.

ეტლიდან გადმოსვლას რომ შეელოდა, სოლომონმა წასჩურჩულა:

— როგორ კანკალებ?

— სრულებით არ მცივა.

— ჩემო ყველავ! ჩემო ყველავ! ჩემო ყველავ! — ბუტბუტებდა ვაჟი. — შენთვის ვსულდგმულობ.

— ის გორგალი გაიხსნა და ვერავინ დაგვაშორებს.

მწუხრის ზარი რომ დარეკეს, ელენე სიონში შევიდა სანთლის დასანთებად.

მომდევნო დღეებში ისინი უზომოდ ტკბებოდნენ თავიანთი მართალი და წყნარი სიყვარულით.

დოდაშვილს ეს გოგონა იანინას აგონებდა და ორთაველ მიმართ ღვთაებრივი სათნოებით გულში ჩურჩულებდა: „ნუთუ, უმანკო ქალის ალერსიან ღიმილზე მეტი მშვენიერება არსებობს ამ წუთისოფელში!“

ზამთრის პირზე ელენემ თავისის ხელით მოქსოვილი ქისა გაუგზავნა საქმროს.

„ამათ უკვე გამოუცხადებიათ ერთმანეთისთვის!“ — ბედნიერებით ამოთქვა ანა ჯავახიშვილმა და გუბერნატორის მეუღლეს მადლიერებით მოეხვია.

ქორწინებას ხელს აღარაფერი უშლიდა, მაგრამ, სწორედ ამ დროს, სოლომონმა გადაწყვიტა, თავისი განზრახვა პეტერბურგში იონა ხელაშვილისთვის შეეტყობინებინა და, როგორც სულიერ მამისთვის, ნებართვა ეთხოვა:

„მეგობარი მჭირდება. ვისურვე შეერთება მეგობრისა ანუ ცოლისა. ქალი იგი არს აღზრდილი ისე, როგორიც ძნელად იპოვების ღორიზონტსა ზედა საქართველოისასა. იცის რუსული, ქართული, ფრანგული ენები, ღრამატიკა, რიტორიკა, არითმეტიკა და ღეოღრაფია, ცეკვა. იგი არს ჯერ თხუთმეტი წლისა და კიდევ უფრო მეტს განათლებას შეიძენს. ბევრი ოფიცერი სთხოეს ხელსა, მაგრამ დედამისს სურს, რათა მე დავნიშნო."

მცირე ხნის შემდეგ კი სწერდა: „ცოლის შერთვა, ოჯახი ხელს ხომ არ შემიშლის მეცნიერების, სკოლის, მამულის სამსახურში? ცოლოსნობა ჯერ არ მეთვისების მე, ვინაითგან სიბრძნე უფრო მაღლა დგას და უმეტეს არს მყოფობა სიტკბოებასა შინა ფილოსოფიისა, ვიდრე დამორჩილება ასეთი სისუსტისა."

საღამოს ეზოში შემოვიდნენ ალექსანდრე ორბელიანი და იასე ფალავანდიშვილი.

— ბარაქა შენს ოჯახს! — მიესალმა ალექსანდრე. — კაცო ხუთი თვეც იქნება პეტერბურღიდან შენს მამულში ჩამოსულხარ, მარტო გუბერნატორებთან და გენერლებთან ვიზიტები კმარა? შენის ქვეყნის ხალხნი არ უნდა მოგვიკითხო და ამბავი არ უნდა გაიგო?

— მაქვს სურვილი გაცნობისა და მიხარის დიდად ჩემთა განათლებულთა თანამემამულეთა შეყრა, მაგრამ ყოველსა წამსა შეკრული ვარ საქმეთაგან, ყოველსა შემთხვევასა ვმეცადინეობ, რათა მოვდრიკო მსმენელნი ჩემნი ჰეშმარიტებასა ზედა.

— არ გეკადრება, სოლომონ ივანიჩ, ასე. სანამ შენს შეგირდებს მოსდრეკდე, მანამ ჩვენ უნდა მოგდრიკოთ ჰეშმარიტებასა ზედან, რომელიცა მარტო სკოლასა და წიგნებსა შინა კი არ მდგომარეობს, არამედ ცხოვრებასა შინაც.

— ცხოვრებასა შინა, საქმე, ღვთით, კარგად მიდის. ინება ღმერთმა მშვიდობისა მონიჭება, მტერნი განივლტნენ ძალისა გამო მხედრობათა ჩვენთა და საჭურველთა. ასან ხანი ერევნისა მოიყვანეს თბილისის ციხეში და სხვანიცა ოთხი ათასი კაცი სპარსთა!

— კარგია ჰეშმარიტად, მაგრამ საქართველოს გაჭირვებას მარტო ღრამატიკა და რიტორიკა შველის?

— იქნებ, მეც მიბოძოთ, უფალო დოდაევო, ერთი-ორი ცალი რიტორიკა, ავლაბარში სახლი მაქვს ასაშენებელი. — გადაიხარხარა იასემ.

— ჰა, რას მოიწყინე, სახაზინოვ, ჩვენი მოსვლა ხომ არ გეწყინა?

— ამას ეტყობა, ეს მიწასავით შავი „ბუხანკები" შეჰყვარებია.

— ვაჰ, კაცო, გაკირულ ხიდს რომ დაჰკრა, მტვერს არ აადენს! ამაზედ ორივენი გადაეხვივნენ სოლომონს, ძმურად დაჰკოცნეს, მოიკითხეს, ბინა შეუქეს.

იმ დროს ერთმანეთს შორიდან იცნობდნენ, მაგრამ ქალაქში განათლებული ქართველი ცოტა იყო და არ ერიდებოდნენ ერთურთისათვის ჭირ-ვარამის გაზიარებას.

— არას იტყვი, სოლომონ, რო ქართლის გადასახადები სულ კახეთზე გადაუწერიათ?

— ან ერთი ან მეორე სადღა გაბადიათ, რომ აქედან იქით გადაეწერათ! — მწარედ თქვა იასემ.

— მე ეს ეშმაკის სასამართლო გამაგიჟებს. ოცდაათი წლის საქმეებს ოცდაათი წლის მტვერი ადევს. ჩვენი მოურავი მეუბნებოდა, ასეთ საქმეებზე თვეში ორჯერ-სამჯერ ვნახავდი მირონცხებულ მეფე ერეკლეს, იქვე გადამიწყვეტდა და, აბა მერმე, თუ ვინმე კაი ბიჭი იყო, ნუღარ შეასრულებდა.

— მმართველობა საქართველოში მავნებლურადაა გადაწყვეტილი. არც ერთ დარგში ერთიანობა არაა. მოხელეთა უფლება-მოვალეობანი გამოურკვეველია.

— ამას როგორ ჰბედავ! — შესძახა ყასიდად ალექსანდრე ორბელიანმა.

— ეს სიტყვები თვითონ გრაფ პასკევიჩს ეკუთვნის. — დაცინვით მიუგო იასემ.

— თეთრი კბილი, შავი გული! მაგას ისევ ერმოლოვი გვერჩივნა. არა სცალია ქართველობისათვის.

— ჩემი ყურით გავიგონე, გუბერნატორმა ზავილეისკიმ რომ

თქვა: რატომ ქართველები არას იღონებთ მთავრობის მხრივ შევიწროებათაგან თავდასაცავადო.

— ვიცნობთ მაგასაცა — მოლა ხალხს მეჩეთში ეძახდა, თვითონ საქურდლად მიდიოდა.

— დღეს ვისაც პატარა რამ თანამდებობა უპყრია, ბრძენიცა და გმირიც ისაა.

— არც სულ ეგრეა! ქაიხოსროს, სულ ცოტა, ხუთასი ჯვარი და მედალი ექნება, მაგრამ წვეულებაზე კერძს რო ჩამოატარებენ, სულ ბოლოს მაგას შეხვდება.

— საჭმლის რიგი ხო ჩინზეა და არა ჯვარ-მედლებზე.

— ვაი, რას ითმენთ, თქვე საწყლებო! — წამოიყვირა იასემ, — კვირას ბაღში რო ვიყავ, ქართულის პოლკის ოფიცრები შემოვიდნენ, მუნდირზე წითლის დანაკერებით, ნეტავ გენახათ, რა ამბავი ასტეხეს დრაგუნისა და ხერსონის ოფიცრებმა. „წითელი ხორცი! წითელი ხორცი! მუნდირზე წითელი ხორცი! ყოჩაღ! კაი ზორბა ჰქონიათ! პირზე დავაკეროთ! ყურში მოუხდებათ!“ — ასე ხარხარებდნენ, სანამ, ის უბედურები, იქიდან არ გაილალნენ. ახლა, თქვით, რა სიცოცხლეა ეგა?

— სოლომონ ივანიჩ! ბატონიშვილები პეტერბურგს არას გეტყოდნენ ჩვენს უბადრუკობაზე? ან, რა უნდა ვქნათ, ან, თუ რამ საშველი გვექნება? — ჰკითხა ალექსანდრემ და გამოცდილის თვალით მიაჩერდა.

— უნდა ვისწავლოთ, განათლება უნდა მოვიპოვოთ. უმეცრება თანამოგზაურია მონობისა. ვეცადნეთ, რათა თანამემამულენი ჩვენი ავიდნენ ხარისხსა ზედა განათლებისა.

— ეს როდის იქნება! — დამცინავად იკითხა იასემ.

— უსწავლელი კაცი უბედურია. ძალაობით ადამიანი ვერას გაზდება!

— ამასვე უბნობს გრაფიც, აქ შეუმჩნევლად გავავრცელოთ განათლებაო!

— ამბობენ, ალექსანდრე ბატონიშვილი შაჰს ნიგირისტანის ბაღის სასახლეში მიუწვევია მეჯლიშზე და, ვითარცა „საქართველოს ვალი“ მთავარ კედელზე დაუხატვინებია.

— დიდი შეღავათია! — ჩაიქირქილა იასემ.

— საქართველო ასე გაუნათლებელი არასოდეს ყოფილა! მთავ-

რობას სიბნელე ურჩევნია, — თქვა სოლომონ დოდაშვილისკენ თვალმიპყრობილმა ორბელიანმა, — ჩვენი ქვეყანა სავსე იყო სკოლებით, დღეს ერთი „სახაზინო გლეხი“ ქრისტეს მოციქულად გადაგვქცევია. ვინღა დავრჩენილვართ, შევიკრიბოთ ხან აქ, ხან ჩემთან, ხან იასესთან, ხან სხვასთან. ვიმსჯელოთ ქვეყნის ავკარგზე, ავწონ-დავწონოთ, რაც უმჯობესია.

— მაშ, მაჩვიენით სოროში ხომ არ უნდა ვიყოთ! — შეაწია იასემ.

— ვილაპარაკოთ ქართულს გაზეთზე. ქართული ჟურნალი და თეატრი როგორ დავაარსოთ. შევქმნათ ქართული ბიბლიოთეკა. მოვაგროვოთ ძველი კარგი წიგნები, რომ არ დაიკარგოს შვილიშვილთათვის. გამოვიწეროთ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

— მტერი ვერ გაიხარებს! — თავი ასწია იასემ.

— წავუკითხოთ ერთმანეთს ახალი ლექსები, პროზა, კრიტიკა.

„რა ვქნათ იქ, საცა ყველა თავისთვისაა და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს! როგორ ვენდო და გავუზიარო ჩემი გულის ნადები მათ. იქნებ, დუმილი მირჩევნოდეს და წყნარი შრომა განათლებისთვის ხალხისა? გარეშემო სულ მეშურნეობასა შინა არიან. ალექსანდრე ორბელიანი მეფის შვილიშვილია. მამამისმა კახეთი დააწიოკა. მაღარო ამოაგდო და მამაჩემიც კინალამ შეიწირა. იასეს მამა მთავრობის სამსახურში გამდიდრდა, ძმა მთავრობაში ჰყავს, თვით, როცა მოენებება, სათათრეთშია და, როცა მოენებება, აქაა. სიფრთხილე არ მიჯობს?“

— შევეყარნეთ ზოგჯერ ერთმანეთს. განვერთოთ, გული გადავიყაროთ, ძველი მოვიგონოთ, ახლისა ვიფიქროთ! — იმეორებდა ალექსანდრე ორბელიანი, როცა სოლომონის უმცროსმა დამ ლანგარზე შემოდგმული ფინჯნებით ჩაი ჩამოარიგა.

6

— ანიტა! მე ამ ქვეყნად შენს მეტი არავინ მყავს. არც მსურს მყავდეს. არ მწამს არავინ, არავისი არ მჯერა. ჩემს სულში გლოვაა. განუწყვეტლივ მწუხრის ზარები რეკენ. ყოველს წუთს მეშინია, მწვერვალიდან არ ჩამოვვარდე და უბადრუკ დედამიწაზე არ დავიმსხვრე. შემაძრწუნებელ სიცარიელეში ვდრტვინავ. ირგვლივ ყვე-

ლაფერი მკრთალი და უსახურია. „ნათესავები?“, „ოჯახი?“, „მეგობრები?“. მე არავინ არ მყავს, ანიტა! მე მარტოსულად დავიბადე. წარმოდგენა არა მაქვს, რა მინდა. შეიძლება, სრულებით არაფერი არ მინდოდეს. მე მეზიზღება ჩემს ირგვლივ ყველაფერი და სიგიჟეს მგვრის იმის გაფიქრება, რომ სხვისი ჭკუით უნდა ვიცხოვრო. ვგრძნობ, რა სიყალბეა ყოველივე და ლამის გული გამისკდეს. იქნებ, ნუგეშს ჰპოვებს ის, ვისაც ოჯახში ელოდება სიხარული. მე ყველაზე დიდ სისაძაგლეს ჩემს ოჯახში ვხედავ. მათში ისე უზომოა ამპარტავნება, განდიდების წყურვილი, რომ აღარც ნათესავი აღარც მამული, აღარც ზნეობა ახსოვთ. არ ძალუძთ, გარდა საკუთარი განდიდებისა, სხვა რამ იწამონ და შეიყვარონ.

მუცლის ამოყორვა, ორდენები და ლენტები. ერთს საათში, საიდანაც სურთ, იქ დაჰბადებენ ჰორსა. ჩინი? ჰკვიანსა და კეთილს არავინ დააყენებს. ყველამ, უეჭველად, თავისზე უარესი უნდა მოსძებნოს.

ანიტა! რა ბედნიერი ვარ: შენ ერთადერთს შემიძლია ასე გელაპარაკო. უფრო წრფელად, უფრო გრძნობით, ვიდრე ჩემს საკუთარ თავს.

მე მოშხამული ისრით ვარ განგმირული და ჩემი წამალი არ არსებობს. მხოლოდ შენ ერთი ესალბუნები ჩემს იარებს.

ისინი ლომის ტყავებზე წამოწოლილიყვნენ ორსართულიანი სახლის დიდ სასტუმრო დარბაზში, რომელიც ბაღითა და პატარა ვენახით ანიტასათვის შეიძინა იასემ.

ჩულურეთის ეს მშვენიერი უბანი ქალს მოსწონდა, მაგრამ, როცა იასე იგვიანებდა, რაღაც უჩვეულო შიში იპყრობდა და მომაკვდინებელ მარტოობას განიცდიდა.

— ფიქრითაც ვერ მივსწვდომივარ, როგორ უნდა გამოვასწორო ქვეყანა. მოგონებითაც ვერ მომიგონებია, რა უშველის, რა გარდაქმნის მას?

აი, ეს განწირულება მკლავს, ანიტა, ეს სასოწარკვეთა მიღებს ბოლოს. იმის ფიქრი მიწამლავს სიცოცხლეს, რომ ქვეყანას არაფერი ეშველება. რომ დასაბამიდან ყველაფერი ასე ყოფილა და ასე დარჩება. რომ კაცის ცხოვრება მოჯადოებული და მოწამლული წრეა.

ისინი, ვისაც წვრილშვილი ჰყავს და შინ კაპიკი არ მოეპოვებათ,

ჩვენზე ათასჯერ უფრო ბედნიერნი არიან. მათ ეს ფიქრები არ აწუხებთ. მათ ამისი დრო არ რჩებათ. დილიდან შუაღამემდე დაძრწიან, რათა შვილებს საზრდო მიუტანონ. მე არ მჭირდება ლუკმაპურისთვის წანწალი. არც ცოლ-შვილი მაბადია.

მაგრამ ისინი? ნუთუ ისინი მხოლოდ იმისთვის გაჩდნენ, რომ ლუკმაპურისთვის ჭირის ოფლი ღვარონ? ამისთვის ხომ ნადირიც დაძრწის ტყეში? ადამიანობა? ადამიანობა სად იწყება? ჩვენი კაცობის სათავე სადაა?

მასწავლე, ანიტა, იქნებ, შენ იცოდე პასუხი! შენ ხომ ღვთის რჩეული ხარ? ნუთუ, შენ, ანგელოზის სახითა და გულით დაბადებულმაც არაფერი იცი? ნუთუ, ესაა მთელი ჩვენი ცხოვრება? ნუთუ, სხვა არაფერია? ნუთუ, ღირდა ამისთვის გაჩენა?!

— ია! წავიდეთ თბილისიდან. გავეცალოთ აქაურობას. პეტერბურგში. პარიზში. შვეიცარიაში. გული შემომკვნესის, რომ ჩვენ აქ არ გვაცხოვრებენ. ვერც ჩვენ გავძლებთ აქ.

— ეს მიშველის?! მე ჩემის უბედურების მიზეზი შიგ სულში მაქვს ჩაბუდებული და, საცა უნდა წავიდე, თან მიმყვება. განა არ ვყოფილვარ უცხოეთში და განა ამაზე მეტად არ ვიტანჯებოდი! იქაც ის კითხვები, ის ვერაგობა და მუხანათობა, ადამიანის უბადრუკობა და სიბინძურე.

— დაგვღუპავენ აქ, ია! არავის არ ვჰგავართ და არ გვაპატიებენ ამას.

— იქ? ნუთუ იქ ადამიანები არ არიან?

— იქ არ ექნებათ შური, რადგან არ გვიცნობენ. არ ექნებათ შიში. რომ შევეცილებით.

— ეს კმარა? — ნაღვლიანი ხმით ამოთქვა იამ.

— მე აქ სულ უფრო მიჭირს მარტო ყოფნა. მყვანან მეშურნენი და ახლა შენი მტრებიც ჩემი მტრები არიან. ნიავის შრიალზე ასე მგონია, კარს ანჯამები ასკდება.

— ჩემი მშვენიერი ძმა აღარაფერს მპირდება.

— ნუ, ია, ნურაფერი ნუ გინდა. ოღონდ წავიდეთ, გავეცალოთ აქაურობას. მე მაქვს ყველაფერი და სხვა ცხოვრება მწყურია. თეატრი, ოპერა, ახალი წიგნები. შობერაიხნერი, ლებედევი, ბირკი, მელიხოვა... აღარ შემიძლია აქაურ ჭორებში ვიხრჩობოდე. მეში-

ნია, ამ უაზრობამ, უძრაობამ არ დააზროს ეს სიყვარული. ყველა ყვავილს თავის ჰავა სჭირდება.

იგი დიდი, გულწრფელი და მართალი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი. შინაარსიანი სიყვარულისთვის. ჭეშმარიტად თანასწორი, თაყვანისმცემლური სიყვარულისთვის. ბუნებით მგრძნობიარესა და სულით მტკიცეს, იასეში მამაკაცური სიმამაცის და მიჯნურული სინაზის საოცარი შეზავება აჯადოებდა.

წამოჯდა. ბედნიერი თავდავიწყებით მშვენიერი ხელები ყელზე შემოჰხვია.

— მოდი, გულზე ყურს დაგადებ!

— შენი ჭირიმე!

— არ გაინძრე! არ დაილაპარაკო!

— არა, ნეტავ, ასეთ ნეტარებაში მოკვდებოდე!

— მაშინაც გიყვარდი?

— მაშინაც, მაშინის მაშინაც, სულ, სულ მიყვარდი, ანიტა. როცა არ გიცნობდი და, როცა არავინ მყავდა და როცა არავინ მიყვარდა, მაშინაც შენ მიყვარდი.

ქალი ტუჩებზე აკვდებოდა, მთელი სხეულით ეტმასნებოდა და მთელ თავის ზღაპრულ მომხიბვლელობას განაცდევინებდა.

იასემ ნაზად აიყვანა ხელში. ბავშვივით გულზე მიხუტებული ოთახებში გაატარა. ეფერებოდა, საალერსო სიტყვებს ეჩურჩულებოდა და გახელებით ჰკოცნიდა.

„ღმერთო! ნუთუ, ყოველთვის ასე ბედნიერი ვიქნები? თუ სიზმარია ყოველივე ეს და შეიძლება გაქრეს?“ — ფიქრობდა ანიტა, როცა ისინი კვლავ მოფარდაგულ იატაკზე დასხდნენ და ახლა ერთშანეთის ცქერით ტკბებოდნენ.

— წავიდეთ, ია! გავეცალოთ აქაურობას! უბრალოდ რისთვის დავიტანჯოთ თავი?

— დე, დავიტანჯოთ! დე, ყველაფერი დაიღუპოს! განწირულების შვილი ვარ და ბავშვობიდან ვიცი, რომ უნდა დავიღუპო. უსინდისობას ვერც შევურიგდები, არც გავექცევი. მე სხვა გზა არ მაქვს.

აქ ყველაფერი განაწილებულია. გუბერნატორის, მარშლის, პოეტის, მასხარის ადგილები დაკავებულია. ჩვენთვის დარჩენილია მოღალატის ეკლის გვირგვინი. დაწყნარდი, დაიდგი ნებაყოფლობით, თუ არადა, ძალით ჩამოგაცმევენ თავზე იმ გვირგვინს.

ჩემისთანა უკმაყოფილო პირებს ისინი ძალით ქმნიან, რადგან ადამიანთა ამ ჯოჯოხეთურ მანქანას, თურმე, ჩვენც ისე ვჭირდებით, როგორც გუბერნატორები, მარშლები და პოეტები. სხვაზე მაღლა რომ დგეხარ, სხვებს რომ სჯობიხარ, რომ გამოირჩევი, ეს ყველაზე მიუტევებელი დანაშაულია. ყველაფერს გაპატიებენ, ამას კი არა. ეს დაგვღუპავს, რადგან თავისუფალი მეტოქეობა ქრება, ძლიერი პიროვნებანი იძულებული იქნებიან ვერაგობით გაიკვლიონ გზა.

მზად იყო დაელეწა ყველაფერი, რაც ანიტასათვის გაუგებარი და აუხსნელი იყო.

მას მოაგონდა, რომ იასეს მძიმე დაფარული სენი ჰქონდა. შეეშინდა, გულს არ შემოეყაროსო, და დამშვიდება, ალერსი დაუწყო.

— ნუ გეშინია, ანიტა, არაფერი არ მომივა. ეს სულ სხვა ავადმყოფობაა. მე ეს სენიც მჭირს. უარესზე უარესი სენი. იცი, რას მეუბნება ამას წინათ ჩემი ძმა? შენ გძულს საქართველო, მტერი ხარ მამულისაო. ნამდვილი მამულიშვილი ისაა, ვისაც ეს შენი საქართველო სძულს-მეთქი, მივაცეცხლე.

მე უბედური ვარ, ანიტა, რადგან იდუმალი ხმა არ მასვენებს და მოწყენილობა მკლავს, რადგან ვცოფდები იმის გამო, რომ არაფერი არ იცვლება და მარადიული უმოძრაობა გვაქვს მოსჯილი.

— დამშვიდდი, ია! ნუთუ, ჩემი სიყვარული არაფერს ნიშნავს? მე კი ყველაფერზე მეტად მიყვარხარ, სიცოცხლეს არ დავიშურებ შენთვის. ნუ აჰყვები გულის თქმათა.

თუ გინდა, ჩემთან გადმოდი, აქ იცხოვრე.

ილოცე! — მგრძნობიარედ წასჩურჩულა და ხელში დედისეული პატარა ხატი ჩაუდო.

7

— ეს არს შეურაცხება ჩვენი ბუნებითის ენისა. თუ რომ არ გვქონდა შესაფერი სიტყვა, სხვა იქნებოდა, მაგრამ არსებობს მშვენიერი, ზუსტი და თანამემამულეთათვის გასაგები გამოთქმა „უწყება“ მხოლობითსა და „უწყებანი“ მრავლობითსა შინა. „ტიფლისკიე ვედომოსტი“ ქართულად იქნება „ტფილისის უწყებანი“ და ამიერითგან ასე უნდა ვუწოდოთ და დავაწეროთ ჩვენს გაზეთს. — აღელვებით დაასრულა დოდაშვილმა.

— „უწყებანი“ სხვა არს და „ვედომოსტნი“ სხვა. არ არის წესი, ყველაფერი ვსთარგმნოთ ადგილობრივს ენაზედ. სამი ნომერი გაზეთისა უკვე გამოგვიცია სათაურით „ტფილისის ვედომოსტები“ და ასე უნდა განგრძელდეს კვლავაც. — დამშვიდებული, ტკბილი ხმით განუმარტავდა შტაბსკაპიტანი სუმბათაშვილი.

— ვერ შევიწუნარებთ ამ აზრს. სურვილი და სიყვარული დედაენისა და ჩვენის სიტყვიერებისა ვალად გვდებს, ვსცეთ პატივი ყოველსა სიტყვასა ჩვენსა, რათა არ განიბნეს და არ დაიკარგოს მონაპოვარნი წინაპართა. „ვედომოსტი“ არს სიტყვა რუსული, დიდად პატივსადები, მეგრამ არ გვიკრძალავს ჩვენ მთავრობა, ვიმეტყველოთ და ვსწეროთ ჩვენს სამშობლო ენაზედ.

— „ვედომოსტი“ ესმის ყველას, „უწყებანი“ კი არს მკვდარი. — დინჯად წარმოთქვა მიქაიჩმა.

— არ ვუწყი, რა არს აქ საჭოჭმანო, გამოვსცეთ ისე, ვითარცა სამი ნომერი გამოგვიცია. — თავი დაუკრა შტაბის თარჯიმანმა, პოდპოლკოვნიკმა ბებუთაშვილმა.

— მე არასგზით თანახმა არ ვიქნები! — ხმა აუთრთოლდა სოლომონს. — ენა ქართული არს ერთი უძველესთაგანი და გვაქვს ჩვენი სიტყვები.

— მაშ, ასე ამდენი კომიტეტი შევმცდარვართ და არა გვცოდნია რა, რომ უშენოდ ასრე გადაგვიწყვეტია? — იკითხა სუმბათაშვილმა.

— თუ მოინდომებს, კარგს მწერალს ყოველთვის შეუძლია დედაენაზე მოძებნოს შესაფერი სიტყვა და სრულის სიზუსტით გამოხატოს აზრისა და გრძნობის ყოველი ნამკეკი.

— ჩვენ, განა, ამის წინააღმდეგნი ვართ? — გაუღიმა მიქაიჩმა.— ეს იმას ჰგავს, ერთმა კაცმა დათოვლილი ყვავი რომ დაინახა და, თეთრი ყვავებიც ყოფილანო, წამოიყვირა.

სოლომონს ეს უკმეხობად მოეჩვენა და ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ვერარაი შემისმენია თქვენთვის ქართულისა ფრაზისათვის.

„როგორ ეტყობა, რომ სიპიაგინის შვილების რეპეტიტორია!“— ირონიულად გაიფიქრა მიქაიჩმა.

— იყოს, რაკი ფილოსოფოსნი აგრე გვასწავლიან! — გადაულაპარაკა სუმბათაშვილმა ჰილაშვილს.

ნართაულმა სიტყვამ სოლომონს წონასწორობა დააკარგვინა:

— ან თვითონ უნდა ვიყვნეთ ფილოსოფოსნი, ან პატივი უნდა ვსცეთ ფილოსოფოსთა.

ეს თქვა და უმალ იგრძნო, რომ აჯობებდა, არაფერი ეთქვა. თავისთავზე გაბრაზდა, რომ, გამუდმებული ავადმყოფობის გამო, ვერ ახერხებდა ნერვების დამორჩილებას.

კომიტეტის წევრებს თვალი მოავლო და შეამჩნია, რომ შიგადა-შიგ რაღაც არამეგობრული ცნობისმოყვარეობით შემოხედავდნენ, უგემურად გაუღიმებდნენ, მერმე, მოაბრუნებდნენ თავს ერთმანეთისკენ და მოიჯღუნებოდნენ.

— უფალ დოდაევის წინადადება დასაბუთებულად მიმაჩნია. — შეაჯამა ამ საკითხზე მსჯელობა გაზეთის რედაქტორმა სენკოვსკიმ. — მეოთხე ნომრიდან ქართული გამოცემა გამოვა „ტფილისის უწყებანის“ სახელწოდებით. რას იტყოდით გამოსვლის დღეზე?

— როგორც რუსული გამოდის, ქართულიც ისე პარასკეობით დაიბეჭდოს! — თავაზიანად წარმოთქვა მიქაიჩმა და რაღაც უნებლიეთ, სოლომონს გაუღიმა. — რა თქმა უნდა, ერთად! — მაშინვე დაეთანხმენ სუმბათაშვილი, ბებუთაშვილი და ჭილაშვილი.

„არაა მართებული! — გაუელვა სოლომონს. — მაგრამ ამაშიც რომ წინააღმდეგი წავიდე, რას იფიქრებენ? თუმცა, ეს რა მომდის! რა სისულელეებს ვბოდავ! ჩემი მშიშრობით საქმე უნდა გაფუჭდეს? ჩემი პირადი საქმე ხომ არაა, ასე გულგრილად რომ შევხედო! გაზეთი დაგვეღუპება. დავრჩებით ისევ უგაზეთოდ და მერმე, ვინ იცის, როდის გვაღირსებენ ისევ!“

— მე ვგონებ, ქართულის გამოცემა ოთხშაბათობით უპრობეს არს, რადგან ფოსტა ამ დღეს გადის თბილისიდან ქართლ-კახეთში, თორემ, მკითხველებს მთელი კვირა მოუწევთ ახალი ნომრის ცდა და ეს გულს აუცრუებს მათ.

კომიტეტის წევრებმა ტუჩი აიბზუეს. მაგრამ თქმით არაფერი უთქვამთ.

— ჩემი აზრით, ეს წინადადებაც სამართლიანი გახლავთ! — დაასკვნა რედაქტორმა.

მთავარმართებლად დანიშვნისთანავე, პასკევიჩმა უმაღლეს მთავრობას სთხოვა თბილისში რუსულ და ქართულ ენებზე გაზეთის გამოცემა, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ სპარსეთთან ომში ადგი-

ლობრივი მოსახლეობა გულმხურვალედ მონაწილეობდა და სასურველი იყო, ახალი ამბები სცოდნოდათ. ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად, თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა შექმნა „საგამომცემლო კომიტეტი“, რომლის წევრებად დანიშნა სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ ფალავანდიშვილი (მიქაიჩი), რედაქტორი სენკოვსკი, პოლკოვნიკი ბებუთაშვილი, შტაბსკაპიტანი სუმბათაშვილი, პროკურორი ჭილაშვილი და ჟურნალისტი გარდეევი.

რამდენიმე თვის შემდეგ, სიპიაგინმა კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანა დოდაშვილი, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ამ კომიტეტის წევრობა ძლიერ საპატიო თანამდებობად ითვლებოდა და დამატებით ხელფასსაც იძლეოდნენ.

დოდაშვილს ურჩევდნენ, უარი ეთქვა ამ თანამდებობაზე. აშინებდნენ. ძნელი საქმეა, ბევრს მტერს გაიჩენო. მიქაიჩმა ეფრემა და ერმოლოზაც მიუჩინა, მაგრამ ქართული გაზეთის დაარსება სოლომონის სანუკვარი ოცნება იყო, რუსეთში საგანგებოდ შეისწავლა ეს საქმე, პეტერბურგელი ქართველებიც სთხოვდნენ, დახმარებას აღუთქვამდნენ და ასეთ ბედნიერ შემთხვევაზე უარს როგორ იტყოდა!

„სხვა ქართველს ეს არ შეუძლია, ჩვენთვის კი ამის დაკარგვა არ ივარგებსო“, გულახდილად სწერდა იონა ხელაშვილს.

გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს განუწყვეტლივ კომიტეტში მუშაობდა, იქიდან შინაც უამრავი საქმე მიჰქონდა ღამით გასაკეთებლად.

კომიტეტის მუნდირიანმა წევრებმა ყოველგვარ ჩინსა და მედალს მოკლებული ოცდასამი წლის ახალგაზრდა მასწავლებლის გვერდით თავი უხერხულად იგრძნეს, მაგრამ სიპიაგინის პროტეჟედ აცხადებდნენ და ხაზგასმული რიდით ექცეოდნენ. „საგამომცემლო კომიტეტი“, რომელსაც სარედაქციო ფუნქციები ენიჭებოდა, სწორედ სიპიაგინის მეთვალყურეობაში იმყოფებოდა.

კამათი გამოიწვია, მსგავსად რუსული გამოცემისა, თარიღი და ნომერი ქართულ გამოცემაშიც არაბული ციფრებით აღენიშნათ თუ ქართული ანბანით, როგორც დოდაშვილი მოითხოვდა. პაექრობის შედეგად, ქართულმა ანბანმა გაიმარჯვა.

— სოლომონ ივანიჩ, შენ კიდე უკმაყოფილო ხარ? — წყნარად უთხრა მიქაიჩმა, როცა მომდევნო საკითხთან დაკავშირებით, დოდაშვილმა ისევ ცხარედ წამოიწყო თავისი მოსაზრების მტკიცება.

— ქართულს გამოცემას უნდა ექნეს თავისი ღერბი — სათაურს შუა დაიხატოს წმიდა გიორგი, გარესშემო ყვავილებითა და კვლავ მრავლის ყვავილით მოჭედილი არშიითა, ზემოთ გვირგვინი...

— რისთვის ამდენი დავიდარაბა! — ღიმილით შეაწყვეტინა ბებუთაშვილმა .

— აბრამმა ცხვრები დასთვალა და ღმერთი განურისხდა ამისათვის! — ჩაეცინა მიჭაიჩს და გულში გააგრძელა: „აი, თურმე, ვინ ყოფილა უფალი დოდაევი! რა გული მისცემია გუბერნატორის მეგობრობისგან! კარგი მიქნია, რომ ჯერ კიდევ პეტერბურგს სწავლის დროს დამიწყია მაგისი ცნობების შეკრება და ბევრიც ვიცი. გიჟი ყოფილა, ამიტომ საშიშიც არა ჩანს, მაგრამ სიფრთხილე დიდი მმართებს. მაბეზღარა და სიტყვის ტანია იქნება.“

სენკოვსკის თხოვნით, რომელიც სოლომონს მუდამ გულდასმითა და ნდობით უსმენდა, ის ახლა თავის მოსაზრებებს გამოსთქვამდა გაზეთის პროგრამასა და შინაარსზე.

სენკოვსკი, პუშკინის, გრიბოედოვის, დეკაბრისტების მეგობარი, ოცდაშვიდი წლის განათლებული რედაქტორი, დაინტერესებული იყო საქართველოს წარსულით, მწერლობით. სოლომონი მას საქართველოს ისტორიას უთარგმნიდა. „სენკოვსკის უყვარს საქართველო, — წერდა პუშკინი. — და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს“.

— გაზეთში უნდა ვაჩვენოთ ქართველთა გმირობა. როგორც, მაგალითად, თავრიზის გმირი ერისთავი, ბაიაზეთის გმირი ჭავჭავაძე და სხვანი. — ამბობდა სოლომონი. — გავაცნოთ მკითხველთა ჩვენის ხალხის ისტორია, ლიტერატურა, არქეოლოგია, ზნე-ჩვეულებანი. საქართველოს ქალაქნი და სოფელნი. ვილაპარაკოთ ჩვენის წიაღის სიმდიდრეებზე, მათს გამოყენებაზე, ჩვენის მეურნეობის გაუმჯობესებაზე, კახურის დაყენებასა და გასაღებაზე. ქარხნების აშენებაზედ. ახლის ცხოვრების სიკეთეზედ და მის კეთილს მოხმარებაზედ.

— თბილისში სად მოვიპოვოთ ამისი დამწერები? — გაოცებით თქვა ბებუთაშვილმა.

— რამდენიც გნებავსთ, არიან გადმოსახლებულნი რუსნი მეცნიერნი, მწერალნი, ჟურნალისტნი, ოფიცრებად და სალდათებად.

— ვის გულისხმობთ? — ჰკითხა სუმბათაშვილმა.

— ბესტუჟევ-მარლინსკი, სუხორუკოვი, ჩეკინი და სხვანი მრავალნი.

— გვექნება ნება მთავრობისაგან?

— ესე არს დაჟანგება გონებისა! — ყრუდ ჩაილაპარაკა დოდაშვილმა.

— რა ბრძანეთ? — ყურზე ხელი მიიდო მიქაიჩმა, ვითომ, ხომ არ მომეყურაო.

— აუცილებლობა სწყვეტს ყველა განზრახვისა და რისკის სამართლიანობას.

— როგორც გენებოსთ, მაგრამ... — გაუღიმა მიქაიჩმა.

— რომელნიმე ძველნი თავნი იმყოფებიან ამა კომიტეტსა შინა. — ქართულად წაიბუტბუტა სოლომონმა.

— ჩვენ ვფიქრობთ, მომავალს წლიდან გაზეთზე ხელმოწერა გამოვაცხადოთ მთელის წლით, რათა თეთრი ერთად შემოიტანონ! — დარბაისლურად თქვა სუმბათაშვილმა.

— ეს კითხვა ხომ წინას სხდომაზე გადაგეწყვეტია! — თავი დაუქნია ბებუთაშვილმა.

— არც ეს გახლავსთ სწორი გადაწყვეტილება! — მკაფიოდ წარმოთქვა დოდაშვილმა. — მთელის წლის გამოსაწერ თეთრს საქართველოში დღეს ათი კაციც ვერ იშოვის და დავრჩებით ცარიელზე. გამოწერა უნდა მოხდეს ნახევარის წლით და არა სამის მანეთის ფასით, არამედ ორისა და ათის შაურისა, რათა ხელმისაწვდომი იყოს უბრალოს ხალხისათვის. მაშინ ხელისმომწერი მეტი გვეყოლება და შემოსავალიც მეტი იქნება.

თუ გაზეთს დროზედ ვერ მიიღებს, ყველა მკითხველს შეუძლია მიმართოს კომიტეტს განმარტებისთვის, აგრეთვე, გასაგებად, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა.

— ეს რა ოსტატი გამოუგზავნია გუბერნატორს ჩვენთვის. — წასჩურჩულა ჭილაშვილმა მიქაიჩს.

— ამიტომაც შეგირდებს სიფრთხილე გვმართებს!

— გავუგზავნოთ მაზრის წინამძღოლებს წერილი, რათა განაერცელონ თავიანთ მაზრებში „ტფილისის უწყებანი“, შეკრიბონ კეთილშობილნი და მოაწერონ ხელი. დაიბეჭდოს და დაიგზავნოს პროგრამა გაზეთისა სოფლებში და ქალაქებში.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა? — გაუცინა ბებუთაშვილმა.

— ვსთხოვოთ პეტერბურგის უნივერსიტეტის კომისიონერებს სმირდინს და შაროევს განვრცელებისთვის ქართულის გაზეთისა პეტერბურგში.

— თანახმა იქნებიან? — ცოტა ირონიით ჰკითხა მიქაიჩმა.

— ვიცნობ, მათ გამოსცეს „ლოგიკა“ ჩემი.

— აჰაა! — მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა ბებუთაშვილმა.

— არ იქნება სასურველი ჯერ ახლის გაზეთის პეტერბურგს გავრცელება! — ფრთხილად თქვა ჭილაშვილმა.

— რისგან? — თავი ასწია დოდაშვილმა.

— იქნებ, არ ესიამოვნოს მთავრობას! — ამოთქვა სუმბათაშვილმა.

— არა ვჰგონებ!

— ყმაწვილო, ზოგი რამ ჩვენც უნდა დაგვიჯერო! — ხმას აუწია სუმბათაშვილმა.

— სიყვარულმან მამულისამ განმაღვიძა მე და არ ვარ დაჩეჩული ორპოფობას, სიკვდილი უმჯობეს არს ჩემთვის.

— რომელს არ ეწვის მამულისთვის გული? — ეწყინა მიქაიჩს.

— მიყვარს მეც მშობლიური ჩემი ქვეყანა. მსურსცა ბედნიერება მისი, განათლება, მშვიდობა, გამდიდრება! — თქვა სუმბათაშვილმა.

— უნდა ვიღონოთ ყოველი ღონე, რათა შევინარჩუნოთ ქართული გაზეთი და ვიტყვი ამისათვის მოურიდებლად ჩემს აზრს.

— არ მეამების ამგვარი ლაპარაკი! — შეწუხებული ხმით აღმოხდა სუმბათაშვილს.

მიქაიჩი კმაყოფილებით კრუტავდა თვალებს..

ჭილაშვილს მრისხანებით ებერებოდა ნესტოები.

ბებუთაშვილი ჩუმ-ჩუმად ქვევიდან ამოჰხედავდა და თავს გადააქნევდა.

„როგორ ბედავს? — ეწერა მათ სახეებს.. — არავის მორიდება არ ჰქონია!“

„ხომ არ გადავამლაშე? — გამოფხიზლდა სოლომონი. — ეს „კომიტეტი“ ამათთვის გასართობი ადგილია, სადაც მოსულნი არიან ერთმანეთის სანახავად, სამასლაათოდ, ერთმანეთისთვის ტკბილი სიტყვის სათქმელად და გულის მოსაფხანად.

იქნებ, სიწრფელით მოლაპარაკე კაცი თავის დღეშიც არ ენახოთ,

მე კი, დანა ყელზე მივადე. მთავარია, ყოველს საქმეზედ ერთმანეთის სასიამოვნო თქვან და გადაწყვიტონ, ერთმანეთი გაახარონ. მაგრამ, ასე რომ ვიაროთ, როდის და სად მივალთ?! დარწმუნებული ვარ, არასდროს პირადი ღირსების მქონე და საქმისთვის თავგამოდებულ ადამიანთან არ ულაპარაკნიათ.

რაი ვჰყო მუნ?! როგორ ვემსახურო მამულს! როგორ მივენდო აქაურთა! ყოველს ამათგანს შეუძლია ერთის უბრალოს პირადის გაკენწვლისთვის განწიროს მამული თვისი! ვირჩიო დუმილი, დავუკრა ყოველს სიტყვაზედ თავი, ჩავიკლა გულისტკივილი, რწმენა და აზრი ჩემი?!“

— გადავწყვიტოთ უახლოესი ნომრების შინაარსი. როგორც აქამდე, ინფორმაცია და პოლიტიკური მასალა უცვლელად გადმოვა რუსული გამოცემიდან. — განაცხადა სენკოვსკიმ. — ნება გვაქვს დავუმატოთ ქართული ლექსები, ლიტერატურის მიმოხილვა, ადგილობრივი ნარკვევი.

მოვუსმინოთ სტატსკი სოვეტნიკს, ბატონ ფალავანდიშვილს.

მიქაიჩი, თავაზიანად წელში მოხრილი, წამოდგა, საქაღალდე გაშალა და წყნარი, სასიამოვნო ხმით კომიტეტს მოახსენა:

— გაზეთში დასაბეჭდად შემოსულია რაოდენიმე მშვენიერი სტიხთ თხზულება, რომლებიც ეკუთვნისთ ავქსონთ, კეთილშობილთა სასწავლებლის ოსტატს, მეათე კლასის ჩინოვნიკს ეფრემ შიოევს და სტოლონაჩალნიკის თანაშემწეს ერმოლოზ იარლოვს.

— დავბეჭდოთ, დავბეჭდოთ! — გაისმა აქეთ-იქიდგან.

— თუ შესაძლებელ არს, წაგვიკითხეთ ერთი-ორი ადგილი! — ითხოვა სოლომონმა.

მიქაიჩი შეიშმუშნა, მაგრამ თავი შეიკავა და ტკბილსასმენად დაიწყო კითხვა.

— როს მოვიგონებ შენსა სახელსა,
მყის გული მიწყებს შეღონებასა,
მყისვე დამიწყებს ცრემლი სიწვიმეს
და ოხვრა მოწყვეტს მდუმარებასა.
რა გშორდი, მნათო, მის მიერითგან
მე შენი სახე თანა დამსდევნის,
ანუ ვის ვსჭვრიტდე და ან ეფიქრობდე,
მყის თვალწინაშე წარმომიდგები.

— უცხო რამ არის!

— ბრავო, ეფრემ!

— ჩვენის დროის ბესიკი არს!

— უმჯობეს ყოველთა ახალთა!

— ძლიერ უბადრუკი ქართული მოისმინეს ყურთა ჩვენთა. დამანაგვიანებელი სასმენელისა და გონებისა!—წამოიყვირა დოდაშვილმა.

— რას ამბობთ! — აფუსფუსდნენ აღტაცებული წევრები.

სენკოვსკიმაც გაოცებით შეხედა ოპონენტს.

— აღარ იშლის! — ბოროტად წაიბუტბუტა მიქაიჩმა.

— რას ჰხედავთ აქ ცუდს? — ცხვირის აპრუწვით ჰკითხა სუმბათაშვილმა.

— არც ერთსა ჰსწავლასა არა აქვს ესოდენ დიდი მოქმედება ჩვენთა სულიერთა ძალთა ზედან, ვითარცა აღმკობილსა ხელოვნებასა. წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა. ესთეტიკასა შინა იპყრობიან გემოვნება, მჭევარ თქმა და პოეზია. თხზულებათა შინა ეფრემისათა და არ არის არცერთი, არც მეორე, არც მესამე, ესე არს ფუჭსიტყვაობა. საგანი ლექსთა მოძველებული. ბევრი წამოღებული სხვითგან. სიტყვანი მორყვნილნი ვითარცა: „მყისვე დამიწყებს ცრემლი სიწვიმეს“. რაი არს ეს „სიწვიმეს?“ რას არგებს ხალხს ეს „ოხვრანი“ და გულისა შეღონებანი?“

რომელნიმე იტყვიან ქართულისა ენისათვის, რომელ იგი არს გლახაკ, არა განვითარებულ, გარმონიის არავითარისმე მექონე და ასეთნი ლექსნი, როგორიც ეფრემისა, მისცემს მათ საბაბსა.

მიქაიჩმა კეფა მოიფხანა, ბებუთაშვილმა სახე მოიბრიცა, მაგრამ პასუხისაგან თავი შეიკავეს.

ჩამოვარდა უსიამოვნო დუმილი, რომელიც ჭილაშვილმა დაარღვია:

— ერმოლოზს მოვუსმინოთ.

მიქაიჩმა უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი, მაგრამ მაინც სასიამოვნო ხმით წაიკითხა:

— მომეცა მყის სიცოცხლე მე ახალი,
როს განვსცადე საკონებლად მის ხალი,
ბაგეთაგან ვსმიდი ნეტარებასა,

როს ვემონე შმაგად მე სიყვარულსა.
სხვანიც, იცი, ყოფილან, საყვარელო უბედო,
რა არს, რომ უბედურად თავი აწ მეცა ეხადო!

— გვეყოფა, გვეყოფა! — ყველას დაასწრო დოდაშვილმა. — ესე არს მოპარული და გაფუჭებული აშუღურისგან უნიჭოდ. ხელოვნებას, მწერლობასა აქვს კანონები. თხზულებას იგი ასე ააგებს, როგორც არხიტექტორი გამზადებულთა ნაწილთაგან აღიყვანს მშვენიერსა შენობასა თვისისა კანონითაებრ. ერმოლოზის ლექსთა შინა არა არს არცა აზრი, არცა გრძნობა, არცა კანონი პოეზიისა. არს მიბაძვა უბადრუკი.

გარინდებამ დაისადგურა. თითოეული დამსწრე ძლივს იკავებდა თავს, რათა რაღაც შეუფერებელი არ ჩაედინა. სოლომონისკენ ველარც კი იყურებოდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ბებუთაშვილმა თქვა:

— საიქიო სასუფეველს მხოლოდ კეთილი და სათნო საქმეებით მოვიპოვებთ. დანარჩენი ამაოა.

მიქაიჩსაც უღალატა საიმედოდ მოთვინიერებულმა ნერვებმა. თვალებმორღვეული, სახეზე ხანძარმოდებული, გულის სიღრმეში იმშვიდებდა თავს: „დამაცა! ღვთით, ეს ეფრემა და ერმოლოზა მოგიღებენ ბოლოს!“

— არიან ჩვენს სასწავლებელსა შინა ნიჭიერნი, შეგირდნი, თხზავენ ლექსებსაცა და დაეხმაროთ მათ, ნორჩთა, იმედის მომცემელთა! — ამბობდა დოდაშვილი.

8

ნათლიღებას მსუბუქად ჩაცმული მოსეირნენი მზის სიფიცხეს უჩიოდნენ, ხოლო თებერვლის მიწურულს აბანოთა უბნის ბაღებში ნუშის ხეები აყვავილდა და ქალაქის შემოგარენი მწვანედ ახასხასდა.

აღდგომის მესამე დღეს, დილის ექვს საათზე, ისეთი მიწისძვრა მოხდა, რომ თბილისი ბეწვზე გადაურჩა დანგრევას. ბევრგან ბანები ჩამოიქცა, კარ-ფანჯრები ამოცვივდა.

ხალხს უკვირდა, რომ ყველაზე მეტად თეკლა ბატონიშვილის

მტკიცედ ნაშენი სასახლე დაზიანდა კალოუბანში. თეკლას უფროსი ვაჟი, ალექსანდრე ორბელიანი, „სამართლისა და განჩინების ექსპედიციის“ მრჩეველი, და იმისი მომდევნო ძმა, დიმიტრი, ლეიბგვარდიის გრენადერთა რაზმის პრაპორშჩიკი, შუაღამემდე ამუშავებდნენ თავიანთ თბილისელ ყმებს დაზიანებული სახლის შესაკეთებლად.

ალექსანდრეს გვიან გამოეღვიძა.

უმალ ღმერთი ახსენა და პირჯვარი გამოისახა: „ღმერთო დიდო! მოწყალებითა შენითა, ნუ დაგვაგდებ ჩვენ!“

ამ სიტყვებზე ქვეშაგებიდან ტახტზედ გადმოვიდა, ფეხთ ჩაიცვა, მეტანია შემოუარა, პირი აღმოსავლეთისკენ ქნა და თავის საიდუმლო ლოცვას მოჰყვა. შიგადაშიგ ხელების გაპყრობით წარმოთქვამდა სიტყვებს.

როცა ალექსანდრე ეზოს დასათვალიერებლად, საქმეების მოსაკითხავად კარში გავიდა, მისი მშვენიერი მეუღლე კატინკა, გუბერნიის მდივნის, დავით ბარათაშვილის ასული, წამოდგა, ბეჭებზე შალი მსუბუქად წამოისხა და დიდხანს ლოცულობდა.

— მოურავო, როდის გაჩნდი აქ? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— წუხელ სოფლიდან მოგვიანებით ჩამოვედი და დრო აღარ იყო გხლებოდით, ჩემს სახლში, ჩემს ხიზანთან დავრჩი.

— ბარგის ჯორები და მსახურთ ცხენები როგორღა არიან?

— კარგად გახლამსთ, წუხელ ხაზარეთის მამასახლისიც ჰასან ჰაჯალოდან მოლა ზამანასა და ქოსა მუსტაფას ჩამოჰყოლია.

— ამ უდროოდ რისთვის ჩამოსულან?

— მოლა ზამანას ძმა ცოლს ირთავს და ბატონიშვილისთვის ხალიჩა მოურთმევია. ბატონიშვილს არ მოსწონებია, ნახმარი ყოფილა, ახლა ხუთ თეთრად ახალი ხალიჩა უყიდნიათ და ბატონიშვილს ძველისა და ახლისაც აღება უნებებია.

საუზმემდე ალექსანდრე მტკვრის მხარეს ბარვას შეუდგა და რადგან ამ უბანში პირველმა ამოაბრუნა მიწა, ნიადაგის თავბრუდამხვევ სურნელზე, მთელი სანაპიროს შაშვებმა მასთან მოიყარეს თავი, ესალმებოდნენ, ეფერებოდნენ, უგალობდნენ, ალექსანდრე პოეტი იყო და ამ სურათმა ისე მოაჯადოვა, რომ ბარის ტარს ჩამოყრდნობილი, ჩიტების ჭიკჭიკს უგდებდა ყურს.

— კნიაზი სოვეტნიკ ორბელიანსკი შინ ბრძანდება? — გაისმა ჭიშკართან.

— ვინ კითხულობს?

— ღუბერნატორ ზავილეისკის კაცი.

— რისთვის გინებებიათ?

— ცოტა რამ მოსალაპარაკებელი გვაქვს.

ალექსანდრემ მოურავს უბრძანა ჭიშკარი გაეღო და, როცა ურდული ახმაურდა, შეამჩნია, რომ მოხელის გვერდით, რომელსაც ყვითელი დაღესტნური ჩექმები ეცვა და ცხვირზე ოქროს სათვალეები ეკეთა, ეზოში ბრჭყვიალაპაგონებიანი შტაბსკაპიტანი შემოდიოდა, ხოლო უკან თოფებით შეიარაღებული ორი ოცეული მოჰყვებოდა.

სანამ საქმის ვითარებას აუხსნიდნენ, ჩოხის სახელოებაკეცილ მასპინძელს ბლის გრძელტარიანი ჩიბუხი ხელში გაუშეშდა.

ამასობაში ჭიშკართან თავი მოიყარეს შინამოსამსახურეებმა, უმებმა. აივანზე შალმოსხმული თეკლა ბატონიშვილი გამობრძანდა, ფანჯარაში კატინკა გამოჩნდა.

მოურავმა დაუპატიჟებელ სტუმრებს მძიმედ დაუკრა თავი.

— რითი გემსახუროთ? — მწყრალად იკითხა ორბელიანმა.

— გუბერნატორისგან ზედ ამ ალაგზედ საგუშაგოს მოწყობა გვაქვს ნაბრძანები.

— ვერ გავიგე!

— უნდა დაგიფაროთ, კნიაზ! საბძელთან საგუშაგოს გავაკეთებთ და სალდათები იმორიგებენ.

ალექსანდრე გაშტერებული შეჰყურებდა უკვე დაუკითხავად საბძელისაკენ მიმავალ ჯარისკაცებს. მოხელის ოხუნჯურმა კილომ ისე მოსწყვიტა წელი, რომ ვეღარ გამორკვეულიყო, რა ხდებოდა.

— რაისთვის გარჯილან? — წყნარად იკითხა ბატონიშვილმა.

მოურავმა სიცრუის თქმა ვერ გაუბედა:

— ფათერის მოწყობა განუზრახავთ, ჩვენო ბატონო.

— ვაიმე! — ერთად შეჰკივლეს კატინკამ და შინამოსამსახურეებმა.

— იცით, მერმე, ვისთან ხართ? — რის ყოფით ხმა ამოიღო ალექსანდრემ.

— ეს სულ ერთია. ჩვენ გუბერნატორის ბრძანებას ვასრულებთ.

— რწმუნება?

— ინებეთ!

— ვაი, შერცხვენილო ოჯახო! დიდი ერეკლეს ოჯახო! — სახეზე ხელი აიფარა ალექსანდრემ.

ეს რომ დაინახეს, შინამოსამსახურეები და ყმები, რომლებსაც ერეკლეს უსაყვარლესი ასულის — თეკლა ბატონიშვილის სამსახური საამაყოდ მიაჩნდათ, საომრად აიშალნენ. ჭოსა მუსტაფა განზე გადგა და შტაბსკაპიტანი ნიშანში ამოიღო. ხაზარეთის მამასახლისმა ხანჯალი გააშიშვლა. მსახურთ სამზარეულო დანები დაატრიალეს.

— არ გაბედოთ! — გონს მოეგო ალექსანდრე.

მაგრამ ოცი წლის გავეშებულმა მოლა ზამანამ, რომელსაც შარვლის ნაოჭებიდან ზოლებიანი წინდა მოუჩანდა, თოფს ხელი დასტაცა და მომხვდურთ სახლის მეორე მხრიდან დაუარა თავი.

— დადექით! — შესძახა, და, ის იყო, უნდა ესროლა, რომ მწყობრი ადგილზე გაქვავდა.

ახლომახლო ქუჩები და ეზოები ხალხით გაივსო. მოცვივდნენ კარის მეზობლები: მელიტონ ბარათაშვილი, ორბელიანები, მესხიშვილები.

ალექსანდრეს თანშეზრდილი იასე ფალავანდიშვილი გატენილი რევოლვერით გაეშურა სალდათებისკენ.

— გაეცალეთ აქაურობას, თორემ, ყველას მიგაწვენთ!

ეცნენ იასეს ხელებში მელიტონ ბარათაშვილი, არსენა მესხიშვილი, თვითონ მასპინძელი, ემუდარებოდნენ სროლა არ აეტეხა.

— ესროლე, ზამანა! ესროლე, მუსტაფა! ერთიც არ გაუშვათ ცოცხალი! — დრტვინავდა იასე, რომელიც წითელ შარვალსა და ლურჯი აბრეშუმის ხალათში გამოვარდნილიყო შინიდან.

— შენს სისხლში ნუ გაგვრევ! — გადაუდგა ალექსანდრე მოხელეს.

შტაბსკაპიტანი და სალდათები ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ ეუბნებოდნენ უარს საგუშაგოს მოწყობაზე. ნუთუ, ამ ველურებს წარმოდგენა არ აქვთ, რა მოელით მთავრობის წინააღმდეგობისათვისო?

— ამ სახლში მეფის ასული ცხოვრობს! — გააგებინა მოხელეს მელიტონ ბარათაშვილმა.

— ვიცით!

— თუ ჩვენს შესარცხვენად არ მოუგონიათ ეს ამბავი, ამოდენა ქალაქში ადგილი ვერ იპოვეს? — გაიწია კვლავ იასე ფალავანდიშვილი.

— მთელი საქართველო უნდა ააყაყანონ!

— ეს ერთი ბატონიშვილიღა დაგვრჩა და ისიც ვერ უნდა დავიფაროთ?!

— ბრძანება ბრძანებაა! — მრისხანედ შეჰყვირა შტაბსკაპიტანმა და მედიდური გამომეტყველებით რაზმს წინ გაუძღვა.

— არ გადაუდგეთ! აქ რამე შემთხვევა რომ მოხდეს, ბატონი დედა დამეღუპება. — შეეხვეწა ალექსანდრე მეზობლებს.

სალდათებმა ჩამოგლიჯეს ფიცრულს ბოქლომი, თვალის დახამხამებაში მოხსნეს წინა კედელი და სათვალთვალოების კეთებას შეუგდნენ.

— ჩვენც ხალხი გვქვია!

— ასე რამ დაგვაგლახა!

— არ სჯობია, სულ გავსწყდეთ?!

ბორგავდა იმუქრებოდა ხალხი. სიმამაცითა და სიმტკიცით სახელგანთქმულ ათასჭირგამოვლილ თეკლე ბატონიშვილს, რომლის მამას, მეუღლეს, შვილებს ასეთი სამსახური გაუწევიათ ამ მთავრობის წინაშე, სისხლის ცრემლები სდიოდა. გულს ასკდებოდა და ჰალარას იგლეჯდა, რომ მამის ნაბოძებ სასახლეს უწმინდურება ვერ აცდინა. შვილები, რძლები, შვილიშვილები, მეზობლები თაყვანისცემით ამშვიდებდნენ.

„გარეშე ნებისა ღვთისა არა ხდების რა!“

დიდის კრძალვით საძინებელ ოთახში შეუძღვნენ. დორეებსა და ბალიშებზე მოასვენეს. სასუნებელი მიართვეს. კარის მოძღვარსა და მკურნალს უხმეს.

„თეთრი სუხარიც ეამება, ჩაიზე კარგია!“

კლდეგულოვანმა ქალმა იუკადრისა ეს ასეთი სისუსტე. სათაყვანებელი მამის სულის გამოცხადებისა შერცხვა, თავისთავი დატუქსა და მუხლებზე დაემხო.

„არა ტირილად და მწუხარებად, არამედ, ლოცვად და მოთმინებად!“

„უფალო, ჰყავნ მიტევება ჩემდა და იყავნ ნებისაებრ შენისა!“ დარბაისელნი დიდხანს შეიყოლია მუსაიფმა.

— ღვთის გამარისხებელი და მთლად საქართველოს დამღუპველი საქმეა! — ამბობდა იასე ფალავანდიშვილი.

— რასა იქმ, ცხოვრება ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა.

— ჩემს სენაკში მეფის ირაკლის პორტრეტი მიკიდია, მაგრამ ალარას ერიდებიან! — დაბნეული ლაპარაკობდა ალექსანდრე.

— ერმოლოეს თვალში რომ ჩავეარდნოდით, ხელს არ ამოისვამდა, კაცი ის იყო! — დანანებით თქვა მელიტონ ბარათაშვილმა.

— ეს სულ ამ ახალი ღუბერნატორის ოინებია. დიდი ქვეშ-ქვეშა და ბოღმა ვინმეა. — თქვა ალექსანდრემ.

— გამიგონია, ფრიად თავისუფალის აზრის მექონეაო. — ჩაილაპარაკა მეზობელმა თავადმა.

— ჩემთან ჩემი, შენთან შენი.

— მართალსა ბრძანებს ალექსანდრე. გარეთგან თავს წრფელად გვიჩვენებს, გულში კი სულ სხვა კაცი და ცოდვის მტვირთველია.

— შარშან ჩვენსა ვახტანგის კანონები გადაფურცლა და მითხრა: მეფის მმართველობა გქონიათ, მაგრამ აქედან ჩანს, თავისუფლება ყოფილაო.

—ჩემთვისაც უთქომს, რას ითმენთ მთავრობისაგანო!

— ვერა გამიგია რა! თუ მართლა კეთილი სულია, ბატონიშვილის სასახლეში ფათერი უნდა მოეწყო?

— იქაც ზავილეისკია, ჩვენს ოფიცრებს რომ „შაშლიკებს“ ეძახიან, ყელზე „წითელი ხორცი“ გაკერიათო?! — გამაღიზიანებელი კილოთი თქვა იასემ. — აბა, აქედან იანგარიშეთ, რა ცხოვრება გაქვთ და რას ითმენთ!

— მა, რა ვუყოთ, შე კურთხეულიშვილო?

— ნუთუ, ვერა ხედავთ, ვითარსა სასტიკსა უღელსა ქვეშე ვიმყოფებით! — თქვა მეზობელმა თავადმა.

— ხალხი დრტვინავს, ბეღლები და საკუჭნაოები დაცარიელდა. ერი ძლიერ შეწუხებულია.

— ერთისა და ორის მოხელის სიავით მთავრობაზე გულს ნუ ავიყრით! — თქვა მელიტონმა.

— ბედის მორჩილი მონობაში მოკვდება! — შესძახა იასემ.

— ნეტა რამე მოხდეს და ნახამ, რასაც ვიქ! — მკაცრად მიაგება ალექსანდრემ.

— თქვენ იმდენს იზამთ, რომ მთელს საქართველოს დაღუპავთ! — განრისხდა მელიტონი.

— ოჰ, რა „ტრუსი“ რამა ხართ ეს ბერიკაცები! — თვალები აენთო იასეს.

— მე მირჩევნია, ჩვენს ქერქში გავყუჩდეთ!

— აბა, როგორ მხარში ვუდგევართ მთავრობას ამ გაუთავებელ ომებში, გინა ჯარითა და ოფიცრებით, გინა პურითა და სასაპალნე პირუტყვით, გინა მეხრეებითა და გზის კეთებით, სამაგიეროდ ის დაგვრჩა, რომ ვერ გაგვიბედნია და ვერ დაგვიმთქნარებია, — ბოლმა ერეოდა ალექსანდრეს, რომელსაც სათაყვანებელი დედის ჯანმრთელობაზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა.

— მე ისე დავსნეულებულვარ, რომ, საცა არ უნდა ვიყო, ყურში სულ ჩემი მამულისა და ხალხის ლანძღვა-გინება ჩამესმის! — გულღვიძლი ამოატანა იასემ ამ სიტყვებს.

— ხელმწიფემ საიდან იცის ყველაფერი, რაც მაზრებში და ღუბერნიებში ხდება. უწესობა სულ წვრილი ჩინოვნიკების ბრალია და იოლად გასწორდება. — დამრიგებლურად თქვა მელიტონმა, რომელიც ქარვისმუნდშტუკიან ყალიონს დინჯად ტენიდა.

— სენატორ ერისთავს მოუხსენებია მთავრობისათვის, აქაური მმართველობა განზრახ ავიწროებს ხალხს, რათა აიძულონ თავადები, უმტრონ ახალ იმპერატორსო.

— გაჩუმდით, ღვთის გულისათვის, სული ძაძებით მაქვს დაბურული მამულის ბედისა გამო! — მწარედ წაიბუტბუტა იასემ.

— ჩვენ რა კეთილი უნდა გვეწიოს, ისე გავთითოებულვართ, სამ-ოთხ კაცსაც ამისთანა გასაჭირში საერთო აზრი ვერ გვიპოვნია! — ხმა დააკვესა ელიზბარ ერისთავმა, რომელიც ის იყო შემოუერთდა მოსაუბრეებს. — მამულებს გვართმევენ, მამაპაპეული ოსეთი წაიღეს, სხვა თავადიშვილთ კიდეც უხარიათ ერისთავთა უბედურება. ეს არის შეწევნა ერთმანეთისა ყოველს საქმეში?

— აღიარეთ, რომ გადედლებულნი ვართ ყველანი! — ისევ აენთო იასე.

— მე ვარ გადედლებული? — ნაწყენი ხმით თქვა ალექსანდრემ.

— შენცა!

—სიტყვას დაუკვირდი! განა, როცა იმერლებმა ამ რვა წლის წინ ბუნტი მოახდინეს, პირველი მე არ გადავვარდი თხრილებზე, ხმალს ხელი გავისვი, ათი იმერელი აეკაფე და სხვანი გავაქციე? კნიაზ

გორჩაკოვმა მხარზე ხელი დამკრა, ლომი ყოფილხარო. ყაბარდოში ერმოლოვს ვახლდი და დედაჩემს მოსწერა, ეს რა ვაჟკაცი შვილი გაგიზრდიაო.

— ხა, ხა, ხა! — საშინელი ხმით გადაიხარხარა იასემ. — იქნებ, ახლაც გამოუგზავნოს წერილი ბატონიშვილს დედათქვენს! სულ ეგ არის სამშობლოსათვის შენი ვაჟკაცობა?

— მაშ, მეტი რაღა იქნება?

— მამულის ერთგულება! ვინც შენს სახლში ფათერს აწყობს, მათ უნდა შეუტიო!

— ამათ მე მოვერევი, მთელი ევროპა დააჩოქეს?

— მაშ, რას ატირებ, რომ კისერზე გვასხდნენ? განა, არ იცი, მომხდურს დამხდური უნდა? — გულისწყრომამ ხმა წაართვა იასეს.

— ბალღებო, ჰკუას უხმეთ, მოხელემ გაწყენინა, ხელმწიფეს მისწერე! — გაცხარდა მელიტონი.

— განა ერისთავები ცოტას ვწერთ? — მწარედ გაეცინა ელიზბარს. — ამ საჩივრების წყალობა კი ის გალხავთ, კნიაზო, რომ წუხელ ჩემი სიძე სამსახურიდან გამოაგდეს და საციმბიროდ ამზადებენ.

ამ ცნობამ ყველა გააქვავა.

— რომელი სიძე? — უაზროდ იკითხა იასემ.

— თბილისის პოლიცმეისტერი — ანდრია იაკობის ძე მელნიკოვი! — კვლავ ირონიული პატაკის ენაზე მოახსენა ელიზბარმა.

— შეუძლებელია.

— ის ხომ დიდად ნამსახური რუსი ჩინოვნიკია! — გაოცდა მელიტონიც.

— ფრიად ნამსახური და, მენდეთ, განათლებული, არასმქონე, მკაცრი და პატიოსანი.

— ასეთი მოხელე არაფრისათვის?

— რატომ არაფრისათვის. არ მოეწონათ ახალ მთავარმართებელსა და ღუბერნატორს. ერმოლოვის კაცად გამოაცხადეს. ეს არაფერია? ხომ არ შეიძლება უმცროსი მართალი იყოს უფროსის წინაშე?!

— ამგვარი პატივსადები რუსი? — დაბნეულად ბუტბუტებდა მელიტონი.

— რატომ გიკვირთ, კნიაზო! დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკო პატივსადები რუსი არ იყო, რომ გუშინწინ გაუგდიათ?

— პაუშენკო?

— დიახ, დიახ, პაუშენკო!

— ჯანდაბა და დოზანა მაგათ!

— მერმე რა დროს! ჩემს დას ბავშვი უკვდება!

— რას ამბობ! — შეწუხდა ალექსანდრე. მელანია მელნიკოვა მისი შვილების ნათლია იყო.

— მაშ, ქართველებზე ნაკლებ უკმაყოფილო არც რუსი მოხელენი ყოფილან!

— ბევრი ჩვენზე უკმაყოფილოცაა!

— იასე, აქა ხარ და ხალხი შენს ძმაზე ჩურჩულებს, მიქაიჩმა დააბეზღაო.

— რას არ მოიგონებენ! — აღშფოთდა მელიტონი. — მიქაიჩი ერთი საწყალი კაცია, თავისთავი გასჭირვებია.

— ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერაც ცოცხალია ქვეყანაზე იუდა!

— რასაც გარეშე ვერ გვაკლებს, შინაური გვისრულებს.

ამასობაში საგუშაგოს გაწყობა დაესრულებინათ და სალდათები მხიარული ხმაურით ყაზარმისკენ მიიჩქაროდნენ, სადაც ცხელი ფაფა ელოდათ.

როცა ალაყაფი გაიღო, მოლა ზამბანამ, რომელსაც კუზიანივით ჩამჯდარი მხრები ჰქონდა, ხმამაღალი სიმღერით მიმავლებს ზურგში დოლაბისხელა მუშტი მოუღერა.

— წავიდა ეს დღეც შხამად და ბრაზად! — ამოიოხრა ალექსანდრემ და ჩიბუხი ჯიბეში ჩაიდო.

— ყოველივე ასე ბუნდოვანი, ასე გამოურკვეველი, ასე უზომოდ დაბურულია! — გაეპასუხა ელიზბარი.

— ვნახოთ, თუ ბოლოს სანანებელი არ გავუხადო!

— არავინ იცის, რა გამოვა რისგან! — წაიღუღუნა მეზობელმა თავადმა.

— ალექსანდრე! წამოიღე ახალი გაზეთები და ამაღამ ჩვენსა გადმოდი. ჩემი სიძეც იქ იქნება.

— და მან ძალმან აღდგომისამან ალაყვავოს დღენი თქვენნი სიხარულისა და კმაყოფილებასა შინა ჩვენისა ნუგეშის ცემისათვის

უკუნით უკუნისამდე, ამინ! — დაემშვიდობა სტუმრებს მანონი-შვილის სახელით კარისმოძღვარი.

მარტის ქარმა გაზაფხულის ნედლსა და საამურ სიმწვანეს სუსხი მოჰფინა.

ატალახებულ ქუჩებზე ადამიანისა და პირუტყვის ნაფეხურები გულმოდგინედ გადაშალა. სოფლელმა ბიჭებმა ცარიელი გოდრებით დატვირთულ ჩოჩრებს ასაჩქარებლად სახრე აუტურტურეს.

9

— პატიოსანო კაცო, სოლომონ ივანიჩ, ეს რა დღე დაგიწყია? „ძველი თავებისათვის" „კომიტეტსა" შინა! ჰი, ჰი, ჰი! — ხითხითით შეეგება კეთილშობილთა სასწავლებლის დერეფანში ეფრემა.

— მე არავისთვის მიწყენინებია, მარტოდენ საქმისა გამო ვლაპარაკობდი.

— ნეტა იცოდე, როგორ განერთობა მთელი ქალაქი თქვენსა მახვილსა სიტყვათა ზედან „ძველი თავების" დასაცინებლად.

— ვსწუხ ძლიერ, რომე ჩემი სიტყვა სწორად ვერ გაუგიათ და კომიტეტსა შინა საქმის სიკეთისათვის თქმული საჯაროდ გამოუტანიათ.

— მიხარის· ფრიად, რომელ სიპიაღინმან კომიტეტისა წევრად გაქციათ და შეუტიევეთ „ძველს თავებს".

— კომიტეტსა შინა ვმყოფობ არაოდენ ძველის თავების შეტევისათვის. ვარჩევ დასაბეჭდს ნაწერებს, მოვიპოვებ მკითხველებსა, მოვიწვევ ავტორთა, ვსთარგმნი რუსულის ჟურნალებისა და გაზეთებისაგან კარგსა თხზულებათა.

— განისმა ხმა, რომელ ღუბერნატორი, სენკოვსკისა მაგიერად, გნიშნაეთ თქვენ რედაქტორად „უწყებათა".

— ესეც გადაბრუნებულად მოუტანიათ. სენკოვსკი არის საერთო რედაქტორი, ხოლო მსთხოვა მე მთავრმართებელმან, ვიყო სელმძღვანელად ქართულისა ნაწილისა.

მთავარმართებლის ხსენებაზე, ეფრემას ტანში გააჟრჟოლა. მუშტისოდენა გახდა.

— გასაგები გახლამსთ, სოლომონ ივანიჩ, გასაგები! ფრიად კეთილი გახლამსთ. ხალხის ლაყაფს რა დაეჯერება!

— როგორც უწყით, ამ ივნისს, ორი კვირა სნებამ შემიპყრო და ამ ორი კვირის „უწყებანიც“ გამოუცემლად დამრჩა. ახლოს ნომერში იქნება დასტამბული კრიტიკა „რაიმე რუსთველისათვის“ და მერმე მრავალნი ქართული თხზულებანი.

„შენი სიკვდილი იქნეს!“ — გაიფიქრა ეფრემმ. ხმამაღლა კი თქვა:

— ხართ ყმაწვილი კაცი ბევრსა საქმესა შინა გარკვეული კეთილისათვის მამულისა.

— გვაწევს ვალი ყოველთა ქართველთა, განვამრავლოთ ხელმომწერნი გაზეთისა, რათა არა დაიხუროს და არ დავრჩეთ უგაზეთოდ.

— დაგიწერიათ თქვენ, უფალო, გაზეთსა შინა: „მოატანა სატახტოსა ქალაქსა შინა საქართველოსასა“ — სადღა არს ტახტი საქართველოისა, რომე დავსწერდეთ ეგრე?

— არს სიტყვა და მეცადინეობა ყოვლის ძალითა განვითარებისა მამულისა.

— არა ყოველთა აქვთ იმედი, რომ გამოვიდეს რამე.

— წიგნი, გაზეთი, სტამბა მოჰფენს ქვეყანასა ნათელსა მეცნიერებისასა. განაღვიძებს ხალხს, განამხნევებს მამულიშვილობასა. მსურს მოვიწვიო მოსკოვიდან გიორგი პაიჭაძე, მცოდნე ტიპოღრაფიისა. დაებეჭდავთ ჟურნალთა, წიგნთა, გაზეთთა. თანახმა ბრძანდება მთავარმართებელი, გამოვსცე ფრანგულად „Journal Asiatique“.

„ერიჰა! სიპიაღინსაც აღარ სჯერდება, მთავარმართებელი და მთავარმართებელი!“

— დაგვრჩენ კიდევ კაცნი მაღლისა გვარისანნი, ჭკუისაკითხველნი, ნამსახურნი ძველთა და ახალთა ხელმწიფეთა.

— პოლიტიკაში მეტად საწყალნი! — შეაწყვეტინა დოდაშვილმა, როცა სამასწავლებლოს მიუახლოვდნენ და შეჩერდა. — არა გვარითა იქნების კაცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა. ღვინო და ტოლუმბაშობა, სხვა არა რაი იხილების მათი საქადელი, არცა მოქმედება გონებითი და არცა ხელოვნებითი. გლეხისათვის წელიწადში ერთხელ მოდის მოსავალი, ხოლო მათთვის თორმეტგზის და ყოველს კვირასა შინაც. კმარა, დრო არს, ყოველნი საქმეს შევუდგეთ!

— ჰეშმარიტად ღირს ხართ თქვენის ბრძენის წინაპრის სახე-

ლისა, სოლომონ ივანიჩ! გინახნიათ და გამოგიცდიათ მრავალი და შეგიძენიათ ცოდნა!

— ის, რაც გამოცდილებით ვიცით, ემპირული ცოდნაა. გწამდეს, ეს ნიშნავს, მივიჩნევდე რაიმეს ჭეშმარიტებად მხოლოდ ჩვენთვის საკმაო მიზეზებით და არა სხვებისთვის სავალდებულოდ. შემეცნება ჩვენი განიერცობა მხოლოდ ცდისეულთა საგანთა ზედან, ხოლო რაიცა ჩვენს გრძნობასა და ცოდნას არ ექვემდებარების, შეგვიძლია მხოლოდ ვიმსჯელოთ, მაგრამ სრული შეცნობა მათი შეუძლებელ არს. თვით ცდისეულ საგანთა და მოვლენათა შემეცნებაც ფრიად დამოკიდებულ არს ჩვენს სუბიექტურ თვისებებზედ.

— ფრიად ძნელი გახლამსთ გაგება ყოვლისა ამის ჩვენთა უმეცართა და ბნელთა გონებისათვის, სოლომონ ივანიჩ! რამეთუ არა ვიცით რა, თვინიერ სიყვარულისა ღვთისა, მორჩილებისა ხელმწიფისა და პატივისცემისა ურთიერთისა.

— თავისის ბიოლოგიურისა და გონებრივის განვითარების დღევანდელს საფეხურზედ ადამიანი ყველაზე უბედურია მთელს თავის ისტორიასა შინა, რათგან ჩვენს წინაპრებზედ უაღრესად განვითარებულ გვაქვს ზნეობრივი და გონებრივი მოთხოვნილებანი, უაღრესად განვარჩევთ ავსა და კარგს, კეთილსა და ბოროტს. უაღრესად განვიცდით სულისა ტანჯვასა და სინდისისა ქენჯნასა და არ შეგვწევს ღონე, დავსძლიოთ ყოველი ესე, განვახორციელოთ სურვილნი და მიზანნი ჩვენნი და ვიტანჯებით ესევითარის ჩვენის უძლურების შეგრძნებითა. წარმოგვიჩნდების მშობელი ჩვენი დედამიწა უაზრობად და გაუგებრობად.

— უი, უი, უი! ჩემს დუხჭირს თავს სად შეუძლიან ესევითართა ფილოსოფიურთა მონელება! — ხმას აუმაღლა ეფრემამ, რადგან სოლომონს დიდთა სნეულებათა გამო, სმენა დაკლებოდა, ყვირილით ელაპარაკებოდნენ, თვითონაც მაღალის ხმით ლაპარაკობდა და ზურგს უკან „ყრუჩუნას“ ეძახდნენ.

ეფრემას სიტყვებში დოდაშვილმა უსიამოვნო კილო დაიჭირა და უადგილო მჭევრმეტყველებისათვის თავისთავი კიდევ ერთხელ გაჰკიცხა.

„რათ ვიხეთქავ გულსა და ვის ვუქადაგებ ამ მაღალს აზრებსა?! განა, ვერა ვხედავ, რომ ამათ თანა დუმილი უმჯობეს არს? მაგრამ რა ეჰყო, რომ სიჩუმე მკლავს და დადუმება გამჭირვებია?“

„ნეტავ, ეხლა ამისი აზრი რაზედ მუშაობს? — დამცინავად ფიქრობდა ეფრემა. — უთუოდ, ჩემთან მასლაათი მოჰბეზრებია და გაქცევა განუზრახავს!“

— კეთილო და სასიქადულო სოლომონ ივანიჩ! ეს ქართული ენა და გრამატიკა აწინდელს დროში რიღასთვის უნდა დაგვჭირდეს, რომ ამდენს დროს ახმართ და ანბანის დასხმაც განგიზრახავთ?

დოდაშვილს სახეზე ხანძარი მოედო. ეფრემას ხელი ჩააელო და ფანჯარასთან მიიყვანა.

— უმეტესად ვიტყვი, არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ეჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ბნელი ივერიისა სინათლედ შეგვეცვალოს. ცოტა თიცაა, შევუმსუბუქოდ გაჭირვება მამულსა ჩვენსა.

სურვილი სასარგებლო ვექმნე ჩემს თანამემამულეთ, მუდამჟამს იქნების უწმინდესი მოვალეობა და მახალისებელი შეძლებისდაგვარის შრომისა ჩემისა.

— ხომ არ იქნება ყოველი ესე ფუჭი და ამაოდ დაშვრომა?

— აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა ქვეყნისა ყოველმან ერმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა და ჯერ არს, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცმოყვარენი, სარწმუნონი, ერთგული თანამეშრომენი.

ამა იმედმან და ვალმან განმაღვიძა სიყვარულსა ზედა მამულისა. მითხრა მეგობარმან ჩემმან სენკოვსკიმ, ქართველების გონებრივ ნიჭიერებასა დიდი განათლება მოელისო. დასწერა წელს ასევე პუშკინმან. არა მარტო როსიელთა სასწაულებელთა შინა, გარნა საცვიფრო იქმნებისა, — ვიტყვი მე, — რომელ განჰკვირდებოდნენ ოდესმე ქართველთა ზედაცა, ვინათგან გონება კაცისა არა დასცხრების ზეაღწევნად, ოდესცა ჰპოვებს იგი ყოველსავე კეთილსაამოდ თავისა თვისისათვის. მწრამს, ოდესმე ყოველმან ჰსცნოს დიდება ჩვენი. ევროპაც ბევრს ძვირფას რასმე ჰპოვებს ჩვენში, ბევრს ბრწყინვალეს ნათლისმომფენს სხივებს, ჩვენს ძველსა და ახალს ცხოვრებაში. ბევრი მსოფლიო პირი აღმოსჩნდება საქართველოს ისტორიაში. ჩასწვდებიან და შეიყვარებენ მის დიდს წარსულს და მომავალს. ამიტომ შემიდგენია ქართული ანბანი, ქართული გრამატიკა, ქართულ-რუსული „რაზღოვორი“, რომელთაცა, და მრავალ-

თა სხვათაცა, დავჰბეჭდავთ და შევიტანთ სასწავლებელთა შინა.

— მაინც ვეუბნობ, კეთილი რამ გამოვიდეს ამისგან.

— არა ვუწყი, რისთვის ინებებთ ესევითართა ეკუთა. — გაშმაგდა სოლომონი. — ნაპერწკლიანის მკლავითა განუგრილე მამულსა დროისგან შემჭკნარი ფესვები. იღვაწე ყოველთა გულითა შენითა და ყოველთა სულითა შენითა და, ყოველთა გონებითა შენითა და ყოველთა ძალითა შენითა. შთააგონე მოწაფეთა შენთა სამშობლოს სიყვარული, რათა სული მათი გარდაიტვიფროს საზრდოდ სარგებლობისათვის მამულისა. და შემძლებელ იყოს განწირვად თავისა თვისისა მისის გადარჩენისათვის.

— არა ყველა ასე ფიქრობს და ძვირად უღირთ ჟამი და წუთი ყოველი.

— ვიცი, ბევრთა მემამულეთა ჩვენთა ჰვრეტანი მარადის მიმართული არიან საკუთარს კუჭისადმი და არარაი ვიხილე გამოზრდისათვის მშიერისა და მწყურვალისა. მამულიშვილი ორითა კეთილითა საქმითა შემძლებელ არს ემსახუროს ქვეყანასა და თანამოძმეთა თვისთა. ჯერ სწორისა და მართლის აზრების განვრცელებითა და შემდგომ, ცრუ და ბოროტი აზრების დაფუშვითა.

— რა ღონისძიებითა ძალუძს ქვეყანასა ჩვენსა ყოველი ესე?

— ერთობა და სიმტკიცე გვყოფს ბედნიერს. მირონი განათლებისა ჩამორეცხავს სისხლსა და შურსა. მშვიდობიანობა გამოაბრწყინებს შუქსა მზისასა და განათლებისა, რომლისგანაც მამული ჩვენი მოელის ხსნასა.

გუშინწინ გახლდით დაბარებული მთავრმართებელს ღრაფ ერიევანსკისთან. (ამ სიტყვაზე, ეფრემა ერთბაშად წელში გასწორდა და მოსაწყლებული სახით დაუწყო ყურება). ღრაფი დიდხანს მესაუბრა და ჩვენ მივიღეთ გეგმა, რომელ თბილისის საკეთილშობილო სასწავლებელი გადაიქცეს ღიმნაზიად, დაეწყოს სხვათა კანონთა ზედან და ჰყოფს კიდევ მრავალს ცვლილებას. ჰსურს ეგრეთვე, გახსნას უეზდებში სასწავლებლები და დაუწესოს თვისი წესნი. მე მადლობით მოვახსენე ესრეთ: „დიდ ფრიად საჭიროდ არს ესრეთ საფუძველი სიბრძნისა მხარესა ამას შინა!“ მან მსთხოვა, როცა დრო მექნება, მთავრობისა დავალებითა, წავიდე მაზრებში ამა საქმეთა მოგვარებისათვის.

„ერიჰა! — ამოიოხრა გულში ეფრემამ. — ხედავთ, ეგ ვინა ყო-

ფილა?! სულ მთავარმართებელი და მთავარმართებელი! აი, თურ-
ბე, რატომ ყოფილა ასეთ დიდ გულზე! ფრთხილად, ეფრემ, ფე-
ხი არ დაგიცდეს, თორემ, მიჭაიჩი ველარ გიშველის!“

— ყოველსა სწორედ და მართლად და ჩვენდა კეთილად უბ-
ნობთ, სოლომონ ივანიჩ!

— მოწაფეთა ჩვენთა ჯერეთ არა აქვთ სული აღძრული და
განლვიძებული მისწვდნენ ჭეშმარიტსა კეთილსა და საამო აღმკო-
ბილობასა. არა აქვთ მიდრეკილობა განათლებისადმი ზრახვისა, ცნო-
ბისადმი ნებისა და განვითარებისადმი გულისა. ჩვენ მათ ვსცემთ
სახაზავითა და როზგითა. ვაზეპირებინებთ შეუსმენელად აზრთა.
ღეოღრაფიის მასწავლებელი გამოცდებამდე ორის კვირით ადრე
წინასწარ ურიგებს კითხვათა. „შენ შვეციას ისწავლი!“, „შენ პორ-
ტუგალიას!“, „შემიცვალეთ! ჰოლანდია მომეცით, მასწ!“, „კარგი,
ჰოლანდია იყოს!“, „შენ პრუსია გირჩევნია?“ მანასეინის, დემენ-
ტიევის, არღუთინსკი-დოლგორუკოვისთანა ოსტატები რომ გვყავდ-
ნენ, უფრო შორს წავიდოდით.

— არაოდენ სასწავლებლითა და ოსტატობით აღიზრდებიან
ყმაწვილნი. აქვსთ ოჯახნი, ჰყავსთ მშობელნი, წარიკითხვენ წიგნ-
თა და მოისმენენ მრავალთა ამბავთა.

— შესაბრალნი არიან ნორჩნი არსებანი ჩვენს იმედად. მათს
ღიჭილში, ტიტინში, უმანკობასა და ბუნებითს ქცევაში ფრიად
შორეული მომავლის ადამიანი ჩანს. ისინი თავისთავში დაბადებით
ატარებენ იმ თვისებათა, რომელნიცა უნდა ჰქონდეს ასი მილიონი
წლის შემდეგ ადამიანთა. მაშასადამე, ჩვენ, თავიანთს მშობლებსა
და ოსტატებს მილიონი წლებით წინ გვისწრებენ. ჩვენზე მილიონი
წლებით უკეთესნი არიან. დაუკვირდით მათ და ამ სიტყვათა ჭეშ-
მარიტებას იგრძნობთ ყოველს წამს, ყოველის ჩვილის ფიზიკურ,
სულიერ, გონერ და ზნეობრივ მშვენიერებაში. ერთს-ორს წლამ-
დე რაღაც შესაფერისი საზრდო კიდევ შეგვიძლია მივაწოდოთ,
მერმე კი, ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ სულით, ზნით,
გონებით ჩვენს დონეზე ჩამოვაქვეითოთ. ამას ვეძახით აღზრდას.

— სოლომონ ივანიჩ, ნუთუ, ჩვენ ვმუშაკობთ განსაღვიძებლად
ცუდთა გრძნობათა?

— აღზრდა ადამიანს სხვა ადამიანად აქცევს, შესცვლის ყოვ-
ლადობასა კაცისასა. მეშონის ქანდაკებასავით, მზის სხივი ხმას

ამოადგმევინებს. ამისთვის უნდა იყოს მასწავლებელი ზეღმიწევნითი ზნეობითა, ცოდნითა, წინააღმდეგს შემთხვევაში, შეუძლია დაღუპოს, დაამახინჯოს ადამიანში ყოველი კეთილი, მოცემული ბუნებით. ასეთს ვითარებაში სწავლას უსწავლელობა სჯობს.

ჩემს თავს ნებას ვაძლევ ესევითარის გაკადნიერებისა, რადგან მასწავლებლობა ჩემთვის არს ჩემთვის საღვთო და სახალისო, რომლითაცა ვრაცხ ჩემს თავს უბედნიერესად. უკეთესის იმედი არ დაგვლეოდეს.

— აგაშენა ღმერთმა!

— მომიტევე, მამაო ეფრემ, მიგვიანდება კლასში.

როცა სოლომონი კლასში შევიდა, ეფრემა მასწავლებელთა იმ ჯგუფს შეუერთდა, რომლებიც გაკვეთილისგან თავისუფალნი იყვნენ.

— ეს-არის, უფალ დოდაევს ველაპარაკე და დიდად ბედნიერი გახლავართ. აგეთი ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა ღვთის წყალობაა ჩვენის სასწავლებლისათვის. მოსწავლენი გაკვეთილებს უქებენ, მშობელნი აღტაცებულნი არიან. ყოველგნით ამას უბნობენ, რომ კავკასიაში დღეს მისგვარი არვინ იპოვების.

— კმარა გუნდრუკის კმევა! — შეაწყვეტინა ერმოლოზამ. — მაგას ისე მოუვა, ბაყაყმა რომ მოისურვა, ხარისოდენა გამხდარიყო, გაიბერა, გაიბერა და გასკდა.

— განა მე განვადიდებ, ხალხს უთქვამს, ცის მანანად მოგვევლინაო. გაზეთის კომიტეტის წევრი გინდა, ის არის, გუბერნატორის შვილების მასწავლებელი — ის არის, მთავარმართებლის მრჩეველი გინდა, ისევ ის არის. ამ წელს სამჯერაც ჰყოლია ღრაფს დაბარებული.

— მეტიჩრობა გასდის! — წამოიყვირა ეგნატემ. — თორემ, საესე არს არაწმინდებითა!

— ნუ გგონიათ, მე ვგიჟდებოდე მისთვის, მაგრამ კამათში ვერ მოვერიეთ. რუსულში, ფრანციცულში, ლათინურში, ნემენცურში ვერ ვსძლიეთ. თუ რამ სათარგმნელი იყო, სულ მაგას მიაშავეს. თქვენ რაღას იტყვით, ზენონ ევგრაფიევიჩ! — მიაჩერდა ეფრემა გეოგრაფიის მასწავლებელს იაბლონსკის. — გამოცდების კითხვები რომ წინასწარ დაგირიგებიათ შეგირდებისთვის, ამასაც ფრიად განურისხებია უფალი ფილოსოფოსი.

— ჰმ! მოჰკვდით შურით, დოდაევი წარმოგვიდგენს აქაურს ფრანტსა და ბონ ტონს!

— ნურც ასე დაამცირებთ! — გულისტკენით თქვა ელპიდიფორ მანასეინმა. — დოდაევი ერთადერთი ახალი კაცია თბილისში. ახალი კაცი! — განმეორებით და ხაზგასმით წარმოთქვა ეს ორი სიტყვა.

— ჩვენ თვითონ ექმნით ამ თავქარიან, უმწიფარ გენიოსებს! — აღელვებისგან ენა დაება სროსტინსკის.

— მელანქოლიური ხასიათი და გაბოროტებული ბუნება, მეტს ვერას ვხედავ! — კვერი დაუკრა იაბლონსკიმ.

— ასე რომ იყოს, მაშინ ღრაფი და ღუბერნატორი არ დაიმეგობრებდნენ. ყოველს თვეში ერთი კვირა, მთავარმართებლის ბრძანებითა, ქართლს-კახეთში გახლამსთ მივლინებული სკოლის საქმეებზედ. ამ ზაფხულს მთიულეთს ბრძანდებოდა იქაურის ზნეჩვეულებათა აღსაწერად.

ეფრემამ იცოდა, რომ პირდაპირი ძაგებითა და ლანძღვით იმდენ ზიანს ვერ მოუტანდა და იმდენ მტერს ვერ შესძენდა სოლომონს, როგორც ასეთი, ვითომდა, ქებით. თან, ეს ქების ამბავი სოლომონამდე მიაღწევდა და აფიქრებინებდა, რომ ეფრემა მისი ერთგული მეგობარი იყო, რის გამოც მომავალში კიდევ უფრო გადაუხსნიდა გულს.

ეფრემა, საერთოდ, პირდაპირ არც აქებდა და არც აგინებდა კაცს. ვისიც ქება გულით ეწადა, იმას აგინებდა, მაგრამ იმ გინებაში ისეთს გამოანგარიშებულს სიტყვებს გაურევდა, რომ ყველას ქებაზედ უმჯობესი იყო. იმ წამს წინააღმდეგს ეტყოდნენ, ანუ, მის მიერ ძაგებულს ჯიბრით ქებას დაუწყებდნენ. ისიც აიყოლიებდა, აიყოლიებდა მათ, თან, ნელ-ნელა, ტაქტიკურად, უკან-უკან იხევდა და დამსწრეთ კმაყოფილებით აფიქრებინებდა, ჩემს აზრზე გადმოვიყვანეო. შემდეგ, ამას სხვაგანაც იმეორებდნენ და მასაც ეს უნდოდა.

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ფილოსოფოსი ენით ნაკვერცხალს იღებს და თავში კი არა უყრია რა! — გამოსცრა ეგნატემ.

— აბა ერთი, ამას მოუსმინეთ! — გადაფურცლა დანიშნულ ადგილზე სოლომონის „ლოგიკა“ შიპულინმა.—„რაიცა ჩვენს გრძნობასა და ცდას არ ექვემდებარების, მისი შეცნობა შეუძლებელ არს... გრძნობაში არაფერია ისეთი, რაიც არ არს ნივთიერ ბუნებაში“.

— ხა, ხა, ხა! — ატყდა სიცილ-ხარხარი. ზოგმა ცხვირსახოცი

ამოიღო მხიარული ცრემლის მოსაწმენდად. ზოგი ისე გადაფიჩინდა, მუცელს ხელით იჭერდა.

— „გრძნობასა და ცდას!“ ხი, ხი, ხი!

— „შეუცნობელ არს!“

— უუუ!

— პლატონიუსიც გაუხუნებია!

— სიღნაღის არისტოტელედ მოვლინებულა!

— ხა, ხა, ხა!

— ეს რა ოხუნჯი ყმაწვილი გამოუგზავნიათ! „რაიცა არ იპოვების ნივთიერ ბუნებაში!“

— შენ, ეფრემ, მაგის ქადაგებებს ყური მოარიდე, სასმენელი არ ჩაგწოს!

— ეს გადარეული ბევრის ოჯახის შვილებს გადარევს! — თქვა ერმოლოზამ.

— დიდი ბუზი კი ჰგონია თავის თავი! — შეაწია ეგნატემ.

— ენამრავალი და შხამის გუდა! სიტყვას ვერ შებედავ, რამე საჯინჯლო რო არ გიპოვოს.

— ნუ დაუყრი მარგალიტთა ღორთა! — აღშფოთებით ხელი ჩაიქნია მანასეინმა და დემენტიევს მკლავი გამოსდო.

— მიმტკიცებდა ამას წინათ თუ, მისმა საცოლემ რიტორიკა ჩემზე უკეთ იცის!

— ხა, ხა, ხა!

ამ მხიარულებაში დაირეკა ზარი. გამოჩნდა დოდაშვილი. დაუწყეს ერთმანეთს გასუსული სახეებით გაფრთხილება.

— მოდი, აქ დაისვენე, ნიავი არ მოგხვდეს, სოლომონ ივანიჩ!— მიეგება ეფრემა და მლიქვნელურად მხრებში მოიხარა.

დოდაშვილს ზამთარ-ზაფხულ ეშინოდა გაციებისა და ყველგან მყუდრო კუთხეს ეძებდა.

— ვერ იქნა ერთი ტკბილად ვერ მოვილაპარაკეთ შენს ქორწილზედ. მეზობელი ხომ იყავ და იყავ, ხვალ-ზეგ სიძეც უნდა გახდე.

— გისმენთ, მამაო სულისა ჩემისაო! — გულწრფელად უპასუხა სოლომონმა, რომელსაც ამ სიტყვებმა მონატრებული საცოლე გაახსენა.

ანა და ელენე ეფრემას სულიერი შვილები იყვნენ, დიდად ენ-

დობოდნენ მას და სოლომონიც ერიდებოდა, თუმცა, ბევრი რამ არ მოსწონდა ამ კაცისა.

— ერთი კი ჯვარი გადაგწეროთ და მერმე სულ თქვენთან ვიქნები.

სოლომონს უსიამო გრძნობა მოჰგვარა ამ სიტყვებმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— სოლომონ ივანიჩ, ვიღაც უღმერთოს კომიტეტსა შინა ჩემი ლექსები უარსუყვია.

— მომიტევეთ, მამაო, თქვენი ლექსები მე თავად უარს ვყავ! დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა.

— მერმე ეს სადაურია?! პანტასა და მსხალს ერთ გოდორში რათა ჰყრით?! მე ერთი დიდი კიდობანი ლექსით სავსე მაქვს, მოგიტანთ და წაიკითხეთ, თუ ძრიელ არ მოგეწონოსთ!

— მერწმუნეთ, არა მაქვს არც ერთი წამი თავისუფლებით, არცა ღამე და არცა დღე მოსვენება.

— შენზე იცინიან, ნეტავ, ამდენს რას ჰკითხულობს და რასა სწერსო. შენს ოთახში მთელ ღამეობით სანთელი არ ჩაქრება. გამიგონია, თუ ღრაფომანია არს ესოდენი წერა, და გიწოდენ ღრაფომანად.

სოლომონმა თავისი თბილი, ირონიული ღიმილით შეხედა და შეამჩნია, რომ ჩვეულებრივ თავშეკავებული ეფრემა ახლა სიბრაზისაგან კანკალებდა.

— არ არს თქვენს ლექსებში ცხოვრება და საჭიროება საქმისა! მაინც მოურიდებლად წარმოთქვა მან.

„აი, მეხი და დარდუბალა შენა!“ — გულში გაიცლო ეფრემამ. რომელსაც ქვეყანაზე არაფერი ისე არ აბოროტებდა, როგორც თავისი ლექსების დაუფასებლობა. სულ უბრალო შენიშვნასაც საშინელ შეურაცხყოფად განიცდიდა.

— დღეს არშიყული ლექსებია მოდაში და მეც იმიტომ ვწერ, რომ ყოვლისა უფრო იქების.. თელონიკური თხზვაც კარგად მეხერხება და თელემაკის ამბავსაც ხელახლა ვლექსავ.

— ესე გვარსა თხზულებასა შეხამს, რათა ვუჩვენოთ, რაი იმ-ყოფების შემთხვეეითი და რაი არსებითი.

— ეს არს გრაცია და პროტოგენი ჩემი.

— პოეზია ცდილობს განამშვენიეროს ყოველი, აღმოაჩინოს

ნიშანი სიცოცხლისა, განამდიდროს სული ჩვენი, განგვაცდევინოს და დაგვანახოს ძალნი ქვეყნიურისა და ზეციურისა.

— ვუწყი, სოლომონ ივანიჩ, ამდენი იმისთვის გვისწავლია, რომ სხვისი არა დავინახოთ რა.

— სხვა მხრითაც შეიძლება სამსახური ქვეყნისა. ჩასწერეთ ხალხის ნათქვამი ლექსები და ამბები, რომელნიც იკარგებიან. აღნუსხეთ ყოველი ისტორიულნი ცნობანი და მოგონებანი. გვყავს აქ სასწავლებელში მომავალნი ნიჭიერნი მგოსანნი. მივანებოთ მათ ლექსის წერა, მივსცეთ მხარი და ასპარეზი!

— რა მალე იცი გაჯავრება! შესვეს „ლოღიკაცა“ შენი უკუდო ვირზედ, მაგრამ გამოვიდე თავი შენთვის.

— როგორც გენებოსთ!

— იქნება, რამე გაწყენინე, დათვი ტყეზე გაბუტულიყო, ტყემ კი არა იცოდა რა!

— არა, მამაო, არაფერი გიწყენინებიათ. მხოლოდ ჩემი ბრალია, რომ ყოველ ნაჯღაბს ვერა ვკითხულობ.

— ჩვენც ვუწოდთ ღორობად ამდენს თხზვასა წიგნთა!

სოლომონმა ისევ იმ ირონიული ღიმილით ამოჰხედა. მას ნერვებს უშლიდა მომაბეზრებელი კილო, საკუთარი ნაწერისათვის ამგვარი თავგამოდება, მაგრამ მტკიცედ სწამდა, რომ დათმობა არ შეიძლებოდა.

„ვერ გამიგია, საიდან აქვთ ესევითართა კაცთა პოეტის, მეცნიერის, მწიგნობრის სახელი. მუდამ ისეთს საგნებს რათ ეჭიდებიან, რომლისაცა არა გაეგებათ რა. ნუთუ ვირწმუნო, რომ ღირსება და ნაკლი, ნიჭი და უნიჭობა, ცოდნა და უმეცრება ერთია?... მაშ, რათ ხდება, რომ უბრალო შენიშვნისათვის, რომელიც გულწრფელად გჯერა, შეუძლიათ, ხმალზე წამოგაგონ? ნუთუ თვალი უნდა დავიმსო! გული დავიხშო!.. ჩემი შეხედულებები პირად საკუთრებად ჩავთვალო და გულში ჩავიმარხო?!“

10

ძმა დააბრუნა. გომოზოვი გადაკარგა. მელნიკოვი სამართალში მიაცემინა. პაუშენკო გააგდებინა. თეკლა ბატონიშვილისას საგუშა-

გო მოაწყვეს. მთავარმმართებლის მეუღლემ საჩუქრები მიირთო. თვითონ სულიერით უხილველად დარჩა. ვლადიმირის მეორე ხარისხი და წმ. ანას მესამე ხარისხი უბოძეს.

ყველაფერი, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ნატრობდა და ცდილობდა, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მეტ მოუსვენრობას გრძნობდა.

„ჩემს მამულსა და ხალხს რა ვარგე? განა, ერთი ბეწო მაინც შეეუმსუბუქე გაჭირვება? ისევ ის ქურდობა, გლეჯა, ძარცვა, სახელმწიფო ქონების მითვისება. არსად წესრიგი! მოხელენი ქურდობას არ იშლიან. სოფელი დაიმშა. გლეხებს ტყავს აძრობენ. ქალაქში სურსათი გაწყდა. მეღვინეობაზე, მეაბრეშუმეობაზე, სამღებრო, სააფთიაქო საქმეზე არაფერს ზრუნავს!

მზად მაქვს და ვერ მომიხერხებია, ჩემი სამეურნეო და კომერციული წესდება, რომელიც საქართველოს ააყვავებს, მთავარმმართებელს წარვუდგინო. გზაში ისევ გადამთიელი მიდგას. თუ მას არ ვუჭვენე და შევუთანხმე, უფლება არ მაქვს, ღრაფს მოვახსენო. ზავილეისკი მე რას გამიშვებს, როცა თავისი გეგმის დამტკიცება სწადს და ყველგან საკუთარ ხეირს დაეძებს. უბრძანებია, როცა პენციაში გავალ, თბილისში დავსახლდები, მემამულე გავხდები, ჭართველებს მამულის მოვლას ვასწავლიო!

ეს ცოდვით სავსე დიდს საქმეებს შეებმის?! თუ ისე იქნა, როგორც ღრაფინიას უბრძანებია, საქართველოში რევიზიისთვის სენატორნი მოდიანო, მაშინ მე მათ წინ დაეულაგებ მაგის ჭუჭყიან დამსახურებებს.

დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰკბენენ. უთქვამთ, გრაფნი კუტაისოვი და მეჩნიკოვი ჩამოვლენ რეფორმის მოსამზადებლადო.

მთავარმართებელმა ზავილეისკის უბრძანა ერმოლოვის ბოროტებათა გამოკვლევა. მან მექრთამეებს, ხაზინის ვირთხებს თბილი სადანი წააფარა, ხელმწიფის კეთილმსახურნი კი გარეკა და სამართალში მისცა.

მე არ გამოვჩნდები. პატიოსანნი, უკანონოდ დასჯილნი მოხელენი: მელნიკოვი, პაუშენკო, სილანტიევი, ევსტაფეევი და მრავალნი თვითონ უჩივლებენ და ამხილებენ ძვირფას გუბერნატორს. დაამტკიცებენ, რომ ამის ხელში ყოველ ხეს ხუთი ავაზაკი ეფარება.

გულდამწვართ ორბელიანთ სულ მხარში დაუდგებიან. მთელმა ქართველობამ ითაკილა ბატონიშვილის შეურაცხება.

ჭკუა რომ ჰქონდეს, თეკლასას ფათერს მოაწყობდა? ისიც ძალადობით. მეფე ერეკლეს ქალია და სამი შვილი ხელმწიფის ოფიცრად ჰყავს. იმ დღიდან ბატონიშვილი ლოგინიდან აღარ წამომდგარა.

ერისთავნიც ოსეთის წართმევას აბრალებენ, მელნიკოვიც იმათი სიძეა და ერთად დაეხვევიან!“

ამ ფიქრებმა მიქაიჩი დაამშვიდა. ასეთ დროს მუდამ რაღაც საამურ ოცნებას ეძლეოდა, რომლის ტალღებში ნათიმზე ორბელიანის მიბნედილი სახე ლივლივებდა.

დრო იყო, მიქაიჩს უჭირდა ამ მიუწვდომელ ბედნიერებაზე ოცნება. ცდილობდა, თავიდან ამოეგდო საქართველოს ერთი ყველაზე დიდგვაროვანი ოჯახის ასულზე მაცდური დარდი. მაშინვე რახაელ ციციშვილის, მართა სოლოღაშვილის, ეკა ბარათაშვილის აჩრდილებს გამოუხმობდა, თითქოს სულერთი ყოფილიყო, რომელი მათგანი იქნებოდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც „ჰერალდის დეპარტამენტის“ საქმის ძიებას სულ უფრო ახლოს მიჰყავდა ნათიმზეს სახელოვანი მამის — ლუარსაბ ორბელიანის ოჯახთან, სითამამე ემატებოდა და ოცნების საგანი არც ისე მიუწვდომლად ეჩვენებოდა.

ამას წინათ, მთავარმართებლის ბაღში, აუზთან დაინახა და თვალთ დაუბნელდა.

იქიდან მოკიდებული ყველაფერი განზე გადადო და „ჰერალდის დეპარტამენტის“ საქმეს ჩაუჯდა. შეადგინა იმ თავად-აზნაურთა სრული სია, რომლებსაც ეს წოდება დაუმტკიცეს, იმათიც, ვინც დამტკიცებას ელოდა ან არ ამტკიცებდნენ. შეასახელა თავისი კაცები, გაესინჯათ სათანადო სიგელ-გუჯრები, დაახლოებოდნენ ეჭვმიტანილ ოჯახებს და სულში ჩასძვრომოდნენ ყველას.

მიქაიჩს არასდიდებით არ სურდა ამ საქმესთან დაეკავშირებინა, მაგრამ ყოველთვის, როცა ნათიმზე ორბელიანზე ოცნებობდა ან „ჰერალდის დეპარტამენტის“ საქმეს იძიებდა, უნებლიეთ თვალწინ დაუდგებოდა სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვული მეუღლე.

არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ ძმის მიმართაც უფრო გულგრილი ხდებოდა. ხან რა ფიქრი გაურბენდა თავში და ხან რა.

„ახლა მე ვიცი, რასაცა ვიქ!“, „სულ წავიდა ხელიდან!“ „მაშის სულის შეჩვენება იქნება, რომ მეშკვიდრეობა მაგას შეხვდეს!“ „ქონების ღირსი ყველა როდია, ამას დამსახურება უნდა!“, „მილიონებს რომ მისცე, თავის კახპას, ზალიკო ყორღანოვს და ჰავლაბრის ბუნაპარტეს შეაჭმევს!“, „რაც თბილისში კინტო და აშუღია, მაგის ძმაკაცები არიან!“

ერთგულებსაც ცოტა სხვა სიფრთხილით და დაკვირვებით აძლევდა დავალებებს.

— ეფრემ, ეგ როგორაა, ერთმა ახალგამოჭყლეტილმა ფილოსოფოსმა რომ ამდენ ბრძენს გაჯობათ?

— ხომ იცით, ვინ ჰყავს მშველელად!

— თუ გააბამთ, ვერავინ უშველის!

— მისი პირით კარგი სიტყვა არ ამოვა. კომიტეტი მე ჩამაბარესო. „ძველი თავები“ უნდა მოვხერხოთ, ახალი სკოლა უნდა დავაარსოთო.

— მერმე, რას უდგეხარ, დაწერე ყოველივე ესე მთავრობისთვის საიდუმლოდ.

— სიტყვას ვინ მოუგებს!

— ეს რისთვის გინდა! ალაპარაკე, სულში ჩაუძვერი და ჩაიწერე!

— ახლა ჩემი სიძე რომ უნდა გახდეს, შინაც ვივლი.

— დაარიგე ეგნატე, ერმოლოზა, სხვანიცა, იძახონ: „თქვენ იცით, ვინაა სოლომონ დოდაშვილი?“, თუ იკითხავენ, ვინააო, უთხრან: „მალე გაიგებთ-თქო“ უჩურჩულეთ ყველას, რომ ხელმწიფის მოღალატეა.

ახალგაზრდა კაცია, ამხანაგ-მეგობარი სწყურია. არ დატოვოთ არავინ! არცერთი ამხანაგი! დამლაპარაკებელიც არ ჰყავდეს. მოუგონეთ სხვანი და სხვანი. კარგია, ვინმემ სკოლის წინ ხელიც შემოჰკრას!

11

— სულო ჩემო, ელენა ფეოდორისავ! — მიალერსებით ეუბნებოდა სოლომონი ორი კვირის წინ ჯვარდაწერილ მეუღლეს. — მე თორმეტს საათამდის უნდა მოვრჩე ღუბერნატორისგან დავალე-

ბულს სათარგმნელსა, ჩვენს ნინველებთან მეცადინეობა დღეს შენ მოგიხდება.

— კარგია! — ტაში შემოჰკრა ბავშვური გამომეტყველების ყმაწვილმა ქალმა, რომელიც სიტყვებს რუსულად უკიდებდა.

— გრიგოლს, ანიკოს და ვანოს ასამდე მიმატება-გამოკლებას გაამეორებინებ და ათამდე გამრავლებას აუხსნი. პატარებს „ენი" ასწავლე და რუსული დათვლა გააკვეთინე.

— სულ ესა?

— ჯერჯერობით, ჰო! ისე სხვა დროსაც ბევრჯერ მოგიწევს წამოშველება. შენ ჩემს კეთილ თანაშემწედ ხარ მოვლენილი! სკოლა, კომიტეტი, ღუბერნატორის შვილები, გაზეთი, სათარგმნი, რომანი, გრამატიკის დასრულება... არ ვიცი, როგორ აუვალ ამდენს!

— შინ დედა შეგვეწევა, შეგირდებთან მე დაგეხმარები, ოღონდ სნეულება გვაშოროს!

— მამა იონას წარმოგზავნილს ღილებს ნუ დამიკერებ, ჩემის ფორმისა არ არის. უნივერსიტეტის ღილთა აქვს ღერბად არწივი, ეს ხარკოვის ღუბერნიისაა და უკანვე წარვუგზავნი. მივსწერ, მოგვართოს დიდრონი ღილები, ოქროს ჯვრები და საკაბენი ჩემის პატარა დედოფლისთვის.

ელენემ ბედნიერებით შუქსავსე თვალები მიაპყრო ქმარს. როგორც მასწავლებლის, კეთილი დამრიგებლის, ბრძენი მამაკაცის მიმართ თაყვანისცემასა გრძნობდა და არა ამქვეყნიურ სიყვარულს.

— იქნებ, რთველზე ჭიზიყშიაც წავიდეთ!

— ვნახოთ, სულო ჩემო! ახლა კი, უნდა ვიჩქაროთ, სამს საათზედ ალექსანდრე-პუპლიამ მსთხოვა, ვეწვიო.

სოლომონი ერთხანს ქორწინებისგან თავს იკავებდა. სახლი არ მაქვსო, — ფიქრობდა. — დღეღამ საქმეში ვარ. ნახევარი ქიზიყი სარჩენად და გამოსაზრდელად შინ მომიყვანია. ქონება არ მაბადია. დანიშნული თხუთმეტისა წელს შესრულდა, ამ საშინელს სიღატაკესა და დავიდარაბაში დამეჩაგრება.

მაგრამ გუბერნატორ სიპიაგინისა და მისი მეუღლის კატეგორიულმა წინადადებამ ყოველგვარ ეჭვსა და ყოყმანს დაუდო ბოლო.

იმ საღამოსვე ჯვარი გადასწერეს სამების ტაძარში, სინოდალური კანტორის პროკურორის სახლის მახლობლად. ხელისმომკიდენი იყვნენ: თავადი ანტონ აფხაზი, კოლეგიის მდივანი, მასწავლებელი

შანასეინი, მასწავლებელი ნიკოლოზ დემენტიევი, არქიტექტორი დემიდოვი და თვით მამობილი თევდორე ბარიშკინი.

ქორწილი გადაიხადეს, როგორც ნეფე-დედოფლის მფარველი პუბერნატორისა და ქალის მამობილის, საქართველოს მთავარი არ-ქიტექტორის ღირსებას შეეფერებოდა.

დოდაშვილი ბედნიერად გრძნობდა თავს. „ღვთის ნება აღსრულ-და. ბედი ჩემი სრულ იქმნა. — სწერდა იონას. — ეს შემთხვევა არას დამაბრკოლებს საქმეთა შინა, არამედ, უმეტეს წყნარ, მშვიდ და სრულ მყოფს გონებითა და გულითა".

მაგრამ რით შეენახა ქიზიყიდან ჩამოყვანილი თხუთმეტი სული? გასათხოვარი და გათხოვილი დები, რომლებიც გამუდმებით დახ-მარებას მოითხოვდნენ, იონას ნათესავები... სად დაებინავებინა ამ-დენი ხალხი?

ქორწინების მეორე დღესვე მეუღლეს გაენდო, სახლის აშენებას ვაპირებო.

ამაზე ამდენ ხანსაც უნდა გეფიქრაო, დაეთანხმა ქალი.

შემწეობა სულიერ მამას სთხოვა, რომელსაც სწერდა: „ტფი-ლისში ყოველი შეძლებული კაცი აშენებს სახლებს, მრავალნი რუს-ნიც, სომეხნიც. მარტო ქართველნი ვართ დაშთომილნი. გამოვი-თხოვე სახელმწიფო ადგილი მთავარმმართებლის სასახლის სიახლო-ვეს. უკეთუ შემეწევით ხვასტაგით, ოთხს წელში ერთიორად აღ-ვადგენთ. უსახლობისგან დიდად შეწუხებული გახლავართ. ახალს სახლში მოვაწყობთ სტამბას, დავბეჭდავთ წიგნებს, ჟურნალ-გაზე-თებს, ვარგებთ მამულსა ჩვენსა".

— ელენა, სულო ჩემო! თარგმანს მოვრჩი და ალექსანდრე ორ-ბელიანთან მივდივარ. მოისვენე შენც. ამდენის ჯაფით დაიღლებო-დი.

— მე არა მიჭირს რა! — მიუგო თავჩაღუნულმა და გაწითლე-ბულმა ქალმა, რომელსაც, როცა სოლომონი შინიდან გადიოდა, ასე ეგონა, ქვეყანა ინგრევა და ცარიელდებაო.

სიონის ზარი აგუგუნდა.

დინ... დინ... დინ...

დამამშვიდებლად, გამაფრთხილებლად, დამაფიქრებლად გუგუ-ნებდა დედოზარი.

ფორმის შავ სერთუკში გამოწყობილი სოლომონი ქვაფენილზე გადავიდა.

ყოველ ნაბიჯზე მოწიწებით ესალმებოდნენ. ბაყლები, რომლებიც რუღელეში მტვრიან მწვანილსა და ბოსტნეულს აელებდნენ, ღიმილით თავს უკრავდნენ.

სასიამოვნო დღე იყო, მაგრამ დოდაშვილს რაღაც გამოუცნობი ტკივილი აწუხებდა, მიზეზმოუძებნელი და სახელშეურქმეველი. როცა ალექსანდრე ორბელიანის ეზოს ჭიშკარში შედიოდა, ერთხელ კიდევ გაუყურჩდა ამ ტკივილს, იქნებ გამოვიცნოო, მაგრამ ვერც ახლა გაუგო რა და დაღონებული აჰყვა ძველებურ კიბეს.

— ამ პატიოსან კაცს იცნობდეთ! — წარუდგინა ალექსანდრემ სტუმრებს, რომლებსაც, სუფრის გაშლამდე, ვისტი გაეჩაღებინათ.

მოთამაშენი უმალ წამოიშალნენ.

ხუთნი იყვნენ: მასპინძელი, ელიზბარ ერისთავი, იასე ფალავანდიშვილი და ალექსანდრე ჩოლოყაშვილი.

სოლომონი შორიდან ყველას იცნობდა.

— მამულის სამსახურის მოსურნენი, მთავრობის ყველდრებაში ვართ და თქვენ, ვინძლო, არ გესიამოვნებოდეთ ესევითარი მუსაიფი! —ხუმრობის კილოთი თქვა ალექსანდრემ.

— ვითომ, იმისათვის, რომ „სახაოინოს“ შვილს პეტერბურგში მთავრობის შეწევნით მაღალი განათლება მიუღია? —გაეცინა ელიზბარს.

— განა, კმაყოფილია ამათი? — შუბლი მოჰმუხნა იასემ.

— რის კმაყოფილი უნდა ვიყოთ, ამდენს ტანჯვასა და მწუხარებაში ვყრივართ, სათქმელი გინდოდეს, ხმას ვერ ამოიღებ. პური მოგვდის, სხვა ვაჭრობს, ჩვენი ვენახები სხვის ხელშია, ჩვენს ღვინოს სხვა ჰყიდის, ჩვენ დავდივართ მუდამ ქუდგადმობრუნებული.

— სასამართლოში ამდენი კაცის თრევა იციან. მოიტანეს ქრთამები, დაგვასხეს, თავზე კომენდანტები, იასაულები...

— ჩვენს მეფესთან მისვლას და ჩივილს რა დიდი ამბავი უნდოდა. იქვე სამართალს გაგიჩენდა და უსამართლობას აღგვიდა.

— დღეს, ვინც დაასწრებს და პირველი დააბეზღებს, მართალიც ისაა.

— მომჩივანსაც და მოპასუხესაც ერთნაირად ქრთამს ართმევენ.

— თქვენ კმაყოფილი ხართ? — კუშტად შეეკითხა იასე დოდაშვილს.

სოლომონმა არა უპასუხა რა.

როცა აქეთკენ მოდიოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ დახვდებოდა, და რა საქმე იქნებოდა. არ მოეწონა, ასეთს საუბარს რომ შეესწრო და სრულებით არ ერიდებოდნენ. ბუნდოვნად, პეტერბურგის სჯა-პაექრობანი აგონდებოდა და ახლა გრძნობდა, რომ, რაც ჩამოვიდა, რაც მასწავლებლობა დაიწყო, გაზეთი ჩააბარეს და ცოლი შეირთო, მის სულში რაღაც მისთვის შეუმჩნეველი ცვლილება მომხდარიყო.

— კეთილშობილს და კეთილგონიერს ადამიანს მართალი საყვედურისთვის ყური მუდამ ღია უნდა ჰქონდეს! — თქვა ალექსანდრემ.

— მაშ, ეს არის კეთილი, რომ დღეს არც ერთი ქართველი თავადი აღარ ფლობს თავის მამულსა და გლეხებს, არც ტყესა და არც ველს?! — უდანაშაულოდ შეურაცხყოფილი ადამიანის აღშფოთებით შესძახა ელიზბარმა, — სამართალია, რომ მამულები ჩამოგვართვეს და მამაპაპეული ოსეთი ხაზინას გადასცეს?! აქამდე ხელმწიფის ერთგული ვიყავი, მაგრამ ახლა მზად ვარ აღვხოცო ისინი!

— ეს არის სამართალი, რომ დიდის ერეკლეს საყვარელს ასულს ჯარი მიუსიეს, სახლ-კარი დაუწიოკეს და შინ ფათერი მოუწყვეს?! — იმავე ხმით შეაგება ალექსანდრემ.

— ან, თავადებს შორის მიწისთვის, ყმებისთვის, ქონებისთვის ეს გაუთავებელი დავა რაღაა?

— ქვეყნის ბედს ორი-სამი თარჯიმანი წყვეტს!

— იასაულები ჩვენს ყმებს ჩვენს თვალწინა სცემენ!

— კაპიტან-ისპრავნიკები სახლ-კარს გეიწიოკებენ!

— უკმაყოფილება ყოველთვის ყოფილა და იქნება, მაგრამ ეს რასა ჰგავს, რომ ხუთის წლის წინანდელს საჩივრებზე დღესაც უპასუხოდ ვართ?

— სასურსათო კომისრები როგორღა იქცევიან! პურს დროზე არ შეისყიდვენ, რათა მუქთად ჩაიგდონ ხელში. ათასობით ურემს მთელს ზამთარს შორეულ ადგილებში ამყოფებენ, ხარები უქმელობისგან იხოცება, ხაზინას ფული ეხარჯება, ხალხიც ზარალდება და ჯარიც უპუროდ რჩება.

— კახეთი ძლიერ შეწუხებულია გადასახადებით და მოდარაჯეთა შენახვით! — რის ყოფით ხმა ამოიღო დოდაშვილმა. — ჯარისთვის სურსათის შესაკრებად გაიძვერებს გზავნიან, ამასწინათ ბოდბეში დრაგუნი ჩაიხრჩო ქვევრში. გლეხი დამშეულია. საჩივარს ყურს არ უგდებენ. „ხვალ, ხვალო!“ ეს „ხვალ“ „არასოდეს“ ნიშნავს. ხალხი ამბობს: ღმერთი ძლიერ მაღლაა, ხელმწიფე ძლიერ შორსააო.

— ეს არის, სოლომონ ივანიჩ! ჩვენც ამას ვსტირით! სამართალი გვინდა და ვერსად გვიპოვნია. — მხარზე ხელი დაადო ალექსანდრემ.

— მე ვერა გამიგია რა! — კბილები გაახრჭიალა იასემ. — ამ ახალს საუკუნეში ზოგი ერის საქმე წაღმა მიდის, ზოგისა — სულ უკუღმა!

— მცირედნი ერნი მუდამ უფრო მეტის საგონებლის წინაშე მყოფობენ, ვიდრე დიდნი! — თქვა ელიზბარმა.

— მოიგონეთ, როგორი მამულის სიყვარული ჰქონიათ ჩვენს მამა-პაპათა! — მიაჩერდა ალექსანდრე დოდაშვილს.

— მეფობა თამარისი იყო ელვარებითი ეპოხა საქართველოსთვის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სპარსნი, თათარნი, ოსმალნი, მთიერნი მარადის იყვნენ ჩვენის მამულისათვის, ვითარცა ჰუნნი ევროპისათვის, ანუ, წყვდიადად განათლებისა. მოვიგონოთ ის ჟამიც, როცა სახლიდან გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ მტრის შიშითა. ბევრნი ლოცვენ ამ ახალს დროსა მშვიდობისათვის. თარეშები აღისპო და საცა გსურს, იქ წახვალ!

— დიდი შემწეობა გახლავსთ! — ირონიულად შეაჩერა იასემ.— სად წახვალ, როცა ჩვენს თანამემამულეთ პასპორტსაც არ აძლევენ?!

— ნუთუ, ვერა ხედავ, რომ ვიმყოფვით უსასოებასა, გინა სასოწარკვეთასა? — მიაჩერდა ალექსანდრე დოდაშვილს. — ვერა ხედავ, რაოდენ უბედურებასა მიწევნილ ვართ? ვითარ გვავიწროებენ და ყოვლისა მიზეზით მეცადინეობენ ჩვენსა დამდაბლებასა? არა ჩანს, რა ტვირთი ვზიდეთ და როგორ ერთგულად ვუდგევართ ამ ომში! ისინი კი „შაშლიკებს“ გვიწოდებენ. მეჯლისზე ვერ გამოვჩენილვარ, რომ საყელოზე „წითელი ხორცი“ არ გვანიშნონ და დაცინება არ დაგვიწყონ.

— თვით რუსნიც გრძნობენ მთავრობის უსამართლობას და ეწადათ უკეთესი დაწყობილობა. — გულმხურვალედ მიუგო სოლომონმა. — ბევრნიც ჩამოახრჩვეს, ბევრნიც აწამეს და ბევრნიც სიმბირში გაგზავნეს. განა არ გაგიგიათ, რომ გუშინწინ აქ, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაური რაევსკი დაატუსაღეს?!

— დამშვიდდი, სოლომონ! — დამცინავად უთხრა ელიზბარმა. — ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით. ჩვენ ვმსჯელობთ იმ შეიწროებაზე, რომელსაც სახელმწიფო დაწესებულებებისგან განვიცდით.

— განა მარტო ესაა!? — წამოიძახა იასე. — მიიხედ-მოიხედეთ, ვის ასახლებენ ჩვენს მიწებზე. მამული ხელიდან გვეცლება. გადამთიელთ ჩვენს ზურგზე შეღავათებს აძლევენ.

— ქართველური სიწრფელე გვატყუებს! — ჩაეცინა ალექსანდრეს.

— აქეთ გვამადლიან!

— შტიკებზე აგებას გვპირდებიან!

— არაფერში პატივი არა გვაქვს!

— ჩვენი თაობა მხოლოდ იმისათვის დაიბადა და არსებობს, რომ წარსულს მივსტიროდეთ!

— ჩვენ დედები ცრემლიანი ნანათი გვზრდიდნენ.

— გადაგვხდა შვილებს ეს იმათი ღალატი!

— ერეკლეს რომ ხუთი კაცი ჰყოლოდა ევროპულად განათლებული, ჩვენი საქმე სხვაგვარად იქნებოდა.

— ნუღა ეწუწუნებთ, გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული!

— რისთვის? — გაიოცა ალექსანდრემ. — თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ?! რვა წელიწადია საბერძნეთი ცურვილებულ არს სისხლითა შვილთა მისთათა! ფინეთის სეიმი და კონსტიტუცია?! მე ბორკილთა მსხვრევის ხმამ გამომაღვიძა.

— აღარ შეგვიძლიან მთავრობისგან ამდენი ბოროტების ატანა! — წამოხტა ელიზბარი.

— ვეღარც მე ამიტანია მაგათის ჩვენს კისერზედ წამოჯდომა!

— ჩვენ არავის არასოდეს დავუპყრივართ, ქვეშევრდომობაში ჩვენის ნებით და შეგნებით შევედით.

— არა აქვთ უფლება, გვფლობდნენ!

— რაც ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით ნაბრძანები იყო, ის უნდა შესრულდეს.

— უთქვამთ, წინა იმპერატორები შეცდნენ, ახალი ხელმწიფე ჩვენს მამულს უკან დაგვიბრუნებსო.

დოდაშვილი უხმოდ უსმენდა. არავის შეეძლო გამოეცნო, რას ფიქრობდა ამ დროს.

— სოლომონ, შენ რას გაჩუმებულხარ? — უკმაყოფილოდ დააკვირდა ელიზბარი.

— ზოგი, როგორც თევზი ზღვაში, ისე გრძნობს თავს. — ჩაიქირქილა იასემ.

— ასეთს რას მამჩნევთ?

— არაფერს, ოღონდ, ჩვენზე ამბობენ, ვაი, ცალუღელა ახალგაზრდობასაო!

— განა, შენ მოგწონს, ჩვენი მემკვიდრენი ათასის წლისანი რომ გადაგვიკარგეს?

— როგორ? თვითონ კი მათთან არ იყო?

— სოლომონ ივანიჩ! — მხარზე ხელი დაადო ალექსანდრემ. — ჩვენ გვსურს შენთან ვიმეგობროთ!

— ნუთუ, აქამდეც მეგობრები არა ვართ?

— არა, დღეს სხვაგვარს, დიდს მეგობრობაზედ გეუბნებით.

დოდაშვილმა ძლივს შესამჩნევად მხრები შეარხია.

— ახლა მამულისათვის რას ირჯებით? — ჰკითხა იასემ.

— მთავარმართებლის მითითებით, კანონებს ვსთარგმნი ქართულად, სასარგებლო იქნება მამულისათვის.

— ოო! ეს მართლა დაგვიხსნის! — დამცინავად ხელი ასწია ელიზბარმა.

— რის კანონები, შე მამაცხონებულო! — შეჰყვირა იასემ. — ამათ კანონები სადა აქვთ, ძალაზედ არიან, თავიანთ ნებას ხანჯლით აღასრულებენ!

გარწმუნებთ, ბატონებო, საზღვარგარეთ სამჯერაც ვყოფილვარ და ყოველს ქართველს ისეთის ღირსებით იღებენ, მეტი არ იქნება. მეც კი ბატონიშვილად მიმიღეს. არაფერს მაკლებდნენ, ბინა მიბოძეს. გამოჩენილი პირები მპატიჟებდნენ. ერთი მეორეს ასწრებდნენ, რა პატივი ეცათ. მარტო მე კი არა, ასე ეპყრობიან ყველა ქართველს. შეხვალ საჩაიეში, სადაც საუკეთესო საზოგადოება შეკრები-

ლა, ყველანი ადგილს გითმობენ, გიმასპინძლდებიან ჩაით, ყავით, ხილით. აქ? კანტორის უკანასკნელი მოხელე ან უნტეროფიცერი თავადსაც კი ხშირად სილას უთავაზებს. ისეთი მგრძნობიარე ადამიანისათვის, როგორიც მე ვარ, ეს სიკვდილია. რომ რამე იყოს, ისევ მივატოვებ საქართველოს. ჩემის ხალხის დამცირებას ვერ ავიტან!

— გამიგია, თუ, როცა იქ შეუტყვიათ, რაც ჩვენს მეფეებს განეზრახათ, ელჩებს გზავნიდნენ თურმე. ოღონდ ამ საქმეს ნუ იქმთ და ყველა მტერს ჩამოგაშორებთ, სუყველა წართმეულს ადგილს დაგიბრუნებთ, თარეშები აღარ მოხდებაო. — თქვა ალექსანდრემ.

— ეს ყველამ ვიცით.

— დაპირება დაპირებად, მაგრამ აღასრულებდნენ? — წაიჩურჩულა დოდაშვილმა.

— მაშ, ეს სჯობია, რომ უცხო თესლნი ლუკმას გვართმევენ?

— ხალხი თავადებს გვაყვედრის, თქვენ ჩაგვყარეთ ამათ ხელშიო!

— უნდა გადავრეკოთ! — მკაცრად თქვა იასემ.

— წაგვართვეს ის, რისთვისაც ჩვენი მამაპაპანი სწყდებოდნენ და სისხლსა ჰღვრიდნენ!

— საცა თავისუფლება არაა, იქ არც სიცოცხლეა! — შესძახა იასემ.

— რომელიც ხალხი თავის ენას დაივიწყებს, იმას ხალხის სახელი აღარა ჰქვია! — მეტი გააფთრებით დაიყვირა ალექსანდრემ.

— ვის არ უყვარს თავისი სამშობლო და ვინ არ გამოიდებს მისთვის თავს?

— უსამართლოდ ჩაგვიგდეს, ფიცის გამტეხნი არიან!

— რაკი ქართველობამ განელო მურვან ყრუ, ჯალალედინი, ლანგთემური, შაჰ-აბაზი, ნადირ-შახი, აზატ-ხანი, აღა მაჰმად ხანი და არ აღიგავა, ის კვლავ აღსდგება და დაწინაურდება.

— სახაზინოვ, რა ბედნაია გალავა ხარ, რომ შენს ტვინში მამულის სიყვარულს ადგილი ვერ უპოვნია! — შეანჯღრია სოლომონი ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა.

— რა მიზანს ელტვით? — წაიბუტბუტა დოდაშვილმა.

— მამულს ვერთგულებთ! — ქორივით დახედა ელიზბარმა.

— უნდა გაელალოთ!

— დროა ამ შავის სულებისგან განთავისუფლდეთ!

— უცხო თესლნი რათ უნდა გვესხდნენ?

— ჩვენ ტრაქტატის ნიადაგზე ვდგევართ, რომელიც ერეკლე მეფესა და ეკატერინეს შორის დაიდო.

— გიორგი მეფეს ზურგს ვაქცევთ!

— არც ამას აღასრულებენ!

— საჭიროა, ძმობა შეავადგინოთ! რაც ესენი საქართველოში მოსულან, იქიდან აქამომდე მაგათზე შეთქმა არ შეწყვეტილა.

სოლომონმა მშვიდად შეათვალიერა მოსაუბრენი.

— რცხვენოდეთ იმ თანამემამულეთ, რომელთაც მათი ყოფნა უხარიათ!

— სოლომონს მე ვიცნობ! — მფარველობითი კილოთი მიუგო ალექსანდრემ. — ბატონიშვილებთან აღიზარდა და ამიტომ ამ საქმეში განდობილ არს. რაკი დღეს მთავრობის სამსახურშია, განა, მამული აღარ ახსოვს? უყვარს საქართველო, ვითარცა ჰეშმარიტსა ძესა მამულისასა.

— ამათ ვენდო? მამულის ბედი ამათ ჩავაბაროთ? ისინი პირადს სამდურავს გაუშმაგებია! ელიზბარს ოსეთი ჩამოართვეს! ალექსანდრეს სახლში ფათერი მოუწყვეს. იასე განაქცევია. ჩოლოყაშვილს დედა გადაუსახლეს. გულში ყველას საკუთარი ბოღმა გამოუსკვნია. ჩვენს საქმეს შეთქმულებები გამოასწორებს? თუ განათლება, ხალხის დაწინაურება, მშვიდობიანობა გვინდა?

არ ვიცი, რა სჯობია. სტუდენტობაში სხვა მეგონა, დღეს სხვაგვარად ჩანს. აქ აჩქარება არ ვარგა, ჯერჯერობით, ყველა თავისთვის უნდა სწყვეტდეს საქვეყნო კითხვებს, მაშინ გაიგებ, ვის დაუახლოვდე, ვის განერიდო!“

— იასე! შენი ოჯახი რაღას ემართლებით მთავრობასა? — ირონიულად ჰკითხა ჩოლოყაშვილმა, რომელსაც ჰავჰავაძეები, ავალიშვილები, ფალავანდიშვილები, გვარეულობით საქართველოს მტრებად მიაჩნდა.

— ბრილიანტში რო ჩამსონ, მაინც არ მიყვარან. სამჯერ გავქცეულვარ და მამულისთვის ერთგულება მიჩვენებია.

— მერწმუნეთ, ყოველი ქართველი ამას იტყვის! — თვალი გაუბრწყინდა ელიზბარს.

— სოლომონ, სამტროდ მოსულხარ თუ სამეგობროდ? შენისთანა ნასწავლი და გაელენიანი ძე მამულს ძვირად უღირს.

— ნუ გეშინია, არ გაგცემს! — გადაიხარხარა ალექსანდრემ.

— თავის განათლებით საქართველოს შეუძლია დაწინაურდეს და დროით გახდეს დამოუკიდებელი! — წყნარად წარმოთქვა დოდაშვილმა.

— ჩვენ დღეს გვინდა შველა. საქმე მანამ უნდა მოხდეს, სანამ ფეხს მოიმაგრებენ, თორემ, ჩვენს შვილიშვილებს, რაოდენ განათლებულნიც არ იყვნენ, გაუძნელდებათ!

— სპარსნი, თურქნი, მთიურნი უარესს სჩადიოდნენ და ძველი დრო დღევანდელს სინათლესთან რა მოსატანია?

— ინებეთ ოცდაათის წლის მორჩილების ნაყოფი! — იფეთქა ელიზბარმა.

— სანამ ერთი პირი არაა, არაფერი გვეშველება.

— სოლომონ, საზოგადოება აწყობს შეთქმულებას და შენ ჩვენთან ხარ.

დოდაშვილს არ გაჰკვირვებია ეს წინადადება. თავისი მოსაზრების გადმოცემა ისე განაგრძო, თითქოს, განსაკუთრებული არაფერი ეთქვათ.

— მალე ჩვენი სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდება. წარდგენილ არს თხოვნა ტფილისში კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის დაარსებისათვის. იქნებ, უნივერსიტეტიც გვექნეს. ყოველგვარით ჩანს, რომ საჭიროა სწავლა სარგებლობისათვის მამულისა. გვინდა რეწვა და ვაჭრობა, ვითარცა დედა განათლებისა.

თავისმაგე სიტყვებმა შეაფიქრიანა. ნელა ამოისუნთქა და მოძალებულ ეჭვებს უხმოდ მიჰყვა. „ჩვენის საკუთარი ცხოვრების წესს, ჩვენს ხასიათს, ზნეჩვეულებებს და ყოფაცხოვრებას რა ვუყოთ? ნუთუ, შინაგანის წესწყობილების უფლება არ უნდა გვქონდეს, რათა ჩვენი სამოქალაქო ცხოვრება მოვაგვაროთ? განა, ეს უფრო არ მოგვფენს განათლების სხივებს? უამისოდ ხომ ჩვენს სახეს დავკარგავთ, ყველაფერი ფერფლად იქცევა“.

— მამულის გულშემატკივართა შევქმნათ ლიტერატურული საზოგადოება, — თავი დააღწია ფიქრს. — შევაგროვოთ შემოწირულება, ვიყიდოთ ბიბლიოთეკა, სტამბა, დავეხმაროთ ღარიბს მოწაფეებს, მოვიგონოთ საქართველოსთვის სხვა კეთილი საქმეები. დავაარსოთ ერთი კარგი პანსიონი.

— კარგია, მაგრამ ვერ უშველის ჩვენს მამულს! — უკმაყოფილოდ თქვა ალექსანდრემ.

— სტამბა და გაზეთი ცეცხლის დასანთებად გვინდა! — ხელი აიქნია ელიზბარმა.

— მამულისათვის ხმალი მოვიქნიოთ!

— ნუთუ, ყაზიმულას ოდენიც აღარ შეგვიძლია?

— ძალით მოსულს ძალა უნდა დავახვედროთ! — გაბოროტებით წამოიძახა იასემ.

— სადაც თავისუფლება არაა, იქ არც სიცოცხლეა!

— ძვირფასო სოლომონ! ყველას სჯობია, ჩააგონოთ თქვენს მოწაფეებს მამულის სიყვარული! ეძიეთ მათში ჩვენი თანამზრახველნი. დაუმეგობრდით და გაენდეთ. აღზარდეთ მამულისათვის ქრისტეს მოყვარე მხედრები! — ბრძანებით უთხრა ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა.

— მომაკვდავს მამულს რას მოუსწრებს, რომ თქვენს ჰსცხოვრებთ შრომასა შინა თხზულებათასა! — დამცინავად შეხედა იასემ დოდაშვილს.

სადილზე ალექსანდრე ორბელიანმა ჯიხვის ყანწი პირთამდე გაავსო და შესძახა:

— გაუმარჯოს, ვისაც საქართველო უყვარს. პატიოსნებას გაუმარჯოს!

— იმ დღეს გაუმარჯოს, როცა ქართველობა ხმალზე გაივლებს ხელს!

— ოხ, ნეტავ მაგ დღეს მოვესწრო და ჩემი სიცოცხლე შუაზე გაიყოს! — მოიყუდა ყანწი იასემ.

ხმა საიდუმლო მარად ჟამს
მეჩურჩულების მე ყურსა:
ჟამი არს მტერი მამულის
მისცეთ მახვილსა ღესულსა! —

სჭექა ელიზბარმა გრიგოლ ორბელიანის სტრიქონები.

— საუკუნო მეგობრობა!

— სული გავიყოთ სულთან!

— ამ საქმეზე ნურასოდეს ვილაპარაკებთ ორ პირთან ერთად! — დაძაბული ხმით თქვა ალექსანდრემ. — თუნდაც ძმები იყვნენ, მხო-

ლოდ ერთთან, პირისპირ. ამ ხნობით, ჩვენს მეტმა სხვამ არავინ უნდა შეიტყოს. მანამ გარემოება თავისთავად არ მოიტანს საქმეს, ახლანდელს ქართველებში ისე არა გამოვა რა.

— რათა! აღშფოთდა იასე. — ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!

— ვინც მტერს მოყვარედ იგულვებს, ის უფრო თავის მტერია! — შეაგება ორბელიანმა.

— მაშ, შევკრათ კონტრახტი მამულის სარგებლობისათვის. ვინც გვიმტყუნოს, იყოს შეჩვენებული ღვთისგან!

— ვართ ამიერითგან მეგობრები და „უროდნი!"

— შაბაშ!

ნასადილევს, როცა ხონჩაზე შემოდგმული ჭიქებით ჩაი ჩამოარიგეს, ელიზბარმა გამოაცხადა:

— ბატონებო! მომავალს შაბათს ჩემსა მობრძანდით სადილად!

— განვაგრძელოთ მორიგეობით მასპინძლობა და თათბირობა მამულის საქმეზედ. — დაასკვნა ალექსანდრემ.

მთაწმინდიდან ვეებერთელა წითელი მთვარე ამოდიოდა. კოჯრის ნიავს მთების სიგრილე სოლოლაკის ხევით მტკვრის ნაპირებზე ჩამოჰქონდა. იწყებოდა ზაფხულის დიდებული ღამე.

„სულელური ქიმერაა! — ფიქრობდა შინ მიმავალი სოლომონი. — თავადებს შორის დაუდეგარი შუღლია და არასოდეს ერთად არ გამოვლენ. მე თვითონ არ შემიძლია ისეთი საზოგადოების წევრი ვიყო, რომელსაც მიზნად არ ექნება გლეხთა განთავისუფლება!"

12

კლდეებს შორის ჩაკიდებულ ორბის ბუდეს ჰგავდა ციხისჯვრის დაკბილული ქედებიდან გამომზირალი ახალციხე.

განთიადის ნისლის მკრთალ მონახაზებში მღვრიედ გარინდებულიყვნენ პირქუში მთები. უწყვეტ ჯაჭვად იგრიხებოდნენ მკვრივი ვულკანური ქანებისა და თიხის ანაჩხორები.

დაპირქვავებული მწვერვალები ერთმანეთს გასჯიბრებოდნენ უფსკრულების გამოხლართვაში და ცხენის ერთი ფლოქვი ბილიკებით რუსეთის ჯარები ფრთხილად ეშვებოდნენ მტკვრისა და ფოცხოვის ნაპირებისაკენ.

იმპერატორის გვარდიის პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ჩოლოყაშვილი წინ მიუძღოდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ორ დივიზიონს, რადგან პოლკის უფროსს, გენერალ-მაიორ რაევსკის ბრიგადის მეთაურობა ჰქონდა ჩაბარებული. დრაგუნთა გვერდით გრაფ სიმონიჩის ქართველ გრენადერთა პოლკი ჩამოდიოდა.

ჩამოვაკებისთანავე მოიერიშე ნაწილები ფორსირებული მარშით მიდიოდნენ ფორშტადტს და შეეცადნენ, შეუჩერებლივ გადაელახათ მდინარე, მაგრამ მეორე ნაპირის ოღროჩოღროებში მოსანგრე მტერი ძლიერი ცეცხლით ეღობებოდა მათ.

დაზვერვის ცნობით, მთავარ ძალებს ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთი ეკავა და გზები ძლიერი რეტრაშამენტით ჰქონდათ შეკრული.

ჩოლოყაშვილმა საგანგაშოდ იგრძნო, სანამ მოწინააღმდეგე გონს მოვიდოდა და დამხმარე ნაწილებს გადმოისროდა, სწორედ ამ ადგილზე ფორსირებულად უნდა გადაელახათ მტკვარი.

ბრძანებისათვის არ დაუცდია, მარცხენა და მარჯვენა ფლანგზე განლაგებული დონის კაზაკთა და ქართველ გრენადერთა პოლკების მეთაურებს სთხოვა, შემოერთებოდნენ ფონზე იერიშისათვის.

წუთით უხმო ქართველ ოფიცრებს: წინამძღვრიშვილს, შალიკაშვილს, ავალიშვილს, ოთხ ორბელიანს, ხუთ ჭავჭავაძეს — იასონს, რომანს, სპირიდონს, ზურაბს, გრიგოლს, სხვათა მრავალთა.

— ძმანო, ქართველნო! აქ ჩვენს მამაპაპათ ათის წლობით სისხლი უღვრიათ! ეს მიწა ძველთაძველი საქართველოა! ეს მესხეთ-ჯავახეთი ჩვენი ფუძე და აკვანია. იგი ხელიდან უნდა გამოვგლიჯოთ მისთა მიმტაცებელთა. ჩვენი წინაპარნი სამასი წელი ოცნებობდნენ და არას ზოგავდნენ ამისათვის. დღეს კეთილი ჟამი დაგვდგომია! მაშ, ვაზღვევინოთ და ვანანოთ ჩვენთა ამწიოკებელთა და შემბილწველთა ეს ამდენი ხნის დაცინვა და უსამართლო სიხარული! ბოროტება უნდა დაისაჯოს! სულ ერთია, ვის მივჰყვებით მის დასჯაში. ამ ცეცხლში უნდა იშვას ჩვენი მამულის გაერთება, რათა ერთად ვიყოთ მომავალ ქარიშხლებში. ეს მხარე უნდა გადახალისდეს და გაჯანსაღდეს მომავალი ცხოვრებისათვის, რათა ერთად ვიყოთ ჭირსა და ლხინში.

მივცეთ მაგალითი თანამებრძოლთა ჩვენთა!

წინ!

თექვსმეტი ბატარეის მხარდაჭერით მოიერიშე ნაწილები მტკვარ-

ზე გადაეიდნენ. ქართველ გრენადერთა პოლკმა ხრამებში განლაგებული მტრის სანგრები გადაკვეთა და შუაზე გაჰყო.

ჩოლოყაშვილმა სცადა, ახლომდებარე სიმაღლეები შეუჩერებლივ დაეკავებინა, მაგრამ მტრის ძლიერმა ცეცხლმა აიძულა სახელდახელოდ ჩასანგრებულიყო და ძირითადი ნაწილისათვის დაეცადა.

ფლანგებზე ხუთი რედუტი ააშენეს, ბრეშბატარეა, ფალკონეტები განალაგეს, ტრანშეების მოწყობას შეუდგნენ.

შემტევი ნაწილები დროს არ ჰკარგავდნენ, რათა პოზიციები გაეუმჯობესებინათ. კაზასის დრაგუნთა ბატალიონი ისე წაიტყუილა ამ სურვილმა, რომ გაბატონებული ბორცვის ფერდობზე ალყაში მოექცა. ანდრონიკაშვილი გაცოფებული გაეშურა მათკენ, მაგრამ სანამ დივიზიონი მიჰყვებოდა, თურქები თავს დაეხვივნენ. გარემოცული გააფთრებით იქნევდა ხმალს, მარჯვედ ატრიალებდა ყარაბაღულ ბედაურს და გაარღვია წრე.

პოზიცია რომ არ შეესუსტებინა, ჩოლოყაშვილმა რეზერვში დატოვებული პორუჩიკ ლევკოვიჩის ასეული და ზარბაზნები წაიყვანა კაზასის გამოსახსნელად. დონის ბატარეებმა კარტეჩი დააყარეს, მორტირებმა და ფალკონეტებმა მისცეს და მისცეს ცეცხლი მოიერიშეებს. მტრის სარდლობამაც მთელი ყურადღება აქეთკენ გადმოიტანა. ორივე მხარე ახალ-ახალ ნაწილებს ისროდა ბრძოლაში და შთაბეჭდილება რჩებოდა, ახალციხის ბედი ამ უბანზე უნდა გადაწყვეტილიყო.

თურქების კავალერია ალყაშემორტყმულ კაზასის ჯგუფსა და ჩოლოყაშვილის მაშველ ნაწილებს შორის შემოიჭრა, რათა გამაგრებული რკალი გაერღვია და ნაპირზე გასულიყო.

ჩოლოყაშვილმა დრაგუნთა ესკადრონებს უხმო გაავებული სერასკირის შესაკავებლად. პორუჩიკ ლევ პუშკინს უბრძანა, ორი ოცეულით ნაპირ-ნაპირ შეუმჩნეველად ევლო და კაზასის გუნდს შეერთებოდა.

ბრძოლას ცეცხლი ედებოდა. მოწინააღმდეგენი გაშმაგებით კაფავდნენ ერთმანეთს. ფერდობები კაცისა და ცხენის გვამებით იფარებოდა. ხმლის ჩახაჩუხსა, ცხენთა ჭიხვინსა, მეომართა გამხეცებულ შეძახილებსა და დაჭრილთა გმინვა-კვნესაში ბუნება დამუნჯებულიყო.

ის იყო, სერასკირს უნდა ეძალა, რომ შუაგულში შემოვარდნილმა პორუჩიკ იასონ ჭავჭავაძის რაზმმა თურქების რიგი გაარღვია, პრაპორშჩიკ პეტრენკოს გუნდი გაიყოლა და იერიშით თურქების დროშებამდე მიიჭრა.

თავზე ხელაღებულმა სულთნის რჩეულმა მეომრებმა იატაგანების ტყე დაუხვედრეს. დაჰკრეს იასონს და დაუჭრეს ბედაური — გონიერი და ერთგული, უშიშარი და მრისხანე. დაგელავდა დაჭრილ ცხენზე და იქნევდა ხმალს. ადამიანის გამძლეობით იტანდა ყარაბაღული ულაყი ტკივილს, სისხლდენასა და დაღლას, სანამ დაწრეტილი დაენარცხებოდა დედამიწას.

კაპიტან შალიკაშვილს სამჯერ მოუკლეს ცხენი, იუნკერი ავალიშვილი დასცეს, სასწაულით გადაურჩა გადათელვას. შორს მოჩანდა, როგორ ლაპლაპებდნენ მზეზე მხედართა თავებზე ელვისებურად ავარდნილი და ძირს დაშვებული ხმლები.

უცებ, ელიზბარ ერისთავის ესკადრონში მთად აზიდული დელი იანიჩარი შემოვარდა და, თითქოს, კომბოსტოს ჭრისო, რამდენიმე მწკრივს ერთი ხელის მოსმით დააყრევინა თავები. ზვავივით მიანგრევდა შეჯგუფულ მხედრებს. სამი დრაგუნი შუა გააპო, იატაგანი მეოთხეზე აღმართა, რომ სპირიდონ ჭავჭავაძის ხმლით ორად გაჩეხილი ცხენკაცი სხვადასხვა მხარეს გადაცვივდა.

აჩხორილ მთებზე საღამოს ბინდი წვებოდა. ქანცგაწყვეტილი მეომრები უკანასკნელ ღონეს იკრებდნენ, რადგან ღამის სიბნელეს დროებითი სიმშვიდე უნდა მოეტანა. მაგრამ მტერი ცინცხალ ესკადრონებს გზავნიდა ბრძოლაში.

წყედიადი შედედდა. ხეობები წკვარამმა შთანთქა. დაჭრილთა გოდება ტყიურთა კივილსა და კრუალს შეერია.

რუსის ჯარით ალყაშემორტყმული ახალციხე ბორგავდა. ოსმანთა კავალერიამ მძიმე დანაკლისი ნახა, მაგრამ პასკევიჩის კორპუსის მდგომარეობა მაინც გაურკვეველი იყო. ქალაქის ჩრდილოეთით განლაგებული ბატარეები განუწყვეტლივ ქუხდნენ. აქა-იქ დროდადრო ფიცხელი სროლა და ხმაური იფეთქებდა. ბრძოლით მოპოვებულ ზღუდეებზე ახალ რედუტებს დგამდნენ.

ალექსანდრე ჩოლოყაშვილი სათადარიგო ესკადრონის განლაგებას ათვალიერებდა. ნაწილში ახალმოსული, პირად შემადგენლობას

კარგად არ იცნობდა და განკარგულებებს მკაცრი გამომეტყველებით, მაგრამ დამშვიდებული ხმით იძლეოდა.

პეტერბურგში ჯერ სპარსეთთან ზავის ცნობა არ ჰქონდათ მიღებული, რომ თბილისისაკენ საიდუმლო კურიერი თავგამეტებით მოაჭენებდა ცხენს, თურქეთთან ურთიერთობის გაწყვეტის დეპეშებით.

ამ ბრძანებამ პასკევიჩი შეაშფოთა, რადგან ულანთა დივიზია და ზოგიერთი სხვა სამხედრო ნაწილი, სპარსეთის კომპანიის დასრულებისთანავე, რუსეთის შიდაგუბერნიებში გაიწვიეს, რამაც კავკასიის კორპუსი საგრძნობლად შეასუსტა.

მესხეთ-ჯავახეთის განთავისუფლებაზე საუკუნოვანი ოცნების განხორციელების იმედით, ქართველობამ ეს ომი თავის ეროვნულ საქმედ გამოაცხადა, ლაშქრობის დაწყებისთანავე, რუსეთის არმიას მხარში ამოუდგა და მოხალისეებმა ფრონტს მიაშურეს. მოქმედ არმიაში გაგზავნა ითხოვეს შვებულებით ჩამოსულმა ქართველმა ოფიცრებმაც. განსაკუთრებით, როცა აშკარა გახდა, რომ ოსმალეთის ჯარები ყარსის, ერევნისა და ახალციხის მხრიდან თბილისს უტევდნენ.

იმპერატორის გვარდიის ოფიცრები ჩოლოყაშვილი და ერისთავი ნიჟეგოროდელ დრაგუნთა პოლკში ჩარიცხეს და გუმბრიდანვე გაჰყვნენ კორპუსს. როცა ყარსის აღებით რუსეთის არმიას მესხეთ-ჯავახეთის გზა გაეხსნა, ახალქალაქში, ხერთვისში, ახალციხისკენ მიმავალ ვიწრო ხეობებში, სადაც ერთ ჩასაფრებულ ასეულს მთელი ლაშქრის ამოწყვეტა შეეძლო, ქართველები ისე იბრძოდნენ, როგორც მშობლიური სახლ-კარის გადასარჩენად.

პოზიციის დათვალიერებიდან რომ ბრუნდებოდა, ჩოლოყაშვილმა უცებ შეამჩნია, რომ საკუთარ თავს რაღაც გაუმხელელს უმტკიცებდა.

„სხვა საქმეებისთვის ვემზადებოდი, ახლა კი აღარ ვფიქრობ, მოვკვდები აქ თუ გადავრჩები!

პაპაჩემი ასპინძისკენ მიუძღოდა ლაშქარს. იქნებ ამ ადგილზეც ყოფილა! ამ წუთზეც უოცნებია!

ჩვენს სულში მათი მოლოდინია გადმოსული!

რა იქნებოდა, იმ დილით ნევის პროსპექტზე ხელმწიფისთვის რომ ხმალი მეკრა?!

ამას ჩვენ მარტო ვერ შევძლებდით!
დავიგვიანებდით!
დავკარგავდით!
აქ ჩანს სიბრძნე მამა-პაპათა!
აქ ჰგრძნობს გული, სხვა დროს მიუწვდომელს!
საკმარისია?!
არ ვიცი!
ჯერ გავიმარჯვოთ, ამაზე შემდეგ დავფიქრდები!..“

ერთ სურათად ჩაიარა ბატონიშვილთა ოჯახებში შეკრებებმა. დოდაშვილთან ერთად პეტერბურგიდან თბილისამდე მგზავრობამ. თეკლას ოჯახში მეგობრებთან განდობამ!

იგრიალა.

ახალციხის სიმაგრე ზალპით ხვდებოდა არდაგანიდან სოღანლუღის მთებით გადმოსულ ყოის მაჰმად ფაშის ოცდაათიათასიან მაშველ კორპუსს. ჟურვი სადღაც ახლოს დაეცა. ნამსხვრევებმა შუბლთან ჩაუარა.

მაღალმა, მხარბეჭგანიერმა ადიუტანტმა თავი მიაბრუნა და არყიანი მათარა მოიყუდა.

რედუტები გამოფხიზლდნენ. ულანთა და დრაგუნთა ნაკრები ბრიგადა ხიდზე გადმოდიოდა.

ჩოლოყაშვილი გარინდებით გაჰყურებდა წყვდიადში ჩაფლულ სივრცეს, სადაც საფარის სიწმინდეები ეგულებოდა.

დაძაბულად თენდებოდა ღვთიშობლის მიძინების დღე.

ძლიერდებოდა სროლა, რომელიც მთელი ღამე არ შეწყვეტილა. მოალყეთა რიგებს მოურიდებლად თავს ესხმოდნენ იანიჩარ ცხენოსანთა მარბიელი რაზმები. წამოიშალნენ ჩოლოყაშვილის ესკადრონები. დაიძრა იერიშით მაღლობებს მოფარებული ოსმანთა კავალერია. დაუშინეს რუსის ზარბაზნებმა კარტეჩი. ეკვეთნენ სიმონიჩის ქართველ გრენადერთა ბატალიონები. გაარღვიეს მარჯვენა ფრთა. შეუერთდნენ დრაგუნთა მეორე დივიზიონს, დაჰკრეს ზურგში. მიეჯრნენ ხმალდახმალ კაზაკთა პოლკები, აითქვიფნენ ერთმანეთში მოწინააღმდეგენი. ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ვის ესროდა, ვინ ვის უქნევდა ხმალ-ხანჯალს.

ეგერები, რომლებიც ციხე-სიმაგრესთან რედუტებს აგებდნენ, ალყაში მოექციათ. გამოიჭრა იქიდან თურქი ოფიცერი. აკაფა რამ-

დენიმე დრაგუნი. მივარდა მას თეთრ ცხენზე შემართული ელიზბარ ერისთავი. დაჰკრა მაჯაზე. დააგდებინა ხმალი და, ის იყო, ძირს უნდა ჩამოეგდო, რომ აიცდინა ოსმანმა დარტყმა და გამეტებით მოუსვა ბანაკისკენ. დაედევნა ელიზბარი. მიჰყვნენ დრაგუნები, კაზაკები, ეგერები, იუნკრები. გადათელეს მტრის რიგები, ალყა-შემორტყმულნი შეცვივდნენ ციხე-სიმაგრეში.

პასკევიჩმა ახალციხის ბედი გადაწყვეტილად ჩათვალა, კომენდანტს ულტიმატუმი წაუყენა.

პასუხად მოსწერეს: „ჯერ ცაზე რომ მთვარეა, ის მთვარე უნდა ჩამოხსნათ და ახალციხის მთვარის ჩამოხსნაზე მერმე იფიქროთ!

ყარსელები და ბეიბურთელები ხომ არ გგონივართ? ახალციხელები გახლავართ! ერთი ყარსელი ორ ბეიბურთელს სჯობია, ორი ყარსელი კი ერთ ახალციხელად არ ღირს. ჩვენ ამ კედლებთან ისე დავიხოცებით, რომ ციხე-სიმაგრეს არ დავთმობთ!“

— ნუთუ, ეშმაკი ჩემზე ძლიერია! — ირონიულად წარმოთქვა გრაფმა, როცა პასუხი წაუკითხეს, და განკარგულება გასცა, დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ იერიშის სამზადისს.

შტურმისთვის კათოლიკური ეკლესია უნდა დაეკავებინათ, მოედანი აეღოთ, კედლებთან გასულიყვნენ.

— ზარბაზნები ელევაციაზე! — გაისმა ბრძანება.

ელიზბარი სწრაფად გადმოხტა თავისი ჩერქეზულიდან. რათა კანონერებს მიშველებოდა. წამოჰკრა ხელი ვეებერთელა რკინის ურჩხულს, რომელსაც მთელი ათეული ეხვეოდა, მარტომ აათრია ბორცვზე და დაადგმევინა პოზიციაზე.

სწორედ ამ დროს წამოადგა თავს გენერალი მურავიოვი, რომელსაც შეენიშნა, თურქ ოფიცერს დადევნებული, პირველი რომ შეიჭრა ქალაქში და მთელი ჯარი თან გაიყოლა.

— პორუჩიკო, წამოიყვანეთ თქვენი დივიზიონი ჩემთან!

— არ შემიძლია, პოლკის უფროსის ბრძანებას ვასრულებ, თქვენო აღმატებულებავ!

— სრულ ჭკუაზე ხართ?

— პოლკის უფროსის ბრძანებას ვასრულებ, თქვენო აღმატებულებავ!

— ეს რა უტვინო თავია! — გაფითრდა გენერალი.

ელიზბარმა ხელი მშვიდად დაიდო ხმლის ტარზე.

— რა მოგდით? — გაფითრდა გენერალი, რომელმაც კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს.

იჯექა ამ დროს სანიშნებელმა ზარბაზანმა. სამოცმა თანამოძმემ უმალ ხმა მისცა და სიმაგრე ჯოჯოხეთურ ცეცხლში გაეხვია.

კარტეჩისა და ტყვიის გრიგალში გამოეშურნენ წინ ოსმალთა ბატალიონები, რათა ქალაქში შემოჭრილი მტრის ნაწილები ხეობებში გადაერეკათ. გაცოფებული მოაჭენებდნენ იანიჩრები. ჯამბაზებივით მოცოცავდნენ ასკერები.

— ხიშტი! — შესძახა გრაფმა სიმონიჩმა.

— ხიშტი! — გაიმეორა მაიორმა კაზასმა.

— სიმღერა!

დასცხო ორკესტრმა. დაიძრა ხიშტის კედელი. მიჰყვა დაშვებული დროშები.

იქუხა მხიარულმა სალდათურმა სიმღერამ:

Не будите меня
Молоду, ранним-рано по утру!

მიარღვევდნენ მტრის რიგებს.

გადადიოდნენ ეზოებზე.

არ ეპუებოდნენ.

ეცემოდნენ.

განაგრძობდნენ სიმღერას დაჭრილნი, დაქანცულნი.

დაეცა ხის შენობას ყუმბარა. ავარდა ხანძარი. მოედო მთელ ქალაქს ცეცხლი. უსხამდნენ ნავთს. გააფთრებით მიცვივოდნენ კვამლის ბოლქვებში ხიშტით, სიმღერით, „ურას“ გუგუნით. ანთებული ჩირაღდნებით მიიწევდნენ დრაგუნები.

ინგრეოდა მტრის ბუნაგი. იბადებოდა ახალი მესხეთი!..

* * *

— ასეთი იერიში ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! — გადაკოცნა პასკევიჩმა ჩოლოყაშვილი. — მიჩვენე ოფიცერი, რომელიც, თეთრ ცხენზე ამხედრებული, პირველი შეიჭრა სიმაგრეში!

— პორუჩიკი ერისთავი! — წარუდგინა ჩოლოყაშვილმა.

— ნუთუ ის, რომელზედაც, ეს არის, გენერალმა მურავიოვმა მოახსენა, ბრძანების გარეშე შეიჭრა ქალაქშიო?

— დიახ!

— იერიშისთვის თქვენ ათასჯერ დაიმსახურეთ წმიდა გიორგის პირველი ხარისხი! მაგრამ თქვენ მას ვერ მიიღებთ, რადგან ბრძანების შეუსრულებლობისთვის, დახვრეტის ღირსი ხართ! — თანაგრძნობით მიმართა გრაფმა.

13

აგვისტოს კვირა-დღეს ალექსანდრე ორბელიანმა, რომელსაც თბილისის გუბერნიის მარშალი კონსტანტინე მუხრან-ბატონი საყმო სოფელში მეზობელ მემამულესთან სადავო საქმეზე მიეწვია, ნავთლუღის გზაზე წაგრძელებული მოძრავი მასა დალანდა და გაოგნებულს თვალი აღარ მოუშორებია.

არასოდეს ამდენი ჯარ-ჯამაათი ერთად არ ენახა. როცა მეწინავეები ისე მოახლოვდნენ, რომ გარჩევა შეიძლებოდა, ბოლო ჯერ კიდევ შავ წერტილებად იკარგებოდა სივრცეში.

საპატიო სტუმარი, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო, მშვიდად განაგრძობდა მასლაათს, როცა მასპინძელმა შეშფოთებით, მაგრამ თავაზიანად გადაიყვანა გზიდან და კორომს მიეფარნენ.

მოახლოვდა ფეხის ხმა, ურმების ჭრიალი, ჯაჭვების ჩხარაჩხური, ფლოქვების თქარუნი, ხარკამეჩის ზმუილი, ზრინი და ყაყანი.

რამდენიმე ნაბიჯზე, ამ თვალუწვდენ ჯგროს წინ მოუძღოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, თეთრჩოხიანი, იარაღში ჩამჯდარი ჭაბუკი. მოდიოდნენ საქმიანად, აფუსფუსებით. ურმით, სახედრით, ცხენით, ფეხით. ახალგაზრდები და მოხუცნი. ქალები და ბავშვები. ხურჯინებით. უნაგირზე გამობმული ცხვარ-ბატკნებით. შინაურ ჩოხა-ახალუხში. ფლასებში. ძონძებში. ტილოსა და შალის ნაფლეთებში. ვინ გამოიცნობდა, საიდან და რისთვის აგორებულიყო ეს ამოდენა ზვავი. რას გაეერთიანებინა და დაეძრა ამდენი სულიერი.

ეტყობოდათ, მთელი ღამე შეუსვენებლივ ევლოთ, ჯაგებსა და ძეძვნარში ებღოტიალათ.

როცა მინდორს გაუსწორდნენ, თეთრჩოხიანმა ლაგამი დინჯად მოდრიკა.

დაღლილი ხალხი მინდორს მოეფინა. კოცონები გააჩაღეს. საგზალი გაშალეს, მეურმეებმა ხარები გამოხსნეს. ზოგმა კამეჩის რქაში საპონი გათქვიფა და ღერძის გასაპენას შეუდგა. აქა-იქ, გატყაეებული ციკნები თავდაყირა დაჰკიდეს. ცხენები ფრუტუნით ძოვდნენ შემჭკნარ ბალახს. ვისაც ვერავითარი იარაღი ვერ ეშოვნა, ტყის ნაპირზე გავიდნენ რცხილის მარგილების მოსაჭრელად.

— ბატონო, ეგენი კაი საქმეზე არ მოდიან! — შეშფოთებით უთხრა ალექსანდრე ორბელიანმა მუხრან-ბატონს, რომელსაც უმცროსი ძმა თეიმურაზი და ქალაქის მოურავი ახლდნენ.

— მაშ, რა უნდა იყვეს? — უინტერესოდ ჰკითხა გუბერნიის მარშალმა.

— ხომ ხედავთ, გზადაგდებით უვლიათ და ბევრს იარაღიც თან აქვს.

— ამოდენა ხალხი როდის და სად უნდა მოგროვილიყო?

— ნუღა ვაყოვნებთ, ბატონო, ახლავე კაცები მივუგზავნოთ სალაპარაკოდ, თორემ, თუ ქაჯის მოსახვეევს გასცდნენ და ქალაქში შევიდნენ, ცოდო დატრიალდება.

— როსებ! — უბრძანა მოურავმა ნაცვალს. — ფიცხლად მიირბინე, გუბერნიის მარშალს, მთავრობის მრჩეველს და ქალაქის მოურავს თქვენთან ლაპარაკი სწადიან-თქო.

რამდენიმე ათასი კაცი, გაკვირვებულნი და გახარებულნი, რომ მთავრობას უკვე გაუგია მათი ამბავი და შუაკაცებიც გამოუგზავნია, ერთბაშად წამოიშალნენ და ქუდმოხდილნი მოხელეებს წინ დაუდგნენ.

— რას შეუწუხებიხართ, ხალხო, რომ ამ გახურებული მუშაობის ჟამს სახლ-კარი მიგიტოვებიათ და დედაბუდიანად აყრილხართ?

წუთით გლეხები უფრო დაიძაბნენ და უცებ ერთხმად აჩოჩქოლდნენ, აყაყანდნენ, აბუზღუნდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— მილიციაში გვეძახიან!

— სალდათს გვთხოვენ!

— ვერა ხედავთ, რო ხვარასნის ტყვეებს დავემსგავსეთ!

— ტყავი გაგვძვრა, აღარ შეგვიძლიან!

— ზაფხულ ჭრიანტელი გვჭრის კბილსა და ზამთარ მახოხი!

— ღარიბი კაცის საქმე ხომ მოგეხსენებათ!

— გლეხმა რო მჭადი იშოვოს, იგიც ბევრია!

— კარგი, გავიგეთ! — ორივე ხელი აღმართა გუბერნიის მარშალმა. — ესე ყოველი თავადაზნაურობისთვის უნდა მოგეხსენებინათ და ისინი შეატყობინებდნენ მთავრობას. თქვენ ახლა ვისთან უნდა მიხვიდეთ! მთავრობას თათრებთან ომი აქვს და დიდად გაგირისხდებათ, რომ საქმე მიგიტოვებიათ. მილიციაში, თუ თქვენის ნებით წახვალთ, სხვაა, ძალით არავინ წაგიყვანთ, სალდათში დაძახებაც მტრის მოგონილია! გაბრუნდით, სახლ-კარს მიხედეთ!

— დამშეულთათვის მთავრობას პური გამოუყვია და დაგირიგდებათ. თქვენს თავადაზნაურთ ელაპარაკეთ და ყოველი საქმე მამაშვილურად გადაწყვიტეთ! — დაურთო ალექსანდრე ორბელიანმა.

ხალხი გაყუჩდა. უხმოდ აჩერდებოდნენ და თავს უქნევდნენ ერთმანეთს. მერმე კი, ისევ აყაყნდებოდნენ, მაგრამ მშვიდად, კმაყოფილად.

— სხვა არა გვინდა რა, შენი კვნესამე!

— ღმერთმა აგაშენა!

— წავიდეთ, ოჯახებს მივხედოთ!

— ამ რთველის პირზე მაშვრალი კაცი უქმად მოსცდება? ადრე შემოდგომით გუთნის გატანა კაცს წინ წაიყვანს.

ჯერ ერთმა, ორმა, შემდეგ, მთელმა სოფლებმა ზურგი იბრუნეს.

— სად მიხვალთ! — გააფთრებით შესძახა თეთრჩოხიანმა მხედარმა დაბნეულ ხალხს, თოფი გადმოიღო და ირგელივ ჩამოუშროლა. ასიოდე ხმალამოწვდილი ლეგა ცხენოსანი თან მიჰყვა. — ვინც ერთ ნაბიჯს უკან გადაადგამს, ამ ჩემს თოფს გულში ვკრავ. ამ თავადებისა გჯერათ? განა, სულ ეგენი არ ღუპავენ გლეხს კაცსა! ამათ ყურს ვინ უგდებს, რომ მათი დაპირება ვირწმუნოთ! თვითონ ფინიებივით ფეხს უკოცნიან სამტროდ მოსულ ჩინოვნიკებს, თქვენ რა უნდა მოგცენ. მიეიდეთ მათთან, ვისაც ძალა უპყრია! აბა, გახედეთ, თელეთის ქედით არსენას ქვემო ქართლელები მოჰყავს! ლილოს, ნორიოს, მარტყოფის ხალხი წამოგვწევია. დილაზე გორი და დუშეთი მოდის, ჩვენ ვუღალატოთ?!

— თუ ყველას აღგვითქვამენ, სხვა რა გვინდა? — წაიბუზღუნა ყაჟირა გლეხმა, რომელსაც თავისი ურემი უკვე მიებრუნებინა და კოფოს თაებზე ჩამომჯდარიყო.

— რას ამბობ, ყონყრი! ჰკვას რო არიგებდნენ, შენ მაშინ სად იყავ? — ხმალი აუქნია ლეგა ჰაბუკმა.

— ქალაქისაკენ! ჩაჰბერეთ საყვირს! აუშვით ზანზალაკები! — დასჭექა თეთრჩოხიანმა მხედარმა. — ზაალ! ადამ! ზაზა! ასლანა!. ჩაუდექით მოთავე სოფლებს!

ერთხელ კიდევ აუარ-ჩაუარა, აჰხედ-დაჰხედა ხალხის გუნდებს, რომლებიც ახლა უწინდელზე თვალმიუწვდენი და წესრიგიანი ეჩვენა, და გულდინჯად წინ გაუძღვა.

მიეშურებოდნენ საქმიანად, ფუსფუსით, გახარებულნი, რომ, სულ ახლოს იყო ქალაქი, საიდანაც მოდიოდა მათთან ყოველგვარი უბედურება, საიდანაც გზავნიდნენ ახალ მოხელეებსა და ჯარებს, საიდანაც ითხოვდნენ გადასახადებსა და ბეგარას, სადაც შეეძლოთ ადამიანური ცხოვრება ეღირსებინათ ღარიბ-ღატაკი ხალხისთვის.

— ხედავთ, ბატონო, რა თავადიშვილივით ირჯებოდა? — წამოიძახა ალექსანდრე ორბელიანმა, როცა ბურანიდან გამორკვეულს, მინდორი დაცარიელებული დახვდა.

— არაფერი თვალიდან არ გამოჰპარვია! — ამოიოხრა გუბერნიის მარშალმა.

— თუ ამ თოფ-იარაღიანმა ხალხმა ქალაქში შეგვასწრო, მთელს ქალაქს აშლიან, იმათთან მთელი საქართველო აიშლება, ზედ იმათ მთების ხალხი მოებმის, მთელი თათრებიც იმათ მიჰყვება და ბოლო დროს კარგი არა იქნება რა! თუ გაიგონეთ, ჩემი ყმებიც არსენას გამოჰყოლიან.

— ჯარი სულ ოსმალოს ფრონტზე და ზაქათალაშია, თუ გუბერნატორს ჩქარა არ მივეშველეთ, ეგენი ქალაქს ამოაგდებენ.

— თავი დავუაროთ, ესენი, ეტყობა, დაბახანასთან გაერთდებიან.

ხალხის ლაშქარს აცლაბრის კარი ჩაეტილი დახვდა.

ავანპოსტები, საგუშაგოები და პოლიციის პატრულები წამით შეყოყმანდნენ, მაგრამ, როცა მოსულთა რაოდენობა, შეიარაღება და ჯიუტობა ნახეს, აქ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად მიიჩნიეს, გზა უტიეს და მეტეხის ხიდზე გადმოსვლის საშუალება მისცეს.

ქვემო ქართლელთა მოლოდინში, აბანოებთან, ლაშქარმა დროებითი ბანაკი დასცა და იმ წუთს დაბახანისა და კალოუბნის ჭუჩები ხალხით გაიჭედა. მოაწყდნენ ქარგლები და შეგირდები, მეწვრილმანე ვაჭრები, კონკებში, ჩულსა და ფლასში გახვეული, კოლოები-

საგან დაკბენილი, გაბურძგნული მეთულუხჩენი, ბოგანონი და გლახაკნი, მეთევზენი, რომელთაც წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი.

სოფლელი ლეგა ბიჭების დანახვაზე სიღარიბისა, შიმშილისა და შავი ჭირისგან წელში გაწყვეტილ ქალაქელებს გული მისცემოდათ. სწორედ იმ დღეებში ხმა დავარდნილიყო, ხალხის გასაწყვეტად, თავადნი და აზნაურნი მტკვარს წამლავენო. და ეს სნეული ხალხი ხარბად და იმედიანად მიშტერებოდა აჯანყებულთა თოფხანჯალს, გრძელყინწა წერაქვებსა და თავწამახულ მარგილებს.

მდიდრულ ბინებში ჩაკეტილი თავადები, ვაჭრები და მოხელეები ძრწოლით ელოდნენ, რა მოხდებოდა.

— უი, ქა ეს რა უბედურებაა! — ლოყებს იხოკდნენ კნეინები.

გენერალ-გუბერნატორი სიპიაგინი, რომელსაც მალარიის მწვავე შეტევა ჰქონდა, მაინც დაუყოვნებლივ წამოდგა ლოგინიდან და შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა. როცა მან ხალხის ლაშქარსა და ქალაქელთა დუნდგოს თვალი შეავლო, გულმა უგრძნო, რომ შეეძლოთ, ორიოდე საათში, ყველაფერი დაემხოთ და გადაეჯეგათ. განრისხებული მივარდა ცხენოსანი პოლიციის მაიორს, რომელიც იარაღასხმული მედიდურად და არხეინად მიარღვევდა ხალხის გროვას. უბრძანა, საჩქაროდ გაეფრთხილებინა ყველა სამხედრო და პოლიციის მოსამსახურე, დაუყოვნებლივ გასცლოდნენ იქაურობას, რათა ხალხის გაღიზიანება არ გამოეწვიათ.

ათიოდე დღის წინ დაბრუნებული შეუღლისგან იცოდა, რომ თივის მოედანზე მუშებმა, ხელოსნებმა, მოსამსახურეებმა უმოწყალოდ დაანგრიეს ქოლერიანთა საავადმყოფოები, ამოხოცეს ექიმები, განდევნეს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი.

გაფითრებული შეჰყურებდა მოფუთფუთე ქუჩებს, გაბოროტებულ სახეებს, კოფოებზე ჩამომსხდარ ბავშვებს, რომლებიც ხანჯლით ჯოხს თლიდნენ და ვერ გადაეწყვიტა, რა ეღონა.

ხარ-კამეჩის ბღავილის, ზანზალაკების ყღარუნისა და მუქარის შეძახილებისგან ყურთასმენა აღარ იყო.

როცა გენერალ-გუბერნატორმა თათრის მოედნიდან მომავალ ყარაბაღულ ულაყზე გაჯგიმულ კაპიტანს მოჰკრა თვალი, რომელიც დეზების წკრიალითა და „ხაბარდის“ ძახილით ეჯაჯგურებოდა ბრბოს, ცხენდაცხენ მიეჭრა და ღრიალით ძირს ჩამოაგდო.

— გაიძვერავ! დღესვე საველე ტრიბუნალს გადაგცემ!

სიპიაგინი მოედნის წინ, მეორე სართულის აივანზე გადმოდგა და მიქაიჩს მკაცრად უთხრა:

— ჰკითხეთ, რას მოითხოვენ, რატომ აბუნტებულან?

— კარგად შემოგვხედეთ და მიხვდებით, რამ შეგვაწუხა!

— სალდათს გვთხოვს ხელმწიფე!

— მელიციას სიკვდილი გვირჩევნია!

— კომლზე კაცი მიჰყავთ!

— რა გვიყავით, ახლა ლეკრუტთაც უნდა წავიდნენ ჩვენი შვილები, კენჭი უნდა იყარონ!

— ე რაღა ღვთის რისხვაა, გეთაყვა!

— ყოველმა კომლმა ათი კოდი უნდა გაიღოს ჯარისთვისო!

— სად ვიშოვოთ ეს ხორბალი!

— ისესხეთ და მარცვალი არ დააკლდეს! — გუბერნატორის ნაცვლად გაეპასუხა მიქაიჩი.

— მართლად უთარგმნე! — რუსულად მიაყვირა დოდაშვილმა, რომელიც ახლა მოსულიყო და მაღაროელებს ამოსდგომოდა გვერდით.

მიქაიჩი შეიშმუშნა.

— პაატა! — სოლომონმა მაჯაში ხელი ჩასჭიდა თეთრჩოხიან წინამძღოლს. — მე, განა ეს გითხარი, თუ როცა ნიშანს მოგცემთ, მაშინ გამოდით-მეთქი?

— ოსტატო, ხალხი თავისით აიშალა და თუ მე ახლა არ გამოვჰყვებოდი, როცა შენ მიბრძანებდი, მაშინ ხალხი აღარ გამომყვებოდა!

— ხორბალი სად ვიშოვო, ცოლ-შვილი ორი თალარი ფეტვის ამარა მიყრია!

— არ გვინდა ლეკრუტი!

— მაგათი სასმენელი ჩვენს ჭირ-ვარამს გაიგებს?

— ვერა ხედავთ, ქვეყანა ჩალითაა დახურული.

— არაფერი მესმის! — იყვირა უთავბოლო წამოძახილებითა და ყაყანით, მიქაიჩის არეულ-დარეული ლაპარაკითა და შიშით დაბნეულმა გუბერნატორმა. — ამოირჩიონ ერთი ვინმე და მან მოგვახსენოს!

ლეგა-ლეგა ვაჟკაცებმა ურმის კოფოზე ფიცრები დაჰყარეს, თეთრჩოხიანი მაღლა აიყვანეს და გარს შემოუდგნენ.

— ჩვენი წინაპარნი ხელმწიფის მფარველობას ეძებდნენ და ღმერთმა გვიწყალობა, მაგრამ მისთა მსახურთა და მებატონეთა უსამართლობამ წელში გაგვწყვიტა, ჩვენი ხორციცა და სულიც მათ ხელთაა. ჩვენი ცოლები, შვილები და დები მათი მხეცური ჟინის მსხვერპლი გამხდარან. ხალხის საქმე სულ უარესად მიდის. კახეთს ვალად ჰქონდა მონაპირე სადარაჯოების შენახვა, დღეს რეკრუტსა და მილიციას გვთხოვენ, ზაქათალაში გვგზავნიან.

ამ წელიწადს ქიზიყში მოსავალი არ გახლდათ. ნათესები კალიამ მოსპო. მცხოვრებნი დიდს დრტვინვასა და მწუხარებაში ვართ. მოხელეები და მოურავები შინ გვიცვივიან და ძალით მიაქვთ, რასაც იპოვნიან. ბოდბეს ხუთმეტი ურემი ქერი გამოართვეს ქრთამად. მტყუანი და მართალი, ერთ ანგარიშში გადის. გამკითხველი არავინაა. სურსათს მალავთო, და გვაწიოკებენ. ოთხ მანეთად ნაყიდს კოდს ექვს აბაზად იბარებენ. ეგზეკუციით გვემუქრებიან. საითაც თქვენი ჯარი დაიძვრება, ჩვენც ჩვენი ურმებით უკან მივსდევთ. ათს ურემს ორმოცი ურმის ბარგს უდებენ.

დაიჭირეს ის ბოდბური ოთარაშვილი გოგია და თორმეტი თუმანი წაართვეს. ხუროშვილი ლაზარე დაიჭირეს და შვიდი თუმანი წაართვეს. ძმანაშვილი აბრამა დაიჭირეს. ბეგაშვილი, ნადირაშვილი დაიჭირეს, რვა თუმანი გამოართვეს...

აღარ შეგვიძლიან ამ ეკლიანს გზაზედ სიარული, ვეღარ მოგვითმენია გინება!..

პაატა ლაპარაკობდა მღელვარედ, მაგრამ დალაგებით, გულითადად, გასაგები რუსული ენით.

— რატომ არ სჩიოდით თქვენს შემწუხებლებზედ? — ჰკითხა გუბერნატორმა.

— ვისთან გვეჩივლა, ერთხელ და ორხელ ხომ არ გამოვუგდივართ, კილაუზები ხართო!

— თუ არ გვითხარი, საიდან გვეცოდინება.

დაბახნის ხევში რამდენიმე გასროლა გაისმა. იმ წამს მეტეხის ხიდთან ძველი აივანი ზათქითა და ხმაურით ქუჩაზე ჩამოიქცა. მეზობლად ხის დარაბებს აბრიალებული ცეცხლი მოედო.

ხალხი აირია, წამოიშალა. ატყდა წივილ-კივილი, გაწევ-გამოწევა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, შემოგვიტყუეს, იერიშზე გადმოდიან! — წასჩურჩულა მიქაიჩმა გუბერნატორს.

— მაშ, ხელმწიფეს სამსახური არ უნდა?! — დაიყვირა ხალხში გარეულმა ერმოლოზამ.

მას ხმა შეუერთეს ეფრემამ, მათმა ამხანაგებმა.

— დასცხეთ მოღალატეებს! — დასჭყივლა ერმოლოზამ და შიგადაშიგ ხალხში თოფმა იგრიალა.

— მაშ, ეს ბიჭი მოკვდეს, თუ... — ჩაიკეცა ჩოხის კალთები გარეჯელმა ნალბანდმა.

აქ შეამჩნიეს, რომ ერმოლოზას გვერდით მოფარებულმა უცხო კაცმა ზურგს უკან ჩუმად გააპარა ხელი. ეცნენ, გასწი-გამოსწიეს და მიახალეს კედელს.

— სოლომონ ივანიჩ! — გადასძახა სიპიაგინმა. — მომეშველეთ! შეხლა-შემოხლა არ უნდა მოხდეს!

მიქაიჩი ხალხში გარეულ თავისიანებს ანიშნებდა, კიდევ და კიდევ შეუჩუჩხურეთო, რადგან დარწმუნებული იყო, შტაბის უფროსი დიბიჩი წესრიგის აღსადგენად ქალაქში დარჩენილი ჯარით ცოდვის კითხვას დაატრიალებდა და ამ ამბავს დღესვე გაიგებდა პეტერბურგიდან მოვლინებული სენატორთა კომისია.

— პაატა, ეს ხალხი შენ უნდა დაამშვიდო! — ბრძანებით უთხრა დოდაშვილმა. — რაც შეიძლება, ჩქარა!

— ზაალ! ადამ! ზაზა! ასლან! შეჰკარით ქუჩები! არ შემოუშვათ ჩვენს ბანაკში უცხო კაცები!

შეჯდა თეთრონზე. დაუარა ბანაკს.

შევიდნენ წრეში ლეგა-ლეგა ბიჭები. დატრიალდნენ ციბრუტივით. გამოათრიეს ერმოლოზა, ფეფენო, მათი ამხანაგები.

— რას დაეხეტებით აქ, თუ ავი სულები არა ხართ?

— ამ წუნკლებზე რომ თოფი დავცალოთ, სირცხვილია ჩვენთვის!

— ესენი კაი კაცები არ არიან!

დედაკაცები ქოშებით იწევდნენ საცემლად.

— უკან! უკან!

— მოშალეთ ყვირილი და ყაყანი! — სახრის ტურტურით ახევინებდნენ დუნდგროს, რომლის საქციელისთვის საქმის წახდენა არ სურდათ.

— პაატა! — უთხრა დოდაშვილმა, როცა მოედანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. — ახლავ უკან უნდა წახვიდეთ. თქვენი

აქ ჩამოსვლა და სატკივარის თქმა კარგი იყო, მაგრამ ავი კაცები სისხლის დასაღვრელად ემზადებიან და ამოდენა ხალხი ტყვილა დავღუპოთ, ჭკუა არ იქნება.

— ამხანაგები?!

— ზემოურნი ვერეს კართან შეუჩერებიათ, ქვემოურთ მე შევატყობინებ.

— მაშ, სულ ეს იყო?

— დღეისთვის კი! საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, თორემ, ვეღარა გვიხსნის რა და საქმისთვის ხალხი აღარ გვეყოლება.

— ვერ გაიგებს ამას ხალხი!

— სირცხვილია, მარგილებითა და კომბლებით ჩამოხვედით მთავრობის დასამარცხებლად. წაიღე, თათრებში ან ლეკებში თოფიარაღს იშოვი! — გაუწოდა ქისა.

პაატას სიტყვა არ დაუძრავს. ქისა მეწინავე ურემზე დადო და ქეჩა გადააფარა.

სიპიაგინთან რამდენიმე მოხელე და პოლიციელი მოვიდა საჩივლელად.

— მე ორს კაცს მათრახი გადავჰკარ და იმათ ჯოხი მომიღერეს! — თქვა ერთმა.

— გათამამდებიან! — ჩაილაპარაკა მიქაიჩმა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — თავაზიანად ჩაერია დოდაშვილი. — ესინი არავის თავს არ დასხმიან. არც დუქნებს დასცემიან, არც არავინ გაუძარცვავთ. ჩამოვიდნენ თქვენთან თავიანთი გასაჭირის მოსახსენებლად, უღირს მოხელეებზე საჩივლელად და მზად არიან წავიდნენ.

გენერალ-გუბერნატორი თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და, სანამ დიბიჩის ხერსონელი გრენადერები მოვიდნენ, ხალხს მიმართა:

— სიტყვას გაძლევთ, რომ სალდათში ან მილიციაში არ დაგიძახებთ. წელს პურს გაპატიებთ. მოხელეთა ბოროტებას გამოვარკვევთ და დავსჯით.

ქალაქში ქოლერა მძვინვარებს. მეშინია, არ შეგეყაროთ და სოფლებს არ მოსდოთ. გზა ხსნილი გაქვთ, ნუღარ აყოვნებთ!

პაატა გულნაკლულად უყურებდა დოდაშვილს. სიმამაცეს ნაღველი სძლევდა.

ხალხს გაჰხედა. ნაბდის ქუდი კეფაზე მოიგდო და თეთრონი დასძრა.

დოდაშვილის გული და ფიქრიც მათ გაჰყვა...

„რა ვქნათ! ხალხს ძლიერ გასჭირვებია. ჩქარს წამალს ითხოვს. არზის წერას ვერ ავუდივარ, მაგრამ რას ვუშველი. წელსაც ჩემი მამული მხარე მწუხარე და მტირალი ვიხილე. ნახევარი მცხოვრებელიც აღარ დარჩენილა. გარდაეგნენ სხვასა და სხვა მხარეს შიმშილისა და შევიწროების გამო.

რა გვიხსნის ჩვენზედ მოწევნილის განსაცდელისგან! წიგნი, სკოლა, და განათლება დიაღ კეთილი საქმეა. თვალი გვეხილება. ვაჭრობას, რეწვას, ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარებას ვისწავლით, მაგრამ როდის! რამდენი წელი დასჭირდება და რის სახსრით! ვინ მოესწრება, ვინ შეაძლებინებს!

ნუთუ თოფისა და ხმლის გარდა სხვა გზა არ დაგვრჩენია? ხალხს ცოდნასა და განათლებას არავინ აღირსებს და ყველაფერი თავისუფლებით უნდა დაიწყოს?! ხალხმა თავისი საქმე საკუთარ ხელში უნდა აიღოს, და პაატას გაჰყვეს, ახალი ქვეყანა, ახალი საქართველო უნდა შექმნას?

მაგრამ, ეს, განა, უფრო იოლი და უფრო საადრიო საქმეა?

არ ვიცი. ვერ გამიგია, რა სჯობია, რას ვემსახურო!“

14

სოლომონ რაზმაძეს, რომელიც შაჰის კარზე ახალდანიშნულ რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს, გრაფ სიმონიჩს, როგორც საელჩოს თარჯიმანი, პეტერბურგიდან თან ჩამოჰყვა, ელიზბარ ერისთავმა საპატიო სადილი გაუმართა თავისი სიძის, მელნიკოვის, სახლში, სადაც უახლოესი მეგობრები მიიწვია.

გრაფ სიმონიჩს ცოლად ჰყავდა ოთარ ამილახვრის ასული. ქართველებთან დაახლოებული იყო, და გადაწყვიტა, ირანში ვაჭრობამდე რამდენიმე თვე თბილისში დაესვენა.

ნასადილევს, თანამესუფრეთა თხოვნით, სტუმრები ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანებმა გადაიპატიჟეს თავიანთ ბაღში, რომელსაც თბილისელები „ბატონიშვილ თეკლას წალკოტს“ ეძახდნენ.

აქ, დარეჯან დედოფლისეულ სამყაროში, გარეთუბნის კლდის ქვეშ, დროსტარება — ლხინი, მთვარიან ღამეში სეირნობა, ნარდი, ჭადრაკი, პრეფერანსი და ვისტი, საოცნებოდ ითვლებოდა. ახლა, ლაღად გაფურჩქვნილს გაზაფხულზედ, ლატნებზე გაშვებულ ვაზის ფოთლებით ჩარდახივით დაჩრდილულ თალარში, თანამესუფრეებს კიდევ უფრო მომხიბვლელად ეჩვენათ იქაურობა და ჭაბუკური ეშხით შეჰფართქალებდნენ თორმეტს სანატრელ ქალიშვილს, რომელთაგან თვით შემოქმედსაც გაუჭირდებოდა უმჯობესის გამორჩევა. ნათიმზე ორბელიანი, თუ რახაელ ციციშვილი, „ხახალეს“ რომ ეძახდნენ: მაიკო ორბელიანი თუ მანანა. კატინკა ბარათაშვილი თუ მართა სოლოლაშვილი. ქეთინო მესხიშვილი თუ ესმა ჭილაშვილი. მელანია ერისთავი თუ სალომე თარხნიშვილი. თინათინ ამილახვარი თუ ბაბალე ერისთავი.

იქნებ, მაინც, მედიდური, უკარება, თვალისმომჭრელი ნათიმზე და ოთხნაწნავიანი, სევდადაკრული მაიკო!

გაშალეს სუფრა.

შემოიტანეს შამპანური.

წითლით სავსე სურები.

წამოდგა დინჯად ალექსანდრე ორბელიანი, ასწია თასი და თქვა:

— ბატონს დედაჩემს გაუმარჯოს!

დალიეს მოკრძალებით და ნაღვლიანად თეკლა ბატონიშვილის სადღეგრძელო, რომელიც იმ დღის შემდეგ, რაც ეზოში საგუშაგო მოაწყვეს, თავს შეუძლოდ ჰგრძნობდა და აღთქმა მიეცა, სანამ სიმართლეს არ იპოვიდა, ოთახიდან არ გამოსულიყო.

ამის მოყოლებით, გაესო ელიზბარმა ყანწი და შესძახა:

— საქართველოს გაუმარჯოს!

— ალავერდი!

— იახშიოლ!

— სოლომონებო! თქვენ რაღას უდგეხართ! — შეუტია ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა ერთმანეთის გვერდით მხსდომ დოდაშვილსა და რაზმაძეს, რომლებთანაც დიდი ხნის შელაზღანდარებული იყო.

— გლეხები არიან, ვაპატიოთ! — თვალი ჩაუკრა ელიზბარმა.

— ტოლუმბაშო, ჯარიმაც დაალევინე ამ თაღლითებს! — გადაიხარხარა გრიგოლ ორბელიანმა.

— დალიეთ, თორემ თავზე დაგასხამთ! — დაიყინა ალექსანდრემ.

— კარგი, თარხანი იყვნენ! — სიცილით მოეხვია ჩოლოყაშვილი.

— სად ხარ, მთელი დღე რომ გვალოდინე! — უკმაყოფილოდ ჰკითხა ელიზბარმა იასე ფალავანდიშვილს, რომელიც ის იყო შემოვიდა.

— სისხლი ყელში მიდგას! — მიუგო იასემ. — საითაც გავიწიე, ყველგან ხნარცვი მხვდება. შევცდი, რომ წამოვედი, რომელი ერთი მოვითმინო. შინაურისგან თუ გარეულისგან დაზოგვა აღარაა. იქ ჩემთვის მაინც ვიყავ, აქ შემოგყურებთ თვალებში. და „ჰო, ჰო“, საქმით კი არაფერი!

— შენ ჯერ ეს ყანწი დაგვილიე! — შეაჩერა ალექსანდრემ.

იასე დაილოცა, ამოუსუნთქავად გადაჰკრა და უსიტყვოდ დაჯდა.

— შეგერგოს! ახლა გააგრძელე შენი ამბავი!

იასეს ჯავრისა და ბოღმისგან თავი უსკდებოდა. დილით დაი და სიძე მიუხტნენ თავიანთი ამფსონებით, მამისეული სახლის გასაღებები მოსთხოვეს. რაღაც წერილებს უჩვენებდნენ, დასმენით ემუქრებოდნენ. ძმა სთავაზობდა, მის ახალ სახლში გადასულიყო, სადაც მდგმურივით უნდა ეცხოვრა. ამ აყალმაყალში გულიდან გადაუვარდა, რომ შუადღით ანიტას მცხეთაში უნდა წაჰყოლოდა. როცა მოაგონდა და გავეშებული მასთან მივარდა, ქალი შინ არ დაუხვდა და ახლა, ვინ იცის, რას აღარ ფიქრობდა და ეშვობდა. ელიზბართანაც დააგვიანდა. და ახლა, ძალა რომ ჰქონოდა, მთელ ქვეყანას გადმოაბრუნებდა.

— არა, ასე ცხოვრება არ ღირს! ესენი ადამიანები არ არიან!

— დიახ, ისინი გაიძვერები არიან! — ჩაურთო რაზმაძემ.

— უცხო თესლნი დაგვეპატრონენ. უკანასკნელს ლუკმას გვართმევენ. — ცრემლი წამოსცვივდა ელიზბარს. — რა ვქნათ, რა გზას მოვეკიდოთ? ნეტავ, ხელმწიფემ სულ ერთიანად წაგვართვას ყმა და მამული, რომ დავრწმუნდეთ, წართმეულიაო. თორე ერთი იასაული მოვა, ჩვენს თვალწინ გლეხკაცს სცემს, მას უკან ჩვენ მოგვიბრუნდება და გვაგინებს! რაც უნდა, ჩვენს სოფელში იმას სჩადის.

— ამის დავიწყება არ იქნება! — წაიბუტბუტა ვრიგოლმა. — ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნებდეს, სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!

ამ წუთისოფლის ვირობა არ გინდა?! — მწარედ გაეცინა ალექსანდრეს. — ამ დიდის ბატონიშვილის წალკოტს, სადაც შევკრებილვართ, დღეს-ხვალ, მთავრობის ვალში საჯაროდ გაჰყიდიან!

— რას ფიქრობთ, ბატონებო, როგორ ვუშველოთ ამ საქმეს? ლანძღვითა და ქადილით რა გამოვა? — გამოფხიზლდა იასე. — მე, ბატონებო, ამ საქმით ავადა ვარ. მე სხვანაირად აღარ შემიძლიან. მე ამ საქმისთვის უნდა მოვკვდე! სამჯერ ვიყავი ლტოლვილი, მაგრამ ერთგულება ვუჩვენე. მე ასე ცხოვრება აღარ შემიძლიან. თუ თქვენ ლაპარაკის მეტს არას ინებებთ, მაშინ მე მარტო შევუდგები საქმეს.

— ლაპარაკია, ქართველ თავადებს ჩრდილოეთში ასახლებენო! —გაღიზიანებით თქვა ელიზბარმა.

— ვერ დავიჯერებ! — თავი ასწია რაზმაძემ. — საქართველო ფრიად ბედნიერია რუსეთის ხელში.

— გიყვარდეს რუსნი, მოწყალებითა მათითა მალე დარჩები მშიერი! — თვალები დააკვესა ელიზბარმა.

— ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით, სიყვარულით და სასოებით მიეენდეთ რუსეთსა.

— ის კი არ გაგიგია, რომ საქართველოს ტახტი მიტაცებული აქვს იმპერატორს და უფლება არ აქვს ფლობდეს ჩვენს მამულს! — დაუყვირა იასემ.

— ქართველები, ძველ ქრისტიანულ ხალხთა მცირე ნაწილი. გარსშემორწყმული ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი ერებით, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეებრძოდით მათ. მხოლოდ ამ ოცდაათის წლის წინ მოვისვენეთ რუსეთის მმართველობის ქვეშ. თუ შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობელობისა და ერთმთავრობის წყალობით... ახლა ჩვენ სრულიად მშვიდობიანად ვიმყოფებით ჩვენს ქვეყანაში, დამშვიდებით ვასრულებთ ჩვენს შინაურ საქმეს, შვილებს ვზრდით და შევხარით მათ მომავალს...

— გააჩუმეთ! — ისე დაიღრიალა იასემ, რომ რაზმაძეს ფერი ეცვალა.

— მეც თავადი მქვია, ჩემი მამული კუჭს ვერ მიძღობს. — თავი გადააქნია ალექსანდრემ.

— სანამ დროა, რაღაც ვიღონოთ! — კატეგორიულად თქვა ელიზბარმა.

— ღმერთმა იხსნას ყოველი ქართველი ამგვარის განზრახულობისგან! — გაბზარული ხმით წაიბუტბუტა რაზმაძემ.

— რათ ჯიუტობ, სოლომონ, ჩვენ, განა, ქვეყნისა და ჩვენის თავის მტრები ვართ? — დაუყვავა ალექსანდრემ.

— რომც აღსრულდეს ეს განაზრახი, საქართველო ვერ დასტკბება სიმშვიდითა და ბედნიერებით.

— ვნახავთ! — დამცინავად მიუგო ელიზბარმა.

— საქართველო მადლობელიც უნდა იყოს რუსეთისა, რომ მშვიდობა და განათლება მოგვიტანა!

— გააჩუმეთ, თორემ, პასუხს არ ვაგებ! — წამოიწია იასე.

— დაგვეთანხმე, სოლომონ, შენც ხომ ჩვენი ძმა ქართველი ხარ! — შეეეედრა ალექსანდრე.

— რის ქართველი, ხელმწიფის ელჩს მისდევს თეირანში! — კბილი გაახრჭიალა იასემ.

— მერმე, რაკი ხელმწიფის სამსახურშია, ქართველი აღარაა! — თქვა ალექსანდრემ.

— არავინ არის პატრიოტი, რომელმაც მოაგონოს ხელმწიფეს, რომ საქართველო დაპყრობილი არ არის, არამედ თავისის ნებით შევიდა მფარველობაში.

— ვსთხოვოთ, სოლომონ ივანიჩს, გამოარკვიოს ყველაფერი, დაწეროს და გავუგზავნოთ ხელმწიფე იმპერატორს! — თქვა ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა. — მე სრულიად არ წამიკითხავს ეს ტრაქტატი და მანიფესტი, არ ვიცი, რას შეიცავს ის. შევემუდაროთ, რომ გვამყოფოს ისევ ტრაქტატის ან მანიფესტის მიხედვით.

— ვნახოთ, მოვიფიქრებ! — წყნარად წარმოთქვა დოდაშვილმა. — მფარველობა და უმაღლესი ხელისუფლება სამართლიანი და სასარგებლო იყო. ეს რუსეთის მონარქს ავალებდა დაეცვა ჩვენი ქვეყანა. მან კი მიიტაცა ჩვენი სამეფო გვირგვინი.

ყოველ შემთხვევაში, რუსებთან განუყრელი უნდა ვიყოთ. მე და ჩემი მეგობრები ამ აზრისა ვართ.

— ეს არის მამულიშვილობა? — იფეთქა იასემ. — მე თქვენთან აღარ დავდგები. რის გეშინიათ! სპარსეთი და თურქეთი იმას აღარ

გაიმეორებენ, რასაც უწინ სჩადიოდნენ. ისინი ხედავენ თავიანთ შეცდომას!

— ჩვენ აღვავლენთ მონუმენტსა გულთა შინა ჩვენისა მამულისათვის! — თქვა ალექსანდრე ორბელიანმა.

—პირველი სათნოება მამულისათვის თავდადებაა! — წამოიძახა მანანა ორბელიანმა, რომლის მიბნედილი, ჟღალი თვალები სულს ანათებდნენ აუმღვრეველი სიმშვიდით.

გადმოიღო ჩანგური, სიმებს ნაზად გადაუსვა ხელი. შეუერთდა დაირა და დიპლიპიტო. აჰყვა თორმეტი ქალიშვილი. ძლივს გასაგონად, წყნარად. უფროდაუფრო მაღლა.

შეწყდა კამათი. აიშალა გრძნობები. სული ჩაედგა სანატრელს. ერთურთში განიბნა წინაპართა სუნთქვა, გულის ძახილი, ჩუმი მოწოდება. მწარე ოხვრად აკენესდა ფარული დარდი. ყველაფერს დაეუფლა იდუმალებით მოცული ხმები, თორმეტი განსხვავებული კილოს ჯადოსნური შეხმატკბილება, თორმეტის შეზავებული სინარნარე და ეშხი, თორმეტის ერთადქცეული თავბრუდამხვევი ფშვინვა და ფრთონა.

იასეს აფორიაქებდა ქარიშხალთა მუქარა და ქართა სევდა. სისხლს უმღვრევდა ჩუმი მოწოდების ჰანგები. გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა.

— დაასხით! — ბრძანა მანანამ, როცა სიმღერა მიწყდა, — თავისუფლებას გაუმარჯოს!

წამოდგნენ. ხელაპყრობით ასწიეს თასები და შესვეს.

წუთით ყველამ თავისთავთან მარტო დარჩენის წყურვილი იგრძნო. დუმილმა დაისადგურა. ისხდნენ გარინდებით, უფიქრელად და სასოებით.

— სოლომონ, თვალნი აღმევსენ ცრემლით. ეს წუთი არ განმეორდება. — უთხრა ალექსანდრე ორბელიანმა რაზმაძეს. — ხარ მგოსანი ქებული, გაწვრთნილი ბატონიშვილებთან, უძღვენ მუნასიბი რამ ამ თორმეტს მშვენიერს ქართველს. დარჩეს ეს დღე და ეს სიმღერა უკვდავად.

— გვითხარ, გვითხარ, სოლომონ! — ერთხმად ემუდარნენ ქალი და კაცი.

რაზმაძეს იამა მათი მუდარა.

ჩანს, სამშობლოშიც იცნობენ მის ლექსებს! მაგრამ ეს ხომ მთელი თბილისის ნაღებია! რომ არ გამოუვიდეს?!

— გაბედე, გაბედე, სოლომონ! გვითხარ ერთი რამ შენებური!

ვეღარ გაუძლო. ჩანაფიქრი თითქოს თავისით გაჩნდა. განმარტოებით დადგა და კრთომით დაიწყო.

„დიანას მეჯლიში!“

...აჰა, გადმოხდა მუნით დიანა,
აღმკული ნაზად, პირად მზიანა,
ნათელიანი, ზეფირებ რხევით,
და განახათლა ივერთა არე.
მუნ შეყრილ იყვნენ ტურფად მორთულნი,
რომელთ მოუკლავსთ მრავალნა გულნი,
ივერიელნი მნათობნი ქალნი,
ჰაეროვანნი პალადას დარნი.
დიანას სახე მათ რა იხილეს,
მივიდნენ ნაზად და მიესალმნენ.

გაისმა ტაში! შეძახილები.

— ყოჩაღ, სოლომონ!

— სიტყვა გიკურთხოს!

გამხნევებულმა მგოსანმა ცალ-ცალკე წარმოთქვა „თორმეტი მშვენიერი ქართველი ქალის“ სადღეგრძელო, რომლებშიც მათი სახელები ზმით იყო განცხადებული.

თითოეულ ზმას პოეზიის ეს უეშმარიტი დამფასებლები აღტაცებით ხვდებოდნენ.

აწ კვალად იამე
სოფლისა სიამე
მერე გინანაონ მუზებმა ნ ა ნ ა
შესვი? გაამოს!
ნეტა მას რაღა სურს ამა სოფელსა,
რომელმ ა ი კ ო ნ ა ეს ვარდის კონა,
შესვი, რისთვის ფარავ ბროლისა ყელსა?
შესვი? გაამოს!

დიანას ნებით, ამურმა შესვა ყველას საღმრთო ალი, მოუწოდა იუნონას, მზე მოჰფინოს საქართველოს.

ლექსმა უცებ წაშალა რიდი და უნდობლობა. რაზმაძემ ძველ-ნაცნობ-მეგობრებში იგრძნო თავი. დიმიტრი ბატონიშვილთან საუბრები გაახსენდა.

— თქვენ ეს ჩვენი სათამაშო შეთქმა გიკვირთ, რუსეთში კი რა ხდება! — აშკარად განწყობილების შესანარჩუნებლად წამოიწყო ელიზბარმა. — დიბიჩი საქართველოში თავისი ცელქობისათვის გადმოიყვანეს. პეტერბურგში საეკვო კუპლეტებს მღეროდა და ტრაქტირში ხელმწიფის ქანდაკება წაუქცევია.

— იმ დროს მეც იქ ვიყავი! — სიტყვა ჩამოართვა აგზნებულმა სოლომონ რაზმაძემ. — ბუტურლინმა და დიბიჩმა ხუთი ბუთილკა შამპანსკი ჩაყლაპეს. მაშინ დიბიჩმა ფანჯარაზე იმპერატორის ბიუსტი შენიშნა, მივიდა, რამდენჯერმე ცხვირზე თითი წამოჰკრა და ხარხარს მოჰყვა. ცხვირზე სცემდა და ყველას გასაგონად გაჰყვიროდა: ა, ნიკოლუშკა, ნიკოლუშკა! დამაცა, ცინგლი უნდა მოგწმინდო! ბუტურლინმა დააელო ხელი სუფრის დანას და ჩაარტყა ბიუსტს თავში: „ეს რილეევისთვის!“. „ეს პესტელისთვის!? — ...ხუთჯერ ჩაარტყა და დაამტვრია.

— აი, ბატონო, გრაფები არიან, ოფიცრები და ისინიც კი ჩვენზე უფრო ებრძვიან მთავრობას! — კვერი დაუკრა ჩოლოყაშვილმა.

— გრიგოლ, ამ გახსენებაზე, შენი ნათარგმნი „ნალივაიკოც“ წაგვიკითხე! — სთხოვა ორბელიანს ელიზბარმა.

— არ გვინდა ამდენი ლექსი! თორე, რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად!

— შენ წაიკითხე და თვითონ მიხვდებიან, ლექსია თუ ალესილი ხანჯალი!

— წაგიკითხავთ ერთ-ორ სტრიქონს, ოღონდ, „ნალივაიკო“ არ ვიცი, ეს „გივი ამილახვარის ალსარებაა“ და ბესიკის შეთხზულია!

— ეგრე იყოს!

ერი ღაღადებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად,
მის ჟამით მტრისა სისხლისა ვარ დასათხევად მოსურნე,
და ამა ფიქრით მოცულსა, სახე მაქვს ჰმუხნილ, მრისხანე,
მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიქვნესის,
ჟამი არს, მტერი მამულის მივსცეთ მახვილსა ლესულსა,

მარი, მოძღვარო, მითხარ მე: ვის? სადა? რომელსა მხარეს?
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდიეს?

ატყდა ტაში.

წამოხტა პირველი იასე და გადაეხვია გრიგოლს.

— ეს ნალივაიკო უკრაინის დიდი გმირი და პატრიოტი ყოფილა! — წასჩურჩულა მანანამ ქალებს.

— მაშ, ამის დამწერი მიწაში უნდა იყოს და ეფრემა ლექსებსა თხზავდეს? — შესძახა ვახტანგ ორბელიანმა, რომელმაც ეზოში შემოსული ეფრემაც დაინახა.

— ელიზბარი ჩვენი რილეევია! — თქვა ჩოლოყაშვილმა.

— მე რომ ლექსებს არ ვწერ? ჩვენი რილეევი ალექსანდრე უნდა იყოს! — მიუშვირა ხელი ორბელიანს.

— ალექსანდრე პესტელი ბრძანდებოდეს!

— ჩვენ თანასწორი უნდა ვიყოთ! — თქვა ალექსანდრემ.

— არა! სადაც ყველა ბელადობს და ჯარისკაცი არ არის, საქმე არ გაკეთდება.

დოდაშვილი საუბარში არ ერეოდა, უხერხულად მიაჩნდა ეს ლაპარაკი.

„ისე ხუმრობენ, თითქოს დროს გასატარებლად ვიყოთ შეკრებილნი. დღემდე ვერ გაგვგია, რა გვსურს, და რას ველტვით. საქმის დამწყობი და გამრიგე არ ჩანს. ვინმემ შორიდან შეგვხედოს, დიდ ამბავში ვეგონებით, ნამდვილად არა არის რა!“

— ძმებო! ოთხის წლის წინ ყულფში თავგაყოფილ ვაჟკაცებს გაუმარჯოს! მათი ხსოვნა და მაგალითი იყოს! — წამოდგა ელიზბარი.

— გაუმარჯოს! — წამოიშალნენ და საერთო დუმილში დასცალეს თასები.

ეს სადღეგრძელო დოდაშვილმაც დასცალა და მაშინვე დაჯდა. დიდხანს იგერიებდა მოგონებებსა და ცრემლს. გაოგნებული, ყურს შრუპყრობდა გულში დაფესვილ სტრიქონებს.

შენი სიმების გრძნეულმა ხმებმა
აღგვიძრეს გულში ნუგეში ტკბილი,
და მახვილისკენ გაწვდილმა ხელმა
შეაყღარუნა ცივი ბორკილი.

— ვაჟკაცებს ეადღეგრძელებთ, ჩვენ ვინღა ვართ? — გამოაფხიზლა დოდაშვილი იასეს დაძაბულმა ხმამ.

— ვემზადებით. ერთ დღეს არც იმათ უქნიათ! — დაამშვიდა ალექსანდრე ორბელიანმა.

— აცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო! განა ცხოვრების საფუძველი მოძრაობა არაა?

— ვიკრიბებით, გზებს და საშუალებებს ვეძებთ, არ კმარა?

— დიმიტრი ერისთავი „მანიფესტის" შენიშვნებსაც წერს! — დაუმატა ვახტანგმა.

— მაგ თქვენი ქაღალდებით აღებულ ქალაქში მე ნუ შემომიშვებთ! — მწარედ გაეცინა იასეს.

— მაშ, ახლავ რა ვიღონოთ, რომ ჯერ ერთი აზრიც ვერ გვიპოვნია და დასებად დავყოფილვართ! ზოგს ალექსანდრე უნდა მეფედ, ზოგს — თამარი, ზოგს ბაგრატი. მუხრანსკებს თავიანთთვის გადაუწყვეტიათ ტახტი.

— ეს ყველაფერი ქიმერაა! — თქვა დოდაშვილმა.

— ქიმერა რა ლექსი გახლამსთ? — ცოტა ირონიულად ჰკითხა ალექსანდრე ორბელიანმა.

— ქიმერა არის ნაყოფი ჩვენის წარმოსახვისა, რომელსაც არ მართავს არც გამოცდილება, არც საღი განსჯა, არც ვარაუდი, მოკლებული ყოველგვარ საფუძველს.

— შენ რას გვირჩევ, სოლომონ ივანიჩ?

— საქართველოს განთავისუფლება მე იმისათვის კი არ მსურს, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს აქა, არამედ იმისათვის, რომ საქართველო შეიქმნას რესპუბლიკის მაგვარი რამ.

— ეს ოქროპირ ბატონიშვილისგანაც გამიგონია, დიახ, ბატონო ჭართველებო, გვითხრა მან. ეცადეთ, გამოიხსნათ საქართველო! საქართველოს თავისუფლება მე იმისათვის კი არ მწადია, რომ აქ რომელიმე ბაგრატიონი გამეფდეს, არამედ ჩემი სურვილია, საქართველო რესპუბლიკად იქცეს. — თქვა ელიზბარმა.

— „ეს სხვაა!" — შეფიქრიანდა დოდაშვილი.

— წავიკითხე ერთი წიგნი და ფიქრმან ნოეგოროდისათვის არ დამაძინა დიდხანს. გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი იმათი მმართველობა. — ნაღვლიანად თქვა გრიგოლ ორბელიანმა.

— რუსეთის მთავრობამაც რომ ინებოს, საქართველოს მეფობას

ვერც ერთი ბატონიშვილი ვერ შეძლებს. მაინც რესპუბლიკური მმართველობა აჯობებს.

— მაშინ შენ რას გვირჩევ, სოლომონ ივანიჩ? — ცოტა ირონიულად ჰკითხა ელიზბარმა.

— შევადგინოთ სალიტერატურო საზოგადოება, განვრცელებისთვის ცოდნისა და მწერლობისა.

— ჯერ ხნობით არც ეს იქნება ურიგო, თუ მამულისადმი სიყვარულს განაძლიერებს. — დამთმობად მიუგო ალექსანდრე ორბელიანმა.

— შენ ფორმა და კანონი კარგად იცი. — უთხრა ელიზბარმა დოდაშვილს. — გამოეცი გაზეთი და ჟურნალი. ფულით შეგეწევით, ხელისმომწერებს გიშოვით. აქამდე ქართული გაზეთები იმიტომ ვერ ვრცელდებოდა, რომ მთავრობის საყვირია და ხალხს ეჯავრება. თუ ეს იქნება ხმა ივერთა მამულისშვილობის გამოხმობისათვის, არც ერთი ქართველი უარს არ იტყვის.

— თუ შემეწევით, დასაბეჭდი ბევრი ჩანს. — სახე გაუბრწყინდა დოდაშვილს. — ჩვენის სოლომონ რაზმაძის „დათვი და ცხვარი“, „ფარისი“, მისგან თარგმნილი პუშკინის „ღიშპანური სიმღერა“, „ლხინი“ და სხვანი მრავალნი.

— ვაჟკაცნი შეგირდებად ვიქცეთ? — ენა დაება იასეს.

— მაშ, მოუმზადებლად რა საქმე ყოფილა! — მიუგო ალექსანდრემ.

— მაშინ ჩემის ხარჯით ერთს მივარდნილს ადგილს სახლს ვიქირავებ და იქ შევიკრიბოთ, მორიგეც დავაყენოთ! — თქვა იასემ.

— უმჯობესია, ნადიმის მიზეზით, ხან ერთთან, ხან მეორესთან შევიკრიბოთ! — თქვა გრიგოლმა. — ერთმანეთს ლექსები წავუკითხოთ, სწავლაზე და ჟურნალ-გაზეთებზე ვიბაასოთ, სხვაც მოვიფიქროთ.

— ეს დაწყობილობა იასეს და სოლომონ ივანიჩს ვანდოთ! — თქვა ალექსანდრემ.

— ხშირად ამ ჩვენს ბაღში ჩვენთვის კოკობად დავსხდეთ, ლამაზი პური ვჭამოთ და საქმე გავარჩიოთ. — მხიარულად დასძინა უახტანგმა.

— შევფიცოთ, რომ სულის ალმოსვლამდის არ ვუღალატებთ ერთმანეთს! — წამოდგა ელიზბარი.

— მშობლის მამულის სიყვარულით ჩვენი თავი აღარ მოვასვენოთ ამ საქმეში! — სიტყვა გააგრძელა ალექსანდრემ.

— ვისაც ჩვენ გაეუმჟღავნებთ, მხოლოდ მთქმელმან და იმ ერთმან უნდა იცოდნენ ერთმანეთი და სხვამ არავინ! — შეახსენა ელიზბარმა.

— ნაწერი არაფერი არ ვიქონიოთ, რათა არ ჩავვარდეთ!

— წერილისათვის მოვიხმაროთ ეს საიდუმლო ანბანი. — გაშალა ელიზბარმა ალაგ-ალაგ ამოჭრილი საფოსტო ქაღალდი. — ამას წერილზე დავდებთ და წავიკითხავთ, რისი წაკითხვა სხვას არავის შეეძლება. ვერც მთავრობა და ვერც მტრები ვერას გაუგებენ. ამ გარდიგარდმო ხვრელებში იწერება მთელი სიტყვა. როცა ამ ფორმის მეორე სუფთა ქაღალდს დავდებთ, ამოჭრილ ადგილებში ჩავწერთ, რაც გვინდა, მერმე, ამას მოვაცილებთ და უკვე სხვა სიტყვებს ჩავწერთ. ვინც არ იცის, როგორც ჩვეულებრივ წერილს, ისე წაიკითხავს. ჩვენ კი ჩარჩოს დავადებთ და როგორც საჭიროა, ისე წავიკითხავთ. თუ საიდუმლო ნიშნის გასაღები ჩაუვარდესთ, დავიღუპებით.

— წამი ესე არ დამავიწყდების, ვიდრე ვარ ცოცხალ! — აღტაცებით შესძახა გრიგოლ ორბელიანმა.

— მცირეს ერს მხოლოდ სულის ერთობით ძალუძს თავის გადარჩენა. — გადაეხვია ელიზბარი. — წაგვიკითხე კიდევ „ნალივაიკოდან“!

— რამგამა იყოს საშინელ, სატანჯველ ჩემთვის ეს ცოდვა,
თუკი მით თავისუფლება მამულსა უკმოქცევა,
ეს საიდუმლო, რაიც ვთქვი, ოღონდა აღესრულოსა,
ცოდვანი თათართ, ურიათ, მზათ ვარ მოვიღო ჩემს სულსა,
ვის არ ერჩივნოს ტყვეობას სიკვდილი მამაცეული.
ქედმოდრეკილი უღლის ქვეშ, სიმწრით დღეთ თვისთა ვინ
სწყევლა?

ეცა პირველი სოლომონ რაზმაძე, გადაეხვია და გადაკოცნა. მისცვივდნენ სხვანიც.

— გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება! —

სიმღერის ხმაზე შესძახა გრიგოლმა.

— აქ ქვეყანა გვიყურებს, შეიძლება, ვინმე მესტუმროს, წავიდეთ ისეთს ადგილს, საცა საფრთხე არაა, ვილაპარაკოთ. — თქვა ალექსანდრემ.

— ნერსესის ქარვასლაში!

— ავლაბრის ტრაქტირში!

— გარეთუბნის ბაღში!

— ორთაჭალაში!

— ნემცების ლუდხანაში!

ამოირჩიეს ბეზირგანოვის ტრაქტირი, ავლაბრის ციხის მახლობლად, ნავთლუღის გზაზე. მიჰყვნენ მტკვარს ნაპირ-ნაპირ, როცა სიონში საღამოს ლოცვა დარეკეს. მომხდარით ისე იყვნენ დაძაბული, რომ პირველ საგუშაგოსთან მისვლამდე ხმა არ ამოუღიათ.

ტრაქტირში დუდუკმა და საზანდარმა გულს დარდი გადაუყარათ. უკანა ოთახში დასხდნენ. მოითხოვეს შამპანური, ისე, რომ თვლა აღარა ჰქონდა.

განაგრძეს ლაპარაკი.

— მაშ, ყაზი მულას ოდენაც აღარ შეგვიძლია? — ცხარობდა იასე. — კვირას ხუნძახს დასცემია.

— ჩუმად! — ანიშნა ელიზბარმა მოხელეზე, რომელმაც ის იყო, კარი შემოაღო.

— ეს ბატონები აქაც აღარ გვასვენებენ! — ხმამაღლა თქვა იასემ. — მაგრამ რა ყურს უგდებთ?“ დაასხი, თავისუფლების სადღეგრძელო უნდა დავლიო.

თენდებოდა. ავლაბარში მთელი ღამე ფორიაქობდა ზურნა. ჟღერდა მკვნესარე სიმღერები. ბორგავდნენ მესაზანდრენი და დგაფუნობდა ჰექა-ქუხილიანი წვიმა.

15

ანიტას ჩანაწერი

ეს დღეც განქარდა.

დამიტოვა შენი ნაღველი.

ვდგევარ ფანჯარასთან. მთელი კვირა გზას გავჰყურებ.

არ ჩანს.

შენ კი სტირი, ანიტა! შენი ბალიში ცრემლითაა მორწყული.

არ გრცხვენია შენი ამაყი ცრემლის, მაგრამ არ ეტყვი, მაინც არ ეტყვი არავის!

ის შეიცვალა.

შენ ამჩნევდი ამას. გულჩათხრობილი გახდა.

თითქოს რაღაც უფრო ძვირფასი იპოვნაო. არც გსურს იფიქრო, რა შეიძლება იყოს ეს— შენზე ძვირფასი!

შენ გიყვარს იგი, მაგრამ ისე არ გეწყინება, რომ გაიგო, ყაჩაღებთან შეტაკებაში დაიღუპაო, როგორც ის, რომ, რაღაც გადაუდებელი საქმის გამო, წუთით დაავიწყდი!

საბრალო ანიტა! მარტო რჩები ამ დიდ ქვეყანაზე.

მარტოობა შეგიძლია. გიყვარს მარტოობა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ გვერდით თავდადებული მეგობარი გყავს. მეგობარი, რომელსაც შენზე ძვირფასი არავინ და არაფერი გააჩნია.

შეგიძლია მშვიდად იჯდე ფანჯარასთან, ყურს უგდებდე ქარიშხლის ღმუილს, ურჩხულთა მუქარას, მაგრამ მაშინ, როცა შენი ერთადერთი შენკენ მოილტვის.

იასე!

რად იგვიანებ!

შენს გარდა არავინ მივის. შენი ალერსი მწყურია. შენი თბილი ხელი მენატრება. მარტოობა ჩემს სულს გასასრესად აწვება. მე წინააღმდეგობას ვერ ვუწევ. საშინელ უმწეობას ვგრძნობ. ამ ცუდის მრჩევლისაგან კარგს არას ველი. შენ ერთადერთი ხარ. შენს მეტი არავინ მინდა. როცა მიდიხარ, სულ მარტო ვრჩები. ნუ იგვიანებ! ნუ მტოვებ მარტო!

მთელი კვირაა, სარკეში არ ჩამიხედავს. არ მინდა ჩემი სახე ისეთი ვიხილო, როგორიც არ ვარ.

კართან, კედელს იქით, ყოველგვარი ხმაური ჟრუანტელს მგვრის. ძილში ვკრთი. მეღვიძება. ბალიშში თავჩარგული ვქვითინებ. დაფეთებული ვდგები, გადარაზვა ხომ არ დამავიწყდა-მეთქი. დღეს რა მემართება, რომ ბევრჯერ ღამით, ტყეში, მარტოდმარტო ნაბადზე წამოწოლილს მძინებია. მინატრია, ნეტავ, ბუნებაში, განმარტოებით მაცხოვრა-მეთქი.

შენ იგვიანებ. შენ აღარ ჩანხარ და ჩემ გარშემო საშინელმა

მოწყენილობამ დაისადგურა. მოწყენილია ჩემი სამოსი და სარეცელი.ჩემი სარკე და თმისსატანები. ყვავილჩადებული რომანი და დედისეული ღვთიშობლის ხატი. გული მიკვნესის, რომ შეგძლებია უჩემოდ ყოფნა. ირგვლივ ყოველივეს სევდა დაჰფენია. ნუთუ ამის მიზეზი და ყველაფრის მიზეზი, რაც ჩემს ირგვლივ ხდება, მე თვითონ ვარ!

ია! ეს არ არის ჩვეულებრივი მოწყენილობა. ეს არის ცივ ბნელ, გაუვალ ქვესკნელში ჩავარდნა, საიდანაც თავის დახსნა მუდამ მიჭირს. ვცდილობ, გავთავისუფლდე და კლდეს ვენარცხები.

არ ვიცი, როგორი უნდა იყოს ეს შენი მოლოდინის დღეები! იქნებ გავგიჟდე, ჭკუაზედ შევცდე. დაობლებულს გულზედ ნუგეში და გამხნევება მინდა, თორემ დარდი და მოწყენილობა ბოლოს მომიღებს.

საბედნიეროდ, ეჭვიანი არასოდეს ვყოფილვარ. გულისა და გონების განსართველად გასვლა მწყურია, მაგრამ უშენოდ სად წავიდე! შინითგან ფეხს გავდგამ თუ არა, მაშინვე ჰორაობა უნდა გააჩაღონ.

არ მსურს.

კეთილშობილ ქალბატონთათვის დამითმია აყალმაყალი. დიდი ღამისთევები. ერთმანეთის ჯიბრით გამართული წვეულებები. ეჭვიანობის ტანჯვა.

სიყვარულის გამოცვლა სიხარულს არ მანიჭებს.

მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუ უყურადღებობას ვერ ვიტან და მწველი სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი. არ შემიძლია შორიდან ვაღმერთებდე მამაკაცს.

ჩემი ომები და ლაშქრობანი სიყვარულია.

ჩემი საუნჯე და სასახლეები სიყვარულია.

ჩემი ღმერთი და გმირი სიყვარულია..

მართალი და პატიოსანი სიყვარული.

ცხოველმყოფელი. მოგიზგიზე,ჩაუქრობელი.

მარად ერთი და მარად ახალი.

ყველა ვერ დამირღვევს სულის მყუდროებას.

არ მსურს ყველა გავაბა ჩემი ალერსის ბადეში. არ შემიძლია მორჩილებით და ერთგულებით შევციცინებდე ვისმე.

ჩემი უბედურება ისაა, რომ ამაყი ვარ. უფრო მეტი ის, რომ ამაყი და გულზვიადი მამაკაცები მიყვარს და მათ ჩემს მუხლებთან დაჩოქილს უნდა ვხედავდე.

ვისაც სიყვარულის ღირსად გავხდი, ჩემს გარდა ქვეყნად არაკინ და არაფერი არ უნდა ახსოვდეს. მხოლოდ ჩემთვის უნდა არსებობდეს, სხვა არავისთვის და არაფრისთვის.

იაl მე ამას ვერ ავიტან!

გულგრილობას ვერ მოვითმენ!

ღალატს ვერ გაპატიებ!

ეს ჩემი სენია!

ერთადერთი, რასაც მოვითხოვ, ისაა, რომ ჩემთვის გიჟდებოდეს! მე მისი სახელი და სიმდიდრე არ მჭირდება!

თუნდაც ქვეყანა დაუქცევია, ლუკმა გასწყდომია!

მე კეთილშობილი მეგობარი მინდა, რომელიც მაღმერთებს, და ჩემთვის სიკვდილზე ოცნებობს! მე მეშინია, არ გავგიჟდე, როცა ის, ჩემს მუხლებთან დაჩოქილი, ალერსს მეუღრება. მე მყვარებია, მაგრამ არასოდეს მყოლია ჩემი მბრძანებელი, ჩემი ღმერთი.

იაl შენ ამაყი, მგრძნობიარე და გულკეთილი ხარ.

შენ არაფერი გენანება ჩემთვის. ამიტომ შემიყვარდი. ამიტომ შემიძლია შენს ალერსში გავთავდე.

არავისი სიხარული არ მშურს. ამაყად და გულგრილად ვუყურებ მათ.

ყველაზე უფრო იმის მეშინია, რამე თვალთმაქცობისა და ვერაგობის მსხვერპლი არ გავხდე, საკუთარი თავის დასაცინი არ შევიქნე. სხვა არა მაინტერესებს რა. მე არასოდეს მინახავს თავისთავი. ალბათ, ვერც ვნახავ, მხოლოდ შიგნიდან ვხედავ მას და სწორედ ასეთი უნდა ვყოფილიყავი-მეთქი, კმაყოფილებით ვფიქრობ. ნუთუ არ უნდა ვაღმერთებდეთ თავისუფლებას და უეჭველად ვისმეზე დამოკიდებულნი უნდა ვიყოთ?! ყველაფერზე, თვით სიცოცხლეზეც უარს ვიტყოდი მისთვის.

ჩემი უკმაყოფილების მიზეზები მუდამ აუხსნელი და იდუმალია. ალბათ სხვა სისხლი მიჩქეფს ძარღვებში. იქნებ, იქ არ დავიბადე, სადაც უნდა დავბადებულიყავი.

ჩემი სული ვერ ეგუება ცხოვრებას. ვერ გამიგია, რა შეიძლება ეძიოს ადამიანმა ამქვეყნად, გარდა სიყვარულისა. არ ვიცი, რისთვის გავჩნდი, რა უნდა გავაკეთო, რისთვის უნდა ვიცხოვრო. როგორ მოვთოკო თავისთავი, რატომ და რისთვის დავემორჩილო ბედს.

ჩემი ბრალია?

მე არ ვიხედები არც წინ, არც უკან! მოგონებებით ვერ ვიარსებებ. ყოველ წუთს მჯერა, რომ, აი, სწორედ ეხლა გავჩნდი და აქამდე არაფერი ყოფილა. ჩემი სანატრელი განწყობილება უზრუნველობაა. ყველაზე დიდი სასჯელი ფიქრი და დარდი.

მეშინია მათი.

ღამის სიცოცხლე მომძულდეს ამდენის მარტოობით.

სულ ამაოა!

დე, ნურავის მოვაგონდები!

ია! მარტოობამ შემალონა. მოდი, შენი ალერსი მინდა! განა ასე აღმითქვამდი? განა, ყოველდღე ერთად არ უნდა ვყოფილიყავით?

მოდი! გამომეცხადე! შენი ერთი ხელის შეხება ქვეყანას მირჩევნია!

მშვენიერი საღამოა! საათმა დაჰკრა. დრანსეს მაღაზიაში პარიზული ალბომები და ლითოგრაფიული კოლექციები მიუღიათ.

ცელერიუსთან ბეთჰოვენის ნოტები მოსულა. მარტო ვერ წავალ. შენ უნდა წამყვე, ათასმა მამაკაცმა უნდა მომაშტეროს სულელური თვალები. მე ეს არ მსურს!

სად დამეკარგე!

კუმისის სამება მომნატრებია!

წამიყვანე!

ჩუ!

ღმერთო, დიდებულო!

ღამის სიჩუმეში ფლოქვების თქარუნი მესმის!

იასე!

ჩქარა, ცხენები!

16

— უჰ, ეს წყეული ფრანგები! უჰ, ეს წყეული ჰოლანდიელები!— აღშფოთებული შეძახილებით შემოაღო დოდაშვილის ბინის კარი ალექსანდრე ორბელიანმა, რომელსაც იღლიაში ამოეჩარა ახალმიღებული „ინვალიდი“, „სენატსკიე ვედომოსტი“, „სევერნაია პჩელა“, „სინ ოტეჩესტვა“. ალექსანდრეს თან შემოჰყვნენ: ელიზბარი, იასე, გიორგი ერისთავი, ანტონ აფხაზი.

სოლომონს არ ესიამოვნა სტუმრების მოსვლა. რომ იტყვიან, თავის მოსაფხანი დრო არ ჰქონდა და ნერვიულობდა.

სასწავლებელში ექვსი გაკვეთილი ჩაატარა. იქიდან სიპიაგინის შვილებთან გამოიარა სამეცადინოდ, „საგამომცემლო კომიტეტის“ სხდომას დაესწრო. კარეტა არ ჰქონდა, ფეხით უხდებოდა ერთი უბნიდან მეორეში სირბილი. შინ მძიმე მშობიარობით დავარდნილ ცოლთან მიეჩქარებოდა, ექიმი პოპეიკა უნდა მიეწვია. პირმშოს მოფერება სწყუროდა, რომელსაც, მამის საპატივცემულოდ, ვანო დაარქვა. რადგან ელენე ველარ ეხმარებოდა, ქიზიყიდან ჩამოყვანილ ცხრა ნორჩთანაც თვითონ უნდა ჩაეტარებინა გაკვეთილი.

ცოლ-შვილთან შესვლა ძლივს მოასწრო, რომ თავს დაადგა თერძი, რომელსაც სერთუკს აკერვინებდა, რადგან პეტერბურგიდან იონას მიერ გამოგზავნილი „კარგის მაუდის“ ფრაკსა და „ბრუკს“ ორი თვე დააგვიანდებოდა, „მაღალს საზოგადოებაში“ ვიზიტისას კი თავის ხანმოთეულ ტანსაცმელში კარს მიუხურავდნენ. სამი გაჭირვებული კაცი მთავრობაში თხოვნის დასაწერად ელოდებოდა და ვერც მათ აცდევინებდა.

როგორც ყოველთვის მას შემდეგ, რაც დაქორწინდა, მეუღლისა და სიდედრის სულიერი მამა, ამიერიდან კი შვილის მომნათვლელი ეფრემა, დღესაც შინ დახვდა. ოთახში შესვლისთანავე, ფეხდაფეხ დასდევდა, ახალშედგენილ პოეტიკის დებულებებს უკრიტიკებდა, „ქილილა და დამანას“ სხვადასხვა სალექსო წყობის გაგებაში არ ეთანხმებოდა.

სოლომონი შეეჩვია ჰამის დროს ეკითხა წიგნი, გაესწორებინა რვეულები, გადაეთვალიერებინა ჟურნალ-გაზეთები, დაეწერა წერილები, პასუხი გაეცა ეფრემას ათასგვარ შეკითხვაზე. მაშინაც კი, როცა ოთახიდან ოთახში გადადიოდა, თავი წიგნში ჰქონდა ჩარგული.

ახლა ყოველ წუთს ელოდა თავის სიმამრს ინჟინერ-არქიტექტორ თედორე ბარიშკინს, რომელიც მთავრობაში წარსადგენად საკუთარი სახლის პროექტს უდგენდა. მაგიდაზე გრაფებად დახაზული დიდი, სქელი ფურცელი იყო გადაჭიმული. ადგილი ყაბახის უბანში გამოუყვეს, მთავარმართებლის სასახლის მეზობლად. იონამ საკმაო თანხა გამოუგზავნა „ლომბარდში დასადებად“.

„ქვემო სართულსა და სარდაფში გავხსნი სტამბას. — აგზნებით

ოცნებობდა. დავბეჭდავ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, სახელმძღვანელოებს, ლიტერატურულ და მეცნიერულ წიგნებს, ჯერ, იონას ლექსიკონს. ზემოთ გავაკეთებ ბიბლიოთეკას ხალხისათვის. აქვე დავაფუძნებ კრედიტორთა საამხანაგო საზოგადოებას. ეს ფრიად კეთილი და სასარგებლო იქნება მამულის საძმო საქმეთათვის. კაპიტალი წელიწადში ერთი ათად იმატებს. თავნი უძრავად დარჩების, სარგებელი ჩვენის ქვეყნის განათლებას მოხმარდება, რაიცა აღადგენს ქართველთა ცხოვრებასა და წარმართავს კეთილად. ავაშენებთ სხვა სახლებსაც, სკოლებს, თეატრს, ჩვენის საკუთარის ხარჯითა და სწავლებით. ვინძლო, უნივერსიტეტსაც... შევიძენთ სხვადასხვა სასწავლო ხელსაწყოებს. ახლა მოწაფეთაგან ვაგროვებ ხელსაწყოთათვის ვერცხლსა და უჭირთ გადახდა. ცოლ-შვილსაც მოვეპატრონები, ამდენმა აყრა-დაყრამ ილაჯი გაგვიწყვიტა...“

ათასი საზრუნავით დაბნეული, მეგობრებს კეთილი ღიმილით მიეგება.

— საქმეთა და წიგნთა შინა ფრიად განრთული ხარ, მაგრამ მოვედით, რათა აგიწიოთ ყური! — სიცილ-ხარხარით გადაეხვივნენ, ყურის აწევით მიულოცეს ვაჟიანობა და ელენეს „ლოგინის ზღვნი“ მიართვეს.

— ნათლი, როგორა გვყევხარ? — მიესალმა იასე ელენეს, რომელთან ერთად, არქიტექტორ დემიდოვის შვილი ჰყავდა მონათლული.

სკამზე მარგალიტის საყურე დაუწყო.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ისე სწრაფად და გულწრფელად შეეთვისნენ ერთმანეთს, რომ მეუღლის ავადმყოფობით შეწუხებულ სოლომონს უმისოდ ყოფნა ძლიერ უჭირდა და ორგანიზმში დაბუდებული თავისი „ბალტიის სატკივარი“ აღარც კი ახსოვდა.

— სულო ჩემო! ექიმ პოპეიკას ხომ არ დავუძახო? — ჰკითხა სოლომონმა.

— არა, ჩემო ბატონო! დღეს უკეთესად ვარ.

— ცოტა და მაისის ვარდივით აბრიალდები! — გამამხნევებლად გაუღიმა იასემ.

— ერთი თხზულება ჩამოვიტანე დიდად სწავლული კაცისა! — ველარ მოითმინა გიორგი ერისთავმა, როცა შუა დარბაზში გადიოდნენ, და სამხედრო კიტელის ჯიბიდან შუაზე გაკეცილი რვეული ამოიღო.

— ვისია? — მიაჩერდა იასე.

— იერომონახის ფილადელფოსისა.

— არ გამიგონია.

— იცნობს მრავალი, ვითარცა კაცსა ბრძენსა და მეცნიერსა, არს იმერი, ნაბრძოლი მტერთა, ერთგულთა მამულისა და ნატანჯი თავისუფლებისათვის. გადმოსული კახეთს და ნაცხოვრები ჩრდილოეთსა. ღირს სამღვდელმთავრო კვერთხისა. იყო აქ ფერიცვალობის ეკლესიაში და გადაიყვანეს შარშან შუამთას.

— შენ სად გაგიცვნია ეს ბერი?

— შარშან კახეთში გარდაიცვალა ბიძაჩემი, კაპიტანი ჩოლოყაშვილი. მე გავაცილე მისი ცხედარი და მთელი კვირა დავრჩი მამიდაჩემთან.წირვაზე მოწვეული იყვნენ მთლად კახეთის საერონი და სამღვდელონი. შუამთის ბერებში ეს ფილადელფოსიც ერია. აქებდნენ, ასეთი ქართული არავინ იცისო. მინდოდა გამეცნო, ყური მიმეგდო მისი ქართულისათვის.

სამ დღეს ვიყავით ერთ ოთახში, ათას რამეს ვლაპარაკობდით. ასეთი ქართული მართლაც ჩემს ცხოვრებაში არა მსმენია. ორი კვირის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა მიცვალებულის წირვაზე და ახლა ექვსი დღე დავრჩით ერთად. ჩიოდა, ჩვენში განათლებას არ ეტანებიანო. ერთმანეთის შუღლში ვართ, სწავლისთვის სად გვცალიანო. გზა და ხერხი უნდა ვიპოვნოთ შუღლის მოსასპობადო.

მე ვუთხარი: „ახალგაზრდობამ განათლება თუ არ მიიღო, შურს ვერ მოვსპობ-მეთქი“.

ამოიოხრა. მე რომ გიმნაზიაში ვიყო მასწავლებლად, ბევრ სიკეთეს ჩავუნერგავდი მოწაფეებსო.

ერთხელ მითხრა, ბევრი თხზულებანი მაქვსო. ერთნაირი ანბანი შევადგინე, ხუცურის მსგავსიო. ამ ანბანით ერთს რასმე შევთხზავ, რომელითაც შეგვიძლია მოვიძიოთ მეგობრები და მოვიპოვოთ მეგობრული სიყვარულიო.

ორმოცის წირვაზე ისევ შეხვდით ერთმანეთს. კახეთში გაზაფხულამდის დავრჩი. აპრილში გზად შევუარე მონასტერში და წამიკითხა ხსენებული თხზულება. ძლიერ მომეწონა, მაგრამ რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული, ისე რომ, შეგეშინდებოდა და ვერ მიხვდებოდი, რატომ შეგეშინდა.

წაუკითხე თქვენს მეგობრებსო, — მითხრა. — შემატყობინეთ, რას იტყვიანო.

იქვე ვნახე, რომ ამ ბერს მონასტრის ეზოში მზის საათი მოუწყვია და მრავალი სხვა.

ნაამბობმა ყველა ჩააფიქრა. რაღაც წარმოუდგენლად მოეჩვენათ კახეთში ასეთი ადამიანის არსებობა.

— ჩემს მეგობარ ფრანგ ოდიესთან ბეჭედიც მინახავს, ზედ გამოხატულის ბონაპარტეთი! — მისტიკურ ბურუსში წამოაბოდა იასეს.

— ვიცი ეს ბერი, ერთი საოცარი ოყლაყია! — თქვა ანტონ აფხაზმა.

— მას თურმე ალექსანდრე ჭავჭავაძეც სწერს წერილებს! — დაუმატა გიორგი ერისთავმა.

სოლომონს ვერ გადაეწყვიტა, გაემხილა თუ არა, რომ ფილადელფოსი მეზობელ ოთახში იმყოფებოდა.

სოლომონს სთხოვდა, სადმე საღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშვნაში დახმარებოდა.

ერთი თვის წინ შუამთაში ეს წერილი მისწერა: „უსაყვარლესო მეგობარო, ფილადელფოს! ორივე მოწმობა თარგმნილი რუსულად ორშაბათს მივართვი, წაიკითხა და ჰსთქვა: „Очень хорошо!“ უნდა წარვადგინოვო. შეიტანა შინ და სტოლის წინ დაიდვა. ვჰგონებ, შალე წარგადგინოს. მეც ვსთხოვე და აწ რა ვუწყი. სიღნაღს წასვლა, არ ვიცი, სწორედ ოომელს რიცხვში მოგვიხდება, ვჰგონებ, ივნისში წარვიდე. შენი უერთგულესი მეგობარი სოლომონ დოდაშვილი.“

გუშინ თბილისში მისი ჩამოსვლა რომ გაიგო, შინ მოიპატიჟა: „მცირედ შეუძლოთ გახლავარ და ამისათვის არ ძალმიძს ხლება. უკეთუ ინებებთ და თქვენ აქ გამობრძანდებით, დიდად დამავალებთ და სასიამოვნოდ გავატარებთ დროსა“.

— ცოტა რამ საქმე მაქვს! — მოუბოდიშა სოლომონმა სტუმრებს და გვერდით ოთახში გავიდა.

ბერს წინ წმინდა სამორინე ედგა და მაცხოვრის ხატის წინაშე პირჯვარს იწერდა.

— ძმაო, ჩემს მეგობრებს თქვენი გაცნობა სწადიათ!

— რუსულად ჩაცმული რომ არიან?

— სულ ჩვენი მეგობრები და მათთან თქვენი მოწაფე გიორგი ერისთავი.

ფილადელფოსი მაშინვე გაჰყვა და შეკრებილთ მოწიწებით წარუდგა.

სათნოებით გაბრწყინებული, ახოვანი კაცის დანახვაზე უნებლიეთ წამოიშალნენ და თავი მოიდრიკეს.

— გმადლობ შენ, კეთილგონებიანო, რომელმაც შემაკავშირე კეთილთა გვამთა, და მომეც მოძღვრად ფილადელფოს! — ხელს ეამბორა გიორგი ერისთავი.

— რომელმანცა მზადმყრ შეწირვად მამულისა ანუ სასარგებლო წევრად საზოგადოებისა! — განაგრძო ელიზბარმა.

— ვგონებ, მიწყრებით, და ფიქრობთ, ეს რა პლურტი ჩავიგდე ხელშიო! — ღიმილით უთხრა გიორგიმ.

— ნუ ამბობ, მიმიღია წერილი შუამთას ჩვენის ანბანით.

— მამაო სულისა ჩემისაო! — თქვა ანტონ აფხაზმა. — წამიკითხავს თქვენი „სიყვარული სამშობლოსადმი", „გოდებანი იერემიასანი", გარდმოგვცეენია ცრემლნი ცწუხარებისანი და გვითქვამს ამაზედან, ვითარ შესძრავს მამულის ვაება კაცის გულსა,ჩანს,` დიდი უბედურება გარდაგხდენიათ თავს.

— ჩვენს ჟამს უბედურება ვიღას უკვირს და სიმბირიც ოხვრით მაგონდება, გარნა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ისე არაფერს მოუკლავს გული ჩემი, ვითარცა ერთს უბრალო შემთხვევას:

პატარა ბიჭი ვიყავი, ჩვენს გასაგონად ვიღაც ოფიცერმა თავის ამხანაგებს უთხრა: „ეს საძაგელი ქართული უნაგირი! თეძოები ჩამილეწა". უნაგირი მართლაც საშინელი იყო. ქართულიც იყო, მაგრამ მისმა სიტყვებმა მაინც გული მომიკლა და სამუდამოდ დამრჩა ხსოვნაში.

— ბერები რა სახმარნი არიან, სულ ერთიანად სალდათად უნდა გაიყვანონ! — თვალი ჩაუკრა ალექსანდრე ორბელიანმა ელიზბარს.

ფილადელფოსი მიხვდა, რომ ეხუმრებოდნენ, მაგრამ ბერებზე ოხუნჯობა მაინც არ მოეწონა.

— ჰოი, მამაო ზეციერო! — აღაპყრო ხელი. — გმადლობ შენ, რამეთუ მომეც გრძნობა და განრჩეულ მყავ პირუტყვისაგან.

ბერობის წესით, ჯამაგირი მაქვს, წელიწადში ექვსი თუმანი და ვცხოვრობ ამით.

— მამაო, გეცოდინებათ, ჩვენს საქმეზედ რას ფიქრობენ კახეთის კეთილშობილნი? — აენთო იასე.

— ბევრი აღგვითქვამს მეცადინეობას და გულსმოდგინებს. აღდგომას აბელ ჩოლოყაშვილთან აივანზე ვსეირნობდით. დიდად ღელავდა. ოხრავდა.

— რა გაწუხებთ, თავადო? — მივმართე მე.

— როგორ არ ვიწუხო, რომ ასრე ბნელ და ბრიყე ხალხად გვთვლიან. სიკვდილი უმჯობეს არს.

— სხვა რა იქნება, თუ გულ-ხელი დაგვიკრეფია?

— მაშ, რა ვქნათ? — შემხედა გაკვირვებით.

— უნდა მოიმხროთ ფშავ-ხევსურნი, რომელთაც ასე უყვართ.

— ოღონდაც გვეშველოს რამე, და!

— ძნებო! — თქვა გიორგიმ. — ვითარცა მოგეხსენებათ, მამა ფილადელფოსმა შეადგინა ერთგული და საიმედო მეგობრობის აქტი.

— ვმადლობ ღმერთს, რამეთუ ახალგაზრდათ დაებადათ ასეთი ღვთისმოსაწონი აზრი.

— მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლია აღმოვფხვრათ ურთიერთ მტრობა, რაიც ძველთაგან მოგვედგამს და ეკმსახუროთ მამულს.

— საჭიროა რაღაც სახელმძღვანელო, რომელიც ძალას მისცემს ჩვენს მეგობრობას. — თქვა აფხაზმა.

— დე, გვიშუქებდეს ნაყოფი სულისა თქვენისა! — აღტაცებით შესძახა ფილადელფოსს ელიზბარმა.

— ნურავის ეტყვით, რომ ამის შემთხზველი მე ვარ! თუ გაიგებენ, ესევითარს გლახაკს დაუწერიაო, არ ექნება ამ აქტს ღირსი პატივისცემა.

— ასეთის ხუცურის ენით ნაწერზე მაინც მიხვდებიან, რომ ბერის შეთხზულია! — გადაიხარხარა ალექსანდრემ.

— თქვენს ლოცვასა შინა დავიწყებული ვიქნე, თუ ძლიერ კილოიანის სიტყვით არ იყოს! — დააშვიდა ელიზბარმა.

— თავად ვიხილე, რა პატივსა სცემს ხალხი, ნამეტნავად თავადებსი, მამა ფილადელფოსს. აბელ ჩოლოყაშვილისას სადილზე შეგვეხვეწა, აგრე მომატებით ჩემს პატივისცემას ნუ აგრძნობინებთ სახალხოდ. მასხარად ამიგდებთ, თორემ არქიმანდრიტები ჩიმზე შურს, აილებენ და მეშინია!

— წავიკითხოთ!

— წავიკითხოთ!

გაშალა გიორგი ერისთავმა „საიდუმლო განუყოფელი მეგობრობის აქტი“ და დაიწყო კითხვა. დანარჩენებმა აღაპყრეს ხელი და ერთხმად იმეორებდნენ ფიცს.

— ჯერ არს, რათა მეგობარმან მეგობრისთვის სული თვისი დასდოს...

და მე ვსდგე გზასა თქვენსა...

წყეულიმცა ვარ, უკეთუ განვაცხადო სხვისა ვისთანმე, გარდა ეკლესიისა...

განვამრავლოთ კეთილმეგობართა რიცხვი და ვიქონიოთ კაეშარი სიკვდილამდე...

დოდაშვილი სასოებით იმეორებდა ფიცის მუხლებს და მეხსიერებაში იღვიძებდა უნივერსიტეტი, დეკაბრისტული „Союз благоденствия“-ს სიტყვები.

— ქიზიყი მივანდოთ სოლომონს და თელავი ფილადელფოსს!— წამოიძახა ალექსანდრემ.

— ერი მის მაზრისა ვიხილე ფრიად მწუხარე და მტირალი, ნახევარი მცხოვრებნი გადაეგნენ სხვადასხვა მხარესა შიმშილის გამო. მებატონენი სჩაგრაენ უმოწყალოდ და არდარა აბადიათ სულს აქეთ არაფერი, უსამართლოდ დაუწერია მეფეს ვახტანგს კანონად: „გლეხის კაცისა სულის მეტი ყველა ბატონისა არისო“.

— მერმე, რა სიავეს ხედავთ აქ? — მიაშტერდა ელიზბარი.

— ისა, რომ სახარებაში გვიწერია: ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა!

— განა, ჩვენ ოფლითა ჩვენთა არა ვსჭამთ? — იკითხა ალექსანდრემ.

— ისინი ჩვენზე ბედნიერნიც არიან, რადგან სოკრატეს უთქვამს, გემრიელი მისი საჭმელია, ვისაც ყველაზე ცოტა მოეპოვებაო. — გაეცინა ელიზბარს.

— რა არის სახუმარო! — მშვიდად მიუგო სოლომონმა. — გლეხკაცი ჩვენში მუდამ მაგალითი იყო. ორი კვირა გორსა და დუშეთს გახლდით, იქაც მწარე გოდება და საცოდაობაა.

— ღმერთი მოწყალეა! — წაიბუტბუტა ეფრემამ, რომელიც საუბარში არ მონაწილეობდა.

— შენი საქმე მეცნიერებაა! — ოდნავ შესამჩნევი ირონიით უთხრა აფხაზმა, — გააცნო ევროპას ჩვენი მდიდარი ლიტერატურა, რომელიც წყვდიადითაა დაფარული მათთვის.

— დავაფუძნოთ „ქართული ლიტერატურული საზოგადოება“, — ურჩია სოლომონს გიორგიმ.

— დაწერე რამე მაგარი ამათ წინააღმდეგ! — იფეთქა იასემ.

— რა?

— ლექსი, სტატია!

— მერწმუნე დრო არა მაქვს.

— მთავრობის რწმუნებებს ხომ კარგად ასრულებ!

— იცით, რომ ამა წლიდან დანიშნული ვარ „ტფილისის უწყებათა“ რედაქტორად. გვაქვს ქართველთა ჩვენი საკუთარი გაზეთი. მაგრამ, თუ არ გამოვიწერთ და არ შევეწევით, მოისპობა და მთავრობას ექნება საბაბი გვითხრას, რომ ვართ ბარბაროზნი და არ ვსაჭიროებთ გაზეთსა და წიგნსა. გავუგზავნე წერილები ბატონიშვილთა, მოაწერონ ხელი. ესთხოვე იონას ხელაშვილს მოიპოვოს პეტერბურღს ოცი ხელისმომწერი.

— ნუ ხარ უხიაგი! — უთხრა ალექსანდრემ. — გვითხარი და მამულისათვის ყოველი ჩვენთაგანი იშოვის ოც-ოცდაათ ხელისმომწერსა, რათა არ მოკვდეს ქართული გაზეთი.

— ყველა შეგეწევით! — მისცეს ხმა დანარჩენებმა.

— თუ დახმარება მექნა, დავაფუძნებთ სტამბას, დავბეჭდავთ სასარგებლო წიგნთა საქართველოსათვის. წესდება ცენზურისა, შედგენილი ჩემგნით, წაიღო გრაფმა პეტერბურგს დასამტკიცებლად. ესეც დაგვეხმარება, გამოვსცეთ ჩქარა.

„ეს იოლად არ წამოისერის სიტყვას. — კმაყოფილებით ფიქრობდა ალექსანდრე. — ამისი სიტყვა უეჭველი საქმეა და ამისი ნაბიჯი ნაბიჯია. რაც ეს საქართველოში ჩამოსულა, ყველაფრისთვის თავისი ნიშანი დაუჩნევია“.

სოლომონის დებმა ჩაი და პუნში შემოიტანეს.

— ჩვენს საქმეს უფრო დიდნი ქართველნი უნდა შემოვუმატოთ, — თქვა ელიზბარმა.

— მე ადვილად შემიძლია მოვიმხრო სტატსკი სოვეტნიკი იაგორ ჭილაშვილი, — თქვა ანტონ აფხაზმა, რომლის მამა, ივანე, გაელენიან გენერლად ითვლებოდა.

— მე მას ვერ ვენდობი! — ცივად მოუჭრა ელიზბარმა.

— რატომ? რაკი პეტერბურგში უსწავლია და პროკურორად არის, განა მკერდში ქართული გული აღარ უძგერს?

— ლეტელიე სულაც ფრანგია, მაგრამ პირველი ჩვენი თანამგრძნობელი და გამხალისებელია. — თქვა ალექსანდრემ.

— ვერ გამიგია, საიდან იცის ამ ფრანგმა ქართული ენა ასე კარგად, რომ წიგნებსაც თარგმნის! — ფარული ეჭვის კილოთი წაილაპარაკა ეფრემამ.

— გენერალ-მაიორ ჰავჰავაძესთან და გუბერნატორთანაც მეგობრობა ჰქონია. — თქვა ანტონ აფხაზმა.

იასე მოთმინებიდან გამოჰყავდა მათ მშვიდ, უვნებო საუბარს. მის აბორგებულ გულს ლამის ამოეგლიჯა ფიქალი მკერდი, რათა ყველაფერი დაელეწა და ამოეგდო.

— უსაქმო ლაპარაკს სჯობია, დაწერო ვაჟკაცის ფიცი და მთავრობის დამანგრეველი ლექსი! — გააევებული სახით მიახალა დოდაშვილს და ჯიბიდან ამოიღო ლურჯ თაბახზე დაწერილი თავისი ლექსი, — აი, ამან მოახდინა იმერეთის ჯანყი!

— საკვირველი კაცია! —.წასჩურჩულა ალექსანდრემ ელიზბარს, — მე მეშინია მისი, მაგრამ ვაღმერთებ. არავინ ასე არ ვიწვეით საქართველოსთვის.

— არც ამგვარი სიგიჟე გვარგია! — ჩაერია ანტონი.

— დღეიდან ჩვენ შეფიცული მეგობრები ვართ, მეგობარი კი ისაა, ვისაც შეუძლია უყვარდე, მიუხედავად შენი ნაკლისა და შეცდომისა. მე ვერ ვხედავ მის სიგიჟეს.

— გეთანხმები! — ჩუმადვე უპასუხა ელიზბარმა. — ამ საქმეს დაუფერებით მთქმელი უნდა, თორემ, ვისაც გონება აქვს, გული არ გააჩნია და ასე რა გამოვა.

— ლექსი ფილადელფოსს დაუწერია! — თქვა სოლომონმა.

— წაგვიკითხე!

— წაგვიკითხე! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

ბერს ყოყმანი არ დაუწყია. ქარაფად აღიმართა და ჭუხილად იქცა:

სკვითთ წაგვაჭთვეს მთლად ქვეყანა,
არც კი მოგვცეს კაცი ერთი,
ქართლ-კახეთსა არ დასჯერდნენ,

ზედ დაიდვეს იმერეთი.
მწირობაში დავგლახაედით,
შემწე არ გვყავს არცა ერთი,
შევსთხოვთ ზეცას სამართალსა,
ვნახოთ, ვითა განსჯის ღმერთი!

საერთო ტაშისცემაში იასე წამოხტა, თითქოს, მთა მთას შეუერთდაო, გაოგნებით გადაეხვია ბერს.

სოლომონს დარდი ეძალებოდა.

ფიქრი ფრთაგამალებით მისდევდა ფიქრს. ოცნებანი ტალღებად ეხეთქებოდნენ გაურკვეველობის ბურუსს.

ამ დროს მარტოსულობის განცდა და თავდავიწყებული შრომა ესალბუნებოდა. ღამის მყუდროებაში სანთურიც ნაზად, მეტის ეშხით მღეროდა. გონებაც უაღრესად სწვდებოდა იდუმალს.

ახლა, შუაღამე რომ გადავიდა, მოუსვენრობა დაეტყო. უნდოდა, მეგობართათვის არაფერში ტოლი არ დაეგდო, მაგრამ ფიქრით იქ აღარ იყო.

წიგნის, ქაღალდის, სტამბის საოცარი სურნელი თავბრუს ახვევდა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარს სტაცებდა.

ხან თავის ახალ ტიპოგრაფიაში დაჰქროდა, მისი ნიმუშით შედგენილ მშვენიერ ქართულ შრიფტს შეჰხაროდა. ხან ამ სტამბაში დაბეჭდილი იონას ლექსიკონი ელანდებოდა.

საწერი მაგიდიდან შარშან დაწყებული რომანის „ელენას“ ფურცლები ეძახდნენ და აუტანელი ტანჯვით აგრძნობინებდნენ, რომ მწერალს არაფერი ისე არ სწყურდება, როგორც ჩაფიქრებული ნაწარმოების დასრულება. თვალწინ წრიალებდნენ ამირანის, ომანის, ელენას სახეები. ხორცსა და სისხლს, სულსა და ვნებას ემუდარებოდნენ, საკუთარ სიცოცხლეს სთხოვდნენ. საიდანღაც სტიქიურად იბადებოდნენ ფრაზები, დეტალები, პასაჟები და მას პანიკა იპყრობდა, რომ შეიძლება ისინი სამუდამოდ გამქრალიყვნენ, მათი მსგავსის აღმოჩენა კი აღარასგზით აღარ მოხერხდებოდა. აგზნებით, შიშით იმეორებდა ამირანის აღსარებას, რომელიც გადამწყვეტ მომენტში უნდა ეთქვა: „თუ შენ ჩემი არ იქნები, მაშინ დავტოვებ მა- მულსა ჩემსა. და ვეძებ სადღაც უცხო ქვეყანაში ბრძოლის ველზე სიკვდილს“.

„უბედური ქალი ხელს უწვდის სატრფოს, ცრემლით ასველებს და მიიკრავს გულსა ზედა თვისსა“.

თაროზე „ეინეურას“ დაუმთავრებელი თარგმანი ელოდება. სულს მისი სწორების სიხარული ელამუნება: წუნარიც და გიჟურიც. სიტყვის მიგნებათა მშვენიერებით, სიზუსტის ჰარმონიით. ამბავი ძველისძველია. მოქმედება იტალიაში ხდება. მკითხველს ეს ფერები უნდა აგრძნობინო. თავისთავიც შეინარჩუნო. ჯერ ახალი პროზის ქართული არ გვაქვს. ძველი უადგილოდ გეჩვენება. რაღაც უნდა იღონო, იწვალო, იტანჯო. სული რომ შეუნარჩუნო, ახალი სული, ქართული სული უნდა ჩაუდგა.

— სოლომონ! — მხარზე ხელი დაადო ალექსანდრემ. — მითხრეს, პეტერბურგს აპირებ წასვლას.

— სამი-ოთხი თვით ძმასთან მინდა წავიდე. სხვა საქმეც მაქვს.

ცოტა ხნის წინ ადამ ღირსიაშვილს სთხოვდა: „შემიტყვე უნივერსიტეტში იაკობ კრუპსკი, რომელიც იყო სტუდენტად, სად არის, ვითარ სცხოვრობს და ხომ არ მიდის ფრანციაში?“

17

დღეს, მოწაფეთა კლასიდან კლასში გადაყვანის საზეიმო აქტზე დოდაშვილი სიტყვით გამოდის.

სიხარულით მიწაზე ფეხს არ აკარებს: სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა.

ეზოსა და მიმდებარე ქუჩებში ხალხი ფუსფუსებს.

მასწავლებლები. მთავრობის მოხელენი. მშობლები.

ვისაც მამულზე გული შესტკივა.

ვისაც მომავალი სწამს.

ვისაც განათლების იმედი აქვს.

სადღესასწაულოდ გამოიყურება ლამაზი ორსართულიანი შენობა. ვიწრო, მაღალი ფანჯრები. მოჩუქურთმებული სვეტები. ღია. ნათელი ოთახები.

ბრწყინავს დაკრიალებული ეზო. ახალ ნერგებთან მიდგმული ლურჯი ძელსკამები.

თავის გაზეთში სოლომონმა ეს ამბავი გამორჩევით აუწყა თანამემამულეთ.

„საქმე წინ მიდის! ხელმოკლე მოწაფეთათვის პანსიონი გვაქვს!

ბიბლიოთეკა განვამდიდრეთ! ვინძლო, სტამბაც შეექმნათ სახელმძღვანელოების, დამხმარე წიგნების საბეჭდავად!“

ღირსებისა და მდგომარეობის მიხედვით დანაწილებული სტუმრები ახალ ამბებს ჰყვებოდნენ.

— ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეგერთა პოლკის შტაბს კაპიტანი მურაჩოვისგან ხუთასი მანეთი პროცენტით უსესხნია.

— რა დრო დადგა!

— მამაცაშვილი მაჩაბელს ქალსა სთხოვს.

— რა მოხდა, ბიჭიც კარგია, ოჯახიც კარგი აქვს.

— ანდრონიკაშვილისთვის პოლკოვნიკობა უბოძებიათ.

— თავად ვნახე, ერთ თათრის ფაშას ისეთი გაადო ხმალი, იქნებ, საიქიოსაც მოაგონდეს!

— ნეტა ყაჩაღები ემაგ იოანე კერესელიძეს რაღას ერჩოდნენ, რო ასე უღვთოდ მოუკლავთ თიანეთში?!

— საწყალს მეორე დღეს კი შეეძინა ვაჟი!

— ამბობენ, პეტერბურგიდან რომ ვინმე მეხანიკ-გიდრავლიკი მერკელი ჩამოიყვანეს, ისეთ წისქვილს აკეთებს, სულ ქართლ-კახეთს ეყოფაო.

ერთადერთი კაკლის ხის ქვეშ ყველაზე მეტ ხალხს მოეყარა თავი, უმთავრესად მაღალ საგნებზე ლაპარაკის მოყვარულთ, რომელთა შორის ეფრემა და ერმოლოზიც იყვნენ.

— მე დიდად ვმადლი ღმერთსა, რომ ამ გაჭირვების ჟამს მოგვიელინა ქართველთა უფალი დოდაშვილი. ესეითაური სწავლული ამა საუკუნესა შინა ჯერ არავინ გვიძს. და ვერცა ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან, რომელ ასე ეძიებდეს სარგებელსა მამულისასა. წყალობითა მისთა მოგვეცა მთავრობისაგან გიმნაზიაც.

— ნეტა რა ეგეთი საქებარია!

— ასე გვჩვეოდა ქართველთა, ჯერ კაცი არ მოსულა, და ცამდე აგვყავს.

— ბევრისგან გავიგონე, მწაკე და ამპარტავანიაო!

თითქმის ერთად წამოიძახა რამდენიმე დამსწრემ, რომლებმაც სხვის ქებაზე თავიანთი თავი დამცირებულად და შეურაცხყოფილად იგრძნეს.

— კი არ უნდა გვეწყინოს, ოდეს მოკეთესა ჩვენსა ღირსებისა-

მებრ თეისისა განვადიდებთ! — გაჯიქდა ეფრემა, რომელსაც ყვრიშალებში ამოუცნობი ირონიული ჩრდილი უთამაშებდა.

— თქვენ თუ გიყურეთ, ყოველ წელს ორი-სამი ქრისტეს გამოცხადება უნდა ვირწმუნოთ! — გაწიწმატდა მოპასუხე.

— მაგაზე უთქვამთ, გადარეულიაო. — მოაყოლა მეორემ.

— სხვა რას მასწავლის, რომ მაგის მეზობელი და მოყვარე ვარ! — მეტი აღშფოთებით თქვა ეფრემამ. — ამან ძილი არ იცის და განრთობა.

მის სიტყვებზე ერთმა თვალებგადმობღენძილმა კაცმა, რომელიც მწვარე შურს ვეღარ ერეოდა, სხვა ჯგუფთან გადაინაცვლა.

— რა მალე იცით გაჯავრება! — სცადა ეფრემამ დაემშვიდებინა თანამოსაუბრენი. — სოლომონის ქართულს გრამატიკას მე კრიტიკა დაეუწერე და დავუმტკიცე აქსიომებრ თავისი შეცთომილებანი.

— მაშ, ტყუილისგან რა სიმართლე გამოვა? — ცხვირაბზეკით წაილაპარაკა ერმოლოზამ, რომელიც განგებ მაღალი ხმით ლაპარაკობდა, რათა ძალა ეჩვენებინა.

— აბა, ეს რა გრამატიკაა? „სიმდიდრე ენისა არს სიმდიდრე გულისხმისყოფისა!“

— ხა, ხა, ხა!

— ერთხელ კიდევ, თუ ღმერთი გწამს!

— გადაფურცლეთ, საცა გსურთ. აი! „შეერთებისა გამო ლექსთასა წარმოდგების სიტყვა ანუ წინადადება“.

— ხა, ხა, ხა!

— თქვენ აგრე იცინეთ! ამ გრამატიკისთვის გრაფმა ოცი თუმნით კი ვერ დაასაჩუქრა?

— აწიც ნახოს, ის კარგი მამა რომ აღარ ჰყავს! — ჩაიქირქილა ერმოლოზამ.

— სიპიაღინის სიკვდილი მაგის სიკვდილია. — დაუდასტურეს სხვებმაც.

— ორი თვე მაგის სახეზე ნათელი აღარ გვიხილავს.

— მაინც რა მოუვიდა იმ ცხონებულს, რო ამოდენა კაცი ციებცხელებამ გაათავა?

— ტყვილა გგონიათ, სოლომონ ივანიჩი მარტო სიპიაღინით იყო და გრაფი არა სწყალობდეს. რაც ის „ცხენის სრბოლისთვის“ უთარგმნა, ჩვენში ამაზე ჭკვიანი აღარავინ ეგულვება.

— ამ გრამატიკაში შეგირდებისთვის ვერცხლიც დაუცინცლავს! — გამოაცოცხლა ლაპარაკი ერმოლოზამ.

— ეგ როგორღა ყოფილა?

— ყველას შეუძენია მაგის გრამატიკა, თვინიერ მელიტონის ძისა. განრისხებულა, ვითარცა თხათა ზედა ლომი.

— ბარაქალა შვილო! — გამოუძახნია ამას მელიტონის ძე.

— პატონო!

— მამაშენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი ჭირიმე.

— მაშ, რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი, მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არ გქონია, კლასში არ შემოგიშვებ. როგორი მოსაწონი გახლამსთ!

— ხა, ხა, ხა!

— ე რა თქვი, კაცო?

— აბა ისე, ვინ პირძაღლი ავს იტყვის!

— „ქართულის წერის დედანი" რომ შეედგინა, ვუთხარი: სოლომონ ივანიჩ! ვგონებ, ქართულის ხელისათვის საწერად უფრო ლამაზი და მზგავსი რუსულის ხელისა იყოს საეკლესიო წერა და, თუ არ დაიშლით, იმას დავწერ.

— თავი ნათქვამი კაცია.

— მაშ, ვითარმედ შეთხზა სიბრძნე მაღალი ლოღიკისა, ვითარცა სწამებს პჩელაცა ანუ ფუტკროვანი ქარტა? — თავი ასწია ეფრემამ.

— ფუჭსიტყვაობაში ვინ მოუვლის!

— კაი სიტყვაც ძვირად ფასობს.

— ორას თუმნამდის ჯამაგირი გამოუდის, სხვა კიდევ რაღა უნდა?

— არ იცით, რო ორი შეგირდი უნივერსიტეტსა შინა გაგზავნა თავისი ხარჯით? — გაურკვეველი კილოთი თქვა ეფრემამ.

— ვიცით, რისთვის სჩადის ამას, მთავრობას მის მსგავსთა უზრდის. — ჩქარ-ჩქარა მიაყარა სოფლიდან ჩამოსულმა თავადიშვილმა და მაშინვე ენაზე იკბინა.

— თავადო მიხეილ!—შორიდან დაუძახა დარბაისელთა ჯგუფს გამოყოფილმა ალექსანდრე ორბელიანმა და, როცა თავი მიაბრუნა, დაუმატა, — ცოტა სათქმელი მაქვს.

ისინი ძველი მეგობრებივით შეხვდნენ ერთმანეთს.

— საჯავახიანო მთისა რა ისმის? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— ეჰ, — ჩაიქნია ხელი მიხეილ ჯავახიშვილმა, — გუბერნატორის მრჩეველი ხარ, ჩემზე უკეთ არ უწყი?

— ვეღარ გაიგე, რომ ამათთან სამართალი ყელგამოჭრილია?

— წაგვართვეს ის ჩვენი მამაპაპეული მთები! — ამოიოხრა მიხეილმა.

— პატიოსანი კაცი ხარ და არ გაგცემ?! — ხელი გადაჰხვია ალექსანდრემ. — ერთი საიდუმლო უნდა გითხრა, რომელზედაც დამოკიდებულია ყველა ჩვენგანის ბედნიერება, ე. ი. ქართველების. ჩვენ გვინდა ამათ თავი დავაღწიოთ.

— ხომ არ გაგიჟდით?

— მაშ, კმაყოფილი ხარ?

— კმაყოფილი საიდან ვიქნები, რომ ათი წელი სასამართლოში მათრევენ!

— აბა, მათქმევინე და მერმე შენი გულისპასუხი მითხარ.

— ქვეყანას ისე გასჭირვებია, რომ სულ საქართველოს თავადაზნაურობა ამისთანა ყოფას სიკვდილს ამჯობინებს.

— როგორ დაგიჯეროთ? — დაეჭვებული მუშტრის თვალით სინჯავდა ჯავახიშვილი.

— ვისაც ამ ხალხში კეთილშობილს ხედავ, ყველა ჩვენი თანამოაზრეა. ათისთვის მარტო მე გამიმჟღავნებია დღეს. ერთმანეთს შეეფიცოთ და ახლა სხვას ნუღარას მკითხავ! ყაბულსა ხარ?

— დრო მომეცით მოსაფიქრებლად.

— ვითარცა ძველ მეგობარს, უკვე გაგენდე და დრო რათ უნდა მოგცეთ?

— რის იმედი გაქვთ?

— ყაზიმულასთან ომის, პოლონეთის და ქოლერის გამო მთავრობა გასაჭირშია.

— განა თათრები და ყიზილბაშები უნდა მოიყვანოთ?

— თათრები რათა, საკუთარი მეფეც გვეყოლება და ჩვენი დარბაზი გვექნება.

მიხეილ ჯავახიშვილი დუმდა.

— ნეკი ნეკს მომადე, ხელი მაგრად ჩამომართვი და იცოდე, ეს არს ნიშანი. განდობით, უჩემოდ, არაეის გაენდო.

პასუხის ნაცვლად, მიხეილ ჯავახიშვილმა მდაბლად თავი დაუკრა.

ალექსანდრე იქით გაემართა, სადაც დარბაისელი რუსები ახალ ამბებზე საუბრობდნენ.

პატივისცემით მიესალმნენ: დოდაშვილის სიმამრი ბარაშკინი, პრაპორშჩიკი თეოდოროვი, რომელსაც გიმნაზიის მოსწავლე დიმიტრი ყიფიანი ჰყავდა ნაშვილები, ექიმი პოპეიკა, თბილისის პოლიციმეისტერობიდან მოხსნილი ანდრია მელნიკოვი, დუშეთის ისპრაავნიკობიდან მოხსნილი პაუშენკო, მასწავლებელი: შანასეინი.. დემენტიევი, შიპულინი...

ისინი ლაპარაკობდნენ ქალაქში ვაჭრობისა და ხელოსნობის მდგომარეობაზე. რომან ბაგრატიონის სახლში გამართულ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგანის“ შინაურულ წარმოდგენებზე, რომელშიც დიდებულად შეასრულეს როლები ნათიმზე და სოფიო ორბელიანებმა. თავრიზის ალებისა და სპარსეთთან ზავის აღსანიშნავ მედლებზე, რომლებიც ზოგიერთ მოხელეს დაუმსახურებლად მიეღო, კახეთის ჩრდილოეთით მთიელთა მოუსვენრობასა და ქართული დრუჟინის გმირობაზე.

უმთავრესი სალაპარაკო სენატის რევიზიამ იყო, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების უსამართლობათა გამოსარკვევად გამოეგზავნათ პეტერბურგიდან. ყველა ცდილობდა, სენატორების — ჭუთაისოვისა და მეჩნიკოვის არც ერთი ნაბიჯი მხედველობიდან არ გამორჩენოდა. გამოეცნოთ, რა მოელოდა აქაურ დიდკაცობას და ამის მიხედვით, დაახლოებოდნენ ან დროზე ჩამოშორებოდნენ მათ.

ალექსანდრე აქ მყოფთ მეგობრებად თვლიდა. ბევრი განდობილი იყო. არც დანარჩენები დაიხევდნენ უკან.

— ჩემკენ მოიწიე, მინდა რამე გითხრა! — წასჩურჩულა პაუშენკომ და მოშორებით დადგა. — იაკოვლევის ოცეულთან კაცი ვიშოვე. ისინიც ჩვენთან იქნებიან.

ორბელიანის მწუხარე შუბლს სხივი მოეფინა.

დიდი მემამულის შინამოსამსახურე იაკოვლევს თავისი ბატონის ყმაწვილი ცოლი შეჰყვარებოდა, რისთვისაც შეურაცხყოფილ თავადს სასტიკად დაესაჯა და კავკასიის ფრონტზე საჯარიმო ნაწილში გადმოეგდო. ბრძოლებში იაკოვლევს ისეთი გმირობა გამოეჩინა, რომ გიორგის ჯვრით დაეჯილდოვებინათ და პრაპორშჩიკობა მიეღო.

ერთ დღეს თავისი მედლები და ორდენები კედელზე გაკრული დაეტოვებინა, ოცეული წაეყვანა და გაქცეულიყო. ასეულის მეთა-

ურს უსამართლო შენიშვნა მიეცა, დამუქრებოდა და ეს ვერ მოეთმინა.

— მე ჩემს თავზე გამოვცადე, რას ნიშნავს უსამართლო მოპყრობა, — ეუბნებოდა პაუშენკო, — უდანაშაულოდ მომხსნეს, აწი მიყურონ. ნუ აყოვნებთ. ხალხში ხმა გაავრცელეთ, ქართველებს ციმბირში ასახლებენო. აქაური რუსობა თქვენთვის თავს დაავსდებთ.

— კმარა, ძმაო, მელანქოლია! — მხარზე ხელი დაჰკრა თეთრ ჩოხაახალუხში გამოწყობილმა იასემ ლეიბგვარდიის პორუჩიკ დიმიტრი ერისთავს, რომელიც თავისი ნაწილიდან ერევანში წასასვლელად ჩამოსულიყო და განკერძოებით იდგა. — იქნებ, გაგვიზიაროთ, რას დაუღონებიხართ?

— რაღაც, გუნებაზე ვერა ვართ.

— აი, თქვენო კეთილშობილებავ, დაღონების და მონობის ნიშანი! — ხელი ჩაავლო ეპოლეტებში.

— ეს რას ნიშნავს? — თვალი მიაცეცა ყმაწვილმა პორუჩიკმა.

— ბიპო, რა წრო-წროთი ლაპარაკობ, არა გრცხვენია? პირდაპირ მითხარი, შეგიძლიან თუ არა ემსახურო მამულს?

— მე ხელმწიფის ჯარში ვარ!

— ეს არაა სამშობლოს სამსახური!

— მაშ, რას მირჩევ?

— შეუტიე მაგათ!

ეს სიტყვები ისე აგზნებით წარმოთქვა, რომ ცრემლი წასკდა.

— ფრთხილად, ვინმე წაგათქმევინებს მაგ სიიდუმლოს და. მერმე თვითონვე გაგცემს!

— ჩემთვის სულ ერთია! მაშ, ეს არის „მფარველობა"?

— ჩვენს ქერქში დავდგეთ! საქართველო სხვა სახელმწიფოს მფარველობის გარეშე ვერ იარსებებს!

— ეს არსებობაა? არავითარი პატივი არ გვაქვს მათგან, ნეტავი, ან თავისუფალნი ვიყვნეთ, ან ერთიანად გაქსწყდეთ!

— მერმე რას აპირებთ?

— უნდა აღვდგეთ! შენ რას გვირჩევ?

— დაარწმუნეთ ყველა, დაიშალონ! მათ ვერას დააკლებთ, თავს კი დაიღუპავთ.

— გვიანღაა, თქვენო აღმატებულებავ! ახლა ან ჩვენთან უნდა. ჩარჩანდებოდეთ ან მათთან. ან ძმებთან, ან მტრებთან.

— ვინ არიან თქვენი პირისა?

— სულ ერთიანად ჩვენი პირისანი არიან, გარდა მუხრან ბატონისა.

— ღმერთო, ნუთუ ეს მართალია?

— ქართული ამხანაგთა სიყვარული ხომ არ დაგვიწყნია!

— მაშინ ვიყო წყეული აქაცა და საუკუნოსაცა!

— ხვალ საღამოს გეახლები და გაზიარებ „ფარული მეგობრობის საიდუმლო ფიცს“.

— მეფედ ვის ამბობენ?

— ჩვენი მეგობრის ბიძას!

— მოხუცებული არავინ გირევიათ. თუ საფუძვლიანი საქმე იყოს, გერეოდათ მოხუცებული!

— მოხუცებულთ ტრიკი და ბუასილი არ უშვებთ!

— ჩვენი პუნქტებია, გავუფრთხილდეთ ღვინოში ლაპარაკს. გავუმხილოთ, ვისაც ვენდობით.

— რაკი შემოგფიცეთ, არ გაგცემთ. თქვენი ამხანაგი ვარ და თქვენთან ერთად სისხლს დავათხევ. მანამ ასჯერ მოვკვდები, მინამ ღალატით და დაბეზღებით ცხოვრებას ვიფიქრებ.

დიმიტრიმ გონს მოსელა ვერ მოასწრო, რომ უცნობი მიუახლოვდა.

— პორუჩიკო! ამ გაიძვერა კაცის ქათინაურებს მოერიდეთ! ვერა ხედავთ, რა ალქაჯივითაა ატეხილი?

— შეუძლებელია! — წამოაბოდა ერისთავს.

— ნურაოდეს იქონიებთ ცნობას არა რომელიმე უსაქმისა კაცთანა და არცა საქმიანთა, თუ სულში არ ჩაუძვრებით.

— ჩვენ საიდუმლო არაფერი გვითქვამს!

— ამას არ ვეუბნებით?! იასე ფალავანდიშვილი მახე კაცია. კინტოების აჩხანაგი. მემრუშე და ცოდვილი. უხასიათო და ორჭოფი. სამჯერ ლტოლვილი. ორჯერ ტუსაღად ნაჯდომი. საკუთარი სახელი და დაძმა არ დაინდო. ბევრი ჭუჭყიანი საქმის მოქმედს მთავრობა იოლად არ გამოუშვებდა, მაგრამ... უწმინდური ფიქრები ერთ წუთს არ ასვენებს.

გაისმა გიმნაზიის ზარის ხმა.

— იწყება!

— იწყება!

ჩაჰბერეს საყვირებს.

დასცხო გიმნაზიის სასულე ორკესტრმა.

მოგრიალდნენ კარეტები.

გადმობრძანდნენ მფლავარმართებელი გრაფი პასკევიჩი-ვარშავსკი, ახალდანიშნული გენერალ-გუბერნატორი სტრეკალოვი, სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი. ეგზარქოსი. გუბერნიის მარშალი ბაგრატიონ-მუხრანსკი. მეუღლეებით, ასულებით. ამალით.

ცერემონიისთვის საზეიმოდ მორთულ დარბაზში სასიამოვნოდ აჟღერდა გიმნაზიის გუნდის გალობა. სახელდახელო სცენაზე გიმნაზიის დირექტორმა ევერესტ გრუბერმა შემოიტანა რამდენიმე ზონარგაყრილი ჟურნალი. შემოჰყვნენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები და მოთავსდნენ განსაკუთრებულ ადგილზე.

დაიწყო გიმნაზიის დამამთავრებელი და კლასიდან კლასში გადასვლის საჯარო გამოცდა. ატესტატებისა და ჯილდოების დარიგება.

— საანგარიშო დასამოძღვრი სიტყვა ეძლევა გიმნაზიის მასწავლებელს სოლომონ ივანეს ძე დოდაევ-მაღაროელს! — გამოაცხადა გრუბერმა.

შავ სერთუკში გამოწყობილი სოლომონი მოკრძალებულად ავიდა კათედრაზე. სტუბრებს მიესალმა. პედაგოგებს, მშობლებს, მოწაფეებს მიულოცა.

— ჩვენმან ახალმან ცხოვრებამ უკვე მოგვცა ნაყოფი კეთილთა საქმეთა. სპარსნი, თათარნი, ოსმალნი და მთიულნი იგივე იყვნენ საქართველოსთვის, ვითარცა გოთნი და ჰუნნი ევროპისათვის. მათ მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ასეთ ხარისხამდე დამდაბლებისა. დღეს ევროპელთა უპირატესობა სწავლა და მეცნიერებაა. აწ ვალდებულნი ვართ ჩვენც, აღვიყვანოთ ერი ჩვენი პირისპირ სხვათა ერთა მხოლოდ ოდენ სწავლითა. უმეცრება არს თანამგზაური მონობისა.

უკვირთ ევროპელთ რუსეთის წარმატება სწავლასა და მეცნიერებასა შინა და ვიტყვი მე, ოდესმე ეგრეთვე განჰკვირდებიან ქართველთა ზედაცა. რამეთუ კაცის, გონება არასოდეს დასცხრების ზეაღსრულით, როცა ხედავს საამურს ნაყოფს თვისის კეთილმოღვაწეობისა.

განვლილმა ორმა წელმა საზღვართა ზედან ჩინებულთა ბრძო-

ლათა დაგვიმტკიცეს ჩვენ, რომ მტკიცე მარჯვენა გვიცავს მტერთა-გან და ჰხრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა.

ასე, ჩემო საყვარელნო თანამოქალაქენო! მშობელნო ზრდილთა ამათა სწავლათა ახალნერგთა, სასოებათა საქართველოსათა, მოვალე არა ვართ აღვლენად მხურვალეთა ლოცვათა ყოველად უზენაესისად-მი?

ლაპარაკობდა დინჯად, უბრალოდ, საქმიანად.

— განათლება არს უმტკიცესი და უსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა მამულისა.

კარგად იცით, რომ ბუნებამ დაგვაჯილდოვა ზნეობითითა და ფიზიკურითა ნიჭითა. მამული ჩვენი ნაყოფიერია. ჰაერი კეთილად შეზავებული. თვისებანი ჩვენის გონებისა და გულისანი უეჭველნი, მსგავსად შვილთა ძველისა ელლადისათა, მაგრამ ვერ ვსარგებლობთ ჩვენის სიმდიდრეებით, რადგან არ გვაქვს ცოდნა არცა თვისისა, არცა სამყაროსი და ბუნებისა. ასეთ ადამიანს თავისთავი ვერ განურ-ჩევია პირუტყვისაგან, არ უწყის მიზანი თავისის არსებობისა.

თუ ვირწმუნებთ, შეგვწევს ძალა დავეწიოთ დაწინაურებულთა ერთა. აწინდელსა დროსა მამულისა ჩვენისათვის ფრიად საჭირო არს მეცნიერება. ყოველს ქალაქსა შინა საჭირონი არიან სასწავლე-ბელნი, რათა თითო შვილი ყოვლისა ქართველისა მაინც ჰსწავლობ-დეს. ესე ახალნერგნი, რომელნიც მოეფინებიან ყოველ კუთხეს, განა არ გვიწინასწარმეტყველებენ, რომ მამული ესე ჩვენი ოდეს-მე მოიმკის ნაყოფს კეთილდღეობისა და დიდებისა თვისისა.

იყო განღვიძებულ, ნიშნავს, არ დაჰკარგო, არა წარსწყმიდო დროი უქმად. იქ, სადაც არ მოიპოვებიან განათლებულნი, არ არის სათნოებანი და საშუალებანი ცხოვრებისა. აღესპოთ შური, უსაქ-მობა, ლიზღი, მტერობა.

ეფრემა ცერცვივით ხტოდა სკამზე.

„ნეტავ, რა აყბედებს ამ ლუთერანსა და ვოლტერს?!“

რიტორიკის მასწავლებლისკენ გადაიწია, რომელმაც თვალი ძლივს მოსწყვიტა პასკევიჩის კიტელზე ახალციხის გამარჯვების-თვის მიღებულ „ცისფერ ბაბთას“ და ყური მოიმარჯვა.

— შეგირდივით არ მეტყველებს?

რიტორიკის მასწავლებელმა გაალმასებული თვალები ყელზე

მიაბჯინა ორატორს. დოდაშვილი შეკრთა, აზრი დაებნა და მთელი ორი წუთი გარინდებული იდგა.

„რამდენს ლაყბობს ეს ლოჭინზედ ნაკურთხი! —გაიფიქრა ერმოლოზამ, რომელმაც ველარ აიტანა, რომ მთავარმართებელი და მისი ამალა ყურადღებით უსმენდნენ „ფილოსოფოსს“.

— სწავლისა წყალობით, გონება, გული და გრძნობა არიან ღარმონიულად მომჭმედნი, თანახმანი. მიზანი ცოდნისა არს აღძვრა ჰეშმარიტისა და კეთილისა. რამდენადაც კაცს განათლებული გონება და განვითარებული სული აქვს, მით უფრო მისწვდების თავის მიზანს. სწავლა აღკვეთს საძაგელი მხარეებისადმი მიდრეკილებას.

კაცი ჰკვიანია იმ დრომდე, მინამ ცოდნას ეძებს, გარნა, როცა ირწმუნებს, ვიპოვნეო, თავის ჰკუაზედ აღარაა.

„ვინახულებ სენატორთა და მოვახსენებ, რაიცა ხდება!“ — გულში. ისე ფრთხილად იმუქრებოდა მიქაიჩი, თითქოს ეშინოდა, არავინ გაიგონოსო.

წინა რიგში მორიდებით იჯდა, მკერდზე მელნიკოვის, გომოზოვისა და სხვათა მხილებისათვის ნაბოძები წმ. ანნას ორდენი ეკეთა ალმასის ნიშნებით. დროდადრო ნათიმზესა და მაიკოსკენ გააპარებდა მზერას. აუტანელ დამცირებას გრძნობდა, რომ თავისი არარაობის გამო, მათზე ოცნების უფლებაც არ ჰქონდა, და, გამწარებით, უმალ, ლოგინად ჩავარდნილი მეუღლე გაახსენდებოდა.

სააქტო დარბაზის ღია კართან ფრანტები ქილიკობდნენ.

— რათა მაღლით საყდრით გარდმოვლინოს ცვარი მადლისა ამის, აწ დასხმულსა სწავლისა ვენახსა ზედა და რათა აღიზრდებოდეს ესე და ყვავილოვნებდეს და მოაქვნდეს უხვად ნაყოფნი სადიდებლად და სარგებლად მამულისა. — განაგრძობდა დოდაშვილი.

— ვა, ვა, ვა! რა ბუნაპარტის რიტორობაა!

— შენ ვინა გკითხამს?

— საქმე არა აქვს დიდოსა, დახევს, დაჰკერავს გუდოსა.

— გაჩუმდი! შენ რა გესმის. ბრძენსა უნდა ბრძნული სიტყვა, გონებასა ზესთა აღსლუა.

— ზრუნვა ყრმათა ზედან არს ზრუნვა მამულისათვის. — ამბობდა დოდაშვილი.—ამისათვის არ უნდა დავიშუროთ არც დრო, არცა ქონება, არც თავი ჩვენი!

— უხ, შენ კი დაგათხლიშე! — კარგა ხმამაღლა წამოიყვირა ვიღაც ფრანტმა.

— ჰოი, შენ კი გენაცვალე, შენა! — მისი ჯიბრით შესძახა სოლომონს სხვამ.

— ვაი შენ და, დარდუბალა!

—მაგათთანა ღლაპებისაგანაა ამტუტებული ქვეყანა.

— გასწყდით მანდა!

— ეგ დოდაევი ერთი გლეხი კაცია, ახლა მთავრობისაგან აჰყვაეებული! — თქვა იმავე ფრანტმა, რომელიც გამგმირავი თვალებით უყურებდა სცენას.

— შენი რა საქმეა?

— გაანებეთ თავი, დამცინველი ჭიაღუა კაცუნები იყვნენ და იქნებიან. — შეუმჩნეველად წაილაპარაკეს მის გვერდით.

— მაგის პროექტი თუ ასრულდა, ქვეყანა გაიმართება.

— როცა ვირი ხეზე გავა.

— ეს ზოგის საცინელია, ზოგის მოძღვარი.

— ერთი გუდა ტყუილი!

— პა, პა, პა! სულს ძლივ ითქვამს თავის მჭევრმეტყველებისაგან!

— მხიარული ახალგაზრდაა!

— აბა, რამდენი გლეხის ბიჭი ჩამოიყვანა და ასწავლის!

— კი არ ასწავლის, ხელზე იმსახურებს.

— განა, არ ვიცით, რა გაჭირვებაშია?

— მეფის სასახლეს იშენებს!

— კნეინა ელისაბედ ორბელიანს ხუთასი თუმანი ასესხა!

— თქვენ რომ გიყუროთ, ქვეყანაზე ერთი ნამუსიანი კაციც არაა. მაღალია — აყლაყუდაა, დაბალია — ჯუჯაა, მაშ, კარგი აღარავინაა? — ტალკვესივით დაჰკრა მერეთელმა აზნაურმა, რომლის შვილს დღეს ატესტატი უნდა მიეღო.

— თეიმურაზ! — მიუახლოვდა და ხელი დაუჭირა ელიზბარ ერისთავმა. — მეზობელი ხარ, ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი!

— თუ პატიოსან სიტყვას მომცემ, რომ არსად იტყვი!

— ისეთი რა იქნება! ჩვენს მამა-პაპათ ერთმანეთისთვის არაოდეს უღალატნიათ!

— საქართველოს სამსახურზე ვამბობ.

— ეგ როგორ?

— საქართველოს განთავისუფლებაზე!

„მცდიან!“ — გაიფიქრა მერეთელმა და მხრები აიჩეჩა.

— არ მესმის!

— საღამოს ვახშმად მესტუმრე და მაშინ გეტყვი! ამაზედ კი ხმა რასად ამოიღო!

— ცხოველმყოფელს ჯვარზედ და წმინდის სახარებაზე შემოგფიცავ!

ელიზბარმა იქვე სვიმონ მაჩაბელს მოჰკრა თვალი და არც დაფიქრებულა, ისე უთხრა:

— ამათ ხელში სიცოცხლე იქნება?

— ვის გულისხმობთ, თავადო?

— ხელმწიფის ხალხს.

— ასეთი რა უწყენინებიათ?

— განა ეს სალაპარაკოა?

— არა ვუწყი რა, რაც გუშინ და გუშინწინ იყო, დღესაც ისეა!

— უკანასკნელი გაზეთები არ წაგიკითხავს?

— ამის დროა?

— ყველაფერს რომ გვართმევენ, ხმა კი ვერ ამოგვიღია, მამული და ყმა ჩვენი აღარაა, ვერც ამას ხედავ?

— მერე, რა ჯანია!.

— უნდა გავრეკოთ საქართველოდან!

— ვინ?

— ეგენი!

— ხა, ხა, ხა! რა ხუმრობა იცი, თავადო. რის იმედით? რა ძალა გაქვთ?

— ძალა ჩვენ თვითონ ვართ!

— კარგი, გეთაყვა, ღმერთს ნუ ირისხებთ!

— მაშ, თქვენ კმაყოფილი ხართ?

— დაამთავრეთ, თუ ხათრი გაქვთ, ყურს არავინ გვიგდებდეს! — წასჩურჩულა მაჩაბელმა, რომელმაც მოახლოებული იასე შეამჩნია.

— ჩვენი ბლუ არ გინახავს? — ჰკითხა ელიზბარს და ფეხის კვრით მიახვედრა, რომ შეეწყვიტა მაჩაბელთან ლაპარაკი.

ერისთავმა მაშინვე შესცვალა საუბრის საგანი. იასემ მოხერხებულად ჩაურთო: „ყორანი ყვავის ნათესავია“, რაც საიდუმლო ენაზე იმას ნიშნავდა, რომ ეს კაცი მუხრან-ბატონის ნათესაი და ღამცინცლავი ვინმე იყო.

— ხომ ბევრი გაცინეთ, კნიაზო! — ხარხარით უთხრა ელიზბარმა მაჩაბელს, როცა ის თავაზიანად და მხიარულად გაშორდა მათ.

— მაშ, მისთვის ერთი სიტყვაც არ გითქვამს? — წასჩურჩულა იასემ.

— არ ვიცი, დავიწყე, მაგრამ ხუმრობად მიიღო, სიცილით მისმენდა და ხარხარით დაასრულა.

— მას პირში არა დაუდგება რა.

— ეს მშვენიერი ყმაწვილი ვინაა? — შეაჩერა მაჩაბელი აბელ გერმანოზიშვილმა.

— შანშეს შვილი, ელიზბარ ერისთავი, მოსული რუსეთით.

— ოჰ! ნუ მიქებ კაცსა ბოროტსა მახლობლად შენდა! ნუ მტერ-მოყვარე ექნები კაცსა ამასა! ამბობენ, მამა მოწამლაო.

— ნუთუ?

— ეს ნამდვილია! ერისთავებმა დაღუპეს საქართველო და არც ახლა ისვენებენ.

— ის კი გამიგია, ამისმა მამამ თავის ღვიძლ ძმას, სენატორს, არჩევაში შავი კენჭი ჩაუგდო!

— მამა რუსეთის სიყვარულით არავის გვზოგავდა, შვილმა ამ სიყვარულისთვის მამა მოკლა. ღმერთმა გვაშოროს ასეთ ხალხთან ნაცნობობა!

— ეს სულ ოსეთის მიზეზით მოხდა!

— არც ეს ფალავანდოვი მომწონს, სამჯერ გაქცეული იყო, მასთან ნაცნობობა დიახ სახიფათოა.

— გაქცეული ალექსანდრეს კაცებისგან გვჭირს ყველა.

საპატო დარბაზში ჯილდოების გადაცემა დაიწყო. წარჩინებულ პოწაფეებს წარწერიან წიგნებს ურიგებდნენ. დამთავრებულთაგან ხუთს მეათე კლასის ჩინი ებოძა. ოთხს — ოქროს მედლითურთ, ათს — მეთორმეტე კლასის ჩინი.

სოლომონი დამთავრებულებს ხელს ართმევდა. დაბალი კლასის მოსწავლეებს გაღიმებული ეფერებოდა.

— გველეშაპთან ნაზი მეომრები ზღაპრებში გამიგონია. — გადაიხარა ნათიმზე ორბელიანი მაიკოსკენ.

— თითქოს სუსტი და ულამაზოა, გარნა განათლება გონებისა და განვითარება გულისა როგორ სცვლის კაცს!

აგუგუნდა მომღერალთა გუნდი. სასულე ორკესტრის მშვენიერ ჰანგებზე ჟრიამულით წამოიშალნენ ახალნერგნი...

მოულოდნელად დერეფანში გაისმა:

— თქვენ იცით, ვინ არის დოდაშვილი?

მსწრაფლ მიმოიხედეს, მაგრამ მთქმელი ვერავინ გამოიცნო.

— დ-ო-დ-ა-ე-ვ-ი ბ-ო-რ-ო-ტ-ს ა-ვ-რ-ც-ე-ლ-ე-ბ-ს!

ყველამ ისევ თვალი მოავლო იქაურობას და ისევ შთაბეჭდილება დარჩათ, მოგვეყურაო.

ხალხით გარემოცული დოდაშვილი დარბაზიდან გამოდიოდა.

— გამიშვით, ვეამბორო! — გაეშურა კარის მოძღვარი ეგნატე — შვილო ჩემო, მოსვლითა შენითა განგვინათლე მამული და განგვიახლე იმედი ჩვენი.

— უუფრიადესითა ტფილისა ცრემლითა შევსთხოვ უფალსა შენსა სიკეთეს.

— მე კიდევ მეცინება დოდაშვილის სიტყვაზე. — ეუბნებოდა ბორის ჰილაშვილი მაიკო ორბელიანს. — სასაცილო კაცია, მჭევრმეტყველი არაა, მაგრამ კარგად მსჯელობს.

— Тифлисская публика всегда ожидала в Додасве человека с большим дарованием от природы, образованного, потому не удивительно, что она одобрила его речь! — დაბეჯითებით წარმოთქვამდა გუბერნიის მარშალი მუხრან-ბატონი.

სოლომონი ხედავდა, როგორ ფუსფუსებდნენ ხალხში ელიზბარი, იასე და ალექსანდრე. საერთო ყურადღებას იქცევდნენ და თავიანთი საქციელით ეჩვს ბადებდნენ.

აქტის დასრულების შემდეგ რამდენჯერმე გაიგონა, უცნობ პირებს ყველას გასაგონად რომ ეპატიჟებოდნენ არბოს დღეობაზე, სადაც შეთქმულებს მოლაპარაკება ჰქონდათ დანიშნული.

„ქურდი ცეცხლი!“ — ელდასავით მოევარდა ქიზიყური გამოთქმა და სული შეეგუბა.

„როგორ მოხდა, რომ ამ საქმეზე მთელი ქალაქი ალაპარაკებულა?! ვინ ავრცელებს? ვისგან მოდის? რა შეაკავებს ამ ხმებს?

ჭურდი ცეცხლი! ვერ ამჩნევ, აწეულია თუ დაწეული ჭურა! შეიძლება, ერთბაშად აფეთქდეს!“

* * *

როცა პასკევიჩის, გუბერნატორებისა და მათი ამალის ეკიპაჟებმა მოედანზე ჩაიქროლეს, გიმნაზიის ეზოში პუშკინი და თბილისის რუსული გაზეთის რედაქტორი სენკოვსკი შემოვიდნენ.

— აი, კაცი, რომელმაც უცებ შესცვალა ჩვენი მიძინებული ცხოვრება! — სიცილით წარუდგინა სენკოვსკიმ დოდაშვილი. — მართალია, ქართული გამოცემა წამართვა და რედაქტორობა შუაზე გამიყო, მაგრამ სრულებით არ ვუბრაზდები. სამმა გუბერნატორმა და ორმა მთავარმართებელმა ვერ შესძლო ქართული გაზეთის შენარჩუნება, ეს კი ქართულს ენაზე სალიტერატურო ჟურნალსაც გვპირდება.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს!.. პეტერბურგი!.. კრუპსკი!.. უნივერსიტეტი!..

სრლომონი თვალს ადევნებდა კავკასიაში პუშკინის მოგზაურობას. ოფიციალურად პოეტი თავის უმცროს ძმასთან, ლევ პუშკინთან, იყო ჩამოსული, რომელიც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა. პოლკის უფროს რაევსკისთან ახლო მეგობრობა ჰქონდა, არზრუმის ფრონტზეც ახლდა.

მგოსანს თავს ეხვევნენ თბილისში გადმოსახლებული ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი, პავლე ბესტუჟევი, ალექსანდრე განგებლოვი, ვალერიან გოლიცინი, ვლადიმერ ტოლსტოი, ვოლხოვსკი.

გაგებული ჰქონდა პუშკინის გმირობა სოღანლუღში. ახალციხის იერიშის წინ თავდავიწყებით შეჭრილიყო ბრძოლაში და ძალათ გამოეყვანათ სამშვიდობოზე.

— ალექსანდრ სერგეევიჩ! — მოწიწებით უხსნიდა სენკოვსკი. — ვერ წარმოიდგენთ, რა სწრაფად იკიდებს ფეხს ევროპული ცხოვრება. რუსები და ქართველები თითქმის ერთ ოჯახად ვცხოვრობთ.

— სენკოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს! — თქვა პუშკინმა.

— ამის საბუთი უფალი დოდაევი და მისი მოწაფეები არიან!

— ოცნება ბევრი გვაქვს — გული გადააშლევინა სოლომონს ინტიმურმა საუბარმა. — თბილისის უნივერსიტეტზე ვფიქრობთ!

— მშვენიერი ოცნებაა!

— რათა ირწმუნოთ, უნდა ნახოთ „ეაი ჰკუისაგან“ რომან ბაგრატიონის სახლში. როგორ თამაშობენ ქართველი ქალები თავიანთ როლებს! — თქვა სენკოვსკიმ.

— ამიტომ ვუმღერე მათ „ბაღჩისარაის შადრევანსა“ და „ქაჯკასიის ტყეში!“ — გაეცინა პუშკინს.

— თქვენი „Пробуждение“ წელს დაებეჭდეთ ქართულ გაზეთში. „ისპანური რომანსი“ და „მხიარული ლხინი“ ჟურნალისთვის გვაქვს მომზადებული.

— ვინ თარგმნა?

— ჟურნალისთვის სოლომონ რაზმაძემ. „გამოღვიძება“ და კიდევ ოთხი სხვა ლექსი ჩვენმა პირველმა მგოსანმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

— ღმერთო, რა უცნაური დამთხვევებია! თაყვანისცემა მას! მაგრამ რომელი ერთისთვის? გრიბოედოვისთვის თუ რაევსკისთვის! ჩემი თარგმანებისთვის თუ მედროვისთვის გაგზავნილი ეპისტოლესათვის?! მე მიყვარს ის! ვაღმერთებ ნიჭის შესაფერ ზვიადობას! აღტაცებული ვარ, რომ ნატამალი არ ურევია იმ მანკვისა, რომელიც დღეს ჰკვიანობად ორიგინალობად საღდება.

აღელვებისაგან ქუდი მოიხადა და ქათქათა ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა. ყოველივე ამას რაღაც იშვიათი გრძნეული ბუტბუტით წარმოთქვამდა, რომ სენკოვსკი და დოდაშვილი გაოგნებული შეჰყურებდნენ.

— ეს ომები იყო გაკვეთილი ჩვენი რუსული დამცირებისათვის! — განაგრძობდა იმავ ბუტბუტით. — დიადი ნეშტისათვის, რომელსაც ქართველი მეურმეები თაყვანისცემით მოასვენებდნენ!

მასპინძლებმა იცოდნენ ამ მღელვარების მიზეზი და ხმას არ იღებდნენ, რათა ეს აღტაცების განცდა არ დაერღვიათ.

იმხანად, პუშკინის საყვარელი მეგობარი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაური, გენერალი რაევსკი, ბეიბურთიდან შვე-

ბულებით პირდაპირ რუსეთში წავიდა და ფრონტის ხაზიდან ორმოცი ხელქვეითი თან წაიყვანა მათ შორის, დეკემბრის გამოსვლებისთვის დასჯილნი.

რაევსკი დაუფარავად მეგობრობდა მათთან, ცდილობდა, შეემსუბუქებინა მათი მწარე ხვედრი.

განრისხებულმა პასკევიჩმა რაევსკი სამსახურიდან დაითხოვა. მის ნაცვლად კახეთის ჯარის სარდალი ალექსანდრე ჭავჭავაძე დანიშნა და უბრძანა, დაუყოვნებლივ მიეღო ნიჟეგოროდის პოლკი.

რაევსკისადმი თანაგრძნობის ნიშნად, ჭავჭავაძემ თავი მოიკალა და პოლკის გადმობარებაზე უარი თქვა.

ამან პასკევიჩი ისე გააცოფა, რომ ალექსანდრეს თავშეუკავებელი ბუქარის წერილი გაუგზავნა: შენს მოვალეობებს არ ასრულებ, უწესოდ იქცევი, რასაც იმპერატორს შევატყობინებო.

შეურაცხყოფილმა ჭავჭავაძემ სამსახურზე უარი თქვა და თადარიგში გავიდა.

იმპერატორმა პასკევიჩს აცნობა: არ ვეთანხმები ასეთი დიდებული გენერლის თადარიგში გასვლასო. თუ ავადაა ან საქმეები აქვს, რამდენიც თვითონ სურს, იმდენი ხნით წავიდეს შეებულებაში და როცა მოისურვებს, მაშინ დაბრუნდესო.

ახლა სამივე შემთხვევაზე ფიქრობდა, მაგრამ არც ერთს არ შეეძლო მასზე სიტყვის დაძვრა.

პუშკინმა ახალდაწერილი ლექსის სტრიქონები წაიჩურჩულა:

Так буйную вольность законы теснят,
Так дикое племя под властью тоскует...
Так ныне безмолвный Кавказ негодует,
Так чуждые силы его тяготят.

მცირე ხანს მდუმარედ იდგა, მერმე, იმავ ბუტბუტით მოაყოლა ამქვეყნიდან წასული მეგობრის უკანასკნელი წერილის ფრაზა, რომელზეც ფიქრისგანაც თავი ვერ დაეღწია: „გავირჯები მეფისთვის, რათა ბავშვებს ლუკმაპური არ მოეაკლო!“

ღმერთო! რა საშინელი, რა საოცარი სიტყვებია!

თამარ ბატონიშვილის წერილი უმცროს ძმას დიმიტრის

უსაყვარლესო ძმაო!

საყვედურს მწერთ, სხვებს თვეში ორ წერილს უგზავნით, თქვენი „პატარა სულელი“ კი აღარ გახსოვთო.

დღეს, ჩემი დანაშაულისათვის ეს ვრცელი ავთრათი მომირთმევია.

რაც ოქროპირი კავკასიის მინერალური წყლებიდან, მოსკოვის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო ნებართვით, მოულოდნელად თბილისს გვესტუმრა, რვა თვე გვერდიდან არ მოვშორებივარ.

სადღა არ ვიყავით და ვისთან აღარ ვიყავით.

უზომო პატივისცემა, რომელსაც მას მიაგებდნენ, მთელი ჩვენი ოჯახის, უპირველესად კი, მამულისათვის დატანჯული მამაჩვენის ხსოვნა და დაფასება იყო.

გუბერნატორი ზავილეისკი ერთს წუთს უიმისოდ ვერ სძლებდა. როცა განსვენებულის სიპიაგინის ნაცვლად დანიშნულ გენერალ სტრეკალოვს წარუდგინეს: „მისი უგანათლებულესობა საქართველოს მეფის ძე ოქროპირი!“ — მან უავგუსტესის წინაშე თავი მოიხარა: „ბედნიერი ვარ თქვენის გაცნობით!“

„რევიზიისთვის მოვლინებულს გრაფ ჭუთაისოვს ძლიერ შეუყვარდა ოქროპირი. ერთად სანადიროდ დადიოდნენ დიღომს, ავჭალას და ქოდალოს.

ვუწყი და წერილიდანაც ვხედავ, თქვენ ის დიდი საქმეები გაინტერესებთ, მაგრამ, საყვარელო ძმაო, განა, ამისთანა რამის ფოსტით მოწერა შეიძლება? ფოსტას ხომ ხსნიან!

ელიზბარს ის თქვენი მიცემული საიდუმლო მიმოწერის გასაღები დაუკარგავს და ძლიერ სწუხს. ამიტომ, იმ გასაღებით ვეღარც მე მოგწერ და ამ ავთრათს ჩვენს ერთგულ კაცს ვატან.

ერეკნის შემდეგ ფოთი, ახალციხე, ყარსი... ჰარელებმა პასკევიჩს ფეხქვეშ იარაღი დაუყარეს. სტრეკალოვმა ზაქათალა აიღო.

ასეთი გამარჯვებით ზოგი მოჯადოებულია და სიფრთხილე გვმართებს.

ვითარცა ოქროპირი მეუბნებოდა, მთავარმართებლისას ხში-რად დავდივარ და დიდათაც შემეთვისნენ. ერთხელ, გრაფინიასთან საუბარში, შემთხვევა მქონდა მეთქვა: მამაჩემი რომ ყოფილიყო მეფედ, მე არც ამდენი ქონება მექნებოდა, არც პატივი, არც თა-ვისუფლება-მეთქი. ჩვენში დედოფლებსაც არა ჰქონიათ ასეთი და-ფასება-მეთქი.

აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურმა ამბებმა.

ამის გამო, ზოგნი გვარწმუნებდნენ, ჩვენი საქმისათვის სწო-რედ კარგი დრო და ჟამიაო. ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალი, რო-მელსაც ქართველად ამბობენ, სულთანის წინააღმდეგ აჯანყდა, მოსულა და ოსმალოს ჩვენთვის არა სცალიან. ფაშამ დახმარების წერილიც მოგვწერა. ყიზილბაშნიც ამდენი დამარცხებისაგან ძლიეს სულს ითქვამენ. ყაზი მაჰმად ქისტეთი ააჯანყა და ყაზი მულაც გა-ზავათს ეწევა.

ოქროპირი კარგს გუნებაზედ და იმედიანად გავაცილეთ წყლებ-ზედ მკურნალობის მეორე კურსის მისაღებად.

მსუბუქ ვენურ ეტლში, რომელიც აქ დიდი ფუფუნებაა, ოქ-როპირი, მე, ელიზბარი, ალექსანდრე ორბელიანი და სოლომონ დოდაშვილი თბილისიდან ერთად გავედით ხიდზე, გავიარეთ სო-ფელი ჩუღურეთი და გურამიშვილის სოფელ ავჭალაში შევჩერ-დით, სადაც გენერალ-მაიორი სევარსამიძის სახლში მიგვიწვიეს.

ნასადილევს ოჯახის წევრი მამაკაცნი და მანდლოსნები დახუ-რული კარეტით მცხეთამდე გამოგვყვნენ, იქიდან ისევ ოთხნი დავრჩით ეტლში.

მშვენიერი დღე იყო. ყველაფერი ჩვენს მღელვარე სულს ესალ-ბუნებოდა. ბებრის ციხეს რომ გავსცდით, საიდანაც მობიბინე არაგვის ხეობა, ცად აზიდული „ჯვარი“ და მსხმოიარე ბაღები ერთ დიდებულ სურათად გადაიშალა, და დამშვიდობების ჟამმაც დაჰკ-რა, ოქროპირმა ალექსანდრესა და სოლომონს მშვიდად უთხ-რა: „დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთა-ვისუფლება. მე საქართველოს განთავისუფლება რშიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, მაშინ იმდე-ნი ტახტის მაძიებელი გამოვჩნდებით, რომ ისევ დავკლავთ ერთ-მანეთსაც და საქართველოსაც, არამედ მე მინდა საქართველო შე-იქნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ. ამ საქმისათვის ოქრო-

პირი დაჰპირდა მათ მთელ თავის ქონებას და თქვა, რომ გადაწყვეტილი აქვს წავიდეს საზღვარგარეთ, რათა იქიდან ხელი შეუწყოს საქართველოს განთავისუფლებას.

იმ კვირას თეკლა ბატონიშვილის ბაღში სვიმონ ბარათაშვილმა იკითხა: „რა გეშველება, ხელმწიფემ რომ საქართველო მიატოვოს? რუსებს ხარჯის მეტი რა აქვთ აქ?“

გაგებული გექნება: ეგზარქოსმა თავის სიტყვაში გადაკრულად თქვა, შეიძლება, საქართველოს დატოვება მოგვიხდესო.

ალექსანდრე ორბელიანმა დაუდასტურა: „მთავრობას სურს, მთელი ჯარი გაიყვანოს საქართველოდან, რათა პოლონეთის დაწყნარებას მოახმაროს!

„ამისთანა დროს ქართველები ვეღარ იშოვიან!“ — აღარ მოვერიდე მე“.

„თუ ეს მოხდა, ჩვენ ყველა თავს გავსწირავთ!“ — მხარი აუბა ელიზბარმა.

„ალექსანდრე ჭავჭავაძეს გავენდოთ, რაც იმან გვითხრა, ის გავაკეთოთ!“

„ერთ მის სიტყვაზე მთელი საქართველო იარაღს აისხამს“.

„ვეტყვი, თუ დათანხმდა, კარგი, თუ არა, ჩვენ მაინც ჩვენსას გავაკეთებთ!“ — მოსჭრა ელიზბარმა

„ვინახულე გუშინ! — ნაღვლიანად თქვა ალექსანდრემ. — დრო მომეცით, მოვიფიქროო“.

„არა სჯობია, ვსთხოვოთ მთავრობას, გადმოგვხედონ მანიფესტის ყოვლად მოწყალის თვალით?!“

„ვსთხოვოთ, საქართველოში მოგვცენ მმართველობა ქართული კანონებით!“

„ღმერთო ნუ მიიყვან რუსებს ისეთს განწირულებამდის, რომ იძულებული გახდნენ მიატოვონ საქართველო, რომელიც მყისვე შეიქმნების მსხვერპლი შინაგანი უწესობისა და დაუძინებელთა მტერთა თავდასხმისა!“ — ვედრებით წარმოთქვა იმ ორიოდე დღის წინ სვიმონ ბარათაშვილმა.

„მოვუვლით ჩვენს თავს“ — დაცინებით მიუგო ელიზბარმა.

„როგორ შეინარჩუნებს პატარა ხალხი ორ ზღვას და ამდენ ხეობებს? მტერს ორ დღესაც ვერ შევაკავებთ!“

„ოქროპირმა დაათვალიერა კავკასიის ხეობები და ფრიად კარგად სცნო თავდაცვისათვის“.

„დარიალის ხეობაში ისეთი წყალდიდობა შეიძლება გამოვიწვიოთ, რომ ფეხს ვერავინ გადმოდგამს“.

„მოვიწვიოთ ფრანციცნი! ლეტელე შეწევნას გვპირდება. ისინი დიახ კარგად გააწყობენ საქართველოში რიგს. ალყირი ნახეთ, რა უნივერსიტეტები აქვთო!

„ზავილეისკის და ოქროპირს ანგლიიდანაც შემწეობას ჰპირდებიანო!“

„საფრანგეთის მთავრობა? ალყირი?“ — გაურკვევლად წაილაპარაკა დოდაშვილმა.

„ეს ვერ გვიშველის, მთელი კავკასიის ხალხმა ერთიანი აღრეულობა უნდა მოვახდინოთ. მთამ და ბარმა“. — თქვა ალექსანდრემ.

„პაუშენკო და მელნიკოვი გვირჩევენ, რუსის სალდათები მოიხმაროთ!“

„მაგათი აღარ გეშინიათ?“

„მათ შენი ეშინიათ, თავად კი კარგს დარიგებას გვაძლევენ, როგორ მოვიქცეთ. ბევრი მომხრეც შეგვძინეს. დღეს ეს ჩვენი საქმე ყველას საქმეა“.

„იმპერატორი ყოველად ძლიერია, როგორ შეგვიძლიან ჩვენ ასეთი საქმე? მთელი ევროპა მივიდა რუსეთზე და დაამარცხეს, ნაპოლეონიც დაიჭირეს!“ — პირქუშად გვითხრა სვიმონმა.

„საქართველო ასე ბედნიერი არასოდეს ყოფილა!“ — თავი დაუკრა მას მაჩაბელმა.

„საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლია!“

„ხაზინა არ გვაქვს, თოფხანა არ გვაქვს. ჯარი არ გვყავს. არავითარი მომზადება არ გვაქვს. რა გვინდა?“

„ოქროპირი მთელ ქონებას გვწირავს. ფარნაოზ ბატონიშვილმა განგებ შეირთო მდიდარი სენატორის ქალი, რათა ქვეყნისთვის იზრუნოს!“

„დავაწესოთ რეგული, ვასწავლოთ ყველას ჯარის სამსახური!“ — გავამხნევე მეც.

„სად არის ხაზინა! ვინ გვენდობა ვალად!“

„აქედან გავიტანთ ყურძენს, აბრეშუმს, ბამბას, ენდროს, თამ-

ბაქოს, ზეთისხილს, მატყლს, კახურ ღვინოს, წელიწადში ორ მილიონისას!“

მე ვთქვი: „კარგი იქნება, თუ საქართველო განთავისუფლდება უსისხლოდ!“

„იმპერატორის მფარველი მაინც არ უნდა მოვიშოროთ!“

ელიზბარი გვარწმუნებდა, ჰავჰავაძემ მითხრა, ალექსანდრე ბატონიშვილის გამოსვლაზე იფიქრეთ, მერმე ჩემზე იყოსო.

ბიძაჩვენს სიყვარულით მითრიდატეს ეძახიან. ზოგს მეფედ სურს, საქართველოს მმართველობის ზედა პალატის თავმჯდომარედ. ეშვი არ აქვთ, რომ მისი გამოჩენა უცებ აღაგზნებს ხალხს.

ერთი ასეთი საუბრისას ალექსანდრე ორბელიანმა ამოიღო ახალუხის ჯიბიდან პატარა ლურჯ ქაღალდზე დაწერილი ბარათი ბიძაჩვენისა. ეს იყო მოკითხვის სიტყვები.

„აი პასუხი ჩემს წერილზე, რომელიც მოლა ზამანას, ჰასან-ხაჯალოს ქევხა შიხი ალიას, ყურბან-ყამჩი ოღლის და ჰაჯი ჰუსეინ ოღლის გავატანე სპარსეთს.

როგორც აქედანა ჩანს, არ გვენდობა, მით უფრო მე, რომ რვაასთორმეტში მამაჩემმა ჩუმლაყში თოფიც დაახალა და იქ შეაკვდა. მოლა ზამანასთვის ვთქვა: „მოვხუცდი და აღარც ქართველებისა არაფერი მწამსო“.

როგორმე მე თვითონ გადაცმული უნდა ვეახლო და დავაჯერო, რომ მსურველნი მისის მეფობისა, ემუდარებიან, გადმოვიდეს კახეთს!

„მე თვითონ მივწერ ბატონიშვილს ქართველი თავადების სახელით, რათა კახეთში გადმოვიდეს. მეორე წერილს ფაშას მივწერ, ფული და ჯარი მოგვაშველოს. მე ვიცნობ, მთავრობისაგან შეურაცხყოფილს ორ მღვდელს, რომლებიც ამ წერილებს წაიღებენ!“

ეს სიტყვები შენმა უცნობმა იასე ფალავანდიშვილმა წარმოსთქვა, რითაც ყველა დიდად განაკვირვა.

„ვიზა გაქვთ?“ — ცოტა დაცინვით ჰკითხა ალექსანდრემ.

„ვიზა რისთვის მინდა? ის მღვდლები უბილეთოდ წავლენ!“

„მაშ, ბატონიშვილი შენს ნაწერს დაიჯერებს?“

„ერთი ვისიმე ნაწერი თუ ვნახე, ისე მივამსგავსებ, რომ ვერა-

ჟინ გამოარჩევს. ერთხელ ასეთი წერილი იმერეთის ბატონიშვილისთვისაც მიმიწერია.

ალექსანდრე ფრენით წამოვა!"

აღარც მე დავფარე და ვთქვი, მთავრობას წმინდის ადგილების საღოცველად იერუსალიმში წასვლის ნებას გამოვსთხოვ-მეთქი. ალექსანდრემ, ვახტანგმა და გიორგი ერისთავმა ჩემთან წამოსვლის სურვილი გამოაცხადეს. იქ ბიძაჩვენს შევხვდებით და დავარწმუნებთო.

ბოლოს ისევ ალექსანდრე ორბელიანს დაავალეს, თავისის დეიდის, ქეთევან ბატონიშვილის მეშვეობით, მოსწეროს ბიძაჩვენს: „გთხოვთ, ბატონიშვილო, დაწყებისთანავე კახეთს გადმობრძანდეთ, საქმე ითხოვს!"

ქეთევანი ჩვენი მამიდაა, მაგრამ მუხრანსკების დედა ბრძანდება და, არ ვუწყი, როგორ ვენდობით და რას მოველით ასეთის ხვანჯიანის საქმისაგან!

განა, საკვირველი არაა, რომ ჩვენს საქმეს მამიჩვენის მტრის შთამომავალნი წინამძღვრობენ? ვინ იყო ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანების მამა?

ვისი შვილნი არიან ელიზბარი, დიმიტრი, გიორგი?

ვის ემსახურებოდა იასეს მამა იოსები?

თუმცა, ბევრნი ნათესავებად გვერგებიან, მაგრამ არის დღეს ქართველებში მეგობრული და ნათესაური გრძნობა? ამ მთავრობამაც ჩვენში ისეთი დაუნდობლობა ჩამოაგდო, რომ ერთმანეთისა აღარ გვჯერა. მადათაშვილის ქეიფებმა სულ გახრწნა ჩვენი ყმაწვილკაცობა.

მარტოობა მწყურს და მარტოობა მტანჯავს. არ შემიძლია ახლოს ვიყო ფუქსავატ და ყალბ ადამიანებთან.

მამაჩვენი იულონი ან პაპაჩვენი ერეკლე განა სტყუოდნენ ერისთავებთან?

ამასწინათ დიმიტრიმ მოურიდებლად, თქვა, ერეკლე უსინდისოდ მოიქცა, რომ მამული ჩამოგვართვა და იულონს გადასცა საუფლისწულოდო. ველარ მოვითმინე: თქვენმა პაპამ შემოიყვანა ლეკები-მეთქი. მიხეილ ერისთავს მოჰყავდა თურქ-ლეკთა ჯარი ახალციხიდან და მამაჩემმა იულონმა დაამარცხა ისინი და ამიტომ უბოძა ერეკლემ თქვენი საერისთაო-მეთქი.

ძვირფასო ძმაო! გულში ყველას ძველი ჭრილობები გვტკივა და ასე მძიმე საერთო საქმისათვის ხელი მოგვიკიდნია.

ღმერთმან ინებოს ჩვენი შეერთება! მაშინ მეც შენსავით ვირწმუნებ:

Montrez moi mon Vaingueur et je Cous l'enibrasser!

ჯერხნობით, ბატონიშვილები ჩვენს ამპარტავნებას მაინც ვერ ვიშლით! ბარბარეს ქართველს თავადიშვილებზე ეთქვა: ისეთნი არიან, პურის ჭამაც არ იციანო.

აბა, ჩემო უსაყვარლესო, თქვენ თავად როგორი ტონით მწერთ ვახტანგ ორბელიანზე, რომელიც ჩვენი მამიდაშვილია: „Я очень благодарен Вахтангу, что он собирается писать ко мне по французски; скажите ему, что это пахнет школою. ქართულად მომწეროს, მე მადლობელი ვიქნები!.. Я слышал, что балы в Тифлисе вошли в моду».

არც ისინი გვრჩებიან ვალში. ალექსანდრე ორბელიანს უთქვამს: „ამ პეტერბურგელებმა საკვირველი განათლება არ ჩამოგვიტანეს?!“

მე ხომ დიდს სიყვარულს მიცხადებენ და იმ დღესაც მემუდარნენ: გაგვიძეღო! ერთს შეკრებაზედ ელიზბარს ეთქვა: აფსუსია რომ ის (ჩემზედ მოგახსენებენ) მამაკაცად არ დაიბადაო. თვითონაც ვიცი, არც უგნური ვარ, არც განუსჯელი და არც უწყალო, მაგრამ არ მავიწყდება, რომ „მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათთა და ბაგითა მათითა პატივს მცემს მე, ხოლო გული მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან“.

წამოსვლის წინ ოქროპირმა დამარიგა, საქართველოში ყველასთან მეგობრულად მეცხოვრა და დამევიწყებინა საგვარეულო ჭიშპი და უკმაყოფილება. ელიზბარს უთხრა, თუმცა ბიძაშენს მრავალგზის მოუყენებია უსიამოვნება ჩვენი სახლისა და განსაკუთრებით ჩემთვის, მაგრამ მე ეს დიდი ხანია დავივიწყე და ჩემგან სალამი გადაეცი, მომავლის კეთილისათვის ყველანი ერთად უნდა ვიყუნეთო.

სხვებსაც ამას უქადაგებდა, თანამგრძნობნი შეიძინეთ და საერთო თანხმობით შეუდექით მოქმედებასო.

მაგრამ ქადაგება უშველის? ყველას რაღაც პირადი უკმაყოფილება ამოძრავებს და ყველა ერთმანეთის მოჭიშპეა. რამდენი თანამზრახველიც გვყავს, იმდენი პარტიაა.

ბარძიმ მაჩაბელმა თქვა, ამდენი უკანონობა რომ ხდება, ხელმწიფეს შევატყობინოთო. ოქროპირს გაეღიმა და აღარა უთხრა რა.

ივანე ორბელიანმა გვირჩია, ხელმწიფეს დეპუტაცია გავუგზავნოთ, მანიფესტის შესრულება ვსთხოვოთ, ჩვენ გვსურს, წინანდებურად ვიყვნეთ მანიფესტის მიხედვითო. მრავალნი ტრაქტატის აღდგენას იღწვიან. რუსოფილებს მმართველობაში მცირე რეფორმები აკმაყოფილებთ. მუხრანბატონი, ჭილაშვილი, სავარსამიძე, „დიდი კნიაზი“, ჯანდიერი, ჩუბინაშვილი, ჯომარჯიძე ერმოლოვის ერთგულნი დარჩნენ.

ეს დაქსაქსულობაა, გულს რომ მიკლავს და ჩემს იმედებს ფრთებს აკვეცს!

ყველა დასს თავის გეგმები და ხერხები აქვს, თავისი მეფე უნდა!

მომავალი ხელისუფლების თაობაზე და მმართველობის პროექტზე ისეთი კამათია, ამას წინათ კინაღამ საქმე ხანჯალზე მიდგა.

სენატორი ითხოვს, მხოლოდ პირველნი თავადნი უნდა იყვნენ ჩვენთანო. რომ გაუგია, დოდაშვილიც თანამზრახველიაო, შუბლზე ხელი შემოურტყამს, როგორ ენდეთ ამ უგვარტომოსაო.

სოლომონი თავს იკლავს რესპუბლიკისათვის. ოქროპირი ჩვენთვის ყველაზე თავდადებულ კაცს უწოდებდა, მოწაფეებს საქართველოს წარსულს კი აყვარებს, მაგრამ მეფის გაგონება არ სურს.

ერთხელ აგზნებული ლაპარაკობდა, მე ვიცი, რილეევს, პესტელს, მურავიოვს საქართველოს დამოუკიდებლობა და რესპუბლიკური მმართველობა უნდოდათო.

გავიმარჯვებთ თუ არა, რილეევს თბილისში ძეგლი დავუდგათო.

საქართველო ისეთი უნდა იყოს, როგორიც შეეცარია და საიუზნი შტატებიაო.

მე ვუთხარი: ეს არ მოხდება, რადგან იმისთანა არც ხალხი ვართ და არც გარემოებანი გვაქვს-მეთქი. ეს საშინელი მტრებიც არ მოგვასვენებენ-მეთქი.

მან მომიგო: „მაშინ საქართველოს ტახტის სისუსტე იქნება მიზეზი ქვეყნისა და ხალხის მუდმივი უბედურებისა!“

უსაყვარლესო ძმაო! მე დიდი ხანია დავრწმუნდი,რომ თქვენ შეგიძლიათ სიმართლე მოისმინოთ!

მაშ, ყური დამიგდეთ!

ჩვენ ხომ ევროპელებად აღვიზარდეთ? სოფლის სიმწარე და უსამართლობაც ხომ უხვად შეგვისვამს? განათლებასაც ხომ პატივს ვსცემთ და საქართველოც საკუთარს სიცოცხლეს გვირჩევნია? ისიც მოგეხსენებათ, რომ სრულიად საქართველომ იცის მისი ჭკუა, შრომა და პატრიოტობა. და, გაიხსენეთ მაინც, როგორ მწერთ მასზე: «Мы слышали, что Соломон (დოდ.) представляет там франта и Бон-тона, и не можем довольно не смеятся, зная его способы фигуру и рожу, пожалуйста, напишите, какие шутки он там делает!» არც მეორე წერილში ხართ ამაზე უფრო შემწყნარებლური: «Я получил письмо Соломона (დოდ.) Оно также смешно, как он сам. Пожалуйста, не говорите ему об этом — он предобрый человек. Он поэт, певец и проч».

რატომ, ჩემო პატარა სულელო? სოლომონი ხომ კანდიდატი, ენების მცოდნე, წიგნების ავტორია და ამდენი საქმე გაუკეთებია საქართველოსთვის. მე და თქვენ კი რა, ვგონებ, ჯერ არაფერი!

იმიტომ ხომ არა, რომ მე და თქვენ ბაგრატიონები ვართ, მეფის შვილნი, ხოლო დოდაშვილი ჩვენი ყმათა ყმა, გლეხისშვილია?!

ახლა დოდაშვილსაც მოვუსმინოთ: „თქვენო უგანათლებულესობავ, საქართველოს მეფის ძევ ოქროპირ, უმოწყალესო ხელმწიფევ! როდის გიხილავთ მამულსა შინა... მე ყოველთვის მახსოვხართ და მაქვს გულსა შინა დამარხული წინადადებანი თქვენნი ყოველსა დროსა შინა სწავლათა გარდაცემისას...“

ესეც მეორე წერილი, ალექსანდრე ორბელიანთან ერთად რომ მისწერა: „მდაბლად თავის დაკვრას და ხელზედ კოცნას მოგახსენებთ, თქვენს უძვირფასეს სიმართლეს ვისურვებ ყოველითა სულითა ჩემითა და მრავალს წელს სიცოცხლეს ბატონიშვილო! არ ვიცი, რომელი დრო იქნება, განგრძელდება ეს დრო, თუ ახლო არს, რომელსაც ყოველი გონება ჰზრახავს, როდის გიხილავთ მამულსა შინა. თუმცა აქამომდე გახლდი მდუმარე და არ ვაცხადებდი წინაშე უგანათლებულესობისა თქვენისა სიყვარულსა თქვენსა, გარნა ამის გამო ნუ ჰგონებთ, რომ თქვენ დავიწყებული ჰბრძანდებოდეთ ჩემგან. მე ყოველთვის მახსოვხართ და მაქვს გულსა შინა დამარხული წინადადებანი თქვენი ყოველსა დროსა შინა სწავლათა გადაცემისასა...“

ისმინეთ, ძვირფასო ძმაო დიმიტრი?! ამას წერს განათლებული გლეხისშვილი, რომელსაც უდიდესი მოწყალებით ეპყრობიან მთა-

ვარმართებელნი, გუბერნატორნი და ჩვენ სრულებით არაფერში არ ვჭირდებით. წერს, თავს სწირავს მხოლოდ მამულის ბედნიერებისათვის.

ასეთ პატრიოტობას თაყვანს ვსცემ! მაგრამ, ვაი, რომ არც მე შემიძლია ვირწმუნო გლეხისშვილი ჩემს ამხანაგად.

თუ მე და თქვენ ასეთნი დავრჩით, მაშინ იფიქრეთ, რა იქნებიან აქაურნი გაუნათლებელნი გვაროვანნი! მათ, ან, დაუფარავად ეზიზღებათ, ან, თავიანთ გვერდით ვერ მოუთმენიათ მისი ცოდნა, განათლება საზოგადოებრივი მდგომარეობა, სახელი და დიდება. ისინი ძლიერ უხერხულად გრძნობენ თავს მის მახლობლად. მე ვგრძნობ ამ შურის ციებ-ცხელებას, „ფილოსოფოსს“ უწოდებენ და ეს დასაცინი სიტყვა ჰგონიათ. სხვის ნაწერებს ითვისებსო, ხმას უყრიან. იონა ხელაშვილს ვერცხლი და ლექსიკონი წარსტაცაო. სოფლითგან ჩამოყვანილი ნათესავები შინამოსამსახურეებად გაიხადაო. „რუსების კაციაო!“ ხან კიდევ, ხელმწიფის მტერი ყოფილაო.

ერთი სიტყვით, როცა რა მოესურვებათ და როგორც მოესურვებათ!

მე მგონია, სოლომონი ამას სრულებით ვერ ამჩნევს, ან, არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

მას საქმე აქვს!

დოდაშვილი კეთილი და უბრალო ადამიანია. დაუფარავად ლაპარაკობს ბატონების მიერ გლეხთა შევიწროებაზე. ამ საგანზედ შენგანაც ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ შენ წიგნებიდან ლაპარაკობ, მას ბავშვობიდან, მამაპაპათაგან სისხლში გამოჰყოლია ეს ტანჯვა-ტკივილი.

მამულის გამოხსნაზე ოცნებითა და ზრუნვით არავის ჩამოგვრჩება, მაგრამ მას გლეხთა იმედი აქვს, „პარტია გავაფართოოთო“, ითხოვს.

თანამოაზრეთ ეუბნება: „თავადებს ნუ დაუჯერებთ, თორემ მეფობას აღადგენენ საქართველოში. მაშინ ისინი ისევ დაიწყებენ: „მე ერისთავი ვარ!“; „მე ორბელიანი გახლავართ!“, „თქვენ ვინა ხართ, საიდან მოსულხართ!“.

აქ ასეთი ლაპარაკი ქვეყნის დაქცევად და ღვთის რისხვად მიაჩნიათ, მაგრამ მე და თქვენ ხომ ვიცით, რომ განათლებულს ქვეყ-

ნებში ეს ჟურნალ-გაზეთებსა და შეკრებებზე ჩვეულებრივი მსჯელობის საგანია!

ისიც უთქვამს, რუსეთის განათლებულ შვილებთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ მამულისა და ხალხის განთავისუფლებისთვისო.

ამბობენ, მას აღმაშფოთებელი საუბრები ჰქონია კახელ გლეხებთან და ყაჩაღებთანაც მეგობრობს.

ის ძალიან გულმოწყალეა და მტკივნეულად განიცდის ადამიანთა გაჭირვებასა და შევიწროებას.

ელიზბარი მას თითქმის თანაუგრძნობს ყველაფერში. სხვების გასაგონად კი ეუბნება: „იარაღი შენი საქმე არაა! სიტყვით და ჟურნალ-გაზეთებით შეამზადე ადამიანთა გონება! შენ ნებართვა გამოსთხოვე მთავრობას, ჟურნალზე ხელისმომწერლებს მე გიშოვი!“

აი, იასე ფალავანდიშვილისა კი ვერა გამიგია რა!

ჩვეულებრივ ურთიერთობაში სათნო, მორიდებული კაცია.

ლაპარაკში ისე წამოენთება, ისე ულმობელი ხდება, რომ მზადაა მთელი ქვეყანა ცეცხლსა და წყალს მისცეს, არც ერთი სულიერი ცოცხალი არ გაუშვას, ყველაფერი მოსპოს და დაანგრიოს.

რა სურს, რას ესწრაფვის, ვერა და ვერ მივმხვდარვარ!

იერომონახი ფილადელფოსი ყველაზე უფრო მას ჰგავს! ბევრი ტანჯულა და ეს ქვეყანა მასაც ისე შესძაგებია, რომ უკან არ დაიხევს, ძირფესვიანად ამოაგდებს!

ეს ორი ძლიერი, თავგამეტებული კაცი ფრიად მაფიქრებს და მაშინებს.

ფილადელფოსს თუშ-ფშავ ხევსურეთში მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები გაუვრცელებია.

ერთი ღმერთმა უწყის, ვინ გაუძღვება ან რა მოჰყვება ყოველსა ამას!

წმინდა გიორგობაზე მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ არბოში მოიყარა თავი და ბევრი ახალი წევრიც შეიძინა. იასე ხანჯალზე ხელდადებული დადიოდა ხალხში და გაჰყვიროდა: „ჩვენც იმას ვიზამთ, რასაც პოლონელები სჩადიან“. აქეთ-იქიდან გაისმოდა: „უწყია ძმაო, რომელ პოლშასა შინა არს ბუნტი?“ ვახტანგმა პროპორშჩიკ მამაცაშვილს საჯაროდ მხარზე ხელი დაჰკრა: „როცა ჩვენი მთავრობა გვეყოლება, ასე აღარ წავხდებით!“

ყოველს ხის ქვეშ ისმებოდა თავისუფლების სადღეგრძელო.

ზეიმით იტყოდნენ, რომ გვექნება დავით აღმაშენებლისა და წმ. ნინოს ორდენი.

საიდუმლო ანბანით გიორგიმ შეადგინა სია თანამზრახველთა, რომელიც დასწვეს იქვე.

ელიზბარი თბილისიდან გომბორს გაემგზავრა თავის ბატალიონში. ეს არს მიზეზი მდუმარებისა მისისა.

არბოში დიდად გავიხარე. იქაურის გლეხის ქალებისგან სოკოს ორმოცდახუთი ჯიშის ქართული სახელი ჩავიწერე. იფიქრებდი? თქვენ რომ პირველად „სოკო“ გაიგონეთ, გაგიკვირდათ, ქართულადაც ყოფილაო, აქ კი თურმე ორმოცი სახელიც ჰქონიაო! როცა გნახავთ, ამასაც გასწავლით. ზოგი ძალიან სასაცილოდ ლამაზია: „წიფლიო“, „ნიყვი“, „ქამა“, „მიქლიო“, „მერანა“, „მანჭკვალა“, „ჯღავანა“, „სილიო“...

კვირას მანგლისს მივდივარ, დედოფლისწყაროში.

მშვიდობით, ჩემო უსაყვარლესო ძმაო!

თქვენი დაი თამარ იულონის ასული“.

* * *

საბოლოო ჩასწორებების შემდეგ, მიქაიჩი გულმოდგინედ ათეთრებდა სენატის სარევიზიო კომისიის სახელზე შედგენილ მოხსენებითს ბარათს. დაძაბული, შეიძლება ითქვას, დატანჯული გამომეტყველებითა და სასოებით ცდილობდა ლამაზად გამოეყვანა თითოეული ასო და სიტყვა.

წელიწადზე მეტი მოანდომა ამ ათგვერდიან პიტაკს. ასობით საქმის შემოწმება მოუხდა წვრილმანების დასაზუსტებლად. ათასი ვარაუდი გაითვალისწინა და ახლა, როცა საბოლოო წერტილი უნდა დაესვა, კიდევ შიშობდა, ვაითუ რაიმე საეჭვო ცნობა გამეპარაო.

დაბეჯითებით იცოდა, რომ სენატორებმა ქუთაისოვმა და მეჩნიკოვმა, რომლებიც იმპერატორმა პასკევიჩის თხოვნით გამოუგზავნა ამიერ-კავკასიის მხარის შესამოწმებლად და რეფორმის მოსამზადებლად, უკვე დაასრულეს თავიანთი საქმე. გაუგონარი და-

ნაშაულობანი გამოააშკარაევეს და თავიანთ მასალებს სულ მალე წარუდგენდნენ ხელმწიფეს.

ისიც გაგებული ჰქონდა, რომ ახლანდელი მმართველები ძალღონეს არ იშურებდნენ, რათა ყველა უსამართლობა ციციანოვის, გუდოვიჩის, ტორმასოვის, ერმოლოვის, ხოვენისთვის გადაებრალებინათ, თვითონ კი, რეფორმის სულისჩამდგმელებად გამოსულიყვნენ.

დასმენითს მოხსენებაში მიქაიჩი ფრთხილად და მოკრძალებულად მიუთითებს, სად რა შეამოწმონ, ვის ჰკითხონ, რა საბუთები მოითხოვონ. რატომ გახშირდა ყაჩაღობა? რატომ ვერ იჭერენ პაატას, არსენას, ქორღლის? ვინ და რატომ მოხსნა სამსახურიდან „წესიერი რუსი მოხელეები" მელნიკოვი, პაუშენკო, ნიკიტინი, ფეოდოროვი?.. ვინ და რა მიზნით ბრძანა თეკლა ბატონიშვილის ეზოში საგუშაგოს მოწყობა, რამაც ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია? რატომაა ქალაქი მოუვლელი, უპატრონოდ მიტოვებული? რა მიზეზით ჩამოართვეს თავად მაჩაბელს საკუთარი მიწა და მოქალაქეებს მიჰყიდეს დუქნების ასაშენებლად: რატომ აღიზიანებს ხალხს ზავილეისკის განკარგულებანი? რა გზით შეიძინა სამოქალაქო გუბერნატორმა ბორჯომის მამულები?

„წუთი მოსვენება აღარა მაქვს!" — თვალი დახუჭა და თავი ჩაქინდრა მიქაიჩმა. — საქართველო დაღუპვის პირზეა. თუ სენატორებმა პასკევიჩის მითითება შეასრულეს და ხელმწიფეს მისი რეფორმა დაამტკიცებინეს, გვიანღა იქნება. საშინელებაა ჩვენში შიდა გუბერნიების სამოქალაქო მმართველობის შემოღება. ეს ერის გაჭრობას მოასწავებს. ისედაც გაღიზიანებული ხალხი არ დაემორჩილება და სულ გავსწყდებით. საქართველოში კიდევ კარგა ხანს უნდა შევინარჩუნოთ ადგილობრივი მმართველობა, ვახტანგის კანონები, ჩვენი ენა და ადათ-წესები. დღესვე რომ ჩამომახრჩონ, მაინც არ გავჩუმდები. მოიქანცა ჩვენი ხალხი ამდენი ექსპერიმენტებით, სამეურნეო და კომერციული გეგმებით. ხელმწიფე შეცდომაში შეჰყავთ. სკოლები გვჭირია. გიმნაზიას ვერცხლი უნდა მივაშველოთ. ერთა თანასწორობით შეიქმნა და ამაღლდა რუსეთი!"..

ოთახში გაიარ-გამოიარა. იმპერატორის სურათთან შეჩერდა.

ამ სიმაღლიდან ყველაფერი არ ჩანს!

მასონობა. შეთქმულებანი. კარბონარიზმი.. ხალხს აღელვე-

ბენ. ხელს უშლიან ნორმალურ წესრიგს. ელიზბარს კავშირი აქვს გადმოსახლებულებთან. თავხედურად გაჰყვიროდნენ მოედანზე: „ჩვენც იმას გავაკეთებთ, რასაც პოლონელები აკეთებენ!“ ალექსანდრე ორბელიანი სამოქალაქო გუბერნატორთან დადის. დიდი არეულობაა მოსალოდნელი, მაგრამ აჩქარება არ შეიძლება. არც დაგვიანებაა დასაშვები. მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ელიზბარმა მამას მიქსტურის მიცემა დაუგვიანაო.

ვინ უნდა ჰყავდეთ მეთაურად?

რა ვიღონო, არ ვიცი, რომ იასესგან კაცი არ გამოდის! რა ვუყო? როგორ გადავარჩინო? ჩემს ახალ სახლში გადმოვიყვან. აქ უფრო მიეხედავ. თვალწინ მეყოლება. უფრო მოვუვლი. მეცოდინება, რით სუნთქავს. სხვა ამბებსაც უკეთ დავაზუსტებ.

თავის წილ ფულს იასე კეთილად ვერ მოიხმარს. სანამ გონს მოეგება, მე უნდა გადავუნახო, მერმე მიიღებს. ახლა კი განჩინების კომისიაში გამოუცხადებენ, რომ ოსმალეთიდან ვალი წამოჰყოლია და უჩივიან. აუხსნიან, თუ საკუთარი ფული ექნა, კანონი წაართმევს ვალებში. ყადაღას დაადებენ. მის კუთვნილს ლომბარდში დავდებ. ეს ჩვენი ოჯახისთვისაც სასარგებლოა — ვალებისაგან სარგებელს ვერ ავუდივარ.

ჩემს მშვენიერ ძმას დოდაშვილთან მეგობრობა კარგს არ მოუტანს. ერთად არიან ხალხის გონების გასარყვნელად. სიპიაგინი აღარ ჰყავს, რომ ყველაფერი აპატიოს. ეჭვიც არ ეპარებათ; ხარივით კაცი ციებცხელებამ მოადნოო. რა იციან, რომ სენატორებთან დაკითხვაზე გული გაუსკდა“.

მოხსენებას დაუმატა: „ყველაფრის დასახელება აქ არ შეგვიძლია. რამდენიმე საჭალალდეს გამოძახებისას წარმოგიდგენთ“.

კარადიდან საიდუმლო საქმეები გადმოიღო და კრიპტონიმებით ჩასწერა: „პოლკოვნიკ საგინოვისგან ალექსანდრე ჭავჭავაძემ ისესხა 25000 მანეთი ასიგნაციით“.

„ყველიერში თეკლა ბატონიშვილისას ქართულს ენაზედ წარმოადგენენ კომედიას „ნაცნობი უცნობნი“, რომელიც თარგმნა ვახტანგმა“.

სავარძლიდან დაღლილი წამოდგა.

„სრულიად მარტო ვარ. უღლის გამწევი მინდა. ერთგული. მზრუნველი. ჯანსაღი, კარგი ოჯახიშვილი.

ან, ერთი, ან მეორე. იასეს მივგზავნი სათხოვნელად.

ჯერ ეფრემას გავუშვებ ამბის გასაგებად. ფეფენოს ჩემი ძმის გულისვარდთან გავგზავნი დრაგუნის არსებობის შესახსენებლად.“

კარი გამოაღო.

— შემოდი, რას გაჩერებულხარ?

19

ქალაქში ორი კვირით ადრე გავრცელდა ხმა, მიძინების დღეს სალდასტის კრიეი გაიმართებაო; დიდსა და პატარას სხვა სალაპარაკო აღარ ჰქონდა. მუშტების ბაგაბუგი ელანდებოდათ და საიმისოდ ემზადებოდნენ.

აღდგომას საზეიმო განწყობილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. დუქნები დაიკეტა. იმ ადგილებში, სადაც ყველაზე კარგი სანახაობა ელოდათ, ბიჭებმა „თავიანთ ხეებსა“, ბანებსა და სახურავებზე ღამე ათიეს. აქა-იქ ბოძებიც ჩადგეს, ზედ ფიცრის ბაქნები გაიკეთეს.

მთელი სამი თაობა „სალდასტს“ არ მოსწრებოდა, გაგონებით კი ბევრი გაეგონათ. ძველი მოჩხუბრები ლეგენდად ქცეულიყვნენ და ახლა ყველას სისხლი უჩქროლავდა ვაჟკაცური შერკინებების, ახალი გმირების მოლოდინში.

„მეფე ერეკლეს ძლიერ ჰყვარებია!“, „დედოფლებიც ესწრებოდნენ!“, „ომის მაგალითი და შკოლა ყოფილა!“ — გაისმოდა სახლსა და კარში.

საბრძოლველად შეპურვილი ვაჟკაცები საშიშრად იჯგლიმებოდნენ. სამიკიტნოებში კამათელს აგორებდნენ. ცოტ-ცოტა ღვინოს წრუპავდნენ. მეტოქეებს ემუქრებოდნენ, იქაჩებოდნენ. დარბაისელ მსაჯებს წესრიგზე მოლაპარაკება გაემართათ. მოკრიველები იარაღს სინჯავდნენ: შურდულებსა და ხის ხმლებს, აბრეშუმის ან მატყლის ნართით ნაქსოვ ხეშეშა ნოხის ნაჭრებს, რომლებშიც ქვებს ალაგებდნენ და შურდულით ისროდნენ.

მოსაღამოვდა.

ხალხით სავსე ქუჩებში ზურნა აჭყვიტინდა. გამოვიდნენ ცალ-ცალკე მოწინააღმდეგე მხარეები — „ზემოურები“ და „ქვემოურები“ — კალა, სეიდაბადი, ისანი, გარეთუბანი.

დადგნენ ერთმანეთის პირისპირ ნათესავ-მეგობარნი: მტკვარგაღმელი „ჰავლაბრის ბუნაპარტე“ და მტკვარგამოღმელი „ჭრელო“, „ზემოური“ „მართაი ბიჭი“ და „ქვემოური“ „დიღმის არსენა“.

გუშინაც ერთად იქეიფეს, ხვალაც ერთად მოილხენენ.

წინ ყაენი.

ვეზირები.

ამალა.

დოლი.

დაფა-ზურნა.

საყვირები.

ლაშქრული სიმღერები.

მამულიშვილთა შესამკობელნი.

გაუძღვნენ მსაჯები მოწინააღმდეგეებს სხვადასხვა მხარეს ადგილების მისაჩენად, სადაც მთელი ღამე ერთმანეთის პირისპირ უნდა გაატარონ მთაწმინდა-ნარიყალას ხევებსა და ფერდობებზე. მსტოვრებმა უნდა გაიგონ, რომელი ფალავანი სად იმყოფება, რათა იმ უბანზე ღირსეული მეტოქე დახვდეს.

გააცილეს თავგამოდებულმა ქომაგებმა ქალაქის კედლებამდე...

გამთენიისას თეთრ ბაფთებად დაეხვია მთაწმინდის კალთებს საზეიმოდ მორთულ ქალთა მწკრივები.

ყველას თავისი რაინდი, გულისმურაზი და კერპი ჰყავდა, რომელთაც საქმენი საგმირონი უნდა ეჩვენებინათ.

სოლოლაკის ქედი სეირისმოყვარეებით გაიცსო.

ხეები, ბან-სახურავები, სახელდახელო ბაქნები გოგო-ბიჭებით დაიხუნძლა.

მამადავითის მთის ძირში სკამ-სავარძლებით გაწყობილ მოედანს პოლიციელები იცავდნენ.

აქ ერთმანეთში ირეოდა ბრჭყვიალა პაგონები, თეთრი მუნდირები, პორტუპეები. ოქრომკედით ნაქარგი ჩოხები, დიდვაჭართა და უსტაბაშთა ყურთმაჯიანი, სოვდაგრული კაბები, სამკუთხად გადანაკეცი ქართული ყოში სამაჯურები.

ხალხი ექსტაზში იყო მოსული. თავ-თავიანთ ფალავნებს აქებდნენ, სანაძლეოს დებდნენ. ცდილობდნენ, შესაფერი სიდარბაისლე გამოეჩინათ, მაგრამ მღელვარებას მაინც ვერ იოკებდნენ.

„დარჩუა ერთის დარტყმით კამეჩსა ჰკლამს!“

„ხარფუხელმა ლეკუამ მუშტით კლდე ჩამოანგრია!“

„მჭედელი ილა მარცხენა ხელით ცხენოსან კაცს თავსზემოთა სწევს!“

„შენ ჰავლაბრის ბუნაპარტე გინახამს? ისე ჩააფარებს, რო ზედაც არ დახედამს!“

„შვიდი ადლიაო!“

„რას ამბობ, კაცო!“

„შვიდი ადლი როგორ არ იქნება, სამი ადლი მარტო კისერი აქვს!“

ქუჩის დასაწყისში ნისლისფერ ყარაბაღულზე ამხედრებული ალექსანდრე ჭავჭავაძე გამოჩნდა, გენერლის მუნდირში. ცხენი მოშორებით შეაჩერა და იქაურობას მედიდური გამომეტყველებით ათვალიერებდა.

ხალხი გაინაბა.

— ხედავ, ჭავჭავაძემ თავისთავი დაგვანახა! — წასჩურჩულა იასეს ალექსანდრე ორბელიანმა.

— ჩქარა, ხანჯლები გამოვიტანოთ!

— დაგვიდასტურა, მე თქვენთანა ვარო. ეს საკმაო არს.

— მაშ ხვალ მეტი კრივი გავმართოთ და ბუნტიც ზედ მოვაყოლოთ!

— ამას დრო უნდა!

—ამისთანა დროს სადღა ვიშოვით!

ელჩების მოლაპარაკება დასრულდა.

დაჰკრა ზურნამ საიერიშო.

აჰყვნენ დაფდაფები.

სასულე ორკესტრის თანაბარზომიერ გრიალში გამოცვივდნენ საფრებიდან თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭები და დაუშინეს შურდულები.

აზუზუნდა ქვები.

ეკვეთნენ, მიესივნენ, შეაწყდნენ ერთმანეთს. ესროდნენ გამეტებით, დაუზოგავად.

ტატო ბარათაშვილი პირველი გაეჭანა მოწინააღმდეგეებისკენ. უბე საცსე ჰქონდა ქვებით. ქამარზე ხის ხმალი ეკიდა. ქვებს რომ სასიკვდილო დარტყმა არ მიეყენებინა, გულ-მკერდს ორად მოკეცილი მოკლე ნაბადი უფარავდა.

აუშვა შურდულები. უმიზნებს, ესვრის, წინ მიიწევს.

წამოიშალნენ მაყურებლები.

გულისხეთქვით შეჰყურებდნენ შვილებს.

მელიტონ ბარათაშვილს თმა ყალყზე აშლია.

ტატოს მოზრდილი კენჭი მოხვდა შუბლში, სისხლი სდის. მაგრამ ვერც კი ამჩნევს ამას, წინ მიიწევს.

ბრბოს ღრიანცელსა და ყიჟინში ბიჭებმა ხმლები იშიშვლეს და გაშმაგებით მიეჭრნენ ერთმანეთს.

არ ნელდებოდა ჩახაჩუხი.

ტატოსაც მოარტყეს ხმალი. საცაა წაიქცევა.

მელიტონ ბარათაშვილმა ვეღარ გაუძლო, გადახტა, ერთადერთი ვაჟი, რომელსაც ომის ჟინი მოსდებოდა, ძლივს გამოათრია ბრძოლიდან.

ბიჭებში ვერც ერთმა მხარემ ვერ გადასძალა. ვერც ჰაბუკებმა დაჯაბნეს ერთმანეთი.

ჰიდილი ერთს ადგილზე გრძელდებოდა. არც ერთს არ უნდოდა დაეთმო მთაწმინდის ფერდობები. იცოდნენ და გრძნობდნენ, თუ ერთმანეთს ზურგს უჩვენებდნენ, ერთიანობის შენარჩუნება და მტრის შეჩერება შეუძლებელი გახდებოდა.

საშინელ ტკივილს იტანდნენ. ბრძოლის ჟინმორეულნი, მოტეხილი ხელებით განაგრძობდნენ შურდულის სროლასა და ხმლის ქნევას. თავპირი დასიებოდათ ქვების ხათქახუთქისგან. სისხლი ღვარად ჩამოსდიოდათ, მაგრამ, თითქოს მიწაში ჩაუჭედიათო, ნაბიჯს არ იცვლიდნენ.

აი, მიილულა ორივე მხარე. ჩაქრა იერიში. ხალხს თავგანწირვით გამოჰყავდა ილაჯგაწყვეტილი ახლობლები. ის იყო, თითქოს, ყველაფერი დამთავრდაო, რომ, უცებ, იგრიალა დაფა-ზურნამ. გადმოეშვნენ ბრძოლის არენაზე ფეხშიშველი და თავშიშველი გოლიათები. გაღეღილნი. ჩოხაგადმობრუნებულნი.

დარჩუა და ლუკა. ილა და მელქო. ჰამალო და ზაქარა.

„ზემოურები“ და „ქვემოურები“.

აზუზუნდა შურდულები. დატრიალდა მუშტისხელა ქვები.

ბრაგაბრუგი გასდიოდათ შუბლებს, თავებს, გულ-მკერდს.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთურთს ამდენი ხნის მოლოდინით გაცოფებულნი.

თეთრჩოხიანმა, ჩუღურეთელმა მიტუამ ისეთი გაადო, „ზემოურ“ ლეკუას, რომ ზათქით დაახეთქა მიწას.

„ჰავლაბრელ ბუნაპარტეს“ შვიდი-რვა კაცისთვის ფიჩხივით მოეხვია ხელი და უფსკრულზე ჰყრიდა. კლდეგლეჯია ჰამალო ერთი მუშტის დარტყმით ათავებდა მოწინააღმდეგეს. ნალისმღუნველი კოლა ტოტებივით სხეპავდა გარშემოხვეულ „ქვემოურებს“. „დიღმის არსენას“ დოლაბივით მუშტებს გრუხუნ-გრუხუნი გაჰქონდა მოწინააღმდეგეთა თავებზე. „აქლემა“ გაქვავებული მკლავებით ერეკებოდა მტრებს.

თავდავიწყებულ მაყურებლებს სიგიჟე ერეოდათ.

— კუსპარ, მიდი, მიდი!

— ბენეკო! გოგრაში, გოგრაში, მაგ ოყრაყს!

— „დიღმის არსენაზე“ ათ თუმანს ვუმატებ!

— „ჰამალოზე“ ას თუმანს ჩამოვდივარ.

— ქოსავ, ეგრე, ეგრე, შენი ჭირიმე!

— ხევში, ხევში!

— კლდეზე გადაჩეხე! აგრე მოუხდება მაგას!

— ე საიდანღა გამაატყვრინეს!

— ესეც მარაქაში ერევა!

„ჰავლაბრის ბუნაპარტეს“ ვილაცამ თავში აგური თხლიშა, აგური ნამსხვრევებად იქცა, ბუნაპარტემ კი მშვიდად მიიხედ-მოიხედა, თითქოს, კოღომ უკბინაო.

შუადღე გადავიდა. გამარჯვებული ჯერ არ ჩანდა, რომ, მოულოდნელად „ქვემოურების“ მხრიდან ქვა და გუნდაში დანები და ალესილი რკინის ღეროები აურიეს.

ამან ისე გააშმაგა მოწინააღმდეგენი, რომ მთელი გულით დაეძგერნენ ერთმანეთს და „ქვემოურების“ მარჯვენა ფლანგი „ზემოურებმა“ ხევში გადაჩეხეს. ბზის სახრეებითა და რკინის ღეღეებით, რომლებიც საიდანღაც გაჩნდა მათ ხელში, ლეღვთა ხევში ჩაჰყვნენ, სახაზინო ბაღის ფერდობებზე წამოეწივნენ და დაბახინის ჩანჩქერებთან სისხლმოწყურებულნი შეეტაკნენ.

ერთი ნაწილი რომ აქ, თეთრი ფერფლით დაფარული თიხის ფიქლებით უჩეჩქავდნენ ერთმანეთს თავებს, მეორენი მთიანი ქედის კალთებზე, ძველი ციხის ნანგრევებთან, სადაც ნაირ-ნაირი ქვების უდაბნოა, ხარბად ივსებდნენ უბეებს ამ მუქთი ტყვია-წამ-

ლით, რომელიც იქ, ქვემოთ, ცხარე ბრძოლებში გამოადგებოდათ.

შეძრწუნებულმა ხალხმა იხუვლა. სადღაც სროლა გაისმა. ხანჯალი ალაპლაპდა. „ქვემოურები“ ყველას სისხლისმსმელ მხეცებად მოეჩვენათ და მთაწმინდაზე დარჩენილ მთავარ ნაწილს ქალი და კაცი ყიჟინით ზედ მიაწყდა.

ახლა ამათი დამშვიდება და შეჩერება აღარავისა და აღარაფერს აღარ შეეძლო.

შიშველ-ტიტვლები იყვნენ, არც რცხვენოდათ და ვერც ამჩნევდნენ ამას.

ერთადერთი, რასაც ქალაქის გადარჩენა შეეძლო, სეიდაბადისა და კალას გადაკეტვა იყო, ეს ისანსაც იხსნიდა, მაგრამ პოლიცია გამქრალიყო, გადაცმული მოხელეების ყვირილი კი არავის ესმოდა.

გამძვინვარებულმა ბრბომ სოლოლაკის ხევი ჩაკეტა, პატარა მონაკვეთზე გამომწყვდეულ ხალხს დაერია და ცდილობდა, ცოცხალი არავინ გაეშვათ.

ქალები, ბავშვები და მოხუცები უსასოოდ ელოდნენ სიკვდილს, მაგრამ „ქვემოურები“ აქ გაათმაგებული ძალით იცავდნენ თავს. ქართულ-სომხურ-რუსულ-თათრულ-სპარსულ სოდომგომორის წყევლა-კრულვაში ალყაშემორტყმულებმა ერთხელ კიდევ მოიკრიბეს ძალა, გაარღვიეს განჯის კარიბჭე და სოლოლაკის ხევით სეიდაბადისკენ დაეშვნენ. „ზემოურები“ ფეხდაფეხ მიჰყვნენ და თვალის დახამხამებაში ეს აჭაფებული ტალღები ქალაქის ცენტრში აბობოქრდა და მთავარმართებლის სასახლესთან მიიჯრა.

სწორედ აქედან დაიწყო ის, რამაც ხალხს ლეკთა შემოსევები გაახსენა და უზომო მსხვერპლი მოუტანა.

მიტოვებული მაღაზიების, მდიდრული ბინებისა და კანცელარიების დანახვაზე, აქ უკვე აღარავის ახსოვდა, ვინ „ზემოური“ იყო და ვინ „ქვემოური“.

ქუჩებში კახურით სავსე რუმბები და კასრები დახვდათ. იქვე ხელადები და ტოლჩები. გათანგული, მოწყურებული ხალხი უგონოდ მიეძალა სასმელს.

მათ შეუერთდნენ მათხოვრები, მაწანწალები, ქუჩის მოხეტიალენი, შინამოსამსახურენი.

დაიწყო რბევა.

გამოჰქონდათ ძვირფასეულობა, ფული, სასმელ-საჭმელი, ტანსაცმელი.

„სალდასტის“ წესით მოწინააღმდეგისგან ნადავლის წაღება ნებადართული იყო. მაგრამ იარაღის, თოფის, რევოლვერის, ხანჯლის, ნაბდის, ქამრის. აქ კი არაფერს არ ტოვებდნენ.

— ეს რა ხდება? — შეშფოთებით ჰკითხა პაუშენკომ ალექსანდრე ორბელიანს, რომელსაც ცემისგან ცხვირპირი დასიებოდა.

— გართობა გახლავთ! — აღტაცებით მიუგო იასემ.

— ნუთუ, მათ ჯანყი სურთ?

— მშვენიერი იქნება!

— ეს ხომ ტყუილ-უბრალოდ თავის დაღუპვაა!

— დიდი ხანია, დაღუპული ვართ!

— ამ ძალით ხომ საქმის გაკეთება შეიძლება!

— აბა, ახლა თან დასძახეთ, ხელმწიფე სალდათს გვთხოვსო, და შაშინ ნახავთ!

— ხომ ვიცით, რა დღეში არიან — შიშველ მიწაზე სძინავთ!

— გინდათ, იმ სისხლიანს ვკითხო, რა გასჭირვებია? — თქვა იასემ.

— შარს არ გადამყარო. თავი ანებეთ ემაგ კაცს, ღვთის გულისათვის, ვერა ხედავთ, რა სახე აქვს? რაღა დაგიმალო, იასე, ჩემი ხალხი: ლეკი ივანე, დალაქი, აზნაური ყარაულიძე გუშინწინ დილიდან უჩურჩულებდნენ ხალხს, სალდათს კრეფენო, და, ხომ ხედავ, მე თვითონ ვითარ მიმტყიპეს!

— ეს იმაზე მეტი საშინელებაა!

ამასობაში „მოკრივეები“ სიონის ქუჩაზე ჩამოხვავდნენ, მეიდნის ყაფანი დალეწეს, ჩაიხანები, ყავახანები დაარბიეს, აბანოები აიკლეს, ორთაჭალის ბაღებს მოედვნენ, ისნის ხიდამდე გავიდნენ.

ქუჩები და მოედნები რიყედ იქცა. ეზოები ნარიყალას ქვებით ამოიყორა. თავგაჩეჩქვილი, გაგუდული, განგმირული ბავშვები, ქალები, მოხუცები უპატრონოდ ეყარა. აქა-იქ კასრებით წყალს ეზიდებოდნენ ხანძრის ჩასაქრობად.

ქალაქი გაქელილი და გაძარცვული იყო. მარბიელები დაწვალიკებული გაუჩინარებულიყვნენ მის კუთხე-კუნჭულებში, როცა ბრძოლის ველადქცეულ უბნებს კახეთის ხაზიდან საჩქაროდ გამოძახებული კაზაკების ორი პოლკი შემოერტყა.

* * *

მესამე დღეს კრივში დახოცილ სამოცდაათ კაცს ასაფლავებდნენ. მთელი ქალაქი გლოვობდა.

ათასამდე თბილისელი დაჭრილიყო, თორმეტი უგზოუკვლოდ გაქრა.

— რაც ციციანოვის დროს „სალდასტში“ იმდენი ხალხი გაწყდა და ქალაქი გაჩანაგდა, კრივი ხომ კანონით აკრძალული იყო და ოცდაათი წელია, აღარც ყოფილა. ეს როგორღა მოხდა? — ჰკითხა ელიზბარმა პაუშენკოს.

— გუბერნატორის დაჟინებით! ხალხს გული გაუტყდა, ომებით დაიქანცა, ხოლერამ დააძაბუნა, ცოდოა, ცოტა რითიმე მაინც გაერთოსო და დაისვენოსო.

— უყურეთ, ამდენი ხალხი ჩემს დღეში არ მინახავს. ამბობენ, დღესაც საკრივოდ შეყრილანო.

20

— ბატონებო! — მიმართა იასემ ვახშმად მიწვეულ მეგობრებს. — ვინაიდან ყველამ იცით ის მიზანი, რომლისკენაც მიმართულია ყოველი ჩვენგანის აზრი, ვიყოთ გულახდილნი. დღეს ისეთ საქმეზე შევკრებილვართ, რომ ამიერიდან ერთმანეთისთვის ძმაზე მეტიცა ვართ და ჩვენს შორის დაფარული არაფერი აღარ დარჩება.

დრო! დრო! დრო! ისტორია გვიჩვენებს, რომ დაგვიანებას საქმე ყოველთვის ჩაუშლია. აქამდე ჩვენ ვლაპარაკობთ, მაგრამ მოქმედება არ ჩანს.

დღეიდან ამას ბოლო მოეღება. მე წაგიკითხავთ გეგმას და ვსთხოვ ყველას, გამოთქვას თავისი აზრი საშუალებების თაობაზე.

— ამინ!

— აგრე იყოს!

— წაგვიკითხე!

— შესაკრები ადგილი ჩვენის აღრეულობისა იქნება თათრის მოედანზე. იქ აღიმართება დროშა. ერთს მხარეზე ღვთიშობელი

და მეორეზე წმინდა ნინო. დროშაზე, ორივე მხარეს, იქნება წმინდა გიორგი.

მოედანზე ქართულ სიმღერებს დაუკრავს ოთხი დასტა. ეკლესიებში ასტყდება ზარების რეკა. გამოვა საზეიმოდ შემოსილი სამღვდელოება, მღვდლები და ბერები, ხატებითა და დროშებით სიონიდან გამოასვენებენ ღვთიშობლის ხატს. დაიწყება ღვთიშობლის ხატზე ხალხის დაფიცება საერთო გუგუნით: „საქართველოს თავისუფლებისათვის სიცოცხლე შეგვიწირნია!“

ჩვენი რაზმები დაიკავებენ არსენალს, ციხეს, ხაზინას, ყაზარმებს.

ბერმონაზონ ფილადელფოსს დაეკალოს ხალხში ხატების გამოტანა.

სომხები ფეთხაინიდან გამოასვენებენ ღვთისმშობლის ხატს და დააფიცებენ მრევლს.

ციხეზე მივა ორმოცი კაცი დიმიტრი ორბელიანისა. ყაზარმებზე ორასი კაცი ჩოლოყაშვილისა და გიორგი ერისთავისა. არსენალზე დიმიტრი ერისთავი და ვახტანგ ორბელიანი. ნავთლუღზე ბიძინა ერისთავი ათის კაცით. საპროვიანტოზე კვლავ ვახტანგი და დიმიტრი.

კორნეტი გიორგი ერისთავი, რომელიც ფრონტიდან ახალდაბრუნებული იყო, ფანქრით, იქვე სახელდახელოდ, ობიექტებისა და ნაწილების განლაგებას ხაზავდა.

— აღრეულობის გამოცხადებისთანავე მღვდელმთავარნი გამოიყვანენ ხალხში თამარ ბატონიშვილს, რომელიც იქნება გადაცმული მამაკაცურად, და იქადაგებენ — „აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი თამარ, ყოველნი ამას უნდა მორჩილებდეთ. რაც გვიბრძანოს, უნდა აღვასრულოთ!“

სიონის სამრეკლოზე ავა სამი კაცი და იქიდან დასძახებენ ხალხს: „თავისუფლება და სიხარული ყოველსა ერსა ზედა!“

დაგეპირდა თამარი ასე: „ვიქნები მოთავე თქვენი და მმართველი, ვიდრე ბატონიშვილები ჩამოვიდოდნენ!“

— სულ ეს არის? — შეშფოთებული ირონიით იკითხა ჩოლოყაშვილმა.

იასემ ჯიბრიანად განაგრძო:

— სასწავლო ბატალიონი უმალ ჩვენს მხარეზე დადგება და

მონაწილეობას მიიღებს. დავით ნათალიშვილი ალექსანდრე ორბელიანის მამიდაშვილია, ჯიბრაილ წერეთელი მისივე სიძე, დავით ჯორჯაძე ჩემი მეგობარია. ნათალიშვილის მამა მითრიდატეს გაჰყვა კახეთიდან.

— ესენი ჩვენი ერთგულნი არიან! — დაუდასტურა ალექსანდრემ.

— არსენალში პრაპორშიკი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაგვიღებს კარს და გადაცმულნი შევალთ. ბეჟან ამილახვარს ხაზინაში და ორდინანს ჰაუსში თავის ხალხი ჰყავს.

— მიკვირს, რომ ასე იოლი გგონიათ! — შუბლი შეჭმუხნა ზაქარიამ. — სართიჭალაში შირვანის პოლკი დგას. გომბორზე ორი კარაბინერთა ბატალიონია. მცხეთაში კავკასიის გრენადერთა ბრიგადა იმყოფება. თქვენი აზრით, სულ რამდენი პოლკი იქნება აქ?

— პოლკები ძლიერ ცოტაა და არც სრულია. მთავარი ნაწილები ჰარბელაქანშია. როგორც კი ერთი თოფი გავარდება, ყველას ჭათმებივით ამოხოცავენ.

— შეიძლება ათასი კაცით სასწაულის მოხდენა? — წამოიძახა ბარძიმმა.

— ნუთუ, ორ პოლკს ვეღარ მოვერევით?

— ესოდენ საქმის გაიოლება, დამღუპველია, ბატონებო! — ამოიოხრა ჩოლოყაშვილმა. — მე ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ვთქვი. „იცით, ვისთან გექნებათ საქმე?“ დავიწყეთ იქვე პოლკების, შტაბსადგურების მოხაზვა, ჯარის რაოდენობის გამოთვლა და ზოგმა იანგარიშა კორპუსში ოცდაათი ათასი იქნებაო, რაზედაც ჭავჭავაძემ უთხრა, სამოცი ათასზე მეტიცააო. ეს თოფქვეშ. ახლა სხვაც მიათვალეთ! დავანებოთ თავი ოცნებას. ვიყოთ მეგობრები და დავივიწყოთ ეს ყველაფერი!

— გულ-ხელი დავიკრიფოთ?

— უაზროდ გაწყდომას რაღა სარგებლობა აქვს! მათ დანიშნული აქვთ შესაკრები ადგილები და პირველი გასროლისთანავე ყველა იქ გაჩნდება.

— ერთდროულად უნდა დავესხათ. თუ შეერთების საშუალება მივეცით, ძნელი იქნება! — თქვა პაუშენკომ.

— ვინ აცლის შეკრებას! — გაფიცხდა იასე. — მივსცემთ პაროლს და შეიქნება მთავრობის ხალხის წყვეტა.

— შეექმნით საარტილერიო ბრიგადას.

— ასე მალე სად ისწავლის ჩვენი ხალხი ამას?

— ჩვენთან არიან რუსნი, პოლაკნი, სომეხნი, მცოდნენი არტილერიისა. რუსი უნტეროფიცრები და სალდათები გვასწავლიან. პოლაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს. მათ იციან.

— სალდათებს იოლად გადმოვიყვან ჩვენს მხარეს და ისე მოიხმართ, როგორც თქვენს გულს უნდა. ჩრდილოეთის საზღვარზე სწორედ ეს რუსის ჯარი დავაყენოთ! — გამამხნევებლად თქვა მელნიკოვმა.

— რუსი დეისტვიტელნი სოვეტნიკი გვირჩევს აღრეულობას, ჩვენ კი, გვეშინია. — თქვა იასემ, — ნიჟეგოროდის პოლკიდან რომ იაკოვლევის სალდათები გაიქცნენ, ისინიც ჩვენთან იქნებიან.

— აქაური სალდათის ცხოვრება რაა! პოლკოვნიკმა შვარცმა თავისი ორდინარეცი იმისთვის გააროზგვინა, რომ გამოსცადა და პირთამდე სავსე ჭიქიდან ორი წვეთი წყალი დაეღვარა. აქ ამ ნაწილებში იმისთვის აგზავნიან; „რათა მიეცეთ შემთხვევა, ჭუჭყიანი ლაქა მოიშორონ!“

— არ უნდა განმეორდეს შეცდომილებანი აღრეულობისა მხედართასა პეტერბურგში. — ამოიკვნესა ზაქარიამ.

— მე ყოველდღე დავდივარ ჩემს სიძე მელნიკოვთან, მისი მაღაზიების ქვეშ არიან შეიცარიელი ვაჭრები და იმათთან მოდიან პოლაკები, ზოგი სათხოვრად, ზოგი სამასლაათოდ და მე განზრახ დავუწყებ ხოლმე ლაპარაკსა, ვანუგეშებ და ვეუბნები, ჩვენც თქვენსავით ვართ. ისინი მეუბნებიან: „ზა ოტჩიზნუ!“ — გამოაცხადა ელიზბარმა, რომელიც ახლა ჩვეულებრივზე უფრო მაღალი და ძლიერი ჩანდა.

— ვთქვათ, მათი გარეკვა იოლია, მერე გაგვიძნელდება. დამოუკიდებლობა იმას ნიშნავს, რომ შეგვეძლოს საკუთარი ძალით არსებობა, თორემ გიჟი თავისუფალია. რის იმედი გაქვთ? რომ გავთავისუფლდეთ, ძალგვიძსა დაცვად თავის ჩვენისა? რამდენ ჯარს გამოიყვანს საქართველო? — თქვა ზაქარიამ. — შეუძლია საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა?

— გამოვა თორმეტი წლიდან ას წლამდე ქუდზე კაცი. ეს ასი ათასი ჯარია. სულ აქ ჩამოვლენ და გავაწყობთ რეგულს. — შეუტია იასემ.

ჰმ! ასი ათასი კი არა, ხუთიც გაგვიჭირდება. ისიც ორ დღეში გაიფანტება. მილიონი ჯარი ჰყავთ, ასი ათასი რომ გამოგზავნონ, ქოქით ამოგვაგდებენ. შეიძლება სამი ათასი კაცით სასწაულის მოხდენა?

— ზაქარიავ! რატომ არ ინდომებ მაგათ გადარეკვასა? — ჰკითხა ალექსანდრე ორბელიანმა.

— სახანოები რომ ჩვენი მონანი აღარ იქნებიან?

— რათ გვინდა ის სახანოები, ჩვენ თვითონ!

— მაშ, სულ ორმოცი ათასი კომლი დავრჩებით.

— მთა და სახანოები ერთად სულ ორმოცდაათი ათასი კომლია.

— ჩვენ შევჰკრავთ დარიალს ისე, რომ ფრინველი ვერ გადმოფრინდება. ხეობას ამოვყორავთ და ჩავხერგავთ. შავი ზღვის სანაპირო ზარბაზნებით და ექვსი ათასი ჯარით გავამაგროთ, კასპიის სანაპირო ექვსი ათასით.

— შესძლებს თუ არა საქართველო, წინააღმდეგობა გაუწიოს სპარსეთსა და თურქეთს, რუსებმა რომ საქართველო მიატოვონ? — იკითხა ბარძიმმა.

— ძნელია ეს! — ჩაილაპარაკა დიმიტრი ყიფიანმა.

— საქართველო ვერ შესძლებს ვერც რეგულის შექმნას, ვერც საზღვრების დაცვას.

— რეგულ მხედრობასაც იოლად შევქმნით და თუ ყველა ქართველი და სომეხი ერთად ვიქნებით, ყველაფერში გავიმარჯვებთ.— თქვა იასემ.

— შენ უწყი, რომ ყოველს მხარეს არიან მტერნი მამულისა ჩვენისა? — შესძახა ბარძიმმა.

— მოვიწვიოთ ფრანცუზნი!

— ძალიან შორს წაბრძანდი! საიდან აპირებ მათ გადმოყვანას?

— კარტა იმისთვის არსებობს, რომ შიგ ჩავიხედოთ! აი, ნახეთ ალჟირი! აქ ათასი ფრანცუზი დგას. ესეც გზები, რომლითაც ისინი ორ თვეში იმერეთზე გადმოვლენ!

— ვთქვათ, მოვახდინეთ ბუნტი! — თქვა ალექსანდრე ორბელიანმა. — შევკრიბეთ ჯარი. საჭიროა თუ არა მას ექნეს სურსათი?

— სურსათს წავართმევთ თვით მათ! — მიუგო იასემ.

— იქნება თუ არა მაღაზიებში ერთი წლის სურსათი?

— მე სულ ვფიქრობ, რით დაბოლოვდება! — წაიბუტბუტა დიმიტრი ყიფიანმა.

— რა მოსაწყენი კაცია! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა იასემ.

— ჰო, გვითხარით, სად შოულობთ ხაზინას და სურსათს!

— შეგვიძლია, ხელთ ვიგდოთ მთავრობის ექსტრაორდინალური თანხა, რომელიც მე ვიცი, სად იმყოფება, და გატაცება სხვას დავაბრალოთ! — თქვა იასემ.

— ამ საქმის სასარგებლოდ დღესვე დავაგირავებ მთელ ჩემს ქონებას! — შეჰყვირა ელიზბარმა. — ერთ კაპიკსაც არ დავიტოვებ! გავჰყიდი ყველაფერს, თუნდაც შვილებს შიმშილით სული ამოხდეთ! მოვაწყობ თოფ-წამლის ქარხანას!

— საჭმელნი და სასმელნი, ტანისამოსნი და ლოგინი სულ ჩემზე იყოს! — დაიძახა იასემ. — ჩემი ძმისგან ასი ათასი მანეთი მერგება, იმასაც თქვენ გაძლევთ. ნუღარ ვაყოვნებთ! დავიწყოთ საქმე!

ბერი ფილადელფოსი მოწოდების ქაღალდებს ავრცელებს თუშ-ფშავ-ხევსურეთში. მონასტერში ფარული საწყობები აქვს. დიდოელებს და ლეკებს მოგვიყვანს.

„განდევნა შეიძლება, მაგრამ მერმე? — ფიქრობდა დოდაშვილი. — ქვეყნის ბედს სასწორზე ვაგდებთ. ასეთ საქმეში შეცდომა, ღალატია. ისინი მოისყიდიან ჩვენს თავადაზნაურობას, განდგომილთა მამულებს დაჰპირდებიან. და, ერთმანეთს გავსწყვეტთ. გლეხები თავადებს არ გაჰყვებიან. ჩვენ გვავიწყდება, რომ ის დრო აღარაა, რაც ორმოცი — სამოცი წლის წინათ იყო; ხალხი გამოიცვალა; გაჭირვებული კია, მაგრამ თავდასხმებისგან სული მოიბრუნა და სიმშვიდეს იოლად არ დათმობს; ჩვენ ისე ვიქცევით, თითქოს, არაფერი მომხდარიყოს!“

— ვისი იმედით ფიქრობთ ამას? — ეჭვი არ ასვენებდა ზაქარია ჩოლოყაშვილს.

— ყოველი თანამზრახველი გამოიყვანს თავის კაცებს. — მიუგო ალექსანდრე ორბელიანმა.

— ეს იქმარებს? — მწარედ ჩაეცინა ზაქარიას.

ი ა ს ე: ქალაქელები მზად მყავს! აი, ზაალმა იცის! (მიაჩერდა ავთანდილაშვილს).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი: რომელ ქალაქელებზე ლაპარაკობ?

ი ა ს ე: ორას-სამასი ლოთი კაცები შევყაროთ! სირაჯებსა და მიკიტნებს ხალხისთვის დუქნები გავაღებინოთ. ჩირაღდანი და „ზალდასტის“ კრივი მოვახდინოთ, მე იმედი მაქვს თბილისის ბროდიაგების და ლოთების! (თავისთვის: თქვენზე მეტი იმედი!)

ს ო ლ ო მ ო ნ ი: (ჩუმად): მაგარი ჯარია!

ზ ა ა ლ ი: ჩვენი გლეხობა!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი: ძალიან არ გვიჯერიან მემამულეებს?

ბ ა რ ძ ი მ ი: ქადაგები დავარდნენ, რომ წმინდა გიორგი ასე მოითხოვს.

პ ა უ შ ე ნ კ ო: ხმა დავყაროთ, სალდათს აგროვებენო, ეს აღაგზნებს ბრბოს!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი: რას გაუგიჟებიხართ, აბა, მიიხედ-მოიხედეთ, რაოდენი მშიერი ხალხი გვახვევია, უკეთუ აღრეულობა მოხდა, სულ შეგვჭამენ!

ი ა ს ე: ახლა საქართველოშიც შეიძლება რევოლუციის მოხდენა! უცებ გამოვიყვან ხელოსნებს, ლოთებს, მოხეტიალე ხალხს, მე მათ დავათრობ. მე მყავს ზალიკო, აღაბეკ ბეგლაროვი, „ჰავლაბრის ბუნაპარტე“, „დიღმის არსენა“, ალილ-მელიქი... ისინი ხმას ყრიან, სალდათი მიჰყავთო!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი: ველარა ნახეთ, რას მოასწავებს „პაატას ჯარი“ და „ჰავლაბრის ბუნაპარტეს“ კრივი? მთელი თბილისი აიკლეს და კინალამ წაგვლეკეს. ზედაც თვალი ამომიგდეს და ლუარსაბი რომ დროშკიდან ჩამოაგდეს, დღესაც ლოგინშია.

ი ა ს ე: პირიქით, ამან დაგვანახა რა ძალა აქვს ხალხს. ჩვენ რო ესენი ავუშვათ, ვერც ეგერები დაუდგებიან და ვერც დრაგუნები.

ზ ა ქ ა რ ი ა: ვერც ჩვენ! აი, რა არის ამის უბედურება! უნდა ვიმოქმედოთ არა ბრბოს იმედით, არამედ კეთილშობილთაგან გამოყვანილი რაზმებით!

ი ა ს ე: ბატონებო, თუ გსურთ გაკეთდეს ეს საქმე, ნუღარ ვყოყმანობთ! კრივი მშვენიერი რეპეტიცია იყო!

ყ ა ფ ლ ა ნ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი: თუ ქალაქში მოახდენთ, ჩვენ ქართლიდან მოგეშველებით!

ი ა ს ე: არა, რაც შეგიძლიათ, წინასწარ მოიყვანეთ, და ერთად მოვახდინოთ!

ალექსანდრე ორბელიანი: ას კაცს ლუარსაბი ჩამოიყვანს!

ელიზბარი: თორმეტი მამასახლისი გაფრთხილებული მყავს, მომაშველონ ჯარი და სურსათი!

ვახტანგ ორბელიანი: დამაცადეთ, სულ ელიზბარი ლაპარაკობს, იქნებ, მეც რჩევა მოგცეთ!

ელიზბარი: შენ, ძმაო, ჯერ პატარა ბიჭი ხარ, ამ საგანზე მსჯელობა არ შეგიძლია. ჩვენ, ერისთავები, გენერალ-ლეიტენანტ სენატორით დაწყებული, უკანასკნელ პრაპორშჩიკამდე და ყველა ჩინის არმქონებელი გამოვალთ ოსეთის სამაგიეროსთვის!

ბიძინა: მე წინასწარ ვერავის ჩამოვიყვან, მაგრამ თუ ქალაქში მოხდება, მაშინვე აქ გავჩნდები და ათასსაც მოგაშველებთ!

ალექსანდრე ორბელიანი: რა ვქნა, ძმებო, დიახ, ცოტა ყმა მყავს, კომლზე თითო კაცს დავიბარებ!

ქაიხოსრო ჯავახიშვილი: მე ჩემს ციხეებში გავმაგრდები.

ბარძიმ მაჩაბელი: მე გამათავისუფლეთ, ძმებო!

ალექსანდრე: რათა, ხომ არ გადაიხალისე?

იასე: (ჩუმად) გუბერნატორმა ჩამორთმეული მიწა დაუბრუნა, როცა ისევ ჩამოართმევს, მაშინ გავახსენდებით.

ზაქარია: ამით გინდათ, ხელმწიფე დაამარცხოთ?

ელიზბარი: ქართლელების თავდები მე ვარ, კახელებისა— დოდაშვილი.

ვახტანგი: ხომ ნახეთ, დოდაშვილს მთელი კახეთის გამოყვანა შეუძლია.

დოდაშვილი: მთელი კახეთის გლეხობა აქ იქნება!

ზაქარია: გლეხებისგან პატარ-პატარა რაზმები შეიძლება!

ალექსანდრე ორბელიანი: გლეხებმა მიზანი არ უნდა იცოდნენ!

დოდაშვილი: ვერ მოვატყუებ თუ მიზანი არ ეცოდინებათ, ვერც იბრძოლებენ. ადამიანთა თანასწორუფლებიანობა გამოვაცხადოთ. ბუნებით, ყველა კაცი თანასწორად იბადება.

ზაქარია: შენ და რუსო ასე ფიქრობთ!

დოდაშვილი: თუ გლეხებს თავისუფლებას მივცემთ, მთელი კახეთი იარაღს შემოიკრავს!

ზ ა ქ ა რ ი ა: შენ იცი და ხელმწიფე იმპერატორმა, რომელმაც სწავლა და ჩინი გიბოძა!

დ ო დ ა შ ვ ი ლ ი (ყიფიანს): ახლა რომ ასე გველაპარაკებიან, როგორ მოგვექცევიან, მართლა რომ გაიმარჯვონ?

ყ ი ფ ი ა ნ ი (დოდაშვილს): სულ ამოგვწყვეტენ! მარტო აბაშიძეები შეშუამენ ყიფიანთა გვარს. თავს ვეღარ დავიცავთ.

დ ო დ ა შ ვ ი ლ ი (ყიფიანს): ჯაგები იბრძვიან შეაჩერონ ტყეების გავრცელება.

მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი (ჩუმად): რა უნდათ? პირზე ხელს გვაფარებენ! (ალექსანდრე ორბელიანმა მოიბოდიშა, თავი მტკივაო, და გარეთ გავიდა.)

თ ე ი მ ურ ა ზ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: იმერლებმა უწინაც იბუნტეს და ქართლ-კახეთთან ერთად გამოვლენ!

ე ლ ი ზ ბ ა რ ი: ჩვენთან არიან იმერეთიდან გიორგი ჩიჯავაძე, ნიკო ჩიჯავაძე, ბესო ლორთქიფანიძე, ზალიკო ჩახუნაშვილი, გრიგოლ წერეთელი.

გ ი ო რ გ ი ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე: ჩვენ ერთად ვიმოქმედებთ!

დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი: ოდიში თქვენთან იქნება!

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე შ ე რ ვ ა შ ი ძ ე: ავაჯანყებ მთელ აფხაზეთს, გამოვიყვანთ ორი ათასს და მოგაშველებთ ხუთასს.

გურიის ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი: გურია მხარში დაგიდგებათ.

ე ვ გ ე ნ ი ქ ო ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი: თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან ჭუდზე კაცი!

შ ა რ ლ ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი: ქართველი კათოლიკნი იქნებიან ვერცხლით და იარაღით! გამოვლენ ექიმნი, ენათა მცოდნენი და დიდ ვაჭარნი

ი ა ს ე: ეს იქნება განთავისუფლება და გაერთიანებაც!

ე ლ ი ზ ბ ა რ ი: სულ კავკაზი უნდა აღვსდგეთ, შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდინ. სრულიად მთებისა და ბარის ხალხმა ერთი აღრეულობა მოვახდინოთ!

შ ი ხ-ა ლ ი ა და მ ო ლ ა ზ ა მ ა ნ ა: ყაზახ-ბორჩალოდან სამი ათასი ცხენოსანი მოვა.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი: სომხობა მზადაა!

ე ლ ი ზ ბ ა რ ი (ყიფიანს): დასწერე, ვინ რამდენს გამოიყვანს!

ზ ა ქ ა რ ი ა: მმართველობის პროექტზე გიფიქრიათ?..

ელიზბარი: ბუნტის მეორე დღეს შევქმნით სეიმს, რომელსაც მეფის არჩევამდე ჩავაბარებთ ხელისუფლებას. მას ექნება ორი სამთავრობო ადგილი: ზედა და ქვედა. ზედაში პირველი პირი თვით მეფე იქნება.

ვახტანგ ორბელიანი: ალექსანდრე ბატონიშვილი!

ბარძიმი: ოქროპირ ბატონიშვილი!

ელიზბარი: ამას სეიმი გადაწყვეტს! სამხედრო მინისტრად— ალექსანდრე ჭავჭავაძე!

დიმიტრი: ვასილ ბებუთიშვილი!

ელიზბარი: მე ჩენს აზრს მოგახსენებთ! იუსტიციის მინისტრად— მუხრან-ბატონი.

იასე: შეუძლებელია!

ელიზბარი: შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად — ჭილაშვილი. საგარეო საქმეთა მინისტრად — ბებუთაშვილი.

იასე: გენერალი აფხაზი!

ელიზბარი: ქვედა სამმართველოში იქნებიან მაზრის დეპუტატები. ისინი განიხილავენ საჩივრებს.

ზაქარია: სეიმი ავირჩიოთ თუ დაენიშნოთ?

ელიზბარი: ავირჩიოთ ჩვენ.

ყიფიანი: ვსთხოვოთ რუსეთის მთავრობას, საქართველოს მმართველად დაგვინიშნოს ბატონიშვილი. საქართველო დარჩეს იმპერიის შიგნით, მაგრამ მოგვცეს ჩვენი შინაგანი სტატუტი.

იასე: რესპუბლიკა მონარქიის შიგნით? ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენთვის.

ზაქარია: ეს უტოპია გახლავთ!

ვახტანგი: ჩვენ ამის შედგენა ვსთხოვოთ ჭილაშვილს, იმან ფორმა და კანონი იცის.

ბარძიმი: უმჯობესია, ვსთხოვოთ იმპერატორს, შეგვინარჩუნოს მანიფესტი და განზრახულობაზე ხელი ავიღოთ.

იასე: ეს ღალატია! ხელმწიფემ რომ მანიფესტი მოგვცეს და ბატონიშვილები გამოგვატანოს, მე მათ თერგამდე მივიყვან და იქ კი ყველას წყალში ჩავყრი. ჩვენ მკვიდრი იურიდული საფუძველი გვაქვს. ძველ წიგნებში წინასწარმეტყველებაც არსებობს საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

ზაქარია: ჩვენი ბატონიშვილებიდან, რომელიც გინდათ, გა-

მოდგება ყველა ქვეყნის იმპერატორად. ისინი კი უსაქმურობით იღუპებიან.

ი ა ს ე: ფუჭი ლაპარაკია, ვიმსჯელოთ საქმეზე.

ე ლ ი ზ ბ ა რ ი: გამოსვლის წინა საღამოს იასესთან ან ლუარსაბ ორბელიანთან გავმართოთ ბალი ქართველი გვარდიის ოფიცრების სახელით, სადაც უნდა მივიწვიოთ მთელი აქაური მთავრობა, უმაღლესი მოხელეები, ქართველნი წარჩინებულნი. და ამოვხოცოთ ყველა. ჩვენ ყველა გამოვცხადდებით ქართულ ტანსაცმელში, ხმლებით. ჯიბეში ორ-ორი გატენილი დამბაჩით. პირველ საათზე აუშვებენ შუშხუნებს და დაიწყება „მთავრობის წყვეტა“. უმალ მოქმედება ქალაქში გადავა, სადაც ჩვენი ხალხი იქნება.

ი ა ს ე: არც ერთს — არც რუსს, არც ქართველს, ცოცხალს არ გავუშვებთ. ნადიმი შეიძლება გავმართოთ ჩემთან, ლუარსაბ ორბელიანთან ან ორთაჭალის ბაღში. მას მოჰყვება საყოველთაო ბუნტი, აღსდგება მთელი კავკასი. კახეთის გზით აქ გაჩნდება ალექსანდრე ბატონიშვილი, ყარსის და არდაგანის ფაშები, მთიელნი, ოსობა. ვინც მოსულთაგან საქართველოში დარჩენას ისურვებს, ფიცით დასტოვებენ და მისცემენ მამულებს, ყველაფერ უფლებას.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (რომელიც ის იყო შემოვიდა): ლუარსაბის სახლი აჯობებს, შორსაა, განმარტოებით. იოლად ვერ მოეშველებიან. სარდაფი შუა ეზოშია, გვერდზე პატარა ოთახები აქვს.

ე ლ ი ზ ბ ა რ ი: ლუარსაბი სამართალშია მიცემული, ამიტომ კორპუსის უფროსი და სხვანი, შეიძლება, არ მოვიდნენ.

ზ ა ქ ა რ ი ა: კორპუსის უფროსი ისედაც არ მოვა.

გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი: მე, დიმიტრი და ალექსანდრე ვსთხოვთ, ჩვენ პეტერბურგიდან ახალჩამოსული გვარდიის ოფიცრები ვართ, უარს ვერ გვეტყვის.

ზ ა ქ ა რ ი ა: იქნებ, წინამძღოლს უფრო წამოჰყვეს!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი: უმჯობესი იქნება, უმაღლესი ხელისუფალნი, ნაცვლად ამოწყვეტისა, დავაპატიმროთ.

ყ ი ფ ი ა ნ ი: დავაპატიმროთ მხოლოდ ისინი, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს, ნურავის მოვკლავთ.

ე ლ ი ზ ბ ა რ ი: ის დღე დავაწიოთ, რომ შვილები მამების ნასახლარს ვერ პოულობდნენ.

ბარძიმი: (შემკრთალი): ეს რა გიფიქრიათ, ვისი იმედი გაქვთ!

იასე: ისინი ულმერთონი არიან და ღვარძლიანები. არავინ დიდსულოვნების ღირსი არაა. ვინც ხელს შეგვიშლის, თუნდაც ღვიძლი ძმა იყოს, პირველს ავაგებ ხანჯლის წვერზე. ხალხი, რომელიც ამგვარს საქმეს ჰკიდებს ხელს, ყველაფერს ჩაიდენს. გულჩვილი ერთის სიყვარულით ყველას დაჰკარგავს, ნუ დავზოგავთ ადამიანს მთელი ქვეყნის ინტერესებისათვის. თუ დაბალი ხალხი არ ინდომებს, სულერთიანად ამოვხოცოთ. მოწინააღმდეგის სინსილას არ გავუშვებთ. ჩვენ ჯაშუშები გვეყოლება.

ელიზბარი: თბილისის პოლიციმეისტერად მელნიკოვს დავნიშნავთ;

ვახტანგ ორბელიანი: კარგი, ბალიც დაიწყო და ხოცვაც დავიწყეთ! ამ დროს შენს წინ მუხლებზე დაეცა ნინო ჰავჰავაძე და გებღვეწება, შეიბრალეთ იქ მყოფნი, რას იზამ?

მამუკა: მე ამ სცენას ვერ გაეუძლებ და მის მკლავებში გავეხვევი.

ელიზბარი: მე მასაც ხმალზე ავაგებ.

ზაქარია: მეტისმეტი ხომ არაა, ბატონებო?

ალექსანდრე ორბელიანი შუბლზე ხელებმიქდობილი ისევ გავიდა ოთახიდან.

„უკვე აღარ ესმით რას ლაპარაკობენ! ასე სერიოზულ ამბებზე ლაზღანდარობა იქნება! იცინიან, მაიმუნობენ. არავითარი წესრიგი და დისციპლინა! ნუთუ, არ სჯერათ, რასაც აპირებენ! ზოგს არ გაუგონია, რაზეა კამათი, სახელდახელოდ რაღაცას ამბობს, თითქოს სახუმარო იყოს.

ნუთუ, დღესაც ჩვენს დამღუპველ თავადაზნაურულ ფუქსავატობას უნდა გადავჰყვეთ და რაც გვაქვს, ისიც დავკარგოთ?!— იტანჯებოდა დოდაშვილი. — ალექსანდრე ორბელიანს არც კი ჰგონია, თუ აქედან რამე გამოვა, წყალწაღებულივით მიჰყვება. ვახტანგს, ზაალს, დიმიტრის, ზაქარიას ეჭვი არ ეპარებათ, რომ შეთქმა თავისთავად ჩაიშლება და არ უნდათ ამხანაგებს აწყენინონ, წინააღმდეგი თქვან! მეგობრობის წესი დაარღვიონ!

რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ დინებას?“

იასე: ელიზბარ ერისთავი თამარ იულონის ასულს მიართმევს

პურმარილს და გამოიყვანს საქართველოს მთავარმართებლად დადგენისათვის. პაროლი ჩვენი: „მათი წყევტა!“

ბარძიმი: უთავოდ არა საქმე არ იქნება, ორი-სამი სარისტიანი კაცი გვინდა!

ალექსანდრე ორბელიანი: ელიზბარი იყოს!

ელიზბარი: უპირველესი მცდელი იასეა და უფროსადაც ის გვყავდეს!

იასე (ალექსანდრე ორბელიანს): შენ იყავ ჩვენს მეთაურად. უფრო გენდობიან.

ალექსანდრე ორბელიანი: ანტონ აფხაზი იყოს!

აფხაზი: მე დიახ ყმაწვილი ვარ და გამოუცდელი. ალექსანდრეს, ელიზბარს და იასეს ერთად ვსთხოვოთ.

ზაქარია: ყველაზე მთავარი საქმე მხოლოდ მათ უნდა იცოდნენ და სხვას აღარ გაუმხილონ. განკარგულება ხან იასემ, ხან ელიზბარმა გასცეს.

ელიზბარი: გაზეთი და ჟურნალი გვინდა, чтобы приготовлять умы к возмущению! ამისთვის სოლომონ ივანიჩიც ჩვენთან უნდა იყოს!

ალექსანდრე: ჩვენ მას ვთხოვეთ, პროკლამაციის შეთხზვა, რაზედაც უარს გვეუბნებოდა, მაგრამ დავაწერინეთ, უნდა დაბეჭდოს კიდეც და მასკვან დაგირიგებთ განსავრცელებლად. ახლა კი. ვსთხოვოთ, წაგვიკითხოს ლექსი — მოწოდება.

დოდაშვილი: არ მაქვს ჰზად. გეტყვით ზოგიერთს ადგილს:

მაისის თვესა იქმნეს მოწვევა,
ქართველთა ძალის გამომხატველი.
აღვიპყრათ ხელთა მახვილი ბასრი,
და დავცეთ მტერსა შიშისა ზარი,
შემოვიკრიბოთ მოხალისენი,
ძტერს თაეს დავესხათ მედგრადა!
გავდევნოთ ძალით მოსულნი
სამშობლოს მაოხრებლადა!

ზაალმა, დიმიტრიმ, ვახტანგმა, იოსებ მამაცაშვილმა ტაში დაჰკრეს.

ელიზბარი: ვგონებ, არა უშავს რა!

„ვაი თქვენს დღესა! — გაიფიქრა ეფრემამ, რომელიც კუთხეში მიკუნჭულიყო, საუბარში არ ერეოდა, ხოლო როცა სახეში მიაჩერდებოდნენ, მორჩილად ამბობდა: „ჰო!“ ან „არა!“ ზოგჯერ კი მოუსვენრად წრიალებდა სკამზე. — ეს არის სტიხთმქმნელობა? ამის შემთხზველმა უნდა დამიწუნოს შაირი?“

ი ა ს ე: საქმის დაყოვნება არ იქნება! „მხედართა აღრეულობა“ ყოყმანმა დაღუპა.

ე ლ ი ზ ბ ა რ ი: ამ შემოდგომაზე მოვახდინოთ!

ი ა ს ე: დღე?

ზ ა ქ ა რ ი ა: დღის დანიშვნა ნაჩქარევია.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: არჩევნებზე კარგს დროს ჩვენ ვერ ვიშოვნით. მთელი გუბერნიის თავადაზნაურობა თბილისში იქნება.

ბ ა რ ძ ი მ ი: გთხოვთ, ბატონებო, შეეცადოთ, ვიდრე არჩევნებზე შეიკრიბებიან.

ზ ა ქ ა რ ი ა: (თავისთვის): ცარიელი ლაყბობაა!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: თავადაზნაურნი რომ შეიკრიბებიან, ვინც ვისი ნაცნობია, გაუმჟღავნოს!

ი ა ს ე: ოც ნოემბერს გვიანი არაა?

დ ო დ ა შ ვ ი ლ ი: მეორე დღესვე ჩვენ პანაშვიდს გადავუხდით „მხედართა აღრეულობის“ მსხვერპლთ— რილეევს, პესტელს, მურავიოვს, ბესტუჟევს, კახოვსკის.

ზ ა ქ ა რ ი ა: ხალხი მზად იყოლიეთ, მაგრამ ნუ აჩქარდებით, ავი საქმე არა მოხდეს რა!

ბ ა რ ძ ი მ ი: ერთი ამ პოლშელებსაც ვუყუროთ, როგორ გაიტანენ თავს.

ი ა ს ე: კარგი საყურებელია შორიდან!

ზ ა ქ ა რ ი ა: მზად ვარ, თქვენთან ერთად მოვკვდე, მაგრამ დაეიცადოთ! თვალი ვადევნოთ, რა ხდება სხვაგან! მითრიდატესთან „სოეტნიკი“ გავგზავნოთ (მიაჩერდა ალექსანდრე ორბელიანს).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: (შემკრთალი აქეთ-იქით მიმოიხედავს და წყნარი ხმით): ბატონებო! ჩვენ ახლა ყველას უნდა განეუცხადოთ, რომ ჩვენი განზრახულება მალე შესრულდეს!

ყ ი ფ ი ა ნ ი: არა უგვიანეს ასი წლისა! (ხარხარი)

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: რაა აქ სასაცილო?

ელიზბარი: კმარა, ბატონებო, ხუმრობა! სიცილისთვის არ გვცალიან.

ალექსანდრე: ყოველი, რაც აქ მოვისმინეთ, ფრიად კარგი დაწყობილობაა და ვუწოდოთ „პირველი ღამის განკარგულება!“ ვსთხოვოთ ელიზბარს, იასეს და დიმიტრი ერისთავს, გაასწორონ, გამართონ და გაგვაცნონ დამტკიცებისათვის.

იასე: ან უნდა გავსწყდეთ სულერთიანად ან გამოვიხსნათ მამული!

ელიზბარი: მივსცეთ ერთურთს ჰანიბალური ფიცი.

იასე: ფიცს აღსრულება ამშვენებს!

ასწიეს ხელები მაღლა, იასე კითხულობდა და სხვანი იმეორებდნენ. „ვინც გვიმტყუნოს, იყოს შეჩვენებული ღვთისაგან — ამინ, ეფიცავ ყოველს შემოქმედს!..“

ალექსანდრე: საქართველოს მეფეს ალექსანდრეს გაუმარჯოს!

იასე: რევოლუციას გაუმარჯოს!

დოდაშვილი: გაუმარჯოს რესპუბლიკას!

იასე: შევსვათ თავისუფლების სადღეგრძელო.

მოიხადეს ქუდები და შესძახეს: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“

21

„ამ კაცის გამო დიდი ღელვარება გაქვს,— ეუბნება ანიტას ინდოეთიდან იმხანად ჩამოსული მისანი ქალი, რომელიც ფეხმოკეცილი იჯდა ჯადოსნურად მოხატულ ნოხზე და წინ პურის მარცვლები გაეშალა.— კეთილი გულისაა, მაგრამ უცნაური ზნის პატრონია. ბოლოს ძალიან ცუდ საქმეებს ჩაიდენს.

ერთმანეთი ძლიერ გიყვართ, მართალია, მაგრამ ბედი სულ სხვას აჩვენებს. ეს ერთი ხანია დარდს შეუპყრიხარ: ველარ გიცვნია, თითქოს სხვა კაცად იქცაო. მართალია, თავს ირწმუნებ, ვუყვარვარო, მაგრამ ნაღველი მოგრევია და გული გიწუხს.

მარტო ჩანხარ. დედ-მამა ადრე დაგიკარგავს. ბევრი განსაცდელი გამოგივლია. მოკეთე თითქმის აღარავინ გყავს. გული სათუთი გიდევს, მაგრამ უბედური ხარ ამაყი ბუნების გამო. დედოფალ-

თა ჩვეულებრივი ცხოვრებაც შენთვის უბედურება იქნებოდა. ეს პატივმოყვარეობა ბევრს მწუხარებას მოგიტანს მომავალში.“

ანიტას გაახსენდა, ხირომანტის სიტყვები: „თირკმლისა და სიცოცხლის ხაზი შეხვედრისას სწორ კუთხეს ქმნიან. უყვარს ფუფუნება, ცოტა მოისულელებს, და, საერთოდ, უცნაურ ცხოვრებას ესწრაფის“.

„მარტოობა გკლავს! — განაგრძობდა მისანი ქალი. — მის გარდა ქვეყანაზე არავინ გყავს და არ იცი, სად წახვიდე.

ავს ნუ დააბრალებ.

უყვარხარ, მაგრამ რაღაც, თითქოს, ვერ გაუმეტებია, თავისთავიც დავიწუნია.

მან იცის, რომ უშენოდ ბედნიერი ვერ იქნება, მაგრამ მაცდურს შეუპყრია. თავის გასაჭირს ვერ გეუბნება. რომ ეთქვა, შეიძლება, გაგეგო. შენ გირჩევნია, მოკვდე, ვიდრე შეურაცხყოფილი იყო და არასოდეს მიზეზს არ ჰკითხავ. ეჭვს ვერ იკადრებ.

გული გეყინება.

შენ გაჩენილი ხარ ისეთი სიყვარულისთვის, რომელიც მხოლოდ შენს ოცნებაში არსებობს. სიყვარული კი არც მაშინ გვეკითხება, როცა მოდის, და არც მაშინ, როცა მიდის. თუ უბედურება არ ახლავს, არ არსებობს. დაბრკოლებათა ტანჯვა-წამება მისი აუცილებელი თანამგზავრია.

ისინი ერთად იბადებიან და ერთად კვდებიან“.

კვლავ ხირომანტის ნათქვამი: „ნაწლევის ხაზიდან არათითისკენ მიმავალ ხაზს თუ სხვადასხვა ხაზები გადასერავს, უბედურების ნიშანია“...

ანიტას ღაწვები შეეფაკლა, ქუთუთოებზე ნამი აუბრწყინდა. ნელის ზმორებით თმაზე ხელი გადაისვა და ცრემლით დარცხვენილმა, რომელიც მისანს შეუმჩნეველი არ დარჩენია, მედიდური გამომეტყველება მიიღო.

ცუდი ამბისა ეშინოდა.

„შენი სიამაყე განსაცდელშია. — განაგრძობდა მისანი. — ცდილობ, დაიმორჩილო შენი სიამაყე, მაგრამ არ შეგიძლია, რადგან სიყვარულს გარდა, შენი დამორჩილება არავითარ ძალას არ შეუძლია. ამ ცოტა ხნის წინ შენთან ყოფილა. რატომ არაფერი ჰკითხე? იქნებ, ეთქვა, რაშია საქმე, რა უბედურება დასტყდომია

თავს! რატომ არ მიაქციე ყურადღება, დაბნეული რატომ იყო. რათ არ აგრძნობინე შენი უკმაყოფილობა? იქნებ, გამოგეხსნა ამ საშინელი ხლართებიდან! იქნებ, დაგებრუნებინა, გადაგერჩინა! რატომ არ გაიგე, რა მოსდიოდა, როცა შენთან დარჩებოდა ღამით და სიტყვას არ იტყოდა, ისე წავიდოდა დილით.“

„რა შემზარავი გულთმხილველობაა! — გაუელვა ანიტას. — ნუთუ ჩემს გულში ზის! ნუთუ თანმდევი სულია?“

„უიმე! — შეჰყვირა მისანმა ქალმა. — შენი ღალატი? შენთან გულგრილობა? შენა ჰყვანდე და სხვას ემონებოდეს?“

შფოთიანად მიმოფანტა პურის მარცვლები. ჯადოსნური სისწრაფით ქაღალდი გაშალა, შეშლილივით დააცქერდა.

გათანგული უხილავ ძალებს შემწეობას შეჰღაღადებდა. ბუტბუტებდა. ანჩხლობდა.

პორი! ავი ენები! ჩხუბი, უსიამოვნება. ცრემლი. დამარცხება. ღალატი! უშენობა მას დაღუპავს! მეგობრები ელაქუცებიან! „მ“ ვინ არის? მისი მტერია. ორგულია. მოღალატეა. ელაქუცება, მაგრამ არ დაუჯეროს, კუდიანია! თვალთმაქცია! არ ენდოს, თორემ დაიღუპება! მას უყვარხარ. პატიოსანია. გულმართალია! ნახე! ნახე! რა ქსელში ჰხვევენ... გააფრთხილე! გადაარჩინე!“

ანიტას მოაგონდა, ხირომანტმა რომ უთხრა იასეს: „მერკურის ბორცვიდან მომდინარე ხაზით გადასერილი ხაზები სიცოცხლისა და ხასიათის ხაზების ზემოკუთხეში ერთდებიან. მათ შორის ორი პაწია შემაერთებელი ხაზი მოჩანს. ეს ადამიანი თავისი მიზეზით დაჰკარგავს მთელ ქონებას. გამოიწვევს შურს და მოყვასთაგან დევნას“.

„უიმე! უბეში ჰყავს ჩაბუდებული გველები, გვერდით ამოსდგომიან თავაღერილნი! — გამწარებით გაჰყვიროდა მისანი ქალი, რომელსაც პურის მარცვლები გადაეყარა, თვალშეუვლებლად, კაბის საიდუმლო ჯიბიდან მოლაპლაპე, ოქროს სარკე ამოეღო, აელვარებული ჩაჰყურებდა, და ცხარე კურცხალს აღვარღვარებდა. — გველო! ასპიტო! წადი! გაეცალე! რას სჩადიხართ! თავი ანებეთ ანგელოსს! უწმინდურებო, მოშორდით მართალ, პატიოსან კაცს! ძალნო კეთილნო! მოხედეთ უდანაშაულოთ განწირულს! გამოფხიზლდი, შე საცოდავო, რამ დაგიბრმავა თვალები! იმიტომ ტყუვდები, რომ შინაურნი არიან? ტკბილი სიტყვა გაბრიყვებს? ღმერ-

თო, რა საშინელ ჰორებს უვრცელებენ!.. რის ვალი, რა თამასუქები!.. არავითარი ვალი არ გამოჰყოლია იმ უცხო ქვეყნიდან! სულ ტყუილებია! არც ერთი ამხანაგი არ უნდათ შეარჩინონ. მარტოდმარტო უნდათ დააგდონ და დაფლითონ! საიდუმლო უნდათ დასტყუონ! მიაცეცხლე ეს შენი წილი ქონება, აგრემც შხამად შეერგებათ! ეს კუდიანი დედაკაცი საიდან მოძვრება, რომ შენცა და მასაც ორშოს გითხრით. გაქრი აქედან! მეხი კი დაგაყარე, შე უნამუსოვ! გამოფხიზლდი! ზურგი აქციე მაგათთან ამხანაგობას! ყველაფერი შენ დაგბრალდება! ყველანი გაგეცლებიან და მარტოდ დარჩებიო!"

მისან ქალს ცხვირიდან სისხლი წასკდა, სახე ჩაუნავლდა და გულშეწუხებული ნოხზე მიესვენა.

მკითხავის საქციელით გაკვირვებულმა და დაბნეულმა ანიტამ წყლითა და სასუნებელი წვეთებით ძლივს მოაბრუნა გულწასული.

როცა ნერვიულმა კრუნჩხვებმა გაუარა, ქალმა ბოდიში მოიხადა და თქვა: „ეს ჯადოსნური სარკე ბებიამ მაჩუქა სიკვდილის წინ. ასეული წლების მანძილზე ბებიიდან უფროს შვილიშვილზე გადმოდიოდა. ყველას არც ენდობოდნენ. გამაფრთხილა: სარკე დამალული გქონდეს, მისი არსებობა არავინ არ უნდა იცოდეს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, საშინელი განსაცდელის ჟამს შეგიძლია ჩაჰხედო, რასაც სიცოცხლის განახევრება მოჰყვებაო.

ღმერთმანი, არ ვიცი, რა დამემართა დღეს, ან შენ რა თვალით შეგხედე, ან ის კაცი რა გულთან ახლოს მივიტანე. აზრზე არა ვარ, როგორ ამოვიღე, როგორ ჩავხედე და... ღმერთო ჩემო, ეს რა დავინახე! რა ბოროტება და ვერაგობა!!.

ქალბატონო! მას შენს მეტი არავინ არ უყვარს, მაგრამ დაბუნდულ ხლართებშია გახვეული და ვერ განთავისუფლებულა. ჩემ მაგივრათაც სთხოვე, გაფრთხილდეს! ვიღაც ბოროტი ძალა ყველას თავის ჭკუაზე გათამაშებთ, თქვენ კი არა იცით რა და ერთმანეთს დამდურებიხართ! ეცადეთ მაგრამ, რა ვიცი, რა მოალბობს მის გაქვავებულ გულს! მისი ამბავი გამაგებინეთ, გეყვდრებით, უეჭველად გამაგებინეთ. მე შელოცვა და ჯადოს ახსნა შემიძლია, იქნებ, ვუშველო რამე.

ანიტამ ახლა შეამჩნია, რომ ეს იყო მშვენიერი ყმაწვილი ქალი,

რომლის სათნო სახე და თბილი თვალები უნებლიე მოკრძალებას იწვევდა.

„ის ცხენოსანი ოფიცერი ვინღა იყო ამის გვერდით? — შეშფოთებით ფიქრობდა მისანი ქალი. — ბედგამოცლილი კაცი! ნუთუ, კიდევ ვიღაც არსებობს, იმ უბედურის მეტოქე? ნეტა რა გაუხდათ ეს ქალი? რომ ისიც დღედაღამ ამაზე ფიქრობს და საცაა, გამოჩნდება?

არა, მე ის არ დამინახავს!“

ბუზღუნით თავშალი მოიხვია და გამომშვიდობებისას წყნარად უთხრა: „თქვენ შესაფერ გზას იპოვით და თავს დააღწევთ ტანჯვას!“

ანიტა ნაღვლიანი სიხარულით გრძნობდა, რომ ენანებოდა მასთან განშორება, აჰკვიატებოდა ხირომანტის წინასწარმეტყველება, რომლისთვისაც არც იასეს მიუქცევია რაიმე ყურადღება.

„ამ ადამიანს სიკვდილის საფრთხე ელის თავისი დაუდევრობისა და უზრუნველობის გამო“.

„უნდა ვიხსნა! უსათუოდ უნდა გამოვგლიჯო ბედისწერას! გულისწორის შეცვლა ჩემთვის სიკვდილია! თითოეულ ასეთ შემთხვევაში მე სიცოცხლეს ვკარგავ!“

* * *

— სოლომონ ივანიჩ! მოდი, გადაგეხვიო, ცით მოვლენილო კაცო! ღმერთკაცო! ჩვენის მამულის აღყვავების ცისკრისა ვარსკვლავო! როგორ შესძელი? რა სახსრით? რა შეწევნითა? — აცრემლებული ესიყვარულებოდა ალექსანდრე ორბელიანი, რომელსაც შემოჰყვნენ იასე, ელიზბარი, ვახტანგი, გიორგი, დიმიტრი.

გულზე სასოებით მიეხუტებინათ სტამბიდან იმ ადრე დილით გამოტანილი „სალიტერატურონი ნაწილნი „ტფილისის უწყებათანი“.

— მთელი ქალაქი გაგიჟებულია. თვალს არ უჯერებენ, ხომ არ გვეჩვენებაო! — აღტაცებით შესძახა ელიზბარმა.

— ქართული ჟურნალი! პირველი ქართული ჟურნალი! ნახეთ, ნახეთ, როგორ მოხდენია ქართული ასოები დღევანდელს კულტურას! — ცრემლიან თვალებს იწმენდდა დიმიტრი.

— ნუთუ სიზმარი არაა, ნუთუ მართლა ქართული ჟურნალია! — ქვითინებდა ვახტანგი.

— თუ ეს შესაძლებელ იქნა, შესაძლებელ არს ყველაფერი! — აგზნებით თქვა იასემ.

— შეხედეთ, წმინდა გიორგი! — შესძახა დიმიტრიმ. — ჩვენი დროშა!

— საიდუმლო ძმობის ბაირაღი!

— ეს როგორ გაბედე?

მისცვივდნენ, დაუწყეს ხვევნა-კოცნა.

— ეს იქნება საფუძველი შესაწევნად განათლებისა, მამაპაპათა ენის აღორძინებისა, ევროპის ცხოვრებასთან მიახლოებისა! — თქვა ალექსანდრემ.

— უნდა იყოს ფარი და ხმალი მამულისა. განაღვიძოს სიყვარული ყოვლისა ქართულისა! — თქვა ელიზბარმა.

— სოლომონ ივანიჩ! შეგიძლიან პასუხის გაცემად, ღორდეევი და სხვანი რომ წერენ ქართველობაზედ? — მუდარით ჰკითხა ვახტანგმა.

— ვნახოთ!

— მივსცეთ მხარი! — შესძახა ელიზბარმა.

— შესძლებ ყოველს თვეს გამოცემას?

— თვეში ორსაც გამოვსცემ, თუ ხელმომწერი მეყოლება და ნაწერთაც არ მომაკლებთ!

— შევეწიოთ, რათა დაბეჭდოს ყოველნი საჭირონი და სარგებელნი ჩვენის საქმისათვის! — თქვა იასემ.

— თუ შეწყდეს დაბეჭდვა, ქართველთათვის სირცხვილია!

— სენკოვსკი სტამბასა ჰყიდის, დამეხმარეთ, შევისყიდოთ, რათა არ შეფერხდეს ბეჭდვა!

— არ შეფერხდება, ტყვარს ერსა ჩვენსა სიტყვიერება, — თქვა დიმიტრიმ. — ერთმა რუსმა ოფიცერმა ჩემს მამობილს უამბო: „წისქვილიდან მხიარული ლაპარაკი შემომესმა, ვიფიქრე, ამაღამ საეჭვო შეკრებულობა ხომ არა აქვთ-მეთქი, და კარიდან მივაყურადეთ. მითხრეს, რიგრიგობით ზღაპარს ჰყვებიანო. არ დავუჯერე და შევედით. წისქვილი ხალხით იყო გაჭედილი და მათ შორის ერთი ბავშვიც არ ყოფილა. სულ ჭარმაგი კაცები იყვნენ. სოფლის ნაცვალს შევერცხლილი წვერიც უმშვენებდა ნიკაპს. მაგრამ არც

წლოვანება, არც საპატიო წოდება, რომელიც ჰქონდათ ნაცვალსა და მედავითნეს, ხელს არ უშლიდა მთელი ღამე მსხდარიყვნენ ცეცხლის პირას, ებოლებიათ ჩიბუხები და ერთმანეთისათვის ზღაპრები ეამბნათ.

— რა ექნათ, მოგვწყინდაო! — მითხრეს.

— სამწუხაროა, რომ ქართული არ ვიცი, თორემ მეც სიამოვნებით მოგისმენდით-მეთქი. ამის შემდეგ კიდევ შეიძლება დაეეჭვდეთ ქართული ლიტერატურის ეროვნულობაში? ის ხომ სავსეა ზღაპრებით, ლექსებითა და ვრცელი პოემებით?“

— ყველაფერი სამზეოზე გამოვიტანოთ. ვთარგმნოთ. ხალხს გული გავუხაროთ! — თქვა ელიზბარმა.

22

კვირა დილით მთელი თბილისი საქართველოს მმართველობის მოედანს მოაწყდა.

ხმა დაერხიათ, საოცარი საქმე მოხდებაო, და სანახაობას მონატრებულ ცნობისმოყვარეებს შინ რა გააძლებინებდათ. რომელიმე შუშუბრიქას ახირებული ოხუნჯობაც რომ გამომდგარიყო, ამ უქმე დღით ქალაქში გამოფენას მაინც არ ინანებდნენ.

მოედანზე დიდხანს საინტერესო არაფერი ჩანდა და სახედრით მომავალ ყოველ მენახშირეს თუ ბანზე გამოსულ ქალს ისეთი ჩოჩქოლით მიაშტერდებოდნენ, ეჭვი აღარ ეპარებოდათ, სწორედ ამის სანახავად მოვსულვართო.

შუადღით „სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის“ ეზოდან გამოსულმა გრენადერთა ოცეულმა მიიპყრო ყურადღება, რომელსაც ბრჭყვიალაპაგონებიანი კაპიტანი მოუძღოდა. სალდათებს საზეიმო იერს აძლევდათ ახალციხის ბრძოლებში წარჩინებისათვის ბოძებული ცხვრის ფაფახები.

რამდენიმე ნაბიჯით უკან, მათ მოჰყვნენ პოლიციელები, სეიდაბადის კვარტალის ზედამხედველის მეთაურობით, რომელსაც წითელარშიიანი ქუდი ეხურა, ციყვის ბეწვით შემკობილი, ხოლო მხარზე ლითონისჯაჭვიანი კაზაკური მათრახი ჩამოეკიდა.

ისინი არ შეჩერებულან, აფთიაქთან ჩაუხვიეს და პირდაპირ განაგრძეს გზა.

ახლა უკვე საკმაო მიზეზით აქოთქოთებული და აწრიალებული ხალხი. რომ მოლოდინმა ამაოდ არ ჩაუარათ და რაღაც უცნაური ხდებოდა, ერთის ჩოჩქოლითა და ვაი-ვაგლახით მიჰყვა წესიერების დამცველებს.

სიონის ქუჩის ბან-აივნები მანდილოსნებით გაივსო. ვაჭრებმა, ხელოსნებმა დუქნები გამოკეტეს და სეირისმოყვარულთ შეუერთდნენ.

კორტეჟმა თათრის მოედანს გარს შემოუარა, მტკვრის ნაპირზე გადავიდა და გამონაშვერ კლდესთან, ყველას გასაოცებლად, ორბელიანთ უბანში ამოუხვია.

როგორც მთელი მსვლელობის გზაზე, ქუჩები და ბან-აივნები აქაც ხალხით ზიმზიმებდა.

ამ უბნის ყველაზე მდიდრული და მშვენიერი ეზოკარის წინ, რომელიც ნათიმზეს მამას, დიდგვაროვან თავადს, ლუარსაბ ორბელიანს, ეკუთვნოდა, ეგერებმა და პოლიციელებმა, მკაცრი გამომეტყველებით, ქუჩები შეკრეს და გუშაგები ჩააყენეს. ორიოდე წუთის შემდეგ, ქალაქის პოლიცმეისტერი და კომენდანტი გამოცხადდნენ შეიარაღებული ცხენოსანი ამალით.

პოლიცმეისტერმა ოჯახის პატრონი მოიკითხა და, როცა რკინის ალაყაფს დაბნეული, პირბუტაყი, ულვაშდაშვებული, ჯმუხი ლუარსაბ ორბელიანი მოადგა, თავაზიანად სთხოვა, ეგერები და პოლიციელები ეზოში შეეშვა.

სახელოვანი თავადი მოულოდნელობისგან ჯერ შედრკა, მაგრამ შეურაცხყოფის გრძნობამ ერთბაშად გამოაფხიზლა და გააშმაგა.

— გამაგებინეთ, რა რისხვაა ჩემს თავს!

— ნაბრძანები გვაქვს, სახლ-კარი გაგიჩხრიკოთ!

— მე? — შეკრთა თავადი. — ვისი რწმუნებით მოსულხართ? თორმეტს წელიწადს მარშლად ვყოფილვარ, ხუთს წელიწადს დეპუტატად. ხელმწიფეს ჩინ-ორდენი უბოძებია!

— მით უფრო მოგეხსენებათ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ბრძანება უნდა აღსრულდეს!

მასპინძელს სიტყვა გაუქრა.

თავადის აზნაურებმა და შინამოსამსახურეებმა იარაღი შემართეს. მაგრამ ქალების წივილ-კივილზე და იმის დანახვაზე, რომ მის მაცოცხლებელ ვარსკვლავს — ნათიმზეს, გული წაუვიდა, დიდმა ორბელიანმა უმწეოდ ხელები დაუშვა და ალაყაფიც განიხსნა. დუდგო გაციმციმებული მისჩერებოდა ეზოს. მოშორებით მყოფნი დანახვით ვერასა ჰხედავდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რაღაც უცნაური რამ ხდებოდა.

პოლიცმეისტერი, „კვარტალნისა“ და რამდენიმე უნტეროფიცრის თანხლებით, ისე დაბეჯითებით გაემართა სასახლის ფლიგელისაკენ, რომ, ეტყობოდა, კარგად იცოდა, სად და რისთვის იყო მოსული. რაკი ხელს აღარავინ უშლიდა, თავისთავს იქაურობის ბატონ-პატრონად გრძნობდა. მოურავს უბრძანა, ბარი, წერაქვები მოიტანე და მარდი შინამოსამსახურენი იხმეო.

როცა ტიკებით წაფერდებული ურმები, მოკუპრული რუმბები და ათასი სხვა ხარახურა შემოაცალეს, პოლიცმეისტერმა ხელის მკვეთრი მოძრაობით მოუხაზა მოურავს ის ადგილი, რომელიც უნდა ამოეთხარათ. თვითონ იქვე, მოხერხებულად ჩამოჯდა, ფანქარი მოიმარჯვა და თითოეულ მოძრაობას ნაგაზის სიფხიზლით ადევნებდა თვალს.

შინამოსამსახურეებმა ტალკვესივით დაჰკრეს წერაქვები, ორიოდე მტკაველი მიწა ამოჩიჩქნეს და აგურებით ამოშენებული ხვრელიც გამოჩნდა. პოლიცმეისტერს გულმა არ მოუთმინა, წამოხტა და ორმოს გადაეფოფრა. თვითონაც, სხვა იქ მყოფნიც, მოურავი და მოსამსახურეები ისე აალებულიყვნენ ცნობისმოყვარეობით, რომ კინაღამ ზანდუკები ჩალეწეს.

— ნელა, ხომ არავინ მოგდევთ! — შეუყვირა ბრახაბრუხით გამოფხიზლებულმა გლეხებს.

თვითონ ჩაცუცქდა, ბოქლომის ხვრელს კანკალით დიდხანს ეძებდა, მერმე, როგორც იქნა, სარქველი აჰხადა და მოურავს, რომელიც ენაწყლიანად თან დასდევდა, უბრძანა, ფრთხილად ამოელაგებინა ყველაფერი.

შინამოსამსახურეთა დახმარებით, მოურავმა სამალავიდან რიგრიგობით ამოაძვრინა და პოლიცმეისტერს წინ დაუწყო ბოქლომზე დაკეტილი ორი მოზრდილი ზანდუკი, რამდენიმე პატარა ზარდახში და ერთიც თავმოკრული ჭრელი ხურჯინი.

ორმო კიდეე რამდენჯერმე გულდასმით გასინჯეს, ეზოს ნაგებობანი გაჩხრიკეს, ზანდუკები, ზარდახშები, ხურჯინი დახურულ ეტლში ჩააწყეს და სამი პოლიციელისა და ეგერთა ოცეულის ბადრაგით „სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციაში“ გაგზავნეს.

— თავადო! ოფიციალური, ოდნავ დამცინავი კილოთი მიმართა პოლიცმეისტერმა ლუარსაბ ორბელიანს. — სანამ საქმე გაირკვეოდეს, ჩვენთან ერთად უნდა წამობრძანდეთ!

იმის შიშით, აყალმაყალი არ მოხდეს, ჩემი გულსათუთი ასულები არ დამეღუპონო, ორბელიანმა უღონობას სძლია, ერთი ამოიოხრა და რაც შეეძლო ღირსეული გამომეტყველებით გაჰყვა პოლიციელს მეორე, დახურული ეტლისაკენ, რომელშიც ეგერთა ბადრაგი ელოდებოდა. გარშემომყოფთ გზა უტიეს. ორი გამდელი ქვითინით მიჰყვა უკან.

ქუჩებში გამოფენილი ხალხი გაკვირვებული თვალით მიაცილებდა ეტლებს. ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რა მოხდა, რისთვის გაჩხრიკეს და დაატუსაღეს უწარჩინებულესი თავადი.

საიდუმლოება, რომელსაც მალე მთელი იმპერია გაიგებდა...

თავადთა საგვარეულო სიები საგანგებოდ ჰქონდა დართული რუსეთ-საქართველოს მფარველობითს ტრაქტატს, მაგრამ იმპერიის შემადგენლობაში მიერთების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს სიები სრული არ იყო, ბევრი გვარი გამორჩენოდათ და ათასი სხვა გაუგებრობაც წარმოშობილიყო. ამ ნიადაგზე წესრიგის დასამყარებლად. ერმოლოვის შუამდგომლობით, იმპერატორმა საქართველოში შექმნა „ჰერალდის დეპარტამენტის“ განყოფილება, რომელსაც დოკუმენტებისა და გვარების ისტორიის შესწავლით უნდა გაეკვია და დაედასტურებია თავად-აზნაურთა წოდებრივი კუთვნილება.

ამ „დეპარტამენტმა“ საქმე უფრო აურ-დაურია. ერთი ათად იმატა საჩივრებმა. გაჩნდნენ მაძიებელი თავადები და აზნაურები.

ვინც სათანადო სიგელს ვერ წარადგენდა, თავადაზნაურთა სიაში არ ამტკიცებდნენ. ამისთვის მოითხოვდნენ აგრეთვე ყმებისა და მამულების რაოდენობის საბუთს. თავადებიც სამ ხარისხად იყვნენ დაყოფილნი. პირველში ირიცხებოდნენ: არაგვის ერისთავნი, ქსნის ერისთავნი, საჩოლებს: ამილახვრის, ორბელიანის, ციცი-

შვილისა და სომხეთის მელიქის შთამომავალნი. მეორეში — ამ ექვსი სათავადოს დანარჩენი წევრები. მესამეში — დანარჩენი თავადები. ქართლში ოცდათვრამეტი სათავადო გვარი ითვლებოდა. კახეთში — ოცდაოთხი. თითოეულ თავადს ვასალი აზნაურები ჰყავდა. ციციშვილებს — ოცდათოთხმეტი, ორბელიანებს — ოცდარვა, აბაშიძეებს — ცხრამეტი, ერისთავებს — თერამეტი, ამილახვრებს — თორმეტი.

არსებობდნენ სხვა აზნაურებიც. თუ რუსეთის მმართველობა მათი წოდებისა და მამულების მფლობელობის სიგელ-გუჯრებს იურიდიულად არ სცნობდა, ისინი ფაქტიურად ჰკარგავდნენ თავიანთ პრივილეგიებს.

გაჩნდა ახალი შუღლის, მტრობისა და სიყალბის მიზეზი.

მთავრობას აურაცხელი საჩივარი მისდიოდა ბოროტმოქმედებათა შესახებ, მაგრამ დანაშაულის კვალი არ ჩანდა. დღეს კი ამ ყალთაბანდობას ფარდა აეხადა.

ლეჟარსაბ ორბელიანის სამალავში აღმოაჩინეს ვახტანგის, თეიმურაზის, ბაქარის, ერეკლეს და სხვა ქართველ მეფეთა, ბატონიშვილების, სახლთუხუცესების ბეჭდები, რომელთა საშუალებით ყალბ სიგელ-გუჯრებს ადგენდნენ და უკანონოდ არიგებდნენ თავად-აზნაურთა წოდებასა და რანგს. იქვე აღმოჩნდა ქრთამად აღებული ძვირფასეულობითა და ფულით დატენილი ზარდახშები.

და, ამას სჩადიოდნენ კეთილშობილი მოხელენი, რომელთაც საქმის მოგვარება ევალებოდათ...

ზოგიერთებს უკვე მოესწროთ ამბის გაგება და შტაბის მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად ჩამომსხდარნი აღელვებით ბაასობდნენ.

— ახლა ყველა ცრუ თავადი და აზნაური ვართ! — დამცინავად ამბობდა ალექსანდრე ორბელიანი.

— ეს გვინდოდა? აწი ძაღლი პატრონს ვეღარ გაარჩევს! — ამოიოხრა ელიზბარმა.

— მორჩა, ამიერითგან საქართველოში თავად-აზნაურობა აღარ არსებობს, სულ ერთნი ვართ! — ღიმილით ამბობდა დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც „ჰერალდის დეპარტამენტი“ აზნაურად დამტკიცებაზე უარს ეუბნებოდა და ამ მიზეზით გიმნაზიის ატესტატსა და ჩინს არ აძლევდნენ.

— ეს საქმე თუ ჩვენს იქით წავიდა, ქართველებს სულ მოგვეჭ-

რება თავი! აღარც ერთს არაფერს არ დაგვიჯერებენ, მატყუარა ხალხად გამოგვაცხადებენ და საქართველოში მთლად გააუქმებენ თავად-აზნაურობას! — მღელვარებას ვერ ფარავდა ვახტანგი.

— მართალია, ეს სამარცხვინო ამბავი ჩვენში უნდა დარჩეს! — დაუდასტურა ზაალმა.

— კი, ჩვენ თუ შეგვეკითხნენ! — ჩაიქირქილა დიმიტრიმ.

— რა მარტივად მსჯელობ, ცოდვა გამხელილი არა სჯობია?

— საწყალი გოგო, რა გუნებაზე იქნება? — გული ამოატანა ელიზბარმა.

— ქონიან ხინკალს ოხშივარი ასდის. ხურჯინები პირთამდე ოქრო-მარგალიტით ჰქონდა დატენილი.

— ამბობენ, თექვსმეტი კეთილშობილი დაუჭერიათ და მათთან, ჩვენი მარშალი დავით ბარათაშვილიო.

— ვაი, სირცხვილო! მაინც, ეს ამოდენა ბეჭდები ისე როგორ დაუმზადებიათ, რომ ვერავინ იცნო? — თქვა ვახტანგმა.

— დაიწყება ახლა გამოძიება, ვინ მიიღო და რა მისცა თავის წოდებაში.

— ვითომ, რა მოხდა! — ზიზღით შესძახა იასემ. — თვით არაქრისტიანიც არ ამბობდა უარს ასეთს ყალთაბანდობაზე, როცა თავის შვილობილს აზნაურობა აჩუქა.

— განა, არ გვაპატიებენ? — წამოაბოდა ბარძიმს, რომელიც ყველაზე უფრო ნერვიულობდა. — ჩემი უფროსი შვილი შევსწირე ხელმწიფეს, რომელიც სპარსეთში გრიბოედოვთან მსახურობდა და დღესაც არ ვუწყი, ცოცხალია თუ მკვდარი.

— ნეტა გამაგებინა, ვინ მოგვხერხა თავი! — კბილი დაახრჭიალა ელიზბარმა.

— არ ვიცი, ზოგს ავალიშვილზე უთქვამს!

— ჰაიდა, ზუხრუკუტი! როგორ იშენებენ ძმების ძვლებზედ საკუთარ ბედნიერებას!

— პოლშას ისე შეუწუხებია ხელმწიფე, რომ, ვნახოთ, რა იქნება!

— ეგვიპტის ფაშაც შორს აღარაა!

— რაზე ჰკარგავთ დროს? — მწარედ გაეცინა ივანე მაჩაბელს.

— ხმა დადის, მუხრანსკებს, ერისთავებს, ორბელიანებს და ენდრონიკაშვილებს მალე გაასახლებენო.

— ნეტავ არ დავსნეულებულიყავ და მუხლი მომდეოდეს, მეც წინ გაგიძღვებოდით, მაგრამ ვაი, რომ მუხლები აღარ მაქვს. — ამოიოხრა ბარძიმმა.

— ნუ გეშინია, ჩვენც ვეყოფით! — მხარზე ხელი დაჰკრა იასემ.

* * *

„ეს საქმე ან მაღლა ამწევს, ან სულ ძირს დამცემს!"—გაიფიქრა მიქაიჩმა, როცა ექსპედიციაში მიტანილ ყალბ სიგელ-გუჯრებს თვალი შეავლო.

23

თეკლას სასახლის დიდ დარბაზში ძველებურ ორხოვებზე ფეხმორთხმული ბანოვანები „რევოლუციის ბაირაღებს" კერავდნენ, წმინდა ნინოსა და დავით აღმაშენებლის ორდენებს ქარგავდნენ.

მეთაურებმა ეს საქმე ვალად დასდეს მანანა ორბელიანს და ალექსანდრეს მეუღლეს, კატინკას, რომლებმაც, ბატონიშვილისთვის ცისკრის მილოცვის საბაბით, ღამისთევა მოაწყეს.

სულ თანშეზრდილ ნათესავ-მეგობრებს მოეყარათ თავი და, თუმცა, ბევრი საწუხარი ჰქონდათ, ნათლის იღუმალებით მოცულ რუდუნს საზეიმო განწყობილება შეექმნა. სასოებით ირჩევდნენ დიბა-ოქსინოს, სირმა-ოქრომკედს და, თან, სიყვარულით მასლაათობდნენ.

ისეთი გრძნეული მშვენიერება უნდა შეექმნათ, რომ მხილველს გულს ცეცხლი მოჰკიდებოდა და თაყვანისცემით გამსჭვალულიყო.

ნათიმზე ორბელიანი, რაც მის ოჯახს ღვთის რისხვა დაატყდა. შეხუთე თვეა, შინიდან აღარ გამოსულა. ახლაც დიდის შეგონებითა და ნუდარით მოიყვანეს ღვიძლმა ბიძაშვილმა, მელანია მელნიკოვამ, და ალექსანდრე ორბელიანის მეუღლემ, კატინკამ, რომლის მამაც იმავე საქმეზე იყო დაპატიმრებული.

თბილისის უმშვენიერეს ასულს თან იმის შიში ჰკლავდა, მამას ხომ არაფერი მოუვიდაო, და, თან, არ იცოდა, სირცხვილით სად

დაემალა თავი. თვალდაშვებული გამალებით ქსოვდა სირჩას და ვაფაცებით უსმენდა ძალუა მანანას, რომელიც ხშირად თანამზრახველთა შეკრებებს ესწრებოდა.

— ბატონიშვილი ალექსანდრე დიდი ჯარით გუმბრში ჩამოსულაო! — შიშნეულად წარმოთქვა მართა სოლოღაშვილმა.

მის ნათქვამზე, ფეფენო შიოევამ, რომელიც შინაურულად გრძნობდა თავს და ყველას ხალისიანად ემსახურებოდა, ნათიმზეს გადახედა.

— არა ეგონებ, მართალი იყვეს! — ჩაილაპარაკა მანანამ.

— ჩვენ თამარ ბატონიშვილის მეტი არავინ გვყავს, მხოლოდ მის სიტყვას შეუძლია, მთელი საქართველო ფეხზე დააყენოს! — თქვა კატინკამ.

— ხომ არას მიბრძანებთ? — შემოვიდა ალექსანდრე.

— ერთი გვითხარით, ჩვენი ქართველი ქალები ევროპულად ვიქცეეთ თუ არა? — სიცილით ჰკითხა მელანიამ.

— ამ წელს რომ ქართული ჟურნალები გამოვიდა და მას შინა ამბავნი სხვადასხვა სალიტერატურონი, იგი უცხო ამბავნი თუ წაგიკითხავთ?

— ჟინევრა წამიკითხავს, ფლორენციასა შინა რომ საკვირველი შემთხვეულება ყოფილა და მომეწონა ძლიერ. — ძიუგო მართამ.

— ეგ რა მოსაწონია? — შეედავა მაიკო. — დანახვიხატი ხარ!

— მაშ არადა, ქალი ეგრე შუაღამის შემდეგ რომ გაცოცხლდა, დედამ, ქმარმა არ დაიჯერეს და შეყვარებულმა კი გადაარჩინა?!

— რამდენი მიტირნია ამირანისა და ელენეს გამო! — ამოიოხრა სოფიკომ.

— ეგ ხომ სოლომონის საკუთარი რომანი ყოფილა!

— იტყვიან, თავის მეუღლეს მიუძღვნაო, მართალია, ელენე?

— ის მაინც გვითხარი, როდის წერს შენი ქმარი ამდენს, რომ ქალაქი წაკითხვას ვერ უთავდება?

— არ კი დამიჯერებთ, რომ, არ სძინავს და ჭამის დროსაც წიგნს ჩაჰკირკიტებს.

— მაშ, ეს ბალღები საიდან ჩნდებიან? უკვე მესამეცა გყავთ! — გაეცინა მანანას.

— ქალებო, ქალებო! თქვენ სადაური ევროპიელნი ხართ, რო „ელენაზე“, „უმანკოებაზე“, „სამს ინდისხურმაზე“, „ალიღორი-

აზედ“ ამდენს მეტყველებთ და ღარდეევის პასუხზედ არას იტყვით? — თქვა ალექსანდრემ.

— რუსულმა გაზეთებმა თარგმნეს და ძლიერ მოსწონებიათო.

— სოლომონ ივანიჩი ამ სტატიით იცნობის! — თქვა ალექსანდრემ. — ვითარ იცავს მამულს, თვისთა წინაპართა, ქართველთ ენასა, ზნესა და წესსა! გვაქვს ისევ მისგან საბუთი თავმოწონებისა ქართველთა. არ ვუწყოდი, თუ შესაძლებელი იყო ქართველისაგან ესევითარის მკაცრის პასუხის მიგება!

საუბრობდნენ დოდაშვილის სალიტერატურო ჟურნალის ნომრებზე, რადგან არავის სჯეროდა, თუ იმ დროს ქართულ ენაზე მსგავსი ჟურნალის გამოცემა მოხერხდებოდა. განსაკუთრებით აოცებდათ, რომ ქართველმა კაცმა ჟურნალში ხმა აღიმაღლა მამულის დასაცავად. მისი წერილი რუსულმა გაზეთმაც გამოაქვეყნა და გორჩეევთან კამათში ავტორს მხარი დაუჭირა.

სოლომონის სიტყვებს სასოებით იმეორებდნენ. ბუნებამ სულითაც და ხორცითაც დაგვაჯილდოვა. — წერდა ის. — მამული ჩვენი ნაყოფიერ არს. ჰაერი კეთილი და შეზავებული. ჩვენის გულისა და გონების ღირსებებს ვერავინ უარყოფს, ისე, ვითარცა ძველისა ელადისასა. სულსა და აზრსა ქართველისასა არა ჰქონდა აქამომდე ასპარეზი განვითარებისა, მაგრამ მამულის ახლანდელი მდგომარეობა მინერგავს იმედს, რადგან მრავალთა სცნეს მნიშვნელობა განათლებისა და ბევრმა ახალგაზრდამ იწყო თხზვა ლექსად და პროზად. განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი ჩვენის კეთილმდგომარეობისა.

— მომეწონა ფრიად, ლექსი თქვენი „მთოვარე, პოემა ერისთავისა „ოსური მოთხრობა“ და თარგმანი პუშკინისა „ღიშპანური სიმღერა.“ — უთხრა ალექსანდრეს მართა სოლოღაშვილმა.

— Ma chére! სოლომონის ჟურნალს პეტერბურგიც გაუოცებია! — თქვა კატინკამ.

— მაშ, რა გგონიათ, ეს გახლავსთ მოქალაქეობა მამულისა! — წარმოთქვა ამაყად ალექსანდრემ.

— ნათიმზე, წაგეძინა? — მზრუნველი ხმით გამოაფხიზლა მანანამ ფიქრში ჩაძირული ქალიშვილი და წაიღიღინა...

* * *

— ასე, ასე! — გრძნობა მოერია ალექსანდრეს. — პოლაკი დედაკაცები პოლკის კამანდირებათაც ყოფილან და თქვენ ხომ დიდი თამარის შთამომავალნი ხართ!

— ნეტავი თქვენ ამ საქმეს თავს მოაბამდეთ, მაშინ ჩვენც მამაკაცურად ჩავიცვამთ და უკანასკნელს სისხლს დავღვრით მამულის გამოსახსნელად! — მკაცრი ხმით თქვა მელანია მელნიკოვამ.

— მეც, ცხოველმყოფელს ჯვარსა ეფიცავ! — წაიჩურჩულა ნათიბზემ.

— შენ ხომ „მასზე" გაბუტული ხარ, რომ მეც ისეთი კრიალოსანი მომართო, როგორიც შენ! — ჩურჩულითვე იდაყვი გაჰკრა მაიკომ.

ნათიბზეს არა მიუგია რა.

მაჩის დაპატიმრებისა და ოჯახის შერცხვენის შემდეგ, ის თავიდან იწორებდა „მასზე" ფიქრს და წერილებზეც აღარ პასუხობდა.

— ჰა, თქვენ ბაირახები, ორდენები! — შესძახა კატინკამ ალექსანდრეს. — მიდით, რაღას უდგეხართ! ქალებიც ზედ მოგყვებით ჩვენს საყვარელს ქმრებს, ძმებს და მამებს!

24

ვინ იფიქრებდა, თუ ქართველ კაცს გუბერნატორად დანიშნავდნენ, ისიც — მიქაიჩს! არა, არავის არ სურდა ამის დაჯერება:

ვინ?

როგორ?

რანაირად?

საფეთქლებზე ხელაფარებულნი რამდენჯერმე იმეორებდნენ, ხომ არ მოგვეყურაო.

„რა მანქანებით მიაღწია უჩინარმა კაცმა ხელმწიფემდე?"

„უავგუსტესს თითქმის ერთ დღეს რატომ უნდა გაეწვია ორი დიდი მოხელე, რომელთაგან ერთი აღმოსავლეთის ომებში სხივმოსილი ეარშავის თავადი, ერევნის გრაფი პასკევიჩი იყო, ხოლო მეორე — მისი სანდო მეგობარი ზაილეისკი?!"

მთავარმართებლად დანიშნულ ბარონ როზენს ხომ ჯერ წარმოდგენა არ ჰქონდა კავკასიაზე. მაშ, ვის ანდობდა იმპერატორი ამ ფრიად საპასუხიმგებლო მხარის გაძღოლას?!.

...თეთრცხენებიანი ვენური ეტლი, რომელშიც თბილისის ახალდანიშნული სამოქალაქო გუბერნატორი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი და კავალერი ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, მსუბუქად მიყრდნობოდა სავარძლის საზურგეს, მთავარმართებლის მოედნიდან გუდოვიჩის ქუჩაზე გასრიალდა.

აღტაცება, ოცნება, ზრუნვა, ჯიბრი — ყველაფერი ერთმანეთს შერეოდა.

მთელი მისი გამომეტყველება გამოხატავდა უზენაეს სასოებას, ვედრებას, რომ ეზიარა წმიდა საქმეს. ყოვლად ძლიერო მამაზეციერო, შენ შეეწიე ღვთაებრივი მისიის აღსრულებაში!.. — ლოცვადქცეული ღაღადებდა სანთელივით ჩამოქნილი მისი სახე...

მთელი ცხოვრება აქეთკენ ილტვოდა და მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ არ ელოდა ამას.

ნეტარებით ავსებდა გულისამაჩუყებელი უხმო ფიცი, რომ გაამართლებდა ამ დიდ ნდობას, მოლოდინს, რომ ბედნიერებას მოუტანდა ხალხს და ქვეყანას.

სასოებით ზეაპყრობილი მისი თვალები ხან ცის სიღრმეში იკარგებოდნენ, ხან, მზრუნველობით დაბლა დაშვებულნი, ქუჩებს, სახლებს, ახალ ნერგებს პირველხილვის ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ. დამცხრალი ტუჩები ჩუმი ლოცვით თრთოდნენ.

მიქაიჩის მთელი იერი ერთ დაუსრულებელ უბიწოებასა და ზრუნვას გამოხატავდა.

გარშემო ყველაფერს ერთბაშად შეეცვალა მისდამი დამოკიდებულება.

დანიშვნის ამბავი რომ შეიტყო, რამდენიმე დღე, გათანგულმა და გაბრუებულმა, იმის შიშით, ვაითუ მაინც არ გამიმართლოს, გადაიფიქრონო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. არავის უმხელდა, ღმერთმა მეტისმეტი სიხარული არ მიწყინოს, იმედი არ გამიცრუვდესო; შაგრამ როცა ფელდიეგერმა ხელმწიფის ბრძანება ჩამოიტანა, მიქაიჩმა მხრებზე სასიამოვნო ტვირთის სიმძიმე იგრძნო.

„პასკევიჩმა და ზაგილეისკიმ დიდი ზიანი მიაყენეს მთელ ქვე-

ყანას! ხალხი გულაღრენილია. თავადაზნაურობას მთავრობის ნდობა დაკარგული აქვს. ხალხის გულისმოგება იოლი აღარაა. ამიერიდან საქართველოს მყუდროება, წესრიგი და მორჩილება მართებს. ნახევრად ველური თემები სამოქალაქო დისციპლინას უნდა მივაჩვიოთ. ჩემი დროშა დიდი რუსეთის კანონმდებლობაა. მკაცრი და სამართლიანი უნდა ვიყოთ. განა მოსათმენია, რომ ყველაზე პატიოსან და ყველას მიერ პატივცემულ ადამიანებს სჯიან ხოლმე, თუკი მათ ოდესმე რაიმე ისეთი დანაშაული ჩაიდინეს, რაც ძალიან ხშირად ხდება გულწრფელობით, კანონის უცოდინარობით და ჩვენი ხალხის თავისებური ხასიათით"?!.

ყაბახზე მხიარული სიმღერებით მიაბიჯებდა ეგერთა პოლკი.

ახალდანიშნულმა გუბერნატორმა კმაყოფილებით გააყოლა თვალი. ძალა და იმედი იგრძნო. მის მიერ შედგენილ „პროექტებს" წინ რალა დაუდგებოდა. ერთ-ორ წელიწადში თბილისი ისე აყვავდება, კაცი ვეღარ იცნობს. არც ერთი ქუჩა მოუკირწყლავი არ დარჩება. ჭუჭყი და სიმყრალე გაქრება. წყალს გამოიყვანს. ყოველ უბანში ერთ-ორ საავადმყოფოს გახსნის. ბიბლიოთეკები, პრიუტი, სამშობიარო. უმთავრესი, რა თქმა უნდა, ქარხნები, ქარვასლები და სავაჭრო რიგებია!"

დიდი ხნის მშვენიერ ოცნებებთან სიახლოვე მიქაიჩის სახესა და თვალებს იმგვარის ნათელი ბრწყინვალებით ასხივოსნებდა, რომ ქუჩაში გამვლელნი უნებლიეთ ჩერდებოდნენ, სათნოებითა და იმედით მიაცილებდნენ მას.

სელიერის საკონდიტროსთან ეტლიდან გადმოიხარა და გაცისკროვნებული მიესალმა ნაცნობთ, რომელთა შორის ალექსანდრე ორბელიანი, მელნიკოვი და ეფრემა იყვნენ.

— ხელმწიფე ისე მოწყალეა, რომ უკვე ქართველი გუბერნატორი გვყავს! — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ.

— მადლი უფალსა, რომ დავიწყებულნი არა ვყოფილვართ! — ჩუმად წარმოთქვა ეფრემამ.

— ეს უკეთესი იქნება ჩვენთვის, თუ უარესი? — უმისამართოდ იკითხა დიმიტრი ყიფიანმა.

ალექსანდრე ორბელიანმა, რომელიც ვერ მალავდა დაბნეულობასა და განცვიფრებასა, თითქოს თავის თავს უპასუხა:

— ვინ იცის!

„ჩვენი გუბერნატორი! გენერლებს თვალი აარიდეს. მუხრან ბატონი, აფხაზი, ჯანდიერი, ჭავჭავაძე, ბებუთოვი, სევარსამიძე, ჭილაშვილი ვერ დაინახეს და მიქაიჩი! ეს მაინც როგორ ხდება, რომ მოციქული არასოდეს იქიდან არ გვეცხადება საითკენაც თვალნი გვაქვს მიპყრობილი! ნუთუ ესაა გუბერნატორობა? ნუთუ ასე იოლი ხელმისაწვდომია ხელმწიფე? ეს რომ ფიქრად მოსვლოდათ, იქნებ, სხვებსაც მიეღწიათ!“

— როგორ მოხდა? — თითქოს ყველას მაგიერად წამოიძახა დიმიტრიმ.

— ღვთის მოწყალებით! — თქვა ეფრემამ.

— როგორ! დაესიზმრა ხელმწიფეს და ერთ მშვენიერ დღეს ბრძანება გასცა: „განჩინების კომისიაში“ რომ მრჩეველია, თბილისის გუბერნია იმას ჩააბარეთო? — თავი ვერ შეიკავა ანტონმა.

— ასე ტყუილუბრალოდ არ დანიშნავდნენ! — ამოიოხრა ალექსანდრემ. — ეტყობა, რაღაც ხდებოდა, რაღაც მზადდებოდა, რაღაც უკეთებია ამ კაცს და ჩვენ კი ვერ შეგვიმჩნევია.

— აბა, საქვეყნოდ რომ ეკეთებია, ვინ გაუშვებდა!

— რა უნდა გაგვეგო, როცა არც ვკადრულობდით, ზედაც არ ვუყურებდით და არაფრად ვაგდებდით?

— ზვიადი და გულბოროტი არ უნდა იყოს, თორემ, არ გამოგვრჩებოდა! — თავის დანუგეშებასავით წარმოთქვა ანტონმა.

გრძნობდნენ, რომ ამ საქმეზე ფიქრისგან არაფერი გამოდიოდა, ხოლო უჩინარ მოხელეს, რომელთან მეგობრობა ორიდე დღის წინ სათაკილოდ მიაჩნდათ, მათს წარმოდგენაში ნელინელ დიდების შუქი ეფინებოდა.

უცებ, ყველას უნდოდა ნაფლეთებისგან აღედგინა ცხოვრება საოცრებად ქცეული კაცისა, რომელიც დღენიადაგ მათ თვალწინ დაღოღავდა და როდის, როდის აღმოჩნდა, რომ არავინ იცნობდა, არავის მასში განსაკუთრებული არაფერი შეემჩნია.

თითოეული ცდილობდა გაეხსენებინა, ხომ არაფერი მიწყენინებიაო. იგონებდნენ, სად, როდის, როგორ შევხვდით, როგორი გამარჯობა ვუთხარითო. გონებაში უნებლიეთ ცოცხლდებოდა, თუკი რამ ნათესაური ან მოყვრული კავშირი ჰქონდათ მშობლების, ცოლის, თუ მეგობართა მხრივ.

ახლა ჩახვდნენ, რომ მამამისი გამჭრიახი, მოხერხებული კაცი იყო და ძალიან ბევრს მიაღწია ცხოვრებაში.

მართალია, სახლი ააგო, მაგრამ კარგი მემკვიდრეობა დარჩა და ნაქურდალი არ დასჭირდებოდა. ცხოვრებაში ხარბი და მუცელყორა არ ჩანდა.

ძმები რომ ერთმანეთს არ ჰგავდნენ, ეს შემჩნეული ჰქონდათ. იასეს უფრო იცნობდნენ და უფროს ძმას „იასეს ძმას“ ეძახდნენ.

ზოგი თანაგრძნობით იგონებდა, სნეულ ცოლს კეთილად უვლიდა და ღირსეულად იგლოვაო.

ზოგიც იმის ფიქრს დაეღონებინა, მაშინ, მეუღლის დაკრძალვაზე, სამძიმრის სათქმელად ვერ მიეედიო.

— ყოფილა კიდეცა და უკეთებია! — ჩაეცინა მელნიკოვს. — არავისთვის სათქმელი და საბაბი არ დაუტოვებია!

— რა გვიხარია? — ამოიოხრა ალექსანდრემ.

— პასკევიჩის აბარგვა! აი, ბედნიერი კაცი! როცა მთელი კავკასია აიმხედრა, მოასწრო პოლონეთში გაქუსლა!

— გუშინდელი გლეხის შვილი რომ გუბერნატორი გახდება, იმისთვის დედის ძუძუ ალალია! — გულაღრენით თქვა ალექსანდრემ.

— როგორც გამიგია, გადასახადების აკრეფაში, დიახ, დახელოვნებულია, ცხრა მთას იქით რომ ცხვარს ბატკანი გავარდეს ან ქვესკნელში წიწილა გამოიჩეკოს, ამას არ დაემალება. ხელმწიფე იმპერატორს სხვა რაღა უნდა! რელაციებს რიგიანად წერს! — თქვა მელნიკოვმა.

— ნახეთ, თუ ეს დანიშვნა ჩვენი საუკუნის საოცრებად არ გაცხადდეს! — ამოიოხრა ალექსანდრემ.

25

რა უეცრად გაჭრნენ პასკევიჩი, სიპიაგინი, ზავილეისკი!

რა უეცრად მოვიდნენ როზენი, სტრეკალოვი, ფალავანდიშვილი!

სოლომონი ჩუმ შეშფოთებას გრძნობდა. მიწისძვრამ მთელ ქალაქში მხოლოდ ის სახლი დაანგრია, სადაც მარტის მიწურულს გადავიდა.

ბიბლიოთეკა და ხელნაწერები დაეღუპა. ახალ ბინაზე გადაბარგებამ სამი კვირა წაიღო. ამდენი მოცდენით განერვიულებულმა, ზაფხულში, მაღაროს მიაშურა, სადაც მუდამ დიდი წარმატებით შრომობდა, მაგრამ თბილისში კიდევ ორი უსიამოვნო ამბავი დახვდა.

სიდედრს გათხოვება გადაეწყვიტა და, სიძე-ქალიშვილს ნებას სთხოვდა.

ვიღაც-ვიღაცეების წყალობით ეს ამბავი მთელს ქალაქს მოსდებოდა და ელენეს არათუ შინიდან ფეხი გამოედგა, სირცხვილით ქმრისთვისაც თვალებში ვერ შეეხედნა.

ანა და იმისი საქმრო, კოლეჯსკი სეკრეტარი კუზევნიკოვი, შუამავალს შუამავალზე გზავნიდნენ.

— თავს ნუ იტანჯავ, სულო! — ამშვიდებდა სოლომონი. — შენ რა ბრალი გაქვს!

— ნუღა გამაგონებ, ბატონო, არ შეიძლება! შვილიშვილების პატრონს როგორ არ რცხვენოდეს ასეთი საქციელისა!

— დიახ, ავი საქმე გახლავს, ჩემო ნუგეშო, მაგრამ ქვეყანა თვალში შემოგვყურებს და რას იტყვიან! გუშინ ეფრემამ ყველას გასაგონად მითხრა სამასწავლებლოში, ნებას რათ არ აძლევთო.

— სულ მაგისგან გვჭირს, რაცა გვჭირს! — ცრემლი მოერია ქალს.

— მჯერა, მრჩევლების აყოლითაა, მაგრამ რაღა უშველის? ეფრემა თქვენი სულიერი მოძღვარია, ერთს დავიდარაბას აგვიტეხს.

— მომკალით, ბატონო, და მე მაინც ნებას არ მივცემ! ჯერ, თქვენის სახელისათვის და მერმეთ, მამიჩემის ხსოვნისათვის.

— შვილების დედა ბრძანდები, სულო ჩემო! შფოთით საქმეს მოსცდებით და ყმაწვილებიც უპატრონოდ დაგვრჩებიან.

— ეხლავ რომ სული ამომხდეს, მე მაინც „არას“ ვიტყვი.

— სიხარულო ჩემო! ხმა მოუფენიათ, ვითომ, ქონებისათვის არ ვაძლევდეთ ნებას!

— მაშ, შვილიშვილების პატრონი ქალი უნდა გასთხოვდეს, და, ისიც, ვისზე?

— ნუ დაივიწყებთ, რომ დედათქვენი არს მხოლოდ ოცდათორმეტის წლისა.

სოლომონი არ თანაუგრძნობდა სიდედრის განზრახვას — ქართ-

ველი ქალისგან ასეთი საქციელი იშვიათი იყო, ყმაწვილი მეუღლეც ებრალებოდა, მაგრამ, ათას სადარდელებთან, აღარ უნდოდა ეს საქმე გაემწვავებინა.

მაღაროდან ჩამოსელისთანავე მიაღწია მის ყურამდე ქალაქში გავრცელებულმა ჭორმა, დოდაშვილს პეტერბურგიდან ბერი იონას მიერ ლექსიკონის გამოსაცემად გამოგზავნილი სამასი თუმანი მიუთვისებიაო. მამა იონას არქიმანდრიტი ტარასისთვისაც მოეწერა: „ესერა სიმშილითა და წყურვილითა, და შიშველობითა და დაბებკილისა სამოსითა და ხმელი სანოვაგითა და ფეხით სიარულითა, საღმრთო კონდაკით, მსახურსა თვისსა მომანიჭა მაცხოვარმან. ვერცხლნი, რომლითაცა მსურდა ლექსიკონისა დაბეჭდვა ერისათვის, ათისა წლისა დღე და ღამე შრომილნი ჩემნი. დიდს შრომისაგან სისხლი წამსკდა ცხვირისგან და სიკვდილს მიეახლე. წარმოვუგზავნე წიგნი ესე დასაბეჭდად დოდაშვილს და სამასი თუმანიც, რომელმანც მატყუა და განაბნია ნაყოფნი ჩემნი, ვერცხლნი ჩემნი წარაგო ამაოდ, თვინიერ საჭიროებათა“.

ბერის საჩივარი ხელთ ჩავარდნოდა ეფრემას, ეს ადგილი გადმოეწერა და ხალხში გაევრცელებინა. ფეფენო, ერმოლოზა და მათი ამხანაგები ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩურჩულებდნენ: „საწყალ ბერს ფულები შეუჭამაო.“

ერთ საღამოს, გიმნაზიის შესასვლელთან, სოლომონი უცნობმა პირებმა შეაჩერეს, იონა ხელაშვილის ფული და ლექსიკონი მოსთხოვეს, აქეთ-იქით გაწევ-გამოწევაში დაალილავეს.

ეს შემთხვევა ცოლისთვის არ გაუმხელია. თავის სულიერ მოძღვარს კი მისწერა: „სტამბა გავმართე დიდ-ფრიად კარგის ქართულის ასოებითა. გრამატიკა იბეჭდება და ამასთანავე იწყობის, — უკეთუ ინებოს ღმერთმან და შეგვიწიოს, — იგი ლექსიკონიცა თქვენი. ეგრეთვე გამოიცემა ყოველს თვეს ჟურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი“...

მალე აშკარა გახდა, რომ ვიღაც ბოროტთა მიერ წაქეზებული ხელაშვილის ძმები და ძმისშვილები, სიკვდილის მუქარით, ვითომ, ბერის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილ მილიონებს სთხოვდნენ. ყოველ ჭირსა თუ ლხინზე ფულისთვის აკითხავდნენ და დღენიადაგ ტანტალით სისხლს უშრობდნენ.

ყურში განუწყვეტლად ჩაესმოდა იდუმალებით მოცული სისინი: „თქვენ იცით, ვინ არის სოლომონ დოდაშვილი?“

მიიხედაუდა, მოათვალიერებდა იქაურობას, თუ საეჭვო არა ჩანდა რა. განაგრძობდა გზას და ისევ შხამად ჩაეწვეთებოდა: „თქვენ იცით, ვინ არის სოლომონ დოდაშვილი?“

გიმნაზიაში ხუთი გაკვეთილი, შინ მოწაფეები, ყოველ მეორე დღეს „კომიტეტში“ სხდომები. გაზეთისა და ჟურნალის დროზე გამოცემა. ახალი რომანის დასრულება. ლექსები. ფილოსოფიის კურსი. საქართველოს ისტორიის წერა. სახლის მშენებლობაზე დავიდარაბა... ახალი გუბერნატორი სამაზრო ცენტრებში სკოლების შესამოწმებლად გზავნის.

დროშკა არ ჰყავდა. ნერვიულობა ძველ ავადმყოფობებს უხსენებდა. მკერდში ხანჯლებს უტრიალებდნენ. გიმნაზიაში ფეხით დადიოდა და დასცინოდნენ, ამ სიშორეზე მემწვანილესავით დაჩანჩალებსო.

დასახულ მიზნებს დროზე ვერ ასრულებდა. უწინ ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა კი, ბრაზი იპყრობდა.

ასეთ დღეებს დასასრული არ უჩანდა და, უთუოდ, იობის მატლები შეჰამდნენ, თუ არა ცოლ-შვილი, სადაც ყოველგვარი სატკივარი სიხარულით ეცვლებოდა. მზრუნველობა და შვილების ალერსი ყოვლის განმკურნებელი ნუგეში და ღონე იყო. მათთან ისეთი განცდა ჰქონდა, რომ უზარმაზარი, მარადიული ფესვები ედგა დედამიწაში და მისი ამოგლეჯა არავითარ ძალას აღარ შეეძლო.

ელენე სამ შვილს უვლიდა, კვლავინდებურად, ქიზიყიდან ჩამოყვანილ ათიოდე ნათესავს ინახავდა და ამეცადინებდა. თვითონ სოლომონი ისე ჩაფლულიყო საქმეებში, ცოლს, საწერ მაგიდასთან რომ არ მიერთმია კერძი, ჭამაც არ გაახსენდებოდა.

— ნუ გავარისხებთ, შენი ჭირიმე! ხელზე დაიხევენ!

— არ ვიცი, რა ჩემდა ჭირად დაუჟინია! — ამოიქვითინა ქალმა. — არა, მე არას გზით არ დავთანხმდები.

სადარბაზო კარის ზარმა დაიწკრიალა.

შემოვიდა სოლომონის უსაყვარლესი მოწაფე. ტატო ბარათაშვილი — მოთეთრო, პირხმელი, წაბლისთვალთმიანი. მასწავლებელს გაბრწყინებული თვალები მიაპყრო. საწერ მაგიდაზე რვეულები და წიგნები დაალაგა.

ტატო განდობილი იყო, „გიმნაზიის წრეს“ მეთაურობდა და ძლიერ ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რადგან გიმნაზიელები სულ სხვაგვარად იყვნენ განწყობილნი. სოლომონს ბიბლიოგრაფიის შედგენაში ეხმარებოდა, ბიბლიოთეკარ კოტოვისთვის საქართველოს სიძველეთა მასალებს აგროვებდა, სტამბისა და ჟურნალის საქმეებში შველოდა.

ბარათაშვილები მეზობლად ცხოვრობდნენ, ტატოს მამა მელიტონი დიდი პურმარილიანი კაცი იყო, სოლომონს ხშირად ეპატიჟებოდა, და, როცა დროს იშოვიდა, რუსი და პოლონელი მეგობრები მიჰყავდა სტუმრად.

ტატომ დაჯდომაც ვერ მოასწრო, რომ კარში თავმოხრილი, გვერდულად ძლიეს შემოეტია ბერი ფილადელფოსი, რომელიც ექიმ პოპეიკასთან მკურნალობდა და წინა დღით ბაზარში შეხვედროდა სოლომონს.

კურთხეულ არს სიმართლე და სიმრთელე შენი! — მოეგება დოდაშვილს.

ტატოს ღირსეულად ჩამოართვა ხელი, პირჯვარი გადასწერა, ოჯახის ამბავი ჰკითხა.

— აჰყვავდი, შვილო ჩემო, ვითარცა ბროწეული ცოდნისა და მომავალზე ფიქრის მრავალ ბევრეულის მარცვლებითა.

— ეს არს ჩემი ოცნება, რათა სწავლასა მოაქვნდეს უხვად ნაყოფნი სადიდებლად და სარგებლად მამულისა! — თქვა სოლომონმა.

— არა კმარს ესე! — წაიბუტბუტა ბერმა.

— მე აწინდელისა მდგომარეობისათვის მამულისა ჩვენისა ესრეთ მხიარული ვარ, რომელ მომატებული შეუძლებელ არს.

— კარგი არს, კეთილი მოგეცეს, მაგრამ ვინ გვიშველებს!

— თანახმა ვარ, მაგრამ რა ვიღონოთ გლეხის კაცისათვის, რომელსაც ლუკმა გასჭირვებია! მეგობარნი ჩვენნი წართმეულ მიწა-წყალზე ბევრს ფიქრობენ, ხალხზე კი არას. კახეთი უნდა გამოვიყვანო! კეთილი, მზად გახლავართ! მაგრამ რა ეუთხრა ყმაგლეხსა? როგორ აეუხსნა, რისთვის სწირავს თავსა?

—- ხალხმა ყველაფერი იცის. ჯერ ერის საქმე მოვაგვაროთ და, რაკი მამული თავისუფალი იქნება, შინაურ საქმეებსაც კარგად დავაწყობთ!

— არა მგონია! რუსებმა მათის მოთხოვნით დააწესეს ვახტან-

გის სამართალი. გლეხი კაცი სულის გარდა, მებატონისა არის. შევქმნათ საზოგადოება სკოლების, ბიბლიოთეკების, სტამბის, უნივერსიტეტის დაარსებისათვის. გავგზავნოთ ნიჭიერნი ახალგაზრდანი რუსეთში სასწავლებლად. დავაფუძნოთ პატრიოტული სალარო მათის დახმარებისათვის. განათლება თავისუფლებაა.

— აი, ვითარ არს საქმენი ჩვენი! — ამოიოხრა ბერმა. — დღეს ასე ვიტყვით, ხვალ ისე. არ ვიცით, რა გზას დავადგეთ და როგორ ეუშველოთ ქვეყანას! აბა, ძმაო ჩემო სოლომონ, დღეს ამ ლაპარაკის დროა?

— რაც გამოვა, იმას ვუშველოთ, ის საქმე ვიღონოთ. გვყვანან ნიჭიერი შეგირდნი. მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვებინა შემოწირულება და შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა. დაეხმარებოდით გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეებს. წავიკითხე თხზულებანი მოწაფე მაჩაბლისა და ვსთხოვე თავადებს, ეგების როგორმე იმდენი მოგვეგროვებინა, რომ გაგვეგზავნა ის უნივერსიტეტში და დაგვენიშნა სტიპენდია.

— ურიგო არ არის, დანერგოთ პანციონი სიღნაღსა შინა, სასწავლოდ მუნებურისა ერისა ყრმათა და ასევე ინგილოთა, ვართაშენისა და ალიაბათისა, რომელნი წყურვილობენ ქრისტიანობასა და სწავლასა შვილთა თვისთათვის ქართულად.

მაგრამ დღეს სხვა უფრო დიდთა საქმეთა წინაშე ვდგავართ და ესე არს საქმე ყოფნა-არ ყოფნისა მამულისა ჩვენისა.

— მზად ვარ, სიცოცხლე ჩემი შევსწირო, მზად ვარ, მოვსპო ყოველი ნაშრომი ჩემი, დავხიო ნაწერნი ჩემნი, თუ ამისთვის თუნდაც ერთ ბავშვს პური და რძე არ მოაკლდების.

სოლომონმა ფიქრი შეაყოვნა. არ უნდოდა იმ საგანზე ყველაფერი ეთქვა, რასაც ფილადელფოსი გარს უვლიდა. უკანასკნელ დროს ამის თაობაზე ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა, გაორების გრძნობა ტანჯავდა და გადამწყვეტ პასუხს ვერ პოულობდა, თუმცა, სულ უფრო განათლებისკენ იხრებოდა.

— ამას წინათ ვახშამზე წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბლის ლექსები, რომლებიც ყველას მოეწონა, მეტადრე „თოვლი“ და, აი, ეს ახალი ხმა: „ერთის ბრწყინვალედ შემმოსი, სხვისა ჩამცმელი თალხისა“, რომელიც ჟურნალშიაც იყო დაბეჭდილი.

— ბევრი გვსაყვედურობს, სოლომონ ჩემო, რომ ეს ჟურნალიც დადგა და მეხუთე თვეა აღარ გვეჩვენება.

— დადგება, მაშ, რა იქნება! ერისთავის „ოსური მოთხრობა“ ცენზურამ ამიკრძალა. სტამბა რუსულისა და თათრულის გაზეთებით დაკავებულია. ხელს აღარ მოაწერენ, თეთრი გვაკლია, ახალმა გუბერნატორმაც თვალი მოგვაპყრო. რაზმაძის „დათვსა და ცხვარზეც“ ერთი ამბავი დამაწიეს. „ცხვარი“ ვინ იგულისხმებაო? „დათვი“ ვინაო? ეს რას ნიშნავსო: „ეს არის შენის შეწევნის აღთქმა?“

— მითხრეს, დიმიტრი ბატონიშვილს მოსწონებია „სალიტერატურო ნაწილნი“, ვითომ, თამარისთვის მოეწეროს, ჩვენის მამულის საქმეს მოახმაროს და დაეხმარებითო. „დათვმა და ცხვარმა“ კი ძლიერ გვახარხარა შუამთაში.

— დასაბეჭდავნი გვაქვს, ამაზე ხელი არ გვეშლება. ახლაც ტატომ ეს თუმანიშვილის „მრავალყვავილოვანი“ მოგვიტანა. მასში კარგი ლექსებიც ამოირჩევა. „ნალივაიკოს აღსარებაც“ მინდა დაებეჭდო. რაზმაძის „ფარისიც“ ტატოს გადავაწერინე.

— ჩემს ლექსებზედ რატომ არაფერს იტყვი? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ეფრემამ, რომელიც დღეში ათჯერ შემოვიდოდა და გავიდოდა დოდაშვილის ოჯახში, სადაც სულიერი შვილი ეგულებოდა.

— რამთენ გზის მითქვამს, თავი ანებეთ-მეთქი სატრფიალო ბაიათებს და ძლიერ ღრმას სიბრძნეს. სწერეთ საქართველოზედ, მის წარსულზედ, მის დღევანდელსა და ხვალინდელზედ.

— შენ დამიბეჭდე და ბედნიერიც ვიქნები თუ ჩემს ნაწერთ გააკრიტიკებენ.

— ჩემი თუ გინდათ, დაწერილსაც მოვსპობდი მშრალთა ლექსთა და განბერილთა სიტყვათა, გარეგან ენამჭევრობითა და ფერადებითა. — მკაცრად წაიბურტყუნა ფილადელფოსმა.

— მაშ, ის არის კარგი, რომ მამაცაშვილს კარამზინიდან მოუპარავს მოთხრობა და შენც, სოლომონ ივანიჩ, შენი „ელენეც“ კარამზინისთვის მიგიმსგავსებია? — აღშფოთდა ეფრემა, რომელსაც გალექსილი „თელემაკის ამბავი“ უჯრაში ედო.

— რა დროს ესაა! — მკაცრი გამომეტყველება მიიღო ფილადელფოსმა. — ჟამი არს მტერი მამულის მიუსცეთ მახვილსა ლესულსა!

— საამბოხოდ ერისა? — ისე წაისისინა ეფრემამ, რომ ყურადღება არავის მიუქცევია.

— ქართველებო, ხართლა სადმე? არავინ იცის, გონს მოდით! — იგივე ხმით განაგრძო ფილადელფოსმა დოდაშვილის ლექსის სტრიქონები, რომელიც მან საიდუმლო ანბანით დაწერილი გაუგზავნა შუამთაში.

— გაგვეგება ჩვენც „აღმკობილი" პროზისა და პოეზიის ტეორია! — მედიდურად წარმოსთქვა ეფრემამ.

— შენ დოდაევს და ფილადელფოსს თავი ანებე, თორემ, გაითოკები! — მრისხანედ შესძახა მამამ მასწავლებლის სახლიდან გამოსულ ტატოს, რომლის გული აღსავსე იყო სოლომონისა და მისი მეგობრების სიყვარულით.

* * *

ოქტომბრის სისხამ დილით ალექსანდრე ორბელიანი, რომელსაც ორი თვის წინ ფეხში ჟანგიანი ლურსმანი შეერჭო, კოჭლა-კოჭლაობით პირველად გამოვიდა შინიდან, რათა აღმასრულებელი ექსპედიციის მოედანზე იასე ფალავანდიშვილს შეხვედროდა.

— მთავრობას უკვე გაუგია ჩვენი ამბავი და, შესაძლოა, ყოველ წუთს ხელი გვტაცონ!

— თქვენ ვისგან გაიგეთ? — მშვიდად ჰკითხა იასემ.

— ყიფიანისთვის უთქვამს მამობილს.

— ჩვენს დასაშინებლად ეტყოდა.

— ბატონიშვილთან ჩემს მიერ გაგზავნილი ბალა — მაჰმადა ბორჩალოს დისტანციაზე დაუჭერიათ, ორკეცი ქამრის უბეში ჩაკერებული ბარათი უპოვნიათ.

— რახან ჩვენი ამბავი ბევრმა იცის, უთუოდ მთავრობისათვისაც ცნობილია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ისინი, უეჭველია, თვალს გვადევნებენ და საქმე დასწრებაზეა.

— ზარბაზნები მიყუჩდნენ. ვარშავა დაეცა. სხვა დრო გახლავსთ.

იასე ყურადღებით შეჰყურებდა ყრმობის მეგობარს, რომელიც დიდი ხანია, ყველა ამ საქმეების ცენტრში იმყოფებოდა. ორიოდე დღის წინ, ერთად მისწერეს ბიძინა ერისთავს: „უსაყვარლესო ძმაო

ბიძინავ! ვიცი, აქაურს ამბავს მოიხსენებ: ახლახან ჩირაღდანი იყო ვარშავის აღებისათვის, მაგრამ ვარშავა ომით არ აუღიათ, იმათი ჯარი გასულა და ქალაქი ისე დაუნებებიათ და შემდეგ ვნახოთ კიდევ რა იქნება. მგონია, ჯერ ვერ გადაწყდეს, ღმერთმა უკეთ იცის. ეს იკმარე, დიახ, საჩქაროდ ვწერთ. დიახ კარგი ამბები ვიცით, და, როცა, გნახავთ, მაშინ გეტყვით".

ახლა რა მეხი ეცა?!

— მოდი, ხანჯლები გამოვიტანოთ და ახლავე დავიწყოთ! ქალაქის ხალხი მზათ მყავს.

— აქედან რა გამოვა?

— მაშინ, ხვალ კრივი გავმართოთ და ამბოხიც მოვაყოლოთ.

— ესეც გაჭირვებისაა!

— საქართველო დაქსელილია შეთქმულებით. ყაზი მულაც ომობს. სანამ ალექსანდრე თავის ჯარებით მოვიდოდეს, იოლას წავალთ.

— არაფერი გამოვა. ჩვენი პარტია ძლიერ სუსტია. ყველა თავის გზისკენ მიიწევს. დოდაშვილს უგლეხკაცებოდ არა სწადიან. მთავრობის მიერ აჰყვავებულია.

— დოდაშვილმა პირობა მოგვცა, მთელ კახეთს გამოვიყვანო. იგი იმისთვის დავაახლოვე ოლქის უფროსს ზაპოროშჩენკოსთან, რომ ხალხი ენდოს. მოწოდება და ლექსები დაგვიწერა. გამოსვლისთანავე, აღმაშფოთებელ კატეხიზმოს შეთხზავს.

— დიდი გაელენა აქვს. მთელი კახეთი, გიმნაზიელები, შეთქმულთა ნახევარი მის სიტყვას უცდიან. თვითონ ყველაფერს ათასჯერ სწონის, ერთ აზრზე ვერ დამდგარა.

— მე მას მოვკლავ!

— ეს გვიშველის?

— გვიშველის! ღალატისთვის გულში ხანჯალს გავურჭობ, რომ სხვებმა ჭკუა ისწავლონ!

— ხომ არ გადავდოთ?

— არას დიდებით.

— მაშ, ნაჩქარევის საქმისგან რა გამოვა?

— გული ავს მეუბნება, ჩემს ძმა გუბერნატორს ყოველღამ ჩუმი ლაპარაკი აქვს გენერალთან.

— ასე ვერას გადავწყვეტთ. საჩქარო თათბირები გავმართოთ.

მოვიფიქროთ. დავაზუსტოთ. ყველას აზრი და გეგმა გავიგოთ. საერთო გადაწყვეტილება მივიღოთ. ხვალ საღამოს ჩემთან შევიკრიბოთ და მერმე ვნახოთ.

— თქმა აღარ მინდა.

* * *

ეს რამდენიმე თვეა, იასეს მშვიდი ძილი და მოსვენება დაკარგული აქვს. ორიოდ საათით თუ მიეგდება, საცა საერთო ძმობის საქმე მიიყვანს.

ანიტა?!

ნუთუ, ანიტა, ვისთვისაც აქაურობას დაუბრუნდა, სრულებით აღარ ახსოვს??! ნუთუ ყველაზე უძვირფასესიც დაივიწყა?!

გაუელვებს გულში და ცოფიანივით წამოხტება. გადაეფარება ათასი საფიქრალი. როგორაა, რომ ყველაფერს წიხლს არ ჰკრავს და მასთან არ გარბის?

ამ დღეებში ორჯერ მოსწერა, მნახეო (მცხეთაში აპირებდა წასვლას), მაგრამ იასე მთელი კვირა საქმეზე ჩარჩა და პასუხიც არ გაუცია.

ნაბიჯს აუჩქარა. ეს ღამე მსხვერპლის შეწირვას ჰგავდა. მხოლოდ მას უნდა ჰკუთვნებოდა. ბნელეთიდგან გამოსულ ეჭვს ებრძოდა, რომ ამ ძვირფას დროს საქმეს ჰპარავდა.

ჭიშკარი დაკეტილი დაუხვდა. ფანჯრები ჩარაზული, ჩაბნელებული. ირგვლივ ჯაჭანება არ ჩანს. მთელ საათს შეშფოთებული გარს უვლიდა სახლს და გრძნობდა, თუ რა სასჯელი ერგო ძვირფას არსებას, რომლის ერთ სიტყვაზე სიცოცხლეს არ დაიშურებდა.

უკან გამობრუნება აღარ შეეძლო. კლიტე ხანჯლის წვერით ჩამოხსნა. მთვარეულივით საწოლ ოთახში გაჩნდა, გონარეული მუხლებზე დაეცა. დაჩოქილი კოცნიდა, მხურვალე სახეზე იხუტებდა ქვეშაგებს, კაბებს, თავსაფრებს, ქოშებს. გაშმაგებით ისუნთქავდა ყველაფერში განზავებულ განუმეორებელ სურნელს, ესოდენ ნაცნობს, ასე ძვირფასს, არაამქვეყნიურს, ასე გამუდმებით სანატრელს. ცრემლი ეძალებოდა. სიხარულის, ბედნიერების ცრემლი. ბაფთებს, ნაქარგებს უგონოდ პირში იტენიდა. მასთან გატარებულ მშვენიერ დღეებს მძაფრად გრძნობდა.

ნუთუ არ მოვა? ნუთუ გული არ ეტყვის, რომ აქ ვარ და უმისოთ სული მხდება?! ნუთუ არ მაპატიებს?

გაუხდელად ლოგინზე წამოწვა. ბალიშებში ჩაემხო. გამაბრუებელ ზმანებებს დანებდა.

ოღონდ მოსულიყო. თუნდ ერთის წუთით გამოჩენილიყო. იმ ერთის წუთისთვის ნახევარ სიცოცხლეს გაიღებდა.

კედლის საათმა გამოაფხიზლა.

წამოიწია.

თორმეტი შესრულებულიყო.

ამ დროისთვის „ძმები“ შავ სოფელში ელოდნენ.

თავს მოერია.

ის იყო შუქი უნდა ჩაექრო, რომ მაგიდაზე გადაშლილი რვეული შეამჩნია.

წერილი ხომ არ დაუტოვებიაო, ზედ სანთელი მიაშუქა.

„მიიწურა კიდევ ერთი საძაგელი დღე, და ჩემს თავს ვეღარ ეუმალავ, რომ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

ქალის გაჩენაში მართლაც ღმერთი არ ურევია.

მოწყენილი გაეჰყურებ წარსულს.

მარტოობა ჩემი ოცნება იყო, მაგრამ ასეთი მარტოობა?!

წიგნის კითხვაც აღარ შემიძლია. ეს დღეც ფანჯარასთან, ჭარგეაში დაეალამე.

აბა, ახლა ტირილს ნუ მოჰყვები! — განუწყვეტლივ ვუწყრები ჩემს თავს. — საცაა გამოჩნდება! ვერ გამიგია, რა მოუვიდა. უცნაური კი იყო, მაგრამ თავქარიანი არა. რატომ არაფერს მეუბნება?

მაინც არ ვნანობ. გათხოვება რომ მომესურვებინა და საქმროს არჩევა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ახლაც მას ავირჩევდი. არავითარი ბრალდების წაყენება არ მსურს. არავის არაფერს ვაყვედრი. ასეთი ვარ. ასეთი ვიქნები. ნუთუ აღარაფერი დარჩა ჩემთვის სათქმელი?

საღამოთი კვლავ გამოჩნდა ის საძაგელი ქალი თავისი საშინელი ჭორებითა.

დავემალე.

ეღარ ვიტან. არ მსურს მოვუსმინო.

ასე მგონია, ასი წლისა გავხდი.

ის არაფერ შუაშია. მე საკუთარი გული მახრჩობს. ჩემივე ბუნების მსხვერპლი ვარ. მე მუდამ მისი ტყვე ვიყავი.

ერთს კიდევ ვცდი თავი დავაღწიო დაღუპვას.

მე მას თავისუფლებას მივანიჭებ!“...

• • •

რამდენიმე დღის შემდეგ იასე ორბელიანთა უბნიდან ბრუნდებოდა, სადაც ძმამ ნათიმზეს სანახავად გაგზავნა, რომელსაც მიქაიჩი თავის საცოლედ თელიდა, თუმცა ჯერ არც მშობლების დასტური მიეღო და ქალმაც არა იცოდა რა.

სიონის უბნის ქუჩაბანდებში, ფიქრებს აყოლილს, სრულებით არ შეუმჩნევია, როგორ გადაიარა მეტეხის ხიდი, ჩაუარა მთავარსარდლის სახლს, აუყვა წყედიადითა და დუმილით მოცულ ბილიკებს.

ზენა ქარი ქოხმახებს მოსაგლეჯად ჩაჰფრენოდა, სტვენითა და ზუზუნით აჯაჯგურებდა.

იასე შედგა.

სცადა გარკვეულიყო, სად იმყოფებოდა, მაგრამ აზრი ვერ მოეკრიფა.

— რა გაჩქარებდა? — შემოესმა ხრინწიანი ხმა.

— რომელი ხარ? — უაზროდ იკითხა იასემ.

— საკუთარის ფეხით რათ მოსულხარ-მეთქი?

— შენ ვინა ხარ? რასა ჰბოდავ? — განრისხდა იასე.

— ხა, ხა, ხა! შეშინებას ხომ არ მიპირებ?

— არ იტყვი, ვინ ხარ?

— მე ვინა ვარ? მეფე ვარ, მეფე! ქვეყნის ბატონ-პატრონი! ეს ქალაქიც ჩემი გახლავს! შენც ჩემი ხარ! ყველანი ჩემი საპატრონო ხართ! თქვენ კი არ გაგონდებით.

იასემ ხელი ხმალს იკრა და ჭისტურად დააკვესა.

ყავარჯენზე დაბჯენილ ხეიბარს ქარი წასაქცევად აქანავებდა.

— ოტკადალეული ჩანხარ!

— დიახ, ჩემო საჭირისუფლო, ცოტა ლაზათი გაგვიწევია. მიწის ტუსაღებსაც მოვლა უნდა. ისინი ხომ აღარაის ახსოვს! თქვენ, ჩემო ბატონო? თქვენ რისთვისღა შეწუხებულხართ?

იასე გონს მოდიოდა. უკვე არჩევდა აჩონჩხლილ საგნებს. რამდენი ხანია აქ აღარ ყოფილა!

— მიწა გეეძახის! ჩვენ კი სულ ვცდილობთ დავიეწყოთ ეს! მამის დაკრძალვის შემდეგ აღარ მოსულა აქ!

დედაც აქ განისვენებს!

— დიახ! კუკიის სასაფლაოზე ბრძანდებით, ჩემო ხელმწიფევ! მოწყალება მოიღეთ, რათა არა იხარებდეს ქვეყანასა ზედან ეშმაკი!

20

ნოემბრის დამდეგს, ალექსანდრე ორბელიანმა, რომელიც ავად იყო, ჩაისა და ხმელ ხილზე მიიწვია თანამზრახველნი.

— ვარშავის აღების შემდეგ თითქმის ხელი აგვეღია განზრახულებაზე. — განუცხადა მასპინძელმა შეკრებილთ. — ზოგი საქმეს ითხოვს ზოგს აღარც აგონდება. როცა ელიზბარი და იასე თბილისს არ არიან, კანტიკუნტად ვინმე თუ იკითხავს ამბის ვითარებას. შარშან ამ დროს სოლომონი მოვიდა ჩემთან და მკითხა: „იქნებ, მართალი არ იყოს ვარშავის აღება?“ ამ დროს გაისმა ზარბაზნების ქუხილი, ღამით ჩირაღდანი და ზეიმი. ვაკაცებს ცრემლი წაგვსდა. დიმიტრიც ქვითინით მოვარდა: „არ გებრალებით, რომ ვარშავა აუღიათ?!“ „კიდევ იფიქრებთ ოდესმე ხელმწიფის წინააღმდეგ?!“— ვკითხე. მან მომიგო: „არა, არაფრის ფიქრი აღარ შეიძლება!“ სხვა ბევრმაც აღიარა, შეთქმულებას აზრი აღარ აქვსო, განათლებას მივჰყვეთ ,ჩვენი ქვეყანა სწავლით, ვაჭრობით, მეცნიერებით, ქარხნებით დაეაწინაუროთო. იასე, ელიზბარი, ჩემი ძმა ვახტანგი, კიდევ მრავალნი ამბობდნენ, ვარშავა დაეცა, მაგრამ გულს ნუ გავიტეხთო, ამით არ გათავდებაო. განა, მართლა იმ-ს იმედით ვიყავითო! ესენი არც თვითონ ისვენებენ და არც მე მასვენებენ. რა ვქნათ ახლა? როგორ მოვიქცეთ? როგორც გიორგი ერისთავი სოლომონის ჟურნალში გვიწერს:

„შეეებნეთ, ანუ ეით მოვაგვაროთ?“

— მერე რა მოხდა?! ფრანგებმაც აიღეს მოსკოვი, მაგრამ რუსეთი ვერ აიღეს! — თქვა დიმიტრი ორბელიანმა.

— მამული გაჭირვებაშია, ამას ყველა ვგრძნობთ! — მხარი აუბა დიმიტრი ერისთავმა.

— პოლონელებმა, რომელთაც ფული ჰქონდათ და ჯარიც ჰყავდათ, ვერაფერი გააწყეს, ჩვენ კი არც ფული გვაქვს, არც ჯარი გვყავს! — ამოიოხრა ყიფიანმა.

შემოდგომის ცივი კოკისპირული ფანჯრებს ასკდებოდა, მაგრამ მოგიზგიზე ბუხართან სასიამოვნოდ თბილოდა.

— შენ, ძმაო, კამეჩის რქაში ზიხარ! — უთხრა ელიზბარმა. — ეგვიპტის ფაშა სულთანის წინააღმდეგ მოდის და იმისი შვილი, იბრეიმ ფაშა, ჩვენგან შორს აღარაა. კავკასიის კორპუსი დიდ საფრთხეში ჩავარდნილა. ყაზი მოლას ჰამიზადბეგიც დაემატა. აქ ცოტა ჯარია დარჩენილი.

— აი, ხელსაყრელი დრო! — ჩაილაპარაკა ვახტანგმა.

— ლეკები გადმოსასვლელზე თავს იყრიანო. — მიაშველა ავთანდილაშვილმა.

— ამას წინათ შიხილ-ალია მოვიდა და მითხრა, ალი აღა ეიბოღლიმ მითხრა, შენს ბატონს მოლა-ზამანა ალექსანდრე ბატონიშვილთან რომ გაუგზავნია, ბორჩალოს მისი გამყოლი დაუჭერიათო. თუ ეს მართალია, დავიღუპეთ. — ჩაერია ალექსანდრე ორბელიანი. — არაქსზე გადასვლის დროს, დიდი სიფრთხილის გამო, ქოსა მუსტაფამ წერილი თოფში ჩადო. შემდეგ, მიკინის სამფლობელოში, არ ახსოვს, რაღაცაზე წაიჩხუბნენ და ქოსა მუსტაფამ თოფი დაუმიზნა მოლა მუსტაფას, ამან ხმალი იშიშვლა და გამოიქცა შინ. ერთი კვირის წინ ამ წერილის საქმეზე აქ მოვიდნენ შიხილ-ალია-ყურბან-ყამოჩ-ოღლი, ყურბან-სადუ-ოღლი, ჰაჯი ჰუსეინ ოღლი, ჰასან-ხაჯალის ქევხა ალავედი ოღლი და მაჩი კარაპარ-ოღლი.

— მერე იპოვეს იმ წერილში რამე საბუთი ჩვენი დანაშაულობისა? — ირონიულად ჰკითხა ელიზბარმა.

— არა, ჯერ არაფერი ვუწყით, ახლა ყიფიანსაც ჰკითხეთ, რაც გაუგია.

— ჩემმა მამობილმა მითხრა, მთავრობა თბილისში დაეძებს რაღაც საიდუმლო საზოგადოებასო.

— ამიტომ, უნდა გვეშინოდეს და ვიჩქაროთ! — მიუგო ელიზბარმა.

— ვერ იპოვით იმისთანა ტომარას, რომ შიგ მახათი დაიმა-

ლოს! — თქვა ალექსანდრემ. — მამუკა ორბელიანიც ავად-გაგვიხდა. გაგდებული ზავლეისკიც პასუხისგებაში ჰყოლიათ და მისგან რამეს გაიგებენ.

— თქმაც კი მრცხვენია! — დაიყვირა იასემ, რომელიც ჩახმახზე შემდგარი უსმენდა ალექსანდრეს. — ორდენები და დროშები მზად გვაქვს. „პირველი ღამის განკარგულება“ მიგვღია და ახლა ამას ელაპარაკობთ. ივანე ბარათაშვილს ამბავი ჩამოუტანია. კორპუსი განადგურებულიაო. ჩვენ მთით ვართ გამოყოფილი. კაკაბაონი აქის მოწმეა. ფრინველი ვერ გადმოფრინდება. მთაში დათოვა და გზები შეკრულია, გაზაფხულამდე გავმაგრდებით. მეზობლებმა იციან, ჩემი ძმა ქართლშია წასული. ხაზინის ფულიც ჩვენს სარდაფშია. რუსები, სოქხები, თათრები, პოლონელები ჩვენთან არიან. თბილისში ხუთასი პოლონელია.

ჩემმა ძმამ რაპორტი მიიღო, რომ ხელმწიფეს ფულიც უპირს და ჯარიც.

— ეს რა მკვეხარა კაცია! — წასჩურჩულა დიმიტრიმ ავთანდილაშვილს.

— ფრანგი მასწავლებელი ბერეე გვირჩევს. — განაგრძობდა იასე. — არქიტექტორი ბიჰარი, პროპორჩიკი ლოპლულე და ლეტელიე. ფრანგები ძლიერ ნანობენ, პოლონეთს ვერ ვუშველითო. ქუდზე კაცი მოვითხოვოთ! იარაღი გადამალული გვაქვს. სადღა წაგვივლენ? ოქროპირი საფრანგეთს წავა. მელნიკოვი, პაუშენკო, იაკლენსკი ჯარს მოიმხრობენ.

— კარგი, თუ ძმა ხარ! ჰა, ჰა, ჰა, ცულიან-კეტიანი ხუთი ათასი კაცი მოვაგროვოთ, ისიც თითოს ორი-სამი გასროლა ექნება. — მკაცრად შეაწყვეტინა დიმიტრიმ.

— მაშ, კისერი მივუშვიროთ?

— ვინც ქართველია, ჩვენ მოგვიდგება, ვინც არა!.. — შეუგრძნობელი ელიზბარი.

— სადაც თქვენ დაიხოცებით, ჩვენც იქ! მაგრამ ტყუილა რათ ამოვწყდეთ!

— ვიმოქმედოთ მცირე რაზმებით!

— დაგვლუპავს მოხვალიებული საქმე!

— ალექსანდრე ჰავჰაევს საგანგებოდ ჩამოვიდა! — თქვა ელიზბარმა.

— ვსთხოვოთ, არავის გაუმჟღავნოს ეს საქმე. — თქვა ალექსანდრე ორბელიანმა.

— ვგონებ, გამოამჟღავნა უკვე! ჩემი ძმა და ის ორი საათი ისხდნენ კარდაკეტილში. — თქვა იასემ.

— თუ გამჟღავნდა, ყველას ციმბირში გვიკრავენ თავს. — თქვა ჩოლოყაშვილმა.

— ამისათვის ვიჩქაროთ! — კვლავ მთვრალივით ალაპარაკდა იასე. — საქმე საბრინავზეა. დრო ყოველთვის ერთი არ არის. ვინც მოქმედებს, ის მოძრაობს. ვინ იცის, ხვალ-ზეგ რა შეგვემთხვევა. იქნებ, საუკუნო სანანებელიც გახდეს! რაც უფრო მეტს ვიყოყმანებთ, მით უფრო გული გაგვიდედლდება. აღვასრულოთ, რაც დაგვითქვამს.

— არ ივარგებს, როგორც ადრე გაზაფხულზე გამოწეული კვირტი არ იკვირტებს. უბრალოდ თავს წავიხდენთ. გავსწყდებით. დრო და ჰკუა გვინდა. ვითარებას უნდა ეუყუროთ. ხალხი არ გამოგვყვება. თქვა დიმიტრიმ.

— რა გაჩხიბული საქმეა! — შეჰკივლა მანანა ორბელიანმა. — თქვენ იმდენს იზამთ, რომ მთელს საქართველოს დაღუპავთ.

— ჩვენ მას ვიხსნით!

— თქვენ მხოლოდ სიტყვით აკეთებთ ყველაფერს!

— დაგვაცადეთ, საქმეც იქნება.

— როდის?

დიმიტრი ერისთავმა გულგრილად გადახედა დიმიტრი ორბელიანს და დაჭრილ ხელზე საბელო ჩამოიწია.

მასა და მის მეგობრებს დიმიტრი ორბელიანმა სიმხდალე დასწამა, რისთვისაც დუელში გაიწვია. გუშინ დილით ისინი მახათაზე შეხვდნენ ერთმანეთს. ერისთავი მკლავში დაიჭრა, ამ ამბავს ორივე მხარე მალავდა, მაგრამ კამათმა ისევ აანთო ვნებები.

— თამარ ბატონიშვილი კვლავ მოწადინეა. დასაწყისში ორი ათასიც კმარაო. ოღონდ დავრწმუნდე, რომ თქვენ მზად ხართ და, ღმერთს ვფიცავ. მთელ თბილისს მარტო მე ერთი გამოვიყვან. ჩემი ძმის და ხაზინის ერთ მილიონს იმ ღამეს გამოვიტან. ვიშოვი ათას ლომგულს, თითოეული მათგანი ორმოც ჯარისკაცს შეებრძოლება. იმერეთი, აფხაზეთი, ოსეთი ჩვენთანაა. — ნეტავ, არ დავსნეულებულიყავ და მუხლები მომდევდეს, მეც თქვენთან ვიქნებოდი. — თავი ვერ შეიკავა თეკლა ბატონიშვილმა.

— თქვენ ამ აივანზე გადმოდექით, თქვენი ერთი სიტყვა მთელ საქართველოს შესძრავს.

— ფილადელფოსი ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში ავა. ჯორჯაძე დიდოეთსა და ლეკეთში.

— სოლომონ, შენ მანდ რაღას გაჩუმებულხარ?

დოდაშვილმა მხრები აიჩეჩა.

— ჰა, გვითხარი, არსებობს თუ არა კახეთში შეთქმულება?

— დრომ სხვა მოთხოვნილება მოიტანა, სხვა მიმართულებისა და სხვა საქმის კაცებს თხოულობს.

— თქვენ გინდათ, ყურადღება დაიმსახუროთ და ჩვენის გაკიცხვით ერთგულება მოიპოვოთ? — თავი წამოსწია ელიზბარმა.

— ვაკეთებ, რაც ჩემის მამულისათვის სასარგებლოა. გვაქვს სასწავლებელნი საერონი და საეკლესიონი. მოწაფენი, რომელნიც იზრდებიან იქ, დიდს იმედს გვაძლევენ მამულის მომავალი სარგებლობისათვის.

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს! — შეაჩერა დიმიტრი ორბელიანმა.

— ეს არის შენი შეწევნის აღთქმა? — ირონიულად შეახსენა ელიზბარმა რაზმაძის სტრიქონი, მის ჟურნალში დაბეჭდილი იგავარაკიდან.

— „ფარული ძმობის საიდუმლო ფიცი?“ — ჩაილაპარაკა დიმიტრი ორბელიანმა.

— შენ ხომ სრული პასუხისმგებლობა გაკისრია კახეთისათვის! — თვალი დააბრიალა იასემ.

— ვერ წავალ კახეთში.

— დატოვებ ტყავს!

— ამას მაყალისაგან თავი სტკივა!

— ამხელა ხალხს ტყუილა გადავიმტერებთ!

— მაშ, სხვამ გვიბატონოს, სხვისი მორჩილი ვიყოთ?

— გლეხებს სხვა პირობა უნდათ, რომ გამომყვნენ!

— მაგათ ვკითხოთ, რას ვაპირებთ?! — გაოცდა ელიზბარი.

— ისე ვერ იომებენ.

— მწკრივში დადგომა და „ნალეევო“, „ნაპრაევო“ რომ არ იციან ჩვენმა გლეხებმა, იმიტომ ვერ იომებენ?

— არა! რომ არ იციან, რისთვის იომონ და რას მიიღებენ აქედან, იმისთვის არ გამოგყვებიან.

— ამის იმედი გქონდათ? — წამოვარდა დიმიტრი. — ვეღარ გაშიგია, ვინ მტერია და ვინ მოყვარე.

— დოდაევი რათ გინდოდათ! მას კახეთში არა აქვს გავლენა! — ირონიულად თქვა ზაქარიამ.

— ნუ ფიცხობთ! — ნაღვლიანი თვალებით მიაჩერდა სოლომონი. — ჩვენ აქ საერთო აზრის გამოსატანად შევიკრიბეთ და მე ჩემი შეხედულება მოგახსენეთ. ვიმსჯელოთ. ყველამ ის თქვას, რაც სჯერა. და მერმე რასაც დავადგენთ, ყველა მას დავემორჩილდებით. ასეთ საქმეში მუქარა დანაშაულია და ვერც ვერავინ შეგვაშინებს.

— მაშ, არ გვიღალატებ? — მღელვარებით ამოთქვა ელიზბარმა.

— არ თანაგიგრძნობთ, მაგრამ ფიცსა და ამხანაგობას ვერ ვუღალატებ მე ყველაფერი მოვამზადე.

— მე ამ საქმეს უნდა დავაკვდე! — ხანძარი მოედო იასეს. — ყველაფერი მამულს უნდა შევსწირო. მაგრამ რას ჰგავს, რომ ზოგნი დღედაღამ საქართველოს მომავლის ფიქრში არიან, მეორენი კი — ქეიფში! ფიცი დავიწყნიათ, მხართეძოზე წამოწოლილან. საქმისთვის თავისგამობმას არ ფიქრობენ. დოდაშვილი რუსეთის კანონებს გვითარგმნის მამულის ბედნიერებისათვის. გიორგის სახელოსნო გაუხსნია. ზაქარია ევროპის მეურნეობას შესდგომია. ალექსანდრეს სნეულებანი დასჩემდა და ჟანგიანი ლურსმანიც შეესო ფეხში!

— ისიც თქვი, კარზე კლიტე რომ დაგიდვია!

— გარედან კლიტე დავადე, შიგნით ჩემს კაცებთან ომის გეგმებს, ვაწყობ. შენ ორჯერ გვითხარი, ვითომ, შენი ბიძა ბატონიშვილი უარს იყოს, „ყიზილბაშთა იმედი არ გაქვსო“, — თვითონ კი მისწერე, ვარშავა დაითრგუნა, მშვიდობის დრო მოდისო!

— მთელი ეს დროშები, ორდენები და პროკლამაციები რომ საკუპნაოში მიწყვია, ეს არაფერია?

— ორცეცხლშუა წრიალებთ, თითის მოკაკვა გეთაკილებათ, საქმის გეშინიათ, დღეში ათჯერ სწონით, საითკენ უფრო სასარგებლოა. ყოყმანით დიდი საქმე არასოდეს გაკეთებულა. მე არ შემიძლია, ამდენი უსამართლობის მოთმენა! სიკვდილი მირჩევნია. ამ თვეზე უკეთეს დროს ჩვენ ვეღარ ვიშოვნით.

— არჩევნებამდე დავიცადოთ. — თქვა ალექსანდრე ორბელიანმა.

— საქმემ დახვალიება არ იცის!

— ოცი ნოემბერი! — შესძახა ელიზბარმა.

— უკანასკნელი ვადა!

— ოც ნოემბერს გაიხსნება თავადაზნაურთა მორიგი ყრილობა. — განმარტა ალექსანდრე ორბელიანმა. — წინა დღეს მელნიკოვის სახლში მანანა ორბელიანი და ქობულაშვილის ასული გაუმხელენ საპატიო თავადებს. ცხრამეტში ღამით ვიწყებთ „პირველი ღამის განკარგულების“ აღსრულებას.

— მზად ვიქნები!

— დათანხმდება თქვენი ძმა გუბერნატორი? — ჩუმი ირონიით ჰკითხა ზაქარიამ.

— არ დათანხმდება და პირველს წამოვაგებთ ხანჯალზე!

— მოგვიწონებს ხალხი? — შემკრთალი ხმით წამოიყვირა დიმიტრიმ.

— ჩვენ არც ჩვენს სიცოცხლეს ვზოგავთ! ვინც გზაში გადაგვიდგება, მამულის მტერია, შეუძლია, ყველა დაგვღუპოს. ისინი ხალხს მიმართავენ და აურევენ გზას. დიდი ძალა აქვთ, შეუძლიათ ხალხი ჩამოგვაშორონ.

— ის ხარი, მუხრანსკი?

—უნდა მოვკლათ!

— დავიჭიროთ და ჩავკეტოთ!

— მათ გავლენა აქვთ ბრბოზე.

— საგვარეულო შუღლი დავიეიწყოთ!

— მაშ, რა ვუყოთ ამ არამზადებს?

— ჭილაშვილისთანა ხალხი დაგვღუპავს. როგორც სურო, ისე არიან მიკრული მთავრობაზე.

— მუხრან-ბატონი ალექსანდრეს დეიდაშვილია. ბატონიშვილის თვალწინ როგორ ამბობთ ამას!

— ჩვენ ყველა ერთმანეთის ნათესავები ვართ! — დაიყვირა დიმიტრი ორბელიანმა. — მუხრანსკი მხოლოდ ხელს გვიშლის. მოვწამლოთ მაინც!

— დავპატიჟოთ და იქ!

— ზოგი სხვაც მოვაყოლოთ!

— გუბერნატორზე ასეთი ავი რამე არ გამიგია!

— ეს კაცები, უკეთესია, მოვიხმაროთ! ჭილაშვილი შეეარიგოთ სენატორთან.

— ბიძაჩემი უფრო ადრე სატანას შეურიგდება, ვინემ ჭილაშვილს. ოსეთი მაგის მიზეზით წაგვართვეს. სენატორს მისი სისხლი სწყურია. — თქვა ელიზბარმა.

— მოვკლათ, სხვა გზა არაა! — თქვა დიმიტრიმ.

— ნათესაობა რას მიქვიან. შეიძლება მამაც მოკლას პატრიოტმა, თუ მტერია, არა თუ ნათესავი! ჩემს ძმას გუბერნატორს ჰკუა აკლია. იმას მალე გამოაგდებენ, სამართალშიც მისცემენ. რაკი გუბერნატორად დანიშნეს, ჰგონია, სულ ვიქნებიო.

— რას ამბობთ! ადამიანობა დაგიკარგავთ! — იყვირა ჩოლოყაშვილმა. — უნდა ავდგე და ქართველმა კაცმა ქართველ კაცს თოფი ვესროლო, ყელი გამოვჭრა, ცოლ-შვილი დავუხოცო?!

— ეს იქნება ნამაზი — მამულისათვის ლოცვის წინ განბანვა.

— ოხ, ღმერთო, ნუ მიწყენ ჩემს ცოდვებს, რომ საქართველოს უბედურების გამო ბევრს რასმე ვგმობ და მზად ვარ, ღვიძლი ძმაც ხმალზე ავაგო!

— ჰავჰავაძე?

— ის პირველი ჩვენი მეთაურია.

— რომ გვიღალატოს?

— როგორც ჩემი ძმა, ისიც სხვა ხალხისგანაა დაყენებული და ჩემის ხელით დავხანჯლამ!

ივანე ორბელიანს, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაედო და უდარდელად ეწეოდა გრძელ ჩიბუხს, არ მოეწონა ეს გაჯიუტებული კილო.

— ვხედავ, ჩვენ ერთმანეთს უფრო უარეს დღეს დავაყრით, ვინემ გარეშე მტრები!

— აქედან ჩანს, რომ ეს ჩვენი განზრახულება არ შესრულდება. — სიტყვა შეაწია დიმიტრი ერისთავმა.

თავისთვის კი გაიფიქრა: „პატივმოყვარენი არ გვასვენებენ!“

— მამულიშვილებს ძილი და განსვენება სწყურიათ! — ამოიგმინა იასემ. — აპელატები! პენცია! ჩინი!

— შეგიძლიათ მერმე, ეს ამდენი მშიერი ხალხი, ეს გაჭირვებუ-

ლი გლეხობა შეიკავოთ? მილიცია განა იმისათვინ არ დაშალა მთავრობამ, გლეხებს არ მიემხრონო?

— იყავნ ნება თქვენი! — ენა დაება იასეს. — ოღონდ, იცოდეთ, რომ ჩემმა ძმამ რუსეთიდან ქაღალდი მიიღო, ოთხი საგვარეულო— მუხრანსკების, ერისთავების, ორბელიანების და ანდრონიკოვების აქ გადმოასახლეთო.

დარბაზი ჩიბუხების კვამლში გაეხვია.

საკუთარი უილაჯობის გრძნობით, უცებ ხმა გაკმინდეს.

— თქვენ იცით, რომ ამ რიყიდან ლეკებს ჩაფეული მიჰქონდათ? მაშ, ეს დრო და ის დრო ერთი იყო? — აღელდა ზაქარია.

— რისთვის გავიჭიროთ საქმე?

— მთავრობის მიმართ უკმაყოფილება და გაბოროტება ისე სუსტია, რომ ხალხი არ გამოგვყვება!

— მორჩა! მივდივარ! ამის შემდეგ მხოლოდ მეურნეობაზე ვიფიქრებ. — თქვა დიმიტრიმ.

— ფეხი არ გადმოდგა! — ცივად გამოსცრა იასემ.

ალექსანდრე ორბელიანმა ჩიბუხზე წითელი ნაკვერცხალი შეაგდო.

— გაიმეორე! — მრისხანედ შესძახა დიმიტრიმ და დუელში დაჭრილი ხელი ხანჯალს წაავლო.

— ბაქიების ხროვა!

— მე ვუჩვენებ თამაშასა!

— უჩვენოდ უცხადებს მოქალაქეებს!

— მაგას ყველაფრის ჩადენა შეუძლია!

— ერთი კარზე გამიშვით, საქმე მიჭირს! — ლოგინიდან წამოიწია ალექსანდრე ორბელიანი.

— ახლა გასვლა იქნება!

— ესაა თქვენი მამულიშვილობა?

— არ მეგონა, ქალაჩუნა ყოფილხარ.

დარბაზის კართან თეკლა ბატონიშვილი მოდგა. დადუმებული. ნაღვლიანი.

ათას რვაას ორი წელი. კილმანჩარის ზაფი აგონდებოდა. მერმე, ყველაფერი, რაც იქიდან მოკიდებული იყო.

— შევრცხვით! თავი მოგვეკრა! — გული ამოუჯდა მანანა ორბელიანს, როცა ბატონიშვილი უხმოდ მიეფარა კარს.

— დაწყნარდით!

— თუ არაფერს გავაკეთებთ, წახდენით ჩვენს უბედურებას ნუღარ მოვუმატებთ!

— თუ მცოდნოდა, ასეთი ფუქსავატი შეთქმულნი იყავით, თქვენთან სიარულს არ დავიწყებდი! — შეწუხებული ხმით თქვა მაჩაბელმა.

— ყველაფერი იმის ბრალია, რომ საქმე გავაჯანჯლეთ. შარშან უნდა გამოვსულიყავით, როგორც ნათქვამი გექონდა! — წამოდგა ელიზბარი. გულში გამომწყვდეული ქარიშხალი მის სახეს უცნაურ სიმშვიდეს და ძალას ანიჭებდა. გრძელი, დაძარღვული ხელები, არწივისებური ცხვირი შეუპოვრობას გამოხატავდნენ. — ახლაც, ათი წუთის წინ, გადაწყვეტილება მივიღეთ, ვადა დავდეთ და აქვე, ამ წუთში დავივიწყეთ. ამიერიდან ყოველი ეპვი ღალატად ვაღიაროთ.

— მგზნებარე გულში სიყვარული საერთო საქმის!

— ზიზღი საიდუმლო სერობის ამბორს!

— სოლომონ! წყნარად წასჩურჩულა ყიფიანმა. — თქვენ ხომ ოჯახის პატრონი ხართ. შვილები გყავთ. საქმე გაქვთ!

დოდაშვილი პირქუშად გაჰყურებდა დარბაზს და ხმა არ გაუღია.

— კიდევ კარგი, რომ მოულოდნელ უბედურებას ერთბაშად ვერ ვგრძნობთ. — გადაულაპარაკა დიმიტრიმ.

— არ უნდა დავივიწყოთ წესი მაღალი საზოგადოებისა! — უკმაყოფილოდ ამბობდა ივანე.

— უსაფუძვლო ეპვით ერთმანეთს შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ!

— მამულისათვის თუ მოვკვდებით, ვართ მხიარულნი!

— ფიცს ასრულება შვენის!

ვახშამზე წაჩხუბრები შეარიგეს. მაორები: დიმიტრი და ივანე ორბელიანები, რომლებიც ოცი წლის მტრები იყვნენ, ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მანანას გულისთვის მტკვარში გადავეარდები!

— თუ გამოცხადდეს ეს ჩვენი საქმე, არ გავტყდეთ!

— ბალი-აღა!

ალექსანდრე ორბელიანი ჩონგურს უკრავდა და დაჰმღერდა.

— გამარჯვება ჩვენს საქმეს! — დაემშვიდობნენ ერთმანეთს და, ოცა სუფთა ჰაერზე გამოვიდნენ, აჩრდილებივით ხმაგაკმენდილნი ცალ-ცალკე გაეშურნენ.

27

შუადღისას ზანტად დაიწყო თოვა. კანტიკუნტად ყრიდა ფანტელებს. შებინდებამდე თანდათან მომძლავრდა.

ჯიუტად და თავდაჯერებით თოვდა.

შეუსვენებლივ ითოვა მთელი ღამე, მეორე დილა. ყარა და ყარა ცამ მსხვილი ფანტელი.

დაიღალა ცა.

ღრუბლებიდან ნოემბრის მზემ გამოიხედა.

დღე-ღამე იყრებოდა, როცა იასე შინ დაბრუნდა არაქათგამოცლილი. აფორიაქებული.

დილით მელნიკოვის სახლში თანამზრახველებს შეხვდა.

იქიდან პოლიციაში გაიქცა, სადაც ოსმალეთიდან გამოყოლილ ვალებზე ეკითხებოდნენ, რაღაც ვექსილებს, ხელწერილებს უჩვენებდნენ. იძულებული იყო ნერვებაშლილს ემტკიცებინა, რომ არავითარი ვალი არ გამოჰყოლია, არავითარი ხელწერილი არ გაუცია.

ოჯახში გაყოფას ითხოვდნენ. დაჭ და სიძე საჩხუბრად მოიწვევდნენ. გუბერნატორი ძმა იასეს კუთვნილი თანხის ლომბარდში შეტანას ჩქარობდა.

ის იყო, დაღლილ-დაქანცული, ნერვებდაწეწილი სავარძელში ჩაეშვა, რომ უეცრად საგანგაშო ხმა მოესმა: „ანიტას უშველე!“ მიიხედ-მოიხედა, არავინ ჩანდა. ის ხმა კი არ წყდებოდა: „ანიტას უშველე!“, „ანიტას უშველე!“

ბევრი არ უფიქრია. გუბერნატორის საჯინიბოში ქარცია ბედაურს მოახტა და ხანის ქუჩისკენ გააგელვა.

განსაცდელი შორიდანვე იგრძნო.

ჰიშკარში ფეფენო შეეფეთა. ფიქრად არ მოსვლია, რა უნდოდა ამ ქალს აქ. არც არაფერი უკითხავს...

— ანიტა მოიტაცეს!

სახეზე სიყვითლემ გადაუარა. ჩაშავდა. ცხენი შებარბაცდა.

— ამ წუთს! აქეთ აქეთ! უი, დამიდგა თვალი!

ბედაური ადგილს მოსწყდა.

მხედარს არ გაუგონია დადევნებული ხითხითი: „მოსახდენი მოხდა! მოვიდა კურო! ჩვენი გიქმაჟი დუელიანტი!“

იასემ ჩორთით ჩაიქროლა დათოვლილი დაღმართი, „ჰირიანების ხევი“, წმიდა აბოს სამლოცველო, ინჟინრის ქუჩა...

არც არაფერი იცოდა, არც არავის რასმეს ჰკითხავდა. არ ფიქრობდა, საით. რისთვის მიაგელვებდა ბედაურს ამ თოვლიან ღამეში. გრძნობდა მხარზე გადაკიდებულ თოფს, ჭამარში გაჩრილ რევოლვერს და არც ახსოვდა, ეს იარაღი სად, როდის, როგორ იშოვა. ნოემბრის ქარი წვეტიან წინწკლებს სახეში აყრიდა და ღვიძლებოდა იდუმალი ფიქრი „ჩემი ბრალია!“

ცხენი უფსკრულში მიუშვა და თეთრ წყვდიადს გაშმაგებული თვალებით ჩააკვდა.

დაეწევა! დაიბრუნებს! აღარ გაუშვებს! აღარასოდეს აღარ დაჰკარგავს!

თავს შეაკლავს! არავის დაინდობს! შორეული თქარათქური ახლოვდებოდა. ტყვიამ კლდეზე ჭახანი გაადინა. იასემ ცხენს დეზი ჰკრა სროლა შეუძლებელია: ისინი ერთმანეთის გვერდით მიაჭენებენ. უსათუოდ პირისპირ უნდა მიეჭრას.

იასემ ცხენს ქუსლი წაჰკრა.

დრაგუნი უნაგირზე მოტრიალდა, თოფი დაახალა.

„კიდევ ერთი მოსახვევი და ვეღარ გაექცევა!“

ხიდზე თოფმოღერებული შემობრუნდა, მაგრამ არ გაუსვრია,— ცალი ხელი მეორე ცხენის აღვირს სტაცა — ქალს გაავებული ულაყის დამორჩილება უძნელდებოდა.

იასეს სუნთქვა შეეკრა. ერთი გაქროლებაც და კაცს კლდეზე გადაჩეხავდა.

თითქოს, გადამწყვეტი იერიშისთვის შესაფერ ადგილს ეძებენო, იარაღის ხმარებას არც ერთი არ ჩქარობდა.

გზა მოლიპული იყო, ყოველ აღმართ-დაღმართს მოულოდნელი ხიფათი მოჰქონდა. გასაფრთხილებელი ორივეს ერთი და იგივე არსება ჰყავდა. იასეს მეტი სიფრთხილეც ჰმართებდა, რომ ქალი მისი მიზეზით არ გადაჩეხილიყო.

ისინი ალალბედზე მიქროდნენ.

ერთ არბენაზე ისე დაუხლოვდნენ ერთმანეთს, რომ ულაყმა კამპი გაჰკრა იასეს ცხენს.

უცებ, აღმართი რომ გათავდა და მოსახვევიდან გამოვარდა, იასემ უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა, რომ მის წინ აღარავინ იყო...

ცხენი გაქვავდა.

კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

ირგვლივ ყოველი მდუმარებას და სიბნელეს მოეცვა.

იასემ დააპირა მანძილი არ დაეკარგა, მაგრამ ცხენი აღარ ემორჩილებოდა, ფრთხვინავდა, ჩლიქებით ყინულს ფხაჭნიდა.

„აგიღებ და აი ამ კლდიდან გადაგისერი!“ — საშიშროებისადმი ამაყი გულგრილობით გაიფიქრა მან.

ცხენი დასძრა, მაგრამ პირუტყვი ფეხს ითრევდა და აღარც თვით მხედარმა იცოდა, საით, რისკენ აეღო გეზი.

დასიცხული, ხახაგამშრალი ცხენიდან ჩამოხტა, გზისპირზე გაიშხლართა, ბღუჯა-ბღუჯა თოვლი პირში ჩაიყარა და ბალღივით აზლუქუნდა.

ქარი კი ღმუოდა, ნამქერს სვეტებად ატრიალებდა.

28

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი თავისთავს უფრო ხშირად ებაასებოდა, ვიდრე სხვებს, ამ უკანასკნელ დროს კი ხელქვეითებთან ლაპარაკი საერთოდ შეწყვიტა, ფიქრებში ჩაიძირა.

„საქმე ძალაუფლების მოპოვება კი არ არის, არამედ მიზნის მიღწევა. ღმერთმა ეს სურვილი იმისათვის შემისრულა, რომ დაღუპვის პირზე მისულ ქვეყანას ვარგო. რამდენი საუკუნეა, რაც საქართველოს შვებით არ ამოუსუნთქავს. მონღოლებს ყიზილბაშები, ოსმალები და ლეკები მოჰყვნენ. როცა იმედი მოგვეცა, სულს მოვითქვამთო, ანგარმა, უქნარა და უმეცარმა მოხელეებმა აგვაოხრეს. ოცდაათი წელია, შეთქმულებები და ამბოხებები არ წყდება. ქვეყანას ერთი წუნარი წელიწადი მონატრებია. მამულს მყუდრო მდგომარეობა სჭირდება სულის მოსათქმელად, ასაღორძინებლად. სნეული ფეხზე უნდა წამოვაყენოთ, ამდენი ხნის ჭრილობები მოვუშუშოთ.

და ყველაფერი აქედან, ჩემგან უნდა დაიწყოს! ყველაფერს თავიდან უნდა მოვჰყვე. იმით, რაც აქამდე იყო, მე აღთქმა მივეცი ხელმწიფესაც და ჩემს ერსაც, რომ ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალოს, კანონი და სამართალი დამყარდეს, მეურნეობა აჰყვავდეს. ორ-სამ წელიწადში ეს ყველამ უნდა იგრძნოს. შესაძლებელია, მალე ხელმწიფეც გვესტუმროს და, თუ მხარე გაფურჩქნული არ დავახვედრეთ, რა თვალით შევხედო?!

ქართველ კაცს რომ ასეთი ნდობა გამოუცხადეს, ეს ნდობა დიდ გამართლებას მოითხოვს და მარტო ჩემი საქმე კი აღარაა, არამედ მთელი ქართველობისა.

მე მჯერა, სირცხვილს არ ვჭამთ!

მე მესმის ჩემი მოწოდების ხმა!

მაგრამ, არის მხოლოდ ერთი მიზეზი, რომელსაც შეუძლია საქართველოს ბედის ჩარხი კვლავ უკუღმა დაატრიალოს და სამუდამოდ აღმოფხვრას ჩვენი სახსენებელი!

შეთქმულება!

სწორედ აქედან უნდა დაიწყოს ჩემი მოღვაწეობა! ეს უნდა იყოს მამულისთვის გაღებული პირველი მსხვერპლი!

საქართველო სწრაფად უნდა აღორძინდეს, ხვანჯებისგან განიწმინდოს! თვით ჩვენ უნდა გადავუღობოთ გზა უპასუხისმგებლო, უქკუო და ხელმოცარულ პირებს! ბოროტ, მატყუარა, უმაქნის ადამიანებს!

ვაი, ჩემს უბედობას, რომ ცეტთა შორის პირველი ცეტი ჩემი ღვიძლი ძმაა!

მის გარდა, ყველას შეიძლება ხელი ააღებინო ამ სისულელეზე, თვით ელიზბარსაც კი!

ძმას ხანჯალზე წამოვაგებო! გაგონილა?! ღმერთო მაღალო, რა დანაშაული მიუძღვის ჩვენს ოჯახს, რომ კაენის ცოდვა დაგვებედა!

მე ვიცნობ მას!

იმ უზნეო დიაცის დაკარგვის შემდეგ, რომლის გარდა ქვეყნად არავინ უყვარს, არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს.

თავისი წილით უკმაყოფილოა. ოსმალოდან გამოყოლილ ვალზე დაკითხვები ნერვებს უშლის. მისი კუთვნილი თანხის ლომბარდში დადების გაგონება არ სურს.

მთელი ოჯახის საერთო ქონება, თვით ხაზინის ფულიც, რო-

მელსაც საიდუმლოდ სარდაფში ვინახავ, შეთქმულებს დაჰპირებია.

„ზემოთ“ ეს რომ ჩვენს გარეშე გაიგონ, მოგვსპობენ და ახიც იქნება.

რა ვუყოთ, რომ ღვიძლი ძმაა! საქართველოს გაუბედურების ნებას ვერ მივცემ!

არ მრცხვენია, რომ გულს შიში შემეპარა: ყველა ადამიანი ცრუმორწმუნე და მშიშარაა.

დროშები და ორდენებიც მზად ჰქონიათ. „პირველი ღამის განკარგულებაც!“

მთელი ხალხისა და მთავრობის თვალწინ, ამდენი ხანია, ლახტობანასავით თამაშობენ ქვეყნის ბედ-იღბალს.

საძაგელი, უჭკუო თამაშია ეს!

როგორც გუბერნატორმა, როგორც მთავარი დამნაშავის ძმამ, პირველად მე და, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა ჩავშალო ეს უგნური გართობა! ჯერჯერობით, ყველა წყარო ჩემს ხელთაა! ბორჩალოს დისტანციაში ალექსანდრე ბატონიშვილის წერილების დაჭერის ამბავს ჩემს იქით არ გაუყონავს. ასე და ამრიგად, ამ ჩვენს დაწყებულ საქმეს წამალიც ჩვენ უნდა ვუპოვოთ. ის, ერმოლოვის დრო, სხვა დრო იყო, დღეს მე თვითონ ვარ. ჭინჭრაქების მიფანტვმოფანტვით არწივებს გადავარჩენთ!

მუხრან-ბატონი, აბხაზი, ჭავჭავაძე, სევარსამიძე, ბებუთოვი, ჭილაევი, „სენატორი“, სამუდამოდ მადლობელნი დამრჩებიან, მხარში დამიდგებიან!

იასეს უწმინდური ფიქრები არ ასვენებს. არჩევნები მაგის დაჟინებით დაუნიშნავთ ამბოხის დღედ. „მალე მოვიყვანოთ სისრულეში განზრახულობაო!“ ქალაქის ხალხს ეგ აბუნტებს. ზალიკოს სულ ამ საქმეზე იბარებს.

ალექსანდრე ორბელიანი თათრებს აიარაღებს. აღმასრულებელ ექსპედიციაში დამნაშავეებს უჭერს მხარს, რათა უსამართლოდ გამტყუნებულნი მთავრობას გადაამტეროს, თითქოს, რუსული სამართალი არაადამიანური იყოს.

ეს ბარათი, რომელიც ერმოლოზამ გუშინ მომიტანა ფოსტიდან, მას და ჩემს ძმას ერთად მიუწერია თეიმურაზ ამილახვრისათვის: „როდესაც ეს წიგნი მოგივიდეს, უმალ ტფილისს ჩამოდი. შენი სახლისკაცი ბარძიმიც ჩამოიყვანე. დიდი საჭირო საქმე გვაქვს“.

ელიზბარმა გასულ კვირას მთები მოიარა. ზაქარია ჩოლოყაშვილს ჰაეჰაეაძისთვის უთქვამს: „თქვენს ერთ სიტყვას შეუძლია, რომ მთელმა საქართველომ იარაღი აისხასო. ყველანი თქვენს ბრძანებას ველითო“.

მაგრამ ჰაეჰაეაძე გაურბის მათთან შეხვედრას. ამოდენა საქმის ერთ დღეს ჩაშლა მაინც ვერ მოხერხდება. ჯერ, ყველანი ერთმანეთს უნდა ჩამოეაშოროთ და გადაეკიდოთ. ეფრემამ და ფეფენომ დიდძალი თანაშემწენი იშოვეს ჩვენთვის სასურველი ხმების დასაყრელად. ახლა მთავარია, ამბოხის დღე, ცხრამეტი ნოემბერი გადავადებინოთ. ამისათვის მუხრანბატონს მოველაპარაკები, უამინდობის საბაბით საკრებულოს არჩევნები მოგვიანებით დანიშნოს. მერმე კიდევ ერთი-ორჯერ გადავადებინებ არჩევნებს. ამასობაში შეთქმის მოთავენი დაიქანცებიან, იღლვებენ, ერთმანეთს დაერევიან და საქმე გაგვიადვილდება.

საიდუმლო ჩარჩოთი დაწერილი ეს ბარათები, რომლებიც დიმიტრი ბატონიშვილს პეტერბურგიდან თავისი დის, ჩვენი მომავალი სანატრელი თამარ მეფისათვის გამოუგზავნია, ხოლო ერმოლოზას ხელით მე მომერთვა, მოუთმენლობას ამჟღავნებს. „Я слышал, что Элизбар очень сокрушается от разных неудовольствий. Скажите ему, что он дурак, все будет хорошо!“

აქ მხოლოდ ერთი სიტყვაა მართალი: что он дурак!

მთავრის უმთავრესი მაინც დოდაევია! ჩემს ძმაზე უმთავრესიც! ყველა შეთქმული მას შეჰღირღიტებს თვალებში, თუმცა, ბევრს სამარცხვინოდ მიაჩნია ამის გამხელა. გუშინწინ ეს ჩვენი „ფილოსოფოსი“, ელიზბარი და იასე კაპიტან ჩელოყაევთან ყოფილან მოსალაპარაკებლად. დოდაევი დათანხმებულა, კახეთში გაემგზავროს ამბოხების მოსამზადებლად, სადაც მას პაატა ავაზაკის დიდი იმედი აქვს.

ერთად ერთი, ვისი დატუსაღებისა და სიკვდილისაც უნდა გვეშინოდეს, „ფილოსოფოსია“. წმიდანად გამოაცხადებენ, მის საფლავზე სალოცავად იქლიან და მის სიტყვებს ქრისტეს მცნებებად აღიარებენ.

ის სიკვდილის შემდეგაც დაგვაწვება თავზე, ხელს შეგვიშლის, უფრო მეტად არარაობად გვაქცევს, ვიდრე დღეს, მის გვერდით ვჩანვართ. ასეთი მოუქნელი კაცები საერთოდ არ უნდა ჩნდებოდ-

ნენ სახელმწიფოში, თორემ თუ ერთი გაჩნდა, მათი მორევა შეუძლებელი ხდება, რამეთუ აღარ კვდებიან და ზნეკეთილ მმართველთ საუკუნეების მანძილზე სამსჯავროზე გვიხმობენ. თვით სახრჩობელაზე ჩამოკონწიალების მერეც, მათ გახსენებაზე ხელმწიფენი უხერხულად იშმუშნებიან.

მწარე კაცო! შენ ყველა მეტოქეზე უფრო მძულხარ!

გულთმისანო, რომელმაც შენს თანამედროვეთა შორის ყველაზე მეტი იცი, ყველაზე ურჩი, ყველაზე გამოუსწორებელი მტერი ხარ კანონიერებისა!

ქვეყნის მომავლის სახელით, მე დატუსაღებამდე და სიკვდილამდე უნდა მოგერიო შენ. ამ ბარათიდან, ერმოლოზამ რომ მომიტანა, მე შევიტყვე, რომ შენი ძმობილი იაკობ კრუპსკი, რომელთან ერთად, იმპერატორის მტრებს დასტიროდი, პარიზის მოჯანყეებს ამოსდგომია მხარში. დიახ, მე უთუოდ შენს ჩამოხრჩობამდე უნდა მოგერიო! დღეს უკვე მთელი თბილისი ლაპარაკობს იონა ხელაშვილის ლექსიკონზე, რომელიც მიგითვისებია! მრავალნი და მრავალნი გაფურთხებენ იმისათვის, რომ საწყალი ბერის სიმწრით ნაშოვნი ფული შეგიჭამია. ქალაქის სასაცილოდ გამხდარხარ, რადგან შენს სიდედრს სიბერეში გათხოვება მოსურვებია, შენ კი, შენის სიხარბით, უარს ეუბნები და, ცოლთან ერთად, სიდედრიც შენი საკუთრება გგონია!

კვლავ ყველას განაკვირვებ, რომ შენ, უბრალო გლეხკაცი, მთავრობის მიერ ესრეთ აყვავებული, ბოროტს განზრახვას დაადექ და ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს უღალატე!

შესცდა ბარონი, რომ ამ ორი დღის წინ იმპერატორს მისწერა: „თავისუფლების ისეთს გაგებაზე, როგორც ფილოსოფოსებს ესმით, აქ წარმოდგენა არ გააჩნიათ, მეფის მარადიულობა სჯერათ!“

შექმენ გაზეთი და ჟურნალი საამბოხოდ ერისა.

თავდება შენი ბატონობა!

ჩავაყენებ ჩენს კაცებს მწერლობაში და პრესაში, რათა ავს ავი ეწოდოს და კარგს კარგი!

ამიერითგან მეტი სიფრთხილე მმართებს, სადავე წუთით არ უნდა გავუშვა ხელითგან, ყოველი ნაბიჯი დროზე უნდა გავიგო, თორემ, ჩინჩხვარი მზადაა და ცეცხლის აგიზგიზებას ბევრი აღარაფერი უნდა. სიდედრის საქმეზე ეფრემა სულ მათ ოჯახში იქნება. იასეს

თვალთვალს ზალიკოს დავაკისრებ! გრაფ ბენკენდორფთან საიდუმლოს გამოსაცხადებლად გაწვევის თხოვნას ახლავე გავატან ფელდიეგერს, რათა, რადაც უნდა დაუჯდეს, ელადიკავკაისკენ მიმავალ საიდუმლო ფოსტას კობამდე დაეწიოს.

ვინ უწყის, იქნებ, ხელმწიფემაც ინებოს გამოძახება!

მაშინ ქორწინებას წინ აღარაფერი დაუდგება. — მწვავე სახელმწიფო საქმეებზე ფიქრს ნათიმზეზე განუშორებელი ოცნებაც თან სდევდა. — ჯერჯერობით, ისევ კერპობენ, მაგრამ, როდესაც „ჰერალდის დეპარტამენტის“ დანაშაულს, შეთქმულებაში მონაწილეობაც დაემატება, უფრო ჩაუფიქრდებიან მამის მდგომარეობას. ცოტა დაგვიანდება, მართალია, მაგრამ მოთმინება მმართებს. კეთილი ადამიანები უკვე ავრცელებენ ხმას, გუბერნატორი ორბელიანის ქალს არ შეირთავს, რადგან მამა სახელმწიფო მოღალატე ყოფილა და მთელი ოჯახით რუსეთს გადასახლებას უპირებენო.

რატომ უნდა დავისაჯო?

ჩემსავით არც არავის ეყვარება და ვერც ვერავინ მოუვლის!

განა მე სიყვარულის უფლება არა მაქვს?..“

29

— არ მატანდნენ, მცირეა, ჯერ დედას ვერ მოჰშორდებაო, მაგრამ ძლიერ ვთხოვე და კვირას ჩამომიყვანენ. — ეუბნებოდა სოლომონი ცოლს.

— საცა ათია, ესეც იქ იყოს!

— მამა ბეგარაზე მოჰკვდომია, საწყალს ჭვრივს ექვსი ნინველი დარჩენია და მე მათს საცოდაობას ვერ გავუძელი. მეტადრე ამ ბიჭმა გამაკვირვა თავისის გონიერებით.

— არა დააკლდება რა და კარგადაც იქნება. — დაღონებული ხმით. მიუგო ელენემ.

— შეგაწუხე, ჩემო კარგო, საცა წაველი, თითო ბალღი თან ჩამომყავს.

— დასაწოლი გვაქვს, პური, ყველი, ერბო-კარაქი არ გვაკლია.

„რა გულქვა ვარ! დღეს-ხვალ მესამე შვილს ველით. ორივე

მშობიარობა საშიშარი ჰქონდა. ვანო და ნინო ჯერ არ წამოჩიტულან, ახლა მესამე!.. ყურადღება სჭირდება, არ უნდა ინერვიულოს, მე კი, სრულებით არ ვფიქრობ მასზე!“

— დიდი საზრუნავი გაწვეს, სულო ჩემო! გაუძლებთ? ექიმთან უნდა წაგიყვანო, ეს აუცილებელია.

— სხვა ყველაფერი კეთილად იქნეს, ოჯახი ვერას დამაღონებს!

„ღმერთო, ჭორისა და ბეზღისაგან დაგვიხსენი! გუშინ იამზეს ქარვასლაში გაეგონა, დოდაშვილს მთელი კახეთის ბალღები ჩამოუყვანია, ათას თუმნებს ართმევსო. ნუთუ, ყოველს კეთილს ასე ჩირქი უნდა მოსცხონ?!“

— ამათ მეცადინეობაში მეც წამოგეშველები. სოსოს მხატვართან მივაბარებთ, ტატეს გიმნაზიაში...

— შენ ისედაც ბევრი საქმე გაქვას, ბატონო, მაგათ სწავლაზე არ შეგაწუხებთ.

სოლომონმა სასოებით შეხედა მეუღლეს. ფერმიხდილი და დაღონებული ეჩვენა.

სიხარული იგრძნო, რომ უმისოდ გაძლება არ შეეძლო, დაუღეველი ნუგეში და იმედი იყო.

„თვალდახელშუა ჩამოდნა! ანკი, რა დაემართებოდა, რომ ჩვიდმეტი წლის ქალს ამოდენა ოჯახი დააწვა მხრებზე. ახლა ამ დედის ახირებამ ხომ გული დაუჭიავა და სირცხვილით ხალხისთვის თვალში ვეღარ შეუხედავს.

ძნელი ყოფილა ოჯახის მოკიდება! ცოლ-შვილი კაცის შემყურეა და ერთი რომ დროშკიდან ჩამოვვარდე, იმ დღიდანვე ლუკმაპური არ უნდა გაუწყდეთ. მერმე სხვადასხვა მხარე და მოვალეობა! ათასი კარიდან ერთი რომ უპატრონოდ დაგრჩეს, უბედურებაც იქიდან შემოგივარდება!“

— მამილო! ვანო, დედიკო, იქ და!..

— რას რატრატებ, გოგო! — აიტაცა სოლომონმა დომფალივით მაწკუნა არსება.

— მამიკო! ბებო იყო და...

— ეს როგორღა გაიგე, ჩემო ოლია-ლოლია?!

მამას გულისამჩუყებელ ნეტარებას ანიჭებდა ნორჩი ხმის უმანკოება. თუ არა ეს მოძალებული საქმეები, შეეძლო მეუღლეს

ოჯახშიც გვერდით ამოდგომოდა, შვილებთან ალერსით დამტკბარიყო.

იმ ხანად მოუსწრებლობის შიში დასჩემდა. გაახსენდებოდა, რამდენი რამ ჰქონდა გასაკეთებელი და ეშვი შეიპყრობდა, მოასწრებდა თუ არა ამდენი განზრახვის შესრულებას.

ეს სასოწარმკვეთი ეშვი ხელს უშლიდა დინჯად მოჰკიდებოდა სამუშაოს. ერთდროულად რამდენიმე საქმეს იწყებდა, ყოველ მათგანზე ფიქრისთვის ვერ იცლიდა, ჩქარობდა, ნერვიულობდა და არცერთი აღარ აკმაყოფილებდა. ზოგიერთ ნამუშევარს განწირულებამდე მიჰყავდა. ერთ დღეს მთელი თავისი ლექსები მოაგროვა და ცეცხლს მისცა. ასე სასტიკად მოექცა თითქმის დამთავრებულ რომანსაც.

„სულსწრაფი ვარ, ყველაფერი ერთბაშად მინდა გავაკეთო. ისე ვიქცევი, თითქოს, ვინმე მომდევდეს. სიჩქარე სიმშვიდესა და გულმოდგინებას მართმევს, უამისოდ კი, ამაო გარჯაა და ჩემი მოსაწონი ვეღარაფერი შემიქმნია. როცა ამ სადავიდარაბო საქმეებს მოვრჩები, გავიქცევი სადმე, ჩავიკეტები რამდენიმე თვით, სრულებით არ ვიჩქარებ, მაშინ ყველაფერი უკეთესი გამოვა, სულის მყუდროება დამიბრუნდება, ეს შთაგონებას გამიცხოველებს და სრულყოფასაც მივაღწევ!“

— მიეუჯდები ჩემს მოთხრობას, ვინძლო, დღეს რამე გამოვიდეს! — თავისთავისადმი ირონიული ღიმილით თქვა სოლომონმა და ცოლს ნაზად შეახო ხელი.

— დავისვენოთ, ბატონო. დაღლილი ხარ, თავს ნუ აიძულებთ! თქვენ რომ რამე დაგემართოთ, რაღა გვეშველება!

— არაფერი არ დამემართება, შენ შემოგეცალე! შესაძლოა, „ეს რა წავიკითხეო“, ისეთი ვერ დავწერო, მაგრამ ამისგან არავინ კვდება.

უყვარდა ოჯახურ ფუსფუსში განმარტოებით შრომა.

ზიხარ ცალკე, შენს საყვარელ საქმეს აკეთებ. ებრძვი სიტყვას, ცდილობ, დაიმორჩილო აზრი და განცდა. იქვე ახლოს, ძვირფასი ადამიანების სუნთქვას გრძნობ, ოჯახური სითბო გელამუნება.

— ელდა და ელფინი შენს თავს! — წაიბუტბუტა ელენემ, კიბეზე ამომავალი ეფრემა რომ დაინახა.

— ხა, ხა, ხა, — გულიანად გაეცინა სოლომონს. — შენც ისწავლე წყევლა?

— მა, რა იქნება, რო ერთხელაც კაი საქმეზე არ მოვა?

— რა დაგვიშავებია, განა, ჩვენი კეთილი არა სურს?

30

თითქოს ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგაო, იასე ქვეყანაზედ ადგილს ვერ პოულობდა. გაუმხელელი დარდით შეპყრობილი, ხან, მოსკოვის სადარაჯოსკენ მიდიოდა, სასაფლაოზე სახეტიალოდ, ხან, თავის ძველ მეგობარ ადიეს ესტუმრებოდა. ბედის მორჩილებაზე გაელვებული აზრი შაურაცხყოფის სამსალათი შუშხავდა.

იმ ადგილს, სადაც ანიტა მოულოდნელად თვალთაგან დაეკარგა, რამდენჯერმე მიაკითხა, მაგრამ არავითარი ნიშანი — აფთარმა დაგლიჯა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ შთანთქა.

ერთხელ, შემთხვევით, კლდის კედელს მიაწვა და სახტად დარჩა, როცა კედელი ალაყაფივით განიხსნა. ვიწრო, მაღალმა გვირაბმა უფსკრულზე დაკიდულ რკინის მოაჯირებიან ბაქანზე გაიყვანა. ხეობა ფართო არ იყო, მაგრამ ცხენით გადავლება ეშმაკსაც გაუჭირდებოდა. ულაყი ბაქანზე შეაგდო და მზერად იქცა.

ლანდების სავანეს თეთრ საბურველში ეძინა. გალმა, ვიღაც მხედარი, კისრისტეხით ცხენს მიაჭენებდა.

„ეჰეი, ვინ ხართ?“

თოფი მხრიდან გადმოიღო და რამდენჯერმე როყიოდ გაისროლა.

ფიწალოებიდან არწივები წამოფრინდნენ ყივილით.

ის დღე და ღამე იქაურობას არ მოშორებია. ტყე-ღრეში უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა. ახლომახლო სოფლები მოიარა, იქნებ, რასმე მოვკრა ყურიო.

„კვირაში ორი დღე ცხენით გასეირნებისათვის მე მეკუთვნის!“

„შვიდივე დღე, მთელი ჩემი სიცოცხლე შენია!“

„გულგრილობას ვერ ავიტან, ეს ჩემი სნეულებაა!“

„მუდამ კელაპტარივით ვენთები შენს წინაშე!“

იასე შემკრთალი და დაბნეული იხედებოდა გარეშემო, მაგრამ არავინ ჩანდა.

ეს „დაგვიანებული ხმები“ იყო!

მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა „დაგვიანებული ხმები“... უწინაც არაერთხელ დამართნია მსგავსი რამ. სადღაც, ცნობიერების სიღრმეში „შემონახული“, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო „გადამალული“ ხმები რამდენიმე საათის, რამდენიმე დღის ან რამდენიმე წლის შემდეგაც კი ისე ცოცხლად გაუგონია, თითქოს, აი, ახლა ელაპარაკებიანო. ისინი საიდუმლოებრივად გაფანტულიყვნენ და მიმოკარგულიყვნენ სამყაროში, რათა ოდესმე, სადღაც, დასწვდნენ მას...

„ნუთუ გამცვალა?“

„მაშინ ტყუილი ყოფილა ყოველი, არაფერი არ არსებულა!“

მთაში ზამთრის ალიონი იბადებოდა. ცის თავანზე აზიდული ორთავიანი მწვერვალი სამყაროს მედიდურად ეუფლებოდა. მისი შემაშფოთებელი სიდიადე რიდს, მოკრძალებას, გაოცებას, ბედნიერებას იწვევდა.

მთის მდინარე, ჭოშინით მობორძიკობდა დათოვლილ ლოდებზე.

გოროზი უმანკოება გულგრილად მიაცილებდა იასეს.

მოდიოდა დამცირებული, მოწყლული, თითქოს, მთელი სიცოცხლე აქ დასრულდაო.

დაღლილობისგან ძლივს სუნთქავდა. ცხენიდან ხშირად ხტებოდა, რადგან მუხლები ტეხას უწყებდა და ცხენს წინ მოუძღოდა.

გული უკვნესოდა.

„რა ბედნიერი ვიყავ! შეხედვა მისი იყო დღესასწაული სულისა და ხორცისა. დავემხობი მის წინაშე. ვიქნები მისი ფერხთა მტვერი“.

გადაწყვიტა მიეტოვებინა ძმის სახლი, სადაც ორი წელი გაატარა და ანიტას ბინაში გადმოსულიყო საცხოვრებლად. აქ დალოდებოდა მას.

არაფერში არ ამტყუნებდა. თავისთავს ამუნათებდა, სირცხვილით იწვოდა. ელანდებოდა თეთრის, სპეტაკის კაბით მორთული, როგორიც უნდა გამოჩენილიყო ერთს ბედნიერ დღეს.

არაფერი თან არ წაეღო, საყურეები, ძვირფასი სამაჯურები, განუშორებელი ხელჩანთაც კი დაეტოვებინა.

მწარე ღიმილით ათვალიერებდა სახატე სენაკს, ბუდუარს, დიდ, ოვალურ სარკეს, რომლის წინაც ანიტას ახალ კაბას აცმევ-დნენ.

ღამეს ცეცხლის პირს იატაკზე ათევდა. თავთით ეწვა ანიტას ნებიერა, ფუმფულა კნუტი, რომელიც მესამე დღეს მშიერი, დრუნჩმოთხუპნული, უპატრონოდ მიტოვებული აღმოაჩინა...

დილით კარის ბრახუნმა გამოაღვიძა.

ფეფენო საუზმეზე იწვევდა.

— ძალო, შენ აქ რას აკეთებ?

— მაშ, მოვლა არ გინდა? ქალის სახსენებელი კი გაქრეს? სხვა რაღა უნდოდა, რო დილის ნიავს არ აკარებდი?

„დამცინის?“

ფეფენო მოხერხებულად ჩამოჯდა ლოგინზე.

— საუზმე სად გაგიშალოთ, ჩემო ხელმწიფევ?

— დილით არაფერს... — სიტყვა გაუწყდა იასეს.

რისხვამ შეიპყრო, არც აქ აცლიან მარტო ყოფნას. ძლივს მოერია ჟინს, ხელი ეტაცნა, გარეთ გაეგდო.

„ეპვიანი და უნდო გავხდი! განა მარტო მე ვარ ამ ცრუ სოფელში მოტყუებული? მეხუთე დღეა, ზალიკო არ გამოჩენილა! ახლოვდება ოცი ნოემბერი!“

შეაჟრჟოლა.

„ღმერთო, ნუ დააგლეჯინებ ჩემს თავს იმ ადამიანებს, რომლებიც მძაგს და არ შემიძლია, არც მსურს, მათი თანაგრძნობა დავიმსახურო!“

31

ჟამი გადიოდა. შურისძიების წყურვილი მატულობდა. იასე ოქტომბრიდან შეუდგა თბილისში დიდი რაზმების მოგროვებას, მაგრამ, ამ ბოლოხანებში ზალიკო, რატომღაც, გაურბოდა. ის კი არა, ნინია, ბაბალე და ლომისეულიც აღარ მოდიოდნენ ამბის საკითხავად.

ნოემბრის ათს გუბერნიის მარშალმა თავად-აზნაურებს აუწყა, რომ ყრილობა ოცი ნოემბრიდან პირველ დეკემბრისათვის იყო

გადატანილი. ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარისა და სხვა მოთავეთა აზრით, ეს მექანიკურად მოასწავებდა ამბოხის ვადის გადატანას. იასე არ ეთანხმებოდა ამას: ჩვენს გამოსაფიტავად და ამბოხის ჩასაშლელად შერებიანო. მართლაც, ოცდაოთხ ნოემბერს თავად-აზნაურებს ახალი შეტყობინება დაუგზავნეს, ავი ამინდებისა გამო, ყრილობა ექვსი დეკემბრისათვის გადაიდოო.

ამ გადატან-გადმოტანამ მონაწილენი მოჰქანცა. ბევრს გული აუცრუა. შეიქმნა წინააღმდეგობა და ჩხუბი. ყოველდღიური სახელ-დახელო სხდომები კინკლაობითა და შეხლა-შემოხლით თავდებოდა.

იასე ნერვიულობდა და სულ უფრო მეტ ადამიანს ჰკარგავდა. მეგობრების ჩამოშორება თავზარს სცემდა. ამას ემატებოდა გაუთავებელი ოჯახური უსიამოვნებანი, პოლიციაში დაკითხვებზე სირბილი, ანიტას გამო მთელ ქალაქს მოდებული ჭორები...

ერთხელ იასე ღამის პირველ საათზე მიადგა ვახტანგ ორბელიანს.

— წავიდეთ ჩოლოყაშვილთან და ელიზბარიც ახლავე წამოიყვანე.

— ელიზბარს დისწული გოგონა უკვდება.

—არ ვიცი. უსათუოდ უნდა წამოვიდეს. ჩოლოყაშვილმა რამდენიმე დღეა შეწყვიტა ჩემთან სიარული და მეშინია, არ გვიღალატოს.

ჩოლოყაშვილი მთვრალი დახვდათ. „საერთო საქმეზე“ აგდებულად ლაპარაკობდა, რამაც ყველა დააეჭვა.

ივანე ორბელიანი დროშკიდან გადმოვარდნილიყო, ცხვირი გაეტეხა და ლოგინში იწვა.

დიმიტრის მსახურმა იასეს მიერ სათათბიროდ მოგზავნილი პოლონელი გამოაბრძანა გარეთ: თავადს არა სცალიანო.

ნოემბრის ბოლოს ალექსანდრე ორბელიანს მეორედ შეერჩო ფეხში ჟანგიანი ლურსმანი და სისხლი მოეწამლა.

ხმა გავარდა, თავს იავადმყოფებსო. იასე და ელიზბარი შინ მიუცვივდნენ.

— ეს ნოემბერიც ხელში ჩაგვადნა! — დაცინვით უთხრა ელიზბარმა.

— დღეს ჩემთან იყო ჰასან-ოღლის მამასახლისი შიხილ-ალია. კარგა დიდი რაზმი შეგვპირდა.

— მოლა-ზამანა არ ყოფილა? — მწარედ ჰკითხა იასემ.

— ისიც იყო გუშინ. ათასი ცხენოსანი თათარი ჩემზე იყოსო.

— ოოო!

— თუ დამიჯერებთ, კარგია.

— თქვენ ხომ თავიდან პირველი წამქეზებელი ბრძანდებოდით? — წამოწითლდა იასე.

— დროსა მას სხვა იყო, დროსა ამას სხვა გახლავთ?

— ამიტომაც გაგვირბიხარ, როგორც დამწვარი ცეცხლს?

— არ იცით, რომ ბორჩალოს დისტანციაზე მოლა მაჰმუდა დაუჭერიათ, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილი გავატანე?

— მერმე, ამისთვინ უფრო არ უნდა ვიჩქაროთ?

— ჰაეჰაეაძე უარს არის: მე მირჩევნია, რუსებისთვინ მოვკვდეო.

— ჰაეჰაეაძე თუ წინააღმდეგია, პირველს წამოვაგებთ ხანჯალზე!

— მაშ, რაკი აღარ გამოდის, ერთმანეთს დავერიოთ?

— თუ წნელის გრეხვას თავს გაანებებთ, ყველაფერიც გამოვა!— მიახალა ელიზბარმა.

— მე ეს დღეები სხვაგვარად მიფიქრია. მინდა, თქვენც ჩემს მეგობართ, გაგიზიაროთ და მერმე კი, თქვენ იცით.

— თქვი!

— ნუ ინებოს ღმერთმა, რომელ ქართველ კაცს მისცეს ესრეთი ფიქრი, რუსთა და ქართველთა შინა სისხლმთხეველობისანი მაშინ, ოდესცა გვაქვს ერთი ბუნება, ერთი სისხლი, ერთი ღვთაებრივის სარწმუნოებით ვსულთქმით. ვსთხოვოთ იმპერატორსა მოწყალესა, აღგვიდგინოს მეფობა ქართლისა და კახეთისა, თავისისა მფარველობით და მიიღოს მოწყალება ჩვენზედა, ესე იგი ორი პოლკი, ხაზინა და კაცნი მმართველად.

— კარგი სწავლა უსწავლებია ჟანგიან ლურსმანს. — გაეცინა ელიზბარს.

— იმიტომაც, ეგრე გარე-გარე დადიხარ, განა! — შეუნთო იასემ.

— კი, მაგრამ, შენი რა საქმეა?

— მერე გაიგებ.

— ბემუქრებით?

— ქვეშაგებში კარგი ვაჟკაცნი ხართ. — შეუტია ელიზბარმა.

— ღრუბლებს ვინ რას ჰკითხავს, ბალი ათი შაურადააო.

— დაგვცინი, პუპლია? — ჰკითხა იასემ.

— ცასამც ჩამოგამხობთ თავზედა! — იფეთქა ბაგრატიონებისა და დადიანების სისხლმა.

— თვინიერ უზომო ტრაბახისა, რა გეხერხება?! ამის ნიჭი კი ძლიერ დიდი გაქვს.

— თქვენც ჭკუითა და ტანტალით ფრიად განვითარებულნი ხართ.

— გონს მოეგე, მინამ არ არის გვიანი.

— თორემ?

— თორემ, ულვაშებს დაგაგლეჯთ!

— გამშორდით! — მრისხანედ შესძახა ალექსანდრემ.

— მა, როგორ გეგონა, ეს ამოდენა ხალხი რო აშალე, ახლა სოროში მიძვრები?

— კაი ბიჭი ხარ, დამიდექ! — სწვდა ხანჯალს ალექსანდრე.

— ჩააგე, ლაჩარო! მტრებს ტ...ს უკოცნი, შენგნივ მოტყუებულ თანამემამულეთ კი, შენსავ სახლში ხანჯლით მისდევ! — ზიზღით შეაჩერა ელიზბარმა და ჰაერში დაშნა შეათამაშა.

— შეჩერდით! ბატონიშვილს დედაჩემს თქვენს ჩხუბზე გული წაუვიდა! — გამოვარდა ვახტანგ ორბელიანი.

— ამათი ბრალია! თავი მომაბეზრეს! — დაიღრიალა ალექსანდრემ.

— ჩამობრძანდი ეზოში, დედაკაცებს რომ ამოჰფარებიხარ და იქიდან იმუქრები! — მუშტი მოუღერა იასემ.

— ვაი უბედურს საქართველოს! — ბავშვური ხმით შეჰბღავლა ვახტანგმა.

— მაშ, რა ვქნათ, მაცხოვრის ხატისა და წმიდა სახარების წინაშე დადებული ფიცი ასე წავაბილწინოთ? პაუშენკო და მელნიკოვი რუსები არიან, „ნუღარ აყოვნებთ, ჩვენ მზად ვართ“, ეს კი დიდი ერეკლეს შვილიშვილი გახლავთ, ბრძოლის ველზე გამოგვიყვანა და ახლა გაქცევას აპირებს!

ვახტანგი კანკალებდა, სათაყვანო ძმას, რომელიც მთელ საქართველოში დინჯ, დარბაისელ კაცად იწოდებოდა, როგორც უკანასკნელ პამპულას, ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში რომ ხედავდა.

— გთხოვეთ, ბატონებო, შერიგდეთ, და ხვალ ვითათბიროთ! — მუდარით წარმოთქვა მან.

— იყოს ეს ამბავი, როგორც ქართველური ხუმრობა! — თავი მოითოკა ელიზბარმა.

— მე განა მძულხარ, ქვეყანა ამაო სისხლისთვის მენანება! — ამოიგმინა ალექსანდრემ.

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, საღამოს შვიდ საათზე, ჩაიზე შეიკრიბნენ ანტონ აბხაზისას.

რადგან ხმის ამოღებას არ ჩქარობდნენ, იასემ დაიწყო:

— ბატონო! ჩვენ, ყველანი, მეგობრები ვართ, ვიყოთ ურთიერთშორის გულახდილნი. დროს ტყუილა უბრალოდ ნუ ვკარგავთ. დაყოვნება საქმეს წაახდენს. ამაზე უფრო მზად ჩვენ არასოდეს აღარ ვიქნებით. არჩევნები წელს აღარ ჩატარდება და კიდევ სამ წელიწადს ხომ არ დავუცდით!

— არჩევნებიც ოც დეკემბერს შედგება! — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ეფრემამ.

— მედღე-მეხვალიას თოვლი მოსვლიაო, არავინ იცის, ხვალეს რა მოაქვს. ყველაფერი მზადაა.

— ღმერთი გიწყენს! — შეაჩერა მაჩაბელმა. — მზად როგორღაა, რო თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო თავს!

— ხმელი ზამთარია. მთებზე ჯარი ვერ გადმოვა. კორპუსის მეთაურიც დიდ საგონებელშია.

— ასეთ ქარბუქში ჩვენც ფეხს ვერ გადავდგამთ!

— ყაზი მულა წინ მოიწევს. ჩეჩნებსაც ხელმწიფის ჯარი ძლიერ შეუწუხებიათ. ყარაბახის ხანი მხარს მოგვცემს. ბატონიშვილი დიდი ჯარით მოდის. ხუთასი თბილისელი ლოთი „პაჟარნი“ თუნდ ამ წამს გამოვლენ. ხუთასი პოლონელი, მკერდზე „Virtuti Militaz“-ით „ზა ოტჩიზნუს“ ყიჟინას დასცემს. ამაზე მელნიკოვიც სიტყვას გვაძლევს. კონსული ლეტელიე ევროპას აცნობებს.

— ყველაფერში ცდებით! ყაზი მულა მოუკლავსთ და კორპუსის მეთაურს დღეს-ხვალ თბილისში მოელიან. ორი პოლკი, თორ-

მეტი მომქმედი ესკადრონის შემადგენლობით, უკვე ნავთლუღშია!

— დავიწყოთ და ნახეთ, თუ საქმე დონეზე არ მოდგეს! აღვასრულოთ „პირველი ღამის განკარგულება“! დაეუძახოთ ქუდზე კაცს! შეექმნათ რეგული! გამოვიყვანოთ თამარ ბატონიშვილი! ვიხმოთ ბოდბელი. შევიმოსოთ ბერნი და მღედელნი! ვიძახოთ „თავისუფლება“!

— მიკვირს, როგორ არ მოგყირჭდათ ამდენი ლაპარაკი! — წამოიყვირა თეიმურაზ ამილახვარმა.

— იდიდე, უფალო! ტყვილა რათ უნდა დავიღუპოთ?

— ჰო, მართლა, სულ უბრალოდ დავიხოცებით!

— ასი ლოთი კაცით ხელმწიფის მომრევი ხართ თქვენა?

— დაგვღუპავს ეგ თქვენი პარტია!

— ასი კაცი და ისიც, თითოეული, სხვადასხვა მხარეს მივიწევთ!

— თამარ ბატონიშვილი დაგვცინის ჩვენ!

— რო უბრძანებია ახალციხე და ერევანი ოსმალ-ყიზილბაშს დავანებოთო. მაშ, რისთვის ვიომოთ?

— მთავრობას შეუტყვია და თვალს გვადევნებენ თურმე! მოულოდნელად ვეღარას ვიქთ!

— ჩემმა მამობილმა, პრაპორშჩიკმა ფიოდოროვმა გამაფრთხილა, ბომბარდირ ვასილევს დისტანციაზე შეუპყრია ორბელიანის შიკრიკი და ხაშმში, წისქვილში, მოუხსენებია ბარონისთვისო. — ჩუმად წარმოთქვა დიმიტრი ყიფიანმა.

— უაზროდ ლაპარაკობთ. — იფეთქა იასემ. წუხელიც ჩემი ძმა გუბერნატორი და ჰავჰავაძე ორი საათი საუბრობდნენ ჩაკეტილები — დიახ, მთავრობამ უკვე ყველაფერი იცის და უნდა დავასწროთ. ქარქაშები დალეწილია, ხმლებს ვეღარ დავმალავთ! გამოვიდეთ, სანამ ხალხი შეხურებულია! ამისთანა საქმეში ათი კაციც მთელი ლაშქარია!

— ათი საქართველო ერთს გუბერნიას ვერ შეადგენს!

— ჩვენც ვეყოფით!

— სხვაგანაც დგანან თადარიგში!

— ჩემი კაცი ერთი ასად ფასობს!

— ასეთ სიცოხლეს სიკვდილი გვიჯობს! გუშინ ჩემთან მოვიდა ლევან ერისთავი და მითხრა, ამ დეპუტატებს ტყუილა ვირჩევთ, მათ არავინ არაფერს ეკითხებაო. დავით თარხნიშვილმა თქვა, ეს

„გერალდის დეპარტამენტის“ მოხელენი რო დაუჭერიათ, ამიერით-გან თავადაზნაურობის საბუთები ხელახლა უნდა იქნეს განხილუ-ლი და ჩვენი საქმე ბეწვზე ჰკიდიაო.

— დღეს სხვა მდგომარეობაა! — შეეხმიანა ბარძიმი. — ხომ ხე-დავთ, ხელმწიფე ისე გვწყალობს, რომ ქართველი გუბერნატორი მოგვცა.

იასე წინ გამოვარდა, საკინძე ჩამოიხია.

— ქართველი გუბერნატორი სხვას ემსახურება! ხოვენი პან-კრატიევი გერჩივნათ. ჩემი ძმა თავებედს გაწყეელინებთ!

— აკი გვეუბნებოდი, თუ ქართველები რასმე მოიწადინებთ, ეს ჩემი ძმა ქართველების პირველი მინისტრი იქნება და ბევრს საქმეს დაგიწყობსთო?

— ეგ, სანამ გუბერნატორად დანიშნავდნენ. ახლა ხელმწიფეზე უფრო საშიშიცაა.

— ჩვენ რუსებისთვის თავი უნდა დავდოთ! თუ არა ისინი, დღეს ერთიც აღარ ვიქნებოდით! — შესძახა მაჩაბელმა.

— ვჰგრძნოთ კეთილი მზრუნველობა მაკურთხეველისა ჩვე-ნისა.

— ვის შეუძლია შეაჩეროს გამოსვლა?! უმჯობესია, ბრძოლა-ში დავეცეთ, ვიდრე თაგვებივით სოროში დაგვიჭირონ! — იდგა იასე შუა წრეში რქებდახრილ ხარივით. ბეჭგანიერი, მოურიდალი, შუბლნათელი, და ამაყი.

— რა დაჟინებაა! — გაწყრა დიმიტრი ორბელიანი.

— გავწყდეთ, რომ აღარ ვიარსებოთ!

— დავიხოცებით, ოხ, რა დიდებულად დავიხოცებით! — აღტა-ცებით წამოიძახა ელიზბარ ერისთავმა ოდოევსკის სიტყვები.

— მოვკვდეთ, ოღონდ საქართველო გამოვაფხიზლოთ!

— საქართველოს კეთილი მრჩეველი სჭირდება!

—სისხლს სისხლი განსწმენდს!

— აქ ჩეხვაა საჭირო, ლაყბობას თავი მოუკვდა! — აბობოქრდა იასე.

წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე მაჩაბლის წივანა ხმამ დაარღვია:

— თავი სანეხვეზე კი არ მიპოვნია!

— ერთგულების ფიცი? წმინდა ნინოს თმით შეკრული ცხო-ველმყოფელი ჯვარი ვაზისა?! გავსწიოთ, რაღას ვუყურებთ! აღვძ-

რულოთ პატიოსანი კაცის მოვალეობა. იქ გამოჩნდება, ვის უფრო ძლიერ უყვარს მამული!

— მე სხვის ჟინიანობას არ დავნებდები! — მწარედ შეაგება ჩოლოყაშვილმა.

— ფუი, თქვენს ნამუსს! — გააცოფა იასე ამ უპატიოსნო ღიმილმა. — გამოდი, იქ გამოჩდეს დედალ-მამლობა! ლაჩრებს მტკვარში გადავუძახოთ! ქუდის მაგივრად ჩიქილას დაგხურავთ! სამასი თუმანი პენცია! პორუჩიკის მუნდირი! საკრებულოს დეპუტატობა! თქვენგან რა გამოვა?

— რასაც სხვა იქს, მეც იმას ვიქ!

— თავადიშვილნო! — წამოდგა ალექსანდრე ორბელიანი. — ეს კარგი ზნე არა გვჭირს ქართველთა, რომ ერთმანეთს თავზე კაკალს ვამტვრევთ! ჩვენს გრძნობას წაქეზება არ სჭირდება. დინჯად განვსაჯოთ და გადავწყვიტოთ!

— მეც ჩემი წილი კისერზე ამიღია!

— სიმართლით მოკრილი ხელი არ მეტკინება!

— აგაშენა ღმერთმა! მაშ რას ვუდგევართ? — სიტყვა ჩამოართვა იასემ, და როცა ორბელიანის მიერ დადევნებული მძულვარე გრიმასა შეამჩნია, გაშმაგებით შეჰყვირა, — მაგრამ თქვენ იმდენი ვაჟკაცობა ვინ მოგცათ? მახლას! დარჩით თქვენს ბუხრებთან! მე მარტო გავალ, ნახეთ, ჩემის ლოთებით, რა ომში შევალთ! სირცხვილი თქვენ, კეთილშობილნო თავადნო!

და ისე გაცეცხლდა, რომ სიტყვა გაუწყდა და გონარეულმა დამბაჩა ჩახმახზე შეაყენა.

— სასაცილოდ და უჭკუობად ქცეული რაინდობა! — შეშფოთებით წასჩურჩულა დიმიტრი ყიფიანმა ავთანდილაშვილს.

— არ გვირევია აქ არცა ერთი ორგული მამულისა! — ჩაფიქრებით დაიწყო დოდაშვილმა, რომელსაც მთელი ამ თათბირის მანძილზე იასე გამომცდელად და მომწოდებელი თვალებით შეჰყურებდა. — მხურვალის გულით მიგვიცია ფიცი საქართველოს სიკეთისათვის და ქართველს კაცს მშობელის ქვეყნისათვის სიცოცხლის განწირვა არასოდეს გასჭირვებია. ქვეყნის გაჩენის დღითგან საქართველოს მუდამ ჰქონია თავისი საკუთარი ცხოვრება, ენა, სჯული და ზნე-ჩვეულება. ჰყოლია თავისი ხელმწიფე. არ უცვნია მონობა და დამოკიდებულება თვისი სხვასა ზედა. ჰქუხდა ხმა, სახელი

და მამაცობა წინაპართა ჩვენთა და აღაჭებდა მსოფლიოსა. ხოლო აწ ვხედავთ შეიწროებასა მამულისა ჩვენისა.

რაისთვის არს ესრეთა?

ნუთუ ჩვენ არა ვართ შვილნი მამულისა ჩვენისა?!

ნუთუ, არ გვაქვს სიმხნე და გული მამა-პაპათა ჩვენთა?!

მაშა, რაისთვის ცოცხალ ვართ?!

მაშა, რომლის გზით ვფიქრობთ ვიყოთ ღირსეულნი შვილნი წინაპართა ჩვენთა?!

რათა ვიპოვოთ პასუხი და გზა სწორი, უნდა დავაკვირდეთ დროსა და გარემოებას დღევანდელსა.

დრო არს სათავე ყოველსა საქციელსა. დრო სწრაფი, ცვალებადი და მბრძანებელი. ესე დღევანდელი ცხოვრება კაცობრიობისა დაფუძნებულ არს სწავლა-განათლებასა და ცივილიზაციაზე. მოიპოვა რა მშვიდობა გარეშე ბარბაროსთაგან, ერი ჩვენი მოვალე არს დაეწაფოს მეცნიერების ნაყოფს...

— უხ, ეს წყეული დოდაშვილი, თავისის სწავლა-განათლებითა და მეცნიერებით! — შესძახა იასემ. — ლოგიკით, საქართველოს ისტორიითა და ღეოღრაფიით გადაუწყვეტია ისპრავნიკებისგან ქვეყნის გადარჩენა!

— ისპრავნიკებისგან ვერც ჩვენი მეფეები დაგვიხსნიან!

— გამოიყვანე, უფალო, შენი ტეტიები და გაგრიები, მე ხომ შაგის წინააღმდეგი არა ვარ. მე ჩემს ქალაქელ ლოთი-შფოთებს გამოვიყვან და დავიხსნათ თავი, ეხლავე რომ მომავალს ხელისუფლებაზე ვლაყბობთ და ხელთ არა გვიპყრია რა.

— ხალხმა უნდა იცოდეს, რისთვის გაიღოს სისხლი!

— შენ, მშიერი გლეხი, რომ გასძეხ სწავლისა და მთავრობის წყალობით, რისთვისღა იომებ?!

— მე ისე არ მინდა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენ დღეს ჯერ კიდევ არ ვართ წყალწაღებულნი!..

— მაშ, რიღასთვის მოხველ ჩვენთან?!

— მე არც ეხლა უარსვყოფ ფიცს! მხოლოდ ჩემს აზრს გამოვსთქვამ, რათა სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ, და, რასაც დავადგენთ, სხვებთან ერთად, მეც მისთვის მოვკვდები!

— შეთქმულთათვის ორჯერ თავი დაგინებებია, მაგრამ ენას შაქრის ყინულად ატრიალებ. რა ვქნა, თუკი ერთიღა დავრჩომილვარ

გიჟი. რასღა ველოდო, როცა პირდაპირობა სახიფათო გულუბრყვილობად ქცეულა, ხოლო პირუთვნელობა თვალთმაქცობად!

— ნუ იფიქრებ, რომ ყველაფერში გეთანხმები! — უთხრა ალექსანდრე ორბელიანმა. — მაგრამ რაკი ამბოხი გადაგვიწყვეტია, ოცს ქრისტეშობისთვეს გამოვიდეთ იმ წესით, როგორც გვითქვამს და შევთანხმებულვართ.

შამპანურით თავისუფლების სადღეგრძელო დალიეს.

* * *

ის დღეები იასეს განუწყვეტლივ სიონის ზარის გუგუნი და სამრეკლოდან შეუპოვარი გადაძახილი ესმოდა: „თავისუფლება!“, „თავისუფლება!“, „თავისუფლება!“.. ელანდებოდა მეიდანზე ცაში აჩრილი ჭართული დროშა, ცალ მხარეზე ღვთიშობლის, მეორეზე — წმიდა გიორგის გამოსახულებით.

მოსვენება დაკარგა. დილიდან შუა ღამემდე თეთრს ნაბადში გახვეული, ჭარაშოტსა და მუხლამდე ტალახში, ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში დაეხეტებოდა მოსალაპარაკებლად, მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო იშვიათად ხერხდებოდა თანამზრახველებთან შეხვედრა; ზოგი სოფელში წასულიყო, ზოგი ნათესავისას დაეპატიჟნათ, ზოგან, საერთოდ ადამიანის ჭაჭანება აღარ ჩანდა.

ჯერ ეგონა, შემთხვევითააო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ემალებოდნენ.

ალექსანდრე ორბელიანს მოლა-ზამანჯისთვის ეთქვა, ხალხი საჭირო აღარ არისო.

— რა გარე-გარე იწევ! — დაიხელთა ერთ საღამოს.

— მა, სულ შენსავით ხომ არ ვირბენ. შენ, ჩემო ძმაო, როცა გავიმარჯვებთ, ძეგლს აგიგებთ, თავს ქვემოთ ვუზამთ, ფეხებს კი მაღლა, რადგან ფეხებს მეტი სამსახური გაუწევიათ.

შაბათ-კვირას ისე იწანწალა, რომ ერთ კაცსაც ვერ შეხვდა. აზრზე ვერ მოსულიყო, თუ სად გადაკარგულიყვნენ: ვახტანგი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ერისთავი, დიმიტრი ორბელიანი, ლუარსაბი, ზაქარია ჩოლოყაშვილი...

ზალიკოც, რა ხანია, აღარ ჩანდა. ქანცგამოცლილი და საგონებელში ჩავარდნილი ელიზბარ ერისთავს მიადგა.

— არაფერი გამოდის! — გულგატეხილად უთხრა მან.

— საიდან დაასკვენი?

—აღარავინ შემოგვრჩა!

— მე და შენ ხომ ვართ?

— ორნი ვეყოფით?

— ორს ათასები გამოგვყვება!

— არ გაგიგია, ჩვენზედ რომ უთქვამთ, ეგ ბოლო თავშეყრა იასემ და ელიზბარმა ძალად დაგვანიშნინესო?

— ჩვენ ჩვენი ვქნათ!

— ტყუილა დავიღუპებით და ქვეყანასაც დავღუპავთ.

— შენც იმ წუნკლებთან ხარ?

— სხვა რა დაგვრჩენია?

— ყელი არ გამოგეჭრა!

— დავიგვიანეთ!

— ჩემს წინ მალაყებს რად თამაშობდით?

— მერწმუნე, თუ ძმა ხარ, მე გულით მეწადა, არა მენანებოდა რა, მაგრამ ბედმა დაგვცინა.

— ეს ღალატია! შავ და უკუღმა ის დღე, მე რომ თქვენთან მოვედი. მოსვენება წამართვით! უკურნებელი სენით დამასნეულეთ და, აწ, სიკვდილის მეტი ვეღარა დამაყენებს რა. ბუნტი მაინც მოხდება! მე ერთი მოვახდენ მას!

ელიზბარს ხმა არ გაუცია. ის სწვდებოდა, რა ხდებოდა იმ დროს მის გულში.

იასე წავიდა. მიდიოდა მწუხარებით გულდალეწილი, მარტოშთენილი.

„დე, წარიხოცოს ჩემი სახელი! დე, ნურავის გავახსენდები. მე მარტო გავალ და ჩემი სიკვდილიც ისე სასტიკი და მწარე იქნება, როგორც მთელი ჩემი ცხოვრება იყო!“

32

თერთმეტ დეკემბერს, დილით, ანიტას ბინაზე, იასეს ჟანდარმის ორმა ოფიცერმა მოაკითხა.

თავი დაბლა დაუკრეს, სახლი დაათვალიერეს და თავაზიანად სთხოვეს გაჰყოლოდა.

„უთუოდ, ისევ იმ თაღლითური ვექსილის თაობაზე მეძახიან“, — გაიფიქრა, მაგრამ როგორც კი კიბე ჩაათავა, რაღაც უჩვეულო უხვრხულობისაგან აზრი მოენისლა.

თითქმის არ შეუმჩნევია, როგორ ჩასვეს შავ, დახურულ დროშკაში, რამდენ ხანს იარეს, და მხოლოდ მაშინ, როცა მარმარილოს კიბეზე გაუძღვნენ, გაკვირვებისგან წუთით კვლავ გაუნათდა გონება, რომ „სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციაში“ კი არ მიუყვანიათ, სადაც, ჩვეულებრივ, ოსმალეთიდან გამოყოლილი ვალის გამო იბარებდნენ, არამედ სამხედრო კორპუსის შტაბში. სამორიგეოს გვერდით, პატარა ოთახში, მარტო დატოვეს.

რამდენიმე საათს გაშეშებული იჯდა შავად გალაქულ ხის მაგიდასთან. ფიქრი არ ნებდებოდა. სურვილსაც ვერ გრძნობდა, ჩაჰკვირვებოდა თავის მდგომარეობას; ამოეცნო, ანალიზი გაეკეთებინა, რა მოხდა და როგორ მოქცეულიყო.

არც ის შეუმჩნევია, ნაშუადღევს, მორიგე სალდათმა სადილი რომ შემოუტანა და ბრძანებით უთხრა:

— ისადილეთ!

სამარისებურ სიჩუმესა და გარინდებაში დრო არავითარ კვალს არ ტოვებდა. თითქოს, ეშინია სინამდვილესთან მიახლოებისაო, გონება გაქვავებულიყო. მაგრამ, როცა ქაოსიდან ანიტას სახე ამოიზარდა და ყველაფერი დაფარა, იასე გააფთრებით ეცა კარ-ფანჯარას და, რადგან ჩარაზული დახვდა, შლეგიანივით მოჰყვა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში ბოლთის ცემას... ასეთ შფოთში დაათენდა თავს.

დილით სალდათმა ჩაი შემოუტანა და მკაცრად უთხრა:

— ნაბრძანები გახლავთ, საჭმელი მიირთვათ!

ასე მიილია ორი დღე. მესამე დღეს იასესთან ჟანდარმის პოლკოვნიკი და კაპიტანი შემოვიდნენ.

— რას გვეტყვით? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

იასემ მხრები აიჩეჩა.

— ეჭვი არ გვეპარება, იცით, რისთვისაც მოგიყვანეს აქ!

იასე შეცბუნებული მიშტერებოდა პოლკოვნიკს და თაღლითურ ვექსილზე შეკითხვას ელოდა.

— მოგვახსენეთ ხელმწიფის საწინააღმდეგო ქართველთა შეთქმულებაზე!

იასეს თავზარი დაეცა.

— კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის, გენერალ ვოლხოვსკის ბრძანებით გეკითხებით.

ამაოდ ელოდა პასუხს პოლკოვნიკი.

— მოიფიქრეთ კიდევ! — გულგრილად უთხრა პოლკოვნიკმა და ოთახიდან გავიდა.

მეორე დღეს, კარგა შეღამებული იყო, როცა ქვემო სართულზე, კუთხის ოთახში შეიყვანეს და უცნობ პოდპოლკოვნიკს წარუდგინეს.

პოდპოლკოვნიკმა ხავერდგადაკრული სავარძელი შესთავაზა და მაგიდაზე, უხმოდ, ორი სქელი საქაღალდე გადაუდო.

იასემ თვალი შეავლო წარწერას: „ზესაიდუმლო. ქართველთა ფარული საზოგადოება“. სახეზე ღრუბელი გადაეფარა. სასოწარკვეთილებისგან თვალი დახუჭა.

— გაეცანით, ეს თქვენთვის საიდუმლო აღარაა! — რბილად უთხრა პოდპოლკოვნიკმა.

განგაშის მომგვრელმა ცნობისმოყვარეობამ იასე გამოაფხიზლა, საქაღალდე ახლოს მოსწია და გაშმაგებით დაუწყო თვალიერება.

ჩვენებები... დასმენები... მოხსენებები... ფიცი... პროკლამაცია... „პირველი ღამის განკარგულება!..“ ერთი, მეორე, მესამე!

„ღმერთო, ამას აქ რა უნდა!“

ბორჩალოს დისტანციაზე დაჭერილი წერილი ალექსანდრე ბატონიშვილთან!

საკუთარ თვალს არ უჯერებდა!

„ეს ჩემი წერილი აქ საიდან გაჩნდა?“

„ჩემი ხელით შედგენილი „განკარგულება“, შარშან რომ შინ გამებნა, აქ ვინ მოიტანა!“

„შეკრებაზე წარმოთქმული ჩემი სიტყვები ასე ზუსტად ვის ჩაუწერია?!“

„ღმერთო, ნუთუ, ეს, მართლა, ალექსანდრეს ჩვენებაა?!“

„ღმერთო, ნუთუ ზაქარია ამას იკადრებდა?!“

„დიმიტრი!“, „ბარძიმი!“, „ზაალი!..“

„განა ამისთვის მიმატოვეს მარტოდმარტო?!“

„შაშ, დაიქცეს ეს ქვეყანა და მეც თან დამიტანოს!“

— რა გეგონათ, ათობით უკმაყოფილო ქვეშევრდომის, მათ

შორის, ოფიცრების, მასონობა ხელისუფლებას უყურადღებოდ დარჩებოდა?! არავითარ ინტერესს არ გამოიჩენდა იმის მიმართ, თუ რატომ იკრიბებიან, რას ლაპარაკობენ, რას აპირებენ?!"

იასე ჩასისხლიანებული თვალებით შეჰყურებდა თმაალაპლაპებულ ჟანდარმს და გონებას იკრებდა.

პოდპოლკოვნიკმა მფრინავი ფოსტით მიღებულ წერილს ბეჭედი ააძრო.

— ინებეთ, ესეც თქვენს პეტერბურგელ მეგობრებს შეეხება!

იასემ რაღაც წამოიღუღღუღა, მაგრამ პოდპოლკოვნიკი ამით არ დაინტერესებულა.

— კორპუსის უფროსს არა და არ უნდოდა ამის დაჯერება, ამიტომ დროს გაძლევდით, რათა გვენახა, სანამდე მიხვიდოდით.

„ნუუკვე, თვალთმაქცური ქცევით მომაღორეს, კალთა მომაბერტყეს და საჩიველელად გამოიქცნენ?! ნუუკვე, მტერი და მოკეთე ვერ მიცვნია?"

— გონს მოდით! — წყნარად შეახსენა პოდპოლკოვნიკმა. — როგორც მართლმადიდებელს, კარგად მოგეხსენებათ: „ცოდვა ჩემი არა დავფარო, აუარო უფალსა ბრალი ჩემი..."

— ჩემი დანაშაული ისაა, რომ უზომოდ მიყვარს მამული და მზად ვარ მოვკვდე მისი ბედნიერებისათვის. ჩემი რწმენისათვის მე მხოლოდ ღვთის წინაშე ვაგებ პასუხს!

— ხელმწიფე? — წაიჩურჩულა პოდპოლკოვნიკმა.

ჩამოვარდა დუმილი, რადგან დიდხანს ერთმანეთს ელოდებოდნენ.

იასე განადგურებულად გრძნობდა თავს. მის თავმოყვარეობას ახლა ყოველი მოძრაობა, ყოველი ჟესტი, ყოველი ბგერა შეურაცხყოფდა და ჩირქს სცხებდა.

„ღმერთო, ჩამაგონე სამართალი, ღმერთო, მასწავლე, რა ეკუთვნის ამხანაგის მოღალატეს!"

— მაგიდაზე დაგხვდებათ ქაღალდი, მელანი და კალამი... — სიტყვა შეაყოვნა პოდპოლკოვნიკმა.

ეს სიტყვები მეხად დაეცა. შეეცადა, არ გაეგო, თავისთავისთვის არ გაემხილა მათი მნიშვნელობა.

„სულმოკლენი! მშიშარები! უამხანაგონი! ყველაფერში მარტო დამტოვეს! ეს სირცხვილიც ერთმა უნდა ვზიდო! მადლობელი ვარ

და ამიერიდან თქვენმა სულმა ზღოს! ჩემთვის კი ყველაფერი სულ ერთია! მე აღარავინ დამრჩენია! მე აღარავის ვუნდივარ! არც მე დაგისვამთ იაფად, ჩემო დარბაისელო, წესიერო, და საძაგელო მეგობრებო!

რაკი სიყვარული არ არსებულა, დე, მოხდეს, რაც მოსახდენია! განა ამქვეყნად ყველაფერს კაენის ბეჭედი არ აზის? განა ყველა თავის თავს არ ეალერსება? ყველანი ერთმანეთს არ ვატყუებთ? მე უკვე გამოვცადე, რა არის ეს ცხოვრება. იწყებ კეთილი იმედებით, სულის სიწმინდით და მის გრძელ გზაზე, შენს უნებლიეთ, ყველაფერი ნელნელა იბილწება. ჰკარგავ ყველაფერს! მაშინაც კი, თუ თითქოს, ოდნავ აღწევ მიზანს და მაინც უკვე ის აღარ არის, რასაც ელოდი. აღმაფრენა ჩამქრალია. სულის უბიწოება დაკარგულია და აღარ იცი, რა სჯობს, არაფრის ქმნა, არაფრის მიღწევა, ბავშვობის გაბრწყინვებული იმედები, თუ, თუ... მიღწეული მიზანი და ხელთ შერჩენილი ეს ბილწი სიცოცხლე! არა! ამ ძალადობის სამყაროს არაფერი ეშველება! ყველაფერი უნდა გაცამტვერდეს და ხელახლა აიგოს. უნდა მოისპოს, შეიცვალოს თვით ბუნება, მთელი მისი აგებულება, რადგან იგი არს წყარო ბოროტებისა!

ჩემო სათაყვანო მამულო, შენ ვერასოდეს გაიგებ, ვინ გეხვია გარს, და, თუ ოდესმე გაიგებ, მხოლოდ მაშინ, როცა ამის ცოდნას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება!

ნუთუ, მათ წინაშე დამნაშავე ვიქნები?!

რამდენი ვეხვეწე, რამდენი ვემუდარე. არ დამიჯერეს, გააჯანჯლეს, ასჯერ გადასდეს...“

დაღუპვის წყურვილს გრძნობდა და თავისთავს მწარე ღიმილით ეთხოვებოდა.

„მე ნაძრახი მოვკვდები და გარეწართა რიცხვს კიდევ ერთი გარეწარი შეემატება! ჩემი სახელი ისტორიას სასირცხვილოდ და სამარცხვინოდ გადაეცემა. არავინ გამოიკითხავს! არავინ გამოიძიებს სიმართლეს! ჩემს სამაგიეროს არავინ მიუზღავს!“

როცა ოთახში დააბრუნეს და მარტო დარჩა, დიდხანს უხმოდ უჯდა მაგიდას. აფორიაქებისა და ბოლმისგან თავისი მდგომარეობის შესაფასებლად და გადაწყვეტილების მისაღებად აზრისთვის თავი ვერ მოეყარა.

შურისძიების დასაოკებლად, ვერავითარ ენერგიას, ვერავითარ

მიზეზს ვერ პოულობდა. დამხობისაგან თავის დაღწევის ვერავითარ გზას ვეღარ ხედავდა.

„მე უდანაშაულოდ უნდა დავიღუპო. რაც მიოცნებია, რაც მყვარებია და მიყვარს, რისთვისაც ჭირი მომითმენია, უფსკრულში უნდა დაინთქას, ხოლო ნამცეცა სულიერნი, ვერაგნი და სულმოკლენი, აქ უნდა დარჩნენ, თავიანთი ბოროტი საქმენი განაგრძონ, ერთმანეთი ატყუონ და ქვეყანა დაასამარონ!

არა! ეს არ მოხდება!“

განრისხებულმა წამოავლო ხელი კალამს და გაშმაგებით შეუდგა წერას.

„კავკასიის ცალკე კორპუსის უფროსს, ინფანტერიის გენერალს, გენერალ-ადიუტანტსა და კავალერს, ბარონ როზენ I-ს“...

მთელი ღამე შეუსვენებლივ წერდა.

ზოგჯერ, დაფიქრდებოდა, რომელიმე დეტალს აღადგენდა და გათანგული წერას განაგრძობდა.

აღწერდა, ვის, სად, როდის გაანდეს შეთქმულება. ვის რა დაევალა, სად იკრიბებოდნენ, რას ამბობდნენ, რას აპირებდნენ...

„სოლომონ დოდაშვილმა შეადგინა გონების აღმაშფოთებელი თხზულებები... იგი აღაგზნებდა ახალგაზრდა ქართველებს წარსულის მოგონებებით.“

დილით, არც კი შეუმჩნევია, სალდათმა რომ ჩაი შემოუტანა.

ოფიცრები გაოცებულნი მიდიოდნენ, ნეტავი, ამდენს რასა სწერსო.

„დიმიტრი ყიფიანთან იკრიბებიან ყმაწვილი შეთქმულნი...“

წერდა გამალებით მთელი მეორე დღე და მთელი ღამე.

სადილის წინ კარი გაიღო და პოლკოვნიკი შემოვიდა.

მაგიდა ნაწერი ფურცლებით დახვდა სავსე. ჩოხის სახელოებაკეცილი იასე სკამის ზურგს მიყრდნობოდა.

პოლკოვნიკის დანახვაზე ერთი კი წამოენთო, მაგრამ უმალ ტუჩზე იკბინა: „მე აღარ ვარსებობ!..“

ამ ფიქრზე მოეშვა. პოლკოვნიკს სევდიანი მზერა მიაპყრო და ყრუდ რაღაც წაიდუდუნა, რისთვისაც პოლკოვნიკს ყურადღება არ მიუქცევია.

„სალახანა“! — სისინით გულში გაივლო პოლკოვნიკმა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს.

იასემ ხელი ჩაიქნია და მალულად, მჯიღით ცრემლი მოიწმინდა.

ოთახში წამდაუწუმ შედიოდნენ და გამოდიოდნენ. სადღაც მიჰყავდათ. ვილაცას ჩასცივებოდნენ... იასეს ეჩვენებოდა, რომ დასცინოდნენ, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ, ნიშნს უგებდნენ.

„ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს. ჩემი სიცოცხლე წასულია...“

მოხსენებითი ბარათი რომ ჩაათავა, ჟანდარმის პოლკოვნიკმა აღტაცებით ხელისგულები მოიფშვნიტა და გაუღიმა.

„უფალო, შემიწყალე!.. უფალო, შემიწყალე!.. უფალო, შემიწყალე!..“

„ამის გამოსწორება აღარ იქნება!“

„მე ასი წლის ვარ! მე აღარ ვარსებობ!“

— გაიხსენეთ, კიდევ, რა გითხრათ, ალექსანდრე ორბელიანმა თავად მუხრანსკიზე თავდასხმის გამო?

იასე, უცებ, წელში გასწორდა, თვალები ფართოდ გააღო, რკინის კუტალს ხელი დაავლო და შუბლში თხლიშა.

— ვიგინდარავ! ვის უბედავ ასეთ შეკითხვებს?! გადამთიელო! ჩემს მიწაზე პირში მაფურთხებ! შენ დამაკარგვინე კაცობა! შენ წამართვი ნამუსი!

დაითრია, დაჰკრა, წამოაქცია.

შემზარავი სანახავი იყო: სახემორღვეული, გაწეწილი, აბორგებული. ჰირის ოფლი გადასდიოდა.

ოთახში შემოცვენილ სალდათებს თითო მუშტით იგერიებდა.

— მესროლეთ, ნაძირალებო! მოჰკალით კაენი! დაახალეთ იუდას!

უნტეროფიცერმა უკნიდან დაჰკრა ხის ჩაჭუჩი. უმალ დანარჩენებიც მისცივდნენ და გულწასული იასე ბნელ ტალანით ჰაუპტვახტში გაათრიეს.

33

მოახლოვდა შობა.

მდიდარი და ღარიბი ერთის ფორიაქით ემზადებოდა.

ხორაგისათვის ზოგი სოფლად წასულიყო, ზოგი ნათესავს მოელოდა, ზოგიც ბაზრის შემყურე გახლდათ.

სოლომონს მაღაროდან ჩამოუტანეს საშობაო ხორაგი.

უწინ, ამისთანა დღეებში, მამაც ჩამოდიოდა, მაგრამ წელს ივანეს მეუღლე სასიკვდილოდ ჰყავდა გადადებული და ურემს უმცროსი ძმა გამოჰყოლოდა.

საღამოს პირზე, ქალაქური სანელებლების საყიდლად, სოლომონმა სიონის ბაზარში შეიარა.

ხალხი გამთენიიდან შესეოდა ფარდულებს და ბაზარი დარბეულივით გამოიყურებოდა. ერთი კუთხიდან მეორეში ბოგანოებიღა დაძრწოდნენ. უთუოდ, აუცილებელი სანოვაგის შესაძენად საჭირო კაპიკები სულ ბოლო წუთებში გამოეჩხრიკათ და ახლა შეშლილი სახეებით დაეძებდნენ საჰმელს.

თითქოს, აქამდე არ ენახოს ხალხის გაჭირვებაო, სოლომონი წელმოწყვეტილი გამობრუნდა შინ. კეთილშობილთა ოჯახებში საშობაო ზეიმზე მოსაწვევი ბარათები ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

„არსად არ წავალ! მეზიზღება მათი გაჩახჩახებული დარბაზები! შემწვარ-მოხრაკულით დაზვინული მაგიდები! გოჭები და ინდაურები! ვალსები და ვისტები! შუშხუნა შამპანურები და გრძელი „ტოსტები!“

მაპატიეთ, მიწურებო და ქოხებო! ტკბილეულს მონატრულო ბავშვებო! მე თქვენთან ვარ! დამსვით თქვენს გვერდით, ღარიბ-ღატაკნო, უქონელნო. მომიტეხეთ თქვენი ხმელი პურის ყუა!“

ღამე ბორგვაში გაათენა. დილით თავისტკივილი აჰყვა და, როცა ეფრემა შემოვიდა, ჯერ კიდევ ლოგინში იწვა.

— იასეს ყველა გაეუცივართ! — თავში ხელის ცემით წამოიქვითინა ეფრემამ.

სოლომონს ფერი ეცვალა, ლოგინზე წამოჯდა.

— ეს საიდან გაიგეთ?

— შენ რა ზანგი მონასავით ყველაფერს გვიან შეიტყობ?

— თუ ტყუილი არაა, ვის უნდა გამოეტანა ეს ამბავი?

— განა გუბერნატორი თავისი ძმის ამბავს ვერ შეიტყობდა?

— გუბერნატორი?

— ჰო, იქიდან სხვებიც გაიგებდნენ.

დოდაშვილი გაცბუნებული შეჰყურებდა მეზობელსა და ოჯახის სულიერ მამას.

ცოტა დუმილის შემდეგ, ეფრემამ იკითხა:

— რას გვიზამენ?

სოლომონმა თვალი მოარიდა.

— ამბობენ, ბარონს ხელმწიფის რესკრიპტი მოსვლიაო, ყველანი ნაობახტში ჩაყარეთო, დიდრონი ხუნდები დაადეთ და არც ერთი ცოცხალი არ გაუშვათო.

— შეუძლებელია!

— ეგრემც ღმერთი შემეწევა.

ეფრემა რომ სასიკეთოს არას იტყოდა, სოლომონმა კარგად იცოდა, მაგრამ მის ნათქამს მაინც მნიშვნელობა ჰქონდა.

— სხვებზე არაფერი გსმენია?

— ისე უჭკუო კაცია! — პასუხს თავი აარიდა ეფრემამ.

— ისე ჩვენთან არ ტყუის!

— დამირჩა შენი თავი, იტყოდა, ყველაფერი მართალი ხომ არ გგონია? ძმის საქმეც წაახდინა, ჩვენც გახურებულ თონეში ჩაგვყარა.

„რა წამხდარი ენის პატრონია! — გაიფიქრა სოლომონმა. — კაცს გულს მოუკლავს!“

— ჯერ ხომ არაფერი ვიცით?

— რაღაც უნდა ვიღონოთ, ერისა მოყვასო, თორემ აღარა გვიხსნის რა!

— რა?

— თათბირი გვინდა!

სოლომონმა გაოცებით შეხედა და ეფრემა დააბნია ამ შეხედვამ.

— მე ეგ არ მითქვამს! — თავი იმართლა მან.

სოლომონს დიდ ხანს ხმა არ ამოუღია, ეგონა, ეფრემა წავაო, მაგრამ ეფრემა წასვლას არ აპირებდა.

— კონსტანტინე მუხრან-ბატონს შემოუთვლია, ჩემი შვილის იოანესგან აღებულს ვალს მაშინ მოგცემ, როცა ვექსილს მომიტანო. ვექსილი მოიტანე და ფული მიიბარეო. მეფური სიტყვა არ გახლავს? — შესცვალა სოლომონთან სალაპარაკო საგანი.

— ჩემთვის ყოველი კაპიკი ძვირფასია. სახლი მეორე სართულზე ძლივს ამოვიყვანე. სტამბას შეკეთება უნდა. გაზეთისთვის ფული მაკლია. ყველაფერი დაწყებული და არაფერი დამთავრებული.

„კაი მოგეცა, კაი ადამიანი შენა ხარ!“

— ამ ანას საქმე მაინც გადაგვეწყვიტა, რო გათხოვება უნდა და ნებას არ აძლევთ!

— აკი, ელენესაც და მეც ჯვრისწერის ნება დაგვირთავს!

— ეგ, დიახ კეთილი გიქმნიათ.

— მალე თელავს და სიღნაღს ვაპირებ სასწავლებლების განსაჩხრეკად წასვლას, იქიდან რომ მოვბრუნდები, ჯვარიც დავწეროთ.

ეფრემას ირონიულმა გრიმასამ გადაურბინა სახეზე.

სოლომონმა შეამჩნია. მოურიდებლად წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

გული მოსდიოდა, რომ მეზობელი ფეხის მოცვლას არ აპირებდა. ახალმოლოგინებულ მეუღლესთან გავიდა, აქვანი შემოატანინა, ბავშვებიც თან შემოჰყვნენ.

— ელაპარაკე ჩემს შემოსვლამდე! — წასჩურჩულა ცოლს, და, რაღაც წინათგრძნობით შეპყრობილი, წიგნთსაცავში გავარდა, სადაც კედლისა და იატაკის სამალავებში საიდუმლო მასალებს ინახავდა.

თვალის დახამხამებაში ამოჰყარა „სიტყვა-მოწოდებანი“, „პირველი ღამის განკარგულება“, საკუთარი ლექსები, „აქტი გონიერი“, თავისი ჟურნალის განზრახული ნომრის ხელნაწერები, იაკობ კრუპსკის წერილები, იანინასთან ერთად გადმოწერილი რილეევის წერილი ცოლისადმი, თუნუქის ქვაბის ძირზე ლურსმნით ამოკაწრული რილეევის ლექსი, „ნალივაიკოს აღსარება“...

გვერდზე გაჩაღებული ბუხარი უხმობდა, მოეხვია ხელი და შეეყარა შიგ...

იდგა უძრავად. ცრემლმორეული დაჰყურებდა თავის სიწმინდეებს და ყურს უგდებდა სულში ამღერებულ ხმას:

ძლივს მოაღწია შორეთიდან
ხმებმა ძლიერმა,
ხმებმა ბორკილთა დამსხვრევისამ,
ხმამ ზეციურმა.
ჩვენ და ისინი...
...სამარადისოდ დაკძმობილდით
ჩვენ და ისინი სამუდამოდ შეეთვისენით!..

თავს ისე მარტო გრძნობდა, როგორც არასოდეს... დიახ, სულ მარტო იყო! ყველასაგან მიტოვებული და ამაყი.

— სოლომონ ივანიჩ, დაბლა გიხმობენ! — შემოესმა ეფრემას ხმა.

თითქოს, გრძნეულ ძალას დაემორჩილაო, გაშეშებულმა ყველაფერი თავის ადგილას ჩაალაგა და ეზოში ჩავიდა!

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — წასჩურჩულა ჟანდარმერიის მაიორმა და იმ წამს ერთი დასტა სალდათები გარს შემოერტყა.

— რა ხდება, მითხარით, ღვთის გულისათვის! — ტირილით კიბე ჩამოირბინა ელენემ.

— ნაბრძანები მაქვს, შტაბში მივიყვანო, ქალბატონო!

— დაიცადეთ, ახლავე ბარონესას შევატყობინებ.

— ამას შემდეგაც შესძლებთ!

— ავადაა!

— ნუ ღელავ, ბალღები შეშინდებიან! — ხელი დაუქირა ცოლს სოლომონმა.

— თვინიერ თქვენისა, ვინ მივის!

— ღმერთი მოწყალეა, სულო ჩემო!

ელენე ქვითინით გადაეხვია ქმარს, ურომლისოდაც ერთი დღე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა...

— ქალბატონო! ბრძანება მაქვს, თქვენი ბინა გავჩხრიკო! — მიუბრუნდა ოფიცერი ახალგაზრდა ქალს.

წინ მაიორი მიუძღოდა, შუაში მხრებმოხრილი, დაჩიავებული დოდაშვილი, განუშორებელი შავი შლაპით, უკან ოთხი დონელი კაზაკი მიჰყვებოდათ.

— გათავდა! — ხელი ჩაიქნია ღობესთან ატუზულმა ეფრემამ. — სულ ვეუბნებოდი, ფრთხილად იყავი- მეთქი!

გაჩხრეკის შემდეგ ხელნაწერებით გატენილი ორი ზანდუკი გაიტანეს დოდაშვილის ოჯახიდან.

ალექსანდრე ორბელიანის დღიურიდან
12 დეკემბერს

გული ცუდს რასმე მეუბნება... დღეს დილით ჩემი საიდუმლო ქაღალდები და ის ჩემი დაწერილი საქართველოს ძველი ამბების გახსენება ერთს ჭილაში ჩავაწყვე, ზემოდან ერთი სალა სიპი ქვა

პირზე დავადე, საკუჭნაოს კუთხეში მე და ჩემმა გრიგოლა დიაკონმა ორმო მოვთხარეთ, ის ქილა შიგ ჩავდგით და მიწით ამოვავსეთ, ამ სიტყვით:

„გრიგოლა დიაკონო შენ ჩემი სარწმუნო პირი ხარ და ჩვენი ამბებიც წვრილად იცი, რაც ამბებში ვართ ჩვენ, ყმაწვილი კაცები. ვინიცობა არის, დაგვიჭირონ, ეს ქილა მაშინვე ამოიღე და რაც იმაში ქაღალდები იყოს, საჩქაროდ დასწვი, მაგრამ ფრთხილად, დაწვის დროს არავინ გნახოს.

იმ ქილაში ჩემგან მიწერილი წიგნის პასუხიც მაქვს, ბიძაჩემის, ბატონიშვილის ალექსანდრესი“.

სხვანი თანამზრახველნიც ჩემს დღეში ჩავარდნილან. გუშინ დიმიტრი ერისთავი მესტუმრა, სულ ის საღამო ჰოლანდიისაგან ბელგიის გათიშვას ვჰკიცხავდით. სულ ბოლოს დავუწყე დიმიტრის დაჟინებით თვალებში ცქერა, ვეღარ შევიკავე თავი და ამიტყდა სიცილი. რა მოგივიდაო, მკითხა.

გამიგონე, ეუთხარი მე, ნუთუ სასაცილო არ არის, რომ დღეს, ჩვენის გეგმით, რა მამულისათვის ცხარეს ბრძოლებში უნდა ვყოფილიყავით, ყოველს შეხვედრისას რას ვეუბნებოდით ერთმანეთს და დღეს კი რაზე ვლაპარაკობთ!

კმარა ამაზე ლაპარაკი, გულგრილად მომიგო მან, ხომ ხედავ, რა ხდება, ამაზე აღარც მინდა ვიფიქრო, ვითომც ჩვენ, დიდი ხანია, მოვიტოვეთ განზრახულობა!

არც მათი ნახვაა კარგი საქმე. კარს კლიტე დავადე, ახლოს არავის გავიკარებ.

ეს ქართველი გუბერნატორი ჩვენი ქვეყნის დაქცევაა. გუშინდელს ყმას თავადობა დაუჩემებია და დიდის ჯამბაკურის შთამომავლობას რა ხეირს დაგვაყრის! ენახოთ, თუ მაგან თავის ავზნიან ძმას, რომელიცა ჩემზე უფრო ის თავისი ძმა ეჯავრება, მთელი საქართველო არ ამოაგდებინოს. ჩემის თავისათვის ესოდენ არ ვიშიშვი, ვითარცა ბატონიშვილის დედისჩემისთვის, რომელიცა არს პირველი მცდელი და მოწადინე მამულის საქმეთა.

ჩემი კატინაც ძლიერ გარეულია ჩვენს განზრახულებაში, რევოლუციის ბაირახიც შეკერა, ორდენებიც მასთან დაჭარგეს და სხვაც ყოველივე მოუხერხებია.

— სწორედ გეტყვი, კატინა, — ეუთხარი წარსულს თვეში, —

ეს ჩვენი შეთქმა ისე უჩქარად დაიწყო, შეუძლებელია არ გამჟღავნდეს, ოღონდ, შენ ნურავის ეტყვი, თორემ ქალაჩუნაობად ჩამოგვართმევენ.

გახსენება
21-ს აპრილს, 1847 წელსა

„გარეთ მოაჯირზედ რაღაც ჩხარუნის ხმა მოვიდა. მინამ იმ ხმა მიწყდებოდა, სადაც ჩვენი შვილები იწვნენ, იმ ოთახში სანთელი ჩაქრა. ჩვენს ოთახში ერთი მოახლე შემოვიდა და შეშინებულის ხმით დაიძახა:

— ბატონებო! სალდათები მოვიდნენ და ფანჯრითგან გვიყურებენ!

კატინამ ხმა არ ამოიღო. მე საჩქაროდ წამოვდექ, სანთლის ანთება ვუთხარ და კატინაც თან ამყვა ამ სიტყვით

— ვაი ჩემს თავსა! იქნებ შეუტყვიათ და ჩემი სიზმარი აცხადდეს!

— კატინო! სწორედ გეტყვი. ამის შემდეგ დიდს უბედურებაში ჩავარდები. თუ, ღვთის მადლით, მოითმენ, იქნებ, ღმერთმა კიდევ მოგვხედოს, და თუ მოთმენით არ იქნები, იმედი ნუღარ გაქვს, რომ ჩემი ნახვა კიდევ გეღირსოს. უბედურების მომთმენს ღმერთი სწყალობს და მოუთმენელზე ხელაღებულია.

კატინამ ღვთიშობლის წინ დაიჩოქა და გულმხურვალის ცრემლით დაიძახა: „ამის მადლს ვეევედრები, მე, სუსტსა დედაკაცსა, შენი უბედურება მომათმენინოს, მაგრამ მე რომ შენ უბედურებაში მეგულვებოდე, ეს როგორღა მოვითმინო?

— კატინო! მაგისთვის შენ ნუ სწუხარ. მე ვიცი, ჩემს თავს როგორაც გამოვიხსნი უბედურებისგან.

მინამ ჩემი კატინა მეტყოდა რასმეს, ჩემი დეიდაშვილი გიორგი ერისთავი შემოვიდა და განსვენებულის გულითა და მყარის სიტყვით მითხრა:

— ალეშსანდრე! კომენდანტი და პოლიცმეისტერი ჩვენს ოთახში შემოვიდნენ, სადაც მე და ვახტანგი ვდგევართ, და გვითხრეს: ბარონ როზენმა დაგიბარათო.

ეტყობა, ჩვენი საქმეც გამოცხადებულია. ეხლა რა ვქნათ?

— რაც უნდა გვტანჯონ, არ გაესტყდეთ, სხვა ვერა გვიხსნის რა.

გიორგის სიტყვის თქმა აღარ დასცალდა,. ვახტანგს პოლიცმეისტერი თან შემოჰყვა.

— ბარონ როზენმა საქმეზე დაგიბარათ, რაც ქალალდები გაქვთ, ისიც თან უნდა წამოიღოთ.

ამასუკან, ჩემს კატინას მიუბრუნდა და გულღრძოს, ცბიერის ღიმილით უთხრა (რადგან კატინამ რუსული არ იცოდა, ვახტანგმა უთარგმნა):

— თქვენ ამაზე ნუ შესწუხდებით, ორ საათში თქვენი ქმარი შინ მოგივათ.

კატინამ მედიდურის სახით მიუგო:

— პოლიცმეისტერო! რასაც მეუბნებით, თქვენი სიტყვა მართალი არ არის, მაგრამ მე კი სწორედ გეტყვით: სადაც ამ ჩემს ქმარს დასომთ საპყრობილეში, მეც ამასთან რომ შემიყვანოთ და განუშორებლად მასთან მამყოფოთ, მადლობელი დაგრჩებით.

კატინას სიტყვაზე ჩემს ძმას და გიორგის ცრემლი მოერიათ. პოლიცმეისტერმა ხმა არ ამოიღო.

გულხელდაკრეფილი მე და ჩემი კატინა ერთმანეთს შევცქეროდით.

ტანსაცმელი მოვითხოვე.

ჩემი ქალალდები პოლიცმეისტერმა თან წაიღო.

კატინას გამოვესალმე:

— კარგად გახსოვდეს, კატინო, რომელს უბედურსაც მოთმინება ეჭნება, ღმერთი გამოიხსნის.

კატინამ ქვითინი ამოუშო.

მე ბატონიშვილს დედაჩემთან შეველ, როცა ყველა განვუცხადე, მკითხა:

— მე რომ არაფერი ვიცი ამ საქმისა, ეს ხომ ყველას მოეხსენება?

— დიახ!

— მაშინ კარგია, მე გარედან გიშველით, წადი! ნუღარ ინანი. ღვთისთვის მიმიბარებიხარ.

პოლიცმეისტერმა მე და ჩემი ძმა სხვადასხვა პრისტავს გაგვატანა. მეტეხის ხიდს რომ გავცილდით, მე მეტეხის ციხის საპყრობილესთან შევბრუნდი, მაგრამ პრისტავმა აულაბრის ყაზარმებისკენ ამატარა და ოფიცრების ყაზარმაში შემიყვანა. ყარაულის ოფიცერ-

მა მაღალ ეტაჟში ამიყვანა. განმარტოებულ ოთახში დამსვეს. შიგ გუშაგი დამაყენეს თოფით.

ყური მივაპყარი: დიდი ფეხისხმიანობა იყო. ისმოდა გასვლა-გამოსვლის ხმაური. დერეფანში ბრახაბრუხი, კარების ჯაჯგური.

მივხვდი: ჩემი ამხანაგებიც მოჰყავდათ.

„ვინ გაგეცა?!“

მეორეს დღეს თვალი ამიკრეს და ბნელის კარეტით როზენს მიმგვარეს.

ნაწილი მესამე

1

„უუავგუსტესი მონარქის შეწევნით, ამიერითგან ჩემს მრავალტანჯულ ქვეყანაში ჭეშმარიტი ცხოვრების აშენებას უნდა შევუდგეთ! — თავისთავს ებაასებოდა ძვირფასი ხის ჩუქურთმებით მოვარაყებულ, ძოწისფერი ხავერდით მობალიშებულ, ფაფუკ სავარძელში მოკალათებული საქართველოს გუბერნატორი მიქაიჩი. — აღარ მაგონდება, რომელ ბრძენს უთქვამს, ხელისუფლების შენარჩუნება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე, მისი მოპოვებაო, მტერი და მეშურნე აწ მეტი მეყოლება მერედა, როგორი მტრები! თუმცა... ამ სავარძლიდან ადვილად ვერავინ გადმომსვამს... აწ სულ წინ ვიქლი... ან... ან... უფსკრულში ჩავიჩეხები. ესეც არის, რომ აქ დიდხანს არავის გაუხარია. თუ კარგი რამ იქნა, ჩემი უფროსები მითვისებენ, ხოლო ყოველს ავს მე მომაწერენ. ის ჭკუა, მოხერხება და მოთმინება, რომელმაც აქ მომიყვანა, ამიერითგან საქმარისი აღარ იქნება.

უპირველესი, რასაკვირველია, ადამიანები არიან. ადამიანები, რომელთაც წონა და ძალა გააჩნიათ... ან... უნდა გააჩნდეთ.

ჩემი მამა-პაპანი მიწის მუშები იყვნენ, მიქაელები. სანამ ხვნას და თესვას შეუდგებოდნენ, წალდსა და ფოცხს დაატრიალებდნენ...

„მტერნი ჩემნი, რომელთა არა უნდათ მეუფება ჩემი, მომგვარენით, და მოსწყვიტეთ წინაშე ჩემსა!“

დიახ, ბატონო, ძეძვის ჭრა დაწყებულია, სარეველა უნდა მოისპოს!

ხელის შემშლელნი თავადნი უნდა მოვიშოროთ. ვინ მტყუანია და ვინ მართალი, საიქიოს გადაწყვიტონ! მკაცრი სამართლიანობა მაღალის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ჩემს ქვეყანას საქმის ხალხი სჭირდება და არა სოლომონ-ბრძენები! აღმსრულებელნი, და არა ენაჭარტალა ჰკუისკოლოფები! ცოდნა, საიდანაც ჯერ არს, იქიდან მოგვდის და ჩვენც მზადა ვართ.

ამათი ამბავი ბენკენდორფს ხელმწიფისთვის მოუხსენებია. „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს "

ქალაქში სიმშვიდეა. აქა-იქ, ერთ-ორ დღეს იჭარტალებენ, გულის ჭიას დააპურებენ, და გათავდება. ხალხს მაგათი თავი არ აქვს, ყველას თავისი გასაჭირი და ყოველდღიური საზრუნავი ეყოფა. ჯერ, მარტო დოდაევის, ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის მოშორება რად ღირს!

ახლა ის ჩემი უბედური ძმა?!

(შუბლზე ხელი მოისვა).

ქალაქში ამასღა ლაყბობენ: გუბერნატორის ძმა დაუტუსაღებიათო!

ღმერთმა უწყის, პატრონობა არ დამიკლია, მაგრამ რა ვქნა: ნათესავზე ზრუნვა იქ თავდება, სადაც ხელმწიფის წინაშე მოვალეობა იწყება. თავისთავს იმის უფლებას ვერ მივცემ, მცირე დამნაშავენი დასაჯონ და მეამბოხეს ხელი დავაფარო.

ვერაფერს გავხდი. მთელი ოჯახი და გვარი გამილაფიანა. მაგისთანა ჰუჰყიანი დოსიე არც ერთ დამნაშავეს არ აქვს! ზნეწამხდარი. უნდო, შფოთიანი. ორგზის სათათრეთში გადახვეწილი. კვლავაც მთებში ოტებული. ღირსთა და ამხანაგთა დამბეზღებელი.

რა ვუსაშველო? რა ვიღონო?

მე ხელმწიფის წინაშე ჩემი ვალდებულება აქაც პირნათლად ამისრულებია და ზოგიც თავისთავს მოჰკითხოს!

ოჯახზე ამდენის დავიდარაბით „პროექტისთვის" დრო ვეღარ მიპოვნია.

ეს სავარძელი განა იმისთვის არ დავიკავე, რომ საქართველო გაჭირვებითგან გამოვიხსნა? გადათხარეს, აატალახიანეს ქუჩები და წაბრძანდნენ, საიდანაც მობრძანებულან...

საითაც გაჰხედავ, ცარიელი ხრიოკებია. შუა ქალაქში ქოხმახები და მიწურები! გამოცარიელებული ბაზრები და დუქნები! იმტვრიე თავი, ნიკო ფალავანდიშვილო!“

საკუთარი გვარის გამოძახილზე მიქაიჩი შეკრთა და ვიდრე მთავარ გულისნადებზე წუთით ფიქრს შეაჩერებდა, მიიხედ-მოიხედა... გაბრწყინებული ვეებერთელა კაბინეტი, სადაც შემოღწევა ამდენ ჰაპანწყვეტად უღირდა, ძრწოლით მოათვალიერა.

„სანამ კავკასიაში სამხედრო მმართველობა სამოქალაქო მმართველობით არ შეიცვლება, აქ წესრიგი არ დამყარდება! მგონი, სენატორთა კომისია საკმაოდ დავარწმუნე ამაში. გრაფი ქუთაისოვი მაიმედებდა, ხელმწიფის ყურამდე მივიტანთ ამასო. თორემ რა გამოდის: საქართველოს გუბერნატორი მქვია და გენერლებს უნდა შევციცინებდე თვალში, ბარონ როზენს ირონიული ღიმილით შეუძლია, ხაზი გადაუსვას ჩემს პროექტებს!“

მიქაიჩმა ოცნების გაგრძელება ვეღარ გაბედა და, რათა უკანასკნელი ფიქრით გამოწვეული შეშფოთებისათვის თავი დაეღწია, კანცელარიის მორიგეს უბრძანა, ეფრემა და ერმოლოზა შემოუშვითო.

— მოდით, მოდით, როგორა ხართ, რასა იქთ!

— ვართ, თქვენო მაღალღმატებულებავ!

— რა გიჭირთ, რა, მოვიდა ღვთის წყალობა და გაგეხსნათ ბედი.

— აღარაფრისა გვეშინია! — დაუდასტურა ერმოლოზამ.

— საქართველოს სწავლა-განათლებას თქვენ უნდა მიმიხედოთ. მე ამ ჩაოხრებული საქმეებიდან დიდხანს ვერ გამოვიშვებ თავს, ათი წელი მარტო კანონიერების დამყარებას, გაჭირვებიდან ხალხის ამოყვანას და ქვეყნის დაწინაურებას მოვუნდები, მერე კი, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებისთვისაც მოვიცლი.

— სწავლა-განათლების და მწერლობის შიში ნუ გექნებათ, თქვენო მაღალღმატებულებავ. — თავის ქიცინით მიუგო ერმოლოზამ.

— საქმე დიახ ბევრი გვაქვს. — ჩაერია ეფრემა. — ამ ბოლო ჟამს მწერლობას დიდი ქაფი მოედო, შაირი შაირს აღარა ჰგავს და ამბავი ამბავს. რაც მოძველებული, უნიჭო და გაჭიფხულია, ყველაფერი უნდა გადავაფასოთ. ლექსთმთხზველობას ქაფი მოეხადოთ და ყველას თავისი ალაგი მივუჩინოთ. ავს ავი ვუწოდოთ და კარგს კარგი.

— ლიტერატურაში სულ თქვენი კაცები უნდა ჩავაყენოთ! — აპოისივლა ერმოლოზამ.

— მაშ, როგორ! — თქვა მიქაიჩმა. გულში კი გაიფიქრა: „შაირის შეთხზვას რა უნდა! მეც ბევრი შემითხზაეს!“ — ამ ხალხის პიიტიკოსნი თქვენ იქნებით!

— ღმერთმა კეთილი ყურით გისმინოს! — ცრემლი აუკიაფდა ეფრემას. — თელემაკის ამბავს ორ-სამს დღეში გავლექსავ. ის, ძველი მესტიხეების გალექსილი, აღარ ვარგია. ჩემი უცხო რამ იქნება.

— შენ ერთი მოათავე, უმალ დაგაბეჭდვინებ! ტიპოლრაფია ჩემს ხელთ არაა?

— ვჰგრძნობ გულსა შინა ჩემსა ესრეთთა უსიამოვნესთა აღტაცებათა. — თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა ეფრემამ.

— განვადიდოთ ტრფიალება, ეშხი და ლხინი! — ხმა შეაწია ერმოლოზამ.

— მაშ, „ოსური მოთხრობა“, „მთოვარე“, „დათვი და ცხვარი“, რომელთაც დოდაევი ბეჭდავდა, პოეზია არს? — გული აუჩუყდა ეფრემას.

— გზა ხსნილი გაქვთ! ქვეყანა აღორძინებას იწყებს.

— რა კეთილი გიქმნიათ, რომ დოდაევისთვის ის აბდაუბდა ლექსები წაგიშლიათ და ყურნალიც აღგიკრძალავთ!

— რაც დოდაშვილი აქ ჩამოვიდა, საქართველო იმ დღიდან დაიქცა! — თქვა ერმოლოზამ.

— თქვენ ჰგონებთ, დოდაევის საქმე ამით უნდა გავათაოთ?! — მრავალმნიშვნელოვნად მიაჩერდა გუბერნატორი ერთგულ კაცებს. — ამიერითგან კიდევ უფრო მეტად უნდა დავთრგუნოთ და გავაწიაწოთ, რათგან ხარახურა ხალხს თავის წინასწარმეტყველად ურწმუნებიათ.

— წვეროსნები და ბეწვისქუდიანი პოლიტიკოსები დიახ განადიდებენ თათრის მეიდანსა და ყაბახზე. დიდს მეცნიერსა და ბრძენს უწოდიან. — თქვა ერმოლოზამ.

— მაგის ცოდნა სად რას გამოგადგება! მაშ, ვისაც არისტოტელეს კატიღორია არ გაუგია, პური ვეღარ უჭამია და ღვინო ვერ დაულევია! — წამოწითლდა ეფრემა.

— ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ერთს არზაში ოთხი შეცდომა

უპოვნიათ! არც ის, რომ მეზობლის რძალთან შეუსწრიათ და მაგრა უჟეჟიათ ქისიყში! — შეახსენა მიქაიჩმა.

— ზამთარ-ზაფხულ ცინგლი ჩამოსდის! — დასძინა ერმოლოზამ.

— ბერის ხელაშვილის ლექსიკონი მიუთვისებია და ათასი თუმანიც დაუტოვებია!

— შეგირდთაგანაც ქრთამები აუღია!

— რასაც მეტს მოიგონებთ და რაც მეტს ხალხს გააგებინებთ, მით უკეთესია! — მოქურუშებით თქვა გუბერნატორმა. — ეგეთი მატყუარა კაცები ციხეში ათჯერ უფრო საშიშნი არიან და სიკვდილის შემდეგაც ასჯერ უფრო მოსარიდალნი.

— იმას ჩემი სისხლი ჰმართებს! — გული ამოუჯდა ეფრემას.— ხომ გახსოვთ, კომიტეტში, ჩემი ლექსების განხილვაზე, რა უსამართლო დღე დამაწია!

— ერთი ერთგულიც არავინ დაუტოვოთ! იჩურჩულეთ და იპუტუნეთ ხალხში: „თქვენ იცით, ვინ აღმოჩნდა დოდაშვილი?..“ ასე კიდევ უფრო უკეთესია, ვინემ, რამე მოუგონოთ. ვინ იცის, ვინ რას იფიქრებს.

— მაგან რომ მცირე გლახაკი ღრამმატიკა ოდენ დაბეჭდა და მე რომ იმ ღრამმატიკაზე კრიტიკა დავუწერე, მინდა ის კრიტიკა გაზეთში მივსცე.

— ინსპექტორს ვუბრძანე, დოდაევის ღრამატიკა და რიტორიკა შენ მოგეცეს.

—ღმერთმა გიშველოს!

— გარყვნა შეგირდნი, განაერცელა მათში ბოროტგანზრახულობა.

— პოლშაშიც დიდნი კაცნი ყმაწვილებით მოქმედებდნენ და დაგვიტოვა ჩვენც გველის წიწილნი.

— გუშინ მელიტონ ბარათაშვილი იყო ჩემთან, ტატოს გამოხსნას მეველრებოდა.

— ოხ, ის კატილინას კუდი! — სახე დამანჭა ეფრემამ. — ჩემზე ფილიპიკა შეუთხზავს და მისგან კიდევ ბევრს უნდა ველოდეთ.

— მამამისს ვუბრძანე კარგა გაროზგოს და, მელიტონი ისეთი კაცია, არას დააკლებს.

ეფრემა და ერმოლოზა ერთობ ბედნიერად გრძნობდნენ თავს,

რომ ათასი საქმით დაღლილი, ხელმწიფის ტოლა მოხელე ამოდენა დროს პოულობდა მათთან სალაპარაკოდ.

გამომშვიდობებისას, მიქაიჩმა ეფრემა ორიოდე წუთით მარტო დაიტოვა და შეატყობინა, რომ „საგამომცემლო კომიტეტში“ დოდაშვილის ადგილს ის დაიკავებდა, და, ბოლოს, უთხრა.

— ხომ იცი, ჩემმა მშვენიერმა ძმამ ქორწინების საქმე ჩამიშალა ორჯერ მივგზავნე ორბელიანებთან და ორივეჯერ ისე მობრუნდა, რომ პასუხი ვერ მოიტანა. რა საქმეს მიჯანჯლებენ, ვერ გამიგია. უცოლოდ ჩემი დარჩენა არ შეიძლება და, ნათიმზეს გარდა მე სხვა ქალს არ შევირთავ. მამამისს, მე თუ არ ვიხსნი, მამაზეციერიც ვერას უშველის. „გერალდის დეპარტამენტს“ ეს „ბუნტიც“ ზედ დაერთო. ფეფენო მივუგზავნე, რომ თავისებურად, შემოვლით, გააგებინოს, დასმენილიათქო. თუ სახრჩობელას გადაურჩა, კატორღა მაინც არ ასცდება-თქო. იქნება მომცენ ეგ ქალი, ჩემი საბელიც იქნება და მაგათიც!

კიდევ ერთხელ დააგდეთ ხმა, გუბერნატორი ორბელიანის ქალს აღარ ირთავს, რადგან ხელმწიფის მოღალატე ყოფილა და მთელის ოჯახით ციმბირში გადასახლებას უპირებენ-თქო.

2

— იმან უჭკუობით თავი წააგო შენ უნდა გადაჰყვე? — ჩასჩიჩინებდა ანა ჯავახიშვილი განსაცდელში ჩავარდნილ ქალიშვილს.

— თან გადავჰყვები! ერთ წუთს არ მივატოვებ! მე და ჩემი შვილები მისი ზვარაკი უნდა შევიქნეთ!

— რას ამბობ, რას! ხელმწიფის მოღალატეს უნდა შეეწირო? მესამე თვეა, ცოცხალია თუ მკვდარი, არ ვიცით.

— გამოიძიებენ, გამოუშვებენ.

— ისემც რა გითხრა! პირველი დამნაშავე და ქვეყნის ამტუტებელი ეგა ყოფილა.

— რის დამნაშავე! ჩემზე უკეთ ვინ იცნობს სოლომონს! დღედაღამ ერთად არ ვიყავით? ვერ ვხედავდი, რას აკეთებდა, რას ფიქრობდა? ნიადაგ საქმეში ამოსდიოდა სული. ნეტამც, იმისთანა ცოტა მაინც ჰყავდეს ქვეყანას.

— ვერა ხედამ, რომ მისი სახელი საძრახისი და სათრევი გამხდარა?

— როგორ იქნება, ვისმე სძულდეს, რომ ყველა უყვარდა და ყველასთვის კეთილი ეწადა?

— მაშ, რა იყო, რომ თახჩაში ქვაბებიც არ დარჩენიათ გაუჩხრეკავი?

— მთავრობა მართალსა და მტყუანს კი გაარჩევს.

— ქვევრში ზიხარ და მის სიტყვას ამოსძახი! აბა, ქალაქში ნახე, რა ლაპარაკია!

— ილაპარაკონ, რამდენიც ნებავთ. ენას მოიქავებენ და დადუმდებიან.

— ლენა! გამიგონე! მოუსმინე მოამაგე მშობელს. სამი წვრილ-შვილის დედა ხარ. ობოლი დამრჩი, ფუფუნებაში გამოგზარდე. აქ დამისნეულდი. მე შენი ბედი მაწუხებს, მოვლა, სიმშვიდე გჭირდება. ქმარი იმისთვის გაჩენილა, რომ ცოლ-შვილზე იზრუნოს. შენ გარეთ სირბილი სად შეგიძლია. მე, აი, მესამედ გავთხოვდი, რადგან ქალისთვის უქმროდ ერთი დღეც ჯოჯოხეთია.

ელენეს რისხვამ გაუარა თვალებში. სანამ სოლომონი იყო, შუაკაცებს გზავნიდა კოლეგიის მრჩეველ კუზოვნიკოვზე დაქორწინების ნებართვისთვის, — დუშეთში მამულის გაყოფაზე ედავებოდა.

— მე თავად ვიცი, როგორ მოვიქცე.

— შენ უკეთესი ბედის ღირსი იყავი, ჩემო გოგო. სიპიაღინის ახირება ძვირად დაგვიჯდა. მე მყავდა შენთვის საქმრო, დედოფალივით გაცხოვრებდა, თითს თითზე არ დაგაკარებინებდა, მაგრამ დამიჟინა სიპიაღინის ცოლმა...

— რას ამბობ, დედა არა ხარ? — ქვითინი აუვარდა ელენეს. — მე ათასი დარდით გული მისკდება, შენ კი რას მირჩევ! ოთხი წელი ჩემზე ბედნიერი ცისქვეშ არავინ იყო, ეხლა, ღვთის ნებით, უბედურება გვეწვია, ოჯახი მხრებზე დამაწვა, ქმარ-შვილს კერა გავუცივო? უწინამც დღე დამელევა!

— ხვალ, ზეგ, იმ გაისს, რას აპირებ? რაც ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა მოხდეს, არ სჯობია, დროზე მოახდინო?

— გამიგონე, დედა! — თავი დაიმორჩილა ელენამ. — ჩვენ იქ ვიქნებით, სადაც ის იქნება!

— მაშ რათ გინდოდა ეს ფრანციცული, ფორტეპიანო, ტანცები?

— მე მისგან გავიგე, რისთვის მისწავლია, რისთვის ყოფილა საჭირო ცოდნა! მე მისი პირველი მოწაფე ვარ. მის ხელში სხვა ადამიანი შევიქენ, ბედნიერება გავიგე და არასოდეს უკან აღარ დავბრუნდები. ყველაფერი, რაც ამქვეყნად ძვირფასია ერთგულება, სიყვარული, მოვალეობა.

— შენ ბოდავ, ლენოჩკა! რას ლაპარაკობ, არ იცი! იჩქარე, მინამ ულუკმაპუროდ დარჩებოდე. საზოგადოებაში გამოდი, შენი სიტურფე გამოაჩინე.

— დედა! — პირზე ხელი ააფარა ქალიშვილმა. — როგორ შეგიძლია ასე დასცინო ადამიანს, რომელიც მხოლოდ სამი თვეა, რაც ამ სახლიდან წაიყვანეს და რომელსაც საკუთარი თავისთვის ერთი დღეც არ უცხოვრია!

— მე არ მესმის, რა უნდა მოგწონებოდა მისი?

ელენემ გაოცებით და მძულვარედ შეხედა დედას.

— არასოდეს არ მიფიქრია ამაზე!

— ლაქათით დაუბრმავებიხარ!

— ჰმ! რა სხვადასხვა თვალით ვხედავთ ქვეყანას! სოლომონს, ალბათ, არასოდეს უფიქრია ჩემი გულის მოგებაზე. არც ვიცი, რას ნიშნავს ეს. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით, ყოველ წუთს საქმე და საზრუნავი გვქონდა, ეს ცხოვრება იყო ჩვენი განუწყვეტელი ალერსი და სიყვარული.

— მეხი კი დაგაყარე მაგ უხეირო თავზე! სულ კობიანთკენ წასულხარ, რა იქნებოდა, ცოტა ჩემი თავადური სისხლიც გამოგყოლოდა!

— დედა, რა იქნება სხვა რამეზე ვილაპარაკოთ?

ანას უნდოდა პირში მიეხალა, იმ გაგრიას თავი ხომ არ უნდა გადააყოლოო, მაგრამ შვილს დააკვირდა და ეს უთხრა:

— ეფრემამ თქვა, რაც ის აღარაა, გიმნაზიამ შვებით ამოისუნთქაო.

— ისევ სიცრუე! რამდენი მასწავლებელი და შეგირდი შემომტირის, დავიღუპენითო.

— ამას წინათ ერთ შეგირდს ზარი შემოუკრავს. დასტაკებია

ინსპექტორი, როგორ გაპბედე და ზარი დარეკე, როცა არავის უბრძანებია, შენ დოდაევის დრო ხომ არ გგონიაო!

— ეს მჯერა, არ ანებებდა ყმაწვილების ცემას.

— სკოლა შეგვიბილწა, მასწავლებლებს რაღა ძალა გვექნებაო.

— დემენტიევისგან შევიტყვე, გამომძიებლის შეკითხვაზე მანასეინს მიუწერია: „უნარიანი, ღირსეული პედაგოგი იყო. განთიადიდან მიმწუხრამდე თანამდებობასა შინა მყოფიო". ზოგს შეიძლება მართლაც ლოდი ჩამოეცალა სოლომონის დაჭერით. არ გამიკვირდება.

— მაგაზე უთქვამთ, ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ეჩვენებაო.

„აღარაფერი მიკვირს. — გული აუჩუყდა ელენეს. — საცა რომ ძმისშვილებმა და ნათესავებმა იმ დღესვე მიგვატოვეს და, რაც ხელთ მოხვდათ, თან გაიყოლეს, სხვათაგან რას უნდა ველოდეთ! ვითომ, სწავლისთვის იყვნენ ჩამოსულნი! მათთვის პირიდან ლუკმას იღებდა და უნაწილებდა, ღამეს ათენებდა, მათ კი დაჰკრეს ფეხი და ამბავსაც აღარ კითხულობდნენ! „ბუნტი კაცი" ყოფილა, მთავრობამ ჩვენც არა გვიყოს რაო! როგორც ბუზი თაფლს, ისე გვესეოდნენ, ახლა ერთიც აღარა ჩანს ხელაშვილის ძმები რაღაც ვალებსა გვთხოვენ, ჩვენმა ძმამ რომ პეტერბურგიდან განძი გამოატანა, ის დაგვიბრუნეთო. პირზე „ხვასტაგი" აკერიათ, კაცი კი აღარ ახსოვთ! თვალს აცეცებდნენ, რა წაიღონ. საწყალი ჩემი მამამთილი და სტეფანე რომ არა, ღმერთო, რა ცუდი ნათესავობაა! ეს ამდენი მევალე საიდანღა გაჩნდა. არც ვექსილი, არც ხელწერილი! სულიან-ხორციანად რომ გავიყიდო, ამდენ ვალს მაინც ვერ გადავიხდით! გიმნაზიიდან ოთხას სამოცდათვრამეტი მანეთი დარჩენია ასაღები. იმასაც, ვინ იცის, მოგვცემენ თუ არა. რა გვეშველება? რით ვიცხოვროთ? ნეტავ, მალე მაინც გამოუშვებდნენ! ჩვენი სახლის ასაშენებლად რაც აგური და ფიცარი იყო, სულ ერთიანად დაუპარნიათ! რამდენი მე იმ სახლის მოწყობასა და მორთვაზე მიოცნებია! მესიზმრებოდა სოლომონის კაბინეტი, ბავშვებისთვის ცალკე ოთახი, ბიბლიოთეკის კარადები, დარაიბაბთის ფარდები... ღმერთო, რა მწარე გამოღვიძებაა!"

— სულ შეჩვენებული გუბერნატორის ძმას დავუღუპნივართ!

გამოარკვია ელენე დედის ხმამ, მაგრამ ლაპარაკში აღარ აჰყვა.

ბავშვები ერთადერთ შემორჩენილ მომხმარე გოგოს აღარ უსმენდნენ, დედას ითხოვდნენ. ძუძუთა კოტე ტირილით იკლებდა სახლს. კარმა საცოდავად დაიჭრიალა.

— რა დღეში ხარ, შე ბედშავო?

— ნეტავ ის კარგად შეგვრჩებოდეს და არ ვჩივი.

— ღმერთია შენი შემწე — თავზე მსუბუქი ლეჩაქი შეისწორა ანამ და წასასვლელად წამოდგა. — თვალ-გულს ნუ ამოიღებ.

გაქრა დღის ორომტრიალი. დასადგურდა ზამთრის წყნარი საღამო ოჯახური ფუსფუსით. დაეშვნენ მტკვრისკენ ტანაშოლტილი გოგოები მხარზე შემოდგმული მოხატული კოკებით.

დარჩა ელენე მარტოდმარტო უმწეო შვილებთან, მწარე ფიქრებთან და დარდებთან.

გათენდება თუ არა, ყველა ნაცნობთან და უცნობთან უნდა მივიდეს ქმრის ამბის შესატყობად. ეხვეწოს, ემუდაროს და ენას კბილი დააჭიროს.

„საიდუმლო, საიდუმლო, საიდუმლო... ლამის საკუთარ ნაჭუჭში გამოიხრჩოს! არავინ შენს ოჯახში არ უნდა შემოუშვა. სიტყვა არავისთან არ უნდა დაგცდეს... არავინ შენს ტანჯვაზე არ გიჟდება. უკვირთ და ეს არის!

შეეხედ სახლსა შინა, დახშე კარი შენი და ილოცე საიდუმლოდ, რათა არა აჩვენო კაცთა!“

3

ალექსანდრე ორბელიანის 1850 წლის უბის წიგნაკიდან

„დატუსაღებული ავლაბარში ამიყვანეს და ოფიცერთა პოკროვსკის ყაზარმის ფლიგელში დამამწყვდიეს.

გარედან კლიტე დაადეს.

დარაჯი დამიყენეს.

დილით სალდათის კალატოზი შემოვიდა, ფანჯრებზე სქელი გაჯი წაუსო და ოთახი ისე დააბნელა, მზის შუქი ძლივს დაინახვებოდა.

სადილობის დროს დარაჯი შემოვიდა. სადილი შემომიტანა.

მეორე დილით ყარაულის ოფიცერმა და ხუთმა ხიშტოსანმა ქვემოთ ჩამიყვანეს და ერთს დიდს სახლში შემგზავნეს.

იქ ორი გენერალი, ერთი პოლკოვნიკი და სამი-ოთხი ოფიცერი მელოდნენ.

გენერალმა ბაიკოვმა სკამი შემომთავაზა და ზრდილობიანის ხმით მითხრა:

— კნიაზო! თქვენ, რამთენსამე საქართველოს თავადებსა, შეთქმა გქონიათ ხელმწიფის წინააღმდეგ. ჩვენ ყველაფერი დაწვრილებით ვიცით და აღიარეთ გულწრფელად.

— პირველი გაგონება არის ესეგვარი უსჯულო შეწამება ჩემზედ.

— ოჰო! კიდეც რომ ჰმალავს და არა სურს გამოტყდომა!

— მამა ხელმწიფის ერთგულებისთვის მომიკლეს ქართველებმა!

ბაიკოვმა გულმტკივნეულად მითხრა:

— თქვენს გარდა, ყველა გატყდა. სულ ამას ამბობენ, შეთქმის თავი და თავი თქვენია ხართ, ძმამ და ახლო ნათესავებმაც ეს გვითხრეს. აღიარე, თორემ მოხუცებულს დედათქვენს შეიპყრობენ. ქვეყნისათვისაც ავი იქნება. გვინდა, თქვენის აღიარებით, ხელმწიფის განრისხებული გული მოვალბოთ.

გენერალმა ვოლხოვსკიმ წინ დამიდო ერთი დასტა დაწერილი ქაღალდი.

იასე იოსების ძე ფალავანდოვს დავუღუპივართ!

მისი ხელი იყო.

სამს საათს ვკითხულობდი.

იასეს ყველა ჩვენი საქმე დღიურ ჩანაწერებად ეკეთებინა.

ერთი საათი თავჩაღუნული ვიჯექ. „ამას როგორ გაბედავდა? თვითონ პირველი შეთქმულია, ჩვენ ყველაფერს მას დავაკისრებთ“.

— შემოიყვანეთ დამბეზღებელი!

— არ შეიძლება! — მითხრა ბაიკოვმა.

— გვარი გამაგებინეთ.

— არ შეიძლება!

არავითარი განმარტება არ მიმიცია. მეოთხე ღამეს შტაბის უფროსმა გენერალმა და პოლკოვნიკმა ტრიტილევიჩმა ბნელის კარეტით კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის სარდალთან, გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენთან წამიყვანეს.

— ვერც იქ გამტეხეს.

დამაბრუნეს ისევ ჩემს ბნელს წყვდიადს ოთახში და ათ დღეს შარტოდენ პურსა და წყალზედ მამყოფეს.

ძლიერ ავათ მეკიდებოდნენ, რომ გავტეხილიყავი, მაგრამ ვერას გზით ვერ გამტეხეს.

მეგონა, ვერავის ვერ გასტეხენ-მეთქი, რადგან ადრითვე პატიოსანი პირობა დაგვედო ამხანაგებს: თუ ეს საქმე გამჟღავნდებოდა, არ გავტეხილიყავით.

მარტო იასეს დაბეზღებით ვერ გამტეხდნენ, მაგრამ, მიყვანისთანავე, ყველა გატეხილიყო და მე რაღა ვექნა.

ვისაც ყველაფერი ჩაეკენჭა, ან ვისგანაც დიდს არაფერს ელოდნენ, ისინი ერთად ჰყავდათ საკნებში და ვისაც ჯერ არავითარი განმარტება არ მიეცა, ისინი კი, ცალ-ცალკე, და დიახ ცუდს დღეში.

ყოველ დილა-საღამოს მეძახდნენ.

— პატარა ხანს დამეხსენით და ყველას გეტყვით

— მოვიცდით!

ფიქრში ჩავვარდი. შეჩვენებული იუდა იასე კომისიაში პირს დაშადგა...

მეტი ღონე აღარ მაქვს, გამოვტყდები“.

* * *

სტრიქონები საიდუმლო ანბანით დაწერილი პატარა ბარათებიდან, რომელთაც ალექსანდრე ორბელიანი საპმელში სდებდა და ელიზბარ ერისთავს (უთუოდ სხვა შეთქმულ ტუსაღებსაც) უგზავნიდა.

„10 ივნისს.

ყოველგვარს საქმეზე იასე უნდა მივსცეთ პირში. ყველაფერი შას უნდა გადავაბრალოთ. ისე უნდა გავალაფინოთ, რომ აღარაფერი დაუჯერონ“.

„23 ივნისს.

რაც უფრო მეტი ხალხი აღმოჩნდება ჩვენს საზოგადოებაში, მით უარესი იქნება ჩვენთვის, ამიტომ ნუღარავის დაასახელებთ“.

„3 თებერვალს.

თავი გავიმაიმუნოთ და მოვისაწყლოთ. იტყვიან, სულელები ყო-

ფილანო, ამათ რა პასუხი მოეთხოვებათო! შემატყობინეს, მთავრობასაც იამება ესო, — იტყვიან, ყველაფერი ბალღური ცელქობააო, რამდენიმე ჭკუანაღრძობის სიანცეო".

„15 თებერვალს.

იუდა იასეს ჩემი საწყალი მოლა ზამანაც დაუსახელებია. გუშინ მოიყვანეს".

• • •

ნახშირით მინაწერები, რომლებიც ვახტანგ ორბელიანმა საპირფარეშოს კედლებზე ამოიკითხა:

„მამა ფილადელფოს, ხარ თუ არა?"

„სოლომონ დოდაშვილო, ხარ თუ არა?"

„მაგრად იყავით, ნუ გეშინიათ ნურაფრისა!"

„არ დაინდოთ მოღალატე იასე!"

„ვახტანგ! შენ თქვი, რომ, ვითომც, შენი ძმისგან გაიგონე, რომ მე მიმალავდნენ შეთქმულების ამბავს, რადგან ეშინოდათ, რომ მე გავცემდი! დ. ე. (დიმიტრი ერისთავი).

• • •

„ვინ გაგიწია მეგობრობა, რომ აქა ხარ?"

„იასე, რომელსაც ღმერთისა არ ეშინია და სინდისი არა აქვს".

• • •

„დიმიტრი! როცა, ამ კედელზე ნახავ ნიშანს—(მინუს) წვემოთ, ჭილაში იპოვნი წერილს. თუ აიღებ, დანიშნე + (პლუსი)".

4

— ბატონო ლეონტი! — ეუბნებოდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გენერალი სავარსამიძეს. — ზოგ ჩვენგანს კი

სჯეროდა ჭეშმარიტება ჩევკინის სიტყვისა თავადაზნაურთა კრებაზე: „რამდენიმე ქართველმა თავადმა და აზნაურმა მთავრობის წინააღმდეგ ბოროტი შეთქმულება განიზრახა, მაგრამ მთელი წოდება გულმოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობას“. მანამდის, როგორც მოგახსენეთ, ბარონმა, ჩემის რჩევით, აუწყა სამხედრო მინისტრს, რომ ქართველი თავადაზნაურობა საზოგადოდ არ ურევია ამ ბოროტ განზრახულობაში.

გუშინ საღამოს კორპუსის მეთაურმა მოისურვა წამეკითხა ღრაფის ჩერნიშოვის რესკრიპტი, რომელშიც გამოცხადებულია კაცთმოყვარე მონარქის უზენაესი ნება, ფრიად სასიხარულო და სანუკვარი საქართველოსთვის. „ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, ამ საქმეში მთავრობის მიზანია გამოარკვიოს ჭეშმარიტება და სასტიკად დასაჯოს მხოლოდ ისინი, ვისაც უკიდურესი დანაშაული მიუძღვის და არ დაამძიმოს ხვედრი უდანაშაულოთა“.

ბარონმა განმარტა, რომ რამდენიმე პირის ბოროტი საქციელი არ ეხება კეთილშობილთა წოდებას საერთოდ, რადგან მისი უმრავლესობა ჰკიცხავს და სიძულვილს გამოთქვამს დაპატიმრებულთა მიმართ.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენგან მოითხოვენ შენარჩუნებულ იქნას ქართველი თავადაზნაურობის ერთგულება ტახტისადმი. ამ მისიით გახლავსთ მოვლინებული პეტერბურგიდან გენერალ-მაიორი ჩევკინი.

— თავადო, დარწმუნებული ხართ, რომ შესაძლებელ არს ესე?

— დიახ! ქართველი თავადაზნაურობის ღირსების დაცვა თვით ჩვენზეა დამოკიდებული.

— როგორ ფიქრობთ დაფარვას ჩვენსა?

— მაქვს სარწმუნო საბუთი, რომ ახალთა შეთქმულთა სრულიად არა უწყიან რა „მაღალს იარუსზე“ ერმოლოვის დროისა. არცერთი ჩვენგანი არაა დასმენილი, თვინიერ ჭევჭავაძისა, რომელიც შეგვიძლია იოლად გამოვიხსნათ. ვისიც სახელი და ამბავი ჩემმა ძმამ, ალექსანდრემ და იმათ კაცებმა იცოდნენ, ისინი გამოჩნდნენ, და ვისიც არა იცოდნენ რა, უფრო მომეტებულისა, იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაფარულად რჩებიან.

— პეტერბურგში რომ ყველა ქართველი დაუპატიმრებიათ და აქ ჩამოყვანას უპირებენ?

— „პირველს იარუსზედ“ არც მათ მოეხსენებათ რამე.

— მაინც ხომ შიშში უნდა ვიყოთ ყველა?

ამ უბედურებიდან საქართველოს სასიკეთოს საქმე უნდა გამოვიყვანოთ, რათა მტერმა ვერ გაიხაროს.

ახლანდელს დროში ქარიშხლებს უნდა ვერიდოთ, ჩვენს სატკივარსა და საქმეს მშვიდობიანობა და გონიერება სჭირდება. ისტორიული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი. მამულს ჩვენგან აქვს ხსნის იმედი. ყოველის ამისი საძირკველი სამოქალაქო მმართველობის შემოღება გახლავთ. ქვეყანა წელში გასწყდა ამდენის სამხედრო წესებით. კარგად მოგეხსენებათ, რა მოგვიტანა საპიაგინმა, სტრეკალოვმა, პანკრატიევმა.

ხელმწიფე დიაღ გულმოდგინედ იხილავს სენატორთა რევიზიის მასალებს და ახლის მმართველობის „პროექტს“. ეხლა რომ ეს შეთქმა სახელმწიფოსთვის საშიშო საქმედ ცნონ, ნდობა აღარ გვექნება, „გაიძვერა აზიელებად“ ჩაგვთვლიან, სამხედრო წესებს აღარ მოგვაშორებენ და სამოქალაქო მმრათველობას აღარ გვაღირსებენ.

ხელმწიფეს ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ უნდა წარმოვუდგინოთ. საქართველოს მებატონეები მისი საუკეთესო და საიმედო პოლიციაა.

— ვითარ ირწმუნოს ეს, როცა მთელი ჩვენი ყმაწვილკაცობა დატუსაღებულია?

— გარედან უნდა მივსცეთ ამ საქმეს მიმართულება. ჩეკინის შემდეგ, „ყაზარმებში“ ახალი წესია. გუშაგები მოუმატეს, კამერებიდან თითო-თითოდ გაჰყავთ და ცალ-ცალკე ატყუებენ. მთელი კვირაობით ცარიელ პურზე ამყოფებენ. ფეხის დაბრახუნება და ყვირილი შემოიღო. დაკითხვებზე და დაპირისპირებისთვის ღამით აღვიძებენ. უძილობით სტანჯავენ. ამათ ფიცი ჰქონდათ, რაც უნდა გვტანჯონ, არ გავტყდეთო, მაგრამ დღეს ერთმანეთს ეჯიბრებიან მაბეზღარობაში. პეტერბურგშიც, იმპერატორის ბრძანებით, საიდუმლო-საგამომძიებლო კომისია შექმნეს, განერალ-ადიუტანტ გრაფ ორლოვის მეთაურობით, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ამ საქმეს.

— თაყვადო, თვითონვე აღიარებთ, რომ გარედან არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეიძლება!

მიქაიჩს ყურადღების გარეშე დარჩა ეს შეკითხვა.

„საქმის ასეთი დაბოლოება ხელმწიფეს ჩვენზე უფრო სჭირდება. ამ შვიდი წლის წინანდელი მხედართა გამოსვლების საშინელი დასჯის შემდეგ, ჩვენი ხელმწიფე ევროპაში ჯალათად იხსენიება. ათასი სიავე იბეჭდება მის მრისხანებაზე. ყველაზე მეტად ეს ხელს აძლევს როზენს — აქაც კეთილ სახელს მოიხვეჭს, ხელმწიფეც დიდ დიპლომატად ჩათვლის და ერთგული მრჩევლის როლს ახლა ვერავითარი ძღვენი და საჩუქარი ვერ შეედრება. უმთავრესია, აქაურ საქმეთა ყველაზე მცოდნე და სანდო მოხელედ მაღიაროს. ტკბილი სიტყვით, თავაზიანი რჩევით ყველაზე უფრო შეიძლება იმისი გულის მოგება. ეჰვი არ უნდა ეპარებოდეს, რომ ყველა შემთხვევაში ხელმწიფის საქმეს ემსახურება!“

— თავადო, ნუთუ, უპირველეს კითხვაზე პასუხი არ გაქვს?

— ჩვენს საზოგადოებას მართებს დიდი გულმოდგინება! — ბუნდოვნად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა გუბერნატორმა, რომელიც გრძნობდა, რომ არგუმენტები მის მხარეზე იყო, და მისთვისვე შეუმჩნევლად, ისევ ფიქრს დაუბრუნდა.

„საქართველოს ბევრი შეგნებული და შეუგნებელი მტერი ჰყავს. სხვა დროს მათს აღმოჩენას და ჩამოშორებას ათეული წლები დასჭირდებოდა, იქნებ, ვერც მეპოვნა, ახლა კი, ნებაყოფლობით გამოჰყვეს თავი. ფარული ბრძოლითა და პირდაპირი შეტაკებით ამდენ ხელისშემშლელს თავის დღეში ვერ ჩამოვიშორებდი გზიდან, დღეს მთავარია, მხედველობიდან არავინ გამომრჩეს. ეს შეიძლება ჰკუის სასწავლი გაკვეთილი გახდეს! ყველა გამტყუნებული უნდა იქნას, დასჯით კი, მხოლოდ ოთხი-ხუთი უნდა დაისაჯოს. ბოლოს და ბოლოს, მე ღვიძლ ძმას არ ვინდობ საქართველოს ბედნიერებისათვის!“

— ბატონო გენერალო! ფანატიკოსებს უნდა შევებრძოლოთ, რათა გადავარჩინოთ პატრიოტიზმი!

— ამდენი დიდკაცობა?

— ყველაფერი პასკევიჩსა და ზავილეისკის უნდა გადააბრალონ. უნდა თქვან, რომ როზენის მოსვლისთანავე თავი გაანებეს განზრახულობას. ასე უნდა მოიქცნენ, რომ მთავრობამ იფიქროს, მთელი ეს შეთქმა პატარა ბიჭების ცელქობა ყოფილაო. რწმენით კი არ მოსვლიათ, არამედ უვიცობითო, და ეს რა შეთქმა უნდა იყოსო.

მათაც დავიხსნით, ჩვენს თავსაც და საქართველოსაც!

— მთავრობა ამის საშუალებას არ მოგვცემს.

— არხეინად ბრძანდებოდეთ, „ყაზარმები“ ჩემს ხელთაა და გამოძიებას, ამის შემდეგაც, როგორც მინდა, ისე წავიყვან. ციხის კომენდანტი შოსტაკი არაფერს დამიმალავს. (თავისთვის: „ბორჯომის ხეობაში დასახლება და მამულის შეძენა განუზრახავს, ეს უჩემოდ არ მოხერხდება“). პლაცმაიორი და უნტეროფიცრები რა საკითხავია. ვოლხოვსკი, ბაიკოვი და ტროტილეიჩი თვალში შემომცქერიან. საგუდიტორიო დეპარტამენტი მე მეკითხება. ახლესტიშევმა სასამართლო სენტენცია ჯერ მე გამაცნო. (თავისთვის: მოეხსენებათ კორპუსის სარდალთან და სამხედრო მინისტრთან ჩემი ურთიერთობა!“). ერთი სიტყვით, ჩემზე კარგად არავინ უწყის, რა ხდება საპყრობილეში. დღეში ორჯერ დაწვრილებით მომახსენებენ, ვინ რა თქვა, ვინ რომელ კამერაში გადაიყვანეს, ვინ რა ჭამა და როგორ ეძინა. როცა ტუსაღები აგურამოშენებულ კარიდან ან კედელზე რაკუნით ერთმანეთს ელაპარაკებიან, ჩემი კაცები ამასაც ყურს უგდებენ და მატყობინებენ. ბარონმა ჩემის რჩევით გასცა განკარგულება, ახალმოყვანილნი ცალ-ცალკე საკნებში ჰყოლოდათ, ხოლო, როცა გატყდებოდნენ, სამ-სამი ერთად მოეთავსებინათ. გატეხილებს სასულიერო წიგნებსაც აძლევენ, უფლება აქვთ, ოჯახს შეუთვალონ, რაც სურთ, სასმელ-საჭმელსა და სამოსელსაც იღებენ შინიდან. ვისაც რა ეამებათ, იმას აჭმევენ — ჩაი, ყავა, კაკაო. ამ ჩემის თათბირისათვის კორპუსის მეთაურმა მადლობა მითხრა, რადგან ასეთი მოპყრობით ყველანი იოლად გატყდნენ და მხოლოდ იმასღა ცდილობდნენ, ყველა ცოდვა ერთმანეთს გადააბრალონ და ერთმანეთის შური იძიონ. უფრო კიდევ იმიტომ, რომ ხედავენ, მთავრობას ყველაფერი სცოდნია და იქიდან აქამომდე ვიღაცას მათის ყოველი ნაბიჯისათვის თვალყური უდევნებია. „საიდუმლო ანბანიც, დიდი ხანია, იქა ჰქონიათ და იმერელი ბერის „აქტი გონივრულიც“.

ალექსანდრე ორბელიანი ხუთი-ექვსი დღე დიად ჯიუტად იქცეოდა, მაგრამ, როცა წინ დაუდეს ჩემი ძმის ნაწერი, თავისივე საკანში მოითხოვა გენერალ ვოლხოვსკისთან შეხვედრა და ყველაფერი ერთბაშად დაფქო. დღეს იმაზე ენაწყლიანი ერთიც აღარაა. შეშინებულია, მოხუცი დედაჩემი არ დაატუსაღონო, რაკი სამივე შვილი

ხელმწიფის მტრად გაუზრდია და თავისი ძმისთვისაც პირველი წერილი საკუთარი ხელით მიუწერია ყიზილბაშში.

— თუკი რამ შეგვიძლია, ჩვენც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა თეკლას დატუსაღება ავაშოროთ! — თქვა ლეონტი სავარსამიძემ.

— დიახ მართალი ბრძანდებით, ბატონიშვილი საპყრობილეს უნდა გადავარჩინოთ. მაგრამ ალექსანდრემ და ვახტანგმა ისე შეირცხვინეს თავი, რომ ერთმანეთსაც აღარ ზოგავენ.

— ეს რას მოველსწარით, თავადო! ყიზილბაშთან ომებში ძმები ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, მე წავალ სისხლის დასაღვრელად, შენ დარჩიო, ახლა კი ერთმანეთს აღარ ინდობენ.

— ალექსანდრეს მთელი ცხოვრება მიუტევებელი შეცდომები მოსდიოდა, საპყრობილემ სულ თავზე ხელი ააღებინა. რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“, რომელიც გრიგოლ ორბელიანს უთარგმნია, ელიზბარ შანშეს ძეს დააბრალა, მან მისცა სათარგმნელადო. თავისივე ჩვენებით, მისი სარდაფიდან ოთხი ქოთანი გამოუტანიათ, შიგ კეწკეწად შენახული პროკლამაციებით.

გუშინ იქამდე მისულა, კამერაში ვოლხოვსკი დაებარებია იმის განსაცხადებლად, ჩვენი მეთაური ჭავჭავაძე იყოო.

— Не дай бог! — წამოიძახა გენერალმა.

— მშვიდად ბრძანდებოდეთ, ჩვენ ამას არ დავუშვებთ! — მტკიცედ მიუგო მიქაიჩმა. — ჩემის ჯიბრით, ხმაშეწყობილად, ყველა უბედურებას ჩემს ძმას აბრალებენ. ციხეში საიდუმლოდ შეთქმულან, რათა საქმის დამწყებად, მეთაურად და დამსმენადაც იასე დაუსახონ მთავრობას. თვითონაც ვიცი, რომ ყველაზე მძვინვარე შეთქმული, საშინელის განზრახვებით, თვით ჩემი მოკვლის, ოჯახის ამოწყვეტის შლეგური მოწადინებით ჩემი ძმა იყო. მე ის საქართველოს ბედნიერებისათვის შემიწირავს, მაგრამ იასე გიჟია, ყველაფერს სიგიჟედ ჩაუთვლიან და მეთაურის ძებნას მაინც არ შეწყვეტენ. სახელგატეხილიცაა, ასეთ საქმეში მოთავედ არ გამოადგებათ. თანაც, იასე თავს კარგად იცავს. მეთაური იმიტომ ვიყავი, მინდოდა ყველაფერი დაწვრილებით გამეგო და მათ განზრახვებით მთავრობისათვის მომეხსენებინაო. მთავრობამ იცის, რომ ეს ტყუილია, რადგან იასე ბოლომდის „ბუნტის“ მომხრე იყო, მაგრამ ასეთი სიტყვა მაინც ახდენს შთაბეჭდილებას. თუმცა სხვები განმარტავენ,

სამჯერ გაქცეულს და ორჯერ ნაციხარს როგორ ვენდობოდითო. თავის მთავარ მოქიშპე ალექსანდრეზე იასე ამბობს მაგას არაფერი დაეჯერება, რადგან მისი სახლი დიდი ხნის მტერია ჩემი სახლისაო.

ამ ბარათში, რომელიც ალექსანდრეს პურის გულში ჩაუდვია, სწერს: „ჩეკინმა ძირიანად ამოიღო იასე, რადგან ის ყველაზე დიდი დამნაშავეა. მეც არ დავზოგე ეს იუდა იასე და ნურც თქვენ დაზოგავთ. ისე გავუპირე საქმე, რომ აღარას მოვერიდე, სულ ტყუილებს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც ვერ გამოიხსნის თავს“.

— რა უბრალოდ დაიღუპა თავი!

— ეჰ, ამას რაღა ეშველება? ყველას იასე ჰგონია დამსმენი! მან თვითონ გამოუტანა თავის თავს მსჯავრი — თავქარიანი და უჯიათი იყო.

კორპუსის უფროსმა გრაფს თავიდან ისე აუწყა, რომ შეთქმა „საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ“ შეატყობინა შტაბს. ეს შეღავათია ჩემთვისაც და იასესათვისაც.

(თავისთვის: „მთელი ცხოვრება სულ ასე გზაზე მიდგას! დღეს უფრო მეტადაც მიშლის ხელს! გამომძიებელს დატენილი დამბაჩა დარჩენოდა მაგიდაზე. ეს კარგი საშუალება იქნებოდა. მას დამბაჩის ლულაში წარწერა ჩაედო: „ქართველებში თავის მოკვლა სამარცხვინოდ ითვლება“.

მე სხვა არაფერი შემიძლია!).

— საკვირველია, თავადო, მთელმა ქალაქმა როგორ ირწმუნა, რომ შენი ძმა დამბეზღებელია!

— ჩვენ ხომ მოგვეხსენება, რაც იყო და საპყრობილეშიც ყველაფერი მშვენივრად იციან, მაგრამ ესეც ჩემი და ჩემი ოჯახის მტრობითაა. ვითომ, მან დაიწყო და მანვე უღალატა! ეს წერილი დღეს მომიტანეს „ყაზარმებიდან“, — დიმიტრი ორბელიანს ელიზბარისათვის მიუწერნია და ეფრეიტორს საპირფარეშოში უპოვნია. აბა, ნახე, თუ არ იციან, რომ იასეს ჩვენებამდე დიდის ხნით ადრე მთავრობისთვის ყოველი მაგათი ნაბიჯი ცნობილი იყო და ყველაფერი თავიანთ უჭკუობას უნდა დააბრალონ.

„ქ. იახშიოლ ქეიფ იახშიდურ? ბიჭო, რა დაგემართა, ამ ხაზებს ტყვილა რათ უსვამ? მე ვოპროსნი პუნქტების მეტი არა მიმიღია რა შენი და ხომ არ მიგიწერია რა იმის უკან? გამიგონე, სამნი

ვინღანიც გაუშვიათ, მე კი მგონია, აი, ვინა: ბარათოვი, კარაპეტა მღვდელი და... შენ რა იცი? ვოობრაზი: ვინ ვის ეარშიყებოდა, კომისიაში ყველა იციან (მიქაიჩს ნათიმზესა და დიმიტრიზე ჩანაწერები გაახსენდა და ალმური მოედო).

ვის ულაყბია ეს გლუპოსტი, ჩორტ ზნაეტ იმისი თავი და ტანი. პეტერბურგში ქართველები სულ ვირებივით დაჭერილნი არიან, ციხეში კი არა, სასახლეში სხედან, მაგას წაუკითხეს ობვინენიე? ჩემი... არაფერი ამბავია. რაც იცოდე, ყველა განაცხადე გულის წმინდითა, რომელიც დაგიხსნის შენ ბაკენბარდებით დაკიდებისაგან.

ადიო, ოპდეზირ დე ვურ ვუარ.

...ეს კედელზედ ხაზი რათ იყო?!

ლეიბგვარდიის კაპიტანს ეს სიტყვები წვეტით ამოუკაწრავს შაღალდზე.

— ჩანს, ძლიერ გასჭირვებიათ საპყრობილეში.

— ეს ამოდენა დიდკაცობა სულ დოდაშვილის გამო იტანჯება. საკმარისია, გამოძიებას გარედან ხელი შევაშველოთ, რომ ქსელის შუაში მარტო აღმოჩნდეს და სხვებს შეღავათი მიეცეს. მით უფრო, რომ მისთვის თავს არავინ გამოიდებს.

— ამ უფლის დოდაევის საქმენი დიდად განმაკვირვებენ, გლეხიკაცი მთავრობის მიერ აჰყვავებულ იქნა და ასე ფიცხლად ხელმწიფეს წინ აღუდგა.

— მებრალვის ძლიერ, მაგრამ მას მაინც ველარაფერს ვუშველით და სხვებზე უნდა ვიზრუნოთ. მთავრობის კომისია ხვდება, რომ მთავარი დამნაშავე დოდაშვილია, ამიტომაც აქამომდე მარტოდმარტო ჰყავთ ჩაკეტილი კამერაში.

— იასეც მარტო ზის?

— დიახ, ეს ორნიღა გახლავსთ მარტო, მაგრამ დოდაშვილი ექვსი თვეა ცარიელ პურზედა ჰყავთ. დიახ ავად და მრისხანედაც ეპყრობიან. მუშტს უღერებენ. არც ცოლის ნახვას ანებებენ, არც წერილის გაგზავნას.

— გამიგია, უკადრისი და შეუსმენელი კაციაო, მაგრამ ასე რატომ გაუმეტებიათ?

— ამ ახლების ბელადი ის გახლავსთ. დანარჩენებს, აბა რა სწავლა და ცოდნა აქვთ, რომ ასეთი საქმისთვის ხელი მოეკიდნათ.

სიტყვა გინდა თუ ომი, ის ერთი იყო. ყმების განთავისუფლებაც მაგან მოიგონა და ამპარტავნობითაც ყველას თავი შეაძულა. მისი დატუსაღებით რიგიან ხალხს თითქოს ლოდი ჩამოუგორდა გულიდან. ისე იქცეოდა, თავის ცოდნას ისე მეტიჩრულად აჩენდა, რომ მის გვერდით გუბერნატორი და გენერლებიც უხერხულად, შევიწროებულად და დამცირებულად გრძნობდნენ თავს. ძალაუნებურად, მორიდებით უნდა მოპყრობოდნენ ერთ უპირ გლეხიშვილს.

მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ყველაფერი მისგან დაიწყო. უმაღლესი განათლება მას აქვს, ფილოსოფია ერთს მას გაეგება, გამხრწნელი მოძღვრებანი მხოლოდ მას შეუთვისებია, ენებიც მან იცის და სხვებს რას დაეკითხებოდა. გლეხია და რუსეთში გაზრდილი. ხელმწიფე ევროპის ლიბერალურ აზრებს თრგუნავს და ჩვენს შორის ასეთი მხოლოდ ეს ერთი უფალი დოდაევია. გაოცებასა ვარ, ერთმა გლეხისშვილმა როგორ შესძლო ამდენი სისაძაგლის ჩადენა და ორიოდე წელიწადში მთელი მხარის გახრწნა. ამბოხებისათვის ბოროტ განმზრახველთა შესამზადებლად ქართული ჟურნალი და გაზეთი დააფუძნა. მანვე შეადგინა და დაბეჭდა „განთავისუფლების პროკლამაცია". „ფარული ძმობის აქტში" და „პირველი ღამის განკარგულებაშიც" იმისი ხელი ურევია. ლექსები მოწოდებად დაწერა, გიმნაზიაში ყმაწვილკაცობა ავს გზაზე დააყენა, „საგამომცემლო კომიტეტში" ბევრს ცუდს მოქმედებდა, კახეთის გამოყვანაც იკისრა და ავაზაკებთან კავშირი გააბა.

— თავადო, ხომ არ აჭარბებთ, ერთი გლეხისშვილი ამდენს საქმეს როგორ იქმოდა!

— გაბოროტებული გახლდათ პოლიტიკური მმართველობით, თავისი ცხოვრებითა და პირობებით, მაღალს ადგილს უმიზნებდა.

— დაიჯერებს კომისია ამდენს მის შემძლეობას?

— კომისია კმაყოფილიც იქნება თუ ხელმწიფეს აცნობებს, რომ დოდაშვილს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს, დეკემბრის მეამბოხეთა ზეგავლენით ჩაესახა დემოკრატული და რესპუბლიკური იდეები. ხელმწიფისთვის ეს კიდევ ერთი მორალური საბუთი იქნება, რომ სწორად მოიქცა, როცა რილეევი და მისი ამხანაგები ჩამოახრჩო. ჩვენთვისაც სასარგებლოა ეს აზრები უცხო-

ეთიდან შემოტანილ თესლად ჩათვალონ და ქართველი თავად-აზნაურობის გულის უმანკოებაში ეჭვი აღარ შეიტანონ.

— აჰა! ზუსტად მოხვედრილი ყუმბარაა.

— ჩვენი განზრახვა ზნეობრივად და პატრიოტულად უმწიკვლოა, რადგან დოდაშვილი, ვითარცა ჭლექით სნეული, სულერთია, ცოცხალი ვერ გამოვა, მისის მსხვერპლით კი ჩვენ მთელ ბრწყინვალე ქართველ ყმაწვილკაცობას გადავარჩენთ.

— ირწმუნებენ მერმე ერთის კაცისგან ამდენ საქმეს?

— რატომ ერთისგან, ბატონო გენერალო? მის გვერდით დგანან იმერელი ბერი, ისიც ავს საქმეებში რუსეთს განსწავლული. იქვე განსწავლული რაზმაძე. ამბოხების მთავარი მრჩეველი დიმიტრი პაუშენკო. ყველაზე მეტი წამქეზებელი მელნიკოვი. ფიოდოროვის შვილობილი ყიფიანი. გუბერნატორი ზავილეისკი და ექიმი ვერესაევი. ხელმწიფე დაინახავს, რომ „გაუნათლებელი ქართველები“ უდანაშაულო ყოფილან. მის მტრებს გესლი და ღვარძლი თან შემოუტანიათ და გაუვრცელებიათ. ამით ჩვენი თავადაზნაურობა ჩირქს ჩამოირეცხავს, ნდობას მოიპოვებს და მონარქი სასარგებლოდ სცნობს, სამხედრო რეჟიმი სამოქალაქო მმართველობით შეგვიცვალოს. ქართველთაგან, საბოლოოდ, ამ უბედურებას მხოლოდ ჩემი სულელი ძმა და პეტერბურგში განათლებული ქიზიყელი გლეხისშვილი შეეწირება.

— საზოგადოება შეწუხებული და შეშფოთებულია, რომ ამ საქმეზე აქამდე არაფერი იცის. ათასი მითქმა-მოთქმაა, რისთვის არ დაასრულებენ და გვაუწყებენო.

— ამაზედ კორპუსის მეთაურს უკვე მოვახსენე და მისის სახელით ორ-სამ დღეში ქართულს და რუსულს ენებზედ გამოქვეყნდება განცხადება.

• • •

ლეონტი სავარსამიძესთან საუბრის შემდეგ, გუბერნატორმა ეფრემა დაიბარა.

— დღეს ყველაზე მძიმე საქმე უნდა დაგაკისრო და არ ვიცი როგორ გაიგებ ან რას იტყვი.

— მზად გახლავართ თქვენი ბრწყინვალების უმორჩილესი მონა.

— ჯერ არ იცი, რას გავალებ და მაგიტომ ამბობ ასე იოლად.

— მიბრძანე, რაც გინდოდეს!

— ამ საღამოს შენ და ფეფენოც უნდა დაგატუსაღონ.

— ჩვენ? — გაშრა ეფრემა. — ჩვენ ხომ ისე მივდიოდით მათთან.

— ნუ გეშინიათ, დიდხანს არ მოგიწევთ ყოფნა. ხელი სულ რომ არ გახლოთ, არც ეს ივარგებს. მოაზრებული ხართ, გენდობიან. თუ ჩვენ იქვე ჩვენის მხრით არ გამოვიძიებთ, ვინ იცის, რა მოჰყვეს. ყველაფერი მე უნდა გამაგებინო. მტრებს საპყრობილეშიც არც ერთი კაცი არ უნდა დავუტოვოთ.

გადაიწერე პირჯვარი და მოჰკურცხლე!

5

იქნებოდა საღამოს ათი საათი. მეტეხის ხიდიდან, ავლაბარში დუდუკებისა და საზანდარების დასტას შეზარხოშებული არიფიონი აჰყვა.

ორლობეებით ყაზარმებს მიუახლოვდნენ და „ნომრების“ წინ ხშირ კორომში შეჩერდნენ.

სახელდახელოდ სუფრა გაფინეს. ვერცხლის თასები წითლის კახურით ააავსეს.

ლხინს ცეცხლი წაეკიდა.

ეშხმოდებულ საკრავთა ხმებს გულდამწვარი ლექს-სიმღერები ჩაეწნა.

მღეროდნენ თავდავიწყებით.

დუდუკი კვნესოდა. დაირა გრიალებდა. არემარემ ხმა გაკმინდა. ჭვეყნად ჯერ არც ერთ სულიერს არ მოესმინა ასეთი დამწველი ჰანგები.

ტუსაღები კარ-ფანჯრებს გაეკვრნენ.

იასე ნიდაყვებს დაეყრდნო. თავი უბრუოდა, შუბლი და საწე ორივე ხელით ღონივრად მოიფშვნიტა. გარედან შემოსულ ხმებს გაურინდდა.

ზურნა ღელავდა. დუდუკი დნებოდა:

გამტყორცნა სოფელმა,
მოვშორდი მზესა.
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად.

რაყიფად შემექმნა ბედივე ჩემი,
სიცოცხლესღა ვჰპოვებ ძნელად და ძნელად...

წამით საკრავნი მიყუჩდნენ, სიმღერა მიწყდა. ჩამოვარდნილ სიჩუმეში იასემ ნათლად გაიგონა:

— ია, შენს სადღეგრძელოს ვსვამთ! ჩვენი ხარ, ჩვენთან დარჩები, შენს ავს ვერაფინ დაგვარწმუნებს.

უმალ უმეტეს გზნებით აიჭრა ზურნა-დუდუკის ხმები, აედევნა ახალი ჰანგი, ახალი სიტყვა:

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა.
დავშთომილვარ აწ ასე უნუგეშოდ,
უბედობის გამო სხვისა და სხვისა.

იასე დამჯიღული ხელებით ქარს დააწვა.

დუდუკს ავლაბრის ბუნაპარტე აკვნესებს.

კნინბესიკა იწყებს. ბანს მართაი-ბიჭი ეუბნება. ეს ალილმელიქია. ეს დიღმის არსენა. ჩამჩი მელქო, ნეხში მალო, ბოსტანა. დალალ კუკუ. შახტი კბილა. ცერბუსკნელა. ყაზი მულა. ანინ-მანინი. ახტალო. იმერელა. კუკრუნჩხო... ყველა, ყველა, ყველა მოსულა. ღმერთო, რათ შეგცოდე. მე ამათში რა მინდოდა! მე იქ, იმათთან, ჰავლაბრის ბუნაპარტესთან, დიღმის არსენასთან, მართაი-ბიჭთან უნდა ვყოფილიყავ".

— იასე, შენ თბილისის ჯიგარი ხარ, არავის დავანებებთ შენს თავს!

შემოეკლო დამწვარ შეძახილებს ზურნის ნელი ზუზუნი, ცრემლად დაღვენთილი სიტყვები:

სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები...

კუთხის ბნელ საკანში დოდაშვილი კედლისკენ გადაბრუნდა. უნდოდა სიმღერისთვის ყური მიეგდო, მაგრამ ხველა აბრჩობდა.

ვიწრო ტალანის ბოლოს, ოფიცერთა ყოფილი სამორიგეოს მოზრდილ, კარგად გაწათებულ ოთახში, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, ზაალ ავთანდილაშვილი და პაუშენკო ფართო ფანჯრებიდან გაჰყურებდნენ ბინდით მოცულ კოროძს, საიდანაც სიმღერა და დაკვრა ისმოდა.

— აფსუს, რომ ჩვენც იქ არა ვართ! — ოხრავდა ალექსანდრე. — უცხო და უბადლო რამ არის ჩვენი ქართული ჰანგები, მოდით, ძმანო, ჩვენც ეს თასები შევავსოთ და აქედან იმათს ჰამქარს შევუერთდეთ.

განჯინიდან დოქით ღვინო გადმოიღო, ჯამები გაავსო, ყველი და პური დატეხა.

კატინკას ნება დართეს, ყოველდღე მოეტანა ქმრისა და მაზლისთვის საჭმელ-სასმელი და სამოსი.

სიმღერებს ტკივილი, ცრემლი და რისხვა ემატებოდა.

ავი კაცის წვერი
წყევით აივსოს,
ჩემი თასი წითელ
ღვინით აივსოს,
ხინკო! ხინკო!

— იასე! არ დაგვიღონდე! ყველას შეგინახავთ! „გულსაც" გაპოვნინებთ.

„ეს ზალიკოა! არც ის მიწყურება! ყველას გამოეშალე. ყველასთან პირშავად ვარ. როგორ ვიფიქრე, რომ თბილი ლოგინის ლომგმირებიდან კარგი რამ გამოვიდოდა?! არ მიჯობდა, ახლოს არ გავკარებოდი მათ, ჩემი სიცოცხლე ამ ალალმართალ ხალხის სამსახურში გამელია?! ბრმად, უჭკუოდ, სულელური გულით მივჰყვებოდი. რას ვიფიქრებდი, რომ მეუფეთა წინ გამოფენილ გალიაში ეწრიალებდით, ჩვენი ყველაფერი ჩანდა და თავიანთ ნებასურვილზე გვატრიალებდნენ.

მთელი ცხოვრება მარტოობაში გამიტარებია, როგორც მარტო ვარ დღეს და არავინ ჩემთან არ მოდის, არავინ ჩემს ამბავს არ კითხულობს. მოღალატენი და სულმოკლენი გამცემლობას მაბრალებენ. ნათესავები არ დამრჩა. როცა გუშაგებს დერეფანში მივყავარ, გვერდზე გახედვისა მეშინია — ნახშირით, ცარცით, ამონაკაწრით კედლები ჩემი წყევლა-გინებით და მუქარითაა აჭრელებული. „იასემ გაგვცა! არ დაინდოთ იასე! სიკვდილი და შეჩვენება იასეს! იასე ყველაფერში დამნაშავეა!" საპირფარეშოც კი ჩემი სალანძღავი ქაღალდებითაა მოფენილი.

არავინ კითხულობს, გამცემი თუ ვარ, ასე სასტიკად რათ მეპყრობიან! ფარისეველნო! თქვენ აქაც მაჯობეთ!.."

ძმაკაცები სიმღერაში ინაცრებოდნენ. სიყვარულისთვის მოსულნი, გრძნობდნენ, ტანჯვას აყენებდნენ მეგობარს და ცეცხლს ცეცხლი ემატებოდა.

ავმა დარმა შემაწუხა,
მარტო ვზივარ დაღონებით,
შავი ფიქრი გულს მიშხამავს,
შავ ბურანებს ვეომები...

„მისი სურათი მაინც მჭონდეს! ბეჭედი, სამაჯური, პერანგის ნახევი, ერთი ბეწვი თმა! ვინძლო, შვება მეგრძნო, გული დამცხრომოდა, ჯავრს არ გადავჰყოლოდი!“

მწუხარებით სავსე გულს
შეგონება არ ესმის...

დოდაშვილს ძალიან შორიდან ჩაესმოდა სიმღერა. იმ წუთიდან, რაც აქ მოიყვანეს, თავი ვერ დაეღწია გაბრუებისგან. ყველაფერი ბუნდოვნად ესმოდა და ეჩვენებოდა. დრო მტანჯველად მიიწლაზნებოდა. ხან, არ შეეძლო ერწმუნა, რომ შეიძლებოდა, ყველაფერი ასე დასრულებულიყო, ხანაც, სასოწარკვეთა იპყრობდა. ზოგჯერ, გაურკვეველ ფიქრებში დანთქმულს, უცაბედად გამოაფხიზლებდა ჰმუნვა: „რა უსაქმოდ ხარ! რა დროს ჰკარგავ!“

მაშინ ყოველგვარი განსჯის გარეშეც გრძნობდა, რომ ყველაზე დიდი სატანჯველი სწორედ ეს უსაქმოდ ყოფნა, ამ დაკარგული წლებისა და დღეების ტკივილი იყო! ხვდებოდა, რომ განუწყვეტელი შრომა ინახავდა სნებათა და ვაებათაგან.

იმის ფიქრმა, გრძელი დღე აღარ დამრჩენიაო, და უძლურების თვლემამ იქამდე მიიყვანა, რომ თავიდან ბოლომდე ყველაფერი მას გადააბრალეს. ყველაზე ცუდად ეჭცეოდნენ, ფეხებს უბრაგუნებდნენ, უყვიროდნენ, ხელით ეხებოდნენ, არ აძინებდნენ, ცარიელ პურზე ამყოფებდნენ, ნათესავებთან შეხვედრის უფლებას არ აძლევდნენ. შინიდან არაფრის მიღების ნება არ ჰქონდა.

რამდენჯერმე, აგურით ამოშენებული კარით დიმიტრი ყიფიანი ელაპარაკა.

ერთხელ, კარის ჭუჭრუტანაში დიმიტრისა და ზაალის ვრცელი წერილიც დახვდა.

„ძვირფასო მასწავლებელო! თქვენს წინააღმდეგ საპყრობილეში შეთქმაა, უნდათ, ყველა დანაშაული თქვენ გადმოგაბრალონ და დაგღუპონ. თქვენისთანა გასაჭირში არცერთი არ ვართ, თქვენ კი, ყველა ჩვენგანზე უფრო სჭირდებით საქართველოს. მათ ასე მოულაპარაკნიათ, მთავრობა დაარწმუნონ, რომ ყველანი უსწავლელნი, უმეცარნი, სულელები არიან, რას სჩადიოდნენ, არ იცოდნენ და მხოლოდ თქვენ, როგორც ნასწავლმა, განათლებულმა და გლეხის-შვილმა პეტერბურგიდან ჩამოიტანეთ ხელმწიფის საწინააღმდეგო აზრები და გარჰყვენით აქაური კეთილშობილი ყმაწვილკაცობა.

აქ ერთმანეთს წერილებსაც წერენ, ფანჯრებიდანაც ელაპარაკებიან და თქვენ ასე უპატრონოდ დარჩენილი დაიღუპებით, თუ თვითონაც საკუთარ თავზე ხელს აიღებთ!

დაფიქრდით! გულს ნუ აიცრუებთ!

ჩვენი სამშობლო ქვეყნის მიწაწყალი, ჩვენი სიყრმითგან თანშეზრდილი მეგობრები და მცნობები, ჩვენი ქვეყნის კიდევაც წრფელი და კიდევაც გულის გამამხიარულებელი ერთმანეთთან დამოკიდებულება, ჩვეულება, ზნეობა, ზრდილობა, ათასნაირი სხვადასხვა თვისება, რომელსაც კაცი ვერსადა ჰპოვებს, თუ არა შინა, ყოველივე ეს ისეთი ძვირფასი რამ არის, ვისაც კი ცოტაოდენი გრძნობა შერჩენია, ნებით არასოდეს არ დაჰკარგავს, თუ ძალათ არ დააკარგვინეს. ღვთის გულისათვის, თავი დაიცავით!“

სოლომონი განცხადებებს წერდა, წიგნის კითხვასა და წერის ნებას ითხოვდა, მაგრამ თხოვნა უპასუხოდ რჩებოდა.

თავს იცავდა, ბრალდებებს იგერიებდა და საიმედო მაინც არაფერი ჩანდა.

„დავღუპე ოჯახი! ცოლი არ უნდა შემერთო! გავაუბედურე! შვილების ცოდოში ჩავდექი!“

სიტყვები არ ესმოდა, ჰანგიც ბუნდოვნად სწვდებოდა ცნობიერებას, მაგრამ დამაყუჩებელ სევდა-ნაღველს გაერინდებინა.

ვინ ჰპოვა სოფლისგან ბედნიერება?
ვინცა სცნობს, წყეულსა დაეძალება...

— ე მუდრეგები იასესთან მოსულან, ერთს დარდიმანდულს არას დაუკრავენ! — წაიბუზღუნა ალექსანდრე ორბელიანმა.

— მეხუთედ მოდიან!

— მაგის არმია გახლავსთ. დააქცია საქართველო და ქეიფობს! დღეს დილით მოლა ზამანა მოიყვანეს, ისიც მაგის დაბეზღებულია.

— ეგ მოლა ზამანა და ტალიაშვილი ქამრების და ლეიბისპირის ნახევებით ჩაშვებულან აივნიდან. გუშაგს შეუძახნია „ყარაულო“, მაგრამ ისინი ეზოში ჩამხტარან, გუშაგს ბნელში ხიშტი ვერ მიუწვდენია და ხევში გაქცეულან.

— კახეთის გზაზე გასულნი სართიჭალაში იმალებოდნენ თურმე. მერმე მტკვარზე გადაუყვანიათ ცხენებით და ყარაღაჯში შეუპყრიათ.

არიფიონი შეუჩერებლად უკრავდა და მღეროდა. იმეორებდნენ იასეს საყვარელ ჰანგებს. ქვითინებდა ზურნა და საზანდარი. კვნესოდა თარი. ბორგავდა დაირა.

აგონებდნენ ძმობისა და ლხინის მშვენიერ დღეებს. ანიტას. ჯირითს. მიტოვებულ უბანს. ჰკურნავდნენ სევდა-ნაღველით.

ვის გტანჯავს ურვა,
შეეხე მედგრად ზღვას
მწუხარების...
რაც აღარ მათბობს შენი თვალები,
სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები...

ეწარე განცდებს აღვენთებდა სულში თარის სიმთა შეჟღრიალება, უეცარი შეძახილი და აკვნესება.

— იაჯან! იახშიოლ, შენთანა ვართ! სულ შენთან! არ დაივიწყო ეს! შენი თასი მუდამ ჩვენს თასებს ეჭახუნება. შენი სუნთქვა ჩვენი სუნთქვაა! შენი ტკივილი ჩვენი ტკივილია! შენი ჭირი ჩვენი ჭირია!

იასეს ცრემლი აწვებოდა, გული საგულეს ეხლებოდა, და ძლიერი მკერდი კედლების გასანგრევად უგრუხუნებდა.

— რას მიედ-მოედებიან — ჯუჯღუნებდა ალექსანდრე. — არა სანანებელ არს იგი, რომელი იქმს ბოროტსა.

— განსაცდელში კაცი კაცის მგელია! — ორაზროვნად ჩაილაპარაკა ყიფიანმა.

— ვარაუდში მოსტყუვდა იუდა იასე და გამოვიმეტე მეც და არა დავზოგე და ვაჩვენე, რაიცა ვიცოდი და რაიცა ეკუთვნის.

სადარაჯო კოშკიდან გამაფრთხილებელი ყვირილი გაისმა:

— დაიშალენით!

ზურნა-დუდუკი აიმღერა, თარი გაგულისდა, სიმღერა მაღლა-მაღლა აიჭრა.

დერეფანში ჩექმები აბრახუნდა. ეზო მოუსვენრად აფუთფუთდა.

— ნა პლეჩო!

— ნა კარაულ!

— ნალევო!

— კრუგომ, მარშ!

ვიღაცები სადღაც გაგზავნ-გამოგზავნეს. სროლა და სიმღერა ერთმანეთში აირია.

— დაიშალეთ!

— ნუ გაჩერდებით აქ!

— თორემ, რა?

— დაიშალეთ!

— რათა რა, ეს კორომი ჩვენი თბილისი არაა?

— ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრა!

— ჰა, რა ასასივით დამადექ თავზე!

— ერთი კარგა ლაზათიანად ყურები დაეუსრისოთ!

— წადიით! — კონდახებით მიაწვნენ სალდათები.

— გასწი ე კომბალი, ხუმრობის გუნებაზე არა ვარ!

— ვაი, რა ეშხი დაგვინგრიეს!

— აბა, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია!

— ვაი, ვაი! პირველი თავადიშვილები ვირის აბანოში ჰყავთ.

— იასე! მეხად იყავ, შენთანა ვართ!

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ღმერთი მოწყალეა!

ნელ-ნელა სტოვებდნენ კორომს, ზურნა-დუდუკით, სიმღერებით, შეძახილებით.

სანამ რამეს იტყოდნენ, საკანის კარი ერთბაშად გაიღო და ობერვახტმაისტერმა შემოიყვანა მაღალი, კეთილი გამომეტყველების, ოდნავ წელში მოხრილი მოხუცი.

— როგორ, თავადო, თქვენც გქონდათ მონაწილეობა? — გაოცე-

ბით ჰკითხა ალექსანდრე ორბელიანმა, როცა ობერვახტმაისტერი გავიდა.

— არაფერი არ ვიცი, დამიბარეს გუშინ ქალაქს და დამაპატიმრეს.

— ნუთუ კიდევ ატუსაღებენ ამ საქმეზე? — წამოიძახა ვახტანგმა.

— ჩვენთან ერთად, ეფრემაც შემოიყვანეს, შიოშვილი.

— ეფრემა ამდენ ხანს არ შეუპყრიათ?

— არა, ახლა შემოიყვანეს.

— ყველაზე დიდი შეთქმული მე ის მეგონა, არც ერთ კრებას არ დაჰკლებია.

მარტო მყოფი სოლომონი ყველაზე უფრო შეაწუხა ინციდენტმა. კედლის კუთხეში მიჭუჭკნული, სასოწარკვეთით ისრესდა შუბლს და ვერ იშორებდა აკვიატებულ სტრიქონს: „ვიცი, დაღუპვა რომ არ ამცდება!“

„მე არ უნდა მოვკვდე. უნდა გავუძლო ამას! უნდა გადავიტანო ეს! — ჩურჩულებდა იასე. — მოღალატედ არ ჩავალ მიწაში! ჯერ მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ ყველაფერში მართალი ვარ! ყველასთან მართალი! მე სიცოცხლე მჭირდება ჩემი სინდისის გადასარჩენად! უნდა მოვითმინო, თუნდ ზოლა-ზოლად დამსეროს! ამათ, ჩემს ჭეშმარიტ ძმებს, უნდა დავუბრუნდე! ფარისევლებთან ჩემი ადგილი არაა. ჰავლაბრის ბუნაპარტეს, დიღმის არსენას, ალილ-მელიქს დავუბრუნდები. ფული მაქვს. ვიყიდი ერთ სამფლობელოს. წავალთ იქ ერთად, დავსახლდებით. ვიშრომებთ ერთად, ძმურად. ყოველივეს გავიყოფთ თანასწორად. ავაშენებთ ქარხნებს, დავურიგებთ ღარიბ-ღატაკებს. თუ დაგვაკლდება, ჩამოვართმევთ მევახშეებს და ჩვენს საქმეს მოვახმართ! შევქმნით „ბედნიერების კუნძულს“, სადაც ყველა რჯულის მშრომელი კაცი იცხოვრებს!“

6

— მაისში სასწავლო ოლქის დირექციას ეს განცხადება მივართვი: „მეორე წელია, რაც არაფერი ვიცი ჩემი მეუღლის სოლომონ დოდაშვილის ბედზე, მოკლებული ვარ ყოველგვარ საშუალებას,

ვიზრუნო მისთვის. მე და ჩემი სამი შვილი უსახსროდ დავრჩით. აქამდე კიდევ სული გაგვეძონდა დარჩენილი ვალების მოკრეფით, დღეიდან კი პურის ფულიც აღარ გვრჩება. იქნებ, ჩემი ქმრის დარჩენილი ჯამაგირის ნახევარი მაინც გებოძებინათ ჩემთვის?

სიღატაკეში ჩავცევიდით და, იმედია, უყურადღებოდ არ დააგდებთ უბედურ დედას და მის სამ უმწეო შვილს“.

— უი, შე საწყალო! — აღმოხდა ნათიმზეს.

— სუნთქვა წამერთო, ისე ავრბოდი კიბეზე. მეგონა, ქმრის ნახვის ნებასაც მომცემენ-მეთქი, მაგრამ ძალლად არავინ მახსენა.

— ღმერთო, ეს რა ამბავია შენს თავს! სხვა ვინღა დარჩენილა, რომ ორი კვირის შემდეგ იმის ნახვის ნება არ მიეცათ, და რაც სურთ, ის არ მიჰქონდეთ ყაზარმებში.

— მიკვირს და გამკვირვებია: განა ყველაფრის მიზეზი ეს ჩემი უბედური ქმარი იყო? მამობილს რომ ნათქვამის ნათქვამს არ ეუბნებოდნენ, ისიც არ მეცოდინებოდა, ცოცხალია თუ მკვდარი.

მრავალგზის უთხოვია, ნუ აღმიკრძალავთ, ერთი საათით საკანიდან გამოსვლას და ნათესავებთან შეხვედრასო. ამაზე უპასუხნიათ, არც ჰაერი გერგება, არც ნათესავების ნახვის უფლება გაქვს, რადგან დიდი სახელმწიფო მოღალატე ხარო. მიყვანისთანავე ეს უთქვამთ: თუ არ გინდა დაღუპო ოჯახი და არ გინდა ღორივით მოგექცეთ, სიმართლე უნდა გვითხრაო. კორპუსის მეთაურსაც პირველი სოლომონი დაუკითხავს.

— ატყობდი, ელენე, ასეთს მძიმე საქმეებს თუ სჩადიოდა?

— რას ამბობ, შენი ჭირიმე, დღენიადაგ წიგნსა და ქაღალდებში იყო თავჩარგული. რაც ერთად ვართ, ერთი რიგიანად არ უსადილნია და უსაუზმია. გიმნაზიასაც კი ასე მიუწერია კომისიისთვის, მთელი მისი სამსახურის მანძილზე, ვიდრე დაპატიმრებამდე, ითვლებოდა ნიჭიერ და წარჩინებულ ადამიანადო.

სნეული კაცი მთელს წელიწადს ბნელს საკანში მარტო ეგდოს ცარიელს პურსა და წყალზედ, იმას რა კარგი დღე დაადგება.

— ნუ გეშინია, ელენე, ყმაწვილი კაცი ბევრს ჭირსა და ტანჯვას გადაიტანს.

— შენ არ იცი, ნათიმზე, ისეთია, რომ ბალღივით ერთი დღე მარტო არ დაიტოვება. ეს საყნოსი, ეს დასაზელი, ეს აბები, ეს ფე-

ხის დათბილვა, ძლიერ ხელს ვუწყობდი და იმით იყო. ახლა რა წუხილი, ღელვა და ბავშვების დარდი იცის! ახლა უსაქმოდ ყოფნას რომ სიკვდილი ერჩივნა!

— იქ ამხანაგები არ დააგდებენ უნუგეშოდ.

— ნურც მაგას მეტყვი, შენ შემოგევლე. იქ თურმე ყველა ერთმანეთს აბრალებს და ყველა ერთად კი სოლომონს. ჩვენ რა გაგვეგებაო, უმეცარი ხალხი ვართო, აგერ, დოდაშვილს მოჰკითხეთ, ბევრი იცისო, კანონები გაეგებაო. რაღაც „სიტყვა-მოწოდება“ ყოფილა, სუმბათაშვილისთვის უთარგმნინებიათ, ლამის ხელმწიფისთვის ხანჯლის ჩაკვრად მიუთვალონ. ალექსანდრე — პუპლია, თურმე, სულ ჩემს საცოდავ ქმარს აკისრებს ყველაფერს.

— მოთმინება გვმართებს, ელენე, ჩემს საქმესაც ხომ ხედავ, რა ცეცხლში ვარ.

— ვითმენ, ამ ერთ წელიწადში სულ სხვა ქალი გავხდი, თითქოს ერთი წელი კი არა, ასი წელი მომმატებოდეს, მაგრამ რო ვეღარ გავსულვარ? რაც ის წაიყვანეს, ეს სახლი აღარ არსებობს. ნეტავ იცოდე, რა ბედნიერი ვიყავი იმ მოუთავებელი ფუსფუსით, შრომითა და ზრუნვით! საცაა, ოცისა გავხდები, ხუთი წელი გავიდა, რაც ჩვენი ბედი შეერთდა, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი და ისეთი, როგორიც დღეს ვარ, და როგორიც მინდა, რომ ვიყო, სწორედ დღეს ვარ. ვერ ვიფიქრებდი, თუ ასეთი გული და ძალა მექნებოდა. ბავშვებს ჯერ არაფერი ესმით, უმამოდ გაუძნელდებათ, მაგრამ მე ჩემს საცდელს არ დავაკლებ.

— მარტო არა ხარ, ელენე, ღვთის განგებით, დღეს ყველა ამ გაჭირვებაში ვართ.

— როცა მიჰყავდათ, ბავშვივით შემომტირა: „ვინ იცის, როდის დავბრუნდები შენთან!“ ვატყობდი, არც კანონის, არც ამხანაგების იმედი არა ჰქონდა.

— გული გაიმაგრე, შენს უკეთეს დღეში არც მე ვარ. ჩემთვისაც ზეცა ჩამოინგრა და რაღა სატუსაღოში, რაღა გარეთ, განა მთელი თბილისი მწუხარების ფლასებში არაა გახვეული?! შეხედე, როგორ დაცარიელდა ჩვენი მშვენიერი ქალაქი — სადღაა ის ქართული სიმღერა და სიცილი, ჩვენი ყმაწვილების ხუმრობა. ვინც ციხეშია, ხომ დაიკარგა, ვინც არა, ან შინიდგან აღარ გამოდის, ან სულ გადაიხვეწნენ. ვის მივენდო, ვის გადავუშალო

გული, ვინ შევიყვარო, ვის ჩავაბარო ჩემი ბედი. ვინც მომწონდა, ვის ნახვასაც გულით ვნატრობდი, აღარ არიან. ვისთვის ჩავიცვა, ვისთვის გამოვიპრანჭო, ვისთვის ვიცეკვო და ვიმღერო! ახლა ეს გულის მომკვლელი და სისხლის გამაშრობელი ჭორები?! რას არ მოიგონებენ, რა ჩირქს არ მოსცხებენ თვით ანგელოსსაც კი! ჭორაობა თბილისის ლოცვად და ღვთის მსახურებად გადაქცეულა. ვერ გაიგებ, ვინაა შენი მეგობარი: ვინც გაგინებს თუ ვინც გაქებს. ზოგჯერ, სწორედ იმიტომ გაქებენ, რომ მტერი და მეშურნე გაგიმრავლონ.

— უიმე, ნათიმზე, შენი ნორჩი გულიც როგორ დაუგესლავს ამ ჩვენის ცხოვრების სამსალასა! — ნაღვლიანი ღიმილით მიეალერსა ელენე. — არ ვიფიქრებდი, თუ სულ ერთბაშად ასე მარტო შეიძლება დარჩეს ადამიანი, რომელსაც გუშინ ქვეყანა თაყვანს სცემდა. განა იმას ვჩივი, რომ შიშველ-ტიტველი დაგვყარეს და შეწუნარება აღარა გვაქვს? თავზარდამცემი ის არის, რომ კაცს კაცის ავი სწადია და უხარია. არ მეგონა, არასოდეს, ამას თუ ვიფიქრებდი.

ელენე შეყოვნდა, მაგრამ ის, რამაც შეაყოვნა, უხმოდ ჩაიბრუნა გულში... ამ ხუთი თვის წინ, ღამით, ორი ახალგაზრდა ესტუმრა, ერთმა — სოლომონის მოწაფე ვარო, სამასი თუმანი მმართებსო. ელენემ არ მიიღო ფული — ამ ვალზე ჩემის მეუღლისგან არაფერი მსმენიაო. ორი დღის შემდეგ ურმით პური, ლობიო, ღვინო ჩამოუტანეს. ვინიცობაა, დაგაკლდეთ, კიდევ ჩქარა ჩამოვატანინებო. წასვლისას წასჩურჩულა, ჩემს მასწავლებელს პაატასაგან კეთილი სიტყვა გადაეციო.

— რა უღვთო საქმეა, ქმარი თბილისში გყავდეს და ამდენი ხანი არ იცოდე, როგორაა.

— იმ ორშაბათს გუბერნატორთან ვაპირებ შესვლას.

— არ გირჩევ, ელენე! მანანაც მისულა, ყმაწვილი წვრილი ვარო, წვრილი ობლების პატრონიო, მაგრამ ვერ მოულბია მისი რკინის გული.

— განა მე არ ვიცი ჩვენი ბედი, რომ, რასაც საკუთარის წვალებით, ხორცთა გლეჯით, სისხლისა და ოფლის ღვრით არ მოვიპოვებთ, ისე სხვა არავინ არაფერს გვიბოძებს?! მაგრამ ჩემი ცდა

როგორ დავაკლო! ნათიმზე, გუბერნატორთან შენს საქმეზეც დიდი ჰორაობაა ქალაქში.

— თავი წაიღეს! მე კი მისი გახსენება გულს მიკლავს. ნუთუ ქალიშვილი ამაზე ოცნებობს? ვეძებ და ვერავითარ ღირსებას მისას ვერ ვპოულობ. მამას ცოფსა ჰგვრიდა ამის გაფიქრება, ვინც პირველად გააგონა, სილა გააწნა, დღეს კი, ელენე, არ გებრალები? თვითონაც ეჭვი არ ეპარება, რომ ეს საქმე მაინც უნდა მოხდეს.

— რაღა დაგიმალო, ეხლა ძალიან ბევრს სჯერა თქვენი ამბავი.

— საოცარია, ღმერთმანი, ყველაფერი ისე უკუღმა როგორ უნდა დატრიალდეს, რომ ასეთი უსამართლობა მოხდეს? ხალხს მისი ნამდვილი გვარიც დავიწყებია, ძმის უბედურებასაც მას აბრალებენ. უმეგობრო და უნათესაო კაცია. ქვის გულის პატრონიო. კეთილშობილთა დამტკიცების საქმეზე მამაჩემი პიროპით გამოაშვებინა. შეთქმაზეც ორჯერ დაუძახეს და დააბრუნეს. ორბელიანებს სულაც აყრას და გადასახლებას უპირებენო. თურმე, ვერავის ენდობი. თვით მახლობლებსაც, რომლებშიც ვერასოდეს ეჭვს ვერ შეიტანდი. ათასის საბაბით მაგონებენ, „გუბერნატორშა“ შეიქმნებიო. რასაც ისურვებ, ყველაფერი გექნებაო, თაყვანისცემას მოგიძღვნისო.

— იქნებ მართალს გირჩევენ?

— მომწყდნენ თავიდან! კარგად იცი, ცოლობას ვისაც შევპირდი, და ის რა დღეშიცაა, ისიც იცი. წარმოიდგინე შენი თავი. ამაზე უარესი რაღა იქნება?

— ვაი, რომ არის უარესიც!

— არ გებრალები, ელენე? მართლა ხომ არ გგონია, არ ვიტანჯებოდე მამაჩემის განსაცდელითა და ოჯახის უბედურებით! ბევრჯერაც ხელი ჩამიქნევია ჩემს სიხარულზე და მიფიქრია, რა უნდა მოიტანოს ქალმა თავისის გათხოვებით იმაზე მეტი, რომ დაღუპვას გადაარჩინოს დედ-მამა, ოჯახი და მთელი გვარი! ვარ ასეთს ცეცხლში და შვებას მხოლოდ ლოცვაში ვჰპოვებ.

— კაი ვირგლა ყოფილა! — გადაულაპარაკა დაეით ნათალიშვილმა ეფრემას, როდესაც პლაცადიუტანტმა დატყვევებული ფილადელფოსი საკანში შემოიყვანა.

— ოო, ჩვენი მამა და მასწავლებელი ფილადელფოსიც აქ მოუყვანიათ! — მიეგება ეფრემა. — ღმერთო მოწყალევ, ეს რა ხდება, რა უბედურება დაგვატყდა თავს!

— ყოვლად გლახაკი მონა ღვთისა იერომონახი ფილადელფოს! — ხელი გაუწოდა ბერმა ნათალიშვილს და უმალ ტახტზე მიეგდო, რადგან საშინელი მგზავრობისა და მოპყრობისაგან ილაჯი წართმეოდა.

— ეს გამოვიდა თქვენის ამდენის ლოცვა-კურთხევისაგან, მამაო? — დამცინავად ჰკითხა ნათალიშვილმა.

ფილადელფოსს არ მოეწონა ახალგაცნობილის კილო, მაგრამ მისდამი არაეითარი დამოკიდებულება არ გამოუხატავს.

„ამათგან რომ ჩემი აქტი გონიერი“ არ გამოჩენილიყო, მე ვერავინ მომაგნებდა!“

ეს ეჭვი არ შორდებოდა და ყველაფერი, რაც გუშინს აქეთ დატრიალდა, კოშმარივით ბოჭავდა.

ავადმყოფი უთენია გამოაღვიძეს.

შუამთის მონასტრის ეზო სალდათებით და იასაულებით გავსებული იყო. გალავანში შემოვიდნენ კორპუსის მეთაურის მიერ წარმოგზავნილი ოფიცერი, ოლქის უფროსი და მისი მაღალუსამღვდელოესობა ეგზარქოს მოსეს რწმუნებული არქიმანდრიტი ანტონი.

შეშინებულ-დაფეთებული ბერები სათითაოდ გამოჰყავდათ თავთავიანთი სენაკებიდან და გალავნის კუთხეში აქუჩებდნენ. როგორც მონასტრის წინამძღვარი, ფილადელფოსი მათ წინ დაუყენეს.

„მე ძლიერ მწყინს და მეკრძალვის, რომ ჩემს სამწყსოში, ისიც ქართული მონასტრის ბერებში, ხელმწიფის საწინააღმდეგო საქმე ქეთდება,“ — მკაცრად წარმოთქვა არქიმანდრიტმა.

„სიცრუე მოუხსენებიათ! — უარჰყო ფილადელფოსმა. — ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ქართულის წიგნების ბეჭდვაზედ. გაზეთის გავრ-

ცელებაზედ, ხალხისთვის წერა-კითხვის სწავლებაზე და არა ხელმწიფის წინააღმდეგ!“

ოფიცერი, არქიმანდრიტი, მოხელეები სკამზე ჩამოსხდნენ, ბერებს თითო-თითოდ იძახებდნენ და წინამძღვრის საქმიანობაზე ეკითხებოდნენ.

ყველა ერთხმად მიუგებდა, რომ ფილადელფოსი ღვთისმოსავი და გულმოწყალეა, ბერებისათვის თავს არ ზოგავს, გლახაკთა გამკითხველია. მისი მაგინებელი ერთიც არავინ მოიძებნება. შუამთას სასწავლებელი დააარსა, მდიდარსა თუ ღარიბს უფასოდ ასწავლის.

ბოლოს არქიმანდრიტი განრისხებული წამოვარდა:

„ამ კიკნაძე ბერმა ალავერდობასა და შუამთობაზედ ხალხის ამაღელვებელი არ იქადაგა!“

„რას ბრძანებთ, მამაო! ალავერდობაზედაც და შუამთობაზედაც საღვთო ამბებს გვიყვებოდა“.

„დაიფიცეთ, რომ მართალს ამბობთ!“

ყველამ ერთად დაიჩოქა და შუამთის მონასტერზედ გულმხურვალედ შეჰფიცა.

„უჭირთ დაფიცება, მაგრამ ვერ მიმეტებენ!“ — გაიფიქრა ფილადელფოსმა.

„ესენი მოღალატეს იცავენ! — დაიყვირა ოფიცერმა. — შეჰკარით და თითო-თითოდ ხეზე მიაბით!“

ფერი ეცვალათ ბერებს, ჩამოხრჩობას ხომ არ გვიპირებენო.

„ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ბერი ფილადელფოსი კახეთის სოფლებში ხელმწიფის საწინააღმდეგო აზრებს ავრცელებს.— ხმას აუწია ოფიცერმა. — თქვენ ღალატისკენ მოგიწოდებთ!“

„სიცრუეა!“

„მაშ თქვენ არ გაგიგონიათ, რომ ფილადელფოსი მთავრობის საწინააღმდეგო ნაწერებს ინახავს მონასტერში?“

ამოიღეს ჩანთიდან ქაღალდები და დაბმულ ბერებს თვალებთან მიუტანეს: „აი, ასეთ ფურცლებს!“

„არა გაგვიგია რა, პირველად ვხედავთ!“

„ქეთილი! ახლავე თქვენს სენაკებს გავჩხრეკავთ და თუ რამე ვიპოვეთ, იცოდეთ, აქვე გაგკრეჭთ და გაგაცემბირებთ!“

„რა ვქნათ, მამაო, რაც არ ვიცით, არ ვიცით!“

ყველაფერი გადააქოთეს, ერთი სანაწილე და სახატე არ დარჩენიათ გაუჩითავი.

ეზო გლეხებს გადაათხრევინეს.

„აჰყარეთ ჰერი! დააქციეთ სახლები! ქვა ქვაზედ არ დასტოვოთ!“ — ბრძანა ოფიცერმა.

შედრკა ამ სიტყვებზე მოხუცი ბერი ონოფრე: ორსართულიანი სახლი აქვს. ორი ოთახი ძირს, მაღლა დიდი დარბაზი. იფიქრა, ესენი იმ ქაღალდებს, ალბათ, მაინც იპოვნიან, მე კი ტყუილა დავიღუპებიო.

„დაიცათ, დაიცათ! ნუ დააქცევთ სახლებს! მე გეტყვით, სადაცაა შენახული! აგე, მეორე სართულის ყავრულში ადით და ბანზე რომ გაჩიჩქნილი მიწაა, გადაყარეთ, ქვეშ ფიცარი ადევს, აჰხადეთ, ქიქის ხეებს შუა აწყვია!“

გაფითრდნენ ბერები. თავი ჩაღუნეს.

სხვენიდან ყორა-ყორა ნაბეჭდი ფურცლები ჩამოზიდეს. ცოტა შეინახეს, დანარჩენი ცეცხლს მისცეს.

„სხვა სახლებშიც გექნებათ დამალული! ამ მოხუცის სახლს გარდა ყველას გადაებუგავთ და მაინც ვიპოვით!“

„სულ შენი ბრალია!“ — შეუტია არქიმანდრიტმა ფილადელფოსს.

„ჩემი კი არა, შენი და შენი ეგზარქოსის ბრალია!“

ეცა არქიმანდრიტი ფილადელფოსს და გულიდან ჯვარი ააგლიჯა.

გადაუგრიხა გააფთრებულმა ფილადელფოსმა ხელი, წაართვა უმალ ჯვარი, პანღური ამოჰკრა.

„თქვენ რა უფლება გაქვთ მე ჯვარი ჩამომხსნათ! მე საქართველოს კათალიკოზის ნაკურთხი ვარ, ეს ჯვარიც მან მიბოძა. შენ, გადამთიელს, უფლება არ გაქვს იგი წამართვა“.

არქიმანდრიტი ისევ წაეპოტინა ჯვარს, მუშტიც მოუქნია, მაგრამ ფილადელფოსმა სილა სტკიცა და წააცია.

შემოცვივდნენ სალდათები, რომლებიც ამ დროს ყავრულებს თხრიდნენ. გამოსტაცეს არქიმანდრიტი, ბერები ახსნეს და მხსვილი თოკით ფილადელფოსი გაკოჭეს.

ფილადელფოსი თვალებში ჩააშტერდა გამცემს — მოხუც ბერს და ყველას გასაგონად წარმოთქვა: „წახთა საქმე!“

„თქვენ ბერი ხართ, ხელმწიფისთვის ფიცი მიგიციათ, ჯამაგირს იღებთ, საკადრისია, რომ მონასტრის კედლებში აკრძალულ ფურცლებს ინახავთ?“ — უთხრა ოფიცერმა.

„მე ამ ქაღალდების არსებობა არ ვიცოდი, თქვენთან ერთად, მეც ახლა შევიტყვე. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ამავე მოხუც ბერს!“

„მართალს ამბობს! — დაუდასტურა მოხუცმა. — ფილადელფოსმა არ იცოდა, ქალაქიდან რომ ორმა კაცმა ეს ქაღალდები ამოიტანა და ჰერი გათხარეს, ის მაშინ თბილისში იყო წასული“.

ეს კი აღარ დაუჯერეს მოხუც ბერს. დაამწყვდიეს ფილადელფოსი ბნელს საკანში, შემოარტყეს ყარაული და ალავერდში წავიდნენ გამოსაძიებლად.

იქიდან რომ დაბრუნდნენ, ფილადელფოსს ბორკილი დაადეს, წელსა და კისერში გრძელი თოკი გამოაბეს, თოკის ბოლო ცხენოსან სალდათს დააჭერინეს და ასე, მათრახის ცემით ჩამოიყვანეს ქალაქში.

ძლივს სუნთქავს ფეხებდახეთქილი და დასიებული. ჭრილობებიდან სისხლი სდის. ხახა გამოხაპული აქვს. წყლის დალევაც არ შეუძლია.

— რა დაგიშავებიათ, მამაო, ასე უღმერთოდ რომ უწამებიხართ ამ შეჩვენებულებს? — ჰკითხა ნათალიშვილმა.

— მამა ფილადელფოსი ჩვენი მეთაური და ამ საქმის პირველი მცდელი იყო. — სინანულით ჩაილაპარაკა ეფრემამ.

ფილადელფოსი ერთბაშად გამოცოცხლდა და თანამეინახეთ უნდობლად გადახედა.

— მეც გამიგონია, კახეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის გამოყვანა თქვენა გქონიათ დავალებული. — მოკრძალებული ხმით წარმოთქვა ნათალიშვილმა.

— რა კახეთი, რის საქმე, რა თუშ-ფშავ-ხევსურეთი? — გაოცებით და გაჯავრებით შეესიტყვა ფილადელფოსი.

— დამშვიდდი, მამაო! — შეეპარა ეფრემა. — აქ, დიდი ხანია, ყველამ ყველაფერი ვაღიარეთ, მთავრობამ ყოველი ჩვენი ნაბიჯი უწყის და დღეს იმაზედღა ვზრუნავთ, ვინ უფრო მეტს მოიგონებს: აი, მე, რა საქმე მიკეთებია მამულისათვისო.

— რა ჯიუტნი ხართ ბერები! — გულიანად გაეცინა ნათალიშვილს. — მთელი ფიცი და აქტები შენი შედგენილი ყოფილა და

ახლა ჩვენებსაც არ გვიტყდები, რათა მადლობა მოგახსენოთ და ღირსი პატივი მოგაგოთ.

— თქვენს ლოცვასა შინა დავიწყებულ ვიყო, თუ რამე ვიცოდე!

— მაშ, სულ ტყუილა ჩამოგიყვანეს ასე ნაცემ-ნაგვემი?

— სოლომონს, დოდაშვილს მისის წერილის პასუხი მივსწერე, ჟურნალისთვის ხელისმომწერად ათი კაცი მიშოვნია-მეთქი, და ეს წერილი უნახავთ!

— განა ამისთვის დაგატუსაღებდნენ?

ღამის თორმეტ საათამდის ასე კამათობდნენ. მერე ფილადელფოსს ძილმა თავი წაართვა და ალიონზე, ძალით რომ არ გაეღვიძებინათ, ალბათ, მთელ კვირას იძინებდა.

ნასაუზმევს, ეფრემამ და ნათალიშვილმა ბერს დაწვრილებით უამბეს, თუ რა დიდი საქმეები ჰქონდათ ჩადენილი მამულის გამოსახსნელად.

— თქვენ კი ახად ჰყოლიხართ სატუსაღოში, მაგრამ მე რას მურჩოდნენ?

ორი კვირა გრძელდებოდა ასე. მაგრამ, ერთხელ, როცა ბერს კომისიაში დაუძახეს დაკითხვაზე, ნათალიშვილმა მისი ნივთები სათითაოდ გაჩხრიკა და ნაბეჭდ „დავითნში", რომელიც ფურცელ-ფურცელ შეამოწმა, შემთხვევით ჩარჩენილი ბარათი იპოვა.

მასში ეწერა: „როდესაც თავადი დავით ერისთავი თბილისს მიემგზავრებოდა არჩევნებში მონაწილეობისათვის, შუამთას ჩემთან შემოიარა და მას ვასწავლე საიდუმლო ნიშანი, რომლითაც ჩვენი საზოგადოების წევრნი ერთმანეთს გამოიცნობდნენ: შუბლზე თითების მიდებით. მათთვის უნდა მიეცათ ხმა".

ნათალიშვილმა ეს ბარათი ეფრემას აჩვენა.

— აუ! გაება ბერი ხაფანგში! — აღტაცებით შესძახა ეფრემამ.

ბარათი კვლავ „დავითნში" ჩადეს.

კომისიიდან ფილადელფოსი გვიან და ძლიერ აღელვებული დაბრუნდა.

— მამაო წმიდაო! ასე დიდხანს რას გკითხავდნენ?

— რა მოუგონებიათ! ვის რა დასიზმრებია! ასე რამ დაგაგლახაკათ! მარტო ერთს ჰკვეთავდეს უთქვამს ჩემი სიმართლე.

მაშინ ნათალიშვილმა ჩამოიღო „დაეითნი“, დაანახა ბარათი და უთხრა:

— რომ არ გაგთქვა, ჰაეჰავაძეს ამისთვის აქებ?

— ჩემს ნიეთებს ვინ ახლო ხელი? — გამოგლიჯა წერილი და იქვე დასწვა.

— თუ ერთმანეთის ცნობა და მეგობრობა არ გვსურს, რისთვის ვლაპარაკობთ? — ამოიოხრა ეფრემამ. — მე, ნეტა, რას მიმალავ, ერთად არ ვიყავით?

— კომისიაში ათჯერაც ყოფილხარ დასაკითხად, ამონაწერები უკვე წაგიკითხეს, აწი, რაც გინდა თქვა, ფასი არ ექნება. გულს მოიოხებ, ჩვენც განგვართობ და დროს ესრეთ მოვკლამთ. — თავაზიანად სთხოვა ნათალიშვილმა.

— მაშ, კარგი! — გული მოუბრუნდა ფილადელფოსს. — თქვენ დიდად გენდობით და სულქვეშ გეტყვით, სხვებს კი, ვისაც ავი ჩვენება მიუცია, ვერ ვენდობი.

დაიწყო და მოჰყვა, თუ რას ეუბნებოდნენ ბატონიშვილები პეტერბურგში, როგორ და რისთვის შეადგინა „აქტი გონიერი“, რატომ გამოიგონა საიდუმლო ანბანი... ეფრემა და ნათალიშვილი სათანადო შეძახილებითა და თავის ქნევით აღტაცებასა და გაოცებას გამოხატავდნენ, რომ ერთ ბერს ამდენი შესძლებია და ასეთი საქმე ჩაუდენია მამულისათვის.

— ერთხელ, მე და გიორგი ერისთავი აბელ ჩოლოყაშვილთან რომ სტუმრად ვიყავით, და ალაზნის პირზე ვსეირნობდით, თავადმა გვკითხა: სადილი აქ მოვატანინო? — კარგია! — ვუთხარი მე.

სადილზე შევნიშნე, რომ აბელს რაღაც განზრახვა ედო გულში. ალეგორიით ვილაპარაკეთ და გავიგეთ ერთმანეთის ნატვრა და ჩემი „აქტი“ გადაეცი. საიდუმლო ანბანიც ვუბოძე და ვურჩიე, გლეხებს მუდამ მზად ჰქონოდათ იარაღი. „აი, მე ბერი ვარ და იარაღი მუდამ წესრიგში მაქვს!“ — და ამოვიღე ორი დამბაჩა, რითაც ძლიერ განკვირდნენ.

ოქროპირ ბატონიშვილი თბილისში სულ ჩემთან დადიოდა. მარწმუნებდა, ხელმწიფეს სურს დატოვოს ეს მხარე და რაიმე მიწები მიეციოთო. მე ვუთხარი: მიზეზი იოლია, წაბრძანდით კახეთში, ხალხს ეჩვენეთ და ნახავთ, რაც მოხდება–მეთქი. კახეთი სულ მზათა მყავდა. დავით ერისთავს არაგვის ხეობაში ვგზავნიდი. პოპეი

კა მყავდა სხვადასხვა სამეფოთა და საკოროლოთა შორის გასაგზავნ-გამოსაგზავნად, ყველთან წერილს ვატანდი...

— მამაო, თქვენ ბრძანებულხართ მხსნელი და მოძღვარი ჩვენი. არა დაგვიმალოთ, ჩვენს შორის არა უნდა იყოს დაფარული, რადგან ერთს ცეცხლში ვიწვით. — გაუწვა ნათალიშვილი.

— ლორის მელიქოვი იყო ოქროპირის პირველი თანამზრახველი და ფრანგი ლეტელიე, ხოსრო მირზას ექიმი და ბევრი სხვა.

— მამაო, აუწყე, მერე, ყოველივე ეს კომისიას? — ქუშად ჰკითხა ეფრემამ.

— ეს რომ მდომოდა, ჩემს თხზულებებს დავწერდი? როცა სოლომონს და იასეს დატუსაღება შევიტყვე, რაც კი მქონდა, ცეცხლს მივეც. შევინახავდი და სახელი მაინც დამივარდებოდა ქვეყანაზე.

— ხედავ, ერთ ბერს რამდენი შესძლებია? — დამცინავად თქვა ნათალიშვილმა.

— თქვენი სურვილი რომ აღსრულებულიყო, შენ რას მოიგებდი ბერო?

— მღვდელმთავრობას და მეფის პირველ მინისტრობას. მეფეც ჩემს ხელთ იქნებოდა, როგორც ჩემგან გამეფებული.

—ერიჰა! მაშ, ჩვენ იმერელი ბერის ყმები უნდა გავმხდარიყავით?

— აბა, აბა! სულ ყურებს დაგაჭრიდით! — გამოფხიზლდა ფილადელფოსი და ერთბაშად მთელი თავისი ნათქვამი გულზე შავად დააწვა.

— მამაო, მოახსენე ესე ყოველი კომისიას? — გაუმეორა ნათალიშვილმა ეფრემას შეკითხვა.

— ჩემს ხუმრობას კომისიას რათ მოვახსენებდი? მითხარით, დრო განვატაროთ, მოწყენითა ვართო, და მეც მოვიგონე თქვენს საამებლად.

— მამაო წმინდაო, ეს სახუმაროა?

ფილადელფოს უცებ გული შეუღონდა და ძირს გადმოვარდა.

აქ მოყვანიდან ათასი სატკივარი გასჩენოდა, ხოლო უმთავრესი ის იყო, რომ საპირფარეშოში სამი გუშაგი თავს ადგა, ბუნებით მორცხვსა და მოკრძალებულს, არ შეეძლო მათი თანდასწრებით

ბუნებრივი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა, წვალობდა, იტანჯებოდა, ნერვიულობდა და სხეული ეწამლებოდა.

8

მთვარე ახალამოსული იყო, როცა ტატო ბარათაშვილი სამების ეკლესიის ეზოდან ყაბახზე დაეშვა.

გრილოდა.

ხევნარებში სიჩუმე სუფევდა.

წელს თბილისის ამ ყველაზე მხიარულ და მიმზიდველ ადგილს სასეირნოდ აღარ ეტანებოდნენ.

როგორც გიმნაზიაში, აქაც, ყოველთვის ქართულად ჩაცმული მოდიოდა — ბუზმენტებით მორთულ ჩოხაში, დიბის ახალუხით, პატარა, ჩაკეცილი ქუდით. შიგნით შავი ძაფით მოქარგული ყავისფერი ხალათი.

რამდენჯერმე წყნარი ნაბიჯით შემოუვლიდა თეთრად შეფეთქილ ბილიკებს, სადაც ძია გრიგოლთან, ძვირფას მასწავლებლებთან და მეგობრებთან სიარული ესალბუნებოდა, მერმე, უნაბების წალკოტს შეეხიზნებოდა და განაბული ფიქრში დაინთქმებოდა.

იმ სასტიკ დღიდან მოკიდებული, სწავლასა და წიგნს გულს ვეღარ უდებდა, აღარავინ და აღარაფერი არ მოსწონდა.

თაყვანისცემის ღირსს ვეღარავის ხედავდა.

სული და სხეული ცასა და მიწას, ვარსკვლავებსა და მცენარეებს უერთდებოდა, მთაში ქრებოდა, მათთან ერთად მაღლდებოდა.

მაშინ მის მოთეთრო, პირხმელ სახეს, სხივთა მფრქვეველ შავ თვალებს, რბილ, წაბლისფერ თმას, გადაღობილ ხშირ წარბებსა და გრძელ წამწამებს უცხო ნათელი ეფრქვეოდა, ხოლო განუყოფელი სამყარო თავის საკუთარ ენას სთავაზობდა.

მიყვარს, ყაბახო, მუუდროება ღამისა შენის.
...ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?

„რაისთვის არს ესე ესრეთ?! ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამულისა ჩვენისა? ნუ უკვე არ ძალგვიძს შენახვა მამულისა ჩვენისა?! მაშ, რაისთვის ვცოცხალვართ?!“

ყაბახიდან მონუსხულივით მიუყვებოდა ჩაბნელებულ ქუჩებს — მთაწმინდაზე, ფიქრის გორაზე, აბანოების კარს იქეთ, მოსკოვის სადარაჯოსაკენ. საფლავების ქვათა ჟანგისფერ ხავსში ეძიებდა არსებობის საიდუმლოებას და ბრუნდებოდა ცრემლის წმენდით.

„ჩვიდმეტი წლის ვარ და ვერ გამიგია, რისთვის გავჩნდი! რა არის, სად ვეძიო ჩემი ხვედრი! რა გავხდე? რისთვის ვიცოცხლო? რა შევსძინო ჩემს ქვეყანას?

ვინც ხატად მიმაჩნდა, ავაზაკივით გათელეს. სხვას ვის ვხედავ? მის ნაცვლად მოვლენილს შურისა და სიხარბისაგან გადმობრუნებია სახე. ჩემს კერპთა დაცინვით ერთობიან.

მზით სავსე დილის ნაცვლად, წირპლიანი ორმო შემომყურებს.

სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე იმ ცბიერი სახის პატრონი შევიქნებოდე. ვიდრე ის კმაყოფილი პეწი დამედებოდეს. ვიდრე ცხოვრება გაფუყულ ნიღაბს გამიკეთებდეს.

ნეტავ მამაჩემს ჩემს გამოშვებაზე თავი არ შეეწუხებინა და მეც იქ დავეტოვებინე. რა ბედნიერი ვიყავ, როდესაც პოლიცმეისტერმა მითხრა: „დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი!“

„დიახ! მე მისი მოწაფე გახლავართ! მისი მეგობარი! მისი შვილი! მე ის რუს პოეტებს მიკითხავდა!“

„ეს ლექსები შენია?“

„ჩემია!“

„ეს სტატია?“

„ესეც!“

„ეს თარგმანი?“

„ესეც!“

„წაიყვანე, მელიტონ, და, შენ იცი, როგორც დასჯი!“

ქართველი გუბერნატორის მოწყალება!

საძულველი მედროვის დიდსულოვნება!

„განგებავ! ნუთუ წარმოსადგენია, შენს საუფლოში ყველაზე მომხიბვლელი ყვავილი ყველაზე გაიძვერა ჯალათს გააქელვინო?!

ნუთუ დაუშვებ, თვალთმაქცობას დარჩეს ბურთი და მოედანი!“

ნათიმზე თვალთაგან არ შორდებოდა და ამ დროს ერთმანეთზე საოცარი ზმანებანი აფორიაქებდნენ.

ცხადი და მოლანდება, ოცნება და განზრახვა!

მამამ გუბერნატორის თანდასწრებით გაროზგა!

პირუტყვულ სისასტიკეს რა უშავდა!

თექვსმეტი წლის გიმნაზიელს რომ წუწკი ძაღლივით წკეპლავდნენ, ამას რა უშავდა!

მ-ი-ქ-ა-ი-ჩის წინაშე სცემეს!

უზენაესო! შენს საუფლოში ერთმანეთის გვერდით როგორ თავსდებიან მიქაიჩი და სოლომონი?!

ხმა იდუმალი სულიერ მამასთან მიხმობს! გული სინათლეს ითხოვს! მოვკვდები, თუ არ ვნახე! მზეს მოვწყდები, თუ მისი ხმა არ გავიგონე!

მხურვალე ვედრებით მუხლებზე დაეცა. ათრთოლებული ტუჩებით ბუტბუტებდა, ღაპაღუპით ჩამომდინარე კურცხალი საგნებს აქრობდა და ხილულთაგან განშორებას აგრძნობინებდა. გამაბრუებელი სახით უბრუნდებოდა აღმაღლება და სიწმინდე საოცნებო წლებისა, როცა ყოველი შეხვედრა, ყოველი გაკვეთილი, მასთან ყოველი საუბარი ორჯერ მეორდებოდა: ცხადად და სიზმარში. ორივეჯერ ერთნაირის ცხოველმყოფელობით და სიდიადით. არაამქვეყნიური ნაღვლიანი ღიმილი! წამახალისებელი, აღმტაცი და ცოტა დამცინავი! სიყვარულით, მეტისმეტი სითბოთი დამცინავი! ფილოსოფიურად შემხსენებელი, რომ კაცნი ვართ! კეთილნი უნდა ვიყოთ! კმაყოფილებამ არ უნდა შეგვჭამოს. ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს. მოყვასისათვის მარად თავდადების მზადყოფნა.

სიყვარული მაღლა ეზიდებოდა. მასში, როგორც ახალშობილში, ჯერ კიდევ ყველაფერი ბუნების კუთვნილება იყო. უბიწო და სასწაულებრივი. ყოველისგადამლახველ ფრთებს ეღვიძა. წადილი შეუღწეველში იჭრებოდა.

იმ თავზარდამცემი დღის შემდეგ მეგობრები თითქმის ყოველდღე ადიოდნენ ავლაბრის ყაზარმებთან.

პირველ ხანებში ტატოსთვის იქაურობა გაუბზარავ ბინდბუნდში იყო გახვეული. გრძნობა ხედავდა და არა თვალი. გული სჭრიდა და არა გონება.

ისინი ხან ფერდობს უვლიდნენ გარშემო და ყველაზე საუკეთესო ადგილს ეძებდნენ დასანახავად. ხან მაღალ ხეებზე ადიოდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ. ეზოში თავჩაღუნულ მოსიარულეებსაც ხედავდნენ. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ დაინახეს კიდეც თა-

ვიანთი საყვარელი მასწავლებელი. ტატო ფიქრით ელაპარაკებოდა მას და ცდილობდა ამოეცნო ის სარკმელი, რომელიც სათაყვანო მკურნალს სნეული ქვეყნისგან ჰყოფდა. რამდენჯერ სტუმრებია მისი ფიქრი და ოცნება სოლომონის ბნელ საკანს. რამდენჯერ გასაუბრებია მწარე ბედზე, თავის ახალ ლექსებზე, მამულის მერმისზე. რამდენჯერ დაშვებულა თოკით მის ფანჯარასთან, მოკრძალებით დაუკაკუნებია, შეფრენილა და მის მუხლებთან განაბულა. რამდენჯერ უფიქრია, რომ ეს არცთუ ისე ძნელია. გუშაგები შორ-შორს დგანან. ღამით მყუდროებაა. სოლომონის სარკმელს ბებერი თელა გადაჰყურებს. თუ ოდნავ ბნელა, შეიძლება ბაგირი გამოაბა და შეუმჩნეველად ჩაჰყვე...

„ან ჩემი ბედი, ან ჩემი სურვილის აღსრულება!“

...უსასოო ღამე. უსასრულო მარტოობა. წამება. და, უცებ, სარკმელზე კაკუნი... ბაგირი ნელ-ნელა ეშვება. გალავნის დაკუთხული კედელიც. კიდევ ერთი ჩარბენა. დაყურადება, რუხი წინგარდი. ტალანების წყვდიადი. დამჭკნარი, ოფლიანი ხელი სარკმელს აღებს... უბეში ზარნიშიანი ხანჯლის მოსინჯვა.

„რა კარგია, რომ მოხველ! შვილო! ჩემო პატარა ძმაო!“

„მაპატიეთ, მასწავლებელო, ეს უადგილო და უდროო ახირება! ვერ გავძელი უთქვენოდ. სული დამეხუთა! ქვეყანა დაცარიელდა!“

„შენი იმედი მქონდა! შენ, ჩემო უსაყვარლესო მოწაფევ! შენ უნდა გადაარჩინო ჩვენი სული!“

„თქვენს მოწაფეებს არ სძინავთ გონებით! ჩვენ შევადგინეთ თქვენი ნაწერების კრებული და ვუწოდეთ მას „გიმნაზიის ყვავილი“. თქვენ გვასწავლეთ, როგორი უნდა ვიყოთ!“

„ყრმაო კეთილო! შენ უნდა განაგრძო ნათელი საქმე! თავი არ დაზოგო ქართლის ბედისთვის, გულს ჩაიბეჭდო ჩვენი კარგი, აირიდო ჩემი შეცდომები აღადგინო მამული შრომით და ოფლით! ცოდნით და სწავლით! ერთობით და სიყვარულით! ძმობით და ერთგულებით! არ დაკარგოთ ბედის ვარსკვლავი და ვლიდეთ მის შესახვედრად!“

„ღმერთო, ეს ჩემი სალბუნი, ეს ალერსიანი ღიმილი! ოდნავ დამცინავი ღიმილი! მომწოდებელი! დამრიგებლური! საყვედურიანი! სარკე კეთილი სულისა!

მასწავლებელო! ოდეს გიგონებთ, მომაველი მესახება მე ნაირ-

ფერებად და წარმტაც ოცნებად. შინაგანი ხმა მიწვევს მოვალეობის აღსრულებისაკენ!“

„მე ჩვენის მამულის აწინდელის მდგომარეობისათვის ესრეთ მოხარული ვარ, რომ რჩებით თქვენ და ვასაოებ, არ ჩატყდება ხიდი საქართველოს გრძელს გზაზედ!“

„ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა!“

„არ დასცხრეთ! იღვაწეთ კეთილისათვის და ნუ სტირ!“ შანდალში ნელინელ დნება სანთელი. ცა ჯანღით იბურება.

ძვირფასი მასწავლებლის სახეს ბინდი ეფარება.

მწუხრი გულისა, სევდა გულისა,
ნუგეშსა ამას მისგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.

9

„ყოველ დღეს ახალ-ახალი საბუთი მოაქვს, რომ სამოქალაქო მმართველობის გარეშე, საქართველოს არაფერი ეშველება. ჩემი პროექტი როზენმა თავაზიანი შენიშვნებით დამიბრუნა „გადასამუშავებლად“. მეც მადლობა მოვახსენე „საყურადღებო მითითებებისათვის“, თუმცა კარგად ვიცი, როგორადაც არ უნდა „გადავამუშაო“ და „გავამდიდრო“, სამხედრო უწყება ჩემს ღონისძიებებს მაინც არ დაეთანხმება. მაშ, რათ მინდოდა ეს გუბერნატორობა, თუ ამის იქით ვეღარ წავიდოდი და მამულის სასიკეთო საქმეებს, რისთვისაც ყველაფერი გავსწირე, აღსრულებამდე ვერ მივიყვანდი?“..

— ნიკოლაი ოსიფოვიჩ, ჩემს მამულზე ქარხნის აგებისა რა გვესმის? — გამოარკვია ფიქრიდან ვასილ ბებუთაშვილმა, რომელსაც ქათიბის ყურთმაჯები წითლად უფრიალებდა.

— მეც ეს მადარდებს, მაგრამ გრიგოლ ვლადიმეროვიჩი მე და შენსავით არ ჩქარობს. პროექტი შესასწორებლად დამიბრუნა.

— თავადო, რაც ამ ორ წელიწადში შენ გააკეთე, თუ კვლავაც ასე წავედით, ფრანციასაც უკან ჩამოვიტოვებთ.

— აბა, მართალი მიბრძანე, შენი ჰირიმე, დღევანდელი თბილისი ის გახლავთ, რაც გუშინდელი თბილისი იყო? თუ იმ გზით ვი-

არეთ, რომელიც მე ამომირჩევია, ხვალინდელი თბილისი სამოთხედ გადაიქცევა. უცხოელები უკვე ლაპარაკობენ ჩვენი დედაქალაქის ევროპულ და აზიურ ნაწილზე. ახლა პასკევიჩის დროს მიყრილ-მოყრილი ქუჩები გაიხსენე, რას დავამსგავსე. ყაბახთან ხიდის დაწყებასაც ვაპირებ, თუ ბარონი დამეთანხმება და პეტერბურგმა შემწეობა მომცა.

— შემწეობას რათ არ მოგცემენ, რა, ხელმწიფის საქმეს არ აკეთებ!

— ამ ხეტი ბიჭების არეულობამ ძლიერ დააყოვნა საქართველოს ბედნიერება, თორემ ამ გაისს სამოქალაქო მმართველობა გვექნებოდა და ჩემს პროექტსაც დაამტკიცებდნენ.

მადლი უფალს, რომ ჩემის ურვით, ხელმწიფე ბოლოს მაინც დარწმუნდა ქართველი თავადაზნაურობის ალალმართლობაში. განჩინება ჯერ არ მოსულა. მაგრამ უმთავრესი დამნაშავე და მიზეზი კი ცნობილია. ეს ქაღალდი გუშინ მომივიდა: „მის ბრწყინვალებას საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ბატონ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკსა და კავალერს თავად ფალავანდოვს.

ხელმწიფე იმპერატორმა პირადად განიხილა ქართველთა შეთქმის საქმე და ინება უზენაესად ებრძანებინა, რომ შეთქმულების მონაწილეთაგან ყველაზე უფრო დამნაშავე ყოფილა მასწავლებელი სოლომონ დოდაევი“.

ეს დიდი გამარჯვებაა, თავადო! ხელმწიფე დაარწმუნეს, რომ ჩვენი კეთილშობილნი უმწიკვლო არიან და ტახტისადმი მათი ერთგულება ეჭვს არ ბადებს. შეთქმის სათავეში იმყოფებოდა რუსეთში აღზრდილი გლეხკაცი, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტში შეითვისა გამხრწნელი რესპუბლიკური აზრები ფრანციისა და მოიწამლა სენატის მოედანზე ამ რვა წლის წინ მომხდარი ამბოხების სულით, რომლის მონაწილეც ყოფილა. თქვენ მოგეხსენებათ, უსათნოესი მონარქი რა სიძულვილს ატარებს გულით დეკემბრის ამბოხების თვით უბრალო თანამგრძნობთა მიმართაც, და, როცა მას წარუდგინეს დოდაშვილის ნათარგმნი ლექსი რილეევისა, ოდოევსკისა, რილეევისაგან ციხიდან მოწერილი წერილი ცოლისადმი, მისგნით შეთხზული „სიტყვა-მოწოდება“ და სხვანი მრავალნი, ორი ზანდუკი ნაწერნი, ხელმწიფე განკვირვებულა და განრისხებულა ფრიად, ვითარ მოხდა, რომ ესეგვარი დამნაშავე 1825 წელსვე არ იქ-

ნა შეპყრობილი. მისის უმაღლესობის ბრძანებით, იქვე გამოურკვევიათ, რომ დოდაევს დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა რუს და პოლონელ მეამბოხეებთან.

— რა მოელით, თავადო, ესრეთის დანაშაულობისთვის?

— დოდაევს აკუწვა, სხეულის სხვადასხვა ასოების თანდათანი მოჭრით, დანარჩენთ შემსუბუქება, თვინიერ ხელმწიფის გვარდიის ოფიცერთა.

— ქვეყანას რომ ორი-სამი ბალღამი კაცი მოშორდეს, პატარა ამბავი არ გახლამსო.

— დოდაშვილი სასიკვდილოდ არ მემეტებოდა. ბევრჯერ გამიფრთხილებია: „ბიჭო, ნელა, თორემ თავს იქით გიკრამენ!“

— ბევრი კაი ოჯახიშვილი აცთუნა მაგ შეჩვენებულმა.

— ყველას თავისი დრო და ჯერი აქვს. სწავლასა და ცოდნაზე უფრო დღეს კანონი და დისციპლინა გვჭირდება ქვეყნის საფუძვლების აღსადგინებლად. ფილოსოფია შეუთვისებიაო, უცხო ენები იცისო, კარგად ქადაგებსო, რას იზამ, მოქადაგეებს და ფილოსოფოსებს ახლა რკინის კანონები გვირჩევნია.

— თავადო, თქვენი ძმისა რა გესმით?

— არ ვიცი, რა ეშველება! თავიც დაღუპა და ჩვენც დაგვიტანა. ხელმწიფესთან მიჩივიან, ეხმარებაო. ძმას ძმაზე გული როგორ არ უნდა დაეწვას, მაგრამ რას ვუშველი, რომ დოდაშვილზედ მეტს დამნაშავედ ის გამოჩენილა?

— ამათი დატუსაღებით ეს ამდენი სამსახურის ადგილები რომ ცარიელი დარჩა, ვინძლო ჩემის ძმისთვის „სავეტნიკობა“ გებოძა „სასამართლოს და განჩინების ექსპედიციაში!“

„რა იოლად იტყვის! მოხელეების დანიშვნა უპირველესი საძირკველია. თუ ყველგან ჩემს ერთგულს არ ჩავაყენებ, როგორ გავიმარჯვო! ბებუთაშვილები მამიჩემის შვილს თავს არ დაუდებენ. თვით უკანასკნელი მათი მონაგარიც გუბერნატორობაზე ფიქრობს. თავიანთი ცოდნა, ჭკუა და შთამომავლობა კარგად გახვიონ და თახჩაზე შემოდონ. არც ერთი ნაბიჯი უკან! აქ თუ ხათრიანად დაგიგულეს, ქეჩოში მოგაჯდებიან! საწყალი აზნაურები და მოქალაქეები უფრო გამომადგებიან, თუნდაც ლასურიშვილის ჯორივით უმეცარი და ბრიყვი იყვნენ. ქვეშევრდომი რომ სულელი და ბეჩავი სჯობს, ეს ჩემი აღმოჩენა არაა. „განჩინებაში“ „სავეტნიკად“

იმისთანა აზნაურს დავნიშნავ, რომ ალექსანდრე ორბელიანზე სულელი, მახინჯი და ლაჩარი იყოს!“

— შენ არ მომიკვდე, კნიაზო, ასეთს ღირსს ადგილებზედ მე არავინ დამანიშვნინონ! მაშ, რისთვის ვიკლავ თავს, სამოქალაქო მმართველობა გვინდა-მეთქი! თვით უბნის მსაჯულებსა და ზედამხედველებსაც სამხედრო მმართველობა მიგზავნის. მე ქუჩების დაგვის მეტი არ მეკითხება რა.

— იქნებ, მიშუამდგომლოთ, თავადო?

— ვშიშობ, ამით უფრო საქმე არ წავახდინო!

არ ეჭაშნიკა გუბერნატორს ბებუთაშვილის ნაწყენი და მედიდური კილო.

— მაქვს იმედი, განაგრძელებთ „საგამომცემლო კომიტეტში“ მოღვაწეობას. რახან დოდაევი იქ აღარ იქნება; ჟურნალ-გაზეთებს უკეთ მოვუვლით. ჩვენგან შედგენილს საცენზურო წესდებულებას სამხედრო მინისტრს გადავუგზავნი დასამტკიცებლად. რა ვითარებაც სიპიაღინის და დოდაევის დროს იყო, აღარ განმეორდება. ჩვენს ქვეყანას ბრძნულ-ბრძნული ლექსები და ღრმადმეტყველი თხზულებანი ზიანს მოუტანს. მე განვამრავლებ ხუმარსიტყვაობას, გასაგებად და განსართველად ყოველთა. აღვამაღლებთ სიყვარულს რელიღიისა და დავიფარავთ ქართულს სიტყვას. გამიგონია, ადამიანთა თავმოყვარეობას სჩვევია ქაღალდის და კედლების თხუპნაო.

მიქაიჩს უნდოდა ჩქარა, მაგრამ თავაზიანად დაესრულებინა პატივცემულ თავადიშვილთან საუბარი. მალულად ქორწილისათვის ემზადებოდა და ყუბალოვი ჰყავდა დაბარებული ნათიმზესათვის საკაბეების შესარჩევად.

რაც ამ საქმეში ჭმრის, ძმებისა და ოჯახის ბედით შეშფოთებული კოლეჭსკი სოვეტნიცა მელანია მელნიკოვა ჩაერია, გუბერნატორს წარმატებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. „გერალდის დეპარტამენტის“ პასუხისმგებლობისაგან ნათიმზეს მამა უკვე გაანთავისუფლებინა და ახლა თავს არ ზოგავდა, რათა შეთქმულების ბრალდებისაგანაც დაეხსნა.

ეს ქორწინება, რომელსაც პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებდა, რადგან „პირველი ხარისხის“ თავადიშვილის ოჯახს უკავშირდებოდა, თავისი წარმატებების გვირგვინად ესახებოდა. სახლიდან ძველი ავეჯი მთლიანად გაატანინა, იასეს ოთახები დააცლე-

ვინა, დასა და სიძეს საკუთარი სახლი შეუძინა, ვენიდან უკანასკნელი მოდის ავეჯი გამოიწერა და ბინის სრულ გადახალისებას აპირებდა.

რაც თავი ახსოვდა, სულ სამსახურს იყო გადაყოლილი და ახლა თავს ღირსად თვლიდა, დამტკბარიყო სიყვარულითა და პირადი ბედნიერებით.

კარგად იცოდა, რომ ნათიმზე ორბელიანი საქართველოს უმშვენიერეს ასულად იყო აღიარებული და დედოფლობა ეკუთვნოდა. ბოლოს, სიყვარულის ალიც მოედო და ზოგჯერ ჭაბუკივით შეუღიტინებდა გულში მისულიყო და მოესმინა მთელ ქალაქში სახელგანთქმული მისგან ფორტეპიანოზედ დამღერებული „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ და „არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!“.

ერთხელ, მოედანზე დალანდა, როცა ნიავმა თეთრი კაბა მიმოუქროლა და გულში გამუდმებით იმეორებდა სხვისგან ნათქვამ სიტყვებს: „ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესო!“

როცა მომავალი სასიმამრო და ნათესავები შემოუვლიდნენ, „შამფანსკებს“ თვლა აღარ ჰქონდა.

თანდათან გულში შიშიც ჩაესახა — თექვსმეტი წლის ქალიშვილისთვის, რომელიც ლექსებს წერდა, „ხახვის ფრანტებს“ ტვინი არ გადაებრუნებინათ.

— კნიაზო! ჩემის შუამდგომლობით, „დიდი მთავრის მემკვიდრე ბატონიშვილის სახელის დღის აღსანიშნავად“, ბარონს გადაწყვეტილი აქვს შეიწყნაროს და პატიმრობიდან გაანთავისუფლოს ზოგიერთი მცირედი დამნაშავე, რისთვისაც გენერალ ჩევკინთან და ახლესტიშევთან ერთად, უნდა ვეახლო მის მაღალმატებულებას.

დიმიტრი ყიფიანის წერილი ავთანდილ ერისთავს
1834. წ. 10.V.

ეს მეორე წელიწადია, ჩემს საკუთარ და სხვათა აქ მყოფთა საქციელს რომ ვხედავ, ადამიანის ღირსებაზე წარმოდგენა მეცვლება.

არ ვიცი, ვისი ბრალია — თვით ადამიანებისა თუ მათი, ვისაც და რასაც ისინი იქამდე მიჰყავთ, რომ ადამიანობას კარგავენ. კაცის დაცემა მთელ საზოგადოებას რყვნის, საყოველთაო ზნეობას

ძირს უთხრის, რადგან არავინ არ უნდა იცოდეს, რომ ადამიანს შეუძლია ამისთანა სისაძაგლემდე მივიდეს.

თუ გახსოვს, გასულ წელს გატყობინებდი, ჩემთან და ავთანდილოვთან საკანში ღრმად მოხუცი ბარძიმ ამილახვარი შემოიყვანეს. ტანად ძლიერ მაღალი, კეთილი, თავდაჭერილი, წელში ოდნავ მოხრილი, მტკიცე გამომეტყველების კაცი.

„როგორ, თავადო, თქვენც გქონდათ მონაწილეობა?“ — არაფერი არ ვიცი, დამიბარეს ქალაქს და დამაპატიმრეს“.

მას შემდეგ ერთმანეთს აღარ ვაწუხებდით. მას ერთი სიტყვაც არ ესმოდა რუსულად და ჩვენ რუსულად ელაპარაკობდით.

ერთხელ ამ ანგელოზის სახის მოხუცმა გენერალთან მოისურვა მისვლა და კომისიის თავმჯდომარესთან აიყვანეს.

არ გასულა ორი დღე, ის უნტეროფიცერი, რომელიც მე და ავთანდილოვს წერილების გაგზავნაში გვეხმარებოდა, სალდათად ჩამოაქვეითეს, გაუპტვახტში ჩააგდეს, ყოველგვარი პატივი აჰყარეს, როზგით სცემეს და ახლა ჰოსპიტალში წევს იმისათვის, რომ, ვითომ, მე და ავთანდილოვი გაქცევას ვლამობდით და ხელს გვიწყობდა.

ძვირფასო მეგობარო! ეს უგანათლებულესი ბერი ფილადელფოსი, რომლის სიმაღლე ხუთ არშინს აღემატება, მხრები ყაზარმის ალაყაფში ძლივს შემოაქვს და შეუძლია მთელი ჩვენი კორპუსი ზურგით აიტანოს შუამთაში, ისეთი მიამიტი აღმოჩნდა, ორი-სამი დღის დაჟინებული ჩაციების შემდეგ, მთელი თავისი საიდუმლოებანი უკლებლივ ჩაულაგა კალთაში ორ გაიძვერას, რომელთაგან ერთი ქართულ გრენადერთა პოლკის კაპიტანი და აზნაური გახლავთ, ხოლო მეორე — მგოსანი, მასწავლებელი და სულიერი მამა.

საღამოს ნათალიშვილმა და ეფრემამ გამომძიებელთან შესვლა ითხოვეს და გვიან დაბრუნდნენ.

დილაადრიან, როცა სიცხიანი ფილადელფოსი ლოგინში იწვა, შემოცვივდნენ გენერალი, არქიმანდრიტი, კომენდანტი, წამოაგდეს საწოლიდან, გაჩხრიკეს ფეხის ფრჩხილიდან ბალიშის ბუმბულამდე, წაართვეს, თუკი რამ გააჩნდა, მათ შორის, „დავითნი“, რომელშიც, საიდუმლო ანბანით ჩანაწერები უპოვნეს. როზენს შუამთის მონასტერშიც უთენია ეფრინა გენერალი რეუტი — „ბერმონაზონ ფილადელფოსის ყველა დარჩენილი ქაღალდის დასალუქავად. „გაჩხ-

რიკეთ ყველა საკუჭნაო და მონასტრის სხვა საიდუმლო ადგილები. მოძებნეთ ბერმონაზონის საკანში წითელყდიანი წიგნი, რომელიც უნდა იყოს იმავე საკნის სათავის ერთ-ერთი ხის ბოძის უკან. ჩამოიყვანეთ თბილისში ბერის თანამზრახველი სასულიერო პირები, არ მისცეთ მათ საშუალება ვისმე დაელაპარაკონ.“

კორპუსის ობერვახტმაისტერმა და პლაცადიუტანტმა შეშფოთებული ბერი კომისიაში წაიყვანეს. იქ უთქვამთ: „მას შემდეგ, რაც ხელი მოაწერეთ ჩვენებასა და ბრალდების ამონაწერს, თქვენთან ერთ საკანში დამწყვდეულ მასწავლებელ ეფრემასა და პორუჩიკ ნათალოვისთვის თქვენ გიამბნიათ შეთქმულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოებანი.

გველაპარაკეთ თქვენს მიერ მათთან დასახელებულ მონაწილეებზე, „დავითნში“ ჩანაწერებზე, თქვენს თხზულებებზე, რომლებიც მოგისპიათ, როგორც კი მეგობართა დატუსაღების ამბავი გაგიგიათ“.

შეგიძლია წარმოიდგინო, რა მოუვიდოდა საწყალ ბერს, მოყვასთა ამისთანა ვერაგობას რომ შეიტყობდა!

დაუწყია თავისებურად გულუბრყვილო თავისმართლება — „იგინი, რომელ არს სულიერი მამა ეფრემ შიოელი და დავით ნათალოვი, მოხუმრის მოძრაობით მაიძულებდნენ მე, გატყდი ახლა მაინც, თუ აქამდი ვერ გაგტეხეთო. ამგვარის ხუმრობით თითქმის გამაჯავრებდნენ ხოლმე, მაგრამ მოგვწყინდა და დროს გასატარებლად ხუმრობას ავჰყევი და ერთხელ ვუთხარ, კარგი, ეხლა გავტყდები-მეთქი.

მოვიგონე, ვითომ, კახეთში მზად მყავს ხალხი-მეთქი, პოპეიკა მყავს-მეთქი, ჩემი ნაწერები დავწვი-მეთქი.

ამისთანა ხუმრობებში სიცილით განვატარეთ დრო. მე ისე სერიოზნად ვუამბობდი ამეებს, ვითარცა ყოვლის შემძლე. ეფრემი და ნათალოვი ხუმრობით მეტყოდნენ: ყოჩაღ, კარგად გიქნია, სწორედ ასე უნდა გექნაო. ესა და ეს ღონისძიება გამოგრჩენიაო. უფრო კარგად უნდა დაგეწყო პლანიო.

ეს მასხარაობა და ხუმრობა გახლდათ და მეტი არაფერი.

ზემოიმერელი თქვი და ისიც ბერი, — საცოდავს მართლა ჰგონებოდა, დამიჯერებენო, მაგრამ როცა ყოველი სიტყვისთვის სა-

თითაო ანგარიში მოსთხოვეს, როგორც იყო, მიხვდა, რა მახეშიც გააყოფინეს თავი.

„არა თხზულება არა მქონიაო. არც არა დამიწვავს, არც არა შეთქმისა ვიცი რა, ვიყავ ჩემს სენაკში წმინდის გულით, მშვიდობით, სიყვარულითა და ერთგულებითაო“.

„დავითნში“ რომ მიწერია, ერისთავს ვატყობინებდი, კენჭი იმას ჩაუგდე, ვინც შუბლზე ხელი მიიდოს ანუ ქრისტეს ჭეშმარიტი მოყვარეა-მეთქი.

ძვირფასო მეგობარო! როგორ გგონია, დაუჯერებდნენ ჩვენს საყვარელ მწირს ამისთანა სერიოზულ საქმეებზე ხუმრობას?

დაულაგეს წინ ეფრემასა და ნათალოვის საკუთარი ხელით ნაწერი დაბეზღებანი. ეფრემა თურმე ასე იწყებს საბეზღარს: „ეითარცა მაწევს საღმრთო და ქვეშევრდომობითი მოვალეობა ერთგულებასა ზედა იმპერატორისა ხელმწიფისა ჩვენისა ნიკოლაოს პავლეს ძისა, მოგახსენებთ ბერის ფილადელფოსისაგან მთავრობის საწინააღმდეგოთა საქმეთა ზედან“.

საკანში რომ დააბრუნეს, ფილადელფოსი სულ სხვა ადამიანი მეგონა. არასოდეს არ მინახავს, რამდენიმე საათში კაცი ასე შეცვლილიყოს. არც ამგვარის გამომეტყველების მნახველი ვარ.

არც შიში, არც რისხვა, არც გაბოროტება არ იხატებოდა მის სახეზე.

საშმლისთვის ხელი არ უხლია. მიეგდო ლოგინზე და, იქნებ, მთელ ცხოვრებაში პირიც აღარ გაეღო, ეფრემა და ნათალოვი რომ გულიანი ხარხარით არ მიახლოვებოდნენ.

„რას დაგიღვრემია, წმიდაო მამაო! აქ ჩვენ ყველა დამნაშავენი ვსხედვართ და აწი შენც ჩვენი ამხანაგი ხარ!“

მე ბერს თვალს არ ვაშორებდი და რაღაც საშინელი შიში მიპყრობდა.

„გაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, კაცი უგუნებოდაა!“

„უწყის ამ ბერმა მეტყველებითა თვისითა დაბნელება გონებისა ჩემისა! — თითქოს, განზრახ უდაბნოს ენით მომიგო ეფრემამ.

„ხმა ჩაიწყვიტეთ!“ — შევყვირე მე.

„რათა, რაკი ესე აყოყილია?“ — ჩამესმა ნათალიშვილის ხითხითი.

მერმე, არ ვიცი, მე დამიბნელდა თვალთ და ვერ შევამჩნიე, თუ სასწაულის მომსწრე შევიქენ...

ბერს ეფრემა ნათალოვზე გადაედო, გულზე თავისი დევის მუხლი დაებჯინა, მარწუხებივით გრძელი, ხისტი ხელები ორივესთვის ერთად წაეპირებინა ყელში და, საცა იყო, წირვას გამოუყვანდა.

წარმოიდგინე, ესეც აინუნში ჰქონდათ! კარი იმ წამს რაჯგუნით დაფეთდა და შემოცვივდნენ კომენდანტი, პლაცმაიორი, კორპუსის ობერვახტმაისტერი იაკუბოვიჩი, შოსტენკო, უნტეროფიცერები. დაეტაკნენ ერთად უბედურ ბერს, გააკრეს სკამზე, დასცხეს და დაუწყეს ხელ-ფეხზე ბორკილების დადება.

წაიყვანეს ჩვენგან მუჯლუგუნითა და ყვედრებით! საპყრობილე გაგვირყვენი, ტუსაღებს კედლებზე თითით რაკუნი ასწავლეო, შენს გამო გამოძიება გვეშლებაო.

ათი დღის შემდეგ, ჩვენ იქ გვაცნობეს: „შუამთის მონასტრის ბერმონაზონი ფილადელფოსი კიკნაძე აგვისტოს 25-ს ავად გახდა. ნალვლის ბუშტის ანთებითა და კუჭის მწვავე ანთებით, რასაც შტაბ მკურნალი ნიკოლაი მკურნალობდა მედიცინის შესაფერისი საშუალებებით და ავადმყოფი უკვე გამოჯანმრთელების იმედს იძლეოდა. მაგრამ ამა ორ სექტემბერს ღამით მან გადაიძრო ტანისამოსი და დაავადება კვლავ გამძაფრდა, ისე რომ თვით მძლავრმა წამლებმაც აღარავითარი გაელენა არ იქონია ამის გამო, ის ამ ნალვლისა და კუჭის ანთებით, ნებითა ღვთისათა, გარდაიცვალა სექტემბრის ხუთს, ნაშუადღევის ცხრა საათზე“.

კეთილო მეგობარო! ვერ აგიწერ, როგორ იმოქმედა ამ ამბავმა ჩემზე!

არ ვიცი იმიტომ, რომ ეს იყო პირველი მსხვერპლი, არ ვიცი, იმიტომ, რომ ჩვენთან საკანში ყოფნის დროს მომაჯადოვა მისმა საოცარმა ხასიათმა და ცოდნამ. არ ვიცი იმიტომ, რომ ეს რკინა კაცი ერთადერთი იყო ჩვენს შორის, რომელიც სიკვდილამდე არ გამოტეხილა, არავინ დაუსახელებია, არავისზე ხელი არ შეუწმენდია.

წავიდა ჩვენგან ყოვლად გლახაკი იერომონახი. კაცი უთვისტომო. მგზნებარე შემოქმედი. თავისუფლებას შეწირული სული. საყოველთაო ბედნიერებაზე მეოცნებეს ჯურღმულში აღმოხდა სული.

ჭაღარამოსილი ბავშვი, რომელსაც სხვათა თანდასწრებით მოსასაქმებელად გასვლაც ცოდვად მიაჩნდა, და, სიკვდილს ნატრობდა. ვინ იცის, იქნებ, ამითაც მოიწამლა.

ძმაო ავთანდილ! მწამს და ღვთაებრივ სიბრძნედ მიმაჩნია შეგონება: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განკითხულ იქმნეთ!“ მაგრამ, დაუკვირდი, ადამიანის ნებისყოფისადმი რა უნდობლობა ჩანს ამ მშვენიერ სიტყვებში! მერმე, რა ვიფიქროთ მაინც იმ კეთილშობილ პერსონაზე, რომელიც სხვებს აქეზებდა, მეთაურობას ჩემობდა და აქ სულმდაბლად იხვეწება: „ვნანობ და ცრემლს ვაფრქვევ. შეცდომაში შეყვანილი ვარ. გამიშვით ჩემს ნათესავებთან და ვამხელ მათ“.

საწყალი ბერის ამბავი რომ მოვისმინე, ორივეს ჩემი ხელით გავგლეჯდი, აქ რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ საოცარი კანონზომიერების თანახმად, რომელიც ამისთანა საქმეებში სუფევს, ისინი უკვე ჩვენთან აღარ იყვნენ.

ბარონ როზენის შუამდგომლობით, „დიდი მთავრის მემკვიდრე ბატონიშვილის სახელის დღის აღსანიშნავად“, ზოგიერთი პირი, და მათ შორის, ეფრემა, დავით ნათალიშვილი, ბარძიმ ამილახვარი, ფეფენო შიოევისა, შეწყნარებულ იქნენ „თავიანთი გულკეთილობის გამო“ და იმისთვის, რომ, „საზოგადოებაში რაიმე მნიშვნელობა არ აქვთ“, ვითომ, „პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ“.

აფსუს! როგორ მინდოდა მათთვის ყური ამეწია და მეთქვა: „ადამიანის სახელს არცხვენთ თქვენ, და ადამიანები რომ იყოთ, ამიერიდან ყოველგვარ ბედნიერებას მოკლებული იქნებოდით!“

ჩემს საკანთან, იფნის ტოტზე, ყვითელ ნისკარტა ჩიტუნია აქეთ-იქით ხტის, ჟივჟივებს. რაღაც საზრუნავი აქვს. ვიღაცას ელის. შეფრთხიალდება, დაიკარგება ცის სილურჯეში, შეჰკრავს კამარას და გაფრინდება, საითაც მის გულს მიუხარია.

ავთანდილ! მე მშურს მისი თავისუფლება.

ჩემი სარკმლიდან ფერდობზე მწვანედ გაღეღილი ბუჩქი მოჩანს, მზით გალაღებული, წვიმასა და ქარში მიწას ამაყად და იმედიანად ჩაფრენილი.

ავთანდილ! მე მშურს მისი სიალალე და სილაღე.

— დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ! — მკაცრი ხმით აფრთხილებდა გამცილებლებს ხერსონის გრენადერთა პოლკის პორუჩიკი ფილიპოვი, რომელსაც დოდაშვილის ვიატკაში წაყვანა ჰქონდა ნაბრძანები.

1834 წლის ოცდაოთხი ივნისის დილის ცხრა საათი სრულდებოდა. ზუსტად ცხრაზე შორეულ გზას უნდა დადგომოდნენ სოლომონ დოდაშვილი, ცოლ-შვილთან ერთად, რაზმაძე, რომელიც პენზაში იგზავნებოდა, პორუჩიკი და ფელდეგერი.

ფილიპოვი ჭორივით შეჰყურებდა ტუსაღებს და გამცილებლებს, რომელთა ასე დილაადრიან თავშეყრას ციხის ადმინისტრაცია არ ელოდა.

პორუჩიკი გაფრთხილებული იყო, დიდი სიფხიზლე გამოეჩინა, დაბა-ქალაქებში არ შეჩერებულიყვნენ, ტუსაღებს არავინ გამოლაპარაკებოდა.

კავკასიის მთებში განუწყვეტელი ყანყალით დანჯღრეულ კალასკაში სოლომონის მეგობრები მოხერხებულად ალაგებდნენ ბარგს.

ხელებსა, ფეხებსა და კისერზე ხუნდებგაყრილი დოდაშვილი ყრუ საკანში გატარებული წლების შემდეგ, რაღაც უცნაურ შვებას განიცდიდა. ხარბად ეწაფებოდა მზით დაფერილ ზეცას, თავისუფლად მოფუსფუსე ადამიანებს და ისე, როგორც არასდროს, გრძნობდა, რა მშვენიერი ყოფილა ეს ღვთისგან ბოძებული სამყარო.

გულს არ სჯეროდა, რომ ეს სამუდამო გამოთხოვება იყო. რომ ამ ცას, ამ მიწას, ამ მზით გავარვარებულ კლდეებს ვერასოდეს დაუბრუნდებოდა.

უმაღლესი სენატი შეთქმულების საქმეებში არ ჩარეულა. ტუსაღებისათვის სენტენციისა და კონფორმაციის გაცნობისთანავე, როზენმა გამოძიების მასალა, დასკვნითი სენტენციით გადაუგზავნა სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს, რომელმაც ის იმპერატორს წარუდგინა.

ხელმწიფემ პირადად განიხილა საქმეები და ბრძანა, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, დი-

მიტრი ერისთავი, მოლა ზამანა, დიმიტრი პაუშენკო, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე. ივანე ორბელიანის სამხედრო სამართალში მიეცათ.

ათ თებერვალს ტრიბუნალმა მთავარ დამნაშავეებს პეტრეს დროინდელი სამხედრო წესდების საფუძველზე, „როგორც უზენაესობის შეურაცხმყოფელთ", ოთხად გაკვეთა მიუსაჯა. ამ ველურმა სასჯელმა დიდი აღშფოთება და პანიკა გამოიწვია, მაგრამ აკუწვით სიკვდილს თვით იმპერატორიც კი მხეცობად თვლიდა და მისი ბრძანებით, სიკვდილი სხვადასხვა ადმინისტრაციული სასჯელით შეეცვალათ.

სასტიკად დასჯილი ერთ-ერთი მონაწილის ფორმულარში ნათქვამია:

„1. პაუშენკო დიმიტრი ვასილის ძე, ვაჭართა წრიდან, 40 წლისა, ტიტულიარნი სოვეტნიკი. მამული არ აქვს.

2. საქართველოში ჩამოვიდა 1824 წლის ოქტომბერში. ჯერ მსახურობდა საქართველოს უზენაესი მმართველობის აღმასრულებელ ექსპედიციაში, შემდეგ დუშეთის ისპრავნიკად დაპატიმრებამდე.

3. მონაწილეობას იღებდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში. თურქთა 60 ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ, რომელსაც თვით დიდი ვეზირი სარდლობდა. თურქთა არმია დატყვევებული იქნა.

1812 წელს თურქეთთან ზავის შემდეგ, ვალახიის, მოლდავეთისა და ბესარაბიის გზით უკან დაბრუნების დროს, ბრძოლა მოუხდა ავსტრალიელების, საქსონელების, პოლონელებისა და ფრანგების გაერთიანებულ ლაშქართან.

მერე მიიღო მონაწილეობა ბრესტლიტოვსკის ირგვლივ ბრძოლებში, ბოლო 16 ნოემბერს ბერეზინაზე გადმოსულ ფრანგების ჯართან, რომელსაც ნაპოლეონი სარდლობდა. ბრძოლებით განელო ვილნო, ვარშავის საჰერცოგო, პრუსია და 1813 წ. ციხე-სიმაგრე გურუნთან ფეხში დაიჭრა.

მერმე იბრძოდა საქსონიაში, ბოჰემიაში. მონაწილეობა მიიღო პარიზის იერიშში და მის აღებაში.

ჰყავს ერთი წლის გოგონა ელენე".

ასეთივე დამსახურებანი ჰქონდა სახელმწიფო მრჩეველ ანდრია მელნიკოვასაც, რომელსაც სასტიკი მეთვალყურეობა დაუწესეს.

რაკი „ოთხად გაკვეთა" პრაქტიკულად სისრულეში აღარ მოჰ-

ყაედათ, როზენმა განაჩენი შესამსუბუქებლად გადაუგზავნა გენერალ-აუდიტორიატს, პეტერბურგში, რომელმაც, ხელმწიფის მითითებით, სიკვდილით დასჯა გადასახლებით შეცვალა.

დოდაშვილს ყოველგვარი ღირსება აჰყარეს და სამუდამო გადასახლება გადაუწყვიტეს.

თავდაპირველად უფაში უპირებდნენ გაგზავნას. მან, როგორც ძძიძე ავადმყოფმა, დერპტი ან სარატოვი ითხოვა. იქნებ იმიტომაც, რომ დერპტში უნივერსიტეტი არსებობდა, ხოლო სარატოვში განთქმული სემინარია. მთავრობამ ვიატკა განუწესა.

საჰხედრო მინისტრი საგანგებოდ სწერდა როზენს: „გთხოვთ მაცნობოთ, სად გაიგზავნებიან ტიტულარული სოვეტნიკი პაუშენკო, მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი და სოლომონ რაზმაძე.“

ელენემ ქმარს გადაჭრით გამოუცხადა, მეც შენთან ერთად მოვდივარო.

დოდაშვილმა გენერალ ვოლხოვსკის სთხოვა ცოლ-შვილის წაყვანის ნება, მთელი თავისი ქონების სააუქციონო ვაჭრობით გაყიდვა, გიმნაზიიდან დარჩენილი ჯამაგირი.

ელენეს განზრახვამ მთელი თბილისი ააფორიაქა. არავის არ სურდა დაჯერება, რომ ქართველი ქალი კატორღელ ქმარს „სიმბირში“ გაჰყვებოდა. დედამისი, ანა კუზევნიკოვა, კედელს თავს ახლიდა, ჩხუბობდა, დამრიგებლებსა და დამშინებლებს უგზავნიდა, მაგრამ ვერას გახდა. დღესაც უთენია, ქალიშვილი წივილ-კივილით აიკლო, უკან გამოედევნა და წუთით არ შორდებოდა.

სოლომონის დანახვაზე ელენემ ისეთი სიხარული იგრძნო, რომ მზად იყო ჯოჯოხეთში გაჰყოლოდა მას. გაცოცხლდა ყოველდღიური ფუსფუსის, ურთიერთ ზრუნვის, ერთად ფიქრის, ოცნებისა და შრომის ნეტარება.

ის, რაც ორი წლის წინ თავზარდამცემი ჰირი იქნებოდა, ახლა ბედნიერებად ეჩვენებოდათ.

სოლომონი ცოცხალი იყო და ისინი ერთად იქნებოდნენ.

— ლენა, დაფიქრდი, შვილო, ჯერ კიდევ რამდენიმე წუთი გაქვს დარჩენილი!

— დედი, ამ საქმეზე ნუღა მელაპარაკები, ჩემი მოვალეობა თვითონ ვიცი!

— ხუშტური შეგყრია, ბედასლად შობილო! იცი, კი, სად მი-

დიხარ? წარმოდგენა გაქვს? ბედმა გიმუხთლა, თან ხომ არ უნდა გადაჰყვე? ვერა ჰხედავ შენის სახლის გარემოებასა? ძალათ თავის გაცომბირება გაგონილა?

— ჩემი სამოთხე იქ იქნება, საცა ქმარ-შვილი მეყოლება!

— მელოგინე ქალი ხარ! ნესტი და სიცივე. კარში გდება და შიმშილი. ბავშვები დაგეხოცებიან ამ საძაგელ გზებზე. მე გეტყვი, ვინმე მოგხედავთ ხელმწიფის მოღალატეებს.

„მთა! მთას იქით მთა! მინდორი, ტრამალი. ისევ მთები და ტრამალები. სხვა მიწა და სხვა ქვეყანა! ისინი ისევ ერთად იქლიან. შტრის თვალი ვეღარ მისწვდებათ. დაიღალნენ, გასწყდნენ ამდენი ავის თვალით!“

— ხალხის მრცხვენია, მთავრობის მრცხვენია, ქვეყნის მრცხვენია, ლენოჩკა! ყველა ჩვენ დაგვცინის. თვალს გვარიდებენ.

— ნუ გრცხვენიათ! ჩემი მეუღლე ღირსეული კაცია. დოდაშვილი კვლავ დაუბრუნდება საქართველოს.

— ჩემი ბრალია, რომ ვერ გაგზარდე! ეგ კაწაწები უნდა დამეგლიჯა თურმე, მე სულელი კი...

ელენე მძულვარებით იგერიებდა დედას, რომელსაც მისთვის ახალი საქმრო გამოეძებნა.

ცრემლიანი ღიმილით ბავშვი მამას გულზე მიახუტა და დაბორკილ ხელებზე მოეცაცუნა.

— ხედავ, რა ბედნიერია ელენე! — წასჩურჩულა ნათიმზე ორბელიანმა ტატოს.

— დაიჯერებდი, ნათიმზე, რომ ქართველი ქალი ქმარს კატორღაში გაჰყვებოდა?

— მე არც ის მჯეროდა, თუ რაევსკაიამ ნებაყოფლობით გაიზიარა ვოლკონსკის ბედი.

ალაყაფიდან დრაგუნების რაზმი გამოვიდა.

„კალასკაში“ ცხენები შეაბეს.

კორპუსის ობერვახტმაისტერმა საბუთები და ბარგი გასინჯა. პატიმრებმა ბორკილების ჟღარუნით თავიანთი ადგილები დაიკავეს. გამცილებლებმა იარაღი შეამოწმეს.

ის იყო, „კალასკა“ უნდა დაძრულიყო, რომ ელენასა და სოლომონთან ეფრემამ მიირბინა.

— ყოჩაღად, გული არ გაიტეხოთ, სოლომონ ივანიჩ! ვსთხოვ

ქრისტეს ღმერთკაცსა, რათა იხაროთ დაულევნელითა მოწყალებითა მისითა. მოგეცეთ მადლი და შეგემატოთ ძლევა მისი!

კომენდანტის ბრძანებით, „კალასკა“ ადგილიდან დაიძრა. ფლანგებზე ცხენოსნები მიჰყვნენ, უკან ორი დაბარგული ცხენი.

ანამ თავში ხელი წაიშინა და აქვითინდა.

პროცესია მეტეხის ხიდთან დაეშვა და ქალაქის ცენტრალური ქუჩებით გაემართა საქართველოს სამხედრო გზისკენ.

ქვაფენილები, აივნები, ბანები ცნობისმოყვარეებით იყო სავსე.

ეჟენების მწუხარე ყრრიალში, ეკიპაჟის ხმაურში, ხელხუნდების ყღარუნსა და ცხენების ფრუტუნში თბილისი მდუმარედ მიაცილებდა გადასახლებულთ.

ვერაზე სოლომონმა ზღვა ხალხში ტატო შენიშნა, თავისი ირონიული ღიმილით ორივ ხელი დაუქნია და ბორკილებმა კვლავ გაიჟღარუნეს.

„კალასკამ“ აღმართი ჩაიარა, გორაკებს გასცდა და თვალს მიეფარა.

ტატო ანთებული თვალებით შეჰყურებდა გზას. საცაა ადგილს მოსწყდება. ირბენს, ირბენს, სანამ არ დაეწევა და მოაბრუნებს.

— წავიდეთ, ბოროტი თვალი გვიყურებს! — წაიბუტბუტა ნათიმზემ.

* * *

იასე ფალავანდიშვილი ღამის თორმეტ საათზე გაუფრთხილებლად გაიყვანეს საკანიდან, სადაც ორი წელი გაატარა და ჩდილოეთისკენ მიმავალ სამხედრო ნაწილს გაატანეს.

მისი ამბავი არავის უკითხავს.

არავის გაუცილებია.

სენტენცია ამბობდა: „გადამდგარი კოლეგიის რეგისტრატორი, თავადი იასე ფალავანდოვი, ძმა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისა, რომელთანაც ცუდ განწყობილებაშია, ზნეობით ძლიერ არასაიმედოა. მისი წარსული ყოფაქცევა დასაძრახისია, რადგან ორჯერ ოსმალეთსა და მთებშიაც კი გაიქცა. შეთქმულებაში უაღრესად დიდსა და ცხოველ მონაწილეობას იღებდა. ღალატი, ალბათ,

იმიტომ ჩაიდინა, რომ ყური მოჰკრა ბორჩალოს თათრებში გავრცელებულ ხმებს ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკის შეპყრობის თაობაზე, და გადაწყვიტა, რომ მთავრობას უკვე გაგებული ჰქონდა შეთქმულების საქმე.

თავისი ჰკუით, ეშმაკობით, თაღლითობითა და უზნეობით იასე ფალავანდოვი ამ ქვეყნისათვის ყველაზე საშიში მავნე ადამიანია. თუ გაცემის აღსანიშნავად, ის შესაფერისი სასჯელით არ დაისჯება, მაინც აუცილებელი იქნება, მისი სამუდამოდ რუსეთს გადასახლება, საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით...

დაინიშნოს უნტეროფიცრად ქალაქ არხანგელსკის ერთ-ერთ ბატალიონში".

ყაზარმიდან რომ გაჰყავდათ, ხასე მუხლებზე დაეცა, მხურვალედ დაუწყო მიწას კოცნა: „მშვიდობით, ჩემო გამზრდელო, ჩემო საყვარელო მამულო! შენი წყალობა გამატანე!"

* * *

ერთი კვირის შემდეგ, ჟანდარმის თანხლებით, არხანგელსკშივე გაიგზავნა კავალერიის პორუჩიკი თავადი გიორგი ერისთავი და ბორჩალოელი თათარი მოლა ზამანა — შინა სამსახურის ბატალიონის რიგითს ჯარისკაცად.

11

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ფინანსების უბადლო მცოდნედ იყო აღიარებული. იმპერიის ფინანსთა მინისტრი მას მაგალითად უსახავდა ჩამორჩენილ გუბერნატორებს. სხვას არავის შეეძლო გადასახადების ასე დროულად და გადაჭარბებით აკრეფა. გასაოცარი უნარი გააჩნდა აღმოეჩინა შემოსავლის ფარული წყაროები, მოერჯულებინა ურჩი გადამხდელები. პეტერბურგელმა რევიზორებმა მას „პრომეთეოსის გულმკერდის მჯიჯგნელთა შთამომავალი" შეარქვეს, და, მართლაც, არწივივით შეუპოვარი და თავზარდამცემი გახლდათ ხაზინის მტრებისადმი.

იმ დღეებში ხელმწიფის მადლობა მიიღო სუნჯაზე ციხე-სიმაგრის მშენებლობისათვის ადგილობრივი შემოსავლებიდან სახსრების გამოყოფის გამო.

მონარქის წინაშე ვალის მოსახდელად, მიქაიჩს, თავისი წინამორბედებივით, ზეკუციის ჩაყენება, ჩალიჩი და წივილ-კივილი არ სჭირდებოდა. ხარჯსა და ბეგარას „უკანონო შემოსავლებიდან“ იღებდა. ერთგულ ხელქვეითებს უაჩაღებისთვის წართმეული ნაძარცვ-ნაქურდალი ხაზინის შესავსებად მოჰქონდათ. როცა მოისურვებდნენ, ძარცვასაც აწყობდნენ, და გუბერნატორთან პირნათლად გამოდიოდნენ. თუ სახელმწიფო კაცად დაბადებულხარ, ერთი ზარალიდან ასი ხეირი უნდა გამოიყვანო! — ჩასჩიჩინებდა თავის თავს. — შენი აღმატება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, როგორი ხელქვეითები გეყოლება.

თუ ერთადერთი არა, ხელქვეითის უპირველესი ღირსება ის არის, რომ შენს იქით გზა არ ჰქონდეს, ადგილის დაკარგვისა ეშინოდეს, თავისი ცხოვრების მიზნად შენი ბრძანების შესრულება მიაჩნდეს, შენი გულისთვის თავს სწირავდეს, შენი ეშინოდეს და ეხათრებოდეს! დარწმუნებული იყოს, რომ თუ არა შენი წყალობა, მეორე დღესვე მათხოვრად გადაიქცევა.

ერთგულება, ერთგულება და ერთგულება! სხვა მხრივ, თუ გინდა, ერთი ტრუხუნა ღორი იყოს!

თავადები და ჰკუისკოლოფები არ გამოდგებიან: „ხახვის ფრანტები“ არც საქმეს გააკეთებენ, არც მიერთგულებენ.

კანცელარიის გამგედ ეფრემაზე სანდოს ვერავის ვიშოვი. ყოველი საქმე კანცელარიით იწყება და აქვე იყრის თავს. საქართველოდან უჩემოდ ერთი ქაღალდიც არ უნდა გავიდეს. ამისთანებში ეფრემა ძლიერ გამოცდილია. მასავით ვერავინ მომეხმარება, რომ ყველგან ჩემი კაცები ჩავაყენო და მთელი აქაური ცხოვრება ჩემს ყაიდაზე გარდავქმნა. ეფრემა რომ არ იცნობდეს, ამ ქვეყანაში ისეთი არავინაა. განსაკუთრებით გამომადგება სახაზინო ექსპედიციის მოხელეთა შერჩევაში.

ხელისუფლებისათვის ეფრემა ყველა თავადსა და ბატონიშვილზე სასურველი კანდიდატია. ხალხში, შეიძლება მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს, სატუსაღოდან გამოშვებულ კაცს ამხელა თანამდებობა ჩააბარესო, მაგრამ ხალხი ფარაა: მის სიძულვილსა და სიყვარულს,

საითაც გინდა, იქით უზამ თავს. ზოგი იტყვის, ჩვენი გუბერნატორი დასჯილ ქართველებს ეხმარება, არ ეშინიაო. ზოგი მამა აბრამის ბატკნად გამოაცხადებს ეფრემას. ზოგი ქვეყანას დააქცევს — რას უგონებენ ამ პატიოსან კაცსო. ასე აირ-დაირევა ტყუილი და მართალი. ვერავინ ვერავითარ დასკვნას ვერ გამოიტანს და ვისაც რა მოესურვება, იმ აზრზე დარჩება. შეთქმულების მოწყობაცა და გაცემაც ისევ იმ ჩემ საწყალ ძმასა და ქიზიყელ მოციქულს დაბრალდება. ხალხს ასეთ დიდ კაცებზე ჰორები უფრო ესიამოვნება და უფრო მეტად დაიჯერებენ. დასჯილნი თავის მართლებას შესძლებენ თუ ვინმე მათს გამოქომაგებას გაბედავს? ყველაფერი ისე იქნება, როგორც გამარჯვებულს ნებავს!

დეპუტატთა საკრებულოში ბარძიმ ამილახვარს ავარჩევინებ.

სიმტკიცე მმართებს: სახელმწიფო ზრუნვა და ჰკუასუსტი სათნოება ერთს ტახტზე ვერ მოთავსდებიან.

ადამიანები ახლა ყოველდღიურად იცვლებიან, სხვაგვარად აზროვნებენ, სხვაგვარად იქცევიან. მე მათი წინასწარმეტყველი ვარ და ამ საუკუნეში საქართველოს ცხოვრებას მე, ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა უნდა მივცე გეზი!

ეშიშარა არ ვარ, მაგრამ არც სულწასული და ქარაოცა ვარ, რომ ჩემი სურვილები ნაადრევად გამოვამჟღავნო და ვინმეს იოლად ვენდო. არც ბაქიობა და თავმოწონება მჭირდება, ყველას სიამოვნებით ვეუთმობ ასპარეზს: მიბრძანდით, ბატონო! მე მუდამ ასპროცენტიან გარანტიას ვუცდი და ჩრდილში უფრო კარგად ვაგვარებ ქვეყნის საქმეებს.

— მადლი უფალს, ხალხი უკვე დაშოშმინებულია. საქართველოში კეთილი სამსახურის პირობები შეიქმნა და ერის უკვდავებაც აქედან იწყება. — აჰხედა ეფრემას, რომელიც „საგამომცემლო კომიტეტის“ სხდომაზე ჰყავდა მოწვეული, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ნახევარი საათით ადრე მოსულიყო. — განაჩენმა ხალხს დაანახა მთავრობის ძალა, მისცა ჰკუის სასწავლი მაგალითი, ბოლო მოუღო ჩვენს ფუჭ ოცნებებს და მასზე აღმოცენებულ ფუქსავატობას. დადგა ნამდვილი საქმისა და მოქმედების ჟამი. მოსახლეობისადმი ეს მოწოდება, რომელსაც, ხელმწიფის სახელით, ბარონი აწერს ხელს, ქართველთა ჰეშმარიტი გამარჯვებაა და მოხარული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ცდა და მსხვერპლი წარმატებით დაგვირგვინდა.

იმპერატორი მამობრივ მზრუნველობას აღვითქვამს და ყოველგვარ უპირატესობას გვპირდება. მე თქვენი მეფეცა ვარ და ჩემი ღალატი თქვენი საკუთარი თავის ღალატი იქნებაო.

გრაფი ჩერნიშოვი რესკრიპტით მატყობინებს, ხელმწიფე ფრიად კმაყოფილია ქართველ თავად-აზნაურთა მორჩილებითა და გულმოდგინებითო. საქართველო არასოდეს დაივიწყებს ხელმწიფის დიდ ლმობიერებას გზააბნეული ქართველებისადმი. ათი წლის წინ ასეთივე დანაშაულისთვის მან პეტერბურგელ ოფიცრებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. პირველი ხარისხის თავადებს, ბატონიშვილებს, აქეთ კი, მე და შენ, ერთი გზა არა გვაქვს — ხელმწიფემ აზნაურებს მათი თანაბარი უფლებები მოგვანიჭა. დიდ წყალობას და ჯილდოს უნდა ველოდეთ.

ეფრემა ყურადღებად იქცა. შეატყო, რომ მისი სამსახური კი არ დამთავრებულა, არამედ ამიერიდან უფრო საჭირო იქნებოდა.

— ჩემზე უბედური ქვეყანაზე მეორე არ იქნება, როზენმა და ჩევკინმა ძმის უბედურებისთვის სამძიმარი მითხრეს. იასეს ყველაზე დიდი ხიფათი მოელის. მთავრობას და თავისიანებს ერთნაირად ეზიზღება და ასეთ შემთხვევაში კაცს მფარველი და გულშემატკივარი აღარავინ რჩება. თავად მე ისეთი შავდღიანი ვარ, რომ ხელმწიფისა და ჩემი ერის წინაშე წმინდა მოვალეობის გამო, ეს სიძულვილი ასკეცად უნდა ვაქციო.

თუ ჩემს ძმას არ ვინდობ, სხვა მოღალატეებს როგორ ვაპატიო?! მათი საქართველოდან გაძევება ჩვენი მშვიდობიანი მოღვაწეობისათვის შეღავათია, მაგრამ ისინი იქიდანაც გვიშლიან ხელს. დღეს უფრო მეტად გვჭირდები, ეფრემ, რათა ხალხის სულელურმა წარმოდგენამ მოღალატენი წმინდანებად არ აქციოს და მართალ მამულიშვილებს ჩირქი არ მოგვცხოს.

ჩვენ მთავრობასაც უნდა ვუყვარდეთ და ხალხსაც, ისინი კი ყველასგან შეძულებული უნდა იქნან. ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ:

შენ იცი, რას ნიშნავს, როცა ბორკილგაყრილ მოღალატეს განათლებული, კეთილშობილი ქალი ციმბირში მიჰყვება? ყველამ უნდა გაიგოს, რომ ისინი წამებული პატრიოტები კი არ ბრძანდებიან, არამედ ამხანაგთა დამსმენები და გამყიდველები. პატრიოტები მე და შენ ვართ!

ეფრემა კოტიტა თითებით საყელოს ისწორებდა და თავის ქიცინით თანხმობას გამოხატავდა.

ამასობაში ბებუთაშვილი, სუმბათაშვილი, ჭილაშვილი, ერმოლოზაც მოსულიყვნენ და მიქაიჩმა „საგამომცემლო კომიტეტის“ სხდომა დაიწყო.

ჯერ ილაპარაკა ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობაზე, მერმე სინანული გამოთქვა, რომ ადგილობრივმა პრესამ ვერ გაამართლა უმაღლესი მთავრობის იმედები. „საგამომცემლო კომიტეტის“ შემადგენლობაშიც აღმოჩნდნენ არაკეთილსაიმედო და უმეცარი პირები.

— ჩვენ გვინდა საქმე და არა ფუჭი ოცნებანი. ახალფეხადგმულ პრესას დიდი ზიანი მიაყენეს ცრუსწავლულებმა და ფარისევლებმა. ამის მაგალითია „ტფილისის უწყებანი“ და, „სალიტერატურონი ნაწილნი“, სადაც ხელმწიფის საწინააღმდეგო თხზულებები იბეჭდებოდა. მომავალმა გამოცემებმა უმაღლესი მთავრობის თვალში კეთილი სახელი უნდა დაგვიბრუნოს.

საეჭვო ნიჭსა და სიბრძნეზე მაღლა ჩვენ ერთგულებასა და კეთილსაიმედობას ვაყენებთ. კორპუსის უფროსის თანხმობით, გადავახალისეთ კომიტეტის შემადგენლობა, დავუმატეთ ღირსეული მოღვაწეები ეფრემი და ერმოლოზი.

— თქვენ გაიხარეთ! — გაიბადრა სუმბათაშვილი, რომელსაც დანარჩენებიც აჰყვნენ.

— ნახეთ, ვითარ გამოიცვალა და გაკეთდა ჩვენი ცხოვრება, ყველაფერს პატრონის ხელი დაეტყო! — გაბრწყინებული სახით თქვა ბებუთაშვილმა, რომელსაც მიქაიჩის შუამდგომლობით, მაღალი პენსია დაუნიშნეს.

— აგრემც ღმერთი შეგეწევათ!

— უახლოეს ხანში თხოვნით მივმართავ უზენაეს ხელისუფლებას, რათა ნება დაგვრთოს, გამოვსცეთ ქართული გაზეთი, რომელშიაც დაიბეჭდება ხელმწიფის ოჯახის ამბები, მთავრობის განკარგულებანი, აგრეთვე, თარგმანები, თხზულებანი „ინვალიდიდან“ და „ბიბლიოტეკიდან“.

— ჩინებულია!

— უცხო რამ არის!

— ჯერ არს, ცენზურაც ღირსეული გვექნეს!

— საცენზურო წესდება წარდგენილია უზენაეს მთავრობაში. —

უკმაყოფილოდ წაილაპარაკა მიქაიჩმა, ხოლო გულში შხამად გაიგლო: „თუ რამ ჩამორჩა, ან წახდა, მე მომკითხავენ, პოლიტიკა და ცენზურა კი სამხედრო გუბერნატორის ხელშია. ამ საშინელმა შეთქმის ამბებმა ჩემს კისერზე გადაიარა. რამდენჯერ მითქვამს, გადმოსახლებული ოფიცრები ავს სენს შეგვყრიან-მეთქი. დღესაც ძლივს თავიდან მოგვიშორებია, რომ საქართველოს გზებზე პუშკინი დაჰჭრის თავის ძველ მეგობარ ბორის ჰილაშვილთან ერთად! ცენზურა სამხედრო გუბერნატორს რათ უნდა ებაროს?“

— განსაკუთრებულად „სტიხებს“ სჭირდება სიფხიზლე. — თქვა ბებუთაშვილმა.

— სადღაა, ლექსის სახსენებელი სულ მოსპეს! — ჩაილაპარაკა ერმოლოზმა.

— გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბევრი მოლექსეობა დამღუპველია. — თქვა გუბერნატორმა. — ჩემი გუბერნიისთვის ორი მელექსე საკმარისია. ამიერითგან ჰეშმარიტნი მგოსანნი ჩვენნი ეს ეფრემა და ერმოლოზა იქნებიან. ორთავეს იცნობთ, ხელმწიფის ერთგული კაცები არიან და ღრმა ქართული იციან.

— ჩინებულია!

— უცხო რამ არის!

— გაზეთში ხელმწიფის ბრძანებებს ესენი ლამაზად გალექსავენ და მდაბიო ხალხს გააგებინებენ.

— როგორც გესიამოვნებათ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— მე თავად გეტყვით, რაზე დაწეროთ და ვითარ დაწეროთ, რომ დოდაშვილის შეცდომები არ გაიმეოროთ.

— ღმერთმა შენი თავი გვიდღეგრძელოს!

მოთაფლული ჩურჩულით და ენამოჩლექით ლაპარაკობდნენ. ჭორცხვად იქცეოდნენ.

ზოგჯერ ერთმანეთსაც გადაულაპარაკებდნენ, მაგრამ ისე, რომ სხვებსაც გაეგონათ.

— ეს სხდომა და ის კომიტეტის სხდომები, საცა „მოციქული“ უსწრებოდა, ერთია?

— სულ ჩხუბობდა და გვაშინებდა ის მირონცხებული!

— ჩვენ ერთს არ დაგვალაპარაკებდა!

— ეჰ, საქართველოს რომ ამისთანა მეფეები ჰყოლოდა!

— აბა, აბა! ჩვენი თბილისი როდის ყოფილა ასე აყვავებულ-დამშვენებული!

— უკანონობას და უნამუსობას სულ ფესვები დააჭრა!

„არა! ჯერ ბევრი არაფერი გამიკეთებია! მაგრამ თუ ჩემი „პროექტი“ მიიღეს და სამხედრო მმართველობა სამოქალაქო მმართველობით შევაცვლევინე, მაშინ საქართველოს აღმაშენებელი შევიქნები!.. ახლა კი გვიანდება! ჩემს საცოლეს მამის შეწყალება და პატიება უნდა მივულოცო, ხელს კოცნა მოვახსენო და სპეკალი საყურეები მივართო!“

12

ყინულის უდაბნოებიდან ჩრდილოეთ დეინის შესართავისაკენ მოვარდნილი პურგა აღვირაწყვეტილი დათარეშობდა თეთრი ზღვის ნაპირებზე. ანგრევდა „ხის ქალაქის“ საბელდახელო ნაგებობებს, ხე-ტყის სახერხ ქარხნებს შირშასა და მაიმაკსაზე, გემთსაშენი ვერფების დამხმარე შენობებს... არ ეპუებოდა სოლოვეცკის კრემლს, ნოვოდვინსკის ციხე-სიმაგრის ბასტიონებს. ღმუილით გლეჯდა, გრეხდა და ციბრუტივით ატრიალებდა ყველაფერს, რაც წინააღმდეგობას უწევდა და ძალა არ ჰყოფნიდა.

ლიფლანდიის საჯარიმო ბატალიონის უნტეროფიცერი იასე ფალავანდიშვილი უკანასკნელ ღონეს იკრებდა, რათა გრიგალის უფრო მეტ აბობოქრებამდე მიეღწია გამაგრებულ ჯიხურამდე, სადაც ღამეს ათევდა. ნაბიჯი სულ უფრო უმძიმდებოდა, იმის გამო, რომ მდინარეზე ყინულის ჭრისას დასველებული ნაბდის ჩექმები შემოჰყინოდა, ფეხი უცურდებოდა და წამდაუწუმ ეცემოდა.

სულისშემხუთველი ნამქერი უჰაერობით ახრჩობდა, თვალს უბნელებდა, ორმოებს თხრიდა, გზებს აცამტვერებდა.

ჰირხლით შელესვია წვერი, ულვაში, თვალი, წარბი და წამწამი. ცივი ბოლქვები ამოსდის პირიდან. სუნთქვა უჭირს. ყინულის წვეტებიანი თოვლის გარდა ვერაფერს ხედავს და გრძნობს. ორიენტირებას ჰკარგავს, წუთიც და, შეიძლება, გაშმაგებული მხეცივით მძვინვარე ქარიშხალმა დანამქროს და ჩაჰყინოს. არ უნდა შეჩერდეს, გულს შიში არ შეეპაროს, ნაბიჯი არ შეანელოს...

პურგა აქ მშობლიურ სახლში გრძნობდა თავს. სტვენა-ზუზუნით დაგელავდა. ჩხვლეტდა და ხვრეტდა ყველაფერს, რაც წინ ეღობებოდა. იმუქრებოდა და ანჩხლობდა, რომ ადამიანები სამფლობელოს

ართმევდნენ. სოლომბალში ყაზარმებს აშენებდნენ, „საადმირალო“ მთავრდებოდა. ხის სიმაგრეების მასირებულ ბასტიონებს, სადაც ასობით ზარბაზანი განელაგებინათ და ქვის რაველინები მოეწყოთ არხებით, ასაწევი ხიდებით, ეკლესიებით, ახალ-ახალი ნაგებობანი ემატებოდა.

ჩრდილოეთ დვინის დაჭაობებული უბე რკინის სალტეებში მოემწყვდიათ, რათა, რაც შეიძლება მეტი წაერთმიათ ამ მართლაცდა თავდაუზოგავი ყინულის, ქარისა და წყლის სტიქიისთვის.

„ცოცხლად დამარხული ვარ!“ — გამწარებით გაუელვა, როცა მორების ჯიხურში შესვლისთანავე ქარიშხალმა კარი ზურგზე შემოაჯეთქა.

რის ვაი-ვაგლახით კარს ურდული გაუყარა. მერე, დამზრალი თითებით რკინის კუტალში პატრუქი აანთო და, სანამ ნაბდის ჩექმების გასახდელად ღონეს მოიკრებდა, არაქათგამოცლილი ზურგით კედელს მიესვენა.

„ძალიან რომ გიყვარდა და ნატვრით ვერ ძღებოდი, იმ ქვეყანაში ხარ!“ — გაბოროტებული ნიშნის მოგებით შეუსისინა თავისთავს.

თვითგვემამ ძალა მოუბრუნა. ისე, რომ ფეხზე არ წამომდგარა, ღუმელი დაანთო, თექურის გახდას შეუდგა. სველ ტანსაცმელს ბერტყავდა და ღუმელთან მიფიცხებულ, დალურჯებულ შიშველ ფეხებს რაღაც სინანულით დაჰყურებდა.

არაფერზე არ ფიქრობდა, მაგრამ ეს გარინდება ყოველგვარ ფიქრზე მეტად აგრძნობინებდა, რომ ქვეყანაზე სრულიად მარტო დარჩა, გულშემატკივარი და გამომლაპარაკებელი აღარავინა ჰყავდა.

„ნუთუ მთელი ცხოვრება სულ ასე მარტო იყო და ვერ ამჩნევდა?! ნუთუ, მარტოკაცობა მისი მწარე ხვედრი იყო და მართლა არასოდეს არავინ ჰყოლია?!“

ვერ გაეგო, რისთვის ჩამოაშორეს სხვებს! რათ გადმოისროლეს აქ! რას ნიშნავდა ეს უცნაური სასჯელი და რას უპირებდნენ! წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ამ ქალაქში სხვა შეთქმულებიც იყვნენ. გული ეუბნებოდა, რომ ამ ალყაშემოვლებულ ჯიხურში დროებით იყო მოთავსებული და რაღაც განკარგულებას ელოდნენ.

ხის ციხესიმაგრე თუ სოლოვეცკის „ქვის ტომრები“, სადაც ათეული წლობით იტანჯებოდნენ პოლიტიკური ტუსაღები?!

ნუთუ, ქართველი კაცისთვის ეს სასჯელიც არ კმარა? პურგა და

ხორშაკი! გაუვალი ჭაობი და შხამიანი კოღო! ციდან დაშვებული ქინქლის ფარდები! არქტიკის ზუზუნა გრიგალები! ზაფხულის ჩაუსვლელი მზე და ზამთრის ერთი ციდა დღე! გაუვალი ნისლი და ღრუბელი. გამყინვარებული მიწა და შუბლზე ჩამოფხატული რუხი ზეცა! ეს სულისშემხუთველი, კოშმარული სივრცე.

გულის შერყევამდე მოსწყურებოდა თავისი მაღალი და გამჭვირვალე ცის ლურჯი თაღი.

ან, შავად ჩამუქებულ ხავერდოვან გუმბათზე დასათვლელად გაკარკლული ღადღადა ვარსკვლავები. აი, დახუჭავს თვალს და მოელანდება ზურმუხტისფრად მოლიელიე ხასხასა მინდვრები. ნაბადზე უძრავად წამოწოლილი გაუყუჩდება სამყაროს წყნარ საგალობელს.

გუშინდელ დღეს ჟანგი არ ეკარება.

ესიზმრება თეთრ დროშაზე ამოქარგული წმიდა გიორგი და ღეთიშობელი.

ესმის ზარების მძლავრი გუგუნი და სამრეკლოებიდან გადმოძახილი: „თავისუფლება!“, „თავისუფლება!“, „თავისუფლება!“

პურგა კარს ეჯაჯგურება.

თოვლიან სივრცეს ლეწავს.

დამთბარ ჯიხურში კვნესა-გოდება შემოაქვს.

იასემ თუჯის ჩაიდანი შემოდგა. სპილენძის ჯამი გადმოიღო.

„ჩემი უბედურება ოჯახში დაიწყო! მის ბრწყინვალებას საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ბატონ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს და კავალერს რა დღეში ჰყავს უმცროსი ძმა!.

უნამუსოები არასოდეს მარტო არ რჩებიან — ისინი მუდამ სჭირდება ვიღაცას!“

არ სურდა, მაგრამ ხშირად ანიტასაც მოძებნიდა ფიქრი.

ზოგჯერ კიდეც ესიზმრებოდა.

ოცნების უილაჯობას სასოწარკვეთამდე მიჰყავდა.

„რატომ ვფიქრობ მასზე? რატომ არ ვივიწყებ? განა ამქვეყნად ყველაფერი ასე არ მთავრდება? განა დიდი სიყვარულის ბოლოც ასეთი არაა?! განა ასე არ სტოვებენ შეყვარებულებსა და საყვარლებს?!

ხომ ვიყავ ერთხელ იმ მაღალს მწვერვალზე, სხვა რაღა მინდა?! ისიც ხომ ვიცი, რომ დღესაც ვუყვარვარ?! რომ, ჩემს გარდა, არა-

ვინ ჰყვარებია და არავინ ეყვარება! ამაში დაეჭვება უსინდისობაა. რისი მიზეზიც მე თვითონ ვარ, სხვას რათ უნდა დავაბრალო? ყური დამიგდე, ანიტა! არც ერთი დამნაშავე არ ვართ! ჩვენ ერთმანეთი დავსაჯეთ, ორივემ, უნებლიეთ, ჩვენი მტრები ვაზეიმეთ... ჩვენი საიდუმლო სახლი! ჩვენი მყუდრო ბინა! სიხარული, რომელიც იქ დაგვრჩა! ვერ გამიგია, უბედურება ბოროტი და უხეში ადამიანებისგან მოდის თუ თვითონ ჩვენგან!.. იმაზე სინანულით რომ გული გავიწყალო, ოსმალეთიდან თბილისში რათ გამოვიქეცი-მეთქი, ბედის უმადურობა და თვითმკვლელობა იქნება.

ჩემი უბედურება თვითონ ჩემშია. უნარი არ მაქვს ერთი სიხარულით გავიხარო და დავკმაყოფილდე. ჩემი გული ყველა სიხარულს ერთად ითხოვს. მე ზოგიერთი მათგანის სახელიც არ ვიცი. მე, საერთოდ, არ ვიცი, რა მინდა და რას მოვითხოვ. სად იწყება და სად თავდება ჩემი სურვილები. შეჩერების უნარი არ გამაჩნდა. გასროლილი ტყვია ვიყავი, ყინულში მოვხვდი და საძრაობა დავკარგე. მე უსათუოდ უნდა დავიბრუნო მოძრაობის ძალა.

სინანული მიჭირს. როგორც მოხდა, დე, ყველაფერი ისე იყოს. წარსული ხელშეუხებელია, აწმყოსა და მომავალზე უნდა ვიზრუნო. არც ჩემი თავის გარდაქმნა ძალმიძს. ჩემს ეჭვებს მოქმედების თავისუფლებას ვერ მივცემ, მაშინ ისინი იოლად დამახრჩობენ.

სიცოცხლე უკანასკნელ წუთამდე სიცოცხლეა! ოცნება და იმედები უკანასკნელ წუთამდე ცოცხლობენ. ეს დღეც ჩემი ცხოვრების ნაწილია და მას შეუძლია გამოასწოროს წინანდელი დღეების შეცდომები, სხვა ახსნა მისცეს დანარჩენ სიცოცხლეს. ყოველი წუთი ძვირფასია, და თუ ვერ მოვასწარი, მაშინ დავრჩები იმად, რაც ჩემს მტრებს სურთ და სწყურიათ, იმათ, რაც ახლა ვარ.

არა! მე არ უნდა დავიღუპო!

მე ბოლომდე პირადად უნდა შევავსო ჩემი ცხოვრების წიგნი.

რაც მოხდა, სოფლის ვითარებით მოხდა. ასე იცის საწუთროშ, მაგრამ ბოლოს მაინც კარგად მთავრდება საქმე.

საბიზღარი სასჯელი მარგუნეს! ვერაგული სასჯელი, რომელიც არსად ადგილს არ მაძლევს, არც ერთ თანამგრძნობს არ მიტოვებს! არც იქ და არც აქ! არც დღეს და არც მომავალში. მაპატიეს იმისთვის, რომ ჩემიანებმა შემიძულონ. სამუდამოდ აღმიკვეთეს სამშობლოში დაბრუნება იმისთვის, რომ უკვალოდ გავქრე. სასამართლოს მიერ

დასჯილნი ხვალ-ზეგ დაუბრუნდებიან საქართველოს, მე კი, ყველასგან მიტოვებული — აქ უნდა ჩავკვდე! ისინი მათი „არარაობისა და თაქარიანობის გამო“ დასაჯეს, მე კი, „გაცემის საპატივცემულოდ“ შემიწყნარეს!

რა მაკლდა, რომ მეც მათსავით ბედნიერი ვყოფილიყავი? მხოლოდ ის, რომ არ მსურდა ასეთი ბედნიერება.

არც ერთს არ უნდა ვნდობოდი, არც ერთისთვის არ უნდა დამეჯერებინა.

ყველაფერი ჩემს ხარჯზე ჩაფარცხეს. მე იარაღამოწვდილი მამულისთვის ბრძოლაში მივიწევდი, ისინი სოროში მიძვრებოდნენ. მე ფიცის აღსრულებას მოვითხოვდი, ისინი ფიცს სტეხდნენ...

დღეს ისინი პატიოსან ადამიანებს ჩირქს სცხებენ.

მე არ ვიცი, ჩემისთანა ადამიანები რისთვის იბადებიან! რათ სჭირდება ისინი ღმერთს? რას არგებენ ან მას, ან ქვეყანას, ან თავისთავს! მე რა შემიძლია ახლა? რით გადაეუხადო მედროვეს? — არ გავიხედო მისკენ. წავშალო ჩემში მისი სახსენებელი. ხელი არ გავუწოდო.

მე მეზიზღება ბედნიერი ადამიანები.

მე არ მჯერა, რომ ამის ღირსი ვიყავი და ეს ბოლო დავიმსახურე.

ჩემი ბრალია, რომ გუბერნატორის ძმა აღმოვჩნდი? მე ვარცხვენ, ბატონო, გუბერნატორის სახელს და არა პირიქით!

მაშ, რატომ არ ვგრძნობ სინდისის ქენჯნას?

რატომ ვერ ვხედავ ჩემს დანაშაულს?

უნდა გადავრჩე!

მე მჯერა ეს.

არასოდეს ასე არ დამშვიერებია ჩემი სიცოცხლე, როგორც დღეს!

ღორის ტილები ამომაღოღდნენ. ჩამოვყრი, გავსრეს და ვიქნები ისევ სუფთა.

ღმერთი არ ინებებს, ასე დაჩაგრული რომ წავიდე წუთისოფლიდან და თვალთმაქცებს დარჩეთ ბურთი და მოედანი!

ყველაფერს ვიღონებ, რათა გაისამდე არ მოვხვდე „ქეთილდღეობის უბეში“*.

გაზაფხულზე ჩადგება ქარიშხლები.

---

* სადაც იმყოფებოდა სოლოვეცკის საპატიმრო.

საფრანგეთის გემს სავაჭრო მოედანზე გაცნობილი ლაზი ჩამოჰყვება, საბუთებს ჩამომიტანს.

ხეტიალი და მგზავრობა ჩემი ხვედრია. ერთ წელზე მეტს სამოთხეშიც ვერ გაძლებდი. ლაზს ორი წერილი გავატანე ოსმალეთში — გურიელთან და ლევან ბატონიშვილთან.

წმიდა მოციქულები და ფილოსოფოსები ადამიანს მოხეტიალე მწერს უწოდებენ. განა ფრინველები, ცხოველები, ქვები, თესლი ჩემსავით არ დაეხეტებიან? ჩემი მეგობარი ადიე ეგვიპტიდან გაექცა ბონაპარტეს და, სანამ თბილისში მოვიდოდა, მთელი ქვეყანა შემოევლია.

ყველა კაცი ერთი კაცის ჭკუით ვერ იცხოვრებს. „ასე იფიქრეთ, ისე მოიქეცით!“, „არხანგელსკში მოგიყვანეთ და აქ მოკვდით!“

მე სხვა სახელით დავბრუნდები საქართველოში. ძმაკაცებს მოვაკუჩებ. დიდი მდინარის შესართავთან ჭალაკს შევიძენ და იქ ვიცხოვრებთ.

უფროსობა ამორჩევით გვექნება, როგორც ფურიეს უწერია (ეს წიგნი სავაჭრო მოედანზე იყიდა ფრანგი მეზღვაურისგან!).

მიწის გადაბრუნებას და ბაღის გაშენებას შევუდგები.

მოსავალს გავიყოფთ. ქონება საერთო იქნება. კაცი კაცს არ აწყენინებს.

ჩემს მემკვიდრეობას მათ მოვახმარ...“

პურგა არ ცხრებოდა. გრგვინავდა. სტვენდა. ზუზუნებდა.

სანაპირო ვერფებს ზრიალი გაუდიოდა.

იასე ლმობიერად დაჰყურებდა მაცხოვრის ხატს.

„თუ ეს ქვეყანა მხოლოდ იმისთვის არსებობს და მხოლოდ ის არის, რასაც ვხედავ, მაშინ სისაძაგლე ყოფილა მისი გაჩენა და წყევლის ღირსი — ვინც გააჩინა! თუ ამას იქით არაფერია და ჩვენი ყოფნა წუთისოფელში მთავრდება, მაშინ წარმოუდგენელია მის შექმნაზე უფრო დიდი ბოროტება, რადგან ის თავისთავშივეა საწყისი და საფუძველი ყოვლის ცოდვისა! თავხედი, შეუბრალებელი, დაუნდობელი, უმეცარი და სასტიკი ყოფილა ხუროთმოძღვარი მისი!“

— ბარათაშვილო, რა ამბავში ხარ! — ყმაწვილივით გადაეკლო ეფრემა საკლასო ოთახის ფიცარნაგს და უკანა მერხისკენ თავმიბრუნებულ ტატოს ხელიდან ფურცლები გამოსტაცა.

შეგირდებმა ერთი წიოკი შექნეს.

— დაუბრუნე, ოსტატო!

— არ წაიკითხოთ!

— ჩვენი სახუმარო ლექსები გახლამსთ!

მაგრამ ეფრემა ისე გახარებული იყო ნადავლით, რომ წამოძახილებისა და ღრიანცელისთვის ყური არ უთხოვებია. გაწიფინებულმა მაგიდასთან მიირბინა და წართმეულ ქაღალდს გაფაციცებით ჩააშტერდა.

ჯერ თვალში მოხვდა კუდაპრეხილი სახედარი, რომელსაც სათვალეებიანი კაცის თავი ება, გულზე მედლები ეკიდა და ზურგი თავგასიებული გენერლისთვის მიეშვირა.

ვირზე გამობმული კაცის თავის დანახვაზე, ეფრემას სახე მოეღრიჯა და მაღლა აიხედა.

კლასი გარინდებით შეჰყურებდა.

მეორე ნახატზე, ორმოში ჩაყრილ ადამიანებს, რომელთაც ნაცნობი სახეები ჰქონდათ, ვეებერთელა ასპიტები შემოჰხვეოდათ და კუდს ურტყამდნენ.

მომდევნო ქაღალდზე ეფრემა ლექსის სათაურმა შეაცბუნა: „ვოვკასა და კიკოს!“

მსხვილი, შავი ასოებით ეწერა.

მარცხნივ კორპუსის მეთაური იყო გამოხატული, მარჯვნივ — გუბერნატორი.

ორივე ისეთნაირად, რომ ეფრემამ საკლასო ოთახში თვალი მიმოატარა.

ვოვკა და კიკო!

„რა ქნას?! ათი დღეა, ამ სურათებიან ლექსს ფოსტით უგზავნიან თბილისის წარჩინებულებს. პოლიცმეისტერი თაეგატეხილი დაეძებს დამნაშავეს. ნეტავ არ წაერთმია! როგორ აჩვენოს თავის ღმერთკაცებს ეს ლაზღანდარობა?! რას იფიქრებენ?!“

თითქოს, გამოსაჯავრებლადო, თვალს გადაეფარა სტრიქონი: ოქვენმა გახეთქვამ, გაგისკდათ გული!“

წუთით, ისიც გაიფიქრა, სრულებით არ გამოვაჩენო, მაგრამ იქვე გაახსენდა, რა აბუჩად იგდებდა ამ ნახატებისა და ლექსის ავტორი, რამდენი შეურაცხყოფა ახსოვდა მისგან. მისი მიზეზით, ამ კლასში შემოსვლა ეზარებოდა. მთელი ჯგუფი აიყოლია, რა ოინებს არ უგონებდნენ და უწყობდნენ. ერთხელ დაფაზე დოდაშვილის პროფილი დაახვედრეს დახატული. როცა ბრძანა, წაეშალათ ნახატი, შემსრულებელი არავინ აღმოჩნდა და თვითონ მოუხდა წაშლა.

ვერ ეპატიებინათ, რომ დოდაშვილის მაგივრად ქართულს, რიტორიკას და გეოგრაფიას ის ასწავლიდა. არ ეპუებოდნენ, ათას სახიმანკლო შეკითხვას უმზადებდნენ: „ჩვენ ასე არ გვისწავლია!“, „დოდაშვილის გრამატიკაში სწერია!“, „ვერაფერი ვერ გავიგეთ, აგვიხსენით თავიდან!“, „სოლომონ ივანიჩი ხუთიანებს გვიწერდა!“

შებრუნდებოდა თუ არა, ზურგს უკან ნაირ-ნაირ ოინბაზობას უკეთებდნენ და ხარხარებდნენ.

— ბარათაშვილო, გატყდი, რომ შენგანაა ნაწერი!

— რას ამბობთ, ოსტატო! — შეუძახეს აქეთ-იქიდან.

— ბარათაშვილი ჯერ სად იყო, რო ხატვა ვიცოდით!

— ეს სატირა ვოლტერისგან დაწერილი ყოფილა!

— ჩორუცა! ხმა ჩაიწყვიტეთ! — წამოხტა ეფრემა.

— რათა რა, ლექსებს თქვენ კი არა თხზავთ?

— ბარათაშვილო, ეს არის მოყვასის სიყვარული და სათნოება?!

— ავლაბრის ყაზარმებში რომ ასწავლიდნენ?

— ბუნტობთ?

ტატო აღშფოთებული შეჰყურებდა ეფრემას.

„მთელი მისი გამომეტყველება იმას ამბობს, ჩემგან კეთილშობილებას ნუ მოელითო! ვერ გამიგია მაინც, რა ახირება მომერია. რატომ ვერ მიპატივებია! ნეტამც არაფერი გამევო! მატყობს უთუოდ, რომ დასანახად ვეღარ მიტანს!“

— ხედავს ყოველი მხედველი, თუ ამ სამს წელიწადში ჩვენი ქვეყანა ვითარ დაწინაურდა, ვითარ დამყარდა წესი და რიგი. მოისპო უკანონობა და უსამართლობა. მიეცა ენა და მამული ჩვენი ყოველს სიხარულსა და ბედნიერებას. გვყავს სათავეში კაცი ზნეკეთილი, სისხლი და ხორცი ჩვენი, დღენიადაგ მზრუნველი და ოფლის

მღვრელი. უნდა უწყოდეთ ეს, რადგან ზრუნავს თქვენთვისაც, რათა გიმნაზიის დამთავრებისთანავე მიიღოთ ადგილი და ჩინი მეათის კლასისა. ნუ იქნებით უშავთეთრო და შეუსმენელი. ვითარცა მოძღვარს, ვალად მაწევს, მოგიხმოთ მამულის სარგებლობისათვის!

„რა დაცინვაა! — ფიქრობდა ტატო. — უკეთურობა, ღალატი და თვალთმაქცობა ზნეკეთილობად გამოცხადებულა! წმიდანები ჯოჯოხეთის გენიაში იწვიან, უწმინდურები საკურთხეველს დაპატრონებიან. ვინც შინიდან არ გამოიშვება და ენაზე კლიტე უნდა ედოს, სინდის-ნამუსს გვიჭადაგებენ და თითს გვიქნევენ. მცოდნე, თავდადებულ მამულიშვილებს ბორკილი ადევთ და ამას კი ენა აშვებული ჰყავს. სად იყვნენ, რომელ სოროებში იმალებოდნენ ეს მახინჯი, ნაპუსგაწყვეტილი ფარისეველნი. ვინ იფიქრებდა, თუ ჩვენს პატარა ქვეყანაში ამდენი გარეწარი ერთად თავს გამოჰყოფდა. „ზნეკეთილს“ ყველგან თაყვანისცემა „ზნეკეთილები“ მოუძებნია. ჩარხი უკუღმა დაუტრიალებია. პოეტებად ეფრემა და ერმოლოზა აურჩევია.

მოღალატე წუთისოფელო! რა იოლად ივიწყებს ყველას და ყველაფერს! სოლომონი და ელიზბარი ვიღას ახსოვს, მთელ თბილისს გუბერნატორის ქორწილი აკერია ენაზე.

მე მკვდარი ვარ!

რა ხანია, მისი სიმღერა არ გამიგონია.

ღმერთო! სამართალია, ჩემი ტოლი უმანკო გოგო გუდაფშუტა ბებერს დარჩეს! რატომ? რის გულისთვის? ვინ ილხენს, როცა ყველა კეთილი იღუპება და სტირს! განა, ის მის მშვენიერებას გაიგებს და დააფასებს?! განა იგრძნობს იმისი სულის პოეტურს იდუმალებას?! განა ამისთვის გააჩინე ასეთი სიწმინდე და უმანკოება?!

ნუთუ მართლა წარმოსადგენია, ნათიმზემ თანხმობა უთხრას?!

არ სჯობია, მთელი ქვეყანა დაემხოს?!“

ნახატები და ეპიგრამები ეფრემამ იმ დღესვე გუბერნატორს მიუტანა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ის იქმოდა?

— დიახ, თქვენო მაღალღმატებულებავ! დოდაეზე ლოცულობს.

მიქაიჩი კორპუსის უფროსს წარუდგა მოსალაპარაკებლად.

ბარონმა და ბარონესამ იცოდნენ ჭაბუკი პოეტის დაუდგრომ-

ლობა, მორიგი ახირება დიდად აღარ გაჰკვირვებიათ და იქვე გადაწყვიტეს ესეც ბავშვურ ცელქობაში ჩავუთვალოთო.

გუბერნატორი მიხვდა, რომ სხვა გზა არ იყო. როზენს მელიტონი იმის მაგალითად ჰყავდა, რომ ქართველმა თავადაზნაურობამ მძიმე გამოცდის დროს ხელმწიფის ერთგულება შეინარჩუნა.

დამნაშავეთა დასჯისთანავე, მელიტონს ასი თუმანი პენსია დაუნიშნეს, მაიორობა უბოძეს და თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად დაასახელეს. მანაც თავზეხელაღებულ ბედისმაძიებელთაგან აღადგინა ქართული მილიცია და ჭარ-ბელაქანში გაეშურა ერთგულების დასამტკიცებლად.

— კორპუსის უფროსს გული ეტკინა, რომ შენი შვილია! — უთხრა გუბერნატორმა მელიტონს. — მე და გენერალ-ადიუტანტს ისედაც ლიბერალობას გვაბრალებენ შეთქმულთა შეწყნარებისათვის. ძნელი საპატრონო ვაჟი გყავს, თავადო. ბევრს უსიამოვნებას შეგახვედრებს. თუ არა თქვენი დამსახურება და ხათრი, სამუდამოდ გამოეთხოვებოდა ჩვენს კუთხე-ქვეყანას. მწარე ენა აქვს. მაგალითს ჩვენგან კი არ იღებს, არამედ პირშავთაგან.

ტატო მზად იყო ყელში სწვდომოდა მსაჯულს, რომელსაც უტიფარ და უნამუსო კაცად, ძვირფასი ადამიანების დაღუპვის მიზეზად თვლიდა. როცა გაიგო, მას უნდა წარსდგომოდა, შინიდან გაქცევა დააპირა, მაგრამ დედის მუდარამ გაჭრა.

ზიზღს ჰგვრიდა გაუმაძღარი ეგოიზმი, რომელიც თანამდებობით, ქონებით, შურისძიებით აღარ კმაყოფილდებოდა და უმანკო გოგონებს იტაცებდა დასაღუპავად.

ჯოჯოხეთური მოთმენით იკავებდა ცრემლს. რაც თავი ახსოვს, მხოლოდ ერთხელ ვერ მოერია ქვითინს — როცა ნათიმზეს ეზოს ალყა შემოარტყეს, დამარხული ბეჭდები ამოიღეს და ფანჯარასთან გარინდებული გოგონა დალანდა.

— თუ ლექსის წერა გინდა, სადიდებელი და საქებარი ცოტაა?! — მიმტევებელი საყვედურით მიუბრუნდა გუბერნატორი. — ყმაწვილი მელექსეების დამრიგებლად და ოსტატად მე ეფრემა მყავს გამოყოფილი, თუ რამ შველა გინდოდეს, იმას დაეკითხე.

მას შემდეგ, რაც ეფრემამ სოლომონ დოდაშვილის ახალი სახლი ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში და საცხოვრებლად იქ გადავიდა, ტატო მას დასანახად ვეღარ იტანდა.

— ბარონესას მადლობელი უნდა იყოთ! — უთხრა გუბერნატორმა მამა-შვილს. — წაიყვანე, მელიტონ, ეგ შენი მემკვიდრე და როგორც საჭიროდ დაინახო, ისე დასაჯე.

შფოთიან, მრისხანე თავადს ყველა ერიდებოდა და ისიც იცოდნენ, რომ მის შვილს მასზე უფრო სასტიკად ვერავინ მოეპყრობოდა.

— აბა, დროს ნუღა ვკარგავთ! — მკაცრად მიაჩერდა მელიტონი შვილს. — ღმერთს უმადლე, რომ ციმბირს გადაურჩი, მე კი თვალებს დაგთხრი და გომურში ჩაგაგდებ.

ამ სიტყვებზე საქმიანი ნაბიჯით გასწია ბრძანების ასასრულებლად.

მიდიოდა გაბოროტებული და დამუქრებული. ტატო შინაგანად დაცლილი, არეული ნაბიჯებით მიჰყვებოდა უკან.

14

— არ მოსულა? — ქუჩაში დროგის გახრიგინებაზე ოფლიანი ბურანიდან თვალი გამოახილა სოლომონმა.

— არა, ბატონო. ექვსი საათია, ჯერ ისევ სამსახურში იქნება.

— სუნთქვა მიჭირს. ჰაერი სრულებით არ იძერის.

— დიახ, ავი ზამთარი მობრძანდება, ბატონო. მაგრამ გერცენს იმედი აქვს, რომ ხელმწიფე მალე დააკმაყოფილებს ახალ შუამდგომლობას.

სოლომონს უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ფერდქვეშ მწარე ტკივილმა სახე დაუმანჭა.

რამდენსამე წუთს იყო ასე გარინდებული.

ელენეს გულს უკლავდა ჭმრის ღრმად ჩაცვენილი, ავადმყოფურად მოგიზგიზე თვალები, ჩაყვითლებული სახე, სუსტი, უღონო ხმა... ყოველ დახველებაზე, ყოველი სიტყვის წარმოთქმასა თუ მოძრაობაზე ჭირის ოფლში იწურებოდა, გონებას ჰკარგავდა.

ვიატკაში ჩამოსელისთანავე გაუხსენა სტუდენტობის დროინდელმა ჭლექმა. ექიმმა დაუფარავად უთხრა ელენეს, ფილტვები დაჩირქებული აქვს და მედიცინა უძლურია ასეთი რთული და ხანდაზმული სენის წინაშეო. ერთადერთი საშველი სამხრეთის ჰაეა იქნებაო.

სნეული ავად დასცადა აქაურმა ხანგრძლივმა და სუსხიანმა ზამთარმა, ისედაც ხანმოკლე, წვიმიანმა და ლაფიანმა ზაფხულმა, გრენლანდიისა და კარის ზღვის სასტიკმა, ცივმა ქარებმა.

გუბერნიის სამმართველოში, გადამწერად სამსახურიც სატანჯველი გამოდგა. შინაგან საქმეთა მინისტრი ბლუდოვი ვიატკის გუბერნატორს ავალებდა: „თქვენს განკარგულებაში იგზავნება სახელმწიფო დამნაშავე დოდაშვილი, რომელსაც, იმპერატორის ბრძანებით, ჩამორთმეული აქვს ყველა ხარისხი და სამუდამოდ ეკრძალება საქართველოში დაბრუნება. მის ყველა მოქმედებაზედ დაწესდეს ფხიზელი მეთვალყურეობა. ხშირად გვაცნობეთ, როგორ იქცევა, რას აკეთებს“.

გუბერნატორი ტიუფლიაევი მაინც ისე მოხიბლა პატიმრის ცოდნამ და გულმოდგინებამ, რომ მეორე წელსვე მაგიდის უფროსად დააწინაურა.

ქალაქი სავსე იყო დასჯილებით. განათლებამ და კეთილმა ხასიათმა სოლომონს მალე ბევრი მათგანის გული მოუპოვა. ორსართულიან თეთრ სახლში, ყაზანის ქუჩაზე, მისი ამბის გასაგებად და სალაპარაკოდ ხშირად მოდიოდნენ გერცენი, აკადემიკოსი ვიტემბერგი, ლოგიკის მასწავლებელი ანდრია სკვორცოვი, ვიატკელი მეცნიერი ვეშტომოვი, მწერალი პავლე კოვალევი, მხატვარი ჩარუშინი.

გერცენი ისე ააღელვა დოდაშვილის ავადმყოფობამ და ოჯახურმა პირობებმა, რომ გუბერნატორს დაემუქრა, თუ ხელმწიფის სახელზე სოლომონის სამხრეთში გადაყვანისათვის შუამდგომლობას არ აღძრავდა, გუბერნიაში საშინელი დანაშაულობების შესახებ საიდუმლო საჩივრებს გაგზავნიდნენ პეტერბურგში.

ტიუფლიაევს ეშინოდა გერცენისა და მისი ნასწავლი მეგობრების, რომელთაც პეტერბურგსა და მოსკოვში გავლენიანი ნათესავები ჰყავდათ და შეეძლოთ მისთვის საქმე წაეხდინათ.

„ჩვენს ხელმწიფეს ევროპაში თავს სჯრი! — აშინებდა გერცენი. — ასეთი ავადმყოფი კაცის ტანჯვა რომ გაიგონ, ყველა ქვეყნის გაზეთებში გამოგვჭიმავენ!“

„რა ვქნა, ისეთ დანაშაულზეა გამოგზავნილი, რომ მაგის შუამდგომლობისათვის მე ჩამომკიდებენ!“ — თავს იმართლებდა გუბერნატორი.

„მე თვითონ შეგიდგენთ ისეთ შუამდგომლობას, რომ არაფერსაც არ გეტყვიან!“

გერცენი ადგენდა და ტიუფლიაევი, რომელსაც სტატისტიკის საქმეში მისი დახმარების გარეშე ერთ დღეს არ გააჩერებდნენ, ხან შინაგან საქმეთა მინისტრის, ხან სამხედრო მინისტრის, ხანაც ხელმწიფის სახელზე ზედიზედ გზავნიდა ერთიმეორეზე თამამ შუამდგომლობებს.

„დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ტიუფლიაევი არა ჰხედავს რა რამე დაბრკოლებას, რათა დოდაევი გადაყვანილი იქნას სამხრეთის ერთ-ერთ გუბერნიაში — და იღებს რა მხედველობაში მის დაავადებულ მძიმე მდგომარეობასა და მუდმივ ბეჯით სამსახურს, საუკეთესო ზნეობასთან შეერთებულს, შუამდგომლობს დოდაევის აღნიშნული სათხოვრის დაკმაყოფილებაზე“.

— სულო ჩემო! ბავშვების დაბადების ცნობა ხომ არ მოგვკითხავს?

— არ მოსულა, ბატონო! საშას (ერთმანეთში ასე ეძახდნენ გერცენს) გაუგია, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ორჭოფობსო.

ერთხანს ხმა არ ამოუღია, მერმე, ცოლს სთხოვა, კიდევ ერთხელ წაეკითხა ვიატკის გუბერნატორისადმი თავისი თხოვნა.

„თქვენო აღმატებულებავ, მოწყალეო ხელმწიფევ! ძლიერ, ძლიერ ავად ვარ. პოლონელმა ექიმმა, რომელიც მე მწამლობს, გამომიცხადა, რომ თუნდაც ამჟამად გამომიკეთდეს ჯანმრთელობა, მომავალ ზამთარს თუ მე ისევ აქ დავრჩი, ვეღარ გავუძლებ ჩრდილოეთის ჰავის გავლენას, რაც ყოველთვის საზიანოდ მოქმედებდა ჩემს ჯანმრთელობაზე, დააძაბუნებს მას სრულიად და მეც და ჩემი ოჯახიც განვიცდით უდიდეს გაჭირვებას.

დარწმუნდებით რა ბატონი ექიმის ნათქვამს სინამდვილეში, ვიმედოვნებ, არ დააყოვნებთ შუამდგომლობას, სადაც ჯერ არს, რათა გადაყვანილი ვიქნე სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში. ეს დიდი სიკეთე სამუდამოდ მეხსომება მეც და ჩემს შვილებსაც“.

შემდეგ საექიმო შემოწმების ოქმიც წააკითხა:

„მიეცა ესე ვიატკის საექიმო სამმართველოდან მასზედ, რომ, თანახმად ბატონ ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორის მიმდინარე თვის 5 რიცხვის წინადადებისა, მაგიდის უფროსი სოლომონ დოდა-

ევი შემოწმებული იქნა მის ბინაზე კერძო ბოქაულის კოლეჯსკი სეკრეტარ ბოროდინის დასწრებით, და მას აღმოაჩნდა სახე ტყვიის-ფერი, ცხვირი წაწვეტილი, ხორციანი ადგილები ისე გაწვრილებუ-ლი, რომ ზოგიერთ ადგილს ძვლებზე მარტო კანიღაა გადაკრული. სუნთქვა ხანმოკლე, ყელში ხიხინით, ხშირად ახშობს ხველა, ბლო-მად ამოინთხევა სქელი ჩირქიანი ნახველი“...

— ჰაერი არ მყოფნის! — წამოიწია ლოგინზე. — დავიხრჩვები, თუ აივანზე არ გავედი.

— გაცივდები, შენ შემოგევლე!

— მომახურე რამე!

ჟანგისფერი, გამხდარი ხელებით მხრებზე თბილი შალი შეის-წორა და გარეთ გავიდა. დაღონებული მზერა მიმოატარა შემოგა-რენს. ხრიოკი თიხნარი... ციცაბო ნაპირი... ვიატკაზე ბორანი. ნავ-სადგურში მოქანავე გემი... შორს ღარიბი ქოხმახები... უფრო აქეთ ერთსართულიანი ხის სახლები... მორებით შემოღობილი ეზოე-ბი.

სპასკის ქუჩაზე გუბერნატორის სახლი მოჩანს. იქვე მახლობლად, კრემლის დაკბილული წვეტები ელავს... აი, მიძინების ტაძარი... გიმ-ნაზია... სასულიერო სემინარია და, კეთილშობილთა საკრებულო გუსევის სახლში, სადაც საჯარო ბიბლიოთეკას აწყობენ. მამაევის სახლი, სადაც გერცენი ცხოვრობს... მერე მოდის კანცელარიის რი-გი. სოლომონს თვალწინ წარმოუდგა პატარა, ვიწრო ოთახი და ოცი გადამწერი იმ ვიწრო ოთახში. უსაქმო ლაყბობა და მიეთმოეთი მო-რიგი მსხვერპლის მოლოდინში, ყოველი უბრალო ცნობისთვის და-ცინცლული აბაზი.

სასოწარკვეთილებით თავი ჩაქინდრა. „რა სიცარიელეა გარშე-მო! სიცარიელე სულში! დაკარგავ ყველაფერს, თუ აქედან დროზე არ გადაიხვეწე, თუ აქაურობას დროზე არ მოშორდი!“..

უსიცოცხლოდ დააშტერდა ხის ტროტუარზე ამოსულ უღონო ბალახს... მერე ნაცრისფერ კედლებზე დაშვებულ მილებს შეავლო მზერა და უცებ გული შეუღონდა... საავარძლიდან გადმოვარდებოდა, ელენეს რომ არ მოესწრო.

— არ გრგებთ, ბატონო, ჰაერზე ყოფნა, შინ გირჩევნიათ! — მხრებში შეეშველა და შეუძღვა დაბალჭერიან ოთახში.

— მამიკო! — ჟრიამულით შემოეხვივნენ პატარა ვანო და ნინო.

— შედით თქვენს ოთახში! — წყნარად უთხრა ბალღებს სოლომონმა.

— მოგეფერონ, არაფერი უჭირთ! — გაბზარული ხმით თქვა ელენემ.

— ისიც მეყოფა, რომ შენ არ მერიდები!

— ჩემო მშვენიერო, — უთხრა ქმარმა, როცა დედამ ბავშვები ცალკე ოთახში გაიყვანა და უკან შემობრუნდა. — ყმაწვილების წილხვედრი როდის გავგზავნოთ?

— მე კიდეც გამიგზავნია! — სახე აეფაკლა ელენეს.

საქმე ეხებოდა ხუთ-ხუთ მანეთს, რომელსაც სოლომონი ქიზიყიდან ჩამოყვანილ ორ ძმისშვილს უგზავნიდა თბილისში.

ელენეს არც ახლა დაუძრავს სიტყვა, თუ როგორ გაძვირდა ცხოვრება და რა დღეში ჩაცვივდებოდნენ, ფრანგული ენისა და ცეკვის გაკვეთილები რომ არ აეღო იქვე, მეზობლად მცხოვრებ ბოქაულის ოჯახში.

— ნიჭიერი ყმაწვილები არიან, — ამოოხვრით განაგრძო სოლომონმა, — ფულის გაგზავნა რომ შეეუწყვიტოთ, მამა მეორე დღესვე სოფელში წაასხამს, მომხმარე მჭირდებაო... — და კედლისკენ შებრუნდა.

„ადამიანის არსებობის სერიოზულ კითხვებზე არავითარი პასუხი არ არსებობს!.. როგორც ჩანს, მალე დავამთავრებ ჩემს მისიას. ხანმოკლე მისიას, რომელიც, ალბათ, ამდენ ხანს უნდა გაგრძელებულიყო და ასე დამთავრებულიყო. ისტორიას არ უყვარს სიცარიელე. მოვლენ, ვინც დაწყებული უნდა განაგრძონ. განგება უფრო მტკიცე მასალით ამოავსებს დარჩენილ ხარვეზს!

საყვარელო მამულო! სულისა ერთგულებით აღჭურვილი ძე შენი მარად ერთგული დარჩების!“

— მობრძანდით გეთაყვა, მობრძანდით! — კიბეზე შეეგება ელენე მოხდენილად გამოწყობილ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც შავ პიჯაკზე ფართო, თეთრი საყელო ჰქონდა გადაფენილი.

დოდაშვილმა თავს ძალა დაატანა და, როგორც ყოველთვის, ახლაც ფეხზე ამდგარი და თავისებურად გაღიმებული შეხვდა მეგობარს.

— მაწანწალა კომედიანტის ჰკუაზე ხომ არ ვიხტუნავებთ! — ჰხნედ, მხიარულად შემოვიდა სტუმარი.

— მოაწერა? — მოუთმენლობით ჰკითხა სოლომონმა.

— აბა, რა! დიდი ტუზი კი ბრძანდება, მაგრამ დედამიწა ტიუფლიაევის გარშემო არ ბრუნავს! დავწერე, წარვუდგინე და მოაწერა. აბა, როგორ?! ცოტა კი გაუჭირდა, ოთხ თვეში მესამე შუამდგომლობას ვგზავნიო, მაგრამ უარი ვერ მითხრა.

— არ ყოფილა მოკლებული სათნოებას! — მადლიერი ხმით წარმოთქვა ელენემ.

— ტიუფლიაევი და სათნოება?! — სახე გაუნათდა გერცენს. — მაგაზე უგულო, გარყვნილი და შეუწყნარებელი მეორე არ მეგულება ჩემს ნაცნობებში. არასოდეს არაფერს გაპატიებს. პერმშიც მჭონდა გაგონილი მაგის ავკაცობა, მაგრამ სინამდვილემ ბევრად გადააჭარბა მოლოდინს. ეს ბრიყვი და ჯიჯგვი ბეხრეკი, კისერში ჩარგული თუჯის თავით და ბულდოგის სიფათით, ავხორცული გამოხედვით და პირუტყვული ყოფაქცევით აქამდე მოხეტიალე კომედიანტად დარჩა.

სალანძღავ სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ სიბრაზე და სიძულვილი არ ეტყობოდა.

— ეჰ, ტიუფლიაევზე უარესი დესპოტებიც არსებობენ, ალექსანდრ ივანიჩ! — ამოიოხრა დოდაშვილმა.

გერცენი შეკრთა და წუთით ჩაფიქრდა.

სოლომონს სიხარულს ჰგვრიდა მისი მშვიდი და პატიოსანი სახე, ამაყი და კეთილი გამოხედვა, რომელშიც თავისთავის რწმენა, პირადი ღირსების შეგნება და საკუთარი პრინციპებისადმი თავდადება სითამამე გამოსჭვიოდა.

მოგრძო სახე, სწორი ცხვირი, თხელი ტუჩები, მაღლა ავარცხნილი ხშირი წაბლისფერი თმით მორკალული ფართო შუბლი იმ იდუმალი იერით იყო მოსილი, რომელსაც ადამიანს კეთილშობილი და განათლებული სული ანიჭებს.

მაშინაც კი, როცა ვინმეს კიცხავდა, მისი ხმა ნუგეშინითა და სალბუნით იყო ავსილი.

— ჩვენი ცხოვრება კანცელარიას მიაქვს. ყველა ჩვენი ოცნება სახრჩობელით ან ციმბირით მთავრდება. სიმართლე ჭიქა არაყზე იყიდება. ყველგან და ყველაფერში აბაზი და უზალთუნი. ზოგი მუქარით და მუშტების ქნევით გამოგძალავს ამ უზალთუნს, ზოგიც მელური ლაქუცით. ტიუფლიაევმა ერთი პოლონელი ჯურღმულში

გაგზავნა მხოლოდ იმისთვის, რომ დამები მასთან ამჯობინებდნენ მაზურკის ცეკვას. ერთი ყოველად წესიერი და პატიოსანი ადამიანი მხოლოდ იმისთვის გამოამწყვდია საგიჟეში, რომ სიტყვა შეუბრუნა, ანუ თეთრზე თეთრიაო, თქვა. სოლომონ ივანიჩ, მე არქივის მოწესრიგება დამავალა და კინალამ გადავირიე, ისეთი საქმეები შემხვდა. ერთხელ „გლეხი ბიჭის“ ვასილის მდედრობით სქესში გადარიცხვისთვის ბრძანება გაუცია.

ჰორის ჭაობი გვახრჩობს. ყველა მათხოვარს გადაუწყვეტია გლეხკათბელადი გახდეს და რაც ენაზე მოადგება, კამათობს, იგინება და ყვირის.

დოდაშვილმა იცოდა, რომ ამ ფიცხ, გონებამახვილ ახალგაზრდას მოსკოვის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი ვერცხლის მედლით დაემთავრებინა. რილეევის მტრებისთვის სამაგიეროს მიზღვის ფიცი დაედო. სტუდენტებში ხელმწიფის საწინააღმდეგო წრე შეექმნა. ცხრა თვე კრუტიცკის ყაზარმებში გაეტარებინა. როგორც „საშიში პიროვნება“, ვიატკაში სასჯელს იხდიდა და დოდაშვილთან ერთად გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობდა.

ტიუფლიაევი უმისოდ ნაბიჯს ვერ დგამს. ახალშემოღებული სტატისტიკური აღრიცხვა, რომელსაც ვერც ერთმა მოხელემ თავი ვერ გაართვა, მან მოუწესრიგა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაც მანვე მოაწყობინა, თორემ გუბერნატორი ამაოდ იტეხდა თაეს, სად მოეთავსებინა თაფლი, მოოქროვილი ჩარჩო, ყველი და კარაქი.

— გაღმერთებთ, რომ რილეევის ძეგლის აღმართვა გდომებიათ! — აღტაცებით თქვა გერცენმა. — „გმირთა ფალანგა!“, „ფოლადის ბუმბერაზები!“ წამიკითხავს, რომ ქართველები მეომარი, გულოვანი ხალხიაო. შარდენი, ლევალიე, ტავერნიე, ბარბარო, მონდვილი, სტრუისი, გულდენშტედტი...

აქაც, ხომ ხედავთ, რა დღეში არიან უდმურტები, მარიელები, ჩუვაშები.

— ანდაზაა ჩვენში, — მიუგო დაწყნარებით დოდაშვილმა, — თუ მოსამართლედ მოდავე გყავს, სიმართლე ვერ გიშველისო.

— მესმის, როგორ გიჭირთ კავკასიელებს ამ მრისხანე და მწირი ბუნების შეგუება.

სოლომონმა თვალი მოხუჭა. ბოლო დროს, მას სულ უფრო ნაკლები დრო რჩებოდა სამშობლოზე ფიქრისთვის. ულმობელი სენი

მარწუხებით ახშობდა ყოველგვარ ოცნებას. მხოლოდ ძილ-ღვიძილში ელანდებოდა აყვავებული ბროწეულის ტევრები, ხმაურით მოვარდნილი მთის მდინარეები... ალვისხეებით დაჩრდილული ორღობეები... ვაშლით, მსხლით, ატმით და ყურძნით დახუნძლული ბაღვენახები... ღარებში მომჩქეფარე მღვრიე მაჯრის ნაკადულები...

„თბილისში უნდა ცხოვრობდე — გიყვარდეს, შრომობდე, იბრძოდე, მაშინ იგრძნობ მის სიმშვენიერეს!“

— ხელმწიფის რეჟიმი მარტო სახრჩობელებით და თეთრი ღვედებით კი არ ახრჩობს ადამიანებს, არამედ საერთო ატმოსფეროთიც. — ამოიოხრა გერცენმა. — ეს კანცელარიები ციხეზე უარესიც კია. მათში ისეთი აჭოთებული სული ბუდობს, რომ ზოგჯერ სასოწარკვეთა წამიჭერს ხოლმე ყელში. დროის ფლანგვა, ლაყბობა. დაცინვა. ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფა. თითქოს საკუთარ სახლში გერები ვიყოთ. აი, მე, ოჯახიც მაქვს, ქონებაც გამაჩნია... ყურადღებას არ მაკლებენ, და მაინც, როცა კანცელარიიდან ჩემს ოთახში შევდივარ, უსულოდ ვემხობი ლოგინზე შეგინებული, დაბოღმილი, დამცირებული.

სოლომონს გაძვალტყავებული, შავი ხელები უღონოდ დაეწყო მუხლებზე გადაფარებულ გახუნებულ პლედზე, რომლის ფოჩები იატაკს სწვდებოდა... ლოყებჩაცვივნულს, ტუჩებჩატეტკილს აღგზნებული თვალები მიეპყრო ახალგაზრდა მოსაუბრისთვის.

— აღმოსავლური გადმოცემა ამბობს, — თქვა სოლომონმა მისუსტებული, მაგრამ მკაფიო ხმით, — ადამიანებზე განრისხებულმა ღმერთმა, მათი შეცდომების სასჯელად, წაართვა მათ ჭეშმარიტება და მთელს დუნიაზე ნაფლეთებად მიმოაბნიაო.

ადამიანის სული, თავისი შინაგანი ბუნების კარნახით, განუწყვეტლივ ეძიებს და აგროვებს ამ ნაფლეთებს, რათა გაამთელოს ის. ასეთია ბუნება შემეცნებისკენ მისწრაფებისა — გამოცდილებით, ძიებით, ტანჯვით მიაღწიოს ჭეშმარიტებას. გონებას უნარი აქვს გამოიწვიოს გრძნობა.

— ამ ძიების გარეშე სული მიხრწნილია. „ტელესკოპის“ ეს ნომერი გუშინ საღამოს მომიტანეს. — გახსნა ჩანთა გერცენმა. — მთელი ღამე ჩაადაევის „ფილოსოფიურ წერილს“ ვკითხულობდი. ვადიდებდი და ვაძაგებდი. თვალს ვერ ვსწყვეტდი და ვწყევლიდი. ნუთუ დიდ რუსეთს სასოწარკვეთა უნდა იპყრობდეს?! ასეთი ეჭვი

დანაშაულია. მე მწამს და მიყვარს ის. მიყვარს ჩემი ხალხი, მიუხედავად მისი გაუნათლებლობისა. მიტაცებს იმისი ბავშვური სული და უბრალოება. მაგრამ რას ვხედავთ?!

აქ ცხოვრება კარგი გაკვეთილია ჩემთვის. საცოდავი რუსი გლეხკაცი! შეგრცხვება ფუფუნებით ცხოვრება. გლეხკაცს ისე უყურებენ, როგორც მონადირე — კურდღელს! ტყავი და ხორცი!

თქვენ აქ იყავით „კარტოფილის ამბოხების“ დროს? საკუთარი თვალით იხილეთ, რა შეუძლია ხალხს?

მე რუსეთში არავითარი რევოლუცია არ მწამს, გარდა გლეხური რევოლუციისა.

აქაური ქალალდის და შეშის ქარხნები დავათვალიერე, და გული მომიკვდა, ისეთ პირობებში ამუშავებენ ყმებს...

აი, თქვენ, არაფერი გაკლდათ, შეგეძლოთ უზრუნველად გეცხოვრათ... თქვენ კი, ადექით, და, რაც ძვირფასია, ყველაფერი სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას შესწირეთ! თავს მოუარეთ, ძვირფასო სოლომონ ივანიჩ, თქვენ ისევ საჭირო იქნებით!

სოლომონს მწარედ გაეღიმა. ოდნავ შეარხია გამხდარი ხელები.

— სნეულებისა არ მეშინია. ის მაწუხებს მხოლოდ, რომ ფერდი მტკივა და წერას მიშლის.

გამოთხოვებისას გერცენმა ჩანთიდან ამოალაგა ვაშლები, ლიმონები და ტკბილეული, და ყველაფერი ეს ავადმყოფის მაგიდაზე დააწყო.

ელენემ ვედრებით შეხედა სტუმარს. მისი გაწითლებული თვალები ამჟღავნებდნენ, რომ უძილო ღამე ჰქონდა გატარებული.

— რატომ წუხდებოდით? — წაილაპარაკა და აუთრთოლდა ტუჩები.

— ოჰ, კნეინავ, — უზრუნველად მიუგო გერცენმა. — რა შეწუხებაა, როცა გაქვთ და არ გჭირდებათ, სჭირდებათ და არ აქვთ?

სოლომონმა ხელი გაიქნია, თითქოს გარეკა ურჩი ფიქრებიო. ცრემლიანი თვალი გააყოლა მიმავალ ყმაწვილს, გულში მადლობით...

„ისინი ჩვენზე წინ წავლენ! ჩვენზე უფრო შორს წაიღებენ ჩვენს დროშას! მაშინ ყველას ეშველება!“

გუბერნატორისა და ნათიმზეს შეუღლებაზე თბილისში იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ, როცა შეიტყვეს, პატარა მაიკოს თანხმობა უთქვამს და ჯვრისწერა შაბათსაა დანიშნულიო, აღარავის გაჰკვირვებია.

გაუკვირდათ მხოლოდ, რომ ქორწილის დღეს, როცა დედოფალს საპატარძლოდ რთავდნენ, ხოლო ტაბახმელაში საქორწილო სუფრის თადარიგი იყო გაჩაღებული, ნეფე გიმნაზიის გამოშვების ცერემონიალზე ქადაგებით გამოდიოდა.

წინანდელი გუბერნატორები ამ საქმეს თვით გიმნაზიის დირექტორსა და მასწავლებლებს ანდობდნენ, მაგრამ რაც მიქაიჩი დაინიშნა, ყოველგვარ ქადაგებას თავის მოვალეობად თელიდა და, სხვადასხვა შემთხვევისა გამო, ხშირად უხდებოდა სიტყვით გამოსვლა.

პედაგოგები, კურსდამთავრებულნი, დაბალი კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და ქალაქის წარჩინებულნი, ვისაც კი შესაძველელი ბილეთის შოვნა მოეხერხებინა, სააქტო დარბაზში შეკრებილიყვნენ.

ზუსტად თერთმეტ საათზე კორპუსის უფროსი, ბარონი გრიგორ ვლადიმერის ძე როზენი, და მეუღლე მისი ელისაბედ არნოლდის ასული მობრძანდნენ.

დარბაზი გაცოცხლდა.

გენერალ-ადიუტანტის მუნდირში გამოწყობილ, პირბუტაყ, მხარბეჭიან მთავრმართებელს, რომელსაც სახეს შავად ჩამოწინწკლული ულვაშები უმშვენებდა, გუბერნატორი ჰიშკართან მიეგება და ნატისუზანებით მოფარდაგებულ აივანზე აუძღვა.

დიდხანს აღარ გაუცლია, რომ ბარონის ნებართვით, ცერემონიალიც დაიწყო. ელპიდოფორ მანასეინმა დამსწრეთ კურსდამთავრებულთა დახასიათებანი გააცნო, ატესტატები დაარიგა და კათედრაზე გუბერნატორი აბრძანდა.

იგი წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა ხელმწიფის წყალობაზე, მხარის დაწინაურებაზე, ომში მოპოვებულ გამარჯვებებზე, განათლების მნიშვნელობასა და მოსახლეობის უზომო მადლიერებაზე.

— ბარონის მობრძანების შემდეგ, ჩვენი მხარე ბუმბერაზული

ნაბიჯებით დაადგა აყვავებისა და კეთილდღეობის გზას. თითქმის აღმოვფხარით ის უწესობანი, ყაჩაღობა, ქურდობა, სახაზინო ქონების დატაცება, რომელსაც მანამდე ჰქონდა ადგილი.

გუბერნია განიწმინდა მოუსვენარი და შფოთიანი, ხალხის შემაწუხებელი კაცებისაგან. აღორძინდა ჩვენი მამაპაპური სინდის-ნამუსი, რომლითაც ყოველად მოწყალე და ყოველად სათნო ხელმწიფეს უნდა ვემსახურებოდეთ.

სიდონია სავარსამიძემ ლორნეტი მოიმარჯვა და მოქადაგეს გაჰხედა. მას სხვა მანდილოსნებმაც მიჰბაძეს, თუმცა საქტო დარბაზი დიდი არ იყო და შეუიარაღებელი თვალით ყველაფერი უკეთესად ჩანდა.

კეთილშობილი ქალბატონები და ქალიშვილები მზის სურნელებასა და ბრწყინვალებას აფრქვევდნენ. მათ ოჯახებში ჯერ კიდევ უხვად მოიპოვებოდა წინა საუკუნეებიდან გადმოყოლილი ძვირფასეულობა. მათს ქათქათა, ბროლის გულმკერდზე დამამშვიდებლის ციმციმით კრთოდნენ ფირუზჩარის ჯვრები მუშაბახის ოქროს ამბარჩითა და უმნუშელის მარგალიტებით, ფრანგი-ფარსანგის მოწითანო იაგუნდებით... საკუთარის შუქის მანათობელი საფირონი, ზურმუხტი, ალმასებითა და მარგალიტებით მოარშიებული გულის-პირები.

— რა პირმშვენიერი ვაჟკაცია ჩვენი კიკო! — წასჩურჩულა კნეინა ქეთევანმა კნეინა ანიკოს.

— ამბობენ, ამაზე ლამაზი მეფე ჯერ არ ჰყოლია საქართველოს.

— რათა? ლუარსაბზეც იტყვიან, ძლიერ მშვენიერი იყოო.

— ახლა კიდევ რა გასაჭირი ადგია მამულისათვის!

— ამბობენ, დილაუთენია დგება და შუაღამემდე იღვწისო.

— ასეთია, Ma chere, ქვეყნის პატრონის ხვედრი.

— რა ბედი ეწია ამ მანჭია ნათიმზეს!

— გვარი და ღირსება აღარ არსებობს? — ჩაურთო კატინკა ორბელიანმა.

— თავადი თავადია!

— მეორე აღმშენებლად უწოდიან.

— რაც ეგ მოსულა, ჩვენი ტალახიანი თბილისი ვეღარ გეცვნია. ომნიბუსი გინდა, არხი თუ აბანოები, სულ გონიოში გამოიყვანა.

„სხვა სალაპარაკო და სადარდელი არაფერი აქვთ, ულაპარაკოდ

კი ერთ წუთს რა გაგაძლებინებთ!“ — უკმაყოფილოდ გაიფიქრა კატინკამ.

— ჩვენს მხარეს სჭირდება კეთილშობილი საზოგადოების გულშემატკივრობა და ქველმოქმედება. — განაგრძობდა გუბერნატორი. — ოცდაექვსი განათლებული, ადგილობრივი ახალგაზრდა, რომლებმაც დღეს ამ გიმნაზიის ატესტატი მიიღეს და ხვალიდან ხელმწიფის მოხელის მუნდირს ჩაიცვამენ, დიდი ძალაა განათლების გზაზე. მათგან ჩვენი კუთხე მოელის ხელმწიფის ერთგულებას, საქმეში გულმოდგინებას, სრულს უანგარობას, მოყვასის სიყვარულსა და სათნოებას. აქა-იქ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ზოგიერთი ნაკლი, რომელთა გამოსწორებაში ეჭვი არ არის, ახალგაზრდა მოხელეები დაგვეხმარებიან.

— ტატო, მახარობელი ვარ, სიმპათია გაგითხოვდა! — ეშმაკური ღიმილით შეაჩერა მართა სოლოღაშვილმა ხელში გაშლილი ატესტატით მომავალი მეგობარი.

— ნატერა აუცხადდა. — ნაღვლიანად გაუცინა და იქვე ჩამოჯდა.

— მა რა გეგონა, Mon chere, სასიძოზე სატირას რომა ჰსწერდი? — ჩაუეუეუნა თვალკვესია რახაელ ციციშვილმა.

— აფსუს, მატილდა კასტელის პანსიონო, მადამ აბრერას სკოლავ და პრასკოვია ახვერდოვას გაკვეთილებო!

— ჩვენ რაღას ამოგვიბუე?

— ასეა, გეთაყვა! ახლა მოდაა: ვინც ვის იცნობს, უმალ ივიწყებს!

— მითხრეს, გუბერნატორს მილიონიანი კაბა მიურთმევია სატარძლოსთვისო.

— ისეთ კაბას შევიკერავ, ორივეს გული გაუსკდეს! — ჯიბრით თქვა მართამ.

— შეხეთ ფეფენოს, როგორ მორთულა, გასათხოვებლად შეხამებულა! — დაანახვა ტატომ დიბის კაბაში გაფუშფუშებული ფეფენო, რომელიც მოუსვენრად ატრიალებდა ლორნეტს.

— არ გიკვირს, რომ ამ შავტუხა ნათიმზეს გამო მამაკაცებს კონკურსი ჰქონდათ გამართული?

— ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ, — კვლავ შთაგონებით განაგრძობდა გუბერნატორი, — თბილისს ვეღარ იცნობთ. ქალაქის შუაში გავიყვანთ ასამდე ახალ ქუჩას, რომლებსაც დაამშვენებს მაღალსარ-

თულიანი ქვითკირის სახლები. დიდუბეში აშენდება აბრეშუმის, ტყავის, თამბაქოს, ტილოს ფაბრიკა-ქარხნები. წავკისიდან და საგურამოდან გამოვიყვანთ სასმელ წყალს. გვექნება ათი საავადმყოფო, შვიდი თავშესაფარი, ოთხმოცი სკოლა, სამი უნივერსიტეტი, ხუთი თეატრი, ორი ოპერა, ოცი გაზეთი, ექვსი ჟურნალი. ქალაქი მოკირწყლული გზატკეცილებით შეუერთდება მყინვარწვერს, იალბუზს, კასპიის ზღვას, შავ ზღვას, ქერჩის სრუტეს.

ტატოს აღარ ეღიმებოდა.

მოღუშული, უნებურად დაეძებდა მათ, ვინც საქმეში ერია, არსად არ გაუგზავნიათ ან უკვე მოესწროთ დაბრუნება და ახლა აქ იყვნენ: ეფრემა, ფეფენო, ნათალიშვილი, ბარძიმი... და, ფიქრობდა მათზე, ვინც აღარ იყო...

— ამბობენ, ძმის წილი თავის სახელზე დაუმტკიცებიაო. — თქვა დერეფანში განმარტოებით მოსაუბრეთა შორის დავით ჯორჯაძემ.

— როგორ გეკადრებათ, თავადო! — შეუტია ერთად რამდენიმე კეთილშობილმა.

— ასე იციან ჩვენში! ყველაზე გამოჩინებულსა და საამაყო კაცს ცილი უნდა დასწამონ! ძმის დარდით არ სძინავს, დღედაღამ საქვეყნო საქმეზე ზრუნავს. ცარიელ პურზეა.

— მაგის იმედად არა ვართ? ყაჩაღობა მოსპო, ადამისშვილს ღამით ქუჩაში ვერ გაევლო.

— მას სირცხვილი და უპატიოება, ვინც ამისთანაზე აუგს იტყვის.

— ამ ქალაქში ასეთ ზნექეთილ კაცს ჯერ არ გაუვლია.

— ზოგს რა გააჩნია ხმლისა და ბოროტი ენის მეტი!

— აბა, პატარა მოიცადე!

— ვაიმე, შვილო, ვინ იცის, სადა ხარ ახლა! — ჩუმად დაიკვნესა მოხუცმა.

— ამისთანა კაცები ჩვენთან მამასახლისობას ვერ ეღირსებოდნენ, აქ კი მეფეებად სხდებიან.

— თქვენ იცით, რა პროექტი ჰქონია? სულ ააყვავებს ქვეყანას. მოხუცმა მწარე ღიმილით შეათვალიერა მთქმელი.

— ბევრი ლაპარაკი უყვარს, მაგრამ სისულელე იშვიათად წამოსცდება.

დასასრულს, ეფრემა, განათლებისადმი მიძღვნილი ლექსით წარსდგა საზოგადოების წინაშე.

„მაინც საიდან პოულობენ ამ საკვირველ პირებს? — დაღონებით ფიქრობდა ტატო. — ვერც დაიჯერებ, თუ ჩვენს გარშემო ამდენი ცრუ, უმეცარი და უტიფარი იპოვება!“

კათედრაზე შესკუპებული ეფრემა კი რიხიანად წარმოთქვამდა:

მზეო. მივი, მფინე სხივი
ღალით ბილით აღდგომილსა,

დაღლილ, მოღიმარე ტუჩებზე ლოპი მოსდგომოდა. ლექსი საკმაოდ გრძელი იყო, შიგადაშიგ თავს ასწევდა და უმალ ტატოს ბასრ თვალებს წააწყდებოდა. ცუდ გუნებაზე დგებოდა. დარწმუნებული იყო, რომ მას დასცინოდა და ქალიშვილებსაც აცინებდა, ხოლო ლიტერატურულ ჭორებსა და ლიტერატურულ კენწვლას ეფრემა სიგიჟემდე მიჰყავდა. ყველაფერი რომ ეპატიებინა, ამას ღვიძლ შვილსაც არ აპატიებდა და სასიკვდილოდ გაიმეტებდა. დიდი დრო უნდა, სანამ შვილთაშვილები ყველას და ყველაფერს თავთავის ადგილს მიუჩენენ.

„დოდაშვილის მოწამლულია, მაგის კუჭი არ გამოირეცხება! საშველი აღარ ყოფილა — ის წავამსევეთ, ეს მოდის!“

ტატო კი რახაელსა და მართას ექილიკებოდა.

სასახლის ქუჩაზე ზანზალაკთა ჟღარუნით შემახის ქარავანი მიიზლაზნებოდა...

ექვს საათზე ფრაკში გამოწყობილი მეეტლე ტაბახმელისკენ მიაქანებდა ეკიპაჟს, რომლითაც საქართველოს გუბერნატორი მიბრძანდებოდა.

ორივე მხარის ნება-სურვილით, ქორწილს შინაურ გარემოში იხდიდნენ, ტაბახმელას — ორბელიანთსა, იქიდან კი ღოუბანს წაბრძანდებოდნენ, სადაც მიჭაიჩმა პირიმზეს სასახლე აუშენა.

გარეშეთაგან არავინ ჰყოლიათ.

ნუშისა და უნაბის ხეებით შემოზღუდული, ვაზის ლერწებით დაჩრდილულ ფანჩატურებში ზეიმის მოლოდინში ერთობოდნენ ნათესავ-მეზობლები. მამაკაცები ბილიარდს, „ბითურს ცხრას“, ნარდს, ჭადრაკს, ვისტს თამაშობდნენ. ჭილოფზე ფეხმორთხმით მსხდარნი, ოქსინოსა და დიბა-ზარქაშის დეკოლტეებში კოპწიად გამოწყობილი

შუქმფინარე ბანოვანნი უკანასკნელ მოდაზე, სამკაულებზე, დანიშნულებსა და საყვარლებზე მასლაათობდნენ.

ნეფიანის მობრძანებას დამხვდურნი ტაშის გრიალითა და ერთის ყიჟინით შეეგებნენ. სულ ერთმანეთის ახლობელნი იყვნენ, მაგრამ საჯამბაკუროს და საბარათიანოს მაინც იმოდენა მაყრიონისთვის მოეყარა თავი, რომ გაჩირაღდნებულ აივნებზე ტევა არ იყო.

საზეიმო განწყობილება სუფევდა! სიძეს თავს ევლებოდნენ. ერთმანეთს შეჰფრფინვიდნენ, შეჰფოფინებდნენ. თეთრქულაჯიანი შინამოსამსახურენი სუფრას წამისწამ აახლებდნენ ლაზათს ჰმატებდნენ. სახლთუხუცესი თვალგამჭრიახად ამოწმებდა, სადმე ხომ არაფერი აკლიაო.

კარის მოძღვარმა სუფრა აკურთხა. დაიწყო ქორწილი.

თამადამ, ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკმა ზაქარია ორბელიანმა ოქროთი მოჭედილი ორი ყანწი ქარვისფერი ღვინით გაავსო, ერთი თავის მოადგილეს, ყაფლანს გადააწოდა, ბოლო მეორე მაღლა ასწია და მშექარის ხმით წარმოთქვა:

— ყოველმან უწყით, რა ბედნიერება გახლამსთ ქორწინებისა საიდუმლო, უზენაესი ნათელი სულისა და ფუძე ცხოერებისა. და თუ ყოველი ჯვარისწერა ითქმის ასე, რაღა არს ქორწინება უმაღლესთა პირთა, შეუღლება მეფისა და დედოფლისა.

ჩვენის საქართველოს მეორეს გვარს ბევრი გვირგვინოსანი თანამეცხედრე აღუზრდია და დღესაც არს ესე მსგავსად მისსა. ჯამბაკურიანთა თვალთა სინათლეს ვატანთ საქართველოს პირველს პირს, ვისაც უპყრია ადგილი სამეფო. მე ვიტყვი მეტსაც, რადგან დღევანდელი საქართველოს გუბერნია სამჯერაც უფროსი გახლამსთ ერეკლეს სამეფოსზედან.

ვიცით, რითა და როგორ მოიპოვა ესეითარი ღირსება სიძემან ჩვენმან, ჭკუითა, ნიჭითა, გულსმოდგინებითა, სინდის-ნამუსითა, ერთგულებითა, შრომითა, და არა მემკვიდრეობითა თვისითა.

იხარეთ, იბედნიერეთ, შეაბერდით ერთურს, ვითარცა ადამ და ევა!

დაილია სადღეგრძელოები გადალოცვა-გადმოლოცვით, კეთილი სურვილებით. აიწია ჭერმა. შუქი მოემატა მარმარილოს ოთხ სვეტზე ამართულ კანკელს. აკიაფდნენ, აბზინდნენ, აციმციმდნენ კანდელაბრები. მოჰყვა სასმისს სასმისი, სადღეგრძელოს სადღეგრძელო.

დაჰმღერა ფორტეპიანოზედ, თვისის ნაზის ხმით, შუბლსხივოსანმა მანანა ორბელიანმა: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“. იმღერდნენ ყელმოღერებული ტანკენარი მანდილოსნები: „ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით“... აგუგუნდა მარადი სიცოცხლის საგალობელი „მრავალჟამიერ“: ღმერთმან ინებოს, ღმერთმან ინებოს, ღმერთმან ინებოს თქვენი სიცოცხლე!

ტოლუმბაშმა ოქროს ჩუქურთმებით მოვარაყებული ვეება ყანწი კვლავ ზეაღმართა და პატარძლის დედ-მამის სადღეგრძელო ასე დაიწყო:

— ბუნაპარტეს უთქვამს: ლამაზი ქალი თვალს მოსწონს, კეთილი გულსა. თქვენ აღგიზრდიათ ქალი ლამაზის სახითა და კეთილის გულითა, ჩაგიბარებიათ აუწერელი საუნჯე ესე ღირსისა პატრონისათვის.

ლუარსაბ, საყვარელო ძმაო! რაც უნდა ვიფრანცუცოთ, ჩვენს ძველს ქართულს ოჯახს მაინც არაფერი სჯობია. ღმერთმან უბედობა ბედნიერებით შეგიცვალა და იყავ ესე გალაღებული, ახალის ჩინითა და კარგის პენციითა!

— ნათიმზე დედოფალო! — მიმართა პატარა მაიკოს სახემოღიმარმა ყაფლანმა. — დაუჯირე კალთა მის მაღალღმატებულებას და არსად გაუშო!

სინარნარით განთქმულ ნათიმზეს, პატარა მაიკოს, ეშხით უელავდა თაფლისფერი თვალები.

ილხენდნენ, ვიდრე ალიონამდე. ბროლის ჭაღებით გაჩახჩახებულსა და ძვირფასი ხალიჩებით მოფენილ დარბაზებში ჰქონდა კადრილი... ხელში დაირით ქალნი გოგმანით უვლიდნენ დავლურს... ფანჩატურებში კვნესდა საზანდარი, შფოთავდა ზურნა...

ლხინის პაპა, სახით არაბისტნელი,
მის შკოლაში ვინ არა ხართ ნამყოფი!

ჩიტისვაშლათი მორკალული ღამე იცრიცებოდა.
ვაჟკაცებს ღვინო მოჰკიდებოდათ.

— კიკო, შე ძველო! — ეხვეოდა შეზარხოშებული ყაფლანი. — მოდი, შუბლში გაკოცო! საიდან სად ამოხვედი, შენი სულისა! არა, მოდი, მოდი, თავზე გიკბინო! ჩვენო იმედო და ნუგეშო! გახსომს,

თარჯიმნად რო დაიწყე სამსახური და აბუჩად რო გიგდებდით? მთავარ ქუჩებზე გაელა რო გერიდებოდა? ახლა შენის წყალობით გავნათლებულვართ და ქალაქად გავმხდარვართ. ტრაქტირი გაგიხსნია, ხლისტი შემოგიღია, ყომარი და არღანი შემოგიტანია. ვცხოვრობთ და ლაზათს ვეწევით.

მიქაიჩი ყველას ეცეკვებოდა, ილხენდა, მღეროდა, ხუმრობდა, ხელისგულზე უგორდებოდა.

და როცა აისი ვარდისფრად აინთო, მაყრიონი ღოუბნის მამულისკენ დაიძრა. ცხენებმა ქვის ხიდზე გაითქარუნეს და ქარიშხალივით გაიტაცეს პატარძალი. რის ყოფითა და ჯირითით მიჰყვნენ მაყრები.

ახლა იქ, ღოუბანთან გამოეგებნენ აზნაურნი, მოხელეები... ჩაჰბერეს ზურნას, ჰკრეს დაფდაფებს. ატყდა ყიჟინა. დაირისცემა. დასცალეს თოფები. შეიქნა ხალხის ჰედვა. საზეიმო შეძახილები. გამოეგება გალავნის კარში შემოსილი დეკანოზი, ჯვრით.

იმავე დღეს საქართველოს გუბერნატორმა ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა და ნათიმზე ორბელიანმა ჯვარი დაიწერეს ღოუბნის ეკლესიაში.

სიძის ახალ სასახლეში რომ ფეხი შედგა, გაოგნებულმა ყაფლან ორბელიანმა ქუდი ჰერში ისროლა და წამოიძახა:

— აი, ეს მესმის! Это дворец!

ის ღამე იქ გაათენეს. ხოლო დილით გუბერნატორი ქალაქს წაბრძანდა. დანარჩენებმა ისევ ტაბახმელას მიაკითხეს და იყო ასე, მთელი კვირა ლხინი, შაქცევა, დროსტარება და ქეიფი.

მიქაიჩი ყოველ მეორე დღეს ამოდიოდა.

16

მთელი ღამე ქართული სიმღერები ესმოდა. რამდენჯერმე წამოდგა. დააყურადა. ჰანგი ხან მიინავლებოდა, ხან ისევ რაკრაკით აიჩრებოდა.

ძილი გაუკრთა. მილეული მთვარის შუქზე, ხავსმოკიდებულ ლოდებში „დიღმის არსენა“, „ჰაელაბრის ბუნაპარტე“, „ალიქ-მელიქი“ ეჩვენებოდა.

ფიქრი გაურბოდა. ამაოდ ცდილობდა მოეაზრა, როგორ მიეღწია მეგობრებთან. როგორ შეექმნათ „ბედნიერი კუნძული“, სადაც ყველა თანასწორი იქნებოდა.

გამთენიისხანს რული მოეკიდა. ტრაპეზის სამეუფო კარი და საიდუმლო სერობა ეზმანა. გამოელვიძა.

თალხი ფერის სიშარბემ შეაშფოთა.

ქართული სიმღერა არ წყდებოდა. ჰანგი ჰანგს ენაცვლებოდა და კვლავ შორეთში იკარგებოდა.

ძალის მოკრებით ძილბურანს თავი დააღწია. ჩაიცვა და ჯიხურიდან გავიდა.

ზემოთ, შორეულ სიღრმეებამდე ცა ზოლა-ზოლად გადათეთრებულიყო. ზოგან ზღვასავით გაცისკროვნებულ სივრცეს ვარდისფერი ფარდები ჰკვეთდა, რომელიც სინათლის ჩქერთა ვეებერთელა გვირგვინს იკეთებდა და მის გარშემო ვარდისფერი შუქის ბაფთები პატარ-პატარა ცისარტყელების გუმბათებს აგებდნენ.

იასეს შეაჟრჟოლა და შინ შებრუნდა. მერმე ღვთიშობლის ხატის წინ დაიჩოქა და დიდხანს უხმოდ ლოცულობდა. ლოცვამ დააწყნარა.

თვითნაკეთი ჩიბუხი თუთუნით გატენა. კარს ურდული გაუყარა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა „მოისეევის კუნძულისაკენ“, სადაც პეტრეს გაშენებული მშვენიერი არყის ტყე იწყებოდა.

საგუშაგოზე ცხენები უნდა გამოეცვალა და ათი საათისთვის შესართავის მარცხენა ნაპირთან გასულიყო დვინის კატასტროფული მოქცევით გადარეცხილი ჯებირის გასამაგრებლად. უკიდეგანო ტორფის საფლობებისა და დაშაობებული ნიადაგის გამყარება, რომელსაც ყოველ გაზაფხულს ადიდებული მდინარე ტბორავს, მძიმე და სახიფათოა.

ტყის ლაფიანი ტბები გაიარა. წვიმისგან დასველებულ დამრეცს ჩაუყვა, მაგრამ ღამის შავნაღვლიანი გარინდებისგან ვერ გამოფხიზლებულიყო. ციხის გამოკეტილი კარების შემდეგ, ერთ ხანს ეს მკაცრი ადგილიც შვებად ეჩვენებოდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, თითქოს თავზე მუხრუჭს უჭერენო, ჯონებას ბინდი ეფარებოდა.

ჩიბუხი ანგარიშმიუცემლად ხელისგულზე დაიფერთხა, ნაცრისფერი ფარაჯის ჯიბეში ჩაიდო და ტყიურივით სივრცეს მიაყურადა...

კვლავ ის ქართული სიმღერები ესმოდა, რომლებმაც წუხელ ძილი გაუფრთხეს. არყის ხეთა კორომებიდან ისევ „დიღმის არსენა“,

„ჰავლაბრის ბონაპარტე“, „ალილ-მელიქი“ ამოდიოდნენ და ზურნის ზუზუნით მიუძღვებოდნენ ტყეში.

„რას მოელი? სანამდე იქნები ამ მოუსავლეთში!.. რა აზრი აქვს ასეთ ყოფას!..“

მუხლებში უღონობა იგრძნო — „რა ამბავია?“ სიერცეში ჩაძირული ტყიანი ფერდობების წვეროებს მიაჩერდა.

შორს არაა, მაგრამ მძიმე გზაა.

ახლოს გაურკვეველი ხმაური მოესმა და უცებ იგრძნო, რომ გვერდზე გახედვისა შეეშინდა.

არასდროს ასეთი რამ არ მოსვლია.

„შირშიდან ხომ არ მოვუარო?! — შეაშფოთა საკუთარმა ფიქრმა.

„არა, ამას არ ვიზამ!“

„ფლატეს გადავივლი, იმ ერთ კორომსაც გავივლი და მერე წისქვილთან გავალ!“

მაგრამ ეს რა რისხვაა! ნაბიჯს ვერ დგამს.

„იქ ტივის ხე დევს, წვრილი და ლიპი. თოკს გამოვაბამ!“

„რა ვქნა, აქ ვიღაც უნდა იყოს!“ უნდოდა დაეყვირა, მაგრამ რატომღაც კრიჭა შეეკრა, სიტყვა ვერ დასძრა.

ერთბაშად გაახსენდა, რომ წუხელ, მთელი ღამე, ვიღაც ფანჯარასთან უდარაჯებდა და, გამოვიდა თუ არა, აედევნა.

„როგორ წავხდი! რარიგ დავძაბუნდი! თუ რამ თავგასაწირი არ ჩავიდინე, კაცად აღარ ვივარგებ!“

„დამიბრუნდი, ია! მოდი, გადავიკარგოთ! შენ იქ არ დაგინდობენ! გვეყოლება მშვენიერი ცხენები, ვიქნებით მარტო.

ნუ სტოვებ სიყვარულს! ვერ იპოვი ვერაფერს, უფრო სანდოს, უფრო ღვთაებრივს!“

„დაგვიანებული ხმები! შემონახული ხმები! მე ეს ხმები არ გამიგონია მაშინ! მე ისინი გამომრჩა!“

გულაჩუყება იპყრობდა და ბოლმა ერეოდა.

თავს ძალა დაატანა, რომ არ გაბრუნებულიყო უკან.

„ყველაფრის განახლება შეიძლება! მთავარია, გადაიტანო, არ დანებდე“!

„რა მემართება? რატომ მელანდება, რომ ვიღაც მომდევს! მაინც რატომაა ასეთი გაუბზარავი სიჩუმე? ყველა სულდგმული მიმალულია... ის ვიღაც კი არ მეშვება. სულის ამოსართმევად მომდევს!..“

„რა სილაჩრეა! ხვალ სავაჭრო მოედანზე მივდივარ, ვინძლო, ჩემი ლაზი ჩამოვიდა! სულ იქ ვივლი, სანამ ის არ გამოჩნდება! გავჰყვები საქართველოში, მოვძებნი ჩემს ძმაკაცებს, შევქმნით საერთო ცხოვრებას და ვიქნებით ერთად!“

მკვდარი ფოთლებით მოფენილ ბილიკს დაადგა და ის იყო, ნაჩხატზე უნდა გასულიყო, თითქოს პურგა დაეჯახაო, მხრებში მარწუხების მოჭერა იგრძნო.

მოლანდებასავით მოხდა. არც განძრეულა. არც უკან მოუხედავს... არც არაფერი გაუფიქრებია.

მხოლოდ მაშინ, როცა მარწუხებად ჩაჭიდებულმა ხელებმა შემოაბრუნეს და წინ ბებუთშემართული ნაცნობები დაინახა, გააფთრებით ეცა.

სანამ მუშტს მოუმარჯვებდა, დანის ორმა დარტყმამ შეარყია.

„იუდაე!“ „მოღალატენო!“

იასე ნელა გაემართა, მერე, უცებ, ეკვეთა და ძირს დაანარცხა. იმწამს ისევ ორჯერ იგრძნო დანის წვერი და სახეზე ხელები აიფარა.

„მომკლეს!“ — გაუელვა ყრუდ და, თითქოს, მკლავები მოჰკვეთესო, მხრები მოსწყდა. ზურგიდან უმალ კისერში ზედიზედ კეტი მოუნაცვლეს. დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, და, თითქოს, სულის მოსაბრუნებლადო, უმოძრაოდ შედგა.

საგნები ერთმანეთში აირია. ველარას არჩევდა. ყველაფერი არარაობიდან ამოდიოდა და არარაობაშივე ინთქმებოდა. გრძნეულმა სიმღერამ გაარინდა, სიმღერამ, რომელიც წუხელ მთელი ღამე ჩაესმოდა.

„ეგეც შენ!“

ერთბაშად, კისერზე ცოფიანად მოქნეული ცული დაეცა და, სანამ თავს მოსწყვეტდა, კბილებმა ისე გაიხრჭიალეს, რომ სულერთიანად დასცივდა. რამდენსამე წამს ისევ ისე ფეხზე იდგა. შემზარავად შემართული. წინ წამოწეული. დამუშტული. მერმე, ვიდრე დაეცემოდა, მთელი ერთი წუთი, მუხლი თანდათან ეკეცებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ აქტის შესადგენად გამოცხადებული კომენდანტი და სამხედრო ლეკარი გაოგნებული დარჩნენ, რომ სხეული და თავი ცალ-ცალკე ეგდო, გარშემო კი წვეთი სისხლიც არ ჩანდა, თითქოს, გაყინულისთვის მოუკვეთიათ თავიო.

ისინი კიდევ უფრო შეაშფოთა მოკლულის სახემ. ეს იყო არა

მკვდრის, არამედ საბრძოლოდ შემართული, შეუპოვარი მეომრის გამომეტყველება, რომელმაც, ჰადაჰა, უნდა დაამსხვრიოს ბორკილები და ახალი იერიშისთვის ეკვეთოს მტერს. სახის დაძაბრული ნაკვთები, გააფთრებისგან გაჩენილი, ზიზღჩამდგარი ნაოჭები, ღიად დარჩენილი ლოდინით მოუღლელი, მომდურავი თვალები არაადამიანურ ტანჯვასა და ვედრებას, უსაზღვრო გაბოროტებასა და შურისგების წყურვილს, მოუსვენრობასა და ამბოხს გამოხატავდა.

— გინახავთ ოდესმე ასეთი სახე? — ჰკითხა კომენდანტმა ექიმს.

— მასზე იმ ადამიანის ტანჯვას ეკითხულობ, რომელსაც ეს არის რაღაც დიდი საიდუმლოება გაუგია და არასდიდებით სიკვდილი არ უნდა, რათა ახალ ჭკუაზე იცხოვროს, თავი იმართლოს და მტერს სამაგიერო მიუზღოს.

* * *

კომენდანტი და ლეკარი ჯერ არ გაბრუნებულიყვნენ, რომ ახალი შემთხვევის ადგილზე გამოიძახეს.

აქედან სულ რაღაც ნახევარი ვერსის დაშორებით, კიდევ ერთი ახალმოკლულის გვამი ეპოვნათ. გვერდზე სისხლიანი ბებუთი ეგდო წითელი ღილით.

ის ბებუთი, რომლითაც რამდენიმე წუთის წინ იასე მოეკლათ.

მოკლული, რომელსაც სახელოები დაემკლავებინა და შარვლის ტოტები მუხლებზე ამოეკეცა, არხანგელსკის შიდა სამსახურის გადმოსახლებული ჯარისკაცი იყო.

17

მის ბრწყინვალებას გრაფ ა. ი. ჩერნიშოვს.
კავკასიის კორპუსის საიდუმლო განყოფილების რაპორტი

უმორჩილესად მოგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელ დროს საქართველოს გუბერნიაში გახშირდა თავდასხმები ხაზინაზე, საარმიო აღალაზე, საფოსტო კურიერებსა და სამხედრო დასახლებებზე.

ამა წლის ოც ივლისს ავაზაკების რაზმი, რომელსაც აქაურ პროვინციებში ცნობილი აბრაგი პ ა ა ტ ა მეთაურობს, თავს დაესხა დედოფლისწყაროს სამხედრო დასახლებას და გაიტაცა მდიდარი ძვირფასეულობა.

მანამდე ავაზაკებმა გაძარცვეს ეჯინში, კარდენახში, ჯიმითში, წინანდალში მცხოვრები თავადები, წაიღეს მათი განძეული და წაასხეს ყმები, რომელთაც სხვადასხვა დანაშაულისთვის სასჯელი ელოდათ.

როგორც ჩემს მიერ დაწესებული მეთვალყურეობით დადასტურდა, მძარცველებს გზაში ჩასაფრებული ხვდება უფრო ძლიერი რაზმი, რომელმაც რამდენჯერმე შესძლო პაატას ყაჩაღებისთვის წაერთმია ნაძარცვი ქონება.

კვალის ძიებას საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორამდე მივყავართ. გთხოვთ თქვენს უმაღლეს განკარგულებას.

18

1836 წლის ოც აგვისტოს სოლომონი ყოფილმა მოწაფემ, იოსებ მამაცაშვილმა ინახულა.

ცივი დღე იყო, წვიმიანი, შუადღით კიდეც მოთოვა. საღამოს, მთვარის შუქზე, თვალს სჭრიდა შეყინული თოვლი და ვარსკვლავები ძლიერ მკაფიოდ ბრწყინავდნენ.

ელენე დაღონებული შეხვდა სტუმარს, რომელსაც ავადმყოფი სიცოცხლეშემორჩენილი თვალებით მისჩერებოდა.

კარგა ხანს იყვნენ ასე. მერმე, სოლომონმა თავს ძალა დაატანა და ერთგვარი კმაყოფილებით თქვა:

— წეღან ჩემი სოფელი, მაღარო მომელანდა.

როგორც ჩანს, ძვირად დაუჯდა ეს ძალდატანება. ჭირის ოფლში გაიწურა.

მოკლედ ისაუბრეს. სოლომონი ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვამდა სიტყვებს. მათი საუბარი საქართველოს, ქართული გაზეთის, ჟურნალის ბედს შეეხებოდა.

სოლომონს ხველა აუვარდა. ოფლად იღვრებოდა. ქოშინებდა. თვალცრემლიანმა ელენემ სტუმარს ანიშნა, წასვლის დროაო.

სათაყვანო მასწავლებელს ამ დღეში ჩავარდნილს რომ ხედავდა, გული უკვდებოდა იოსებს, სული ლოდივით დამძიმებოდა. მეტის ატანა აღარ შეეძლო. წამოდგა. დამშვიდობებისას მხრებზე ხელი მოჰხვია.

ავადმყოფმა ჩურჩულით უთხრა:

— ჰო, წეღან ჩემი მაღარო მეზმანა.

იოსები თითქმის სირბილით გაიქრა გარეთ. ქუდი მოიხადა. მწყურვალე შუბლი ჩრდილოეთის მოზუზუნე ქარს მიუშვირა. ვეება ნაბიჯებით ახტებოდა გაყინულ გუბურებს.

იქ კი, ოთახში, სადაც თანდათან ისადგურებდა სიბნელე, ელენე, რომელსაც ავი სიზმარი ენახა წუხელ და ავი მოლოდინით იყო შეპყრობილი, ავადმყოფს უმეთვალყუროდ წუთით არ სტოვებდა.

ვითომ, ქიზიყში იყო, იმ ეზოში, სადაც გათხოვების წინ, მომავალი ქმარი ეზმანა. სიჩუმეში, სიბნელესა და მუსიკის წყნარ ჰანგებში მის ფანჯარასთან საქორწილო პროცესია შეჩერდა. ოცდათორმეტი მხედარი. შავჩოხიანი, შავგვრემანი, მდუმარე და თავდახრილი ვაჟკაცები, რაღაც მძიმე სევდით შემოსილნი. შუაში შავი ეტლი იდგა, სამი შავი ცხენით. ეტლში შაოსანი ნეფე, შავგვრემანი. გვერდით ეჯდა თეთრ საქორწილო კაბაში გამოწყობილი დედოფალი, თეთრი ფატით. მოწყენილი, მდუმარენი და თავდახრილნი იყვნენ ყველანი. ხელები გულზე გადაეჯვარედინებინათ. მათ უკან ისეთივე ოცდათორმეტი მხედარი იდგა, ოღონდ, წითელჩოხიანები.

„ღმერთო, რა ნაღვლიანი ქორწილია! ქალები არსად ჩანან. ან, ჩემს ფანჯარასთან რატომ შეჩერებულან? ისე კი ლამაზი სანახაობაა, სასიამოვნო. ალბათ, ძველი წესია, ქალის მაყრებმა მიაცილონ ნეფე თავის ბინამდე და უკან გაბრუნდნენ...“

ქვითინით გამოეღვიძა. დიდხანს იბანდა პირს, რომ ქმარს არ შეემჩნია მისი ნამტირალევი თვალები.

მეორე თვე იწურებოდა, რაც პატარა კონსტანტინე ხელიდან გამოეცალათ, მაგრამ არ უმხელდა მეუღლეს; კეთილ ოჯახში მყავს გაბარებულიო, ეუბნებოდა.

„ღმერთო, შენ დამიფარე! გადმომხედე მოწყალე თვალით!“

ყოველდღე აკითხებდა იონა ხელაშვილს წერილებს, რომლებიც სალბუნს ანიჭებდა:

„სულიერო ძეო ჩემო სოლომონ!..“ „ჰეშმარიტო ძეო მამულიშვილო!..“, „თქვენი ავთრათი მივიღე საუნჯისაგან გულისა გამოღებული“...

სნეულება დღითიდღე ურთულდებოდა. სახეს ტყვიისფერი გადაეკრა. ცხვირი სანთელივით გაუხდა. ჩონჩხად ქცეულს ყოველ ამოსუნთქვაზე აძიგძიგებდა.

ელენე, მოუშორებლივ, თავთით უჯდა. გამუდმებულ შეკითხვაზე, თუ რა პასუხი მოვიდა სამხრეთში გადაყვანის თაობაზე, უმალავდა, რომ ხელმწიფე დაჟინებით უარყოფდა გუბერნატორის, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრების ენერგიულ შუამდგომლობებს.

„მისი უზენაესობა საკუთარ დედასაც არ აპატიებდა დეკაბრისტებთან კავშირს!“ — სიმწრის ცრემლი გადმოუვარდა გერცენს, იმპერატორის პასუხს რომ გაეცნო.

ბოლო ორი კვირა ავადმყოფი დაჟინებით კითხულობდა დედამამისა და და-ძმების ამბავს. ცოლს ევედრებოდა, არავისზე არავითარი უკმაყოფილება გულში არ გაეელო.

„მე ვუტევებ ყველას, კეთილისა და სათნოისა მის სულისათვის“.

ორადორ სათხოვარს აბარებდა: ბალღები უსწავლელი არ დამიტოვო, და, ჩემს ხელნაწერებს მოუარეო. ვინძლო დატუსაღებისას ჩამორთმეული ნაშრომებიც მოიძიო და ერთად შეინახოო.

„ავადმყოფის სარეცელზე ნუ მომკლავ, ღმერთო!“ — აღმოხდებოდა ხოლმე.

განა ოდესმე დაეჭვებულა, რომ წუთისოფლიდან უნდა წასულიყო? მაგრამ რა იქნებოდა შემდეგ? რას მოუტანდა ეს დაუდგრომელი საწუთრო სამშობლოს? მზად იქნებოდა თუ არა ქარტეხილებისა, განსაცდელისა და აღორძინებისათვის?...

ხან აზრის გახევება აცოფებდა. ხან გული აუჩუყდებოდა რაღაც გაურკვეველი სინანულისა გამო... ჯავრად მიჰყვებოდა, რომ დღემდე ვერ გადაეწყვიტა, რა სჯობდა დღევანდელი მამულისათვის — გაძალიანება თუ მშვიდობიანი შრომა და სწავლა-განათლება!

„მე რალა შემიძლია! ცოცხალი ხარ, სანამ ახალგაზრდა ხარ, და ახალგაზრდა ხარ, სანამ ჯანსაღი ხარ!“

— ფილადელფოსი მეზმანა. — თავისი დამცინველი, კეთილი ღიმილით უთხრა მეუღლეს. — შენ კარგად იცი, გულო ჩემო, რამდენი საქმე მრჩება გასაკეთებელი და როგორ მიყვარს სიცოცხლე, მაგრამ მოიწივა განსვლამ ამიერ სოფლით ნათელსა შინა და უძლურია მასთან ყოველი. ჩემი სანთელი ქრება. ნუ სტირ ჩემზედა. შენ შუდამ გწამდი. ღმერთი მოგაგებს მაგიერს ამ ჩემის ერთგულის მეგობრობისთვის.

დილითვე ეზიარა წმინდა საიდუმლოებებს.

საღამოს ავადმყოფის სანახავად გერცენი, პოლონელი ექიმი ხამუჩოვიჩი, მასწავლებელი ანდრია სკვორცოვი და არქიტექტურის აკადემიკოსი ვიტემბერგი მოვიდნენ.

გერცენმა გამამხნევებელი ხმით მოიკითხა ავადმყოფი.

— არა მიშავს. — მიუგო სოლომონმა. — ოღონდაც გაზაფხულზე არ გამიუარესდეს ჯანმრთელობა, თორემ ჭლექი დამემართება.

— საშიში რაა, ხომ ხედავთ, შემოდგომამდე კარგად მოატანეთ. — დაუდასტურა ექიმმა.

— კიდევ ერთ ზამთარს თუ აქ დავრჩი, ვეღარ გავუძლებ. ჩრდილოეთის ჰავა ძლიერ საზიანოდ მოქმედებს ჩემს ჯანმრთელობაზედ.

სოლომონი ისე ბეჯითად და წყნარად წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, რომ ყველას იმედი მიეცა. მარტო ელენე გრძნობდა, რის ფასად უჯდებოდა ქმარს ეს გარეგნული სიმშვიდე და ქვითინს ვერ იკავებდა.

— გულო ჩემო! — ჩურჩულით უთხრა სოლომონმა. — მოვიდა სამუდამოდ გაყრის ჟამი. ბავშვები შემომიყვანე.

გაფითრებული და აცახცახებული ელენე შემოუძღვა რვა წლის ვანოსა და ხუთი წლის ნინოს, რომლებიც, დანატრებულ მამას აღტაცებული ყიჟინით მისცვივდნენ.

სოლომონმა სილურჯედაკრული გაყვითლებული ხელები თრთოლვით შეახო ბალღებს და რამდენსამე წუთს რაღაც ხარბი მსასოებელი თვალებით შეჰყურებდა მათ.

— მამილო! — ვეღარ მოითმინა ნინომ და მამის გაციებულ ხელებს მიეხუტა.

ელენემ განწირული ხმით შეჰკივლა, შვილებს ხელი მოჰხვია და ქმარს გადაეფოფრა.

„წავიდა. მარტო დავრჩით!“

ყველანი წამოდგნენ. მწუხარედ თავი დახარეს.

„იგი იყო ანგელოზი და წარვიდა ცათა შინა, უწმინდესსა და უბრწყინვალესსა სოფელსა შინა“.

მესამე დღეს მიცვალებული თალხი ბალდახინით წაასვენეს და ვიატკის ნაპირად, ქალაქის სასაფლაოზე დაკრძალეს.

მის კუბოს მიჰყვებოდნენ გერცენი, ვეშტომოვი, იაკოვლევი, მურავიოვი, რომელიც ციმბირის გადასახლებიდან დაბრუნებულიყო, ვიტემბერგი, მხატვარი ჩარუშინი, ასობით გადმოსახლებული და აქაური ინტელიგენტი.

„ის, როგორც შეუპოვარი ხარირემი, მაღალი კლდიდან გადაჩეზეს. ვერ აიტანა ჩრდილოეთის სუსხიანი ჰავა და უბოროტესმა ჭლექმა შეიპყრო. მე ვინახულე ის სიკვდილის წინ. ძლივსღა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით მითხრა: „ოღონდ გაზაფხულზე არ გავხდე უფრო ცუდად, თორემ შეიძლება ჭლექი შემეყაროსო“. — თქვა გერცენმა და თავისი სიტყვა ოდოევსკის სტრიქონებით დაასრულა:

ძლივს მოაღწია შორეთიდან ხმებმა ძლიერმა,
ხმებმა ბორკილთა დამსხვრეულისამ, ხმამ ზეციერმა,
სამარადისოდ დაეძმობილდით ჩვენ და ისინი,
ჩვენ და ისინი სამუდამოდ შეეთვისენით.

მშობელი ერის სახელით იოსებ მამაცაშვილი დაემშვიდობა: „სოლომონ დოდაშვილი იყო უდიდესი მამულიშვილი, უდიდესი ქართველი მოქალაქე. მას თავისი სამშობლო უყვარდა თავისთავზედ უფრო მეტად. მან გვიჩვენა თანამემამულეებს საქმე და საქმისათვის თავდადება. სახელი მისი იქნება უკუნისამდე ცოცხალი, დაუვიწყებელი შთამოებათათვის.

საქმენი შენი აღიწერების წიგნსა შინა, ხოლო სამარხისა შენსა ზედა აღიმართვიან ძეგლნი, მქადაგებელნი შენისა სიბრძნისა და ღვაწლისა და ბიბლიოთეკებსა შინა ივერიისასა სახელი შენი შთაიწერებიან მისაბაძად სიბრძნისა მოყვარეთა“...

დაკრძალვიდან ერთი თვეც არ გასულა, რომ გერცენმა ელენე დოდაშვილს მოუტანა ხელმწიფის უზენაესი მოწყალების განკარგულება: „დოდაევის ხერსონესის გუბერნიაში გადაყვანის შესახებ“.

— ესეც დაცინვა თავისი მტრებისადმი! — ამოიოხრა გერცენმა. — მან ჩემი შედგენილი მიმართვიდან უკვე იცოდა მისი გარდაცვალების ამბავი!

ელენეს გაგონილი ჰქონდა, რომ ფილადელფოსს მთავრობის მოხელემ საფლავზე წაუკითხა: „პატიების ქაღალდი“, რისთვისაც მას „სამარეში მართალი“ უწოდეს.

* * *

ქმრის დაღუპვის დღიდან ელენე ათას ჭირსა და ფიქრს მიეხალა. ოჯახი გაჩანაგებული დარჩა. აღარ იცოდა, რა ექმია შვილებისათვის, სად შეეფარებინა თავი.

ვიატკა განცვიფრებული იყო მარტოხელა ქალის გმირობით. კეთილ ადამიანებს ხან რძე, ხან თაფლი მოჰქონდათ ბალღებისათვის, მაგრამ ამ უცხო და მკაცრ მხარეში ამდენ საზრუნავს სანამდე გასწვდებოდა! რაც შეიძლება მალე უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. დედაც დაუინებით სწერდა, ჩამოდიო, მაგრამ სახსარი არ გააჩნდა.

ტიუფლიაევმა კიდევ ერთხელ მოაწერა ხელი გერცენის კარნახით შედგენილ შუამდგომლობას ხელმწიფისადმი: „ქმრის დაკარგვის მწუხარებით გულმოკლული ამ მისთვის უცხო მხარეში, საშინელ სიღატაკეში ორი ობოლი ბავშვით ბედის ამარა დარჩენილი დოდაევის ქვრივი ყოველგვარ საშუალებას მოკლებულია, რათა თავის მშობლიურ საქართველოში დაბრუნდეს.

მოყვასის სიყვარულის გრძნობით აღძრული, გთხოვთ, მისცეთ მას რაღაც ფულადი დახმარება სამშობლოში დასაბრუნებლად“.

არ გასულა ერთი თვე, რომ გერცენმა ელენე დოდაშვილს რვაასი მანეთის ასიგნების შესახებ ფინანსთა მინისტრის განკარგულება მოუტანა.

19

სულიწმიდის გადმოსვლიდან პირველ კვირას, ირაკლის ქუჩის კუთხეში, კოპწია ორსართულიანი სახლის კიბეზე ქერანაწნავებიანი, ტანწერწეტა ქალი დაეშვა და განთიადის ნაზი ფერებით მოლივლივე ეზო-ყურეში თეთრკაჭაჭებიანი ბედაურის ვერცხლით მოჭედილ უნაგირს მამაკაცური სისხარტით შეაფრინდა.

მწყაზარ სახეს, მაღალ ყელკისერს, ფართო, სხივოსან შუბლს, ხშირ სწორ წარბებს თეთრი ვუალი უფარავდა. ზამბახისფერ დარაიბაბთის კაბაზე თეთრი, ოქრომკედით ნაქარგი საყელო ეფინა.

დილის უმანკო შუქზე, ნიავის ოდნავ გამოხდომაზე ნაზად კრთოდნენ პატიოსანი საყურეები.

წყნარად ჩაჰყვა მეტეხის აღმართს, ფერდობებზე შეფენილ სახლებს, ახალგაღვიძებულ ფოლორცებს, ბან-აივნებს, კლდოვან არტახებში დაგრეხილ მტკვარს.

კორპუსის ბაღის აუზში ჩაზნექილი ტირიფები ოდნავ არხევდნენ ფოთლებს. წყალში მოცურავე გედები ჩანდა.

ყველაფერი, რასაც ხედავდა, იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მაშინ ისინი ერთად სეირნობდნენ აქ.

აღმასრულებელი ექსპედიციის მოედანზე რამდენიმე ეტლი იდგა. სადარბაზო კარის წინ დრაგუნი გამოჭიმულიყო წითელ არშიაშემოვლებულ უნაგირზე, აღვირით ხელში. მაღალი, ფართო საყელო ნიკაპამდე სწვდებოდა.

გულგრილი სიმშვიდით ჩაუარა მოედანს.

მამადავითის ეკლესიას ეწვია, სადაც, შეთქმული ჰქონდა, მისის სულის სალხენად, ხუთშაბათობით სანთელი დაენთო.

ყველაფერს გულდაუწყვეტლად, ამაყად, რაღაც დაფარული ზეიმით სტოვებდა.

„მშვიდობით, სიცრუის სენით დაღლილო ქუჩებო და ქუჩაბანდებო! ოთახებში გამოჩეკილო ჰორებო! ავადმოსისინე ხმებო! ყოვლის მომმუსვრელო ვერაგობავ! დაწმახნულო ცილისწამებანო! ყოვლის დაუნდობელო შურო და სიხარბევ!

მშვიდობით, ურთიერთ სამარის მთხრელებო! სხვათა გვამებზე საკუთარის ბედის მაშენებლებო! ავის ქსელის მქსოველნო!

ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ მის წინაშე!

გაიხარეთ! განაგრძეთ დაცინვა და ქილიკი! ჰორი და ცილისწამება! მოყვასის გესლვა და ძმის გაყიდვა!

მე კი, დავიღალე! მყუდროება მწყურია!“

ღართისკარში ქროლვას მოწყურებულ ცხენს ფერდში ქუსლი ჰკრა, უწინდელის თავაწყვეტილის ჭენებით მიუშვა.

„შენ ცივი და სპეტაკი მწვერვალები გიხმობენ, მიდიხარ, მიდიხარ, მიდიხარ...“

„აი იქ, მოსახვევში დაეკარგე თვალთაგან!“

„გახსოვს?“

„ნუღა შედგები! ნუღარ შეგაკრთობს! გაჰკვეთე ეს ლაჟვარდი სივრცე! გადაუქროლე დაბინდულ ქედებს! მიდი იქ, სადაც, მაღლის მთის ძირას დაფთილული ღრუბელთ სავანეა, რათა აღარასოდეს დაუბრუნდე ამ ცრუ საწუთროს!“

სულმოუთქმელად ჩაათავა მუხრანის ეელი. ქარად აედევნა ქსნის ნაპირებს, აღმართ-დაღმართებს. ერთგულ ბედაურთან, ბედთან და სინანულთან შეჭიდებული.

მოულოდნელად მოეგება ტაძარი ღვთისა.

წყნარად შეაყენა ბედაური. უნაგირი მოხსნა. აღვირისგან გაათავისუფლა, გაუშვა. თვალი არ გაუყოლებია.

აჩქარებით განიძარცვა ძვირფასის სამოსისგან.

შორს მოისროლა პატიოსანი თელებით შემკული საყურეები.

ალმასები და მარგალიტები. ფირუზ-ქარი და იაგუნდები...

შავს ტილოს სუდარაში დარჩენილმა, ფეხშიშველმა და გულდამცხრალმა ჩოქვით აიარა ლარგვისის მონასტრის კიბე...

20

არავის შეეძლო აეხსნა, როგორ მოხდა, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ ბოლო ოთხი-ხუთი წელი კავკასიის მმართველობა ფაქტიურად მიქაიჩის ხელში მოექცა. ბარონი როზენი მისი შიშით თრთოდა. სამხედრო მინისტრი გრაფი ჩერნიშოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბლუდოვი, ფინანსთა მინისტრი, მთავარმმართებლის გვერდის ავლით, საიდუმლოდ მას ეკითხებოდნენ რჩევას და ანდობდნენ განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო დავალებებს.

ესოდენ აღზევებულ სამოქალაქო გუბერნატორის იმპერატორისთვის მისართმევად, რახანია მზად ჰქონდა როზენზე დასმენის მოხსენება, რასაც მისი დამხობა უნდა მოჰყოლოდა.

გრაფი ჩერნიშოვი კმაყოფილი იყო, რომ „თავისი კაცის“ საშუალებით შეეძლო ამ მნიშვნელოვანი მხარისთვის სრული კონტროლი გაეწია და ხელმწიფეს „კავკასიის საქმეთა“ პირველ მრჩეველად ეცნო.

იმხანად მიქაიჩს დაარსებული ჰქონდა „კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წამახალისებელი საზოგადოება“, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდა და ამის გამოც, სამხედრო მმართველობის სამოქალაქოთი შეცვლას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ღმერთმა ისმინა მიქაიჩის ვედრება და მოხდა, რასაც არავინ ელოდა.

1837 წლის თვრამეტ მარტს ბარონ როზენს კონფიდენციალურად შეატყობინეს, რომ შემოდგომაზე იმპერატორი თბილისს ესტუმრებოდა. ამ ცნობამ ყველა შეაშფოთა.

არავის შეეძლო ეწინასწარმეტყველა, ვინ და რა მოეწონებოდა ან არ მოეწონებოდა რუსეთის გვირგვინოსანთა შორის პირველს, რომელსაც საქართველოს მიწაზე ფეხი უნდა დაედგა.

იცოდნენ, ხელმწიფე სასეირნოდ არ მობრძანდებოდა და კავკასიის საქმეებით დალხინებული არ იყო.

ყაზი მულას სიკვდილის შემდეგ, ჩრდილოეთ დაღესტანსა და ჭისტეთში შამილი გაბატონდა, მის წინააღმდეგ გენერალ ფეზის ექსპედიციამ კარგი ნაყოფი ვერ გამოიღო. წარუმატებლობათა მიზეზად იმპერატორს სამოქალაქო საქმეთა მოუწესრიგებლობაც მიაჩნდა, რის თაობაზეც აურაცხელ საჩივარს იღებდა და ორი რევიზიის შედეგიც ხელთ ჰქონდა.

შეშინებულმა მთავარმართებელმა დაუყოვნებლივ შექმნა „მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორთან შეხვედრის მომწყობი კომიტეტი", რომელშიც მიქაიჩი და თავადაზნაურობის მარშალი კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანბატონიც შევიდნენ.

დაიწყო მზადების დაძაბული დღეები. ყველაფერი სახელდახელოდ უნდა შეემოწმებინათ და გადაეკეთებინათ. თავისი მსვლელობის გზაზე ხელმწიფეს არავითარი ნაკლი თვალში არ უნდა სცემოდა. კომიტეტის წევრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ისეთი რა მოეგონებინათ, რომ მოეხიბლათ უზენაესი მონარქი.

ყველაზე დიდ საგონებელში მიქაიჩი ჩავარდნილიყო.

„ახლა კი საბოლოოდ წყდება ჩემი, და მასთან ერთად, ჩემი ქვეყნის ბედი. რასაც ხელმწიფე თავის თვალით ნახავს და თავისი ყურით გაიგონებს, საქმეც ისე წავა. მეჩნიკოვის და ქუთაისოვის დასკვნები მიკერძოებულად მოსჩვენებია. ამ მიკერძოების მიზეზად მე რომ არ გამომიყვანონ, ხელმწიფეს საჩივრებით ყური არ უნდა გამოვუჭედო.

სანდო ხალხს გავგზავნ-გამოვგზავნი, რაც საჩივრებში სიავე სწერია, ხელმწიფემ თავის თვალით უნდა ნახოს.

მე რათ დავასმინო, როცა თვითონაც ყველა მანკიერებისთვის პასუხი მომეკითხება! ხელმწიფესთან საქმეზე ვილაპარაკებ. მთავარია, გულმტკივნეულობა, მოსაზრებულობა და ერთგულება შემამჩნიოს. კარგად ვიცი, ბარონი არ უყვარს. მე იმასთან ერთი საცოდავი ჭია ვარ და თუ ხელმწიფის გულს მოვიგებ, ჩემი საქმე თავისით გაკეთდება.

სენატორს განს კარგად შევაგნებინე, რომ კავკასიაში სამხედრო მმართველობამ დრო მოჭამა, კეთილი ყვავილი ვერ გამოიღო და ეს მხარე დღემდე ვერაა შემომტკიცებული, ამიტომ დადგა დრო სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლისათვის.

სენატორებისა და ბარონის აზრები ყველა დეპარტამენტის საქმეებზე მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს და ხელმწიფე თავის რევიზორებს მეტ ანგარიშს გაუწევს, ვიდრე უთაო გენერალს, რომლის ხელშიც კავკასიის ომის ამბები ისე აირია, ლამის შამილი კახეთში შემოიჭრას.

კეთილი ბარონის სახე, უგანათლებულესი თავადი დადიანი, რომელიც დღეს ერევნის ლეიბ-ჰუსართა პოლკს მეთაურობს, ისეთ დანაშაულობაში მყავს მხილებული, რომ ხელმწიფე კარგ დღეს არ დააყრის და არც მის სიმამრს ეტყვის მადლობას.

მისი უდიდებულესობის დახვედრა და დაცვა მთავარმართებლის მოვალეობაა და თუ ხელმწიფე უკმაყოფილო დარჩება, ამასაც როზენს დააბრალებენ.

ხედავს ყოველად მოწყალე ღმერთი, რომ ჩემის წარჩინებისთვის არ ვზრუნავ. პირადად მე მადლობელიც ვარ ბარონისა, მისის წყალობით ვეწიე ამ ადგილს, მაგრამ მას სამხედრო მმართველობის შეცვლა არასდიდებით არ სწადია და, თუ ასე არ ვიღონე, დაიქცევა ჩვენი ქვეყანა. უმაღლესი მთავრობა ყოველ ბოროტში აქაურს მოხელეებს გვადანაშაულებს, ვითომ: ჩვენ რას გვერჩითო, თქვენიანები ტყუიანო".

ზაფხული სულ ასეთ მღელვარებაში გაილია.

დადგა შემოდგომა და ოც ენკენისთვეს ხელმწიფე გემ „პოლარული ვარსკვლავით" გელენჯიკში გადმოვიდა და აღმოსავლეთისკენ გამოემგზავრა.

„შეხვედრის კომიტეტი" ნერვიულობდა. გზებზე უკანასკნელ ქვებს აწყობდნენ, უკანასკნელ ბაგირებს აგებდნენ, უკანასკნელ კედლებს ღებავდნენ.

ადგილობრივ მკვიდრთა ცივილიზებაში რომ ეჭვი არ შეჰპარვოდა, ქალაქელებს იძულებით პარსავდნენ, მარტო აგვისტოს ბოლოს ოცდაექვსი ტომარა წვერი გაატანეს მტკვარს.

თბილისი იმპერატორის მგზავრობის ცინცხალ-ცინცხალი ამბებით ერთობოდა.

როზენი ზუგდიდში დახვედროდა უზენაეს მბრძანებელს. იქიდან სურამში, ახალციხე-ახალქალაქში, გუმბრში, ეჩმიაძინსა და ერევანში ხლებოდა. გუმბრში ხელმწიფეს პირადად საფუძველი ჩაეყარა

ციხესიმაგრისათვის, რომლისთვისაც ალექსანდროპოლი ეწოდებინა. ახალციხეში საძმო საფლავზე ძეგლის აგება ებრძანებინა.

უველაზე კარგი და საკვირველი ამბავი, რომელმაც მიქაიჩს ფრთა შეასხა და გამარჯვების იმედი მისცა, ერევნიდან მოვიდა.

იქ მისვლისთანავე, ხელმწიფეს მისი უდიდებულესობის ლეიბ-ჰუსართა პოლკის საგუშაგო განრიგებაზე დასწრების სურვილი გამოეთქვა და მადათოვის მოედანზე, პოლკის მეთაურის ალექსანდრე დადიანისათვის საჯაროდ ფლიგელ-ადიუტანტობა ჩამოერთმია.

ამ შემთხვევამ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი დაარწმუნა, რომ ხელმწიფე მის საჩივრებს ყურს უგდებდა, როზენს აღარავითარი გავლენა აღარ ჰქონდა და მდგომარეობის ბატონ-პატრონი სენატორი განი იყო.

კავკასიელ გენერლებს თავზარი დასცა ხელმწიფის სისასტიკემ. ვინც ფიცხ, პატივმოყვარე მთავარმართებელს ქვეყნის თვალწინ ერთადერთი ასულის მეუღლე შეულანძღა, საკუთარი ფლიგელ-ადიუტანტი ასე გაათახსირა, რაღა თქმა უნდა, არავის დაინდობდა.

ღმერთს ევედრებოდნენ, ხელმწიფის ავი თვალისაგან დაფარვას.

„ჩვენ თავადაზნაურობას და ხალხს დიდი კმაყოფილება უნდა შეემჩნეს, რათა ყოველად სათნო მონარქი საკუთარი თვალით დარწმუნდეს, რომ „შეთქმა“ ერთი-ორი ნაცარქექიას მოგონილი იყო, არც არავის ახსოვს და არც არავინ მომდურავი ჰყავს.

დიახ გონივრულად ვქმენ, რომ ახალგაზრდობის აღზრდა მირზაჯანასა და ყაფლანს ჩავაბარე. ეს „რიგის პურიც“ კარგად მოიგონეს: რიგ-რიგზე ხან ერთი მართავს პურისშამას, ხან მეორე, ქეიფობენ, დროს ატარებენ, ღვინის სმაში ცილობენ, ბოროტი ფიქრისთვის აღარა სცალიათ.

ქუჩის ნაპირ-ნაპირ სახელაჟღაჟა მოქეიფე ყმაწვილებს ჩავაყენებ. თეთრი, მოკლე ჩოხებით, თოფ-იარაღით. ზოგს ჩვენებურის ჩაკეცილის ქუდებით, ზოგსაც რუსულის „კოტილოკებით“, ქილვაშებით და კაზაკინებით. ალაგ ყურთმაჯიანი ახალოხებით, ალაგ — კაფტანებით.

ამათ დანახვაზე ხელმწიფე უმალ მიხვდება, რომ პოლიტიკა და კარბონარიზმი ჩვენი საქმე არაა!“

კეთილშობილი მანდილოსნები დღენიადაგ ლაბიელის ტრაქტირში, დეპენერის აფთიაქში და ბერლემონის სალონში ტრიალებდნენ,

რათა უკანასკნელ მოდაზე დახვეული თმით, მანიკურითა და სახის ფერებით ხელმწიფეს ჰეშმარიტ პარიზელებად მოსჩვენებოდნენ.

დადგა ნანატრი დღე. რვა ოქტომბერს, აურაცხელ ადიუტანტების, გენერლების, ექიმების, მზარეულების, მდივნების, მრჩეველების, პირადი დაცვის ნაწილების თანხლებით რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი თბილისში შემოვიდა.

შტაბის საათმა თერთმეტჯერ ჩამოჰკრა.

სამხედრო ორკესტრის კაპელმეისტერმა, კომპოზიტორმა სოკოლოვსკიმ ხელი აღმართა. იქუხა მუსიკამ. ნაკრები ბატალიონი კვადრატებად გაიშალა. გაქვავდნენ ეკიპაჟები. გადაიწია დახურული კარეტის ფარდები და იმპერატორი თავის ქვეშევრდომთ ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში წარმოუდგა.

ხელმწიფემ არწივისებური მზერა სტყორცნა კლდის ქიმზე მოფრიალე იმპერიის დროშებს, აივნებზე გადმოფენილ თავის სურათებს, დამხვდურთ მდაბლად მიესალმა, სამოქალაქო გუბერნატორი, რომელსაც მკერდზე წმ. ვლადიმერის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენები უბრწყინავდა, სამეფო კარეტაში მიიწვია და დაფაზურნის, დუდუკებისა და ტაშის გრიალში თავისი სადგომისკენ გზა განაგრძო.

მტერ-მოყვარე გააოგნა მიქაიჩის მიმართ ხელმწიფის ინტიმურმა დამოკიდებულებამ. განსაკუთრებით აოცებდათ, რომ მისმა უზენაესობამ მთავარმართებელი თან არ იახლა.

ბრბოს თვალს სტაცებდა საზეიმოდ მორთული ნათიმზე.

— შეხეთ კიკო ღუბერნატორის ცოლს! — ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ მოქალაქენი.

— ეჰ, სიმდიდრევ, ქვეყნის ღმერთო!

— ექვსი თვეა, ეს მეორეთ გამოველ შინიდან. — ეუბნებოდა მანანა ორბელიანი მელანია მელნიკოვას, — ნათიმზესთან თუ შევიველი ხოლმე, გუბერნატორშასთან.

ყველას დასანახავად, ხელმწიფემ თავისთავი გუბერნატორის სტუმრად გამოაჩინა, მასთან ერთად ისურვა ქალაქის დათვალიერება, ვახშმობა და იმავე საღამოს განმარტოებით ესაუბრა გუბერნიის ავკარგზე.

მიქაიჩი თითქოს არ ცდილობდა თავი მოეწონებინა იმპერატორისათვის. არც პირმოთნეობას იჩენდა. ისე ბეჯითად, დამაჯერებ-

ლად, ჩუმი გულისტკივილით ლაპარაკობდა თითოეულ წვრილმანზე, მტერიც ვერ იფიქრებდა, ვინმეს ასმენს ან თავისთვის რამე გამორჩენა სურსო.

ხელმწიფე ცნობისმოყვარეობით უსმენდა.

— ძლიერ უყაირათოდ ვეკიდებით საბაჟო შემოსავლებს, რომელთაც დიდი როლი აკისრიათ მხარის ეკონომიკაში. გენერალ-გუბერნატორ სიპიაგინის მმართველობაში მთლად სწორად ვერ შეაფასეს ამ წყაროს მნიშვნელობა და მერმე კიდევ უფრო იმატა უსარგებლო ხარჯებმა. ზოგჯერ, პირადი საჭიროებისთვისაც დახარჯულა საბაჟო შემოსავალი. — მიჭაიჩმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მისი უდიდებულესობა სახელმწიფო შემოსავლების მდგომარეობას თავის პირად ქონებასავით განიცდიდა, მზრუნველი სახით დაუწყო წინ საბუთები. — კავკასიის მეურნეობას ზიანს აყენებს ზომაწონის ადგილობრივი ერთეულების შენარჩუნება. უნიფიკაცია აუცილებელი მოთხოვნილებაა.

მეტი თაოსნობის პირობებში, აქაურ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შეუძლია მალე ისეთ აყვავებას მიაღწიოს, რომ ერთი ათად გაადიდოს შემოსავლები. ამას ამტკიცებს ფრანგი ნეგოციანტის კასტელას მიერ ათიოდე წლის წინ დაარსებული აბრეშუმის ფაბრიკა. კასტელამ მტკვრის ნაპირზე თუთის ხეების პლანტაციაც კი გააშენა, რათა საკუთარ ნედლეულზე იმუშაოს.

„ამიერკავკასიის საეჭრო კომპანიამ“, რომელსაც ჩემი წინამორბედი ზავილეისკი მეთაურობდა, ვერ მოასწრო საქმის დაწყება. ჩემს მიერ შექმნილ „სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურის წამახალისებელ საზოგადოებას“ ჯერ კიდევ არ აქვს შესაფერი პირობები.

მიჭაიჩს თითოეული სიტყვა ასჯერ ჰქონდა გაზომილი. თან, ისიც იცოდა, რომ ხელმწიფეს ყოველივე ეს სენატორ განის რევიზიის ანგარიშებიდანაც მოეხსენებოდა და ამ ორი წყაროს დამთხვევა საბოლოოდ დაუდასტურებდა, როგორც საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კეთილსინდისიერ გულმტკივნეულობას, ისე განის მიერ ჩატარებული რევიზიის უზაკველობას.

მიჭაიჩი ატყობდა, რომ ხელმწიფე მას საქმეზე თავგადაკლულ, გაბედულ და ენერგიულ მოხელედ თვლიდა, მაგრამ ეს არავითარ გავლენას არ ახდენდა მის გამომეტყველებასა და თავდაჭერაზე, ისევ ისე აუღელვებელი საქმიურობით ლაპარაკობდა ქალაქის კე-

თილმოუწყობლობაზე, ვიწრო ქუჩებზე, სადაც არათუ „კალასკასა“ და დროშკას, პატარა ურემსაც ვერ გაუვლია. ლაპარაკობდა მბეჟუტავ ფარნებზე, უწყლობაზე და ათას ჭირვარამზე.

მან გარკვევით გაიგონა, რომ ხელმწიფემ წყნარად წაიჩურჩულა: „ამას მე არასოდეს ვაპატიებ“, მაგრამ მაინც ისევ ცივად განაგრძობდა ლაპარაკს.

— როგორ აფასებთ მხარის პოლიტიკურ განწყობილებას? — ისე ჰკითხა მეფემ, რომ თვალი არ მოუშორებია მუნდირზე მოკიაუე სამი უმაღლესი ხარისხის ორდენისათვის, რომლებიც მისდამი ბეჯითი სამსახურისა და ერთგულებისათვის ჰქონდა მოპოვებული.

— ქართველი თავადაზნაურობა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულია თავისი ხელმწიფისა. ამ ოთხი წლის წინ გამომძღავნებული „შეთქმა“ ჩვენის ხალხის გულიდან შორს იდგა. ამბოხების სული შემოიტანეს გადმოსახლებულებმა. აჭაურს მკვიდრთ უყვარსთ ლხინი, დროსტარება და შექცევა.

— ის ფილოსოფოს-მასწავლებელი? — გაახსენდა ხელმწიფეს.

— დოდაევი პეტერბურგში სწავლობდა, თქვენო უდიდებულესობავ. დაპატიმრების ჟამს რილეევის წერილები აღმოუჩინეს.

ხელმწიფეს არ ესიამოვნა მათი ხსენება. მოაგონდა გრიბოედოვი, პუშკინი, ოდოევსკი, კიუხელბეკერი, მარლინსკი, რომლებსაც ან თვითონ გზავნიდა სასჯელის მოსახდელად, ან თავიანთი ნებით მიეშურებოდნენ საქართველოში.

„აღარ გამეორდება! — ირონიულად ჩაეცინა. — რა სისულელეა, რომ ჩემს დაუძინებელ მტერს მე თვითონ ვგზავნი ბაღ-ვენახების სამოთხეში, რათა აქაური ქვეშევრდომნი გამიხრწნან, ჩემის ლანძღვა-გინებით გული მოიჯერონ და ტახტის დამხობის გეგმები მოიფიქრონ!“

— ქართველი კეთილშობილნი, — განაგრძობდა გუბერნატორი, — ძლიერ ფიცხნი და ამპარტავანნი გახლავან. მათი ყოველი წინააღმდეგობა პირადი შეურაცხყოფის ნაყოფია. ამიტომ შეიძლება სწორი არ იყოს, რომ ოსეთი რამდენჯერმე წაართვეს და დაუბრუნეს ერისთავებს.

ხელმწიფემ დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში მოისურვა წირვის მოსმენა.

მიმდებარე ქუჩები და ეკლესიის ეზო ხალხით იყო გაჭედილი.

„კალასკიდან“ გადმოვიდა და მლოცველებს შეერია. ყველა მხრიდან ესმოდა შეძახილები: „ხელმწიფევ, ძალიან გვიყვარხარ!“, „ძალიან!“

„ვიცი, მჯერა!“ — თავის დაკვრით პასუხობდა ის.

კავკასიის წარჩინებულ ოფიცრებს, რომლებიც ტაძრის წინ ჩაემწკრივებინათ, პირადად როზენი უდგენდა. იმპერატორი ხელს არ თმევდა და სამახსოვრო მედლებს ურიგებდა მათ.

მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოდპოლკოვნიკმა დიმა გომოზოვმა, რომელმაც იმპერატორის ხელიდან მიიღო მადლობა სამსახურისთვის, და ოქროს ხმალი ყაზი მულასთან ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის. (ანიტას მონაზვნად აღკვეცის შემდეგ, პატარა ჩერქეზის ქალი ჩამოეყვანა აღსაზრდელად).

წირვა რომ დასრულდა, გუბერნატორმა ეფრემა წარუდგინა, როგორც სახელოვანი მგოსანი და აქაური ხალხის სულიერი მოძღვარი.

— ხელოვანი არ გახლავართ, მაგრამ ხელოვნებას თაყვანსა ვცემ.— ხელი ჩამოართვა ხელმწიფემ, — მიყვარს გონიერი პოეტები.

ყველაფერი სასიამოვნოდ მიმდინარეობდა და იმპერატორიც ერთობ კმაყოფილი ჩანდა, როცა ქაშუეთს წასასვლელად მთავარმართებელმა მშვენიერი ყარაბაღული ბედაური მოჰგვარა, რადგან ხელმწიფეს „კალასკით“ გაბრუნება თავიდანვე არ ჰქონდა გათვალისწინებული.

იმპერატორი საუკეთესო მხედრად ითვლებოდა. უნაგირს კმაყოფილებით გადაევლო და ის იყო, ადგილიდან უნდა დაეძრა, რომ ცხენი ერთბაშად ყალყზე შედგა, დაიჭიხვინა, ცოფიანივით ტლინკები ჰყარა და ქვეყნის მბრძანებელი უბრალო მეჯინიბესავით მიწას დაანარცხა.

სანამ დაშავებული ხელმწიფე ყოჩაღად წამოდგებოდა, გადელეჭილ ცხენს მთელი დიდუბე გავლილი ჰქონდა და დიღმის ველზე მიჯირითობდა.

თავზარდაცემულ როზენს, მიწა გახეთქოდა, ის ერჩივნა, ფეხის მონაცვლებაც ვერ მოეხერხებინა. გრძნობდა, ხელმწიფეს მისკენ გახედვაც აღარ სურდა და საბოლოოდ უნდა ერწმუნა, რომ ყველა ანგელოზი ერთად ურისხდებოდა და ეეღარავითარი სასწაული ეეღარ უშველიდა.

ამასობაში, თავმოდრეკილმა გუბერნატორმა იმპერატორს კარ-

გად გახედნილი, უბელო კაზაკური ცხენი მიართვა და საშუალება მისცა, ქვეშევრდომთათვის უბადლო ცხენოსნური ოსტატობა ეჩვენებინა.

კვირა დილით იმპერატორმა სახელგანთქმული თბილისური ბაზრობის ნახვა ინება. იგი ისე გააოცა ბაზრის გნიასმა, ხალხის სიჭრელემ და ჩაცმულობამ, გასაყიდად გამოტანილი ხორაგის სიუხვემ და ფერადოვნებამ, რომ ერთობ გახალისდა და გამხიარულდა. პატარა ბიჭივით ყველგან ჩერდებოდა, გამყიდველებს გამოელაპარაკებოდა ხოლმე, ყველაფერს ხელს ჰკიდებდა, გულმოდგინედ სინჯავდა, გულისყურით ათვალიერებდა, რა არისო, კითხულობდა და წასვლა აღარც აგონდებოდა.

კმაყოფილი და გახარებული მიქაიჩი, მხლებელნი ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევდნენ ღიმილით.

იმპერატორი განსაკუთრებით დაინტერესდა, თუ რა მიჰქონდმოჰქონდათ თავზე შემოდგმული თაბახებით მოსიარულე განიერ შარვლიანსა და ელასტურად მოქნილ კინტოებს.

— ეს რა არის? — იკითხა მან და თავზე თაბახით მოსიარულე ერთი კინტო შეაჩერა.

— ეტო კიზილ! — გრეხით მიუგო კინტომ და წითლად გაღუებული მწიფე შვინდი მიაწოდა.

იქვე, მეორე კინტოს, უნაბით სავსე თაბახი შემოედგა თავზე. ხელმწიფე ახლა უნაბის სიმშვენიერემ მოხიბლა.

— ეს რალაა? — დაინტერესდა და ნაყოფს ხელი წაატანა.

თანამგზავრები, თარჯიმნები ღაიბნენ. არ იცოდნენ, უნაბს რა ერქვა რუსულად.

— ეტო კიზილ ბრატ! — რიხიანად უპასუხა კინტომ და გაიღრიჯა.

ხელმწიფეს გულიანად გაეცინა და კინტოს ორი ოქროს თუმნიანი აჩუქა.

თერთმეტ ოქტომბერს, იმპერატორის საპატივცემულოდ კორპუსის სარდლობამ ზუბალაშვილების ქარვასლის ჭაღებითა და კანდელ-აბრებით აგიზგიზებულ, ვრცელ, კამაროვან დარბაზში დიდებული მეჯლისი გამართა.

აქ ხელმწიფემ პათეტიკური სიტყვა წარმოთქვა:

„კავკასიელი ოფიცერი! კავკასიელი სალდათი! კავკასიის არმია!

რა ამაყად ჟღერს ეს სიტყვები!

კავკასიის ტრადიციები!

რა სასიქადულო შინაარსს შეიცავს ეს გამოთქმა!

საქართველოს ისტორია ერთმორწმუნე რუსეთთან განუყოფელი ძმობის ისტორიაა.

ამ მხარეს ბედმა არგუნა, აქ შევსებულიყო ჩვენი სამშობლოს ყველაზე გმირული ფურცლები. ესაა ჩვენი ზღაპრული ომების ასპარეზი. აქ რუსეთის ბრწყინვალე გმირთა მთელმა თაობებმა ჩაიარეს! საქართველო ჩემი გვირგვინის უბრწყინვალესი მარგალიტია!“

შეისვა სადღეგრძელოები. თაყვანი სცეს ხელმწიფეს. იგრიალა მუსიკამ. თავბრუდამხვევ ვალსს მგზნებარე მაზურკა, მჭექარე კადრილი და მქუხარე პოლონეზი სცვლიდა.

— ასე მგონია, თითქოს პარიზში ან ლონდონში ვიყო! — ეუბნებოდა ინგლისელი პოლკოვნიკი რიჩარდ უილბრეხემი ბარონ ტორნაუს.

— ფრიად ვეჭვობ, სერ, იქ სადმე ხშირად შეხვდეთ ასეთ მომხიბვლელ ბანოვანთ. თუნდაც ეს მწყაზარი, ყელყარყარა გუბერნატორშა ან იმისი ტანკენარი დაი, კნიაჟნა ელენე!

— თქვენი არ ვიცი, და მე კი ძლიერ მომწონს ევროპული და კავკასიური მორთულობის ასეთი შეხამება, ერთმანეთში განზავებული ეს დასავლურ-აღმოსავლური ჰანგები, ქართველ ქალთა ყურის-დამატკბობელი ფრანგული, მათი ჰაეროვნება, თვალთა ნაზი მიმოკრთომა და განუმეორებელი გრაცია. ვერ დაგიმალავთ და ჩემს თავს უბედნიერესად ვრაცხ, როდესაც მადმუაზელ მაიკო ან მადმუაზელ კატინკა საცეკვაოდ მომყვებიან.

მორიგ კადრილზე ხელმწიფემ მაიკო ორბელიანი გაიწვია.

მოკლე, იასამნისფერი, კალთაზე ყარყუმის ბეწვმოვლებული გოლი... ექვს ნაწნავად გაშლილი თმა... ოდნავ სიმორცხვე დაჰკრავდა, მაგრამ მაინც ეშხად იღვრებოდა.

— მაშალლახ! ეს ხელმწიფის ჩამობრძანება გუბერნატორის მეჯლიშია! — უთხრა ზაქარია ორბელიანმა რევაზ ერისთავს.

— ნუთუ შენ გჯერა მისი სიტყვები?

— რას ვემართლებით!

— აბა, ერთი ხალხს მოუსმინე! ახლა გაიხსენეს, რომ კიკო ამ-

ბროსი ნეკრესელის დისწული ყოფილა... მაგაზე დიდი ბიბლიოთეკა თბილისში არავის ჰქონია. წვეულებებს, ბალებს, ლიტერატურულ საღამოებს მართავს. ახლა ეს ბაკენბარდებიანი იოსელიანი ჩამოგვივიდა პეტერბურგიდან, და, სულ მაგის ქება-დიდებაშია. ჩვენი მეცნატი ეს არისო.

— რას იზამ, ბევრი მტერი ჰყავს და ამიტომ ბევრს რასმე სწამებენ.

თავად გუბერნატორი კი შეუმჩნეველად თვალს არ აშორებდა ხელმწიფის მიერ ერევანში დასჯილი დადიანის უმცროს ძმას კონსტანტინეს, რომელიც, როგორც ლეიბ-გვარდიის ოფიცერი, როზენს გაებედნა და მაინც მოეწვია მეჯლისზე.

მიქაიჩს არასოდეს ჰყვარებია ძმები დადიანები. ეჩვენებოდა, რომ ისინი, როგორც მეფე გიორგის შვილიშვილები, კუდს მაღლა სწევდნენ, მაგრამ ამ ბოლო ხანებში, რაც დავით დადიანმა მისი ცოლისდის, ელენეს შერთვა გადაწყვიტა და არავითარ ინტრიგას არ მოერიდა, მათი ურთიერთობა უკიდურესად გამწყავდა.

„ამის დაპატიჟება როგორ გაბედეს! — ცხარობდა გულში მიქაიჩი. — ეს ხომ ხელმწიფის შეურაცხყოფაა!“

მაგრამ იმპერატორისთვის ყველაფერი იყო მხოლოდ პირადი შთაბეჭდილება, პირადი აზრი, რომელსაც თუნდ ერთი წუთის დანახვით გამოიტანდა.

ახალგაზრდა და მოხდენილმა დადიანმა ხელმწიფეს ცნობისმოყვარეობა აღუძრა. იგი ერთობ თამამად იქცეოდა და სრულებით არ ცდილობდა მონარქის ყურადღება მიეპყრო.

— თქვენო უგანათლებულესობავ! — ყველას გასაგონად გაეხუმრა ხელმწიფე. — თავიდანვე ძალიან მომეწონეთ, მაგრამ მიზეზი ახლა მიეხვდი: მე მგევხართ! გეთაყვა, დედათქვენი ხშირად ხომ არ ჩამოდიოდა პეტერბურგს?

— დედაჩემი არა! — ღიმილითვე მიუგო დადიანმა. — მაგრამ მამაჩემი კი ბევრჯერ ყოფილა პეტერბურგში.

„ესეც შენ!“ — ძლივს გაიფიქრა მიქაიჩმა, რომ წუთიერი დუმილი ხელმწიფის გულიანმა ხარხარმა დაფარა.

— ხა, ხა, ხა! ფლიგელადიუტანტობა მიბოძებია, ეგეთის სხარტი პასუხისათვის, თავადო! — გადაეხვია, გადაჰკოცნა, გვერდით მოისვა.

სიძის ძმის წარმატებამ როზენს იმედი გაუღვიძა, რომ იმპერატორი შერისხულ დადიანსაც შეიწყნარებდა და მასაც მოწყალის თვალით გადმოხედავდა.

მეჯლისი გაჩაღდა, გამხიარულდა. მართა სოლოღაშვილის ლეკურს, რომელმაც ხელმწიფე აღტაცებაში მოიყვანა, კვლავ კადრილი და ვალსი მოჰყვა. იმპერატორი კატინკა ჭავჭავაძეს და შემდეგ ისევ და ისევ მაიკო ორბელიანს ეცეკვა.

— კიკო მოშხამული დადის. — ჩაულაპარაკა ზაქარია ორბელიანმა ყაფლანს.

— ნუ სწუხარ, მოიგონებს რასმე!

მთავარმართებელმა გადაწყვიტა ეს პატარა წარმატება განემტკიცებინა და წარჩინებულ თავადებს სთხოვა, ხელმწიფე ტივზე საქეიფოდ მიეწვიათ. გვირგვინოსანი ცნობისმოყვარეობით დათანხმდა.

გადააბეს ათი ტივი ერთმანეთს. გაუშალეს ხელმწიფეს ტახტრევანი. აზიდეს ტიკჭორებით ღვინო და ხორაგი. აიყვანეს სამი თეთრი კრავი. შემოდგეს მაყალზე კოჭობები ცოცხალი თევზისათვის. აანთეს მაშხალები და მიუშვეს ეგზოტიკური კუნძული სატივედან ორთაჭალისკენ. მიჰყვნენ აქეთ-იქიდან პატარა ტივები ყარაჩოხელთა დაფა-ზურნით, დუდუკებითა და საზანდრებით. რამდენიმე ყანწი ჩამოვლილი იყო, როცა ორსავ ნაპირიდან გამოეშურნენ თეთრი ნავები კიდეებზე ანთებული კელაპტრებით. მოეხვივნენ ტივს, გადმოაწოდეს თავისებურის მარიფათით შამფურებზე მოშიშხინე მწვადი მირზაჯანამ და ალილ-მელიქმა. ტივს ირგვლივ ჩირადღნად აუნთეს წმიდა სანთლები.

სამოქალაქო გუბერნატორს ნირი წაუხდა და რაღაც უნდა ეღონა მათის ხელიდან ხელმწიფის გამოსახსნელად.

არაფერი დაუზოგავს და შესძლო კიდეც მეორე დღეს იმპერატორი ტაბახმელას მიეწვია და მის საამებლად მთელი თბილისის უმშვენიერესნი ქალწულნი დაეპატიჟნა.

ნასამხრევს, როცა მზე მამადავითს მოეფარა, მრავალრიცხოვანი საზოგადოება, ეკიპაჟებითა და ცხენებით, წავკისის ხეობას შეეფინა.

უნდა მოსწონებოდა მეფეს ტაბახმელა-თბილისის შემოგარენის სამოთხე, საოცარი გადასახედებით, ნაირფერად გაშლილი სივრცეებით, ლურჯად მოლივლივე მთაგრეხილებით, სურნელების მფრქვე-

ველი სათიბებითა და ტყეებით, მზისა და ჩრდილის განუმეორებელი თამაშით.

მიქაიჩს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ნათიმზეს გემოვნებით მორთულ ტაბახმელას სასახლეს პეტერბურგის არცერთი ფუფუნება არ აკლდა.

თავადები და კნეინები დიდის ამბით რთავდნენ თავიანთ მშვენიერ ასულებს „მტრებისთვის თვალის დასაყენებლად".

ამ მხიარული კავალკადისთვის თვალის შევლებაც საკმარისი იყო, რათა გერწმუნათ, თუ როგორ შეცვლილიყო აქაური ცხოვრება ბოლო ოთხი-ხუთი წლის მანძილზე. რა კულტურა შემოეტანა, როგორ შეეცვალა ქართველი არისტოკრატი ქალიშვილების შინაგანი და გარეგნული იერსახე ველნერის ატელიესა და მადამ ფელისეს პანსიონს. სოფიო და ელენე ერისთავები, მაიკო და ელენე ორბელიანები, რახაელ ციციშვილი და მართა სოლოღაშვილი ფრანგულად ებაასებოდნენ საპატიო სტუმრებს, თვით იმპერატორსაც. ერთს წელს მშვენივრად მოეგვარებინა ის, რაც წინანდელს ოცდათორმეტ წელს ვერ გაეკეთებინა.

იმ ზაფხულსა და შემოდგომაზე თბილისი ყელთამდე სავსე იყო ჰორებით და ეს აქაური მიეთმოეთი ერთობ მიმზიდველად ჟღერდა ფრანგულს ენაზე.

დავით დადიანი ამაოდ იკლავდა თავს ნათიმზეს უფროსი დის, ელენესათვის. მას შემდეგაც კი, რაც მისი გულისრჩეული ზაქარია ერისთავს შერთეს, არქიერისგან მოითხოვდა ჩაეშალათ ეს ქორწინება, როგორც მეოთხე მუხლის ნათესავთა შორის უკანონოდ ნაკურთხი. მთავარმართებელს გუბერნატორისთვის დაევალებინა, თვალი ედევნებინა თავისი ცოლისდისთვის, რადგან დადიანი ბავშვობიდან დანიშნული ყოფილიყო სვანეთის მთავრის ციოყ დადიშქელიანის დაზე, რომელიც ომით ემუქრებოდა ოდიშს.

ამბობდნენ, თუ ელენე ორბელიანი ვერ დაიბრუნა, დადიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს შეირთავსო. ივანე მუხრანსკის, რომელიც, თავის მხრივ, ეკატერინე ჭავჭავაძისთვის იკლავდა თავს, სასიმამროს გული ვერა და ვერ მოეგო და დავით დადიანის დაი შეერთო ცოლად.

ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ნათიმზესა და ელენეს გაყრის თაობაზე, აგრეთვე ნათიმზეს ორი წლის ასულის, ლიზენკა ფალავანდიშვილის ავადმყოფობის გამო.

გუბერნატორმა მკაცრად გააფრთხილა ახლომახლო სოფლების ბოქაულები, იასაულები და დიანბეგები, რათა აქაურობას შემოჩვეული არსენა ყაჩაღი გზაში არ გადაჰყროდათ და ხალხი ყველგან პურმარილით შეჰგებებოდა ხელმწიფეს.

ბევრგანაც გაუშალეს მწვანე მინდორზე დაფენილ ნაბდებზე გლეხური სუფრა: სათალი, ყველი, არაყი, შამფურზე წამოგებული შებრაწული ვარიკები და მწვადები. ბევრგან ასწია გუბერნატორმა ღვინით სავსე ჯამი: „ღმერთო, ხელმწიფე გვიცოცხლეო!“... ბევრგან დაუარეს ბოქაულებმა და იასაულებმა დავლური.

ერთი ასეთი დახვედრის შემდეგ, იმპერატორი თვალს არ უჯერებდა, როცა მაიკო ორბელიანმა გაჭენებული ცხენიდან ისკუპა, ღვედი გაისწორა, მერე ისევ მკვირცხლად მოახტა ბედაურს და წავიდა და წავიდა ფრენით.

ტაბახმელას სასახლის ტერასებზე, მოაჯირშემოვლებულ ვეება ფარდულში, რომლის ჭერი ვერცხლის ფარჩებით ბზინავდა, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა ზღაპრული ნადიმი გაუმართა იმპერატორს.

რათა ძლიერ არ დაღლილიყო, შუა ნადიმზე მიქაიჩმა ხელმწიფე გამოიყვანა ასწლოვანი კაკლის ხის ჩეროში, სადაც ვეებერთელა ფარდაგზე მიმობნეულ მუთაქებსა და ბალიშებზე მონებივრე თბილისის იმ დროის ლამაზმანები მიეგებნენ.

მშვენიერ გარემოცვაში ჩაფიქრებულმა იმპერატორმა თავისთავი დაიჭირა, რომ მაიკო ორბელიანის პაწია ფეხებს მისჩერებოდა. კინალამ ბოდიში მოიხადა De la liberte grande, მაგრამ უცებ გონს მოეგო და გაახსენდა, სად იმყოფებოდა.

უმზერდა მის ფერმკრთალ სახეს, თეთრს, გამჭვირვალე ლეჩაქს, გრძელ, შავს ნაწნავებს და მთვარით შესუდრული ხავერდოვანი ღამე, ფანტასტიკური მდგომარეობა ლირიკულად განაწყობდა...

* * *

იმპერატორის გამგზავრება მთავარმართებელ როზენსა და მის სამხედრო უწყებას ევალებოდა.

გენერალ-ადიუტანტს ძალღონე არ დაუზოგავს, რათა მბრძანებელი საუკეთესო შთაბეჭდილებებით დამშვიდობებოდა კავკასიას.

ოფიცერთა კორდონში საზეიმოდ მორთული ეტლები წყნარად შეუდგნენ საქართველოს სამხედრო გზას. შუაში იმპერატორის „კალასკა“ ჩაეყენებინათ. ხელმწიფე ალერსიანად ეთხოვებოდა ვერის ბაღ-ვენახებს.

სატივესთან, მდინარე ვერეს ჩასახვევზე, „კალასკამ“ უცებ სიჩქარეს უმატა, წონასწორობა დაკარგა და ზედ უფსკრულზე თავდაყირა გადაბრუნდა. როზენი გაფითრდა.

მართალია, ხელმწიფე გადაარჩინეს, მაგრამ მას კავკასიის მთავარმართებლისკენ აღარ მოუხედავს, ისე განაგრძო გზა.

„აღარ დავენახები!“ — ხელი ჩაიქნია როზენმა.

გენერალ ფონ-კლიუგენაუს დაპირებით, იმპერატორი გზაში შამილთან შეხვედრას ელოდა, მაგრამ მთიელთა ახალაღზევებულ ბელადს შემოეთვალა: „მართლმადიდებელი იმამი, შეუძლებელია, ვისიმე ყმა იყოს!“

* * *

ვიღაც ენაკვიმატს ეთქვა: ხელმწიფის ჩამოსვლამ ის სარგებლობა მოუტანა საქართველოს, რომ რამდენიმე ლამაზმა ქალმა და მათმა ქმრებმა და ნათესავებმა მდიდარი პენსიები და ჩინები მიიღესო.

მაგრამ ეს მწარე ხუმრობა მთლად მართალი არ გახლავთ. ამ მოგზაურობას სხვა შედეგებიც მოჰყვა.

იმპერატორმა პეტერბურგში ჩასვლისთანავე სამსახურიდან დაითხოვა მთავარმართებელი ბარონი როზენი, რომელიც სულ მალე გადაჰყვა ამ რისხვას.

ასრულდა მიქაიჩის ოცნება — ხელმწიფემ დაამტკიცა სენატორ განის პროექტი, გააუქმა თბილისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა, შექმნა „საქართველო-იმერეთის გაერთიანებული გუბერნია“ და სამხედრო მმართველობა სამოქალაქო მმართველობით შეცვალა.

მდინარე ვერეს ნაპირზე, სადაც ღვთის წყალობით, ხელმწიფე სიკვდილს გადაურჩა, ძეგლი აღმართეს.

თბილისში გრაფ ჩერნიშოვსა და პოზენს მოელოდნენ ახალი რევიზიისთვის.

Каландадзе Александр Павлович
СОЛОМОН ДОДАШВИЛИ
(На грузинском языке)
Детюшздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1985

ს. ბ. № 1478

რედაქტორი ნორა ქართველიშვილი
მხატვარი ჯ. უავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კონტრ.-კორექტორი თ. შინდაგორიძე
კორექტორები: გ. ტოგონიძე, მ. სიმონიშვილი
გამომშვები მ. ნიქაბაძე

გადაეცა ასაწყობად 8.01.85 ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.06.85. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტურა ენა, ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,76. საბ. ქაღალდი № 1, საღებავგატარება 29,76. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 25,38. ტირაჟი 20.000 შეკვეთა № 551.
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა. მეგობრობის გამზირი № 7
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.